

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები

ბ. ახვლედიანის რედაქციით

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1972

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ენათმეცნიერების შესაე-
ლის კურსის თანასახელმძღვანელოს.

წიგნში განხილულია ენის რაობის საკითხი (გ. ნებეირიძე), ფონე-
ტიკა (თ. აბზიანიძე და ნ. ქუთელია), ლექსიკოლოგია და ლექსიკო-
გრაფია (მ. ანდრონიკაშვილი), გრამატიკა (გ. მაჭავარიანი და გ. ნე-
ბეირიძე), ენათმეცნიერების ისტორია (ი. თევდორაძე), დამწერლო-
ბის (წერის) ისტორია (ე. ჭრელაშვილი), ენათმეცნიერების ის-
ტორიულ-შეღარებითი მეთოდი (ბ. გიგინეიშვილი), დისტრიბუციუ-
ლი მეთოდი (გ. ნებეირიძე), ენათა კლასიფიკაცია (გ. ახვლედიანი,
ჟა. გ. ნებეირიძე).

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების პირველი-
კურსის სტუდენტთათვის.

1. „ენათმეცნიერების შესავლის“ სრული სახელმძღვანელო ქართულ ენაზე გამოიცა უკანასკნელად 1952 წელს¹. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საენათმეცნიერო დისკუსიის (1950 წ.) მომდევნო წლებში, სანამ ჩრდილში არ მოექცა დისკუსიის შედეგები ჩვენში და სანამ თანდათან არ გაძლიერდნენ — როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ — ენათმეცნიერების ის ახალი მიმართულებანი — მეტადრე სტრუქტურალიზმი თავისი სახესხვაობებით, — რომელნიც ჩაიხსნენ და მომწიფდნენ ტრადიციული ენათმეცნიერების წიაღში.

რადგანაც „ენათმეცნიერების შესავალი“ ამზადებს მსმენელს იმისათვის, რომ იგი ერკვეოდეს ენათმეცნიერების როგორც ტრადიციულს, ისე მის ახალ მიმართულებებში; ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ სათანადო სახელმძღვანელოები — როგორც ქართული, ისე რუსული — გამოიცემოდა ამ ახალი ვითარების გათვალისწინებით. მაგრამ ასე არ მოხდა. პროფ. არნ. ჩიქობავას ხსენებული „შესავალი“ აღარ გამოცემულა. გამოიცა რუსულად პროფ. ა. ა. რეფორმატსკის „შესავალი“ (Проф. А. А. Реформатский — Введение в языковедение, 1960 и 1967 гг.), რომელიც შედგენილია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მდიდარია ფაქტობრივი საილუსტრაციო მასალით, მაგრამ ამ წიგნზე დაყრდნობით ვერ გავერკევით თანამედროვე ენათმეცნიერებაში, რადგანაც მასში თითქმის უგულებელყოფილია ენათმეცნიერების ახალი მიმართულებანი. ასევე არაა გათვალისწინებული ახალი მიმართულებანი პროფ.

¹ პროფ. არნ. ჩიქობავა — ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952. ამ „შესავლის“ ერთი ნაწილი, თავი IV: „ლექსიკოლოგია, სემანტიკა (სემასიოლოგია), ეტიმოლოგია“ (184—232 გვ.), უფრო ვრცელად შედგენილი პროფ. ლ. ა. ბულახოვსკის მიერ, წარმოადგენს ა. ჩიქობავას „Введение в языковедение“-ს ვაგრძელებას, რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად — „შესავლის“ II ნაწილად; იგი ითარგმნა ქართულად და გამოიცა აგრეთვე ცალკე წიგნად 1955 წ. (203 გვ.). არნ. ჩიქობავას „შესავლის“ III თავი — „ფონეტიკა“ (139—183 გვ.), შედგენილი უფრო ვრცელად. გამოიცა ორჯერ (1956 და 1966 წლებში) „ზოგადი ფონეტიკის შესავლის“ სახელწოდებით (გვ. 5—203).

რ. ა. ბუდაგოვის „Введение в науку о языке“-ში (1965), რომელიც შედგენილია აგრეთვე მაღალ მეცნიერულ დონეზე, და ბ. ნ. გოლოვინის უფრო მოკლე, მაგრამ კარგად დაწერილ „შესავალში“ (Введение в языкознание, 1966 г). რომლებიც ნებადართულია როგორც თანასახელმძღვანელოები (учебные пособия). როგორც სახელმძღვანელო დამტკიცებულია მხოლოდ ა. რეფორმატსკის „შესავალი“.

ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ საჭიროდ მიიჩნია შედგინა კათედრის წევრთა მონაწილეობით, კოლექტიურად, ეს წიგნი („ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“) და გამოეცა იგი როგორც თანასახელმძღვანელო I კურსის ფილოლოგ-სტუდენტთათვის. საკმაოდ დაგვიანებულად, მაგრამ, როგორც იქნა, შედგა და გამოსაცემად მომზადდა იგი. მასში ურთიერთდამოუკიდებელი სტატიები დალაგებულია სავარაუდო პროგრამის თანამიმდევრობით. კათედრა ფიქრობს, რომ ამის საფუძველზე დაიწერება და გამოიცემა ახლო მომავალში სრული ძირითადი სახელმძღვანელო, ურომლისობაც კარგა ხანია მწვავედ იგრძნობა ყველგან, სადაც კი ისწავლება ეს საგანი.

2. არსებობს „ენათმეცნიერების შესავლის“ პროგრამა საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებთათვის¹, მაგრამ არა ჩანს, თუ რა სახელმძღვანელოთი სარგებლობენ ამ საგნის ლექტორები. უნდა ვიფიქროთ, რომ ლექტორებს ევალებათ თვითონ შეავსონ თავის ლექციებში ტრადიციული ენათმეცნიერება იმ მითითებების მიხედვით ახალ მიმართულებათა შესახებ, რაც მოცემულია ხსენებულ პროგრამაში. მაგრამ ყველა ლექტორი ამას ვერ შეძლებს. არსებობს ი. ს. სტეპანოვის (ხსენებული პროგრამის პ/მ რედაქტორის) წიგნი „Основы языкознания“ (1966 წ.), რომელიც აგრეთვე თანასახელმძღვანელოდაა გამოცემული. ამ წიგნში მეტადაა გათვალისწინებული ენათმეცნიერების ახალი ვითარება, მაგრამ მაინც არასაკმარისად. ამასთანავე იგი გამიზნულია ფილოლოგიური ფაკულტეტის უფრო აკურსისათვის, სადაც ისწავლება „ზოგადი ენათმეცნიერება“, ამიტომ მისი გამოყენება „შესავალში“ მხოლოდ ზოგადად შეიძლება.

3. ეს ჩვენი თანასახელმძღვანელო შედგენილია, როგორც ითქვა, კოლექტიურად — კათედრის წევრთა (9 მეცნ. მუშაკის) მიერ, რო-

¹ Программа по курсу «Введение в языкознание» для филологических факультетов государственных университетов. Изд. Московского университета, 1967 г. (отв. редактор доктор филолог. наук Ю. С. Степанов).

მელნიც დასახელებული არიან დასათაურებათა სარჩევში თავ-თავის ნაკვეთებთან ერთად. ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი:

ა) კათედრა მოითხოვდა შემდგენელთაგან საკითხების არა იმდენად მეცნიერულ კვლევას, რამდენადაც მეთოდოლოგიურად გამართული სახით გადმოცემას; მოითხოვდა ცნობილ დებულებათა უფრო მეტად დასაბუთებულად და მარტივად თხრობას, ვიდრე ახალ დებულებათა წამოყენებას. რასაკვირველია, ამით არ გამოორიციხულა დამოუკიდებელი აზრების გამოთქმა.

ბ) კათედრამ სავალდებულოდ ჩაუთვალა ავტორებს გასცნობოდნენ ერთმანეთის ნამუშევრებს და, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, გამოეტანათ თავიანთი შენიშვნები სამსჯელობოდ კათედრის სხდომაზე. ასეც ხდებოდა. ამით მიღწეულია კათედრის წევრთა შეხედულებების მეტ-ნაკლები მთლიანობა.

გ) კათედრის მიერ რეკომენდებული იყო საფუძვლიანად გამოეყენებინათ ავტორებს ჩვენში არსებული სახელმძღვანელოები „შესავლისა“ (ქართული: ა. ჩიქობავასი, ლ. ბულახოვსკისა და გ. ახვლედიანის; რუსული: ა. რეფორმატსკისა, რ. ბუდაგოვისა და ბ. გოლოვინის) და სათანადო სპეციალური ლიტერატურა, გამოცემული ცალკე წიგნებად თუ გამოქვეყნებული საეურნალო სტატიების სახით.

დ) კათედრის მიერ რეკომენდებული იყო მოესმინათ ავტორებს „თეორიული ენათმეცნიერების“ ვრცელი კურსი, რომელიც მიჰყავს კიბერნეტიკის ფაკულტეტზე პროფ. თ. გამყრელიძეს.

ე) წიგნის I თავში „ენის რაობა“ (გ. ნებიერიძე) საკითხებზე: ენის დამანაწევრებელი ფუნქცია, ბგერა-აზრის სინთეზი, ენის აქტივობის ცნება, ენის ფუნქციათა ურთიერთმიმართება, ენები როგორც სინამდვილის საკლასიფიკაციო სისტემები და ენათა სემანტიკური შედარება დამუშავებულია პროფ. გ. რამიშვილის გამოკვლევების საფუძველზე.

გ. ახვლედიანი

ენის რაობის საკითხი

ენის ფუნქციები. როდესაც ენას ვახასიათებთ, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ მისი ფუნქციები. რა ფუნქციები აქვს ენას?

ენის საშუალებით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს აზრებს. ენის ამ ფუნქციას, რომელიც აზრის გამოხატვაში მდგომარეობს, ეწოდება ექსპრესიული, გამომხატველობითი (ლათ. expressio „გამომხატვა“).

ენის საშუალებით ხდება აზრების გაზიარება ანუ ინფორმაციის ურთიერთგადაცემა ინდივიდთა შორის. ენის ამ ფუნქციას ეწოდება საკომუნიკაციო ფუნქცია (ლათ. communicatio „შეტყობინება“). კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ინდივიდს მაინც, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემს (მოლაპარაკე), ხოლო მეორე — ინფორმაციის მიმღებს (მსმენელი).

განხილული ორი ფუნქციით არ ამოიწურება ენის ძირითადი არსი. ენა არ არის აზრების გამოხატვისა და გადაცემის უბრალო საშუალება, იგი აზრის წარმომქმნელი მექანიზმიცაა. ენის ძირითადი ფუნქცია ესეცაა. ამიტომ საჭიროა მისი დეტალური განხილვა.

ადამიანი ამყარებს მიმართებას გარესამყაროსთან, ობიექტურ სინამდვილესთან, რომელიც მოქმედებს მის შეგარძნებათა ორგანოებზე (თვალი, ყური, კანის რეცეპტორები და სხვა). გამლიზიანებლებს (ბგერას, სინათლეს, სითბოს, სიცივეს, საჭმელს და სხვა) უშუალოდ არ შეუძლია ადამიანის ნერვებში გავრცელება. ამიტომ საჭირო ხდება მათი გარდაქმნა ნერვულ იმპულსებად, რომლებიც ნერვების საშუალებით გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

გარესამყაროდან მიღებული ინფორმაციის გარდაქმნა ნერვულ იმპულსებად არის ფიზიოლოგიური პროცესი, რომელსაც მოჰყვება ფსიქიკური პროცესი. საგნების აღქმის შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება მათი ანაბეჭდი წარმოდგენის ანუ ხატების სახით. საგანთა სინამდვილე მრავალგვარია და შესაბამისად მრავალგვარია ადა-

შინის ცნობიერებაში არსებული წარმოდგენებიც, რომლებიც ქმნიან მიმართებათა რთულ სისტემას. ამ სისტემის შესწავლა ფსიქოლოგიის საქმეა და ენათმეცნიერებას იგი არ ეხება.

წარმოდგენისათვის დამახასიათებელია შემდეგი სამი ძირითადი თვისება: ა) წარმოდგენა არ არის მატერიალური ფენომენი, მას ვერ აღვიქვამთ ჩვენი გრძნობის ორგანოებით; წარმოდგენა იდეალური ფენომენია; ბ) წარმოდგენა საგნის ხატებაა და ამიტომ იგი ყოველთვის უნდა ჰკავდეს იმ საგანს, რომლის წარმოდგენაცაა; გ) წარმოდგენა ყოველთვის კონკრეტულია — რადგანაც წარმოდგენა საგნის ან მოვლენის ხატებაა, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული. წარმოდგენა შეიძლება საგნისა ან მოვლენისა და არა მსგავს საგანთა მთელი სიმრავლისა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კონკრეტული მაგიდა, მაგრამ არა მაგიდა საერთოდ. ყოველ შემთხვევაში, როგორი ზოგადიც არ უნდა იყოს წარმოდგენა, მას მაინც არ შეუძლია მოიცავს მსგავს საგანთა მთელი სიმრავლე, მაგ., მაგიდების მთელი სიმრავლე.

რადგანაც წარმოდგენა იდეალური ფენომენია, ამიტომ მისი უშუალოდ გადაცემა ერთი ინდივიდიდან მეორე ინდივიდისათვის შეუძლებელია. ადამიანს არ აქვს შეგრძნების ისეთი ორგანო, რომელიც მას საშუალებას მისცემდა შეეგრძნო არამატერიალური მოვლენები. ეს გარემოება აუცილებელს ხდის წარმოდგენა ჯერ რეალიზებული (გარეთ გამოტანილი) იქნეს მატერიალური საშუალებით და შემდეგ იგი გადაეცეს მეორე ინდივიდს. ე. ი. ადამიანებს შორის უშუალო ფსიქიკური ურთიერთობა შეუძლებელია; ერთი ადამიანის ტვინში წარმოქმნილი აზრი ჯერ უნდა იქნეს რეალიზებული ბგერებით, ან რაიმე სხვა საშუალებით, რომელთა გადაცემა წარმოებს ჰაერით და აღწევს მეორე ინდივიდის სმენის ორგანომდე. ეს უკანასკნელი მათ (ბგერებს) გარდაქმნის ნერვულ იმპულსებად.

მაგრამ წარმოდგენის უშუალო რეალიზება ბგერებით შეუძლებელია. წარმოდგენა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ხატებაა საგნისა. ბგერამ რომ შეძლოს წარმოდგენის უშუალოდ გამოხატვა, იგი თვითონ უნდა ჰკავდეს წარმოდგენას, ე. ი. იმ საგანს, რომლის წარმოდგენის გამოხატვას იგი ახდენს. მაგრამ ბგერა არაფრით არ ჰკავს საგანს. ასე, მაგალითად, ბგერითი თანმიმდევრობა „ვაშლი“ არაფრით არ ჰკავს იმ საგანს, რომელსაც ის აღნიშნავს. სიტყვა რომ საგანს ჰკავდეს, მაშინ ერთი და იგივე საგანი ორ სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად არ უნდა აღინიშნებოდეს. მაგრამ ფაქტია, რომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სიტყვით აღინიშნება (შდრ. ქართ. ვაშლი, რუს. яблoкo, ინგ. apple და სხვ.). ეს ფაქტა

კი იმაზე მეტყველებს, რომ წარმოდგენის ბგერით უშუალოდ რეალიზება არ შეიძლება. წარმოდგენა ჯერ უნდა გარდაიქმნეს ცნებად, ე. ი. აზრად საგნის ან მოვლენის შესახებ, რომელიც უკვე აღარ არის საგნის ხატება და ამიტომაც შესაძლებელია მისი რეალიზება ნებისმიერი ბგერით. ისევე როგორც წარმოდგენა არამატერიალური ბუნებისაა, მაგრამ წარმოდგენისაგან განსხვავებით იგი არ არის საგნის ხატება, გარდა ამისა ცნება აბსტრაქტულია, რადგანაც იგი მოიცავს მსგავს საგანთა მთელ სიმრავლეს და არა მარტო მის ერთ ნაწილს. როგორი კონკრეტულიც არ უნდა იყოს ცნება, იგი ყოველთვის აბსტრაქტული იქნება მის შესატყვის წარმოდგენასთან შედარებით. ამდენად, წარმოდგენის გარდაქმნა ცნებად ერთდროულად არის ფსიქიკურიდან (წარმოდგენა) ენობრივზე (ცნება) და კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლა. ვუწოდოთ ენის ამ ფუნქციას დანაწევრებითი ფუნქცია.

ამრიგად, ენას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: გამომხატველობითი, საკომუნიკაციო და დანაწევრებითი. ჩვეულებრივ, როდესაც ენის ფუნქციებზე ლაპარაკობენ, ახსენებენ მხოლოდ გამომხატველობითსა და საკომუნიკაციო ფუნქციებს, რაც სწორი არ არის. ენისათვის, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძირითადია დანაწევრებითი ფუნქციაც, რაზედაც არაორაზროვნად მიუთითებენ თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებლები ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი და ფერდინანდ დესოსიური. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ენის დანაწევრებითი ფუნქცია.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, აზროვნების დანაწევრება ცნებად ხორციელდება ბგერების საშუალებით. ერთი ცნება რომ განვასხვაოთ მეორისაგან, საჭიროა ისინი პირველ რიგში ბგერობრივად იყენენ ერთმანეთისაგან განსხვავებული. აზროვნება რომ დაანაწევროს, ბგერა თვითონ უნდა გახდეს დანაწევრებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებდა ცნებათა მეტად დიდი რაოდენობის გამოხატვას. ვივარაუდოთ, რომ ენაში გვაქვს ათიათასი ცნება. დავუშვათ, რომ თითოეული ცნება, როგორიცაა „ქალის“, „კაცის“, „ბავშვის“, „ცხოველის“, „ხის“ და სხვ., გამოხატულია ფონეტიკურად დაუსლელი და ერთგვაროვანი ბგერებით. უხეშად რომ ვთქვათ, თითოეული ამ ცნებისათვის გვაქვს შორისდებულების მსგავსი ბგერითი გამოხატულებანი. მაშინ ადამიანს უნდა შეეძლოს მინიმუმ ათიათასი ასეთი ფონეტიკურად დაუსლელი და ერთგვაროვანი ბგერის წარმოთქმა. მაგრამ ადამიანის სამეტყველო აპარატი იმდენადაა შეზღუდული ფიზიოლოგიურად, რომ ამ აპარატს შეუძლია წარმოთქვას

რამდენიმე ათეული ასეთი ბგერითი სიგნალი, რაც ოდნავადაც არ დააკმაყოფილებდა ადამიანის აზროვნების მოთხოვნილებას და მისი აზროვნება ისეთივე უსუსური იქნებოდა, როგორცაა ცხოველის აზროვნება.

ენა მიმართავს უფრო ეფექტურ საშუალებას; იგი ანაწევრებს ბგერით გამოხატულებებს ცალკეულ ბგერებად ანუ ფონემებად და მათი სხვადასხვა კომბინაციით გამოხატავს სხვადასხვა ცნებას. ასე, მაგალითად, ბგერებით /ს/, /ა/, /ი/ ქართულში ჩვენ გამოვხატავთ რამდენიმე სხვადასხვა ცნებას: სია, იას, ასი, ისა. აღნიშნული ოთხი სიტყვა შედგენილია ერთი და იმავე ფორმებისაგან, რაც საშუალებას იძლევა ფონემათა სასრული რაოდენობით გამოვხატოთ ცნებათა უსასრულო რაოდენობა. ყოველი ენა შედგება ასეთი ბგერების ანუ ფონემებისაგან, რომელთა ზიციხვი თითოეულ ენაში მკაცრად განსაზღვრულია და სხვადასხვა ენაში იგი მერყეობს 10-დან 80-მდე. 10—15 ფონემა გვაქვს ზოგიერთ პოლინეზიურ ენაში, ხოლო 70—80 ფონემა— ზოგ კავკასიურ ენაში.

ამრიგად, აზროვნება დანაწევრებული ხდება ბგერასთან კავშირში, ხოლო ბგერა — აზრთან კავშირში, ე. ი. ბგერა და აზრი ერთმანეთს ანაწევრებენ და ამ ურთიერთდანაწევრების შედეგია ენა. სხვაგვარად, აზრისა და ბგერის ურთიერთდანაწევრების თეორიას ეწოდება აზრისა და ბგერის სინთეზი. სინთეზის ცნება ამ შემთხვევაში დიალექტიკის ცნების სინონიმია და გულისხმობს, რომ სინთეზში შემავალი ელემენტები ურთიერთკავშირის შედეგად წარმოქმნიან ისეთ რაღაცას, რომლის მიღება წარმოუდგენელი იქნებოდა აღნიშნული სინთეზის გარეშე. ანალოგიისათვის გამოგვადგება წყალბადისა და ჟანგბადის სინთეზი ქიმიკაში. ცნობილია, რომ არც წყალბადი და არც ჟანგბადი ცალკე აღებული არ შეიცავს წყლის რაიმე თვისებას, ე. ი. არც ერთი მათგანი არ არის წყალი, მაგრამ მათი სინთეზი წარმოქმნის წყალს. ასევეა ბგერისა და აზრის სინთეზის შემთხვევაშიც. აზრი ბგერისაგან მოწყვეტით ფსიქიკური ბუნებისაა, წარმოდგენაა. ხოლო ბგერა აზრისაგან მოწყვეტით ფიზიკური მოვლენა. ეს იმას ნიშნავს, რომ აზრი და ბგერა ცალ-ცალკე აღებული არ შეიცავს ენის რაიმე თვისებებს და არ წარმოადგენს ენობრივ ფენომენს, მაგრამ მათი სინთეზის შედეგად მიიღება ენობრივი ფაქტი, სიტყვა, რომელიც აღარც ფსიქიკურია და აღარც ფიზიკური.

მაშასადამე, ენობრივი ფაქტი მიიღება ფსიქიკურის (წარმოდგენა) და ფიზიკურის (ბგერა) სინთეზის შედეგად, მათი დიალექტიკური გარდაქმნის შედეგად. წარმოდგენის ცნებად გარდაქმნა არის არა მარტო კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლა, არამედ ფსი-

ქიკური თვისებრიობიდან ენობრივ თვისებრიობაზე გადასვლაც ასევე ბგერის გარდაქმნა ფონემად არ არის ბგერის უბრალო დანაწევრება, იგი ფიზიკურის ენობრივად გარდაქმნაა. ცნება, მართალია, იდეალური ფენომენია, მაგრამ იგი არ არის ფსიქიკური ოდენობა. ასევე ფონემაც მატერიალურია, მაგრამ არა ფიზიკური. ამრიგად, არამატერიალური არ უდრის ფსიქიკურს, ხოლო მატერიალური—ფიზიკურს. არამატერიალური შეიძლება არაფსიქიკურიც იყოს, მატერიალური კი — არაფიზიკური. ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენები ენობრივის სუბსტრატებია, მათ გარეშე არც ენა გვექნებოდა, მაგრამ ენა ფსიქიკურ და ფიზიკურ სტრუქტურებზე არ დაიყვანება. იგი თავისებური სტრუქტურაა, განსხვავებული ფსიქიკური და ფიზიკური სტრუქტურებისაგან.

რა მიმართებაშია ენის დანაწევრებითი ფუნქცია მის საკომუნიკაციო და გამომხატველობით ფუნქციებთან? ადამიანი წარმოადგენს საზოგადოებრივ არსებას, მას მხოლოდ საზოგადოებაში უჩნდება ენის მოთხოვნილება. კიპლინგის¹ მაუგლი ცხოველებთან გაიზარდა და ამიტომ მას არც განვითარებია ადამიანური ენის მსგავსი რამ. მან ცხოველების ენა ისწავლა („ცხოველების ენა“ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, რადგანაც ცხოველებს თვითონ არა აქვთ ენა და მაუგლიც მათგან ვერაფერს ისწავლიდა). ადამიანი რომ სოციალური არსება არ იყოს, მას არც ენა ექნებოდა, რადგანაც ენის მოთხოვნილება არ ექნებოდა. ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში, სადაც უჩნდება ადამიანს კომუნიკაციის (ურთიერთგაგებინების) მოთხოვნილება; ამიტომ ენის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც კომუნიკაციის მოთხოვნილება ჩნდება. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა: სწორედ კომუნიკაციის პროცესში სჭირდება ადამიანს წარმოდგენების სიტყვებად გარდაქმნა და ამ გზით მეორე ინდივიდთან ურთიერთობის დამყარება. ორმა ინდივიდმა ერთმანეთთან კავშირი რომ დაამყაროს, ამისათვის საჭიროა ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ. აღნიშნული სინთეზის უმთავრესი მიზანია არაენობრივი და არაერთგვაროვანი (ფსიქიკური და ფიზიკური) სტრუქტურება: აქციოს ენობრივ და ერთგვაროვან სტრუქტურად. ყველა ქართულად მოლაპარაკე ინდივიდი იყენებს ერთსა და იმავე ენობრივ სის-

* რ. კიპლინგი (1852 — 1936) — ინგლ. მწერალი, „მაუგლი“ მისი რომანის მოქმედი პირი.

ტემას, რომელიც, მიუხედავად მისი ცვლილებებისა სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით, მაინც ინარჩუნებს გარკვეულ ერთგვაროვნობას. ასეთია ყველა ენა. ყველა ენისათვის დამახასიათებელია გარკვეული ვარიანტულობა (იხ. ენა და დიალექტები), მაგრამ ამ ვარიანტულობის მიღმა არსებობს დიდი მსგავსებაც. და თუ ენა რჩება თავისი თავის მსგავსი დიდ ტერიტორიაზე გავრცელების შემთხვევაშიც კი, ეს იმიტომ, რომ მას აქვს საკომუნიკაციო ფუნქცია. კომუნიკაციის მოთხოვნა აიძულებს ერთ ინდივიდს გამოიყენოს ისეთივე ენობრივი სისტემა, როგორსაც იყენებენ მოცემული ენობრივი კოლექტივის სხვა წევრებიც. კომუნიკაციის მიზანია ურთიერთგაგებინება, ხოლო ურთიერთგაგებინება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ორი ინდივიდი იყენებს ერთსა და იმავე ენობრივ სისტემას. ადამიანი სოციალურ არსებად რჩება თავის თავთან განმარტოების შემთხვევაშიც კი. ამიტომ მონოლოგში ვიყენებთ იმავე ენას, რომელსაც დიალოგში მივმართავთ ხოლმე.

განვიხილოთ ახლა გამომხატველობითი ფუნქცია. აზრის დანაწევრება ამავე დროს არის აზრის წარმოქმნაც. ენა რომ არ არსებობდეს, არც აზროვნება იქნებოდა. როდესაც ამბობენ, რომ ენის საშუალებით ადამიანი გამოხატავს თავის აზრებს, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აზრის წარმოქმნა ენისაგან დამოუკიდებლად ხდებოდეს. აზრი რომ გამოეხატოთ, იგი ჭერ სათანადო ენობრივ ყალიბში უნდა მოვაქციოთ. ორივე ამ ფუნქციას ენა ასრულებს. იგი კიდევ ანაწევრებს (აყალიბებს) აზროვნებას და კიდევ გამოხატავს მას. ამდენად, დანაწევრებითი და გამომხატველობითი ფუნქციები არც ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არც დაიყვანება ერთმანეთზე. ამავე დროს ის გარემოება, რომ ენა წარმოადგენს აზრის წარმოქმნელ ორგანოს, არ ნიშნავს ენისა და აზროვნების იგივეობას. ენა და აზროვნება სხვადასხვაა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ აზრის ფორმა და შინაარსი: ფორმა ენობრივია, შინაარსი კი ლოგიკური.

ენა და მეტყველება. ენის, როგორც ყოველგვარი პირობითი სისტემის, დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი ჩვენ არ გვეძლევა უშუალოდ. ენა ჩვენ გვეძლევა ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებათა სახით ანუ, როგორც იტყვიან, ტექსტების სახით. ტექსტი კი, როგორი გრძელიც არ უნდა იყოს იგი, ვერასოდეს ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას ენის შესახებ. მაგრამ ყოველგვარი ტექსტის მიღმა დგას გარკვეული ენა, რომელზე დაყრდნობითაც წარმოქმნილია ეს ტექსტი. ტექსტი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ ენას. ტექსტების რაოდენობა უსასრულოა და ცვლადი. ასე, მაგალითად, ერთსა და იმავე ქართულ ენაზე შექმნილია როგორც

ი. ქავკაეაძის „გლახის ნაამბობი“, ისე აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“..
ენა ამ შემთხვევაში ერთია, ტექსტი კი სხვადასხვა. ენა მუდმივია,
ხოლო ტექსტი—ცვლადი. სისტემას, რომლის საშუალებითაც ხდება
ტექსტების წარმოქმნა, ეწოდება ენა, ხოლო თვითონ ტექსტს—
მეტყველება.

ენა და მეტყველება სხვადასხვა ცნებებია და ერთმანეთს არ უდ-
რიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა ობიექტებია,
რომლებიც სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისს მოითხოვენ. ზოგ-
ჯერ ფიქრობენ, რომ ენისა და მეტყველების შესახებ სხვადასხვა
მეცნიერება უნდა არსებობდეს. მეცნიერებას ენის შესახებ უწოდე-
ბენ ენის ლინგვისტიკას, ხოლო მეცნიერებას მეტყველების შესა-
ხებ — მეტყველების ლინგვისტიკას. მაგრამ ასეთი დაყოფა არ არის
სწორი. მეტყველების ლინგვისტიკას არა აქვს თავისი ობიექტი და
იგი ფაქტობრივ არც არსებობს. მეცნიერება შეიძლება არსებობდეს
მხოლოდ ენის შესახებ და, ამდენად, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ
ენის ლინგვისტიკა. მაგრამ რადგანაც ენა უშუალოდ არ გვეძლევა,
ამიტომ არც შეიძლება მასზე უშუალო დაკვირვება და მისი უშუალო
კვლევა. ენის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ მეტყველებაზე დაყრ-
დნობით. მეტყველების კვლევა არ წარმოადგენს ენათმეცნიერების
მიზანს, მიზანია ენის კვლევა, მაგრამ რადგანაც მისი უშუალო კვლე-
ვა შეუძლებელია, ენათმეცნიერებას უხდება მეტყველება გამოიყე-
ნოს როგორც საშუალება, რათა დაადგინოს მოცემული ენის სის-
ტემა.

ცხოველის „ენა“.. [შემჩნეულია, რომ ცხოველებსაც ადამიანების
მსგავსად აქვთ უნარი ერთმანეთს გადასცენ გარკვეული ინფორმაცია..
ამავე დროს შემჩნეულია ისიც, რომ ზოგიერთი ცხოველი ინფორ-
მაციის გადაცემას აწარმოებს ბგერების საშუალებით. მაიმუნები ან
ფრინველები ბგერითი სიგნალებით აცნობებენ თავის ამხანაგებს
მტრის მოახლოებას. ძალი განასხვავებს სამ სხვადასხვა ბგერით
სიგნალს: ყუფას, წკმუტუნსა და ყმუილს. ცხოველებს აქვ-ი ფსიქი-
კაც და აქვთ უნარი რეაქცია მოახდინონ გარეგამლიზიანებელზე.
ვ. კოლერმა დაამტკიცა, რომ ცხოველს აზროვნებაც აქვს. ამის გამო-
სარკვევად მან ჩაატარა ასეთი ცდა. მაიმუნის გალიაში დაკიდეს ბა-
ნანი ისე, რომ მაიმუნს არ შეეძლო უშუალოდ მისწვდომოდა მას.
გალიაში იდგა ყუთი. თუ მაიმუნი ყუთს მიიტანდა და დადგამდა ბანა-
ნის ქვეშ, მას თავისუფლად შეეძლო შემდგარიყო ყუთზე და ხელში
ჩაეგდო ბანანი. ცდამ აჩვენა, რომ მაიმუნმა ეს ამოცანა გადაჭრა.

მეორე ცდა ასეთი იყო. მაიმუნი ჩაამწყვდიეს გალიაში, რომლი-
დანაც მოჩანდა ბანანი. მაიმუნს არ შეეძლო უშუალოდ მისწვდომო-

და ბანანს, მაგრამ გალიაში იყო ორი მოკლე ჯოხი. ცალ-ცალკე ვერც ერთით ვერ მისწვდებოდა მაიმუნი ბანანს. საჭირო იყო ერთის მეორეში ჩარკობა. მაიმუნმა ეს ამოცანაც გადაჭრა; ერთი ჯოხი მეორეში ჩაარკო და შემდეგ მოწყვიტა ბანანი.

კოელერის ეს ცდები გვიჩვენებს, რომ აზროვნება მაიმუნისთვისაც არის დამახასიათებელი. თუ მაიმუნისათვის დამახასიათებელია აზროვნება, მაშინ მას უნდა ჰქონდეს ენაც, რადგანაც აზროვნება ენის გარეშე არ არსებობს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ აზროვნება ორგვარი სახისაა. არსებობს აზროვნება წარმოდგენებით და აზროვნება ცნებებით. ცნებებით აზროვნება მოითხოვს დანაწევრებულ ბგერასაც, ხოლო წარმოდგენებით აზროვნება არც დანაწევრებულ ბგერას მოითხოვს და არც რაიმე სხვა ფიზიკურ საშუალებას. ესაა ხატებისეული აზროვნება, აზროვნება ხატებით, ფიზიკური რეალიზაციის გარეშე. ცხოველს არა აქვს დანაწევრებული ბგერა და ამიტომ მას არც შეიძლება ჰქონდეს ცნებითი აზროვნება. მას შეუძლია იაზროვნოს მხოლოდ წარმოდგენებით, რაც საკმაოდ ნათლად აჩვენა იმავე კოელერის ცდებმა. ერთ-ერთი მაიმუნი ჩიკა, რომელმაც უკვე კარგად იცოდა ყუთის გამოყენება ბანანის მოსაწყვეტად, უნაყოფოდ ცდილობდა ჰქერზე ჩამოკიდებული ბანანის მოწყვეტას მალა ახტომით. იქვე იდგა ყუთი, მაგრამ ყუთზე იწვა მეორე მაიმუნი. საჭირო იყო მაიმუნის ყუთიდან ჩამოგდება და შემდეგ ყუთის სათანადო დანიშნულებისამებრ გამოყენება, მაგრამ ჩიკამ ეს ამოცანა ვერ გადაჭრა, რადგანაც ყუთი მაიმუნით მისთვის უკვე აღარ იყო ყუთი. მის ცნობიერებაში მან ყუთის წარმოდგენა ვერ გამოიწვია. როდესაც მაიმუნი ჩამოხტა ყუთიდან, ჩიკამ მაშინვე დასტაცა ყუთს ხელი და ბანანი მოწყვიტა.

ამასვე გვიმტკიცებს კოელერის მეორე ცდაც. მისი მაიმუნები ხშირად ერთობოდნენ ყუთებით, რომლებიც ეზოში ეყარა. ერთ დღეს კოელერმა ყუთები ეზოდან მაიმუნების გალიებში შეატანინა. მეორე დღეს, როდესაც მაიმუნები ეზოში გამოვიდნენ, ყუთები იქ აღარ დახვდათ, რამაც მათ გული დასწყვიტა. საჭირო იყო ყუთების გამოტანა გალიებიდან, სადაც მათ მთელი ღამე ეძინათ, მაგრამ მაიმუნებმა ეს ვერ მოახერხეს. ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ ყუთი გალიაში და ყუთი ეზოში მათთვის სხვადასხვა საგანი აღმოჩნდა და სხვადასხვაგვარ წარმოდგენებს დაუკავშირდა.

განხილული ცდები გვიჩვენებს, რომ მაიმუნს არ ჰქონდა ყუთის ცნება, მას გაუჩნდა მხოლოდ ყუთის წარმოდგენა. წარმოდგენა ყო-

ველთვის მოცემულია აქ და ახლა, და ამიტომ ყუთი მაიმუნით და ყუთი უმაიმუნოდ ჩიკასათვის სხვადასხვა საგანი აღმოჩნდა.

ამრიგად, ცხოველისათვის დამახასიათებელი არაა ცნებებით აზროვნება. ცნებითი აზროვნება საკუთრივ ადამიანური თვისებაა, რითაც ადამიანი დაუპირისპირდა ცხოველს და გამოყო თავისი თავი ცხოველთა სამყაროდან. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ცხოველებს არა აქვთ დანაწევრების უნარი და შესაბამისად არც ენა აქვთ. მათ რომ დანაწევრების უნარი ჰქონდეთ, დანაწევრებული ბგერაც ექნებოდათ; სადაც დანაწევრებული ბგერაა, იქ ცნებითი აზროვნებაცაა. ცხოველს არც ერთი აქვს და არც მეორე. ამიტომ მისთვის მხოლოდ ხატოვანი აზროვნებაა დამახასიათებელი. ხატოვანი აზროვნება კი მოკლებულია აბსტრაქციის იმ უნარს, რომელიც ცნებითი აზროვნებისათვის არის დამახასიათებელი. რგი წარმოადგენს აზროვნების პრიმიტიულ სახეს. ადამიანს რომ ცნებითი აზროვნება არ განვითარებოდა, იგი ვერ შეძლებდა ცხოველთა სამყაროსაგან გამოყოფას და იმავე მდგომარეობაში დარჩებოდა, რამდგომარეობაშიც არიან დღეს მაღალგანვითარებული ცხოველები.

ამრიგად, „ცხოველის ენა“ მხოლოდ მეტაფორაა. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ ცხოველისა და ადამიანის ენას შორის განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია და არა თვისებრივი. ცხოველი იყენებს სულ რამდენიმე სიტყვას, ხოლო ადამიანის ლექსიკონი რამდენიმე ათეული ათასი და უფრო მეტი სიტყვისაგან შედგება. ადამიანისა და ცხოველის ენას შორის სხვაობა არ არის მხოლოდ რაოდენობრივი, იგი თვისებრივია. არც ერთ ცხოველს არ შესწევს უნარი წარმოდგენები გარდაქმნას ცნებებად და ამ გზით დაანაწევროს, ერთი მხრივ, აზროვნება და, მეორე მხრივ, ბგერა, ე. ი. მას არა აქვს უნარი ფსიქიკური და ფიზიკური სტრუქტურები გარდაქმნას ენობრივ სტრუქტურად და ამ გზით წარმოქმნას ის ახალი თვისებრიობა, რომელსაც ენა ეწოდება.

ბგერითი და არაბგერითი ენები. არაბგერითი ენებია: დამწერლობა ანუ გრაფიკული ენა, ეესტ-მიმიკის ენა ყრუ-მუნჯებისა, მორზეს ანბანი და სხვ. რა მიმართებაა ბგერითსა და არაბგერით ენებს შორის?

საკომუნიკაციო და გამომხატველობითი ფუნქცია აქვს არაბგერით ენებსაც. დამწერლობით, მაგალითად, ჩვენ ვაწარმოებთ ინფორმაციის გადაცემას შორ მანძილზე, სადაც ბგერითი ენა არ გამოგვადგება. ყრუ-მუნჯები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ ეეს-

ტებითა და მიმიკით, რაც იმის მაჩვენებელია რომ ქესტ-მიმიკის ენა საკომუნიკაციო სისტემაა.

მიუხედავად ასეთი დიდი მსგავსებისა, ბგერითსა და არაბგერითს ენებს შორის მაინც არსებითი ხასიათის განსხვავებაა. დანაწევრებითი ფუნქცია მხოლოდ ბგერით ენას აქვს. ეს სისტემა, რომელიც დანაწევრებული ხდება აზრისა და ბგერის სინთეზის საფუძველზე, თვითვე იმუშავებს თავის ელემენტებს და განსაზღვრავს მათი დანაწევრების წესებს. ბგერითი ენის ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში ვ. ჰუმბოლდტს, როდესაც ამბობდა, ენა ენერგიაა (*énergje*) და არა ერგონიო (*érgon*). ენერგია ნიშნავს აქტივობას, დინამიკას, ხოლო ერგონიო პასივობას, სტატიკას. ენა აქტიური, დინამიკური სისტემაა, რადგანაც იგი ფსიქიკურსა (წარმოდგენებს) და ფიზიკურს (ბგერებს) სტრუქტურებს გარდაქმნის ახალი სახის სტრუქტურად მათი დიალექტიკური კავშირის გზით.

დამწერლობა და ყრუ-მუნჯთა ენა არ წარმოადგენს დინამიკურ სისტემას — ისინი სტატიკური სისტემებია. დამწერლობა და ქესტ-მიმიკის ენა ერგონია და არა ენერგია, რადგანაც არც ერთ მათგანს არა აქვს დანაწევრებითი ფუნქცია. დამწერლობა ბგერითი ენისაგან სესხულობს აზრებს უკვე დანაწევრებული, მზამზარეული სახით, ამიტომ მას აღარ სჭირდება მათი ხელახალი დანაწევრება და არც აქვს ამისი შესაძლებლობა. მაშასადამე, დამწერლობას შინაარსის პლანი ბგერითი ენისა აქვს; განსხვავება გვაქვს მხოლოდ გამობატულების პლანში, რომელიც დამწერლობას საკუთარი აქვს და რომელიც ქმნის კიდევ განსხვავებას ბგერითს ენასა და დამწერლობას შორის. მაგრამ გრაფიკული ენის გამობატულების პლანი იქმნება ბგერითი ენის გამობატულების პლანის მოდელის მიხედვით. ამიტომ დამწერლობისათვის ყოველთვის ამოსავალია ბგერითი ენის ფონოლოგიური სისტემა. დამწერლობის როლი მდგომარეობს არა დანაწევრების ახალი წესების შექმნაში, არამედ მის გარეშე დანაწევრებული ბგერებისათვის (ფონემებისათვის) გრაფიკული ნიშნების შექმნაში. დამწერლობის საფუძველია უკვე დანაწევრებული ერთეულები (ფონემები), რომელნიც გრაფიკულ ენაში გარდაისახებიან სათანადო ასოებად.

ამრიგად, დამწერლობას თავისთავად არა აქვს უნარი არც შინაარსის და არც გამობატულების პლანის დანაწევრებისა. იგი მათ დანაწევრებული სახით ღებულობს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ყრუ-მუნჯების ენაშიც. ამიტომაც, რომ ყველა არაბგერითი ენა დაიყვანება ბგერითს ენაზე. ბგერითი ენა წარმოადგენს საფუძველს ყველა სხვა ენისათვის, რომელნიც ბგერითი ენის სუროგატებია მხოლოდ.

ენა როგორც ნიშანთა სისტემა. საგანი, მოვლენა, მოქმედება წარმოადგენს აღსანიშნს; საგნის (მოვლენის, მოქმედების) შესახებ ცნება არის გამოსახატავი, ხოლო ფონემათა თანმიმდევრობა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ ცნებას — გამომხატველი. გამოსახატავისა და გამომხატველის ერთობლიობა ქმნის ნიშანს. მაშასადამე, სიტყვა არის ნიშანი საგნისა (მოვლენისა, მოქმედებისა), ხოლო თვითონ საგანი (მოვლენა, მოქმედება) — აღსანიშნი.

რა მიმართებაა ნიშანსა და საგანს შორის? ეს საკითხი დაისვა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში და ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. ერთი თეორიის მიხედვით საგნებს სახელები ეძლევათ მათი ბუნების მიხედვით. ამ თეორიას ეწოდება *physei* ანუ ბუნებითი; მისი წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ საგანს სახელი ეძლევა იმის მიხედვით, თუ როგორია მისი ბუნება. ანტიკურ ხანაშივე ჩამოყალიბდა მეორე თეორიაც, რომელსაც ეწოდება *thēsei* ანუ შეთანხმებითი. ამ თეორიის მიხედვით საგნებს სახელები ეძლევათ არა მათი ბუნების გათვალისწინებით, არამედ ჩვენი შეთანხმების მიხედვით. საგნებს რომ სახელები ეძლეოდეს მათი ბუნების მიხედვით, მაშინ რატომაა, რომ ერთი და იმავე საგნის აღსანიშნავად სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი გვაქვს. რატომაა, მაგალითად, რომ ნივთიერებას, რომელსაც ქიმიკოსები H_2O ფორმულით აღნიშნავენ, ქართულად ეწოდება „წყალი“, რუსულად вода, გერმანულად Wasser, ინგლის. water, ფრანგ. l'eau, ლათ. aqua, სპარს. آب და სხვ: თუ სახელი საგანს ეძლევა მისი ბუნების მიხედვით, მაშინ ერთი და იმავე საგნის აღსანიშნავად ყველა ენაში ერთი და იგივე ნიშანი უნდა გვქონდეს, რადგანაც საგნის ბუნება ერთია. ამიტომ ასკენიდნენ *thēsei*-ს წარმომადგენლები, რომ საგანს სახელი ეძლევა არა მისი ბუნების მიხედვით, არამედ ჩვენი შეთანხმების მიხედვით.

მაგრამ პირველი თეორიის მომხრეებს ამ დებულებაზე ასეთი საწინააღმდეგო არგუმენტი ჰქონდათ. თუ საგანს სახელი ეძლევა ჩვენი შეთანხმების მიხედვით, მაშინ რატომ არ არის შესაძლებელი სახელთა ნებისმიერი ცვლა.

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ფერდინანდ დე სოსიური; სოსიურის მიხედვით სიტყვა წარმოადგენს საგნის პირობით ნიშანს, ე. ი. კავშირი აღსანიშნა და ნიშანს შორის პირობითია (შეთანხმებითია). საგანს სახელი ეძლევა არა მისი ბუნების მიხედვით, არამედ ჩვენი შეთანხმების მიხედვით. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ არის შესაძლებელი საგანთა სახელების ნებისმიერი შეცვლა. სოსიური მიუთითებს

ოთხ გარემოებაზე. რომლებიც ხელს უშლიან ამ შესაძლებლობის განხორციელებას:

ა) ნიშნის ნებისმიერობა. რადგანაც კავშირი აღსანიშნავსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია და ნებისმიერი, ამიტომ არ დგას საკითხი რაციონალურობისა. სიტყვა „წყალი“ ისევე კარგად აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო ნივთიერებას, როგორც აღნიშნავდა მას რომელიმე სხვა სიტყვა, ვთქვათ, „ღვინო“; ამიტომ აზრი არა აქვს ნიშნების შეცვლას. შეცვლა ხომ იმ შემთხვევაშია რაციონალური თუ უფრო უარესი იცვლება უკეთესით. ეს საკითხი ნიშნების მიმართ არ დგას და ამიტომ ნიშანთა ნებისმიერ ცვლასაც აზრი არ აქვს;

ბ) ნიშანთა სიმრავლე. ყოველ ენაში ნიშანთა რაოდენობა რამდენიმე ათეული ათასია და ამიტომ, თუ ნიშნებს ნებისმიერად შევცვლიდით, ეს გამოიწვევდა ქაოსს და გააძნელებდა კომუნიკაციას;

გ) ენობრივი სისტემის სირთულე. ენა მეტად რთული სისტემაა. ამ სისტემაში გარკვევა მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ და მათ აქვთ საშუალება შეგნებული ზეგავლენა მოახდინონ ენაზე. მაგრამ ამგვარ ცდებს. როგორც ეს პრაქტიკიდან არის ცნობილი, წარმატება არასოდეს არ ჰქონია;

დ) ენობრივი კოლექტივის წინააღმდეგობა ყოველგვარი სიახლის მიმართ ენაში. ენა წარმოადგენს თითოეულისა და ყველას კუთვნილებას მოცემულ ენობრივ კოლექტივში და ამიტომ ყოველგვარი ინდივიდუალური გადახვევა დადგენილი ენობრივი ნორმებიდან ენობრივი კოლექტივის მხრივ მხოლოდ წინააღმდეგობას იწვევს. ენობრივი კოლექტივი კონსერვატული ძალაა, რომელიც აიძულებს ცალკეულ ინდივიდებს ილაპარაკონ ისე, როგორც ლაპარაკობს ყველა დანარჩენი. ამ თვალსაზრისით ენა არსებითად განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან. ენაში შეუძლებელია რევოლუციების მოხდენა.

ენა ნიშანთა სისტემაა, მაგრამ შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ სიტყვათა რაოდენობა ამა თუ იმ ენაში ზუსტად შეესატყვისება საგანთა ასეთსავე რაოდენობას. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად აღნიშნავს, ანაწილებს და ყოფს საგანთა სინამდვილეს და არც ერთი ენა არ მიჰყვება საყოველთაოდ მოცემულ სქემას. ყოველი ენა წარმოადგენს საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას და სამართაოს იმდენი კლასიფიკაცია გვაქვს, რამდენი ენაცაა. ამიტომ სიტყვის ადგილი მოცემულ ენობრივ სისტემაში, გასაგებია რა თვისონ საგნიდან ამოსვლით, არამედ იმ მიმართულებით, რომლებიც

2. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები

მოცემულ ენაში არსებობს. ფრანგულ სიტყვას *le moulin* რუსულში შეესატყვისება როგორც *молан*, ისე *моланина*; ამიტომ *le moulin* აღნიშნავს არა მხოლოდ იმას (ვერძს, ცხვარს), რასაც რუსული *молан*, არამედ იმასაც, რასაც აღნიშნავს *моланина*, სახელდობრ „ცხვრის ხორცს“. ქართულში „ვინ“ აღნიშნავს „ადამიანს“, ხოლო „რა“ ცხოველსა და უსულო საგნებს. რუსულში კი *кто* აღნიშნავს ადამიანსა და ცხოველს, ე. ი. ყველა სულიერს, ხოლო *что* — ყველა უსულოს. ბუნებრივია, რომ ფრანგული *le moulin* სიტყვის მოცულობა არ არის იგივე, რაც არის *молан* სიტყვისა რუსულში. თუ საგნიდან ამოვალთ, ისინი სხვადასხვა სიტყვებით უნდა აღინიშნებოდნენ, რადგანაც ცხვარი და ცხვრის ხორცი სხვადასხვა საგანია, მაგრამ ფრანგული მათ მაინც ერთი სიტყვით აღნიშნავს. რომელიმე ერთი სიტყვის მოცულობა ერთ ენაში არ ემთხვევა ზუსტად მისი მსგავსი სიტყვის მოცულობას მეორე ენაში. ეს დებულება რომ უფრო ნათელი გახდეს, შევუპირისპიროთ ერთმანეთს ძმისა და დის აღმნიშვნელი სიტყვები ქართულში, უნგრულსა და მალაიურში:

უნგრული	ქართული	მალაიური
bätya	ძ მ ა	sudara
öccs		
nene	დ ა	
hüg		

უნგრ. *bätya* უდრის არა ქართ. „ძმას“, არამედ „უფროს ძმას“, *öccs* — „უმცროს ძმას“. *nene* უდრის არა „დას“, არამედ „უფროს დას“, ხოლო *hüg* — „უმცროს დას“. ცალკეული სიტყვები ძმისა და დის ცნებების გამოსახატავად უნგრულში არ არსებობს. ქართულში, პირიქით, არ არსებობს ცალკეული სიტყვები უფროსი ან უმცროსი დისა და ძმის ცნებების გამოსახატავად, მაგრამ გვაქვს საკუთრივ დისა და ძმის ცნებების გამომხატველი სიტყვები. მალაიურში არ არსებობს ცალკე სიტყვა არც ერთი ამ ცნების აღსანიშნავად. მალაიური *sudara* აღნიშნავს არა ძმას ან დას, არამედ ერთი მშობლების შვილებს, ისე რომ ყურადღებას არ აქცევს, ეს შვილი ქალია თუ ვაჟი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნგრულს ან მალაიურს არ შეუძლია გამოხატოს დისა და ძმის ცნებები. ქართულში ჩვენ არა გვაქვს ცალკე „უფროსი ძმის“ აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ, როდესაც

დაგვიკირდება ამ ცნების გამოხატვა, ადვილად ვწყვეტთ ამ ამოცანას „უფროსი“ და „ძმა“ სიტყვების შეერთებით. ასევე იქცევა ყველა ენა და ამიტომ, როგორც არ უნდა იყოს ენა, მისი საშუალებით მაინც შესაძლებელია გამოიხატოს ყოველივე და ყველაფერი.

მაგრამ ის გარემოება, რომ ყველა ენას შეუძლია გამოიხატოს ყველაფერი, ვერ არღვევს იმ დებულებას, რომ ერთი რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა აბსოლუტურად არ ემთხვევა მისი ანალოგიური სიტყვის მნიშვნელობას მეორე ენაში. ფრანგ. le moulin და რუს. мельница არ ემთხვევა ერთმანეთს მნიშვნელობის მიხედვით, რადგანაც le moulin სიტყვის მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე мельница სიტყვისა. ასევე არის ყველა სიტყვა. რუს. тетя სიტყვის მოცულობა არ ემთხვევა ქართულში არც ბიოლა, არც მამიდა და არც დეიდა სიტყვის მოცულობებს. ასევე არ ემთხვევა ქართ. „თვალი“ სიტყვის მოცულობა რუს. глаз სიტყვის მოცულობას, რადგანაც „თვალი“ ქართულში არ აღნიშნავს მხოლოდ მხედველობის ორგანოს (შდრ. ურმის თვალი).

ენა რომ საგანთა უბრალო ჩამოთვლა იყოს და სიტყვების რაოდენობა ზუსტად შეესიტყვებოდეს საგანთა რაოდენობას, მაშინ წინასწარ შეიძლება გვეთქვა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამა თუ იმ სიტყვას ამა თუ იმ ენაში, ე. ი. დაეადგენდით საგანთა კლასებს და შემდეგ ამ კლასების მიხედვით განვსაზღვრავდით სიტყვათა მნიშვნელობებს სხვადასხვა ენაში. დაეუშვათ, რომ ცხვარი და ცხვრის ხორცი ორი სხვადასხვა კლასია საგნებისა და ამიტომ ყველა ენაში ეს ორი კლასი ორი სხვადასხვა სიტყვით უნდა აღინიშნოს. რუსულში ჩვენ ადვილად მოვძებნიდით ამ ორი კლასის აღმნიშვნელ ორ სხვადასხვა სიტყვას, მაგრამ ფრანგულში მათ ამაოდ დავუწყებდით ძებნას, რადგანაც აქ ამ ორი კლასის აღსანიშნავად ერთი სიტყვა არსებობს. ასევე ამაო იქნებოდა ჩვენი ცდა მაღაიურში გვეპოვნა ორი სხვადასხვა სიტყვა დისა და ძმის აღსანიშნავად. ასევე ვერ ვიპოვოდით ერთ სიტყვას უნგრულში, რომელიც აღნიშნავდა არა უფროს ან უმცროს ძმას, არამედ ძმას. ამავე დროს ეს არ იქნებოდა თვითონ საგანთა სინამდვილიდან ამოსვლა. ჩვენ ვიცით, რომ ცხვრისა და ცხვრის ხორცის აღსანიშნავად რუსულში ორი სიტყვა არსებობს, ამიტომ მათ ვეძებთ სხვა ენაშიც და კერძოდ ფრანგულშიც. ასევე ვიცით ჩვენ, რომ ქართულში ორი სხვადასხვა სიტყვაა დისა და ძმის აღსანიშნავად და ამიტომ ზუსტად ასეთსავე სიტყვებს ვეძებთ სხვა ენებშიც. ამ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია სწორად საგანთა ის კლასიფიკაცია, რომელსაც ახდენს ქართული (რადგანაც ქართული ჩვენთვის მშობლიური ენაა), მაგრამ მხედველობიდან გვრჩება ის

გარემოება, რომ სხვა ენა საგანთა სხვაგვარ კლასიფიკაციას ახდენს და რომ ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდისათვის სწორია ის კლასიფიკაცია, რომელსაც მისი ენა იძლევა. გერმანელს მიაჩნია, რომ ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს ენის როგორც ფიზიოლოგიური ორგანოსა და ენის როგორც ურთიერთობის იარაღის აღმნიშვნელი სიტყვები, რადგანაც გერმანულში ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია (შდრ. die Sprache „ენა როგორც ურთიერთობის იარაღი, პეტყველება“ და die Zunge „ენა როგორც ორგანო“). მაგრამ ქართულს ეს განსხვავება არ მიაჩნია აუცილებლად და ამიტომ ქართულში ორივე ეს საგანი ერთი სიტყვით „ენა“ აღინიშნება. აღამიანს: ლოკურად ეჩვენება მხოლოდ ის ენა, რომელიც მისთვის მშობლიურია და რომელსაც იგი კარგად ფლობს.

საიდან უნდა გავიგოთ, თუ სამყაროს როგორ კლასიფიკაციას გვაწვდის ესა თუ ის ენა. თუ საგნებიდან ამოვალთ, ამას ვერ გავარკვევთ, რადგანაც საგანთა სინამდვილე ერთია, ხოლო მათი ენობრივი აღნიშვნა სხვადასხვა. რაკი აღნიშვნაა სხვადასხვა, ამიტომ ისევე აღმნიშვნელებიდან უნდა ამოვიდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობის კვლევის დროს უნდა ამოვიდეთ თვითონ ნიშნებიდან და მოცემულ ენაში ვიკვლიოთ მათი ურთიერთმიმართებანი. მაღალიურში რომ დისა და ძმის ცნებები განსხვავებული არ არის, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იქიდან, რომ ეს ორი ცნება იქ აღნიშნულია არა ორი სიტყვით, არამედ ერთი სიტყვით.

უნგრულს ოთხი სიტყვა აქვს ქართული „და“ და „ძმა“ სიტყვების შესატყვისად, და ამიტომ ჩვენ ვასკენით, რომ უნგრელი განასხვავებს ოთხ სხვადასხვა ცნებას. ფრანგს ერთი სიტყვა აქვს ცხერისა და ცხერის ხორცის აღსანიშნავად და ამიტომ ორივე ეს ცნება ერთი სიტყვით გამოიხატება. ამიტომ მნიშვნელობის კვლევისას ამოსავალი უნდა იყოს არა საგანი, არამედ თვითონ ნიშანი, აღმნიშვნელი მხოლოდ აღმნიშვნელიდან ამოსვლით შეიძლება გავარკვიოთ, რომ მაღალიურში sudarǎ სიტყვის სემანტიკური მოცულობა ემთხვევა ქართულის „და“ და „ძმა“ სიტყვების სემანტიკური მოცულობების ჯამს (იხ. სქემა) და ამიტომ sudarǎ სიტყვამ მაღალიურში ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიხატოს „ძმა“, ხოლო მეორეში — „და“, ისევე როგორც ფრანგ. le monlon ერთ შემთხვევაში გამოიხატავს „ცხვარს“, ხოლო მეორეში „ცხერის ხორცს“. სიტყვის მნიშვნელობა, რომ გავიგოთ, უნდა ვიკოდეთ, თუ როგორ მიმართებებს ამყარებს იგი სხვა სიტყვებთან მოცემულ ენაში. სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მიმართებებია სიტყვებს შორის და ამიტომ ერთი ენის სემანტიკური სისტემა არ ემთხვევა სხვა რომელიმე ენის სემანტიკურ

სისტემას და ამიტომ არ შეიძლება ვიკვლიოთ სიტყვის მნიშვნელობა საერთოდ. შეიძლება ვიკვლიოთ მხოლოდ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა გარკვეულ ენაში, ე. ი. უნდა ვიკვლიოთ მის აღმნიშვნელთან მიმართებაში, რადგანაც სიტყვის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიმართებებს ამყარებს გარკვეული ნიშანი სხვა ნიშნებთან მოცემულ ენაში.

ენა და დიალექტი. ენა იცვლება არა მხოლოდ დროში (ხანგრძლივობაში), არამედ სივრცეშიც. ამავე დროს სივრცე (გარემო) და დრო ერთმანეთს გულისხმობს. თუ ერთი მათგანი აკლია, ცვლილებასთანაც არ გვექნება საქმე. დაუშვათ, რომ ვინმე, რომინზონ კრუზოს მსგავსად, ცხოვრობს დაუსახლებელ კუნძულზე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. დრო (ხანგრძლივობა) ამ შემთხვევაში ვერ მოახდენს გავლენას აღნიშნული ადამიანის ენაზე და ვერ შეცვლის მას. ვერ შეცვლის იმიტომ, რომ დროის ფაქტორი გარემოს გარეშე არ მოქმედებს. ენის გარემოს ქმნის მოლაპარაკე მასა და ამიტომაც ენა იცვლება დროში მხოლოდ მაშინ, თუ არის მოლაპარაკე მასაც. იზოლირებული ადამიანის ენა შეუძლებელია საგრძნობლად შეიცვალოს. თავის მხრივ, ვერც სივრცე ახდენს გავლენას ენაზე დროის გარეშე. ქართული ან ნებისმიერი სხვა რომელიმე ენა შეუძლებელია საგრძნობლად შეიცვალოს მცირე დროში. ენის ცვლილება რომ გვექონდეს, ამისათვის ორივე ფაქტორი უნდა მოქმედებდეს.

ენის ცვლილება შეიძლება გამოიხატებოდეს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდების მეტყველებაში, განსხვავების გაზრდაში, რის შედეგადაც ხდება დიალექტების წარმოქმნა (ბერძნ. *διαλέκτις* თქმა). ამ პროცესს ეწოდება დიფერენციაციის პროცესი. ერთ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდების მეტყველებაში როდესაც თავს იჩენს განსხვავებები კონტაქტების მოშლის გამო, საქმე გვაქვს დიფერენციაციის პროცესთან. განსხვავებები შეიძლება იმდენად გაიზარდოს, რომ ერთი ენის ორი დიალექტიდან ორი სხვადასხვა ენა წარმოიშვას.

არც ერთი ენა არ წარმოადგენს ერთგვაროვან მასას. ენა, როგორც მცირე ტერიტორიაზეც არ უნდა იყოს იგი გავრცელებული, ყოველთვის შეიცავს განსხვავებულ თქმებს. განსხვავება თავს იჩენს უკვე ერთ სახლში მცხოვრებ ადამიანებს შორისაც. ახალი თაობა ისე არ მეტყველებს, როგორც ძველი, ქალების მეტყველება განსხვავდება მამაკაცების მეტყველებისაგან და ე. წ. გარეგანი პირობების ცვლასთან ერთად იცვლება ადამიანის წარმოთქმის გვარობაც. ენა რომ ერთგვაროვანი მასა არაა, ეს თვალსაჩინო ფაქტია, მაგრამ ძნე-

ლია ამ ფაქტის სათანადო ლოგიკური კვალიფიკაცია. ეს სიძნელე კი შემდეგში მდგომარეობს.

არ არსებობს საზომი იმის გასარკვევად, თუ სად მთავრდება ენა და სად იწყება დიალექტი. ასეთ საზომად შეიძლება გამოგვადგეს ურთიერთგაგებინების კრიტერიუმი, მაგრამ ეს კრიტერიუმიც არ არის მთლად სანდო. თითქოს შეუძლებელია, რომ ორ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ორმა ადამიანმა ერთმანეთს თავისუფლად გაუგოს, ხოლო ერთი ენის ორ დიალექტზე მოლაპარაკებმა — ვერა. ჩეხური და სლოვაკური სხვადასხვა ენებად ითვლება, თუმცა ჩეხი და სლოვაკი ერთმანეთს კარგად უგებენ, როდესაც პირველი ჩეხურად ლაპარაკობს, მეორე კი სლოვაკურად. ინგილოური და აჭარული ქართული ენის ორი სხვადასხვა დიალექტია, მაგრამ ინგილოს და აჭარელს, თუ ისინი საკუთარ დიალექტებზე ილაპარაკებენ, ერთმანეთის გაგება გაუჭირდებათ. ამიტომ ურთიერთგაგებინების კრიტერიუმი ენასა და დიალექტს შორის განსხვავების დადგენისათვის ვერ იქნება ზუსტი საზომი. მაგრამ როგორი მერყევიც არ უნდა იყოს იგი, ენათმეცნიერება მაინც იძულებულია ამ კრიტერიუმს მიმართოს სხვა კრიტერიუმის უქონლობის გამო. თუ ორი ინდივიდი ერთმანეთს კარგად გაუგებს, მიუხედავად განსხვავებებისა, მაშინ საქმე გვაქვს ერთი ენის ორ დიალექტთან. ამიტომ კახური და იმერული ქართული ენის ორი სხვადასხვა დიალექტია. ხოლო თუ განსხვავება იმდენად დიდია, რომ ორი ინდივიდი ერთმანეთს ვერ გაუგებს ხოლმე, მაშინ ორ სხვადასხვა ენასთან გვაქვს საქმე. ქართული და მეგრული იმდენად არის დაცილებული ერთმანეთისაგან, რომ თუ ან მეგრელმა ქართული არ იცის ან ქართველმა მეგრული, მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ. ამიტომაც, რომ ქართული და მეგრული ორი სხვადასხვა ენაა.

დიალექტი ყველაზე უფრო მსხვილი ერთეულია ენაში. თავის მხრივ არც დიალექტი წარმოადგენს ერთგვაროვან ერთეულს. დიალექტში გამოიყოფა კილოკავები, რომლებიც დიალექტზე უფრო მკირე ერთეულებია, არც კილოკავია ერთგვაროვანი, რადგანაც მასში გამოიყოფა თქმები, ხოლო თქმებში — ქცევები. ქცევაზე უფრო მკირე და საერთოდაც უმკირესი ერთეულია ი დ ი ო ლ ე ქ ტ ი. იდიოლექტს უწოდებენ ერთი ინდივიდის მეტყველებას გარკვეული მანერით. არც იდიოლექტი არის ერთგვაროვანი, მაგრამ ენათმეცნიერებას ნაკლებად აინტერესებს ის წვრილმანი სხვაობანი, რომლებიც თავს იჩენენ ერთი ინდივიდის მეტყველებაში სხვადასხვა მანერით ლაპარაკის დროს. თუ ზოგადი ენათმეცნიერების მიზან-

ნია მსოფლიოში არსებული ყველა ენისა და დიალექტის აღწერა და მათი ისტორიის შესწავლა, მაშინ საჭიროა გონივრული თვითშეზღუდვა. შეუძლებელია ენათმეცნიერებამ შეისწავლოს ყველა იდიოლექტი, რომელიც კი არსებობს დღეს ან იარსებებს მომავალში, ანდა ყოფილა წარსულში. ამიტომ ენათმეცნიერება ზღუდავს თავის ობიექტს გარკვეული ფარგლებით და პირველ რიგში სწავლობს ენებსა და დიალექტებს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მიმართავს კილოკავების, თქმების, ქცევებისა და იდიოლექტების შესწავლასაც კი.

დიფერენციაციის პროცესის საფუძველს წარმოადგენს კონტაქტების მოშლა ან შესუსტება ერთი ერთობლივი კოლექტივის წევრებს შორის. კონტაქტების შემცირება იწვევს ახალი დიალექტური თავისებურებების გაჩენას და განსაზღვრავს ახალი დიალექტების წარმოქმნას. კონტაქტების მოშლა ხდება ჩვეულებრივ. იმ შემთხვევაში, როდესაც ენა დიდ ტერიტორიაზე გაიშლება ხოლმე, მაგრამ დიალექტების რაოდენობა ტერიტორიის გაზრდასთან ერთად არ იზრდება. ასე, მაგალითად, რუსული გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული, ვიდრე ქართული, მაგრამ ქართულში უფრო მეტია დიალექტობრივი განსხვავება, ვიდრე რუსულში. ქართულ ენას თორმეტამდე დიალექტი აქვს. ეს დიალექტებია: ქართლური მესხურ-ჯავახურთან ერთად, კახური, მთიულური, მოხეური, თუშური, ფშაური, ხევსურული, იმერული, რაჭული და ლეჩხუმური, გურული და აჭარული. ყველა ეს დიალექტი საქართველოს ტერიტორიაზეა. საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოდგენილია ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ), იმერხეული (თურქეთი), ფერეიდნული (ირანი). რუსულს კი მხოლოდ სამი დიალექტი აქვს: ჩრდილოური, შუარუსული და სამხრული.

რატომაა, რომ რუსულს, მიუხედავად მისი ანეთ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებისა, უფრო ნაკლები დიალექტები აქვს, ვიდრე ქართულს? ამის მიზეზი ისევ კონტაქტების სიხშირეში უნდა ვეძებოთ. ქართული ენის დიალექტები ჩამოყალიბდა ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთთან მეტად სუსტ ურთიერთობაში იყვნენ პოლიტიკურად, ეკონომიურად და სხვ.. რუსული ენა კი აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელდა საკმაოდ გვიან, როდესაც ფეოდალური დაქსაქსულობა და კუთხური კარჩაკეტილობა უკვე წარსულს კბარდებოდა. ამიტომ ქართულში დიალექტური განსხვავებანი უფრო დიდია, ვიდრე რუსულში.

დიფერენციაციის პროცესს უპირისპირდება ინტეგრაციის პრო-

ცესი, რომელიც დიალექტობრივი სხვაობების მოშლასა და სწავრო-
ნაციონალური ენის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. ინტეგრაციის
საფუძველს წარმოადგენს კონტაქტების გაძლიერება. რაც უფრო
მეტია კონტაქტზე. მით უფრო მეტია ინტეგრაციის ხარისხიც.

ამრიგად, დიფერენციაციის პროცესი ხელს უწყობს დიალექტების
წარმოქმნას, ხოლო ინტეგრაციის პროცესი—დიალექტობრივი სხვაო-
ბების წაშლას. დიფერენციაციის პროცესი ენას აძლევს ჰეტეროგე-
ნულ (სხვადასხვაგვაროვან) ხასიათს, ხოლო ინტეგრაციის პროცე-
სი — ჰომოგენურ (ერთგვაროვან) ხასიათს. ეს ორი პროცესი ერთ-
მანეთს აწონასწორებს.

დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები მოქმედებენ ენა-
ში ყოველთვის და ყველგან. ისინი დამახასიათებელი იყვნენ ენათა
განვითარების ყველაზე ადრეული ეტაპებისათვისაც. მაგრამ დროის
სხვადასხვა მონაკვეთში შესაძლებელია სხვადასხვა იყოს მათი შეფარ-
დება. თუ ენაში ჰარბობს დიფერენციაციის პროცესი, მაშინ ენა ჰე-
ტეროგენული ხდება და წარმოიქმნება. ახალ-ახალი დიალექტები და
ენები, ხოლო თუ ჰარბობს ინტეგრაციის პროცესი, მაშინ დიალექ-
ტობრივი სხვაობები იშლება და ენა თანდათან ერთგვაროვანი ხდება.
ფეოდალური კარჩაკეტილობის დროს ჰარბობდა დიფერენციაციის
პროცესი. კაპიტალისტური და სოციალისტური წყობილების პირო-
ბებში კი ინტეგრაციის პროცესი ჰარბობს. ამიტომ დღეს ჩვენ დია-
ლექტობრივი სხვაობების წაშლის მოწმენი უფრო ვართ, ვიდრე მათი
გაზრდასა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ახალი დი-
ალექტები უკვე აღარ ჩნდება. ახალი დიალექტების წარმოქმნა ხდე-
ბოდა ყოველთვის და ხდება ახლაც, მაგრამ დღეისათვის დიფერენ-
ციაციის პროცესს ინტეგრაციის პროცესი სჰარბობს, რასაც ხელს
უწყობს ჰკოლა, პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვ..

დიალექტოლოგიის მეთოდები. დიალექტების კვლევა ყოველთ-
ვის დიდი სიძნელეების წინაშე აყენებდა მკვლევარებს. დიალექტე-
ბის კვლევის სპეციფიკურმა ხასიათმა მიგვიყვანა დიალექტოლოგი-
ისა და ენათმეცნიერების ერთგვარ დაპირისპირებამდე. რა არის ეს
სპეციფიკა? ენათმეცნიერება ენას განიხილავს როგორც ჰომოგენურ
მასას, ავლენს ენის გარკვეულ სტრუქტურას და სწავლობს მის ის-
ტორიას. ამ შემთხვევაში საორიენტაციოა სალიტერატურო ენა, რო-
მელიც თავის კონსერვატიული ხასიათის გამო უფრო ჰომოგენურია.
სალიტერატურო ენის არარსებობის შემთხვევაში ენის რომელიმე
ერთ დიალექტს ვღებენ ეტალონად, ხოლო სხვა დიალექტებს
განიხილავენ როგორც აღნიშნული დიალექტ-ეტალონის მოდიფიკა-
ციებს. არსებითი ხასიათისაა ამ შემთხვევაში კვლევის მიზანი. ტრა-

დიციული ენათმეცნიერება სწავლობდა ენებს მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, რამაც გავლენა მოახდინა დიალექტოლოგიაზეც. ტრადიციული დიალექტოლოგია იხევე ისტორიული იყო, როგორც ენათმეცნიერება. ამიტომ დიალექტ-ეტალონის შერჩევა ტრადიციულ დიალექტოლოგიაში, სალიტერატურო ენის არარსებობის შემთხვევაში, ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რა არქაულ თვისებებს ავლენს ესა თუ ის დიალექტი. დიალექტ-ეტალონად მიიჩნეოდა ისეთი დიალექტი, რომელიც უფრო მეტი არქაული თვისების მატარებელი იყო, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო ამ დიალექტიდან სხვა დიალექტების გამოყვანა ენობრივი მოვლენების ცვლილებათა გათვალისწინების გზით.

თანამედროვე ენათმეცნიერებამ ცხადყო, რომ ამგვარი ისტორიზმი ყალბი ისტორიზმია, რომ ისტორიული კვლევა სინქრონიულ კვლევას უნდა ემყარებოდეს. საჭიროა ჭერ თვითონ სისტემა შევისწავლოთ და მერმე ვიკვლიოთ მისი ცვლილებები. ამ გარემოებამ არსებითად შეცვალა დიალექტოლოგია და მის წინაშე დასვა ისეთი პრობლემები, რომელთაც ტრადიციული დიალექტოლოგია ყურადღებას არ აქცევდა. რადგანაც წინა პლანზე სისტემის შესწავლის საკითხი დადგა, თავისთავად დაისვა კითხვა: „როგორ უნდა შევისწავლოთ დიალექტები ამ თვალსაზრისით?“ დიალექტები ხომ ერთმანეთისაგან არც ისე დაცილებული არიან, რომ ცალ-ცალკე განვიხილოთ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და არც ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ისინი ერთ სისტემად განვიხილოთ. დიალექტები ურთიერთმსგავსი სისტემებია, მაგრამ არა ერთმანეთის იდენტური. მსგავსი სისტემის კვლევა კი თავისებურ მეთოდოლოგიას მოითხოვს. საკმარისი არ არის ამ შემთხვევაში განსხვავებების უბრალო აღრიცხვა, ჩვენება იმისა, რომ მოცემულ A დიალექტში დადასტურებული ზოგიერთი მოვლენა არ გვხვდება B დიალექტში. რა თქმა უნდა, დიალექტების ამგვარი შესწავლაც საჭიროა, მაგრამ კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელია ყოველგვარი დიალექტობრივი თავისებურების განხილვა გარკვეული სტრუქტურის შიგნით. იმის ჩვენება, თუ რა სახის მიმართებებთან გვაქვს საქმე მოცემულ დიალექტში. დიალექტოლოგიას, რომელიც მიმართებების საკითხს აყენებს წინა პლანზე, ტრადიციული დიალექტოლოგიისაგან განსხვავებით ეწოდება სტრუქტურული.

სტრუქტურული დიალექტოლოგია ჭერჭერობით თავის პირველ ნაბიჯებს დგამს და ამიტომ ყველაფერი ჭერ კიდევ ნათელი არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიალექტების შესწავლა სტრუქტურული თვალსაზრისით მაინც წარმატებით მიმდინარეობს. დამუშავდა გარკ-

ვეული მეთოდიც. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია დიასისტემის მეთოდი. მოკლედ ამ მეთოდის არსი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ. თუ A დიალექტში გვაქვს S_1 სისტემა a, b, c ელემენტებით, ხოლო B დიალექტში S_2 სისტემა a, b, d ელემენტებით, მაშინ ამ ორი სისტემისაგან შედგენილი დიასისტემა იქნება ისეთი სისტემა, რომელშიც შევა არა მხოლოდ იდენტური ელემენტები, არამედ განსხვავებულნიც. ე. ი. დიასისტემა იქნება შედგენილი a, b, c, d ელემენტებისგან. ასე, მაგალითად, ქართული ენის ზოგ დიალექტში ხშულთა მექვესე სამეული წარმოდგენილია ერთი /y/ ფონემით, ზოგ დიალექტში კი ორი ფონემით /j/ და /y/-ით. ამიტომ დიასისტემაში შევა არა მარტო /y/ (საერთო ელემენტი), არამედ /j/-ც.

დიალექტების კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს კარტოგრაფიული მეთოდი, რასაც სხვაგვარად ლინგვისტურ გეოგრაფიას უწოდებენ. ამ მეთოდს საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ენათმეცნიერმა ე. ი. დი. ე. რ. ო. მ. ა. ამ მეთოდის არაი შემდეგშია: წინასწარ ირჩევენ ზოგიერთ დიალექტობრივ თავისებურებას და ადგენენ საკითხთა ნუსხას. შემდეგ ამოწმებენ ნუსხაში შეტანილ თავისებურებებს ადგილებზე. ამ მიზნით ფართოდ იყენებენ ადგილობრივ ინტელიგენციას, რომელსაც ვეალება პასუხი გასცეს კითხვანში შეტანილ კითხვებზე — დასტურდება თუ არა ესა თუ ის მოვლენა იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელშიც მას უხდება მუშაობა. როდესაც ყველა პუნქტი შემოწმებული იქნება ამ გზით, ხდება მასალის თავმოყრა და კლასიფიკაცია. ამა თუ იმ თავისებურების გავრცელების არეალი აღინიშნება რუკაზე ხაზით, რომელსაც ეწოდება იზოგლოსი (ბერძნ. *isos* „ერთგვარი“, *glossa* „ენა“). იზოგლოსების საფუძველზე დგება შემდეგ ლინგვისტური ატლასი. ატლასი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური.

ზოგჯერ ცდილობენ ლინგვისტური გეოგრაფიით შეცვალონ დიალექტოლოგია, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ არის სწორი. ცალკეული დიალექტობრივი მოვლენების შესწავლა მათი გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით, მართალია, საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ იგი მინც არ არის მთელი დიალექტოლოგია და ამიტომ ლინგვისტური გეოგრაფია პასუხს ვერ გაგვცემს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც დიალექტოლოგიის წინაშე დგას. უფრო მეტიც, იგი ვერც დასევამს ამ საკითხებს. ლინგვისტურ გეოგრაფიას არაფერი არ შეუძლია გვითხრას დიალექტებს შორის არსებულ სტრუქტურული ხასიათის განსხვავებებზე, მან შეიძლება გვაჩვენოს მხოლოდ მათი გე-

ოგრაფიული გავრცელების სფერო. სტრუქტურული ხასიათის მსგავსება-განსხვავებებს სწავლობს სტრუქტურული დიალექტოლოგია და არა გეოგრაფიული ლინგვისტიკა; რაც შეეხება თვითონ გეოგრაფიულ ლინგვისტიკას, იგი უფრო სასურველი დანამატია სტრუქტურული დიალექტოლოგიისა, ვიდრე მისი თანასწორი და შემეცნელი.

სალიტერატურო ენა, სოციალური დიალექტები და ჟარგონები. სალიტერატურო ენა არსებითად განსხვავდება დიალექტებისაგან. დიალექტი რამდენიმეა ყოველ ენაში. სალიტერატურო ენა კი ერთია. სალიტერატურო ენა წარმოადგენს სამწერლობო ენას, ხოლო დიალექტები უმწერლობაა. მაგრამ აღნიშნული განსხვავებანი სალიტერატურო ენასა და დიალექტს შორის არაა ძირითადი. არსებითია სალიტერატურო ენისათვის პოლივალენტობა. სალიტერატურო ენა— ესაა ენა ლიტერატურის, ხელოვნების, სკოლის, მეცნიერებისა და ა. შ.

სალიტერატურო ენა დიალექტისაგან განსხვავებით მკაცრად ნორმალიზებულია, ამიტომ იგი უფრო ნელა იცვლება, ვიდრე დიალექტი.

სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის ან დიალექტების საფუძველზე, მაგრამ იგი მთლიანად არ ემთხვევა. არც ერთ დიალექტს. ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს. სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება ის დიალექტი, რომლის წარმომადგენლებიც დაწინაურებული არიან კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ლათინურს საფუძვლად დაედო რომის დიალექტი, რადგანაც რომს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ძველი რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძვლად დაედო პარიზის დიალექტი; ძველ ბერძნულს — ატიკური დიალექტი, ქართულს — ქართლ-კახური და ა. შ.

დიალექტები წარმოადგენენ სალიტერატურო ენის დაუშრეტელ შემავსებელ წყაროს. დიალექტები ავსებენ სალიტერატურო ენას, განსაკუთრებით კი მის ლექსიკას. დიალექტები ამდიდრებენ სალიტერატურო ენის ლექსიკას, უფრო სრულყოფილსა და მოჭნილს ხდიან მას.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ტერიტორიული დიალექტების შესახებ. ტერიტორიული დიალექტი გავრცელებულია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში და წარმოადგენს ამ არეალში მცხოვრებთა ენას. ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავდება ე. წ. სოციალური

დიალექტი ანუ რომელიმე სოციალური ფენისათვის ან ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ჩვევები. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ლექსიკა ერთმანეთისაგან განსხვავდება. მევენაის ლექსიკა განსხვავდება მწყემსის ლექსიკისაგან, ორივე კი მწერლის ან მეცნიერის ლექსიკისაგან. სხვაობა გვაქვს არა მხოლოდ სიტყვებში, არამედ ფრაზეოლოგიაშიც და საერთოდ სინტაქსში. მევენახე ან მწყემსი არ მიმართავს ისეთ რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებსაც მწერალი ან მეცნიერი იყენებს.

სოციალური დიალექტები გვხვდებიან ერთ რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტში და ერთმანეთთან თანაარსებობენ. ასე, მაგალითად, თბილისის მეტყველებაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სოციალური დიალექტი — მწერლების, მეცნიერების, სტუდენტების, მოსწავლეების, რკინიგზის მუშების და სხვა. სტუდენტის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თავისებურებანი განსხვავებულია, ვთქვათ, რკინიგზის მუშის მეტყველების ლექსიკურ თავისებურებათაგან. სხვაობა შეინიშნება სინტაქსშიც, ხოლო რაც შეეხება მორფოლოგიას და ფონეტიკას, როგორც წესი, სოციალური დიალექტი ამ თვალსაზრისით სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება.

თავისებურ სოციალურ დიალექტებს წარმოადგენენ ე. წ. ქარგონები (ფრანგ. jargon განზრახ სახეცვლილი ენა). ქარგონი წარმოადგენს საიღუმლო ენას, რომელიც გასაგებია მხოლოდ მოცემული ჯგუფის წევრებისათვის და სრულიად გაუგებარი სხვებისათვის. ქარგონი იქმნება სწორედ იმ მიზნით, რომ მოცემული ერთი ჯგუფის მეტყველება გაუგებარი იყოს ამ ენაზე მოლაპარაკე სხვა ინდივიდებისათვის. ამისათვის სიტყვებს უცვლიან მნიშვნელობას და მათ სრულიად სხვა მნიშვნელობებს ანიჭებენ. ასე, მაგალითად, ქურდების ქარგონზე „ყაყაჩო“ ნიშნავს „მილიციონერს“, „პალატუხი“ — „სახარჩობელას“ და სხვ.

ზოგჯერ ქარგონი წარმოადგენს ორი ან მეტი ენის ნარევეს. ასეთია, მაგალითად: Petit Nègre (პტი ნეგრ) ენა აფრიკის ფრანგულ კოლონიებში; Broken-english (ბროუკენ-ინგლიშ) (დამტვრეული ინგლისური) ენა სიერა-ლეონეში (გვინეის ყურე აფრიკაში); Beach-la-mar (ბიიჩ-ლა-მარ) პოლონეზიის კუნძულებზე და სხვ.

სინქრონია და დიაქრონია ენათმეცნიერებაში. თანამედროვე ენათმეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისების მკაცრი გამოიჯენა ენის კვლევის დროს. შესაბამისად განასხვავებენ ორგვარ ლინგვისტიკას — სინქრონიულსა და დიაქრონიულს. სინქრონიული ენათმეცნი-

ერება იკვლევს ენის ერთ მოცემულ მდგომარეობას, ენის ერთ სინქრონიულ ქრილს და ყურადღებას არ აქცევს პროცესებს, რომლებმაც მიგვიყვანეს მოცემულ მდგომარეობამდე. დიაქრონიული ენათმეცნიერება, პირიქით, ერთმანეთს უდარებს ენის სხვადასხვა სინქრონიულ მდგომარეობებს, ალაგებს მათ დროში თანმიმდევრობის მიხედვით, ე. ი. იმის მიხედვით, თუ რომელი მდგომარეობა რომელს უსწრებდა დროში და ამ გზით აღადგენს ენის ისტორიას, რომელიც გავლილი აქვს მოცემულ ენას დროის გარკვეულ მონაკვეთში.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით სინქრონიისა და დიაქრონიის საკითხი. სინქრონიისა და დიაქრონიის გამიჯვნა ემყარება მოლაპარაკე ინდივიდის სამეტყველო ქცევას. მოლაპარაკე ინდივიდისათვის არსებობს მხოლოდ ენის ერთი სინქრონიული მდგომარეობა და მას არც სჭირდება ენის ისტორიის ცოდნა, რათა უთხრას რამე მეორე ინდივიდს. ამრიგად, ენა ფუნქციონირებს, ე. ი. ასრულებს დანაწევრებით და საკომუნიკაციო ფუნქციებს, არა როგორც ისტორიული, არამედ როგორც სინქრონიული კატეგორია. მაგრამ ენა იცვლება დროში და ამიტომ იგი ისტორიული კატეგორიაა. მე-20 საუკუნის ქართული იგივე არაა, რაც მე-10 საუკუნის ქართული. მან ამ ათი საუკუნის განმავლობაში გარკვეული ცვლილება განიცადა. ასევე შეიცვალა ძველი რუსული, სომხური, ბერძნული და სხვა. ყველა ენა ასე თუ ისე იცვლება დროში, მაგრამ შესაძლოა სხვადასხვა იყო ცვლილების ტემპი. შესაძლებელია დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ერთი ენა უფრო მეტად შეიცვალოს, ვიდრე მეორე. მაგ. ძველ ქართულსა და ახალ ქართულს შორის არ არის დიდი განსხვავება, ამიტომ ძველ ქართულ ენაზე დაწერილი ტექსტები დღესაც ასე თუ ისე გასაგებია ჩვენთვის. უფრო მეტი განსხვავებაა ძველ და ახალ სომხურს შორის. კაცი, რომელმაც იცის მხოლოდ თანამედროვე სომხური, ძველ სომხურს ვერ გაიგებს. აქედან ის უნდა დაეასკვნათ, რომ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში (V საუკუნიდან დღემდე) ქართული და სომხური სხვადასხვა ტემპით შეიცვალა.

მაგრამ 15 საუკუნე საკმაოდ მცირე დროა ენის ისტორიისათვის. შესაძლოა ერთ პერიოდში ენა უფრო ჩქარა იცვლებოდეს, ხოლო მეორე პერიოდში — შედარებით უფრო ნელა.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ენათა ცვლილების ტემპები, ფაქტია, რომ ენა იცვლება დროში და რომ შეუძლებელია ერთი ლინგვისტიკის ფარგლებში ვიკვლიოთ ენის ცვლილება და ენის მდგომარეობა. ამიტომ საჭირო ხდება ენათმეცნიერების გაყოფა სინქრონიულ და დიაქრონიულ ენათმეცნიერებად. სინქრონიულ ენათმეცნიერებას თავისი ობიექტი აქვს. იგი იკვლევს ენის ფუნქციონი-

რებას ერთ გარკვეულ მოცემულ მომენტში. სხვა არის დიაქრონიული ვნათმეცნიერების ობიექტი. იგი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ერთმანეთს უღარებს სხვადასხვა სინქრონიულ მდგომარეობას და ამ გზით აღადგენს ენის ისტორიას.)

სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისების გამიჯვნა ენათა კვლევის პროცესში აუცილებელი მეთოდოლოგიური ბაზაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ენათა მეცნიერული კვლევა. ამ ორი თვალსაზრისის ერთმანეთში აღრევა ყოველთვის მიგვიყვანს არამეცნიერულ დასკვნებამდე. შესაძლებელია ჩვენ ვიკვლიოთ ენის ერთი რომელიმე სინქრონიული მდგომარეობა, მაგრამ სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისი მაინც მკვეთრად ვერ გავმიჯნოთ. ასე, მაგალითად, ერთი საკმაოდ გავრცელებული თეორიის მიხედვით თანამედროვე რუსულ ენაში τ სიტყვებში пpыт და пpуд (წარმოითქმის пpыт) სხვადასხვა ფონემებია, რადგანაც პირველ შემთხვევაში ირიბ ბრუნვებში გვაქვს τ (შდრ. пpыта, пpыту და სხვ.), ხოლო მეორე შემთხვევაში— μ (შდრ. пpуда, пpуду და სხვ.). რუსულში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მქლერი ფონემები ყრუვდებიან და სათანადო ყრუ ფონემებს ემთხვევიან: $\tau > \text{п}$ (შდრ. $\text{дуп} (= \text{дун}), \mu > \tau$ (შდრ. $\text{пpыт} (= \text{пpыд}), \tau > \text{х}$ (შდრ. $\text{берек} (= \text{берег})$). მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, ყველა ყრუ ფონემა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, რომელიც კი მქლერისაგან არის მიღებული აღნიშნულ პოზიციაში მქლერების დაყრუების გზით, წარმოადგენენ დღესაც მქლერი ფონემების ვარიანტებს და ამიტომ ერთი და იგივე τ სიტყვაში $\text{пpыт} (= \text{пpыд})$ არის μ ფონემის ვარიანტი, ხოლო სიტყვაში $\text{пpыт} (= \text{пpыт})$ — τ ფონემისა. ეს კიდევ სხვა არაფერია თუ არა სინქრონიისა და დიაქრონიის ერთმანეთში აღრევა. τ სიტყვაში $\text{пpыт} (= \text{пpыд})$ აღარ არის უკვე ფონემა μ , მაგრამ იგი იყო ერთ დროს ფონემა μ . მას შემდეგ რაც იგი დაყრუვდა უკვე τ ფონემაა და არა μ , რადგანაც რუსულში μ და τ ფონემები ერთმანეთს უპირისპირდება. თუ მკაცრად გავმიჯნავთ სინქრონიულ და დიაქრონიულ თვალსაზრისებს, ასეთი შეცდომები აღვიღად შეიძლება თავიდან ავიცილინოთ. საჭიროა იმის მკაცრად გამიჯვნა, თუ რა იყო ოდესღაც და რა არის დღეს, და ერთმანეთში არ ავუერიოთ სინქრონიული და დიაქრონიული პერსპექტივები.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ენა წარმოადგენს სისტემას. ამ დებულებას სჭირდება გარკვეული დაზუსტება. როდესაც ვამბობთ ენა სისტემააო, ეს ნიშნავს იმას, რომ ენა სისტემაა სინქრონიული თვალსაზრისით. ე. ი. ენის ყოველი მდგომარეობა შეიძლება განვიხილოთ

როგორც ენობრივ ელემენტთა მოწესრიგებული სიმრავლე. სადაც ერთი გარკვეული ელემენტი მიმართებაშია ყველა დანარჩენთან და ყველა დანარჩენი ამ უკანასკნელთან. მაშასადამე, ენა სისტემაა სინქრონიული თვალსაზრისით. წარმოადგენს თუ არა იგი სისტემას დიაქრონიული თვალსაზრისით? ე. ი. ენობრივი სისტემის ცვლილება აღემატება თუ არა სისტემას? ცვლილება ექვემდებარება რაიმე კანონზომიერებას, თუ იგი ქაოსურად მიმდინარეობს? ენა სისტემაა არამხოლოდ სინქრონიული თვალსაზრისით. არამედ დიაქრონიულითაც. ენის ცვლილება არ მიმდინარეობს ქაოსურად და იგი ყოველთვის ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას. რომელიმე ერთი ელემენტის შეცვლა ენობრივ სისტემაში ყოველთვის იწვევს ამ სისტემაში არსებული მიმართებების შეცვლასაც. მაგალითად, ძველ ქართულში ხშულთა მეექვსე რიგი წარმოდგენილი იყო ორი წევრით — /კ/ და /ყ/ ფონემებით. ახალ ქართულში /კ/ გადავიდა /ხ/-ში, მაშინ როდესაც ძველ ქართულში /კ/ და /ხ/ სხვადასხვა ფონემა იყო (შდრ. ქელი და ხელი „გიე“). რადგანაც /კ/ და /ხ/ ძველ ქართულში სხვადასხვა ფონემა იყო, ამიტომ აღნიშნული ორი სიტყვა ომონიმებს არ წარმოადგენდნენ. ახალ ქართულში კი ისინი ომონიმებია, რადგან ძვ. ქართული /კ/ ახ. ქართულში გადავიდა /ხ/-ში. მოახდინა თუ არა ამ ცვლილებამ გავლენა მიმართებათა სისტემაზე? აღნიშნული ცვლილებების შემდეგ /ყ/ აღმოჩნდა ერთადერთი წარმომადგენელი სამეულთა მეექვსე რიგისა, ე. ი. დარჩა სისტემის გარეშე. ამიტომ მანაც ადგილი შეიცვალა და /ლ/ და /ხ/ ნაპრალოვნებს მიეკედლა, რის შედეგადაც მივიღეთ ახალი სამეული ღ — ხ — ყ. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა თვით /ყ/-ს არტიკულაციაზეც. რადგანაც იგი სპირანტების რიგში აღმოჩნდა, თვითონაც სპირანტი გახდა და დღეს იგი წარმოითქმის არა როგორც წმინდა ხშული, არამედ როგორც ნაპრალოვანი. ძველ ქართულში /ყ/ იყო კ—ყ დაპირისპირების წევრი და ამიტომ თვითონაც ხშული იყო, ხოლო როდესაც იგი ღ — ხ — ყ დაპირისპირების წევრი გახდა, თვითონაც ნაპრალოვნად იქცა. ამრიგად, შეიცვალა ელემენტი და შეიცვალა მიმართებათა სისტემაც. რადგანაც რიგი ღ — ხ — ყ ძველ ქართულში არ გვექონდა. მიმართებათა სისტემის შეცვლამ გავლენა მოახდინა თვითონ /ყ/-ს არტიკულაციაზეც და იგი სპირანტად აქცია. რაც არ მოხდებოდა, /ყ/ ფონემას რომ გვერდით ჰქონოდა ახალ ქართულშიც მისი საპირისპირო /კ/ ფონემა.

მაშასადამე, ერთი რომელიმე ელემენტის ცვლილებაც კი გავლენას ახდენს და ცვლის მიმართებებს სისტემის ელემენტებს შორის. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მკვეთრად შეიცვლება სისტემა.

როდესაც იცვლება არა ერთი ელემენტი. არამედ რამდენიმე ერთად, დავუშვათ, რომ ქართული ენის ფშვინვიერი ფონემები (ფ თ ც ჩ ქ) შეიცვალოს მკვეთრებად (აბრუპტიკებად) შებღევი წესების მიხედვით ფ > პ, თ > ტ, ც > წ, ჩ > ჰ, ქ > კ, ანდა, პირიქით, მკვეთრები შეიცვალოს ფშვინვიერებად — პ > ფ, ტ > თ, წ > ც, ჰ > ჩ, კ > ქ. ირსავე შემთხვევაში მოიშლებოდა დაპირისპირება ფშვინვიერებსა და მკვეთრებს შორის და გვექნებოდა მხოლოდ მკლერებსა და ყრუ ხშულებს შორის დაპირისპირება, ე. ი. გვექნებოდა ორი რიგი სამი რიგის ნაცვლად, ანუ ისეთივე მდგომარეობა, როგორც გვაქვს მეტწილ ინდოევროპულ ენებში. სადაც ხშულებს შორის დაპირისპირება მხოლოდ მკლერობა-აყრუის მიხედვით გვაქვს.

ამრიგად, ენა შეიძლება ვიკვლიოთ ორი თვალსაზრისით — სინქრონიულად და დიაქრონიულად. ეს ორი თვალსაზრისი ერთმანეთს არ გამორიცხავს, რადგანაც სინქრონიულ კვლევას ვერ შევცვლით დიაქრონიულით და დიაქრონიულს — სინქრონიულით. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთს გულისხმობენ.

ენის წარმოშობის საკითხისათვის. ენის წარმოშობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, დავას იწვევს ბგერითი ენის პირველადობის საკითხიც კი. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ბგერითი ენა არ იყო პირველადი — ჯერ იყო ე. წ. ეესტების ანუ ხელის ენა, რომელიც შემდეგში ბგერითმა ენამ შეცვალა. მარზე უფრო ადრე ეს თვალსაზრისი გამოთქმული აქვს გერმანულ ფსიქოლოგს ვ. ვუნდტს.

ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი (Russell) ფიქრობს, რომ ჩვენ არა გვაქვს ფაქტები იმის დასამტკიცებლად, ბგერითი ენა იყო პირველადი თუ დამწერლობა, რადგანაც ორივე მათგანის წარმოშობის სათავეები წინარეისტორიულ ხანაშია და ამიტომ ისტორიას არაფერი შეუძლია თქვას ბგერითი ენის პირველადობის შესახებ. ამავე თვალსაზრისზე დგას დანიელი ენათმეცნიერი ლუი ჰიელმსლევი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენის წარმოშობის საკითხი ყოველთვის იყო ფილოსოფოსების, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგების, ბიოლოგების და სხვათა ყურადღების ცენტრში. ამ საკითხით უფრო დაინტერესებული იყვნენ ენათმეცნიერების ადრინდელ პერიოდში, რაც უფრო განვითარდა ენათმეცნიერება, მით უფრო განელდა ინტერესი ენის წარმოშობის საკითხის მიმართ. პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოება 1866 წ. იმასაც კი აცხადებდა, რომ საზოგადოება არ იღებს მოხსენებებს, რომელიც ეხება ენის წარმოშობას და საყოველთაო ენის შექმნას.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ექვის ქვეშ დგას ბგერითი ენის

პირველადობის საკითხი. მაგრამ ბგერიითი ენა პირველადი უნდა ყოფილიყო, დამწერლობა, ეესტ-მიმიკის ენა და სხვა მასთან შედარებით მეორეულია.

ზემოთ ბგერიითი ენა განხილული იყო არაბგერიით ენებთან მიმართებაში და აღნიშნული იყო, რომ დანაწევრებითი ფუნქცია მხოლოდ ბგერიითს ენას აქვს. ყველა სხვა ენა ამ ფუნქციას მოკლებულია. ბგერიითი ენა ენერგიაა, არაბგერიითი ენა კი ერგონი. ამიტომ ბგერიითი ენა რომ არ გვექონდეს, არც არაბგერიითი ენა გვექნებოდა. ეს დებულება სწორია, როგორც ლოგიკური, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ბგერიითი ენა ლოგიკურად წინ უსწრებს ყველა სხვა ენას. ამდენად იგი დროშიც უნდა წინ უსწრებდეს მათ. ჭერ ბგერიითი ენა უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ და მასზე დაყრდნობით უნდა იყოს შექმნილი დამწერლობა, ეესტ-მიმიკის ენა და სხვ. ამიტომ თვალსაზრისი, რომელიც ბგერიითი ენის პირველადობის საკითხს უარყოფს ან მას ექვის ქვეშ აყენებს, მეცნიერულად უნიადაგოა.

ამრიგად, ენის წარმოშობის საკითხი მთლიანად დაიყვანება ბგერიითი ენის წარმოშობის საკითხზე, რადგანაც ბგერიითი ენა პირველადი მოვლენაა, ამიტომ ენის წარმოშობის საკითხი არის ბგერიითი ენის წარმოშობის საკითხი.

როგორ უნდა მომხდარიყო ბგერიითი ენის წარმოქმნა, ე. ი. როგორ უნდა მომხდარიყო ცხოველის ენიდან ადამიანის ენაზე გადასვლა? ცხოველის ენა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ვერ გარდაქმნის წარმოდგენებს ცნებებად და ამიტომ ვერც ფიზიკურ ბგერას გარდაქმნის დანაწევრებულ ბგერად. მაშასადამე, ცხოველს არა აქვს დანაწევრების უნარი. ეს უნარი განუვითარდა ადამიანს, რითაც მან მოახერხა გამოჰყოფოდა ცხოველთა სამყაროს. „ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები — წერს ენგელსი — იქამდე მივიდნენ რომ მათ რაღაც უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის. მოთხოვნილებამ თავისი ორგანო შექმნა. მაიმუნის განუვითარებელი ხორხი ნელ-ნელა, მაგრამ ურყევად განიცდიდა გარდაქმნას მოდულაციის გზით სულ უფრო და უფრო განვითარებული მოდულაციისათვის, ხოლო პირის ორგანოები თანდათან ეჩვეოდნენ დანაწევრებული ბგერების ერთი-მეორეზე წარმოთქმას“.

„ჭერ შრომა, ხოლო მას შემდეგ და მერე კი მასთან ერთად ენა, — განაგრძობს ენგელსი, — აი ის ორი ყველაზე უფრო არსებითი სტიმული, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად“.

ენგელსის ეს სიტყვები ამ შემთხვევაში სამი თვალსაზრისითაა მეტად საყურადღებო: ა) ადამიანს განუვითარდა დანაწევრებითი

უნარი, რადგანაც იგი თანდათან ეჩვეოდა დანაწევრებული ბგერების ერთიმეორეზე წარმოთქმას; ბ) დანაწევრებითი უნარისა და, მაშასადამე, ენის განვითარებაც განაპირობა შრომამ. შრომის პროცესმა მიიყვანა ადამიანები კომუნიკაციის დამყარების აუცილებლობამდე. ყოველგვარი შრომა გულისხმობს შეთანხმებულ მოქმედებას, შეთანხმებული მოქმედება კი ენის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს; გ) ენის წარმოშობას სათანადო ფიზიოლოგიური პირობები აქვს. მაიმუნის ანატომიური ტიპი არსებითად შეიცვალა მის შემდეგ, რაც მან გამართული (ორ ფეხზე) სიარული დაიწყო. ადამიანის ფიზიოლოგიური სტრუქტურა ისეთია, რომ მხოლოდ ასეთი სტრუქტურის მქონე ცოცხალ ორგანიზმს შეიძლება ჰქონდეს მეტყველების ნიჭი. გამართულმა სიარულმა საშუალება მისცა ადამიანის ხორხს „მოდულაციის გზით სულ უფრო და უფრო განვითარებული მოდულაციისათვის“ მიეღწია. გამართული სიარული, რომ არა, ადამიანს მეტყველების ნიჭი არ განუვითარებოდა.

ამრიგად, ცალ-ცალკე აღებული ეს სამი პირობა არ არის საკმარისი ენის წარმოშობისათვის, მაგრამ ყველა ისინი ერთად აპირობებენ მეტყველების უნარის წარმოშობის გარდუვალობას. ეს სამი პირობაა: დანაწევრების უნარი, შრომა და ადამიანის ფიზიოლოგიური სტრუქტურა. ცალ-ცალკე აღებული ეს სამი ნიშანი შეიძლება შეგვხედეს სხვა ცოცხალ ორგანიზმთანაც, მაგრამ მათი ერთობლიობა მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, რამაც განსაზღვრა კიდევ მაიმუნის გაადამიანება.

ზოგჯერ ცხოველისა და ადამიანის ენას შორის ათავსებენ ე. წ. გარდამავალ საფეხურს. ასეთ გარდამავალ საფეხურად მიაჩნიათ ე. წ. პრიმიტიულ ხალხთა ენები, როგორცაა ამერიკელ ინდიელთა ან აფრიკის მკვიდრთა ენები. პრიმიტიულ ენათა კლასს მიაკუთვნებენ ყინულოვან ოკეანესთან მცხოვრებ ხალხთა ენებსაც ციმბირში და ავსტრალიის აბორიგენების ენებს. საბუთი ამ შემთხვევაში ისაა, რომ აღნიშნულ ენებში სიტყვა მოკლებულია განზოგადების იმ უნარს, რაც დამახასიათებელია მისთვის ცივილიზებულ ხალხთა ენებში. მაგალითად, ლაპების (ურალურ-ალტაური ოჯახი) ენაში არ არსებობს ერთი სიტყვა თოვლის ცნების აღსანიშნავად, მაგრამ აღირიცხება 41 სხვადასხვა სიტყვა, რომელიც თოვლის სხვადასხვა სახეობას აღნიშნავენ.

ჰურონების (ჩრდ. ამერ.) ენაში არ არსებობს ერთი სიტყვა ჭამის აღსანიშნავად: ხორცის ჭამის აღსანიშნავად ერთ სიტყვას იყენებენ, თევზის ჭამისათვის კი მეორეს და ა. შ.. ზოგ ამერიკელ ინდიელთა ენაში არა გვაქვს ერთი სიტყვა მოძრაობის აღსანიშნავად. მოძრაობა-

სხვადასხვა სიტყვებით აღინიშნება იმის მიხედვით, თუ ვინ მოძრაობს; კაცი თუ ქალი, მსუქანი თუ გამხდარი და ა. შ.. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ის დასკვნა გამოაქვთ, რომ ე. წ. პრიმიტიული ენები მოკლებულია განზოგადების უნარს, ამიტომ პრიმიტიულ ხალხთა აზროვნება არის არა აზროვნება ცნებებით, არამედ აზროვნება ხატებებით ანუ წარმოდგენებით. ამიტომ მათი ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძებოთ მათ ენაში. ენა არ აძლევს მათ განზოგადების საშუალებას და ამდენად შეუძლებელია ასეთ ენებზე მოლაპარაკე ხალხებმა შექმნან მეცნიერება ან ლიტერატურა.

მაგრამ ეს თეორია მცდარია როგორც თეორიული, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით. მცდარია იგი იმიტომ, რომ როგორი პრიმიტიულიც არ უნდა იყოს ხალხი, მისი ენა ყოველთვის არის ბგერითი ენა. სადაც დანაწევრებულ ბგერებთან გვაქვს საქმე, იქ აზროვნებაც ცნებითა და არა ხატოვანი.

ფაქტობრივი თვალსაზრისით ეს თეორია მცდარია იმიტომ, რომ თვითონ ცივილიზებულ ხალხთა ენებშიც მრავლად შეიძლება დაიძებნოს მსგავსი მაგალითები¹. ზემოთ განხილული ფაქტებიდან ის დასკვნა კი არ გამოჰდინარეობს, რომ სხვადასხვა ხალხს აბსტრაქციის სხვადასხვა უნარი აქვს, არამედ ის დასკვნა, რომ ყოველი ენა წარმოადგენს თავისებურ სისტემას, მსოფლმხედველობას, ყოველი ენა თავისებურად ანაწილებს საგანთა სინამდვილეს და არ მიჰყვება ერთ ლოგიკურ სქემას.

ამრიგად, არსებითი სხვაობაა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის და არა ადამიანების ენებს შორის. ყველა ბგერითი ენა წარმოადგენს პირობითს კოდს და ამიტომაც ადამიანის აზროვნება, რომელ ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი, ყოველთვის არის ცნებითი.

გვაროვნული, ტომობრივი და ეროვნული ენები. ენობრივი კოლექტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: გვარი, ტომი, ერი. იმის მიხედვით, თუ როგორი კოლექტივი იყენებს მოცემულ ენას, შეიძლება გვქონდეს გვაროვნული, ტომობრივი, ეროვნული ენები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ენათმეცნიერებისათვის სულ ერთია ამგვარი განსხვავება ენებს შორის, იგი იკვლევს მსგავს და განსხვავებულ ენობრივ სტრუქტურებს როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიუ-

¹ ასე, მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ფრანგული უფრო აბსტრაქტული ენაა, ვიდრე გერმანული: ფრანგ. aller. ერთდროულად უდრის გერმან. gehen „სვლა“, reiten „ქენება“, fahren „სვლა არაქვეითად“ (შდრ. რუს. ехать); და être—sitzen „ჯდომა“, stehen „დგომა“, liegen „წოლა“. მაგრამ აქედან იმ დასკვნას ვერ გამოვიტანთ, რომ გერმანული პრიმიტიული ენაა, ხოლო ფრანგული ლოგიკურად სრულყოფილი.

ლი თვალსაზრისით და ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, საკვლევი ენა ტომობრივია თუ ეროვნული. მისთვის ერთგვარად მნიშვნელოვანია დალესტნის რომელიმე ენა, რომელზეც მხოლოდ ერთი აული ლაპარაკობს, და ინგლისური, რომელიც ასეულ მილიონობით ადამიანს ემსახურება. ენების დაყოფა გვაროვნულ, ტომობრივ და ეროვნულ ენებად ექსტრალინგვისტური (არალინგვისტური) დაყოფაა და არა საკუთრივ ლინგვისტური.

გვაროვნული ენები უნდა გვქონოდა პირველყოფილი გვაროვნული წყობილების დროს. ეს ეტაპი უკვე განვლილია და ამიტომ გვაროვნული ენების დადასტურება დღეისათვის აღარ ხერხდება.

ტომობრივი ენები დღესაც გვაქვს. ტომობრივია ამერიკელ ინდიელთა ენები: ალგონკინური, იროკეზული, მაიას ტომის ენა, აცტეკური და სხვა. ტომობრივია დალესტნის ენები: წახურული, ალუღური, რუტულური, ანდიური და სხვა. ტომობრივ ენებს წარმოადგენენ სვანური და ზანური (მეგრულ-ქანური).

დღეს ყველაზე გავრცელებულია ეროვნული ენები. ეროვნული ენებია: ქართული, რუსული, უკრაინული, ბელორუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური, ჩინური, იაპონური და სხვა.

ეროვნული ენები წარმოიქმნენ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მათი წარმოშობა ემთხვევა ერების წარმოშობას. ეროვნული ენის ცნება არ ემთხვევა სალიტერატურო ენის ცნებას არც ისტორიული და არც დღევანდელი თვალსაზრისით. სალიტერატურო ენა წარმოიქმნა უფრო ადრე, ვიდრე ეროვნული ენა. ერები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, რომ სალიტერატურო ენები უკვე გვქონდა. ყველა ეროვნული ენა სალიტერატურო ენაცაა, მაგრამ ყველა სალიტერატურო ენა არ არის ეროვნული ენა. ასე, მაგალითად, დალესტანში ექვსი სალიტერატურო ენა გვაქვს. ხუნძური, ლაკური, დარგული, ლეზგიური, ტაბასარანული და ყუმიკური. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დალესტნის ეს ხალხები ექვს სხვადასხვა ერს წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, ორ ერს შეიძლება ერთი სალიტერატურო ენა ჰქონდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ერთი და იგივე სალიტერატურო ენა (ინგლისური) აქვთ, მაგრამ ინგლისელები და ამერიკელები (იგულისხმება ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ამერიკელები) ორი სხვადასხვა ერია. ამრიგად, ეროვნული ენის ცნება, როგორც წესი, ემთხვევა სალიტერატურო ენის ცნებას, მაგრამ მათ შორის სრული იგივეობა არ არსებობს.

ეროვნული ენების გვერდით გვაქვს ე. წ. საერთაშორისო ენე-

ბიკ. საერთაშორისო ენა იყო ლათინური კათოლიკური ევროპისათვის შუა საუკუნეებში; იგი იყო ამავე დროს მეცნიერების ენაც. ასევე საერთაშორისო ენას წარმოადგენდა არაბული ახლო აღმოსავლეთის მაკმადიანთათვის. დღეისათვის საერთაშორისო ენებია: ინგლისური, ესპანური, რუსული (საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის) და სხვ.

ყველა ეს ენა სალიტერატურო ენაა, მაგრამ საერთაშორისო ენა შეიძლება იყოს უმწერლობო ენაც. დაღესტანში ხუნძი ტომებისათვის XVII—XIX სს. საერთაშორისო, „ჯარის ენას“ წარმოადგენდა ხუნძახური.

ამრიგად, გვაროვნული ენები შეიცვალა ტომობრივი ენებით, ხოლო ტომობრივი — ეროვნული ენებით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მომავალში ეროვნული ენებიც მოისპობა და ჩამოყალიბდება ერთი საერთო ინტერნაციონალური ენა, რომელზედაც ილაპარაკებს მთელი ჩვენი პლანეტის მოსახლეობა. ეს საკითხი დიდი ხანია უკვე, რაც ყურადღების ცენტრშია. ფიქრობენ, რომ ეროვნული ბარიერების მოსპობას თან უნდა მოჰყვეს საერთო ეროვნული ენის წარმოქმნაც; მაგრამ როგორი იქნება ასეთი ენა? მას საფუძვლად დაედება რომელიმე კონკრეტული ენა (ვთქვათ, ინგლისური ან რუსული), თუ ის არ დაემთხვევა არც ერთ დღეს ცნობილ ენას. საკითხის ამგვარად დასმა არამეცნიერულია. ერთიანი საკაცობრიო ენის შექმნა და გაბატონება იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ენა რომ პანქრონიული კატეგორია იყოს, ე. ი. დროის ფაქტორი ვერ ახდენდეს მასზე გავლენას და ვერ ცვლიდეს მის სტრუქტურას. კიდევ რომ შესაძლებელი გახდეს ერთიანი საკაცობრიო ენის შექმნა და გაბატონება, გაივლის რამდენიმე ათეული წელი და აღნიშნულ ენას გაუჩნდება დიალექტები; რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ ენებად იქცევიან. მივიღებთ კვლავ მრავალენიანობას, რადგანაც ენა არ შეიძლება არ შეიცვალოს დროსა და სივრცეში, რა თქმა უნდა, თუ მასზე ლაპარაკობენ.

ფონეტიკა

1. ფონეტიკის საგანი და მეთოდები

ფონეტიკა ენათმეცნიერების დარგია, იგი სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერებს როგორც მათი წარმოება-წარმოთქმის და გაგონების, ისე მათი ფუნქციის თვალსაზრისით, ე. ი. არტიკულაციურად, აკუსტიკურად და ფუნქციურად (ფონოლოგიურად).

უსასრულოდ მრავალგვარია იმ ბგერათა რიცხვი, რომლის აღქმა შეუძლია ადამიანს. მათგან ზოგს გამოსცემს არაცოცხალი საგანი (შრიალი, სრიალი, რახუნი, და მრავალი სხვა), ზოგს—ცოცხალი არსება (წყმუტუნი, ყვირილი, კენესა, ზმუილი, ჭიხინი და მრავალი სხვა). იმ უამრავ ბგერათაგან, რომელთა წარმოთქმაც ადამიანებს შეუძლიათ, თითოეულ ენაში მათ მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ რამდენიმე ბგერა ერთმანეთთან ზიტყვიერი ურთიერთობისათვის. საზოგადოებრივი და გონებრივი განვითარების პროცესში ადამიანს გამოუმუშავდა სამეტყველო ანუ სოციალურად ღირებული ბგერები.

ფონეტიკა სწავლობს იმ ბგერითს საშუალებებს, რაც გამოყენებულია სამეტყველო პროცესში, და ამ საშუალებათა სამეტყველო დანიშნულებას (ფუნქციას) ზიტყვიერ ურთიერთობაში. ასეთი ბგერითი საშუალებებია: 1. სამეტყველო ბგერა — განცალკევებული თუ სხვა სამეტყველო ბგერასთან შეერთებული, 2. მოცემული ენის სამეტყველო ბგერათა სისტემა და 3. მახვილი და ინტონაცია. ფონეტიკა შეისწავლის აგრეთვე ამ ბგერით საშუალებათა წარმოსაქმნელ ორგანოებს და მათ საწარმოთქმო მოქმედებას. მაშასადამე, ფონეტიკა სწავლობს ენას ფიზიოლოგიურად და აკუსტიკურად — ბგერით საშუალებათა სამეტყველო დანიშნულების (ფუნქციის) თვალსაზრისით.

სამეტყველო ბგერათა რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია. მაგალითად, დღევანდელ სალიტერატურო ქართულს აქვს 33 სამეტყველო ბგერა ანუ ფონემა. სამეტყველო ბგერების საშუალებით

ურთიერთობას ეწოდება სიტყვიერი ურთიერთობა ანუ ბგერითი მეტყველება.

ბგერითი მეტყველება მდგომარეობს არა მხოლოდ წარმოთქმაში, არამედ აგრეთვე გაგონება-გაგებაშიც. ფონეტიკას, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინას, ეკისრება სამეტყველო ბგერების შესწავლა მათი წარმოთქმა-გაგონებისა და, მაშასადამე, მათი სოციალური დანიშნულების თვალსაზრისით.

სამეტყველო ბგერის მეორე სახელწოდებაა ფონემა. თუ სამეტყველო ბგერის განხილვისას მხედველობაში აქვთ უმთავრესად ბგერის ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თვისებები, მაშინ ხმარობენ პირველ ტერმინს (ბგერა), ხოლო თუ გახაზავენ რომ ესა თუ ის ბგერა სამეტყველოა, მაშინ ხმარობენ მეორე ტერმინს — ფონემას.

ფონეტიკა და ფონოლოგია. ტერმინი „ფონეტიკა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან ფონე 'ხმა', საიდანაც უწარმოებიათ ზედსართავი ფონეტიკოს 'სახმო, ხმის შესახებ რამ'. იმავე ფონე-დანაა ნაწარმოები ფონემა, რაც ძველ ბერძნულად ნიშნავს 'ხმა, ბგერა'.

დღეს ენათმეცნიერებაში ტერმინი ფონეტიკა იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. ვიწრო მნიშვნელობით საკუთრივ ფონეტიკის საგნად თელიან სამეტყველო ბგერის არტიკულაციურ — აკუსტიკურ შესწავლას. მაგალითად, ქართულის ბ ბგერა შეისწავლება მისი არტიკულაციურ-აკუსტიკური თვისებების მიხედვით როგორც: ა) წყვილბაგისმიერი, ბ) მელერი, გ) ხშული ბგერა, 2. ფართო მნიშვნელობით ფონეტიკის საგანია იგივე, რაც საკუთრივ ფონეტიკისა, და ამასთანავე ამის საფუძველზე — სამეტყველო ბგერის ანუ ფონემის ფუნქციის შესწავლა. მაგ. იგივე ბ შეისწავლება, ერთი მხრივ, არტიკულაციურ-აკუსტიკურად, მეორე მხრივ — როგორც სიტყვათგანმასხვავებელი ერთეული. ფონემა: ბ, როგორც წყვილბაგისმიერი, უპირისპირდება დ-ს და განასხვავებს მაგ., სიტყვას „ბარი“ სიტყვისაგან „დარი“, დ როგორც მელერი უპირისპირდება თ, ტ-ს და განასხვავებს სიტყვას „დარი“ სიტყვისაგან „თარი“, „ტარი“; იგივე დ, როგორც ხშული, უპირისპირდება ლ-ს და განასხვავებს, მაგ., სიტყვას „აღებს“ სიტყვისაგან „აღებს“. მაშასადამე, არსებობს ერთი და იმავე ობიექტის (სამეტყველო ბგერის) შესწავლის ორი ასპექტი: არტიკულაციურ-აკუსტიკური ანუ საკუთრივ ფონეტიკური და ფუნქციონალური.

მეორე (ფუნქციონალური) ასპექტით ბგერის შესწავლის საჭიროება ჩანს, მაგ. შემდეგიდან: ქართული გ და რუსული г, პირველი ასპექტით, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან (ორივე უკანა ენისმიერია, ორივე მელერია და ორივე ხშული). მაგრამ ფუნქციონალურად

(დისტინქტურობით) ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ქართულ გ-ს სამივე თვისება გამოყენებული აქვს დისტინქტურად: გ ე რ ი — ბ ე რ ი, გ ე რ ი — ქ ე რ ი, ა გ ე ბ ა — ა ლ ე ბ ა. ხოლო რუსული რ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისტინქტურად მხოლოდ თავისი ორი თვისებით: უკანანისმიერებით და მკლერებითა.

მისი მესამე თვისება (ხშულობა) გამოუყენებელია, რადგანაც რუსულს არა აქვს ფონემა „ლ“ (=ყ): რუსულისათვის სულერთია, როგორ ვიტყვი: რუსხ თუ ყრუსხ — მნიშვნელობა ერთია — 'ბატი'. ქართულისათვის კი ასეთი დაპირისპირება სიტყვათა განმასხვავებელია. გერი — ღერი.

სამეტყველო ბგერის ამ მეორე ასპექტით — ფუნქციონალურად შესწავლას — დაერქვა „ფონოლოგია“.

კერძო და ზოგადი ფონეტიკა. კერძო ფონეტიკის საგანია კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერადობის შესწავლა არტიკულაციურ-აკუსტიკურად და ფუნქციონალურად.

ზოგადი ფონეტიკის საგანს შეადგენს ისეთი ფონეტიკური საკითხების შესწავლა, რომლებიც სცილდება კონკრეტული ენის ბგერითი ფორმის ფარგლებს. ზოგადი ფონეტიკა ემყარება კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერადობის შესწავლას: რაც უფრო მეტი კონკრეტული ენაა შესწავლილი ამ მხრივ, მით უფრო მდიდარია ზოგადი ფონეტიკა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ზოგადი ფუნქციონალური ფონეტიკა, რადგანაც ყოველი კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერები ფუნქციონალურად განსხვავებულია ყოველი სხვა ენის სამეტყველო ბგერებისაგან. ზოგადი ფონეტიკა განსხვავდება კერძოსაგან, როგორც თემატიკურად, ისე საკითხთა განხილვის მოცულობით.

აღწერილობითი და ისტორიული ფონეტიკა. მოცემული ენის სამეტყველო ბგერები შეიძლება შესწავლილ იქნეს 1. აღწერილობითად ანუ სტატიკურად და 2. ისტორიულად ანუ დინამიკურად.

აღწერილობითი ფონეტიკა შეისწავლის სამეტყველო ბგერადობას დროის გარკვეულ მონაკვეთზე: როგორია, მაგალითად, დღევანდელი ქართულის ან ძველი ქართულის რომელიმე პერიოდში ამ ენის ფონემური შედგენილობა, როგორია ფონემათა სისტემა და როგორი დისტინქტური ფუნქციით ხასიათდებიან ისინი, როგორი ბგერათ-ცვლილებებია დამახასიათებელი ამ პერიოდისათვის და ა. შ.

ისტორიული ფონეტიკა შეისწავლის ამავე ფაქტებს განვითარებაში, წინა საფეხურების გათვალისწინებით და მათთან დაკავშირებით. მაგალითად, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გვაქვს ხ აღწერილობითად. „უკანანისმიერი ყრუ სპირანტი“, ისტორიულად კი

მასში ერთმანეთს დაემთხვენენ ძველი ქართულის ხ და კ; მაგალითად. ძვ. ქართ. კელი ნიშნავდა ადამიანის ზედა კიდურს, ხოლო ხელი — გიჟს. დღეს ხ ე ლ ი ნიშნავს ერთსაც და მეორესაც. ისტორიული ფონეტიკის მთავარი მეთოდია შედარებითი მეთოდი.

ფონეტიკის მეთოდები. ცოცხალი ენის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა ეძლევა ცალკეულ ფონემათა სწორად აღწერას. ამისათვის ფონეტიკას აქვს სხვადასხვა მეთოდი.

ყველაზე ძველი და ფართოდ გამოყენებული მეთოდია უშუალო დაკვირვება სმენით, მხედველობითა და კუნთებრივი შეგრძნებით.

ე. წ. ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ ფონეტიკურ კვლევაში შემოიტანა იარაღობრივი დაკვირვება. ფონეტიკაში შემოვიდა ფიზიკასა და ფიზიოლოგიაში ნაცადი გრაფიკული მეთოდი. ამ უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა ბგერის სპექტრალური ანალიზი. ექსპერიმენტული ფონეტიკის საშუალებით შესაძლებელი გახდა მეტყველების უმცირესი ერთეულებისა და ბგერითი ნიუანსების გაზომვა და გამოანგარიშება, რამაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ენათმეცნიერება, კერძოდ — ფონეტიკური მეცნიერება.

⊖ სამეცნიერო ორგანოების აკადემია და მათი ძირითადი ფუნქციები

(არტიკულაციური ფონეტიკა)

მეტყველებისათვის ადამიანი იყენებს სამეტყველო ორგანოებს. სამეტყველო ორგანოები წარმოადგენენ სამ ჯგუფს: 1. სასუნთქი ორგანოები, 2. ხორხი და 3. ხახა — ცხვირ-პირის ღრუები ანუ სუბრაგლოტალური ორგანოები.

სასუნთქი ორგანოები და მათი ფუნქციები. მსოფლიოში არსებულ ყველა ენაში სამეტყველო ბგერების წარმოთქმა ემყარება სუნთქვას. სუნთქვა ბგერათა წარმოთქმის ძირითადი წყაროა. სამეტყველო ბგერა წარმოიქმნება სამეტყველო ორგანოების მოქმედების შედეგად. ბგერა, როგორც წესი, სასუნთქი ორგანოების მოქმედების გარეშე არ იწარმოება.

სასუნთქი ორგანოებია: სასუნთქი მილი, ფილტვები და ღიაფრაგმა.

სასუნთქი მილი შედგება ხრტილოვანი რგოლებისაგან და შიგნიდან დაფარულია ლორწოიანი გარსით; რგოლების უკანა მესამედი აპკოვანია და წარმოადგენს კედელს, რომლითაც სასუნთქი მილი მიდებულობს საყლაპავ მილზე და ამიტომ არ უშლის ხელს საყლაპავი მილის გაფართოებას ყლაპვის დროს. სასუნთქი მილი მოთავსებულია ხორხის ქვეშ, გაივლის გულმკერდის ღრუში და

განშტოვდება ორ ბრონქად, ხოლო ეს ორი ბრონქი განშტოვდება ფილტვებში ბრონქიოლებად. სასუნთქი მილი ატარებს ჰაერნაკადს ფილტვებიდან გარეთ და გარედან ფილტვებისაკენ.

ფილტვები — მარჯვენა და მარცხენა — მოთავსებულია გულმკერდის ღრუში. ფილტვებში მოთავსებულია ბრონქიოლები, რომელთა საშუალებითაც ფილტვებში შედის ან გამოდის ჰაერნაკადი.

ღიაფრაგმა ყოფს ერთმანეთისაგან გულმკერდსა და მუცლის ღრუს. ღიაფრაგმა შეზნეჭილია ქვემოდან (მუცლის ღრუს მხრიდან) და გუმბათისებერ ამოზნეჭილია გულმკერდისაკენ. ღიაფრაგმის შეკუმშვა-მოშვება იწვევს შესუნთქვა-ამოსუნთქვას. შესუნთქვის დროს ხდება ღიაფრაგმის დაწვეა და გულმკერდის ღრუს მოცულობის გადიდება, ხოლო ამოსუნთქვის დროს ღიაფრაგმა ამოიწვეს ზემოთ და გამოიწვევს გულმკერდის ღრუს დავიწროებას.

ხორხი. სასუნთქი მილის ზემოთ მოთავსებულია ხორხი, ლარინგსი (ბერძნ. *larynx*), რომელიც შედგება ბექდისებრი, ფარისებრი და პირამიდისებრი ხრტილებისაგან. ბექდისებრი ხრტილი წარმოადგენს ხორხის ფუძეს. ფარისებრი ხრტილი დაყრდნობილია ბექდისებერ ხრტილზე. იგი წარმოადგენს ორი ოთხკუთხა ფართო ფირფიტების შეერთებას. შეერთების კუთხე წამოშვერილია წინისაკენ — შეტადრე მამაკაცისა. პირამიდისებრი ხრტილები წარმოადგენს ორ პატარა სამწახნაგიან პირამიდისებერ ხრტილს, რომელიც ბექდისებრი ხრტილის ფართო ნაწილის თავზეა მოთავსებული. ისინი მოძრაობენ თავისი ღერძის გარშემო, მათ წინა მორჩზე მიმაგრებულია სახმო სიმები ანუ მბგერი იოგები. სახმო სიმები წარმოადგენს ორ ჰორიზონტალურ ნაოქს; ისინი ელასტიურნი არიან. მათ შეუძლიათ გაგრძელდნენ, დავიწროდნენ, დაიჭიმონ და მოდუნდნენ. სახმო სიმებს ზოგჯერ სახმო ბაგეებსაც უწოდებენ, რადგანაც მათ, ისევე როგორც ბაგეებს, შეუძლიათ სხვადასხვაგვარად მოეწყონ სამეტყველო ბგერის წარმოსათქმელად. სახმო სიმებს შორის ნაპრალს ეწოდება ყია, ხოლო პირამიდისებერ ხრტილს შორის ნაპრალს — ხრტილებშუა ნაპრალი.

მეტყველების დროს შეიძლება გვეკონდეს ყიისა და ხრტილებშუა ნაპრალის სხვადასხვაგვარი მდგომარეობა: თუ ორივე ნაპრალი ოდნავ გახსნილია, ამოსუნთქული ჰაერნაკადი ეხახუნება დაუჭიმავე სახმო სიმების კიდევებს და წარმოქმნის ფშვინვას ანუ ასპირაციას; როცა სახმო სიმები დახშულია და ამოსუნთქული ჰაერნაკადი გააპობს დახშულობას, წარმოიქმნება სახმო სიმების ხშული ბგერა (მაგალითად, მეგრულის *ც* ან გერმანულის ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვა).

სახმო სიმები შესაძლებელია ოდნავ დაშორდნენ ერთმანეთს, ხოლო ხრტილებშუა არე ჩაიკეტოს, ამოსული ჰაერნაკადი პერიოდულად აათრთოლებს დაჭიმულ სახმო სიმებს და წარმოქმნის მუსიკალურ ტონს.

სამეტყველო სუნთქვისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივი სუნთქვის დროს სახმო სიმები შორდებიან ერთმანეთს და ჰაერნაკადი თავისუფლად ამოდის.



დახურული



დახეხილი



შეხეხილი



შეხეხილი

სურ. 1.


ხახა-ცხვირ-პირის ღრუები. ხორხის ზემოთ მოთავსებულია ხახა (ბერძნ. pharynx), რომელიც, ერთი მხრივ, უერთდება პირის ღრუს და, მეორე მხრივ, ცხვირის ღრუს. ბგერის წარმოქმნის დროს ენის ძირი მოქმედებს ხახის კედლის მიმართ.

პირის ღრუ ისაზღვრება ზედა და ქვედა ბაგით (ლათ. labium). ქვედა ბაგე უფრო მოძრავია, ვიდრე ზედა. ზედა და ქვედა კბილების ორი რიგი წარმოადგენს პირის ღრუს უძრავ საზღვარს. თითოეულ რიგშია: ოთხი საჭრელი, ორი საკბეჩი, ოთხი მცირე ძირითადი და ექვსი ძირითადი. ზედა რიგის კბილებს წარმოთქმისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს.

კბილები მოთავსებულია ნუნებში (ლათ. alveoli); ნუნების ზემოთ გვაქვს მაგარი სასა (ლათ. palatum), მას მოსდევს რბილი სასა (ლათ. velum), რომელიც თავდება ნაჩით (ლათ. uvula); რბილი სასა მოძრავია; როცა რბილი სასა ნაჩითურთ აიწევს და მიებჯინება ხახის კედელს, ჰაერნაკადი ცხვირში ვეღარ გაივლის, ხოლო როცა მოღუნებულად დაეშვება ქვემოთ, ჰაერნაკადს უშვებს ცხვირის ღრუში. პირის ღრუში ყველაზე მოძრავია ენა, რომელიც სამ ნაწილად შეიძლება გაიყოს: 1. ენის წვერი (ლათ. apex). 2. ენის ზურგი (ლათ. dorsum), რომელსაც ყოფენ წინა, შუა და უკანა ენად. 3. ენის ძირი, რომელიც მოქმედებს ხახის კედლის მიმართ.

ცხვირის ღრუ ძვეს პირის ღრუს თავზე და მისგან გაყოფილია მაგარი სასის ძვლით. პირის ღრუდან ჰაერნაკადი გადის ცხვირის ღრუში, როცა რბილი სასა ნაჩითურთ დაშვებულია.

აქტიური და პასიური ორგანოები. ყველა ის საწარმოთქმო ორგანო, რომლებიც მოძრავია და მოქმედებენ სხვა ორგანოების მიმართ, იწოდება არტიკულატორად (აქტიურ ორგანოდ), ხოლო საარ-



სურ. 2.

ტიკულაციო წერტილებად იწოდებიან ის (პასიური) ორგანოები, რომლებიც თვითონ არ მოძრაობენ, მაგრამ მათზე მიბჯენით ან მათთან მიახლოებით წარმოითქმება ესა თუ ის ბგერა. ბგერა შეიძლება დაეხასიათოთ როგორც არტიკულატორის, ისე საარტიკულაციო წერტილის მიხედვით.

საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება. საწარმოთქმო ორგანოების სათანადო მოქმედების შედეგად მივიღებთ წარმოთქმის ელემენტებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ ა) არტიკულაცია და ინდიფერენტული მდგომარეობა, ბ) რესპირაცია და ფონაცია, გ) ბგერათ წარმოთქმის სამი მომენტი, დ) საარტიკულაციო ბაზისი და ე) საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილი და რაგვარობა.

არტიკულაცია და ინდიფერენტული მდგომარეობა. არტიკულაცია ეწოდება საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებას ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას. ბგერის აღქმა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა არტიკულაციას ერთვის ჰაერნაკადის სათანადო მოძრაობა.

არტიკულაციისათვის ამოსავალია ინდიფერენტული მდგომარეობა, ე. ი. ის მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ბგერის წარმოთქმას.

ორი ენა ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობით.

რესპირაცია და ფონაცია. სასუნთქ ორგანოთაგან დიაფრაგმა წარმოადგენს კუნთოვან მემბრანას, რომელიც ეხმარება ფილტვებს შეკუმშვა-გაფართოებაში. ჩასუნთქვის (ანუ ინსპირაციის) დროს სასუნთქი მილის გავლით ფილტვები ივსება ჰაერნაკადით, ხოლო ამოსუნთქვის (ანუ ექსპირაციის) დროს ამოსულ ჰაერნაკადს მოძრაობაში მოჰყავს საწარმოთქმო ორგანოები.

ჩვეულებრივი წყნარი სუნთქვა (რესპირაცია) განსხვავდება სამეტყველო სუნთქვისაგან, რომელსაც ფონაცია ეწოდება. რესპირაციის დროს ექსპირაციისა და ინსპირაციის ხანგრძლივობა თითქმის თანაბარია, ხოლო ფონაციის შემთხვევაში ექსპირაცია თანდათანობითია და ინსპირაციასთან შედარებით უფრო ხანგრძლივია. სამეტყველო ბგერათა უმეტესობა წარმოითქმის ექსპირაციით. რესპირაცია ხდება უმეტესად ცხვირით, ხოლო ფონაცია უმეტესად პირით.

ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი არტიკულაციაში უნდა გავარჩიოთ სამი მომენტი: ბგერის შემართვა ანუ ექსკურსია, როცა ბგერის წარმოთქმის დროს ხდება საარტიკულაციო ორგანოების სათანადო შემზადება, საწარმოთქმო ორგანოები გამოდიან იმ ინდიფერენტული მდგომარეობიდან, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის არტიკულაციას.


შემართვას მოსდევს ბგერის წარმოთქმის მომენტი, როცა საწარმოთქმო ორგანოები შეასრულებენ ბგერის წარმოსათქმელად საჭირო მოძრაობას, რასაც ეწოდება დაყოვნება ანუ პრეერვალა.

როცა საწარმოთქმო ორგანოები უბრუნდებიან თავის საწყის მდგომარეობას, ამ მომენტს ეწოდება დამართვა ანუ რეკურსია.

სამივე ეს მომენტი ცალკე ბგერის წარმოთქმის დროს მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. (იხ. სურ. 3).


ამ სქემიდან ჩანს, რომ ბგერის წარმოთქმის დროს ყველაზე ხანგრძლივია დაყოვნების მომენტი, ხოლო რაც შეეხება შემართვისა და დამართვის მომენტებს, ისინი თითქმის თანაბარი ხანგრძლივობისა არიან.

როგორც ცნობილია, ბგერა წარმოითქმის ყოველთვის სხვა ბგერასთან ერთად. ამიტომ აღნიშნული სამი მომენტი გაბმულ მეტყველებაში მკვეთრად არ გამოიყოფა ერთმანეთისაგან.



სურ. 3.

მაგალითად, სიტყვაში დღე ბგერის შემართვა იწყება საწყისი ანუ ინდიფერენტული მდგომარეობიდან და ამიტომ შემართვის მომენტი კარგად ჩანს. მაგრამ ღ ბგერის შემართვა იწყება არა ინდიფერენტული მდგომარეობიდან, არამედ ღ ბგერის ჭერ დაუმთავრებელი დამართვიდან; მომდევნო ღ-ს შემართვამ არ დააყარა ღ-ს თავისი დამართვა დაესრულებინა; თავის მხრივ არც ღ-ს შემართვაა სრული, რადგანაც მომდევნო ე-ს შემართვამ არ დააყარა ღ-ს დამართვა; არც ე-ს აქვს სრული შემართვა, მას აქვს სრული დამართვა. სიტყვა დღე-ს წარმოთქმის მომენტები ჩანს შემდეგი სქემიდან (სურ. 4).



სურ. 4.

როგორც ამ სქემიდან ჩანს, ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი გაბმულ მეტყველებაში მკვეთრად არ გამოიყოფა ერთმანეთისაგან. ერთი ბგერის დაყოვნება ჭერ არ არის დამთავრებული, როცა იწყება მეორე ბგერის შემართვა, ე. ი. დაყოვნება და დამართვა გადაეჭაჭვება ერთმანეთს. ეს პროცესი აღნიშნავს, თუ როგორ გადაეხვებიან ბგერები ერთმანეთს: ერთი ბგერა მეორეზე ახდენს გავლენას და მას აძლევს ისეთ ელფერს, როგორიც თვითონ აქვს, ამის შედეგად ენებში ხდება სხვადასხვა ხასიათის ბგერათცვლილებანი.

საარტიკულაციო ბაზისი. საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება — არტიკულაცია — თავისებური აქვს ყოველ ცალკეულ ენას. ყოველ ცალკეულ ენაში არტიკულაცია ხდება მასში გამომუშავებული ჩვევების შედეგად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამგვარად, ერთი ენის არტიკულაცია ანუ საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება, განსხვავდება მეორე ენის არტიკულაციისაგან — საწარმოთქმო ორგანოების მოქმედებისაგან. გარდა ამისა, შესაძლებელია ის საწარმოთქმო ორგანოები, რომელიც გამოყენებულია ერთი ენის სამეტყველო ბგერის წარმოთქმის დროს, სრულიად არ იქნეს გამოყენებული მეორე ენის სამეტყველო ბგერის წარმოთქმის დროს. მაგალითად, ინგლისურში ინტერდენტალური მქლერი და ყრუ თანხონოვნის წარმოთქმის დროს გამოყენებულია ენის წვერი, რომელიც მოთავსებულია კბილებშუა, რაც ქართულ ნორმალურ წარმოთქმაში არ გვხვდება. რუსულში ლარინგსი და ფარინგსი არ გამოიყენება სამეტყველო ბგერის წარმოსათქმელად, მაშინ როცა ეს საწარმოთქმო ორგანოები ქართულში გამოყენებულია. ფრანგულსა და გერმანულში საწარმოთქმო ორგანოდ ხშირად გამოყენებულია ნაქი (uvula), რაც ქართულ და ზოგ სხვა ენაში ნორმალური ბგერის წარმოსათქმელად არ არის გამოყენებული. წინა ენა ფრანგულში აფრიკატს არ აწარმოებს (საერთოდ ფრანგულს არა აქვს აფრიკატები), მაშინ როცა რუსულსა და ქართულში წინა ენა აწარმოებს აფრიკატებს.

ამა თუ იმ ენის საწარმოთქმო ჩვევებს, რომელიც შემუშავებულია ამ ენის განვითარების მანძილზე და დამკვიდრებულია ამ ენაში ტრადიციით, ეწოდება საარტიკულაციო ბაზისი. საარტიკულაციო ბაზისი ცალკეული ენის ნიშანდობლივია, ამდენად იგი სოციალური მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური. ამას ადასტურებს ის, რომ, მართალია, ორი სხვადასხვა ენის წარმომადგენელს ერთნაირი ფორმის საწარმოთქმო ორგანოები აქვთ, მაგრამ ერთი ენის სამეტყველო ბგერები წარმოთქმის თვალსაზრისით განსხვავდებიან მეორე ენის ბგერათაგან.

საარტიკულაციო ბაზისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ენები და ერთი ენის დიალექტებიც კი.

მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის გამოყენებას უცხოურ ენაზე მეტყველებისას უწოდებენ „აქცენტს“. უცხოური ენის სწორი წარმოთქმის შეთვისება მდგომარეობს საარტიკულაციო ბაზისის დაუფლებაში. სხვა ენის საარტიკულაციო ბაზისის შეთვისება, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, საკმაოდ რთული პროცესია.

საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილი და რაგვარობა. სამეტყველო ბგერის წარმოთქმის დროს ზესადგამ მილში საარტიკულაციო ორგანოების მიერ წარმოიქმნება დაბრკოლება, რომელიც ექსპირაციულმა (ფილტვებიდან ამომდინარე) ჰაერნაკადმა უნდა გადალახოს. ჰაერნაკადის დაბრკოლება ხდება ზესადგამი მილის სხვადასხვა ადგილას. ბგერის წარმოების ადგილად მივიჩნევთ იმ წერტილს, სადაც ხდება ორი საწარმოთქმო ორგანოს დახშვა ან მათი ურთიერთმიახლოებით ნაპრალის შექმნა. ამიტომ უნდა განვიხილოთ საწარმოთქმო (ანუ ბგერის წარმოების) ადგილები და წარმოთქმის (ბგერის წარმოების) რაგვარობანი.

დაბრკოლებათა ადგილები. ბაგეები მოქმედებენ ერთმანეთის მიმართ: წარმოიქმნება წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური (ლათ. *labium* 'ტუჩი', *labialis* 'ტუჩებისმიერი' ბგერები: ბ—ფ—პ.

ქვედა ბაგე მოქმედებს ზედა კბილების მიმართ: წარმოიქმნება ბაგეკბილისმიერი ანუ ლაბიოდენტალური ბგერები: ვ—წ

ენის წვერი კბილების მიმართ: წარმოიქმნება კბილისმიერი ანუ დენტალური (ლათ. *dens* 'კბილი', *dentalis* 'კბილისმიერი') ბგერები დ—თ—ტ.

ენის წვერი ნუნების მიმართ: წარმოიქმნება ნუნისმიერი ანუ ალვეოლარული (ლათ. *alveoli* 'ალვეოლები', *alveolaris* 'ალვეოლარული') ბგერები: ჯ—ჩ—ჭ; ყ—შ და ინგლისური d—t..

ენის წვერი მაგარი სასის მიმართ: წარმოიქმნება ე. წ. ცერებრალური (ლათ. *cerebralis* 'ტვინისა') ანუ კაკუმინალური (ლათ. *cacuminalis* 'მწვერვალისა') თანხმოვნები ძ—ტ. ამ ბგერებს ზოგჯერ რეტროფლექსურს უწოდებენ. ასეთი ბგერები იყო ძველ ინდურში. დღეს აქვს ბენგალურს.

დენტალურს, ალვეოლარულსა და რეტროფლექსურ ბგერებს, რომლებიც ენის წვერის მოქმედებით წარმოიქმნებიან, ეძახიან აპიკალურს (ლათ. *apex* 'წვეტი', *apicalis* 'წვეტისა').

ენის წვერი ზედა კბილების მიმართ ან კბილებს შუა: წარმოითქმის ინტერდენტალური ანუ კბილთაშუა თანხმოვანი, მაგ., ინგლისური *th* (მეღერი და ყრუ): *this* [ðis] 'ეს' *think* [θink] 'ფიქრი'.

წინაენა წინა ნუნების მიმართ: წარმოითქმება წინანუნისმიერი ანუ პრეალვეოლარული: ძ—ც—წ.

შუაენა მაგარი სასის მიმართ: წარმოითქმება შუაენისმიერი, პალატალური (ლათ. *palatum* 'სასა') ბგერები: მაგ.: გერმანული ყრუ *ch*, სიტყვაში *ich*, რუსული მეღერი *j* სიტყვაში *ярко* [japmo] და ძველი ქართული *ღ* სიტყვაში „ღაღ“.

პალატალურ ბგერებს ხშირად მეორე სახელად უწოდებენ რბილს მათი აკუსტიკური შთაბეჭდილების გამო.

უკანაენარბილისასის მიმართ: წარმოითქმება უკანაენისმიერი ანუ რბილსასისმიერი ბგერები: გ—ქ—კ, ღ—ხ. რბილსასისმიერ ბგერებს უწოდებენ აგრეთვე ველარულს (ლათ. velum 'ფარდა სასისა').

უკანაენა ნაქის მიმართ: წარმოითქმება ნაქისმიერი ანუ უველარული (ლათ. uvula 'ნაქი') ბგერა, მაგ., ფრანგული r (grasseyé).

ენისძირი ხახისკედლის მიმართ: წარმოითქმის ხახისმიერი ანუ ფარინგალური (ბერძნ. pharynx 'ხახა') ბგერა კ.

სახმო სიმები ერთმანეთის მიმართ: წარმოითქმის ყელისმიერი ანუ ლარინგალური (larynx 'ხორხი') ბგერები, მაგ., მეგრული ც და ქართული ჰ.

დაბრკოლებათა რაგვარობანი. ბგერის წარმოების რაგვარობას აღნიშნავენ იმის მიხედვით, თუ რა სახის დაბრკოლებას ქმნიან საწარმოთქმო ორგანოები. მაგალითად, ქართულში ჩვენ გვაქვს დაბრკოლებათა ოთხი რაგვარობა: 1. ხშულობა, 2. ნაპრალოვნობა, 3. შეჩეული რაგვარობა და 4. ღიაობა.

ხშულობა. ხშულობა წარმოადგენს ჰაერნაკადის ჩაკეტვას საარტიკულაციო ორგანოებით. საარტიკულაციო ორგანოთა ხშვას მოსდევს განხშვა ანუ „სკდომა“. ხშვა-სკდომის შედეგად გვაქვს ხშულმსკდომი ბგერები. ასეთია, მაგ., ბ—ფ—პ, ღ—თ—ტ, გ—ქ—კ.

ნაპრალოვნობა. ზოგიერთი ბგერის წარმოთქმის დროს საარტიკულაციო ორგანოები ერთმანეთს ძლიერ მიუახლოვდებიან ხოლმე. წარმოიქმნება სხვადასხვა ფორმის ნაპრალი, ამ ნაპრალში გამოივლის ექსპირაციული ჰაერნაკადი და მოგვემს ბგერის აკუსტიკურ ეფექტს ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გავიგონებთ ბგერას. ასეთი რაგვარობით ნაწარმოებ ბგერებს ვეძახით ნაპრალოვნებს ანუ უცხოურად სპირანტებს ან ფრიკატივებს. ნაპრალოვანი ბგერებია: ვ, ზ—ს, ყ—შ, ღ—ხ, პ.

სპირანტები ანუ ნაპრალოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო წარმოების ადგილითა და მქლერობა-სიყრუიო. არამედ იმ ნაპრალის ფორმითაც, რომელშიც გამოედინება ხოლმე ჰაერნაკადი; ნაპრალოვანი ბგერის წარმოთქმისას ნაპრალი შეიძლება იყოს დარისებრ-მომრგვალებული და გასწერივი.

დარისებრ-მომრგვალებული ნაპრალი იწარმოება ჩვეულებრივ ზედა და ქვედა ტუჩებით ერთმანეთის მიმართ და

წინაენით ზედა კბილების მიმართ. ღარისებრ ტუჩებმომრგვალებული ნაპრალით არის ნაწარმოები, მაგალითად, ინგლისური სპირანტი w—სიტყვაში water (wa : ta) „წყალი“. ღარისებრ მომრგვალებული ნაპრალით იწარმოება ზ—ს (სისინა სპირანტები) და ჟ—შ (შიშინა სპირანტები). ჟ—შ-ს წარმოთქმის დროს ენის წვერი აწეულია ზევით და ქმნის მომრგვალებულ ნაპრალს ნუნებთან (ანუ ალვეოლებთან).

გასწვრივი ნაპრალი — ბევრ ადგილას იწარმოება, სახელდობრ: 1. ტუჩებს შუა, ქვედა ტუჩსა და ზედაკბილებს შუა, 2. ენის წვერსა და კბილებს შუა, 3. ენის ზურგსა და მაგარ სასასა შუა, 4. უკანა ენასა და რბილ სასას შუა, 5. ენის ძირსა და ფარინგლის კედელს შუა.

ტუჩებს შუა გასწვრივი ნაპრალი იწარმოება ზედა და ქვედა ტუჩის ერთმანეთთან მიახლოებით. ამ ნაპრალით ნაწარმოები სპირანტი იშვიათია; მათ შეიძლება ეწოდოს ბილაბიალური; გვხვდება მელერის სახით, მაგ., ესპანურ სიტყვაში caballo 'ცხენი'.

ქვედა ტუჩსა და ზედა კბილებს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ქართული ვ და რუსული в—ф.

ენის წვერსა და კბილებს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება, მაგ. ინგლისური ინტერდენტალური ანუ კბილთაშუა სპირანტი ყრუ [th] სიტყვაში thin — 'გამხდარი, თხელი' — და მელერი [th] სიტყვაში there 'იქ'.

ენის ზურგსა და მაგარ სასას შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ის შუაენისმიერი სპირანტი — მელერი და ყრუ, რომელიც აქვს გერმანულს სიტყვებში ich, sich, jeder, ja, ყრუ გამოიხატება ch ნიშნით, მელერი — j, პირველს ეძახიან Ich-Laut-ს, რადგანაც იგი გვხვდება მეტწილად წინა რიგის ხმოვანთა და თანხმოვანთა შორის.

უკანა ენასა და რბილ სასას შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება ქართული ლ—ხ.

ენის ძირსა და ფარინგის უკანა კედელს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება, მაგ.: აფხაზურის ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტები — ყრუ და მელერი: ჰი — ჭი, მაგ. სიტყვებში: ა'ჰია 'ხმალი', აჰია 'მშრალი'.

შერეული რაგვარობა (რთული რაგვარობა). შერეული რაგვარობის ბგერებს ვეძახით ისეთებს, რომლებიც შეიცავენ ხშვასა და ნაპრალოვნობას ერთი ბგერის ფარგლებში. ასეთებია: ა) აფრიკატები, ბ) ვიბრანტები, გ) ლატერალები და თ) ნაზალები.

აფრიკატები. (d—ც—წ, ჯ—ჩ—ჭ) ხშულ-ნაპრალოვანი ბგერებია (ლათ. affricare 'ხეხვა'). ყოველი აფრიკატი ჩვეულებრივ შედგება ორი კომპონენტისაგან; ხშული + ნაპრალოვანი: d < დ + ზ, ც < თ + ს, წ < ტ + ს, ჯ < დ + ე, ჩ < თ + შ, ჭ < ტ + შ.

აფრიკატის თითოეული კომპონენტი რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი: აფრიკატი იწყება ხშვით და სკდომის მოუხდენლად გადადის ნაპრალისებურ გაგრძელებაში.

მიუხედავად მეორე კომპონენტის ნაპრალოვნობისა, აფრიკატი, ისე როგორც მარტივი ხშული, წარმოითქმის მეყსეულად.

ვიზრანტები. ვიზრანტის ანუ მთრთოლის (მაგ. ქართული რ) წარმოთქმისას ხდება დაკვიმულ ენის წვერის ვიზრაცია ნუნების მიმართ. არის ისეთი რ, რომლისთვისაც თრთის ნაჭი და არა ენის წვერი. ასეთია ფრანგული „მოქცეული“ (картавыи, ფრანგ. grasscyé) რ, რომელიც უუულარული ანუ ნაქისმიერი ბგერაა.

ლატერალები. ლატერალური (ლათ. latus 'გვერდი'. lateralis 'გვერდითი') ანუ გვერდითი თანხმოვანია ქართული ლ, რომლის წარმოთქმისას წინაენა ებჯინება ზედა კბილებს, ეხება რა თავისი ქვედა კიდით ქვედა კბილებსაც, ხოლო ჰაერნაკადი გამომდინარეობს ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შუა შექმნილი ნაპრალიდან. ჩვეულებრივ ლ ბილატერალურია ანუ ორგვერდითი, ე. ი. ჰაერი გამომდინარეობს ორივე გვერდიდან. შესაძლებელია ჰაერნაკადი გამოედინებოდეს ცალი გვერდის გზით, მაშინ გვექნება უნილატერალური ანუ ცალგვერდითი ლ.

ნაზალები. ნაზალები ანუ ცხვირისეული ბგერებია ქართული მ—ნ. მათი წარმოთქმის დროს რბილი სასა დაშვებულია, ამიტომ ჰაერნაკადის ნაწილი გადის ცხვირის ღრუს გზით.

ლიაობა. საწარმოთქმო დაბრკოლების მეოთხე რაგვარობა ლიაობაა. ლიაობა წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოებს შორის მეტ-ნაკლები მანძილის არსებობას. ლია ბგერებად ითვლება ხმოვნები; „ნახევარხმოვნები“ — მცირე ლიაობის მქონედ. ხმოვნები (მაგ., ქართული ა, ე, ი, ო, უ) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ლიაობის სიდიდით, არამედ ლიაობის მოყვანილობითაც. „ნახევარხმოვნები“ (მაგ., ქართული მ, ჯ) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხმოვნებისაგან ლიაობის სიდიდით და მოყვანილობით.

დაბრკოლებათა ადგილისა და რაგვარობის აღმნიშვნელი ტერმინები. საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილისა და რაგვარობის განხილვისათვის საჭიროა განვმარტოთ შემდეგი ტერმინები: 1. ჰომორგანულობა და ჰეტერორგანულობა, 2. ჰომოგენურობა და ჰე-

ტეროგენურობა (ბერძნული ჰომოს ნიშნავს 'მსგავსი', ჰეტეროს 'განსხვავებული, სხვადასხვა', გენოს 'წარმოქმნა, წარმოშობა').

1. ჰომორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც ერთი და იმავე საარტიკულაციო ორგანოებით იწარმოებიან, მაგ., ბ—ფ—პ და მ ერთმანეთის ჰომორგანულია.

2. ჰეტერორგანულია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომლებიც სხვადასხვა საარტიკულაციო ორგანოებით იწარმოებიან, მაგ.: ბ და გ; გ და დ; და ა. შ.

3. ჰომოგენურია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომელთაც ერთნაირი რაგვარობა აქვთ. მაგ.: ბ—ფ—პ—, დ—თ—ტ (ყველა ხშულია), ზ—ს, ღ—ხ (ყველა ნაპარალოვანია).

4. ჰეტეროგენურია ერთმანეთის მიმართ ის ბგერები, რომელთაც სხვადასხვა რაგვარობა ახასიათებს მაგ.: დ—ზ. თ—ს (პირველნი ხშულებია, მეორენი — ნაპარალოვნები).

8. აპუსტიკური ფონეტიკა

მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში განსაკუთრებით განვითარდა იარაღობრივი ანუ ექსპერიმენტული მეთოდი, შეიქმნა ელექტრო-აქუსტიკური იარაღები, რაც შესაძლებლობას იძლევა ზუსტად იქნეს შესწავლილი სამეტყველო ბგერის ფიზიკური მხარე.

ბგერის შესწავლას ზოგადთეორიული თვალსაზრისით აწარმოებს ფიზიკის დარგი აკუსტიკა, ხოლო აქუსტიკური ფონეტიკა განიხილავს სამეტყველო ბგერის ფიზიკურ ნიშნებს, რითაც ერთი სამეტყველო ბგერა განსხვავდება მეორისაგან.

ბგერა არის ჰაერის ნაწილაკთა განსაზღვრული რხევითი მოძრაობა-ვიბრაცია, რაც მიიღება ამა თუ იმ სხეულის რხევითი მოძრაობის შედეგად. რხევა მდგომარეობს სხეულის ან ჰაერის ნაწილაკის გარკვეული წერტილიდან გაქანებაში ჯერ ერთ მხარეს, შემდეგ სხეული უბრუნდება იმავე წერტილს, გაქანდება მეორე მხარეს და ისევ უბრუნდება ამოსავალ წერტილს; შემდეგ ისევ გაქანდება მეორე მხარეს და ისევ უბრუნდება ამოსავალ წერტილს და ა. შ.. ბგერის წარმოსაქმნელად საჭიროა, ერთი მხრივ, მერხვეი სხეული, რომელიც უნდა მოვიყვანოთ რხევითს მოძრაობაში, და, მეორე მხრივ, გარემო, რომელიც წარმოადგენს ბგერისათვის გამტარ საშუალებას სასმენ ორგანომდე, ასეთ გარემომცველ გარემოს წარმოადგენს ჰაერი, რომელსაც გადაეცემა ფიზიკური სხეულის ესა თუ ის რხევითი იმპულსები. უჰაერო გარემოში ბგერა არ გავრცელდება, არ გაიგონება. ბგერის წარმომქმნელი ვიბრაციები მოქმედებენ ბგერის გამტარ გარემოზე და იწვევენ ჰაერის ნაწილაკთა მოძრაობას —

ვიბრაციას; ეს მოძრაობები მეორდება და გრძელდება მანამ, სანამ ბგერის წარმომქმნელი სხეული არ შეწყვეტს მოძრაობას. ჰაერის ნაწილაკთა ვიბრაციები, თავის მხრივ, ხვდება დაბრკოლებას, და თუ დაბრკოლება ვიბრაციის მიმართ მგრძნობიარეა და მისი მოძრაობაში მოყვანა არ არის ძნელი, იგი ბიძგის გავლენით დაიწყებს ვიბრირებას; ამისი კარგი მაგალითია ტელეფონისა და მიკროფონის მემბრანები; ადამიანისათვის ასეთ მემბრანას წარმოადგენს ყურის აკვი, მისი გავლით რხევები გარდაიქმნებიან ნერვულ იმპულსებად, რომლებიც, თავის მხრივ, გადაეცემათ ტვინს და აღიქმებიან მსმენელის მიერ როგორც ბგერა.

ბუნებაში არსებული ყველა ვიბრაცია არ აღიქმება როგორც ბგერა ადამიანის სასმენი ორგანოს მიერ. ამის მიზეზია ბგერის ფიზიკური ნიშან-თვისებები. ბგერებს, რომელთა რხევით მოძრაობებს ადამიანის სასმენი ორგანო ვერ შეიგრძნობს, ეწოდებათ ინფრაბგერები და ულტრაბგერები. ინფრაბგერები ის ბგერები, რომელთაც 16-ზე ნაკლები რხევა აქვთ წამში, ხოლო ულტრაბგერები ის ბგერები, რომელთა რხევა 20.000 რხევას აღემატება წამში.

ბგერა შეიძლება აღვიქვათ როგორც ტონი ან როგორც ჩქამი. თუ სხეული და ამის გამო ჰაერნაწილაკები ირხევა პერიოდულად, აღვიქვამთ ტონს, ხოლო თუ სხეული და ამის გამო ჰაერის ნაწილაკები ირხევა არაპერიოდულად, აღვიქვამთ ჩქამს. მუსიკალური ინსტრუმენტის ბგერა ხასიათდება ტონით; სამეტყველო ბგერათაგან ხმოვნები ტონიერია; მკლერ თანხმოვნებში ტონიცაა და ჩქამიც, ხოლო ყრუ თანხმოვნებში მხოლოდ ჩქამია, ისინი ჩქამიერნი არიან. ჩქამიერია აგრეთვე ყოველი ბგერა, რომელიც წარმოითქმის ჩურჩულით.

ბგერას აკუსტიკური თვალსაზრისით ახასიათებს 1. სიმაღლე, 2. ხანგრძლივობა, 3. სიძლიერე, 4. ტემბრი.

ბგერის სიმაღლე. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია რხევათა სიხშირეზე: რაც უფრო მეტი პერიოდული რხევა გვაქვს წამში, მით უფრო მაღალია ბგერა. ბგერის სიმაღლე უკუპროპორციულია სიმის სიგრძისა, რაც იმას ნიშნავს, რომ, რაც უფრო მოკლეა სიმი, მით უფრო მაღალია ბგერა, მოზრდილი ადამიანის ხმა უფრო დაბალია ბავშვის ხმაზე, მოზრდილის სახმო სიმები უფრო გრძელია, მსხვილი და მკვრივი, ვიდრე ბავშვისა. ქალის სახმო სიმები უფრო მოკლეა მამაკაცისაზე, ამიტომ ქალის ხმა შედარებით მაღალია. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია აგრეთვე სიმის სიძსხოსა და მის დაჭიმულობაზე. სიმის დაჭიმულობის შეცვლის შედე-

გად ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ სხვადასხვა სიმაღლის ტონი. რაც უფრო დაჭიმულია სიმი, მით უფრო მაღალია ტონი; სახმო სიმები, ისევე როგორც ჩვეულებრივი სიმი, შეიძლება იყოს დაჭიმული და მოღუნებული, დაგრძელებული და დამოკლებული, რაც საშუალებას იძლევა სახმო სიმების შემწეობით ვაწარმოოთ სხვადასხვა სიმაღლის სამეტყველო ბგერა.

სიმაღლე ახასიათებს ტონს, ვინაიდან მისი რხევები პერიოდულია; რაც შეეხება ჩქამს, მისი აბსოლუტური სიმაღლის გაზომვა შეუძლებელია.

ბგერის სიმაღლე იზომება რხევათა რიცხვით ერთ წამში (რხევის ერთი პერიოდი ერთ წამში არის რხევის სიხშირის ერთეული ანუ ჰერცი). ერთი ჰერცი უდრის მერხევი საგნის ერთ მთლიან რხევას ერთ წამში (სეკუნდში).

ბგერის ხანგრძლივობა. ბგერის ხანგრძლივობა განისაზღვრება იმ დროის მონაკვეთით, რომლის განმავლობაშიც გვესმის ესა თუ ის ბგერა; ის დრო, რომელიც გადის მერხევი სხეულის უძრავობის მდგომარეობიდან გამოსვლის მომენტიდან უძრავ მდგომარეობაში დაბრუნების მომენტამდე, არის რხევის ხანგრძლივობა. მეტყველებისათვის არსებითია ბგერის შეფარდებითი ხანგრძლივობა.

სამეტყველო ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეტნაკლები ხანგრძლივობით. ქართული ენის ხშულ-მსკდომი თანხმოვნები, რომელთაც მეყსეული თანხმოვნები ჰქვია (ბ—ფ—პ, დ—თ—ტ, ძ—ც—წ, ჯ—ჩ—ჭ, გ—ქ—კ—ყ), ნაკლები ხანგრძლივობისანი არიან. ხანგრძლივობით ეს ბგერებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ფ—40 მს, ტ—40 მს, ც—95 მს, გ—70 მს და ა. შ.). მათგან განსხვავებით, თუ შევარხევთ სხეულს იმგვარად, რომ რხევა გრძელდებოდეს უწყვეტლივ გარკვეულ ხანს, ჩვენ შევიგრძნობთ გრძლივ, მყოვარ ბგერას. ასეთია, მაგალითად, ვიოლინო, სასულე საკრავი და ა. შ.. სამეტყველო ბგერათაგან ასეთებია ის ბგერები, რომელთა წარმოთქმა შეიძლება გავაგრძელოთ უწყვეტლივ გარკვეული დროის მონაკვეთში, ასეთია ხმოვნები (ა—ე—ი—ო—უ), სონორები (რ—ლ—მ—ნ) და ნაპრალოვანი თანხმოვნები (ვ—, ზ—ს, ყ—შ, ღ—ხ, ჰ—); ეს ბგერებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხანგრძლივობით, მაგალითად, ორმარცვლიან სიტყვებში სონორ თანხმოვანთა ზაშუალო ხანგრძლივობა შემდეგია: რ—66,3 მს, ლ—88,5 მს, მ—91,2 მს, ნ—89,2 მს; ხმოვნებისათვის საშუალო ხანგრძლივობა

1 მს=მილისეკუნდი (ე. ი. წამის მეათასედი).

შემდეგ სურათს გვაძლევს: ა — 113,4, ი — 105,5, ო — 114,4, ე — 115,7, უ — 120 მს.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, ყოველი ენისათვის ხმოვნის საშუალო ხანგრძლივობა ასე თუ ისე მუდმივი ოდენობაა.

მეტყველებისათვის მნიშვნელობა აქვს ბგერის იმ ხანგრძლივობას, რომელიც განასხვავებს ერთმანეთისაგან ორ გამონათქვამს. ესაა ბგერის სიგრძე-სიმოკლე ანუ ბგერის რაოდენობა, უცხოურად კვანტიტეტი.

ბგერის ინტენსივობა ანუ ბგერის სიძლიერე. ბგერის ინტენსივობა ანუ სიძლიერე დამოკიდებულია მერხევი სხეულის რხევათა გაქანების სიდიდეზე, ანუ ამპლიტუდაზე. რაც უფრო დიდია მერხევე ნაწილაკთა გაქანება, მით უფრო ძლიერია ბგერა.

ბგერის სიძლიერე დამოკიდებულია ბგერის სიმაღლეზე, სხეულის სიდიდეზე და სახმო სიმების ამპლიტუდაზე.

ბგერის სიძლიერე პირდაპირ პროპორციულია ამპლიტუდის კვადრატისა (მაგალითად, თუ გაქანება გადიდდა ორჯერ, სიძლიერე შოიმატებს ოთხჯერ, თუ გადიდდა ოთხჯერ, სიძლიერე შოიმატებს ოცექვსმეტჯერ და ა. შ.); ეს მიმართება არ შეიცვლება მანამ, სანამ ტონის სიმაღლე უცვლელია.

სამეტყველო ბგერის სიძლიერე საფუძვლად უძევს ენებში გავრცელებულ მახვილს, რომელსაც ეწოდება დინამიკური მახვილი.

ბგერის ტემბრი ანუ ბგერის ელფერი. ბგერის ტემბრი ანუ ელფერი განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა საკრავის ხმას. სამეტყველო ბგერები და მათ შორის უფრო მეტად ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტემბრით.

ფიზიკური სხეული, რომელიც გვაძლევს ბგერითს რხევებს, შეიძლება ირხეოდეს ქანქარისებრ და გვაძლევდეს მარტივ ტონს. მარტივ ტონს ტემბრი არ ახასიათებს. მარტივი ტონით ხასიათდება კაშერტონი, ხოლო როცა ფიზიკური სხეული ირხევა არა მარტო მთლიანად, არამედ თავისი ნაწილებითაც, იგი გვაძლევს რთულ ტონს; როგორც მთლიანი, ის გადმოსცემს ძირითად ტონს, ხოლო მისი ნაწილები — მასზე უფრო მაღალ ტონებს, რომელთაც ეწოდებათ ობერტონები (თანატონები). მაგალითად, თუ სიმი მთლიანად ირხევა 30 ჰერ. ფარგლებში, მისი ნაწილების რხევათა სიხშირე იქნება 60, 120, 240, 480 და ა. შ.

ობერტონები ხასიათდებიან უფრო დიდი სიხშირით, ვიდრე ძირითადი ტონი. ობერტონები ანიჭებენ ბგერას იმ თვისებას, რითაც ერთი სამეტყველო ბგერა განსხვავდება მეორისაგან.

აკუსტიკაში ფართოდაა გამოყენებული ჰარმონიკის ცნება. თუ ტონები ხასიათდება რაღაც სიხშირეებით, რომლებიც მთელ რიცხვჯერ მეტია ან ნაკლები მოცემული ტონის სიხშირეზე, ასეთი ტონებს ეწოდებათ ჰარმონიკები (ჰარმონიული ტონები). თუ გვაქვს ბგერები, რომელთაც ახასიათებთ 220 ჰერცის და 440 ჰერცი სიხშირე და მათ ერთდროულად ავაქლერებთ, მიღებული ბგერები იქნება ჰარმონიული. ასეთი აკუსტიკური შთაბეჭდილება იქმნება იმ შემთხვევაში, როცა ბგერების სიხშირეებს შორის არსებობს მარტივი შეფარდება: მაგალითად, 1:2, 2:3, 3:4 და ა. შ.

ბგერის ხასიათი დამოკიდებულია არა მარტო ობერტონების რიცხვზე და სიხშირეზე ძირითადი ტონის მიმართ, არამედ ყველა ტონის ამპლიტუდების შეფარდებაზე: მაგალითად, თუ ძირითადი ტონის სიხშირე 60 ჰერცია, ხოლო ჰარმონიული ობერტონების სიხშირე უდრის 120, 240, 480 ჰ. და ა. შ., ამ სიხშირეების ამპლიტუდის სხვადასხვაგვარი შეფარდება, ობერტონის ამპლიტუდის შემცირება ან გაზრდა, შეცვლის ბგერის ხასიათს.

ტონის სიმაღლე განისაზღვრება ძირითადი ტონის რხევათა სიხშირით, ხოლო ობერტონები ბგერას ანიჭებენ სხვადასხვა ტემბრს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ პირველი ოქტავის do , რომელსაც 256 ორმაგი რხევა აქვს, სხვადასხვა ინსტრუმენტზე სხვადასხვა ტემბრის (ელფერის) მუსიკალურ ბგერას გამოსცემს. განსხვავება ობერტონებში არის განსხვავება ტემბრში.

თუ გვაქვს 100, 200, 300 სიხშირეების მქონე კამერტონი და ავაქლერებთ მეოთხე კამერტონს, რომელიც 300 რხევიანია, მისი რხევა გადაეცემა მესამე კამერტონს და ააქლერებს მას, ხოლო დანარჩენი 100, 200 რხევიანი კამერტონები უძრავად დარჩება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ორ სხეულს აღმოაჩნდა საერთო ერთი ან რამდენიმე პარციალური ტონი (პარციალური ტონი ეწოდება რთული ტონის შექმნაში მონაწილე ყველა ტონს, ძირითადსა და თანატონებს), რომელიც გაძლიერდა რეზონატორში. რეზონატორად იწოდება ის სივრცე (მაგალითად, როიალისათვის ან ვიოლინოსათვის ის ჩარჩო, რომელშიც მოთავსებულია სიმები), რომელშიც ხდება თანარხევა ანუ რეზონანსი. რეზონატორს შეიძლება ჰქონდეს ობერტონი, რომელიც შეესატყვისება მერხვევი სხეულის ობერტონს და რომელიც გაძლიერდება მასში.

სამეტყველო ბგერებისათვის ასეთი რეზონატორია სუპრაგლოტალური (ხახა-ცხვირ-პირი) ორგანოები. გლოტალური ტონი, რომელიც წარმოიქმნება სახმო სიმებში, გადადის სუპრაგლოტალურ ორგანოებში და შესაბამისად ხდება ამ ტონის გაძლიერება აღნიშ-

ნულ ორგანოებში: სუპრაგლოტალური ორგანოების თითოეულ მდგომარეობას შეესაბამება გარკვეული ჰარმონიკები, რაც ქმნის ამა თუ იმ ბგერის სხვადასხვაგვარ ტემბრს (ელფერს). გლოტალური ტონი ძირითადად განსხვავდება იმ ტონისაგან, რომელიც ძლიერდება სუპრაგლოტალურ ორგანოებში. მეტყველების პროცესში სუპრაგლოტალურ ორგანოებში ძლიერდება რთული გლოტალური ტონებიდან მხოლოდ ის პარციალური ტონები, რომელთა რხევების სიხშირეები ემთხვევა აღნიშნული რეზონატორების რხევათა სიხშირეებს.

ბგერის იმ პარციალურ ტონს, რომელიც ძლიერდება ამა თუ იმ რეზონატორის გავლენით, ეწოდება ფორმანტა. ფორმანტა არის ბგერის სპექტრში ენერჯიის კონცენტრაციის არე. ფორმანტა, რომელიც აუცილებელია ბგერათა ამოცნობისათვის, იწოდება ნამდვილ ფორმანტად. ცრუ ფორმანტები კი ზოგჯერ პირიქით ხელს უშლიან ბგერათა ამოცნობას და შედიან წარმოთქმის ინდივიდუალურ მახასიათებლებში.

ფორმანტებით ხასიათდებიან ძირითადად ხმოვნები. სპექტროგრაფის საშუალებით ხმოვნის სტრუქტურისა და ფორმანტთა რაოდენობის დადგენა არის თანამედროვე ექსპერიმენტული ფონეტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

ელექტრული სპექტროგრაფის გამოყენებით მიღებულია ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ენების ფორმანტული შედგენილობისა. სპექტროგრაფის საშუალებით შესწავლილია ხმოვანთა სპექტრალური მონაცემები რუსული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული და ქართული ენებისათვის. გამოირკვა, რომ ხმოვნების აკუსტიკური დახასიათებისათვის მნიშვნელობა აქვს ფორმანტების განლაგებას. მაგალითად, თუ სპექტროგრამაზე ჰარბობს ცენტრალური ფორმანტები, ბგერა კომპაქტურია, ხოლო დიფუზურია ბგერა, რომლის სპექტრი გვიჩვენებს, რომ ჰარბობს არაცენტრალური ფორმანტები. ბგერის აკუსტიკური ნიშნები—კომპაქტურობა და დიფუზურობა შემოიქანა ფონეტიკაში რიაკობსონმა. ხმოვნების შემთხვევაში კომპაქტურია ა, როდესაც პირველი და მეორე ფორმანტა ახლოსაა ერთმანეთთან, ხოლო დიფუზურია ი და უ, როდესაც ფორმანტები დაცილებულია ერთმანეთს.

ამგვარად, ხმოვნების შემთხვევაში ყველაზე დაბალი აწეულობის ხმოვანი არის ყველაზე კომპაქტური, ხოლო რაც უფრო მატულობს აწეულობა, მით უფრო დიფუზურია ხმოვანი.

გარდა ამისა, თუ მეორე ფორმანტა ახლოა პირველთან, ისე რომ სპექტროგრამაზე დომინირებს ქვედა ნაწილი, მაშინ მივიღებთ და-

ბალი ტონალობის ფონემას, ხოლო თუ მეორე ფორმანტა ახლოა მესამე ან უფრო მაღალ ფორმანტებთან, ვიღებთ მაღალი ტონალობის ფონემას. ხმოვნების შემთხვევაში უკანა რიგის ხმოვნები არის დაბალი ტონალობის, წინა რიგის—მაღალი ტონალობისა.

4. ბგერათა კლასიფიკაცია

სამეტყველო ბგერათა ყველაზე ძველი კლასიფიკაციაა მათი დაყოფა ორ ჯგუფად: თანხმოვნებად და ხმოვნებად.

ძველი საბერძნეთის ტრადიციული სასკოლო გრამატიკების გავლენით ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა ცნებები — ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი (vocalis, consonans, semi-vocalis). ტერმინი „ხმოვანი“, ისევე როგორც ტერმინი „თანხმოვანი“, არაა ზუსტი. ტერმინი ხმოვანი მართებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მიუთითებს ხმის უპირატესობაზე ხმოვანთა წარმოქმნაში, მაგრამ ნამდვილ საკლასიფიკაციო ნიშნად ის არ გამოდგება, თუ არა პირობითად, რადგანაც: 1. ხმოვანი შეიძლება ჩურჩულითაც, ე. ი. უხმოდ წარმოიქმნას, 2. ხმის უპირატესობა გვაქვს აგრეთვე სონორულ თანხმოვნებში (რ—ლ—მ—ნ), მაგრამ ესენი თანხმოვნები არიან,

ხმოვანი იწარმოება უმთავრესად ხმის გამოღებით. შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი ჩქამნარევი ხმის (სონორულ თანხმოვნებში) ან ხმანარევი ჩქამის (მჟღერ თანხმოვნებში) ან მხოლოდ ჩქამის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას: თანხმოვნები დინამიკური წარმოების ბგერებია, ხმოვნები შედარებით სტატიკურისა.

ტერმინით „ნახევარხმოვნები“ აღინიშნებიან ბგერები, რომლებიც ხმოვნისა და თანხმოვნის მიჯნაზე არიან. ნახევარხმოვნებად ითვლება მაგ.: ქართული **ჟ** და **ჭ** (ზოგჯერ **ჯ**-ს სახითაც გამოიხატება), რუსული **ж**.

სამეტყველო ბგერათა მჟღერობა-სიყრუე. ბგერათა კლასიფიკაციის ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოდგება სამეტყველო ბგერის ელერით თუ ყრულ წარმოთქმის თვისება, რომელსაც მჟღერობა-სიყრუე ეწოდება. ამ თვისების მიხედვით სამეტყველო ბგერები იყოფა ორ ჯგუფად: მჟღერებად და არამჟღერებად (ანუ ყრუებად). ქართულში მჟღერი თანხმოვნებია: **ბ—გ—ჯ—დ—ვ—ზ—ლ—მ—**

—ნ—ე—რ—ლ—ძ, ყრუ თანხმოვნებია: თ—კ—ს—ტ—ფ—შ—ჩ—
—ც—ქ—ხ—პ—ჰ—წ—ჭ—ყ.

განსხვავება მელერსა და ყრუ თანხმოვანს შორის იქმნება ხორხში. მელერი ბგერის წარმოთქმის დროს ხდება სახმო სიმების პერიოდული რხევა, ხოლო ყრუ ბგერის წარმოთქმისას სახმო სიმები არაპერიოდულად ირხევიან.

თითოეულ მელერ თანხმოვანს შეიძლება ჰქონდეს მელერობის სხვადასხვა ხარისხი. ბგერა შეიძლება იყოს აბსოლუტურად მელერი ან ნახევრად მელერი ან ერთი მესამედით მელერი და ა. შ.. მაგალითად, ქართულის მელერ თანხმოვნებს რუსულთან შედარებით მელერობის ხარისხი უფრო დაბალი აქვთ. ამიტომაც, რომ ქართულის ბ—დ—გ—ს რუსი ხშირად აღიქვამს, როგორც п—т—к—ს. მაგ., თუ რუსს პირველად ესმის გვარი გაბედავა, შესაძლოა მან გაიგოს Капетава და სხვ.

სამეტყველო ბგერათა სონორობა. აკუსტიკური თვალსაზრისით, სამეტყველო ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეტ-ნაკლები ხმასავესობით ანუ სონორობით. ბგერის სონორობას ქმნის ხმის მონაწილეობა ბგერაში. მაგრამ ეს არ არის ბგერის სონორობის შექმნის ერთადერთი ფაქტორი.

მელერ ბგერებში სონორობით გამოირჩევა ხმოვნები. სხვა პირობების ერთნაირობის დაცვით, რაც უფრო ღიაა ბგერა, მით უფრო სონორია იგი. სონორობის თანდათან ზრდის კვალობაზე ქართული ხმოვნები დალაგდება შემდეგი თანამიმდევრობით: უ—ო—ი—ე—ა. ღიაობას თანხმოვანთა სონორობისათვის აქვს მნიშვნელობა. სხვა პირობების ერთიანობის დაცვით ნაპარალოვანი თანხმოვანი უფრო სონორია, ვიდრე ხშული: ს—მეტად სონორია თ—ზე, ზ—დ—ზე და ა. შ.. მელერ თანხმოვნებში სონორობით გამოირჩევა რ—ლ—მ—ნ. ისინი თავისი ხმასავესობით აღემატებიან ყველა მელერ თანხმოვანს და უახლოვდებიან ხმოვნებს. ზოგიერთ ენაში ისინი გვევლინებიან ხმოვნის ფუნქციით. განსხვავებით ყველა სხვა თანხმოვნისაგან მათ უწოდებენ სონორულ თანხმოვნებს ანუ სონანტებს. სონორულ თანხმოვნებად მიიჩნევენ აგრეთვე ნახევარხმოვნებს ჯ და ჴ (დიალექტში — დედაა, ძმაა, ვარი და სხვ.).

ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი. ხმოვანი (ლათ. vocalis) იწარმოება უმთავრესად ხმის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი (ლათ. consonans) ჩქამნარევი ხმის (სონორულ თანხმოვნებში) ან ხმანარევი ჩქამის (მელერ თანხმოვნებში) ან მხოლოდ ჩქამის გამოღებით შესაფერი საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას.

თანხმოვნები დინამიკური წარმოების ბგერებია, ხმოვნები შედარებით სტატიკურია.

ნახევარხმოვანად (ლათ. *semivocalis*) იგულისხმება ბგერა, რომელსაც საშუალო მდგომარეობა უკავია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის. ასეთია ქართული **ჟ** და **ჟ**.

ხმოვანთა კლასიფიკაცია. ხმოვანთა კლასიფიკაცია ხდება ძირითადად რიგისა და აწეულობის მიხედვით. გამოიყოფა ხმოვანთა სამი რიგი: წინა, შუა და უკანა, და ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური: დაბალი, საშუალო და მაღალი.

ხმოვანთა სამი რიგი. იმის მიხედვით, თუ ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით, ხმოვნის წარმოთქმისას ჩვენ ვასხვავებთ სამი რიგის ხმოვანს: წინა, შუა და უკანა.

წინა რიგის ხმოვნები. წინა რიგის ხმოვნებია, მაგალითად, ქართული [ე] და [ი]; მათი წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და ძვეს ქვედა კბილებთან, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი აიწევეს მაგარი სასის მიმართულებით. ამ ხმოვნებს ეწოდებათ პალატალური (ლათ. *palatum* 'სასა') ანუ მაგარი სასისმიერი ხმოვნები. პალატალურია აგრეთვე ძველი ქართული [ა]. წინა რიგის ხმოვნებია რუსული и, э (e). წინა რიგის ხმოვნისათვის საერთოა ენის ზურგის წინა ნაწილის მიმართულება მაგარი სასისაკენ — წინ და ზევით.

შუა რიგის ხმოვნები. შუა რიგის ხმოვნის წარმოთქმისას ენის ზურგი აიწევა სასისაკენ და დაიხვეს უკან ან სრულიად ნეიტრალურ მდგომარეობაშია: ასეთია ქართული [ა].

შუა რიგის ხმოვანია ის ბგერა, რომელიც საერთაშორისო ანბანში გამოიხატება [ჟ] ნიშნით, მაგ. ინგლისურ სიტყვაში *april* [eɪprɪl] ამ ტიპისაა სვანურსა და მეგრულში არსებული ხმოვანი — ჯ: სვანური მჯერი 'სველი', მეგრული ქერი 'ქორი', 'ცერა' ქალიშვილი და სხვა. შუა რიგის ხმოვნებია აგრეთვე რუსული [ა] და [ი]. შუა რიგის ხმოვანისათვის დამახასიათებელია ენის ზურგის მიმართულება სასისაკენ ვერტიკალურად ან ენის ზურგის ნეიტრალური მდგომარეობა.

უკანა რიგის ხმოვნები. უკანა რიგის ხმოვანთა წარმოთქმისას ენის წვერი დაშვებულია და დაშორებული ქვედა კბილებს, ხოლო ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართულებით. უკანა რიგის ხმოვნებია ქართული **ო** და **უ**. ენის ზურგის უკანა ნაწილი **ო**-სთვის ნაკლებად აიწევა, **უ**-სთვის — მეტად. ამავე რიგისაა ქართული [ვ].

უკანა რიგის ხმოვნებია აგრეთვე რუსული [o] და [y]. უკანა რიგის ხმოვნებისათვის საერთოა უკანაენის მიმართულება რბილი სასისაკენ—უკან და ზევით. ამიტომ უკანა რიგის ხმოვნებს ეძახიან ველარულს ანუ რბილსასისმიერს.

ხმოვანთა აწეულობის სამი საფეხური. იმის მიხედვით, თუ რამდენად აღწევა ენის ზურგის ესა თუ ის ნაწილი ხმოვნის წარმოთქმის დროს, ჩვენ ვასხვავებთ აწეულობის სამ საფეხურს: დაბალი. საშუალო და მაღალი.

დაბალი აწეულობის ხმოვნები. დაბალი აწეულობის ხმოვნებია მაგ.: ქართულში ა; ქართული ა-ს წარმოთქმისას ენა, შედარებით სხვა ხმოვნების წარმოთქმასთან, ძვეს დაბლა. დაბალი აწეულობის ხმოვნებს ჰქვია აგრეთვე ფართო ხმოვნები.

საშუალო აწეულობის ხმოვნები. ქართულში საშუალო აწეულობის ხმოვნებია წინა რიგში [ე] და უკანა რიგში [ო].!

მაღალი აწეულობის ხმოვნები. ქართულში მაღალი აწეულობის ხმოვნებია წინა რიგში ი და უკანა რიგში უ. ამ ხმოვნებს ეძახიან აგრეთვე ვიწრო ანუ დახურულ ხმოვნებს. მაღალი აწეულობისაა აგრეთვე ნახევარხმოვნები [ა] და [ვ].

ხმოვანთა დაქიმულობა. ხმოვნებს ახასიათებს მეტ-ნაკლები დაქიმულობა, მაგრამ არ შეიძლება ერთსა და იმავე ენაში ერთ რომელიმე ხმოვანს ახასიათებდეს დაქიმული წარმოთქმა, მეორეს — არა, ხმოვანთა დაქიმულობით ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგ.: ქართულს ახასიათებს ხმოვანთა დაქიმული წარმოთქმა, რუსულს — მოდუნებული, მეტადრე უმახვილო.

დაქიმული ბგერები წარმოითქმიან დაქიმული სამეტყველო ორგანოებით. რაც უფრო დაქიმულია მუსკულატურა ტუჩებისა, ენისა, ლოყებისა, რბილი სასისა, ფარინგის კედლისა და ა. შ., მით უფრო მკაფიოა, გარკვეულია ეს ხმოვანი და მას მთლიანად ეძლევა ლითონისებრი ბგერის ხასიათი. რაც უფრო რბილია კედლები, ე. ი. რაც უფრო ნაკლებადაა დაქიმული მუსკულატურა, მით ნაკლებია ეს ელფერი და ხმოვანი მთლიანად ისმის ყრუდ.


ხმოვანთა ნაზალიზაცია. ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას პაერნაკალი გამოდის მხოლოდ პირის ღრუს გზით, ეძახიან პირის ეულს ანუ ორალურ ხმოვნებს; ხოლო იმ ხმოვნებს, რომელთა წარმოთქმისას პაერნაკალი გამოდის როგორც პირის ღრუს გზით, ისე ცხვირის ღრუს გზითაც ეძახიან ცხვირის ეულს ანუ ნაზალიზებულ ხმოვნებს.

ნაზალიზებული ხმოვნების წარმოთქმის დროს რბილი სასა ნაქითურთ დაშვებულია და ცხვირის ღრუსკენ შესავალი ღიაა. ასე

რომ ჰაერნაკადის ნაწილი ცხვირის ღრუში გაივლის და იწვევს ნაზალურ ტემბრს. რომელიმე ხმოვნისათვის ნაზალური ტემბრის მინიჭებას ეწოდება ხმოვნის ნაზალიზაცია.

ხმოვანთა ლაბიალიზაცია. ლაბიალიზებულია ისეთი ხმოვნები, რომელთა წარმოთქმისას ტუჩები მეტ-ნაკლებად წინ წამოიწვევა და მომრგვალდება. ასეთი ხმოვნებია ქართულში ო და უ.

ლაბიალიზებულია აგრეთვე გერმანული ხმოვნები ö და ü სიტყვებში Töchter — 'ქალიშვილები' და Brüder — 'ძმები'. ფონეტიკურად ö წარმოადგენს ლაბიალიზებულ e-ს, ხოლო ü — ლაბიალიზირებულ i-ს. თუ ჩვენ ხმაშეუწყვეტლივ წარმოთქვამთ e-ს და ტუჩებს თანდათან მოვამრგვალებთ, მივიღებთ გერმანულ ö, ხოლო i-ხმოვნის ხმაშეუწყვეტლივ წარმოთქმითა და ტუჩების მომრგვალებით მივიღებთ ü-ს.



სურ. 5.

ქართული ენის ხმოვანთა სამკუთხედი. ქართულ ხმოვანთა კლასიფიკაცია მოცემულია ქართულ ხმოვანთა „სამკუთხედის“ სახით (იხ. სურ. 5).

სამკუთხედის მწვერვალზე მოთავსებულია შუა რიგის დაბალი აწეულობის ხმოვანი ა. მარცხენა გვერდზე განლაგებულია წინა რიგის ხმოვნები, მარჯვენაზე — უკანა რიგისა. ა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს ენის აწევისა და მიმართულების განსაზღვრისათვის.

აწეულობის ყველაზე დაბალი საფეხურია ა, საშუალო ე და ო, ხოლო ყველაზე მაღალი ი და უ.

თუ წინა ენა კიდევ უფრო ზევით აიწვევა ე—ი-ს მიმართულებით, მივიღებთ ნახევარხმოვან ა-ს, ხოლო თუ უკანა ენა კიდევ უფრო ზევით აიწვევა ო—უ-ს მიმართულებით, მივიღებთ ნახევარხმოვან უ-ს.

რაც უფრო მაღალი აწეულობისაა ხმოვანი, მით უფრო ვიწროა იგი. ქართულში ყველაზე ვიწრო ხმოვნებია ი და უ.

ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია. ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია წარმოდგენილი გვაქვს სამკუთხედის სქემით და თითოეული ხმოვანი გამოხატულია საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის ნიშნით.

1 y j	ɲ ʌ	ʃ ʌ ʉ
2 v l		ʋ ɣ
3 ø e	ɣ ʉ	o ɘ
4 œ ɛ	ʒ ʌ ɔ	
5 æ		
6 m a d		

სურ. 6.

№ 1. ორი ხმოვნიდან პირველია ძლიერ ლაბიალიზებული წინა რიგის მაღალი აწეულობის ხმოვანი; გვხვდება, მაგ., ფრანგ. tu 'შენ'. გერმან. über.

მეორე ხმოვანია წინა რიგის ყველაზე მაღალი აწეულობის ი; გვხვდება, მაგ., ფრანგულსა და გერმანულში: ფრანგ. cire 'ცივილი', გერმ. vier 'ოთხი' (ie წარმოადგენს გრძელ დაკვირვულ „ი“-ს).

№ 2. პირველია წინა რიგის მაღალი (მაგრამ № 1-ზე ოდნავ დაბალი) აწეულობის, ლაბიალიზებული (ტუჩები ნაკლებად წამოშვერილი; ვიდრე № 1-ში), ხმოვანი გვხვდება, გერმანულში: მაგ., fünf 'ხუთი'.

მეორეა არალაბიალიზებული მაღალი აწეულობის ი; გვხვდება მაგ., გერმანულსა და ინგლისურში: გერმ. dick 'სქელი', მსხვილი; ინგლ. sit 'ჯდომა'.

№ 3. მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის საშუალო აწეულობის ე; ესაა ვიწრო ე, რომელიც არის ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში და რუსულში, მაგ., ფრანგ. été 'ზაფხული'; გერმ. Meer 'ზღვა'; ინგლ. red 'წითელი'.

პირველი იგივეა, მხოლოდ ლაბიალიზებული; გვხვდება ფრანგულსა და გერმანულში; მაგ., ფრანგ. bleu 'ლურჯი'; გერმ. Söhne 'ვაჟები'.

№ 4. მეორეა არალაბიალიზებული წინა რიგის საშუალო აწეულობის (მაგრამ უფრო ნაკლები აწეულობის, ვიდრე № 3-ში) ე. ესაა ფართო ე, რომელიც გვხვდება ფრანგულში, ინგლისურში, გერმანულში, რუსულსა და ქართულში; მაგ., ფრანგ. mère 'დედა'; რუს. дед 'პაპა'; გერმ. denn 'რადგან', ქართ. ერთი ე.

პირველი იგივეა, ოღონდ ლაბიალიზებული (მაგრამ ტუჩები ნაკლებაა წამოშვერილი; ვიდრე № 3-ში) ხმოვანი; გვხვდება ფრანგულში და გერმანულში; მაგ. ფრანგ. neuf 'ახალი'; გერმ. können 'შეძლება'.

№ 5. წინა რიგის დაბალი აწეულობის ხმოვანი; გვხვდება, მაგ. ინგლისურში cat 'კატა'.

№ 6. პირველია წინა რიგის ყველაზე დაბალი აწეულობის ხმოვანი ა; გვხვდება ქართულში, რუსულში, ფრანგულში, მაგ., ქართ. დადი; რუს. дядя; ფრანგ. patte 'თათი'.

მეორეა უკანა რიგის ყველაზე დაბალი აწეულობის ა, რომელიც გვხვდება ფრანგულში, ინგლისურში და რუსულში მაგ., ფრანგ. base 'ფუძე'; ინგლ. part 'ნაწილი'; რუს. дал 'მისცა'.

მესამეა სუსტი ლაბიალიზაციის მქონე ღრმად უკანა რიგის ხმოვანი, გვხვდება, მაგ., ინგლისურში: dog 'ძაღვი'.

№ 7. მეორე ხმოვანი წარმოადგენს უკანა რიგის საშუალო (მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე № 8) აწეულობისა და № 8-ზე ნაკლებად ლაბიალიზებული ო-ს; ესაა ფართო ო, რომელიც გვხვდება ქართულში, ფრანგულში, გერმანულსა და რუსულში, მაგ., გერმ. Stock 'ჯოხი'; ფრანგ. note 'ნოტი'; რუს. стол 'მაგიდა'; ქართ. ბოლი.

პირველი იგივეა, ოღონდ არალაბიალიზებული; გვხვდება მაგ., ინგლისურში cut 'კრა'.

№ 8. უკანა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალიზებული ო; ეს ხმოვანია ვიწრო ო; გვხვდება ფრანგულსა და გერმანულში, მაგ.: ფრანგ. rose 'ვარდი'; გერ. Sohn 'ვაჟი'.

№ 9. უკანა რიგის მაღალი (მაგრამ № 10-ზე ცოტა დაბალი) აწეულობის ნაკლებ ლაბიალიზებული ხმოვანი უ გვხვდება ქართულში, ინგლისურსა და გერმანულში, მაგ., ინგლ. good 'კარგი'; გერმ. und 'და' (კავშირი); ქართ. გული.

№ 10. მეორე წარმოადგენს უკანა რიგის ყველაზე მაღალი აწეულობის ძლიერ ლაბიალიზებულ უ-ს. გვხვდება, მაგ., ინგლისურში,

ფრანგულში, გერმანულსა და რუსულში, მაგ., ინგლ. food 'საქმელი'; ფრანგ. soupe 'სუფი'; გერმ. Grund 'ნიადაგი'; რუს. пух.

პირველი არალაბიალიზებული უ წააგავს უკან გადაწეულ რუსულ ხ-ს.

№ 11. შუა რიგის მალალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი, მაგ. რუსული ხი.

№ 12. შუა რიგის ხმოვანი, გვხვდება მაგ., ინგლისურში სიტყვაში april (ფონეტიკურად eiprəl), საერთაშორისო ფონეტიკურ ანბანში ეს ბგერა გამოიხატება ə ნიშნით.

№ 13. შუა რიგის დაბალი აწეულობის არალაბიალიზებული გრძელი ხმოვანია: a გვხვდება ინგლისურში: bird [bɜ: d] 'ფრინველი'.

თანხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები. თანხმოვანთა კლასიფიკაციისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი საფუძვლები, სახელდობრ:

1. თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება;
2. ასპირაცია (ანუ ფშვინვა) და ასპირატები (ფშვინვიერები).
3. ხშულ თანხმოვანთა წყვილულებრივი, სამეულელებრივი და ოთხეულელებრივი სისტემები;
4. თანხმოვანთა ნაპრალოვნობა (ანუ სპირანტულობა);
5. რთული თანხმოვნები (აფრიკატები)
6. თანხმოვანთა ფარინგალურობა.

თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება. როგორც წესი, ყოველი სამეტყველო ბგერა იწარმოება ექსპირაციული ჰაერნაკადით ანუ ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადის მეშვეობით. ამას ვუწოდებთ სუნთქვიერ ბგერათწარმოებას. მაგრამ არის ზოგიერთ ენაში ისეთი ბგერები, რომელთა წარმოთქმაში ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადი არ მონაწილეობს. ეს ბგერები იწარმოებიან „ყელხშით“ ანუ იმ ჰაერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესადგამ მილში; ფილტვებიდან ჰაერნაკადის მოწოდება შეწყვეტილია. ქართულში უსუნთქველ ბგერათა რიცხვს მიეკუთვნებიან პ-ტ-წ-ჭ-ც-ყ . ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში მათ ყელხშულ თანხმოვნებს უწოდებენ, ლათინურად კი აბრუპტივებს.

ლათ. abruptio ნიშნავს მოწყვეტას. ეს სიტყვა ტერმინს საფუძვლად იმითომ დაედო, რომ ყელხშული ბგერები აკუსტიკურად მოწყვეტილ, უცბად ნათქვამი ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებენ. აბრუპტივები აქვს ოსურს, სომხურსა და კავკასიურ ენებს, ამიტომ მათ ზოგჯერ „კავკასიურ ხშულებს“ უწოდებენ.

ასპირაცია (ანუ ფშვინვა) და ასპირატები (ანუ ფშვინვიერები). ზოგიერთი ბგერის წარმოთქმისას სახმო სიმები იმდენად უახლოვ-
ნ ენათმეცნიერების შესაელის საკითხები

დებიან ერთმანეთს. რომ ექსპირაციული (ფილტვებიდან ამოჰდინა-
რე) ჰაერნაკადი წარმოქმნის ჩქამს სახმო სიმების კედლებზე ხეხვოთ.
ამ ჩქამს ეწოდება ასპირაცია (ლათ. aspiratio — „ქროლა“, ნიაჲ),
ქართულად ფ შ ვ ი ნ ე ა. ასეთი ბგერაა ქართული ჰ.

ხშული თანხმოვნის ასპირაცია მდგომარეობს იმაში, რომ სახმო
სიმები მცირეოდენ ხანს იმავე ღია მდგომარეობაში რჩებიან, რო-
გორშიც იყო სახმო სიმები, როცა ამ ხშულისათვის ზესადგამ მიღში
ხშვა მოხდა. ღიად დარჩენილ სახმო სიმების კედლებზე ექსპირაციო-
რული ჰაერნაკადის ხახუნით წარმოიქმნება მეტ-ნაკლები ფშვინვიე-
რობა; მაგ., ქართულის ფ—თ—ც—ჩ—ქ ფშვინვიერი თანხმოვნებია.
ფშვინვიერებს ეუწოდებთ ასპირირებულ თანხმოვნებს ანუ ასპირა-
ტებს.

ხშულ თანხმოვანთა სამეულეებრივი, წყვილეულეებრივი და ცალე-
ულეებრივი სისტემები. აბრუპტივების არსებობა ქართველურსა და
კავკასიურ ენებში ქმნის ხშული თანხმოვნების სამეულეებრივ სისტე-
მას. ეს ნიშნავს, რომ ამ ენებში ჰომორგანული ხშულები სამ-სამია:
მეღერი, ყრუფშვინვიერი და აბრუპტივი.

ბ ფ ჰ — ბილაბიალური

ღ თ ტ — დენტალური

ძ ც წ — პრეალვეოლარული

ჯ ჩ კ — ალვეოლარული

გ ქ ყ — პრეველარული

— — ყ — ველარული

მეექვსე სამეული წარმოდგენილია ერთადერთი წვერის აბრუპტივ:
ყ-ს სახით, რომელიც დღეს სალიტერატურო ქართულის წარმოთქმა-
ში ველარული ბგერაა. ფარინგალური ბგერაა ასპირატი ქ. რომე-
ლიც ჰქონდა ძველ ქართულს და აქვს დღეს ზოგიერთ მის დია-
ლექტს. დღეს ჰიპოთეტურად აღდგენილია ფარინგალური სამეული
(ფ — ქ — ყ) უძველესი ქართულისათვის (გადაბრუნებული გ — ფა-
რინგალური მეღერი თანხმოვნის გრაფიკული გამოსახულება).

მრავალ ენაში ხშულთა ჰომორგანული წყვილები ორ-ორია.
ე. ი. ხშულ თანხმოვანთა სისტემა წყვილეულეებრივია. ასეთია შავ-
რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და სხვა ინდო-ევრო-
პული ენები. ზოგიერთი კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი
უნდა ყოფილიყო ხშულ თანხმოვანთა ოთხეულეებრივი სისტემა:
მეღერი, სრულფშვინვიერი, ოდნავფშვინვიერი, რომელსაც პრერუპ-
ტივი ეწოდება, და აბრუპტივი.

ხშულთა ოთხეულეებრივი სისტემა გვხვდება ქვემოაღილეურო-
ენის დიალექტებში.

ბ	ფ	ნ	პ
ღ	თ	ა	ტ
ძ	ც	ჩ	წ
ჭ	ჩ	ყ	ქ
გ	ქ	წ	კ

წყვილეულთა სისტემას ნაპრალოვანი თანხმონები ქმნიან:

ვ — ლაბიო — დენტალური

ზ — ს დენტალური

ქ — შ ალვეოლარული

ღ — ხ ველარული

პ — ლარინგალური

ცალეულთა სისტემას სონორი თანხმონები ქმნიან:

რ — ალვეოლარული, ვიბრანტი

ლ — პრელვეოლარული, ლატერალი

მ — წყვილბაგისმიერი, ნაზალი

ნ — წინაენისმიერი, ნაზალი.

6. სამატყველო ზეარა და შონება

ჩვენ დავახასიათებთ სამეტყველო ბგერები არტიკულაციურად და აკუსტიკურად. მოვახდინებთ ბგერათა ზოგადი კლასიფიკაცია. მაგრამ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, თუ რა ფუნქციას ასრულებენ სამეტყველო ბგერები ენობრივ სისტემაში ანუ რა ღირებულებისა არიან ისინი. ამასთან დაკავშირებით უნდა შემოვიტანოთ ცნება ენობრივი ელემენტის ანუ ენობრივი ნიშნის ღირებულებისა.

ენობრივი ნიშნის ღირებულება მდგომარეობს მის მიმართებაში აღსანიშნთან და აგრეთვე ამავე სისტემაში არსებულ სხვა ნიშნებთან. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ რა ადგილი უკავია ენობრივ ნიშანს მოცემულ ენობრივ სისტემაში.

ავიღოთ, მაგალითად, ქართული სიტყვა „ყური“. ჩვენ ვიცით, რომ ეს თანმიმდევრობა ნიშნებისა (ბგერებისა) გამოყენებულია იმისათვის, რომ შევქმნათ გარკვეული მიმართება აღსანიშნთან (საგანთან, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს) და არა მხოლოდ აღსანიშნთან, არამედ ქართული ენის სხვა ნიშნებთანაც.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიშანთა შორის არსებული მიმართებებით; მაგალითად, ქართული „ყური“ ნიშნის ფარდი რუსულში იქნება „ухо“, ქართულად შემოიძლია ვთქვა, 'ყური მტკივა, რუსულად „у меня ухо болит“; ქართულად შემოიძლია ვთქვა 'ყური დაუგდო' ან 'ყური ათხოვა', რუსულად 'вросил ему ухо' ან

‘ОДОЛЖИЯ ЕМУ УХО’-ს ვერ ვიტყვი. ეს ნიშნავს, რომ ქართული ‘ყური’ ნიშანს სხვა მიმართებები აქვს ამავე სისტემაში მოცემულ სხვა ნიშნებთან, ვიდრე რუსულ შესაბამის სიტყვას, ე. ი. ქართული ‘ყური’ ნიშნის ღირებულება სხვა არის ქართულ ენობრივ სისტემაში, ვიდრე რუსული „УХО“ ნიშნის ღირებულება რუსულ ენობრივ სისტემაში.

მიმართებები ენობრივ ელემენტებს შორის შეიძლება იყოს ორნაირი: სინტაგმატური და პარადიგმატული ანუ ასოციაციური.

სინტაგმატური მიმართება ელემენტებისა მდგომარეობს ელემენტების მიმართებაში სხვა ელემენტებთან გარკვეულ მიმდევრობაში, ანუ რა ნიშანი მოსდევს ან უსწრებს წინ მოცემულ ნიშანს: გარკვეულ სიტემაში, ანუ ნიშანთა განაწილება სისტემაში. ასეთ მიმართებებს უწოდებენ დისტრიბუციულ მიმართებებს.

პარადიგმატული მიმართება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ნიშანი უპირისპირდება მეორე ნიშანს არა მიმდევრობაში, არამედ სისტემაში.

სინტაგმატური მიმართება ეს არის მიმართება ბგერებს შორის მიმდევრობაში. მაგ. ‘ქარი’ მიმდევრობაში ქ ელემენტი გარკვეულ მიმართებას ქმნის ა-სთან, რ-სთან, ი-სთან. ეს არის ქ-ს სინტაგმატური ანუ დისტრიბუციული მიმართებები სხვა ელემენტებთან. ის ელემენტი ანუ ის ბგერები (მოცემულ შემთხვევაში), რომლებითაც ქ შეიძლება შენაცვლებულ იქნეს, ქმნიან მასთან პარადიგმატულ მიმართებებს ქარი — ბარი — ღარი — ტარი — კარი — ხარი — თარი — სარი.

ბგერათა კომბინაციები ქმნიან აღსანიშნთა ნიშნებს ანუ სიტყვებს.

ყოველი სიტყვა წარმოადგენს მთლიანობას, სტრუქტურას. ყოველ სიტყვას — სტრუქტურას — აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც ის განსხვავდება მეორე სიტყვისაგან — სტრუქტურისაგან. ფონქემები ა სწორედ ის განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ასხვავებენ ერთმანეთისაგან სიტყვათა სტრუქტურებს. ყოველ სიტყვას აქვს იმდენი ფონემა და ისეთ თანამიმდევრობაში, რომ ადვილი იყოს მისი გამოჩენვა სხვა სიტყვისაგან. ყოველ სიტყვაში ფონემათა რიგი ანუ მათი განაწილება (დისტრიბუცია) დამახასიათებელია მხოლოდ ამ სიტყვისათვის. განუმეორებელ ინდივიდუალურ ხასიათს სიტყვის სტრუქტურას აძლევს ფონემათა განაწილება — დისტრიბუცია. ფონემათა რიცხვი თითოეულ ენაში განსაზღვრულია და იშვიათად აღემატება ორმოცდაათს. მაგალითად, ქართულ ენაში ფონემათა რიცხვი უდრის ოცდაცამეტს, მაგრამ დი-

დია რიცხვი იმ კომბინაციებისა, რომელიც 33 ფონემისგან შეიძლება შეიქმნას ენაში. მეტყველების პროცესში წარმოიქმნება, როგორც ვიცით, უამრავი სხვადასხვა ელფერის სამეტყველო ბგერა: მაგ. ქართულად მეტყველი თავის მეტყველებაში წარმოთქვამს სხვადასხვა ელფერის „ბ“-ს სიტყვებში: ბ ა რ ი, ბ ი ჭ ი, ბ უ რ თ ი. მაგრამ ყველა მათში წარმოდგენილია ერთადერთი „ბ“. სინამდვილეში. ობიექტურად აქ წარმოდგენილი არის სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ბგერა, რომლებიც რაღაც ნიშნით განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან: „ბ“ ბგერა სიტყვაში 'ბიჭი' ხასიათდება პალატალიზაციით; „ბ“ ბგერა სიტყვაში 'ბურთი' ველარიზაციით. მაშინ როდესაც „ბ“ ბგერა სიტყვაში 'ბარი' ნეიტრალურია ველარიზაციისა და პალატალიზაციის თვალსაზრისით.

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: სიტყვაში 'ბარი' სხვადასხვა პირის მიერ წარმოთქმული ბგერა „ბ“ არ დაემთხვევა ერთმანეთს ფონეტიკურად. მათ შეიძლება ქონდეთ განსხვავებული ტემბრი, სიმაღლე, სიძლიერე და ა. შ.. კიდევ უფრო მეტიც. ერთი და იმავე პირის მიერ, ოღონდ სხვადასხვადროს, წარმოთქმული ბგერა „ბ“ სიტყვაში 'ბარი' არ დაემთხვევა ერთმანეთს ფონეტიკურად. ისმის კითხვა: ბგერათა რა რაოდენობა წარმოიქმნება მეტყველების პროცესში ერთი და იმავე ენის ფარგლებში?

განუზომელია ბგერების რაოდენობა, რომლებიც წარმოიქმნებიან მეტყველების დროს.

რა არის ენაში ის მარეგულირებელი პრინციპი, რომელიც ახდენს პოზიციებით გამოწვეულ სხვაობათა ნეიტრალიზაციას. რომელიც გარკვეულ ერთეულებად წარმოგვიდგენს წარმოთქმულ ბგერებს და რომელთა რიცხვი მკაცრად არის განსაზღვრული თითოეულ ენაში? რატომ არის, რომ სიტყვებში 'ბარი', 'ბიჭი', 'ბურთი' ჩვენ გვესმის ერთი საერთო „ბ“ ბგერა.

უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სხვაობები არსებობს ბგერებს შორის და რა მიმართებები არსებობს ამგვარად განსხვავებულ ბგერებს შორის. არის თუ არა განსხვავება [ბ°] [ბ'] და [ბ] ბგერებს შორის, ერთი მხრივ. და [ბ°], [ბ'], [ბ]) ბგერებსა და [ფ] ბგერას შორის, მეორე მხრივ. ადვილი დასაანახავია, რომ სხვაობა [ბ°], [ბ'] [ბ] შორის და ერთ-ერთი მათგანისა ფ-სთან არ არის ერთი და იმავე ტიპისა.

[ბ] და [ფ]-ს შორის არსებული სხვაობის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს განსხვავება ორ სხვადასხვა გამონათქვამს შორის ანუ ორ სხვადასხვა ნიშანს შორის. მაგ: 'ბარი' და 'ფარი'.

სულ სხვა ვითარება გვაქვს იმ ბგერითი სხვაობების შემთხვევაში,

როგორცაა სხვაობა [ბ']. [ბ]'. [ბ]-ს შორის სიტყვებში ბარი — ბიკი — ბურთი.

ყოველი სხვაობა ორ ბგერას შორის გულისხმობს დაპირისპირების ანუ ოპოზიციის ცნებას. ამდენად ბგერითი სხვაობა შეიძლება დაეხასიათოს. როგორც დაპირისპირება ანუ ოპოზიცია, მაგრამ სულ სხვადასხვა ხასიათის ოპოზიციები არსებობს, ერთი მხრივ, [ბ°] — [ბ']-სა და მეორე მხრივ, [ბ] — [ფ]-ს შორის.

ისეთ ბგერით ოპოზიციას, რომლის საშუალებით შეიძლება გამოიხატოს შინაარსობრივი სხვაობა ორ გამონათქვამს შორის, ეწოდება ფონოლოგიური ოპოზიცია ანუ ფონოლოგიურად რელევანტური (ლათ. relevant — არსებითი, მნიშვნელოვანი, ფონოლოგიურად ღირებული) დაპირისპირება (ოპოზიცია): მაგ: სარი - ზარი, სენი — შენი; სვა — შვა. სარი — ბარი. სარი — დარი. შარი — ქარი. შარი — ქარი. შარი — ტარი, ბალი — ბელი. ბალი — ბოლი. გოლი — გული და მრ. სხვ.

ისეთ ბგერით ოპოზიციას, რომლის საშუალებითაც არ გამოიხატება სხვაობა ორ გამონათქვამს შორის, ეწოდება ფონოლოგიურად არარელევანტური ანუ ირრელევანტური (არამნიშვნელოვანი) ოპოზიცია. მაგალითად, ქართულში დაპირისპირება ბ-ბ (ბარი — ბიკი) არ არის ფონოლოგიურად რელევანტური დაპირისპირება; ბ-ფ (ბარი — ფარი) დაპირისპირება კი ფონოლოგიურად რელევანტურია.

მაშასადამე, გამოიყოფა ბგერათა ოპოზიციების ორი ტიპი: ფონოლოგიურად ღირებული და ფონოლოგიურად არაღირებული. ფონოლოგიური დაპირისპირების წევრს ვუწოდოთ ფონოლოგიური ერთეული.

ფონოლოგიური ერთეული შეიძლება სხვადასხვა მოცულობისა იყოს. ავიღოთ ასეთი გამონათქვამები: „კაცი“ და „ფიცი“. ეს ორი ნიშანი უპირისპირდება ერთმანეთს და განსხვავდება /კა/ და /ფი/ სეგმენტებით, რომლებიც ფონოლოგიური ერთეულები არიან. შეიძლება თუ არა ეს ერთეულები დავშალოთ უფრო მცირე ერთეულებად? ადვილი დასაწახავია, რომ /კა/ და /ფი/ სეგმენტი შეიძლება დაიშალოს უფრო მცირე ერთეულებად, სახელდობრ. კ-ა და ფ-ი სეგმენტებად.

ავიღოთ ახლა ასეთი გამონათქვამები კაცი — კეცი: ბარი — ფარი; კაცი — ვაცი, ბაცი — ბეცი; მოცემული დაპირისპირებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თითო-თითო ფონოლოგიური ერთეულით.

ისეთ ორ გამონათქვამს. რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდებიან, ეწოდება მინიმალური წყვილი ანუ, გამოხატულების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავებული წყვილი.

ისეთ დაპირისპირებას, რომლის საშუალებითაც შეიძლება გამოიხატოს სხვაობა ორ გამონათქვამს შორის, ეწოდება ფონოლოგიური ანუ ფონოლოგიურად რელევანტური. ისეთს კი, რომელსაც არ უკავშირდება გამონათქვამთა სხვაობა, ეწოდება არაფონოლოგიური, ფონოლოგიურად არარელევანტური დაპირისპირება.

დაპირისპირების ხასიათი დამოკიდებულია არა იმაზე, სუბსტანციურად როგორია გამოხატულება, არამედ იმაზე, თუ რომელ ენობრივ სისტემაში რა სახის დაპირისპირებანი გვაქვს; ის, რაც ერთ ენობრივ სისტემაში არაფონოლოგიურია, მეორე ენობრივ სისტემაში ფონოლოგიურად რელევანტური შეიძლება იყოს. მაგალითად, რუსულში და ქართულში ფონოლოგიურად არარელევანტურია დაპირისპირება ვიწრო და ფართო ე-სი.

ე	~	ე
эти		эти
(ვიწრო)		(ფართო)

ასეთი დაპირისპირება ფრანგულში რელევანტურია.
 ფრანგ. dé 'კამათელი, სათითური'—dais 'ფარდული; სახურავი'
 lé 'ქსოვილის ფართო ნაჭერი', კალთა lail—'რძე'
 (ვიწრო) (ფართო)

ლ~რ დაპირისპირება ქართულში რელევანტურია: ხალი — ხარი: ასევე რუსულში левъ — ревъ, იაპონურში ㄌ~ㄎ არარელევანტურია, ე. ი. არ არსებობს ისეთი წყვილი, რომლებიც მხოლოდ ამითი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ვ~| დაპირისპირება რუსულში რელევანტურია, ქართულში არა: ვთესავ>|თესავ; ვხატავ>|ხატავ; ვთამაშობ>|თამაშობ. გამონათქვამის მნიშვნელობა არ შეიცვლება.

ბგერები ურთიერთშენაცვლებადი და ურთიერთგამომრიცხველი. ბგერები შეიძლება იყოს ურთიერთშენაცვლებადი და ურთიერთგამომრიცხველნი. ურთიერთშენაცვლებადია მოცემული ენისათვის ის ბგერები, რომლებიც ერთნაირ ბგერით გარემოცვაში (პოზიციაში) შეიძლება აღმოჩნდნენ ანუ ბგერები, რომლებიც ხასიათდებიან იდენტური ან გადამკვეთი დისტრიბუ-

ციით. მაგ. ქალი — ბალი — ვალი — ნალი — ხალი — ლალი — ცალი — სალი.

ურთიერთგამომრიცხველი ბგერები კი, პირიქით, არასოდეს არ გვხვდებიან ერთსა და იმავე ბგერით გარემოცვაში ანუ ხასიათდებიან დამატებითი დისტრიბუციით. ურთიერთგამომრიცხველი ბგერები ფონოლოგიურად რელევანტურ ოპოზიციებს ვერ შექმნიან.

თუ ბგერები ურთიერთგამომრიცხველია, მაშინ მინიმალური წყვილების არსებობა გამორიცხულია. ასეთია ქართული ვიწრო და ფართო /ე/. არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთშენაცვლებადი ბგერები ქმნიდნენ მოცემულ ენობრივ სისტემაში ფონოლოგიურ დაპირისპირებას. ასე, მაგ., მაღალი ხმით წარმოთქმული ხმოვანი და დაბალი (ხმით წარმოთქმული) ხმოვანი ურთიერთშენაცვლებადი ბგერებია: „დაფა“-ში წარმოთქმული ა ხმამაღლა ან ხმადაბლა ერთი და იგივეა. არ მოიძებნება არც ქართულში და არც ევროპულ ენებში ისეთი წყვილი სიტყვებისა, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ მაღალი და დაბალი ხმოვნებით გამოიხატებოდეს. იაპონურ ენაში კი სხვაობა გამოწვეულია მაღალი და დაბალი ტონების წარმოთქმით.

hana (დაბალი ტონი I—a) — 'ცხვირი'

hàna (მაღალი ტონი I—a) — 'დაწყება'

hanà (მაღალი ტონი II—a) — 'ყვავილი'.

ცალკეული ბგერა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთობლიობა აკუსტიკურ-არტიკულატორული თვისებებისა. ნებისმიერი ბგერა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც გარკვეული არტიკულატორული მოქმედებების შედეგი. მაგ., /ბ/-ს ხშვა ხდება ბაგეებთან, მასთან ერთად რბილი სასა აიწევა და ხდება ცხვირის ღრუს დახშვა; ამავე ღროს სახმო სიმები იწყებენ ელერას, ჰაერნაკადი გროვდება ხშვის ადგილას, რასაც მოსდევს განხშვა ანუ ექსპლოზია. თითოეულ ამ მოქმედებას შეესაბამება გარკვეული აკუსტიკური ეფექტი.

კონკრეტულ ბგერას აქვს როგორც ფონოლოგიურად ღირებული, ისე არაღირებული ნიშნები. ბგერა თავისი თვისებებით არ ემთხვევა ფონემას.

ფონემა უნდა დახასიათდეს მხოლოდ ფონოლოგიურად ღირებულ ნიშნებით.

ბგერა კი ხასიათდება როგორც ფონოლოგიურად ღირებული, ისე ფონოლოგიურად არაღირებული ნიშნებით. ფონემა შეიცავს მოცემული ბგერის მხოლოდ ფონოლოგიურად რელევანტურ ნიშნებს.

ფონემა არის ერთობლიობა (ანუ კონა) ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნებისა. რაც კი აქვს კონკრეტულ ბგერას.

ბგერა შეიძლება განვიხილოთ. როგორც გამოვლენა (რეალიზება) ფონემისა. ამრიგად, ბგერა არის ფონემის რეალიზაცია.


ფონემა, როგორც ფონოლოგიური დაპირისპირების ერთეული, უნდა დახასიათდეს მხოლოდ ფონოლოგიურად ღირებული ნიშნებით. კონკრეტულ ბგერას აქვს როგორც ფონოლოგიურად ღირებული, ისე არაღირებული ნიშნები.

ბგერა და ფონემა არ ფარავს ერთმანეთს. ბგერა შეიცავს იმ თვისებებს, რომლებიც ფონოლოგიურად ღირებულია და იმ თვისებებსაც, რომელიც ფონოლოგიურად არაღირებულია ანუ ირელევანტურია.

აქედან ცხადია, რომ ფონემა შეიძლება რეალიზდებოდეს სხვადასხვა ბგერებით. მაგ., ქართული [გ]-სათვის დამახასიათებელი ფონოლოგიურად ღირებულია შემდეგი ნიშნები: უკანა ენის ხშვა რბილსასასთან, სკდომა და მელერობა. მაგრამ რიგ შემთხვევაში [ვ]-მ შეიძლება მიიღოს ნაზალიზაცია ან პალატალიზაცია, რომელიც, რასაკვირველია, განპირობებული იქნება პოზიციით; მაგ., სიტყვებში 'შგალობელი', 'გიღებს' და სხვა მისთ.. ზემოთ მოცემულ ყველა შემთხვევაში რეალიზდება ერთი ფონემა /გ/. ყველა იმ ბგერას, რა სახითაც ფონემა /გ/ გამოვლინდა, ჩვენ ვუწოდებთ ვარიანტებს ანუ ერთი ფონემის ფონეტიკურ ვარიანტებს.

მეტყველების ნაკადი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ნაკადი ფონოლოგიური რიგისა; ამ ნაკადის ყოველ წერტილში გამოიყოფა როგორც ფონოლოგიურად რელევანტური, ისე ფონოლოგიურად ირელევანტური ნიშნები.

ჩამი ფონოლოგიურად რელევანტურ და ფონოლოგიურად ირელევანტური ნიშნებისა მოცემულ წერტილში არის კონკრეტული სამეტყველო ბგერა.



სურ. 7.

თუ ორ ბგერას საერთო აქვს ბირთვი ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნებისა, ისინი ჩაითვლებიან ერთი ფონემის ორ რეალი-

ზაციად: ე. ი. ფონემა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ბგერის საშუალებით.

ასე, მაგალითად [ბ°], [ბ'], [ბ] ერთი და იმავე ფონემის რეალიზაციაა სხვადასხვა ბგერებით სიტყვებში: 'ბ უ რ თ ი', 'ბ ი ჭ ა', 'ბ ა ლ ი'. ავიღოთ გერმანული მაგალითი:

გ° (ველარი, ლაბიალიზებული)	[gul]
გ' (პალატალური ლაბიალიზებული)	[güte]
გ (პალატალური ლაბიალიზაციის გარეშე)	[gib]
გ (ოდნავ პალატალური ლაბიალიზაციის გარეშე)	[geben]
გ (ყრუ)	[tag]

ყველა ამ ბგერაში ფონოლოგიურად ღირებულის არის მქდერი ხშული ველარი. ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნები — დისტინქტური ნიშნებია. ფონემა არის ერთობლიობა დისტინქტური (დიფერენციალური) ნიშნებისა.

6. ბაგრაფიკული

ჩვეულებრივ მეტყველებაში წარმოთქმის ერთეულია სიტყვა და არა ცალკეული ბგერა. ბგერა მოცემულია სხვა ბგერასთან მეზობლობაში. ცოცხალ წარმოთქმაში სამეტყველო ბგერა შეერთებულია არა მხოლოდ უშუალოდ მის მეზობლობაში მყოფ ბგერებთან, არამედ სიტყვის ყველა ბგერასთან. უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერების ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გავლენის არტიკულაციური საფუძველია შემართვა-დამართვა: იმის გამო, რომ სიტყვაში შემავალ ბგერებს საზიარო აქვთ შემართვა-დამართვა, ისინი ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. ბგერათა უშუალო (კონტაქტური) გავლენის გარდა, არსებობს დისტანციური გავლენა, როცა ერთმანეთს დაცილებული ბგერები ახდენენ ურთიერთზე გავლენას.

კოარტიკულაცია. სიტყვის წარმოთქმის დროს ადგილი აქვს მასში შემავალი ბგერების არა ცალ-ცალკე არტიკულაციებს, არამედ მთლიანი სიტყვის არტიკულაციას ანუ კოარტიკულაციას (ლათ. co-articulatio 'თანარტიკულაცია'). კოარტიკულაციის საფუძველზე შესაძლებელია ბგერათა როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური ურთიერთგავლენა.

გარდამავალი ბგერა. ყოველ ორ შეერთებულ ბგერას შუა არის მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის გარდამავლობა იმ შემთხვევაში, თუ მათ აღვიქვამთ როგორც ორ ცალკეულ ბგერას. ავიღოთ სიტყვა იაი-ს არტიკულაცია თანდათან გადადის ა-ს არტიკულაციაზე.

წინა ენა მაღალი მდგომარეობიდან თანდათან ეშვება ქვემოთ და იკავებს ა-სთვის საჭირო მდგომარეობას. ამასობაში ბგერადობა არ შეწყვეტილა. არის მომენტი ი-დან ა-სკენ გადასვლისა, როდესაც ი აღარ არის. მაგრამ ჭერ არც ა არის.

გარდამავლობის ამ მომენტში წარმოთქმულ ბგერას ეძახიან გარდამავალ ბგერას.

გარდამავლობის ხანგრძლივობა მეტ-ნაკლებია სხვადასხვა ბგერათშეერთებისას: მაგ. ქც კომპლექსში მეტია, ვიდრე ცქ-ში; ა ი-კომპლექსში მეტია. ვიდრე ა ე-ში და ა. შ.

მეტყველების დროს გარდამავალი ბგერა ყურადღებას არ იქცევს, რადგანაც მას ლინგვისტური (ფონოლოგიური) ღირებულება არა აქვს.

იმ ბგერას, რომელიც ენაში მკაფიოდ გამოირჩევა ამ ენის სხვა ბგერებისაგან და წარმოადგენს ფონემას ან მის სახესხვაობას, ეწოდება დამდგარი ბგერა.

შენაწევრება. ბგერები მეტყველების ნაკადში ჩვეულებრივ ლაგდებიან ერთიმეორის მიყოლებით იმის მიხედვით. თუ როგორი კავშირი მყარდება ბგერებს შორის: ერთი გამონათქვამი, ბგერათა დაკავშირების სხვადასხვა ტიპების მიხედვით, განსხვავებული იქნება მეორისაგან.

თუ შევადარებთ ერთმანეთს გამონათქვამებს:

ამ ტანს — ამტანს

მიწა მე — მიწამე

ის არი — ისარი

ნეტა რად — ნეტარად

ინგლ. night rate 'ღამის ნორმა', nitrate 'ნიტრატი' აღმოჩნდება, რომ წარმოთქმის თვალსაზრისით. ეს გამონათქვამები ერთმანეთს უპირისპირდება ერთ შემთხვევაში პაუზით, ხოლო მეორე შემთხვევაში — პაუზის უქონლობით. ე. ი. პაუზა გამოუყენებელია როგორც მნიშვნელობის განმასხვავებელი ერთეული და მას ვუწოდებთ შენაწევრებას (juncture).

ბგერათშერთვა და ბგერათშერწყმა. უშუალო მეზობლობაში მყოფ ბგერათა შეერთება შეიძლება იყოს ორგვარი ტიპისა: ბგერათშერთვა და ბგერათშერწყმა.

ბ გ ე რ ა თ შ ე რ თ ვ ა ისეთი ბგერათშეერთებაა, რომელიც არ ცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ. და. ძმა, ქალი. დედა, მამა, ბავშვი და ა. შ.

ბ გ ე რ ა თ შ ე რ წ ყ მ ა ისეთი ბგერათშეერთებაა, რომელიც ცვლის შეერთებულ ბგერათა ძირითად ხასიათს. მაგ., ერთგული >

>ერდგული. თ-ს ნაცვლად წარმოთქმაში გვაქვს დ: მისდევს >მიზ-
დევს ს-ს ნაცვლად ვამბობთ ზ-ს და ა. შ.

ბგერათშეერთების წესები. ბ გ ე რ ა თ შ ე ე რ თ ე ბ ი ს პ ი რ-
ე ე ლ წ ე ს ს ვეძახით საზიარო არტიკულაციის წესს. ამ წესის თანახ-
მად უშუალო მეზობლობაში მყოფი ბგერების არტიკულაცია წარ-
მოებს ერთხელ და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის.

ამ წესის განხორციელება გვაქვს ორი ერთნაირი ხმოვნის ან ორი
ერთნაირი თანხმოვნის შეერთებისას. მაგ. ააგო, ააშენა, ვაზზე, სამმა,
გგონია, ცხადდება და ა. შ.. ამ გზით შეერთებული ბგერებიდან მივი-
ღებთ ერთ ხმოვანსა და გრძელ ანუ გაორმაგებულ თანხმოვანს ანუ გე-
მინანტს (ლათ. geminare "შეუღლება, გაორკეცება"). ერთნაირ თანხ-
მოვანთა შეერთებას ეწოდება გ ე მ ი ნ ა ც ი ა. საზიარო არტიკულა-
ციის წესით ხშული თანხმოვნის შერწყმამ მის ჰომორგანულ სპირან-
ტთან მოგვცა აფრიკატი: დ+ზ>ძ; თ+ს>ც; ტ+ს>წ; დ+ჟ>ჩ;
თ+შ>ჩ; ტ+შ>ჭ. როგორც ვხედავთ ძ—ც—წ აფრიკატების ხშულ
კომპონენტებს დ—თ—ტ-ს საზიარო არტიკულაცია აქვთ ზ-ს-თან, ხო-
ლო ჟ—ჩ—ჭ-ს შემთხვევაში იმავე ხშულ კომპონენტებს საზიარო
არტიკულაცია აქვთ ე—შ-სთან. ამავე წესით შეერთდება ზოგიერთ
ჰომორგანული ბგერები, მაგ., მბ (ამბავი), ნდ (ნდობა). მაგრამ საზიარ-
ო არტიკულაციის წესს არ განახორციელებს დნ და ბმ კომპლექსები.

როგორც ვხედავთ: ყოველგვარი მეზობლობა ჰომორგანული ბგე-
რებისა არ ემორჩილება საზიარო არტიკულაციის წესს.

ბ გ ე რ ა თ შ ე ე რ თ ე ბ ი ს მ ე ო რ ე წ ე ს ს ეწოდება არტიკუ-
ლაციის უმოკლესი გზის წესი. ამ წესის თანახმად უშუალო მეზომ-
ლობაში მყოფი ორი ჰეტეროგენური ბგერის წარმოთქმისას ორგა-
ნოები იცვლიან მდგომარეობას უმოკლესი გზით.

ამ წესის თანახმად საწარმოთქმო ორგანოები წინმდგომი ბგერის
წარმოთქმის შემდეგ კი არ უბრუნდებიან ინდიფერენტულ მდგომარ-
ეობას. არამედ პირდაპირ გადადიან მომდევნო ბგერის წარმოთქმა-
ზე. წინმდგომი ბგერის დამართვა ჯერ დამთავრებული არ არის, რომ
იწყება მომდევნო ბგერის შემართვა. ცხადია, რომ ამ წესით
შეერთებულმა ხმოვნებმა მოგვცეს დიფთონგები. დიფთონგი ანუ
ორხმოვანა (ბერძნული di 'ორმაგი', phthongus 'ბგერა') არის ორი
განსხვავებული ხმოვნის შეერთება, რომელიც გვაძლევს ერთ მარც-
ვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით.

ქართულში გვაქვს დიფთონგები აა (აი-საგან), აა (ოი-საგან), აე
(იე-საგან); აა (იო-საგან), აა (ია-საგან); აუ (იუ-საგან). აქედან აა,
აა, ეა. უა დამავალი დიფთონგებია, რადგანაც შეერთება იწყე-
ბა სრული ხმოვნით. ხოლო აა, აა, აუ — აღმავალი დიფთონგებია,

რადგანაც შეერთება იწყება სუსტი ხმოვნითა და მთავრდება ძლიერი ხმოვნით. დამავალ დიფთონგს ეძახიან ნამდვილ დიფთონგს. სალიტერატურო ქართულში დიფთონგები იშვიათია; გავრცელებულია დიფთონგები რუსულში, სადაც ჭარბობს დამავალი დიფთონგები: მაგ., აი (აი-საგან), ეი (ეი-საგან), იი (იი-საგან), უი (უი-საგან).

ზოგჯერ ერთ მარცვალში თავსდება სამი ხმოვანი; ასეთ შეერთებას ეწოდება ტ რ ი ფ თ ო ნ გ ი (სამხმოვანა). სალიტერატურო ქართულში ტრიფთონგები არა გვაქვს. ტრიფთონგი გვაქვს ინგლისურში, მაგ., ეიჰ-სიტყვაში player (pleiə 'მოთამაშე') და სხვ.

ბ გ ე რ ა თ შე ე რ თ ე ბ ი ს მ ე ს ა მ ე წ ე ს ს ე წ ო დ ე ბ ა არტკულაციის ერთჯამიერობის წესი. ზოგჯერ ისეთი ორი პეტერორგანული ბგერა აღმოჩნდება უშუალო მეზობლობაში, რომ მათ უჩნდებათ მისწრაფება ერთჯამიერი შემართვისაკენ. ერთჯამიერობის წესი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დეცესიურ თანმიმდევრობის კომპლექსებში. დეცესიურია თანხმოვანთა ისეთი კომპლექსი, რომლის პირველი წევრი ზესადგამი მილის უფრო წინა არეში იწარმოება, ვიდრე მომდევნო; მაგ.: ბგ, დგ, ჯგ, და ა. შ. ასეთ თანმიმდევრობისას ბგერებს ადვილად უჩნდებათ მიდრეკილება ერთჯამიერი შემართვისაკენ. არაერთად ერთჯამიერობაზე არ შეიძლება ლაპარაკი აქცესიურ კომპლექსებში. აქ ბგერათა თანმიმდევრობა პირიქითაა: პირველი იწარმოება ზესადგამი მილის უფრო უკანა არეში, ვიდრე მომდევნო; მაგ.: გბ, გდ, გჯ და ა. შ.

თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსები ქართულში. ერთჯამიერობის წესი სრულ განხორციელებას პოულობს ე. წ. ჰარმონიულ კომპლექსებში. ქართულში გვაქვს ჰარმონიულ კომპლექსთა ორი სისტემა A და B.

A და B სისტემის ჰარმონიული კომპლექსები დეცესიურია.

ჰარმონიული კომპლექსის კომპონენტები ერთმანეთს შეგუებულინი არიან მქლერობა-სიყრუით: ან ორივე მქლერია ან ორივე ყრუა. ან ორივე აბრუპტივია:

სისტემა A

ბგ ფქ პკ
დგ თქ ტკ
ძგ ცქ წკ
ჯგ ჩქ კკ

სისტემა B

ბლ ფხ პყ
დლ თხ ტყ
ძლ ცხ წყ
ჯლ ჩხ კყ

კოარტიკულაციური ბგერათცვლილებები. ზემოგანხილული სამი წესი ვერ აკმაყოფილებს ბგერათშეერთების მრავალფეროვნებას.

ამიტომ ბგერათშეერთების დანარჩენი სახეები გაერთიანდებიან კო-არტიკულაციურ ბგერათცვლილებების ცნებაში.

როგორც ვიცით, თითოეული ბგერის წარმოთქმისათვის საჭიროა სათანადო საარტიკულაციო ორგანოების აქტიური ან პასიური მოქმედება-მდგომარეობა. მაგ.: ა-სთვის: 1. ტუჩები გაღებულია ფართოდ, 2. ქვედა ყბა დაწეულია ძ-რს. 3. ენა ძვეს თიოქმის ნეიტრალურად, 4. ენის წვერი ძვეს ქვედა კბილების რიგთან, 5. რბილი სასა აწეულია და კეტავს გზას ცხვირისაკენ, 6. სახმო სიმები ეღერს. ამ ექვსი მოძრაობა-მდგომარეობიდან ა-სთვის არსებითია მხოლოდ ენის მდგომარეობა და სახმო სიმების ეღერა, დანარჩენი მომენტები არა-არსებითია მისთვის. თუ შევადარებთ უ-ს წარმოთქმას, ვნახავთ, რომ უ-სთვის: 1. ტუჩები მომრგვალებულია და წინ წამოშვერილი, 2. ენის უკანა ნაწილი აწეულია რბილი სასისაკენ, 3. რბილი სასა აწეულია და კეტავს გზას ცხვირისაკენ, 4. სახმო სიმები ეღერს. აქედან უ-სთვის არსებითია ბაგეებისა და ენის მოქმედება. დანარჩენი მომენტები არა-არსებითია. მაგ.: მ-ს წარმოთქმისათვის არსებითია ბაგეების ხშვა, რბილი სასის ფარდის ჩამოშვება (რაც საშუალებას მისცემს ჰაერ-ნაკადს ცხვირის გზითაც გამოედინოს) და სახმო სიმების ეღერა.

ბ-სთვის, მაგალითად. არსებითია მხოლოდ ბაგეების ხშვა და სახმო სიმების ეღერა. პ-სთვის არსებითია სახმო სიმების დაკეტილობა და მ, ბ-ს მსგავსად ბაგეების ხშვა.

ზემოჩამოთვლილ ბგერათა საწარმოთქმო მომენტები — არსებითიც და არაარსებითიც — წარმოადგენს მათ პირველად საარტიკულაციო მოძრაობა-მდგომარეობას. მაგრამ ბგერა სიტყვაში ბგერათშეერთებისას იძენს რომელიმე დამატებითს ანუ მეორეულ საწარმოთქმო მოძრაობა-მდგომარეობას. ასეთია მაგ., ტუჩების მომრგვალება დ-სთვის სიტყვებში „დო“, „დუმილი“. ო და უ-სთან მეზობლობაში დ-მ შეიძინა ლაბიალობა დამატებითი არტიკულაციის სახით.

მეორეული არტიკულაცია შეიძლება იყოს პოზიციური ხასიათისა და ამდენად ბგერისათვის არაარსებითი; მაგრამ ისტორიულად ზოგიერთ მეორეულ არტიკულაციას შეუძლია მოიპოვოს ბგერისათვის არსებითი ხასიათი და, მაშასადამე, მოიპოვოს ფონოლოგიური ღირებულება.

ამა თუ იმ ბგერის მიერ მეორეული არტიკულაციის შექმნა ხდება კოარტიკულაციური ბგერათცვლილების საფუძველზე სხვა ბგერებთან — როგორც უშუალო, ისე არაუშუალო მეზობლობაში.

კოარტიკულაციური ბგერათცვლილების სახეებია: პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ა ც ი ა, ვ ე ლ ა რ ი ზ ა ც ი ა, ნ ა ზ ა ლ ი ზ ა ც ი ა და ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა.

პალატალიზაცია. შუა ენის მაგარი სასის მიმართ მოქმედების შედეგად მიღებულ ბგერას ეწოდება პალატალური (ლათ. palatum 'სასა'). ქართულში ჩვენ გვაქვს პალატალური ხმოვნები ე და ი. მათი წარმოთქმის დროს შუა ენა მეტ-ნაკლებად უახლოვდება მაგარ სასას. პალატალურია ქართულში ნახევარხმოვანი ძ, რომელიც თანხმოვნისა და ხმოვნის მიჯნაზეა. პალატალური ბგერები აქუსტიკურად რბილ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამიტომ მათ ხშირად რბილ ბგერებს უწოდებენ. ამ ბგერების თავდაპირველი არტიკულაცია პალატალობაა. მაგრამ რომელიმე ბგერის პირველად არტიკულაციას შეიძლება დაემატოს მეორეული არტიკულაცია პალატალიზაციის სახით და მივიღოთ პალატალიზებული ანუ დარბილებული ბგერა. მაგ., სიტყვაში „ლალი“ ორი სხვადასხვა ხასიათის ლ გვაქვს: თავკიდური ჩვეულებრივი ლ, მეორე პალატალიზებულია მომდევნო პალატალური ხმოვნის ი-ს გავლენით. მაგრამ ასეთ პალატალიზაციას პოზიციური ხასიათი აქვს და მას ფონოლოგიური ღირებულება ქართულში არა აქვს. რუსულ ენას, ქართულისაგან განსხვავებით. აქვს პალატალიზებულ თანხმოვანთა სისტემა, რომელთაც დისტინქტური ფუნქცია აქვთ. მაგ.: МОЛ—МОЛЪ; НЫЛ—НЫЛЪ. მაშასადამე, რუსულში პალატალიზაცია ფონოლოგიური ღირებულების მქონეა.

ველარიზაცია. უკანა ენის რბილი სასის მიმართ მოქმედების შედეგად მიღებულ ბგერებს ეძახიან ვეღარულს (ლათ. velum palati 'ფარდა სასისა') ანუ რბილი სასისმიერ ბგერებს. აქუსტიკურად ასეთი ბგერები მაგრებიან. ვეღარულობა ფიზიოლოგიური ტერმინია და ნიშნავს უკანა ენის მოქმედებას რბილი სასის ფარდის მიმართ. ტერმინი მაგარი აქუსტიკური შთაბეჭდილების გამომხატველია. ქართულში ვეღარული ბგერებია ხმოვნები ო—უ და თანხმოვნები გ—ქ—კ—ღ—ხ—ყ.

ვეღარული ბგერების გვერდით შეიძლება არსებობდეს ვეღაროზებული ბგერები. მაგ.: სიტყვებში ბურთი, დოღი, სული, ზურგი თანხმოვნები ბ—ღ—ს—ზ— ოდნავ ვეღარიზებულია მომდევნო ვეღარული ხმოვნების გავლენით. მაგრამ, ისევე როგორც პალატალიზებულ ბგერებს, არც ვეღარიზებულ ბგერებს აქვთ დისტინქტური ფუნქცია. ე. ი. ვეღარიზაცია ქართულში ფონოლოგიური ღირებულებისა არ არის.

ფონოლოგიური ღირებულების ვეღარიზაცია გვაქვს ინგლისურში. სიტყვებში all 'ყველა, მთლად' (წარმოითქმის ა: I), pawn წარმოითქმის pə: n) 'პაიკი'. ვეღარულ l-სა და w-ს გავლენით ნეიტრალური a ხმოვნის ნაცვლად მივიღეთ ვეღარული ə — გრძელი ფართო ო.

ამის ანალოგიურად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ლაბიალიზაციაზე და ნახალიზაციაზე. როგორც კოარტიკულაციის სახეობაზე.

7. აპარატვალიზაცია და ფონეტიკური კანონზომიერება

ყოველი ენის ბგერითი მხარე განიცდის ისტორიულად მეტ-ნაკლებ ცვალებადობას. მაგრამ ენის ბგერითი მხარე იცვლება არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ წარმოთქმის ყოველ მომენტში. განუწყვეტლივ; ეს ის ცვალებადობაა, რომელსაც ჩვეულებრივ რწყულ წარმოთქმაში იწვევს ბგერათა ერთმანეთზე გავლენა. ენაში არ არსებობს ორი ისეთი სხვადასხვა სიტყვა, სადაც ერთი და იგივე ფონემა ერთნაირად წარმოითქმოდეს. მეტ-ნაკლები განსხვავება მათ შორის ყოველთვის იქნება. რადგან მოცემული ფონემა ერთნაირ პოზიციაში არასოდეს არ იქნება (თუ ომონიმებთან არა გვაქვს საქმე). უნდა გვახსოვდეს, რომ ფონემის პოზიციას აპირობებენ არა მხოლოდ უშუალო მეზობლები, მაგ.: სიტყვებში დოლი და დოლი ფონემა დ სხვადასხვა პოზიციის მქონეა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში მოცემული ფონემა ანლაუტის პოზიციაშია და მისი უშუალო მეზობელი ო ხმოვანია.

ბ გ ე რ ა თ ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი — პოზიციური, კომბინაციური. შეპირობებული და შეუპირობებელი.

პოზიციური ბგერათცვლილება ხდება ბგერათშერთების პროცესში და გვიჩვენებს, რომ ეს ცვლილება შეპირობებულია იმით, თუ რა ადგილი უკავია ფონემას სიტყვაში და რა ურთიერთობაშია იგი სიტყვის სხვა ფონემებთან. ყველა პოზიციური ბგერათცვლილება ამავე დროს შეპირობებულია; მაგალითად, გქონდა > ქქონდა, თავკიდურ გ-ს ქ-დ გადაქცევა შეპირობებულია მისი უშუალო მეზობლობით ქ-სთან. ბგერათცვალებადობის ეს შემთხვევა წარმოადგენს კომბინაციურსა და ამასთანავე შეპირობებულ ბგერათცვლილებას. კომბინაციურია იმიტომ, რომ ბგერათშეხამების (ლათ. combinare 'ორად შეერთება, შეხამება') შედეგად მიღებულია გქ-საგან ქქ, ხოლო შეპირობებულია იმიტომ, რომ გ-საგან ქ-ს მიღება განპირობებულია ქ-ს მეზობლობით. შეპირობებულ ბგერათცვლილებას უპირისპირდება შეუპირობებელი ანუ სპონტანური (ლათ. spontaneus 'თვითნებური') ბგერათცვლილება. არც ერთ ენაში არ არსებობს უმიზეზო ბგერათცვლილება, მაგრამ თუ მაინც ტერმინი „შეუპირობებელი“ იხმარება ენათმეცნიერებაში, ეს იმიტომ. რომ ზოგიერთი ბგერათცვლილების მიზეზი ცნობილი არ არის. მაგალითად, ახალ სალიტერატურო ქართულში აღარ გვაქვს ფონემა ქ.

ეს უკანასკნელი შენაცვლებულია ხ ფონემით. რა პირობებში მოხდა ასეთი შენაცვლება, ჩვენ არ ვიცით. ასეთი სპონტანური ბგერათ-ცვლილება საკმაოდ ბევრია ყველა ენის ისტორიაში.

ენის ფონეტიკური სისტემა და მისი ისტორიული ცვალებადობა. ენის ფონეტიკური სისტემა განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებებს: ენაში იქმნება ახალი ფონემა ან გამოდის ხმარებიდან მასში არსებული ფონემა.

ახალი ფონემის წარმოქმნა ენაში. ენაში შეიძლება წარმოიქმნას ახალი ფონემა, ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულში ჯ; რუსულში ქ და პალატალიზებული თანხმოვნები რ'—, პ', მ'—, ხ'— ფ', მ'—ტ', ვ'—ც', კ', ზ' და პ'.

საერთოდ ქართულს ფონემა ჟ არ უნდა ქონოდა. მეცნიერთა აზრით, შ-ს გაქდერებამ მისცა დასაბამი ჟ-ს არსებობას ქართულში.

ახალი ფონემის გაჩენით ენაში ჩნდება ახალი დაპირისპირებანი, მაგ: ქალი—შალი, ქრიალი—შრიალი, ქლივილი—შხივილი, ვაჟი—ვაზი — ვაცი და სხვ.

არსებული ფონემის დაკარგვა ენაში. ენამ შეიძლება დაკარგოს რომელიმე ფონემა. ამის ნიმუშად გამოდგება ახალ სალიტერატურო ქართულში კ-ს შეენაცვლება ხ-დ. ამან გამოიწვია ისეთი დაპირისპირების მოშლა როგორცაა კელი—ხელი. მოიშალა კომპლექსები კს—კშ—კც—კჩ—კდ.

სამეტყველო ბგერათა მოქმედი ცვალებადობა. ახალი ფონემის შემოსვლა ენაში ან არსებული ფონემის დაკარგვა ცვლის ხოლმე ენის ფონეტიკურ სისტემას. ამისაგან განსხვავებით არსებობს ბგერათა მოქმედი ცვალებადობა, რომელიც არ ცვლის ენის ფონეტიკურ სისტემას. რადგანაც ბგერათა მოქმედი ცვალებადობა ქმნის ფონემის მხოლოდ სახესხვაობას. ყველაზე ნეტად გავრცელებული ბგერათ-ცვლილებებია ასიმილაცია და დისიმილაცია.

ასიმილაცია. ბგერათშეერთებისას ბგერათა ერთმანეთზე მეტ-ნაკლები გავლენის გამო ხშირია მეზობელ ბგერათა ურთიერთმიმსგავსება ინუ ასიმილაცია (ლათ. assimilatio 'მიმსგავსება'). განასხვავებენ ასიმილაციის შემდეგ სახეებს:

1. მანძილის მიხედვით — კონტაქტურსა და დისტანციურს.
2. მიმართულების მიხედვით — რეგრესულსა და პროგრესულს,
3. შედეგის მიხედვით — სრულსა და ნაწილობრივს,
4. ხმის მონაწილეობა-არამონაწილეობის მიხედვით — გამყვარება-გაყრუებას,
5. წარმოების ადგილის მიხედვით,
6. რაგვარობის მიხედვით,

6. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები

7. რთული ასიმილაციის სახეებს: შუალობითი ასიმილაცია, უმლაუტი და სინჰარმონიზმი.

მანძილის მიხედვით არსებობს კონტაქტური და დისტანციური ბგერათასიმილაცია. კონტაქტურია ასიმილაცია, უკეთეს ასიმილატორი (ბგერა, რომელიც იმსგავსებს) და ასიმილირებული (ბგერა, რომელიც ემსგავსება) უშუალო მეზობლობაში იმყოფებიან. მაგ., ერთგული>ერდგული, სჩული>შჩული, გქონდა>ქქონდა, გჭირს>კჭირს; დისტანციურია ასიმილაცია თუ ასიმილატორი და ასიმილირებული ერთმანეთს დაშორებულნი არიან. მაგ., სიმშილი>შიმშილი, (ბ)ჭისკარი>ჭიშკარი: ასიმილატორია ჭ, ასიმილირებული — ს.

2. მიმართულების მიხედვით არსებობს რეგრესული და პროგრესული ასიმილაცია¹. რეგრესულია ასიმილაცია, თუ სიტყვაში ჭერ ასიმილირებული ბგერაა და შემდეგ ასიმილატორი. მაგ., მისდევს>მიზდევს: ასიმილატორია დ, ასიმილირებული—ზ.

ასიმილაცია პროგრესულია, თუ სიტყვაში წინ ასიმილატორია, ხოლო მომდევნო—ასიმილირებული: მაგალითად, ტკბილი>ტკპილი (დიალექტ.): ასიმილატორია კ, ასიმილირებული—ბ; გადაწყდა>გადაწყტა, ასიმილატორია ყ, ასიმილირებული—დ, შეწუხდა>შეწუხტა, ასიმილატორია ხ, ასიმილირებული — დ.

3. შედეგის მიხედვით ასიმილაცია შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. ასიმილაცია სრულია, თუ ასიმილირებული სავსებით ემსგავსება ასიმილატორს, მაგ., გქონდა>ქქონდა: ანლაუტის გ სავსებით ემსგავსება ასიმილატორ ქ-ს, სიმშილი>შიმშილი, ასიმილირებული ხ სავსებით ემსგავსება ასიმილატორ შ-ს; წაულღო>წუულღო (გურული დიალექტი), აქ გვაქვს ხმოვნის კონტაქტური, რეგრესული და სრული ასიმილაცია.

ნაწილობრივი ასიმილაციის ნიმუშებია: ერთგული>ერდგული, მსგავსი>მზგავსი, მისდევს>მიზდევს.

4. ხმის მონაწილეობა-არამონაწილეობის მიხედვით განასხვავებენ ასიმილაციურ გამელერებას და ასიმილაციურ გაყრუებას. მაგ., მსგავსი>მზგავსი ასიმილაციური გამელერება გვაქვს. ასიმილატორი გ ამელერებს მის წინ მდგომ ყრუ ს-ს და აქცევს მას ზ-დ. ასიმილაციური გამელერების ნიმუშად გამოდგება აგრეთვე შემდეგი მაგალითი: მისდევს>მიზდევს.

ასიმილაციური გაყრუება გვაქვს სიტყვებში: ტბა>ტპა, ტკბილი>ტკპილი (მაგალითები მოყვანილია ქართული ენის დასავლური

¹ ტერმინები პროგრესული და რეგრესული პირობითია და არაერთადაა კუშირი არა აქვთ რეგრესიისა და პროგრესიის ჩვეულებრივ გაგებასთან.

კლოებიდან), გკირს > კკირს: ასიმილატორია ჰ, ასიმილირებულ — ზ.

5. ბ გ ე რ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ასიმილაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს რომელიმე ორგანოსთან. მაგალითად, (ბ)ჰისკარი > ჰიშკარი პროგრესული, დისტანციური ასიმილაცია გვაქვს. ასიმილატორი ჰ (ალევილარული ბგერა) იმსგავსებს დენტალურ ხ-ს ადგილის მიხედვით და აქცევს მას ალევოლარულ შ-დ. მოიტანა > მეიტანა (დიალექტ.): წინა რიგის ხმოვანი ი იმსგავსებს ო-ს და აქცევს მის წინა რიგის ე-დ: ასიმილატორი ასიმილირებულს იმსგავსებს წარმოების ადგილით. ასიმილატორია ი, ასიმილირებულია ო.

6. ბ გ ე რ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი ს რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ასიმილაციის დროს ასიმილირებული ბგერა ემსგავსება ასიმილატორს რაგვარობაში.

მაგალითად, ქვითკირი > ქვიტკირი: ასიმილატორია კ, ასიმილირებული — თ, რომელიც ასიმილატორს მიემსგავსება აბრუპტივობაში; ცეცხლი > *სეცხლი — რეგრესული დისტანციური ასიმილაცია რაგვარობის მიხედვით.

რთული ასიმილაცია. ბგერათა ისეთ მიმსგავსებას, როდესაც ასიმილატორი მოქმედებს ასიმილირებულზე არა უშუალოდ, არამედ მათ შუა მდგომი ბგერის მეშვეობით. ეწოდება რთული ასიმილაცია.

ასეთი რთული ასიმილაციის ნიმუშები გვაქვს რუსულში. მაგალითად, два-ში მონაწილეობენ მაგარი თანხმოვნები დ და ვ: მაგრამ ამავე სიტყვის სხვა ფორმაში ორივე თანხმოვანი პალატალიზდება: две წარმოითქმის დ'ვ'ჲ. ასიმილატორი ე ჯერ არბილებს ვ-ს, ხოლო დარბილებულ ვ-ს მეშვეობით მოქმედებს დ-ზე და მასაც არბილებს. ასევეა სიტყვებში с'п'ина (спина) 'ზურგი' და зин'т'ик 'ქოლგა': и-ს წინ დარბილებული и, და т, — არბილებენ თავის მხრივ и-ს და с-ს

სინჰარმონიზმი ანუ ხმოვანთა ჰარმონია არის ხმოვანთა დისტანციური, პროგრესული ასიმილაცია მთელი სიტყვის მანძილზე. ასიმილაციის ეს სახე განსაკუთრებით არის დამახასიათებელი ურალურ-ალათური ენებისათვის. იაკუტურ ენაში. მაგალითად, მრავლობითობის კატეგორიის გამომხატველ ler-ფიქსის ხმოვანი ემსგავსება ფუძის ხმოვანს და სიტყვაში ერთნაირ ხმოვნებს ვიღებთ: მაგ., аҕа 'მამა' უნდა გექნოდა аҕаҕер, მაგრამ ასიმილაციის შედეგად მივი-

* ვარსკვლავით აღნიშნა სავარაუდო, აღდგენილი, მწერლობაში დაუდასტურებელი ფორმა; < ნიშანი = მიღებულია, > ნიშანი = იძლევა.

ლეთ ayalar: ბავშვი იყი 'ბავშვი', იყიორ 'ბავშვები'; äsä 'დათვი' — äsälar 'დათვები'.

უმლაუტი. უმლაუტი ანუ მეტაფონია (გერმ. umlaut. ბერძნ. μεταφωνία 'გადახმოვნება') არის ხმოვანთა რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია.

ფონეტიკურად უმლაუტი არის წინმდგომ მარცვალში ხმოვნის გაფართოება-დავიწროება მომდევნო მარცვლის ხმოვნის გავლენით. მაგ., ძვ. ზემოგერმ., sulum 'ჩვენ ვხარშავდით, ვადულებდით'. მაგრამ gisotan 'მოხარშული, ადულებული': an დაბოლოების a-მ გააფართოვა ფუძის u და მივიღეთ მისგან o.

დამავიწროვებელ გავლენას მომდევნო მარცვლის ხმოვნისა წინამავალი მარცვლის ხმოვანზე ეძახიან საკუთრივ უმლაუტს ანუ პალატალურ ასიმილაციას. ვინაიდან ხმოვანი შუაენისმიერდება მომდევნო i-ს ან j-ს გავლენით. მაგალითად, ძვ. ზემოგერმან. gast 'სტუმარი', მაგრამ gesti 'სტუმრები'. დაბოლოება i-მ დაავიწროვა ფუძის a და მივიღეთ e.

სინჰარმონიზმისაგან განსხვავებით უმლაუტმა ზოგიერთ გერმანულ ენაში გრამატიკული და სემანტიკური ფუნქცია მოიპოვა. მაგალითად, გერმანულში უმლაუტის საშუალებით იწარმოება სახელთა მრავლობითი რიცხვი. მაგ.: Kalb 'ხბო' — Kälber 'ხბოები' (ძვ. ზ. გერმ. Kelbir); Bruder 'ძმა' Brüder 'ძმები'; Kraft 'ძალა', მაგრამ kräftig 'ძლიერი' და სხვ. როგორც ვხედავთ, გერმანულ ენაში უმლაუტი ფონოლოგიური ღირებულებისაა.

სვანურში გვაქვს პალატალური უმლაუტი: სვან. დავით < დავითი (გამაუმლაუტებელი ი დაკარგულია გამლაუტების შემდეგ), სვან. სადილ < სადილი და სხვ..

დისიმილაცია. დისიმილაცია არის ასიმილაციის საწინააღმდეგო ფონეტიკური მოვლენა. ბგერათა დისიმილაცია ანუ ბგერათა განსხვავება (ლათ. dissimilis 'განსხვავებული' dissimilatio 'განსხვავება') გულისხმობს სიტყვაში ორი მსგავსი (ან ერთგვარი) ბგერის ერთმანეთისაგან განსხვავებას. მაგ., რბილი < ლბილი; ამაღამ > ამელამ, რუს. февраль < *феврарь; ноябрь > ноябрь და სხვ. დისიმილაცია, ისევე როგორც ასიმილაცია, შეიძლება იყოს პროგრესული და რეგრესული, კონტაქტური და დისტანციური.

დისიმილაცია მოსდით მეტწილად სონორ თანხმოვნებს, მათგან განსაკუთრებით რ და ლ-ს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სონორი სონორისაგან ჩვეულებრივ დისიმილირდება სონორი ბგერით: მაგ.: лелწამი > лерწამი (პროგრესული, დისტანციური დისიმილა-

ცია); წლეულს > წრეულს (დიალექტ.): წლეულს > წნეულს (იმერული) ლ—ლ > ნ—ლ.

სონორი სონორისაგან შეიძლება არასონორი ბგერითაც გადისი-მოლირდეს: მაგ., ჯანაბა > ჯანდაბა — კონტაქტური, პროგრესული დისიმილაცია, სადაც ნნ > ნდ: მუხამჰაზი > მუხამაზი: მმ > მბ. ქართულში ძალიან არის გავრცელებული რ—რ-ს დისიმილაცია. სიტყვათმწარმოებელი სუფიქსი ურ-ის რ ხშირად დისიმილირდება და თითქმის ყოველთვის პროგრესულად, მაგ.: გორ-ულ-ი < <გორ-ურ-ი; გურ-ულ-ი < გურ-ურ-ი: იმერ-ულ-ი < იმერ-ური; უ-ფერ-ულ-ი < უ-ფერ-ური: უ-ხერხ-ულ-ი < უ-ხერხ-ური და ა. შ.. დისიმილაცია მოსდით ხმოვნებსაც; მაგ., ახლა > ეხლა, ამაღამ > ამეღამ (დიალექტ.), სათითოდ > სათითაოდ.

ბგერის დისიმილაციური დაკარგვა და შაპლოლოგია. დისიმილირებული ბგერა ზოგჯერ შეიძლება დაიკარგოს. მაგ., პიჭვარი < <პირჩვარი; ბებერი < *ბერ-ბერი; კაკანი < *კანკანი, ლათ. lanterna — 'ფარანი' > lanterna და სხვ..

დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგვის მთელი მარცვალი. დისიმილაციის ნიადაგზე სიტყვიდან მარცვლის ამოვარდნას ეწოდება შაპლოლოგია ანუ გამარტივება (ბერძ. haplos 'მარტივი'). მაგ., ფეხ-შიშველა > ფეხშველა, რუს. знаменосец > знаменосец; минералогия > минералогия; орденосец > орденосец; ლათ. stipendium > stipendium.

მეტათეზისი. მეტათეზისი (ბერძნ. metathesis 'გადაადგილება') ანუ ბგერათგადასმა ეწოდება სიტყვაში ბგერის გადანაცვლებას. მაგ., ათ-რვაშეტი > (ა)თვრამეტი: ნახშირი < ნაშხირი: ნატრვა > ნატერვა: შენიშნვა > შენიშვნა: შეკრვა > შეკერვა: ხნვა > ხენა, რუს. тарелка < 'თეფში' < талерка (შდრ. გერ. Teller).

მეტათეზისი მოსდით მეტწილად სონორ თანხმოვნებს: რ—ლ—მ—ნ-ს და აგრეთვე ვ-ს. მეტათეზისი გვაქვს კონტაქტური (ნაშხირი > > ნახშირი) და დისტანციური (ლეღწამი > ლერწამი).

მეტათეზისი გვაქვს მარტივი და საურთიერთო. მარტივია მეტათეზისი, თუ სიტყვაში ადგილს იკვლის ერთი ბგერა. მაგ.: ათრვა-შეტი > თვრამეტი; ვნახე > ნავხე (დიალექტ.) და სხვ..

მეტათეზისი საურთიერთოა, თუ სიტყვაში დისტანციურ მეზობლობაში მყოფი ორი ბგერა ერთმანეთს შეუნაცვლებს ადგილს, მაგ., ცარიელი < ცალიერი. ვასხვავებთ პროგრესულ მეტათეზისს რეგრესულისგან.

პროგრესულია მეტათეზისი, როცა ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის ბოლოსაკენ. მაგ.: თავყინისცემა > თავყანისცემა, ვნახე >

>ნავზე და ა. შ. რეგრესულია მეტათეზისი, თუ ბგერა გადაინაცვლებს სიტყვის თავისაკენ. მაგ.. (ა)თრვამეტი>თვრამეტი; ზურგი>ზრუგი (დიალექტ.) და ა. შ..

ქართულში გავრცელებულია უფრო რეგრესული მიმართულების მეტათეზისი.

ფაუკალური და დენტი-ლატერალური თანხმოვნები. ზოგ ენაში, მაგალითად რუსულში, როდესაც დენტალურ ხშულებს $d-t$ -ს უშუალოდ მოსდევს პომორგანული ნაზალი n —ასეთი კომპლექსების არტიკულაცია ხდება შემდეგნაირად: ორივე თანხმოვნისათვის ხშვა ხდება ერთხელ. ხოლო განხშვა ხდება არა პირში, სადაც ხშვა მოხდა, არამედ ხახის არეში, სადაც ხდება სასის ფარდის სწრაფი ჩამოშვება. რის გამოც ჰაერი მთლიანად მიედინება ცხვირის ღრუში. ამაგვარად წარმოებულ რთულ თანხმოვანს ეუწოდებთ ფაუკალურს (ლათ. *faux* 'ხახა', *faucalis* 'ხახისმიერი'); სიტყვებში $дш$ 'ფსკერი', $пшш$ 'ლაქა' $дн$ -სა და $тн$ -ს სახით გვაქვს თითოეული ფაუკალური თანხმოვანი. ამაგვარად წარმოებული ბგერები ბგერათშეერთების პირველ წესს ახორციელებენ. მათ დენტი-ფაუკალურ თანხმოვნებს უწოდებენ.

ქართული $დნ-თნ-ტნ$ წარმოთქმის დროს ბგერათშეერთების პირველი წესი არ ხორციელდება: $ნ$ -ს შემართვა იწყება პირველი კომპონენტის ექსპლოზიის შემდეგ. ამდენად მათ შორის არსებობს ბგერადობა ირაციონალური ხმოვნის სახით.

ასეთივე ბგერათშეერთება გვაქვს კომპლექსებში $ბმ-ფმ-ჰმ$; რუსულში კომპლექსები $дм$ და $пм$ გვაძლევენ ლაბიო-ფაუკალურ თანხმოვნებს. რომლებიც იწარმოებიან დენტი-ფაუკალური თანხმოვნების მსგავსად.

ბგერათშეერთების პირველი წესის მოქმედების შედეგად შესაძლებელია მივიღოთ დენტი-ლატერალური თანხმოვნები, როცა მეორე სამეულის ხშულებს უშუალოდ მოსდევს $ლ$: $დლ-თლ-ტლ$. ასეთი კომპლექსების წარმოთქმის დროს თითოეული კომპონენტი ცალცალკე კი არ წარმოითქმის, არამედ ერთად, ოღონდ ხშვა ხდება წინა ენით და სკდომა — ენის გვერდებით.

დენტი-ლატერალური თანხმოვნები გვაქვს. მაგ.. რუსულში ($длн-нный$, $длн тлр$), სადაც ისინი მხოლოდ პოზიციურად არსებობენ.

ზოგიერთ კავკასიურ ენებში დენტი-ლატერალური თანხმოვნები წარმოადგენენ ფონემებს: მათ ეძახიან „კავკასიურ ლატერალურ თანხმოვნებს ანუ ლატერატებს“.

ბგერათმონაცვლეობა. ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ბგერათა კანონზომიერ შენაცვლებას ეწოდება ბგერათმონაცვ-

ლეობა ანუ ალტერნაცია (ლათ. alternatio 'ცვლა'). ჩვეულებრივ განასხვავებენ თანხმომთანაცვლეობას (ერთმანეთს ენაცვლება თანხმონებები) ხმომთანაცვლეობისაგან. ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება თანხმომი და ხმომიანი. მაგ., გრძნობა, მაგრამ გრძნოფს, რიგი — რიქში, კაცები — კაცეფს და სხვ..

ქართულის იმერულ კილოში ხშირია ა/ე და ო/ე ხმოვნების მონაცვლეობა; მაგ., ლიტერატურული წავიდა, იმერული წვეიდა, ლიტერატურული მოვიდა, იმერული მევიდა და ა. შ.. ქართულში ერთმანეთს ენაცვლება ო/ვ მაგ., მაწონი/მაწვნის, ნიგოზი/ნიგვზის, მინდორი/მინდვრის.

ფონეტიკურად შეპირობებული ბგერათმონაცვლეობა გვაქვს მაშინ, როდესაც ბგერათმონაცვლეობა შეპირობებულია მონაცვლე ბგერათა ფონეტიკური პოზიციით. ასეთ ბგერათმონაცვლეობას ენისთვის ფონოლოგიური ღირებულება არა აქვს. მაგ., გრძნობა, მაგრამ გრძნოფს <გრძნობს: ბ დაყრუვდა ს-ს მეზობლობის გამო. რიგი, მაგრამ რიქს <რიგს: გ — დაყრუვდა ხ-ს მეზობლობის გამო და ა. შ..

ისტორიული ბგერათმონაცვლეობა. ისეთ ბგერათმონაცვლეობას, რომელიც ქმნის გრამატიკული ან სემანტიკური მნიშვნელობის დიფერენციაციას, ეწოდება ფონოლოგიური ბგერათმონაცვლეობა. ასეთი ბგერათმონაცვლეობა შეიძლება ისტორიულად შეპირობებული იყოს ან ისტორიულად სპონტანური. მაგ., კრება/კრეფა უეკველია, რომ ორივე სიტყვა ერთი წარმოშობისაა. სახელდობრ კრებისაგან: ისტორიულად მოხდა ბ-ს გაყრუება აუსლაუტში (კვრებ/კვრეფ) ან ყრუ თანხმომის წინ (კრებს > კრეფს) და ამ გზით წარმოიქმნა ახალი ფუძე კრეფ. რომელთანაც დაკავშირებულია განსხვავებული მნიშვნელობა.

ისტორიულად სპონტანური ბგერათმონაცვლეობა გვაქვს სიტყვებში ყრიალი — შრიალი, სული — სუნი. რუსულში. მაგ. человек — человеческии, друг — дружить — друзья და სხვ..

ისტორიულად სპონტანურ ხმომთანაცვლეობას უწოდებენ აბლაუტს; მაგ., ქართულში გრებს/გრიხა, ჰყლეტს/ჰყლიტა; რუსულში ცинеру 'შეკვრებ'/цинхрαιο 'კვრებ', გერმანულში Sprache/ Spruch და სხვ..

ბგერათრედუქცია. ბგერათრედუქცია (ფრანგ. reduction 'შემცირება', 'დაკლება') ანუ ბგერის შესუსტება გულისხმობს ბგერის წარმოების სისრულის დაკარგვას. ბგერათშეერთების პროცესში შეიძლება რედუცირდებოდეს როგორც თანხმომიანი, ისე ხმომიანი.

თანხმოვანთა რედუქცია. რედუქცია მოსდის ნებისმიერ თანხმოვანს. ქართული ენის ქართულ რეალურ დიალექტში ძალიან არის გავრცელებული ს-ს რედუქცია. მაგ., მისდევს > მიპდევს > მიადევს > მიდევს ან ამისთანა > ამიპთანა > ამითანა. რედუქცირებული ბგერა შეიძლება სულ დაიკარგოს. მაგ., კარგად > კარგათ > კარგა.

ღეწაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატის მარტივ თანხმოვნად ქცევა რედუქციის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. მაგ., სწავლა > სტავლა (იმერული), ძლარბი > ზლარბი, ოცდაერთი > ოძდაერთი > ოზდაერთი.

რედუქცირდებიან აგრეთვე სონორი თანხმოვნები მაგ., სახლს > > სახს.

ხმოვანთა რედუქცია. ხმოვანთრედუქცირებისას ხშირია ხმოვნის არა მხოლოდ არტიკულაციური დასუსტება, არამედ დაკარგვაც. მაგ., ბალი—ბლის; მტერი—მტრის. ხმოვანთა რედუქცია ძალიან არის გავრცელებული რუსულში. უმახვილო მდგომარეობაში ხმოვნები *o* და *a* ყოველთვის რედუქცირებულნი არიან. მაგ., голова, [гълова], город, [горът], юноша [jунъшъ]; ყველა უმახვილო ხმოვანი რედუქცირებულია.

ბგერათსუბსტიტუცია და ბგერითი ანალოგია. სიტყვის ერთსა და იმავე ფორმაში ბგერის შეცვლას სხვა ბგერით ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე ეწოდება ბგერათსუბსტიტუცია (ლათ. substitutio 'ჩანაცვლება') ანუ ბგერათჩანაცვლება. მაგ., ტომოთეს ნაცვლად ქართულში გვაქვს კიმოთე, პატიყი > პატიჯი, რამდენი > რამტენი (დიალექტ.), კოვზი > კობზი. უმთავრესად ბგერათსუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი აკუსტიკური აღქმის ნიადაგზე.

ზოგჯერ ბგერათჩანაცვლება სრულიად აუცილებელია. ეს ხდება მაშინ, როდესაც ენაში შემოდის უცხოური სიტყვა, რომლის შემადგენლობაში არის ისეთი ბგერა, რომელიც მსესხებელი ენის ბგერით სისტემას არა აქვს; მაგ., რუს. чифра — ქართულში მოგვცა ც ი ფ რ ი: ფ — ქართულში ჩანაცვლებულ იქნა ფ-თი.

ბგერითი ანალოგია ორგვარია: ნეიტრალური და ფუნქციონალური ანუ მადიფერენცირებელი.

ნეიტრალურია ბგერითი ანალოგიის ისეთი მოქმედება, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას არ უკავშირდება; მაგ., მნიშვნელობის მხრივ სულერთია ვიტყვით უ ფ რ ო ს ი თუ უ მ ფ რ ო ს ი, სადაც მ ჩართულია ასოციაციურად უმცროსის გავლენით; და მ პ ა რ თ ი — და დ მ ა რ თ ი, უ კ უ მ ა რ თ ი — უ კ უ ღ მ ა რ თ ი, წ ა მ ა რ თ ი-

წ აღ მ ა რ თ ი, სადაც ღ შემოტანილია აღ მ ა რ თ ი ს ანალოგიით, აქ იგი წარმოადგენს ძველ აღ-წინსართს.

ზემოთ მოყვანილ ანალოგიის მაგალითებს, რომლებიც შედეგია ასოციაციურად დაკავშირებული ორი სიტყვის ბგერობრივი შერევისა, ვეძახით კონტამინაციას.

ფუნქციონალური ანუ მადიფერენცირებელი ანალოგია უკავშირდება სიტყვის სემანტიკურსა და გრამატიკულ მნიშვნელობას. ასეთი ანალოგიის მოქმედება ასხეავებს ერთმანეთისაგან განათლებას განათებისაგან, გამარჯვებას გამარჯობისაგან, ასეთივეა მაღლა—მაღლად, ახლა—ახლად.

ბგერათცვლილების კანონზომიერება და ფონეტიკური კანონი. ენის ბგერითი მხარე იცვლება გარკვეული კანონზომიერებით. კანონზომიერია არა მხოლოდ ისტორიული, არამედ თანაქამიერი ბგერათცვლილებაც; მაგ., ძველი ქართული კ იცვლება ხ-დ და იმ დიალექტებში, სადაც ეს ცვლილება მოხდა, არ არის სიტყვა, სადაც არსებული კ — არ შეცვლილიყოს ხ-დ. კ > ხ-ს კანონზომიერება იმაში გამოიხატება, რომ იგი საყოველთაოა მოცემულ ენაში.

რამდენადაც კანონზომიერება არის კანონთა ერთობლიობა, ამდენად ფონეტიკური კანონის არსებობა უდავოა, მაგრამ ის უგამონაკლისო არ არის. ფონეტიკური კანონი შეზღუდულია დროითა და სივრცით. მაგალითად. გარკვეულ პერიოდში, სახელდობრ ძველი ქართულიდან საშუალო ქართულში გადასვლის პერიოდში ზოგიერთ დიალექტში მოქმედებდა ფონეტიკური კანონი კ-ს და ხ-დ ქცევისა. ამ კანონმა შეწყვიტა მოქმედება საშუალო ქართულში და დღეს კი აღარ მოქმედებს, რაც იქიდან ჩანს, რომ დაცულია ქართულის მთელ რიგ დიალექტებში.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ფონეტიკური კანონი უგამონაკლისო არ არის; ფონეტიკური კანონის რეალიზაციას ხელი შეიძლება შეუშალოს სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევამ.

ცნობილია, რომ პირველი თანხმოვანთგადაწევის (die erste Lautverschiebung) კანონის¹ თანახმად ინდურ-ბერძნულ-ლათინურ ყრუ ხშულებს გერმანიკულში შეესატყვისებოდა ყრუ სპირანტი, ე. ი. p—t—k გვაძლევდა f—θ—h-ს. ესაა ფონეტიკური კანონი, რომლის განხორციელებას ზოგჯერ სხვა კანონის ჩარევა უშლიდა ხოლმე ხელს.

¹ ეს კანონზომიერება შენიშნა გერმანელმა მეცნიერმა ი. გრიმმა და ენათმეცნიერებაში ცნობილია გრიმის კანონის სახელწოდებით.

მეორე კანონი. რომელიც ცნობილია კ. ვერნერის კანონის სახელწოდებით. მდგომარეობს შემდეგში: შესატყვისობა ძვ. ინდ. $p-1-k >$ გერმ. $f-1-x$ დაცულია, თუ მოცემულ თანხმოვანს წინ უსწრებს მახვილიანი ხმოვანი: შესატყვისობა ირლვევა. თუ მოცემულ თანხმოვანს მოსდევს მახვილიანი ხმოვანი: ასე, მაგ.:

ძვ. ინდური

bhrátar—ძმა

pitár —მამა

mātár —დედა

გუთური

broyar—შესატყვისობა დაცულია

fadar —შესატყვისობა ირლვევა

mōdar—შესატყვისობა ირლვევა

კ. ვერნერის მიერ აღმოჩენილი კანონი იყო სწორედ ის მიზეზი, რომელიც ზოგჯერ საშუალებას არ აძლევდა გრიმის კანონს განხორციელებულიყო.

როგორც ვხედავთ, სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევით აიხსნა ის „გამონაკლისი“. რომელიც ჰქონდა I თანხმოვანთგადაწევის კანონს.

ფონეტიკური კანონის მოქმედების უგამონაკლისობის დებულება ითვალისწინებს: 1. ანალოგიის მოქმედებას, 2. სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევასა და 3. სხვა ენიდან ლექსიკის ნასესხობას, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ფონეტიკური კანონის უგამონაკლისო მოქმედება.

ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება. ფონეტიკური ანალოგია ხშირად უშლის ხელს ფონეტიკური კანონის მოქმედებას. მაგ.: დადევ $>$ დადექ ფონეტიკური კანონის მიხედვით სწორია, რადგან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მკლერი ჩქამიერი თანხმოვანი ყრუედება, მაგრამ დადექ ი-ში ფონეტიკური კანონი დარღვეულია დადექ ფორმის ანალოგიით. ანალოგიისავე მოქმედების შედეგია დავექი, დავექი, რომლებშიც ფონეტიკური კანონის მიხედვით ქ არ უნდა განვითარებულიყო. ზემოდასახელებულ მაგალითებში მოქმედებს ნეიტრალური ანალოგია, რომელიც არ არის დაკავშირებული სიტყვის მნიშვნელობასთან. მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც მოქმედებს ფუნქციონალური ანუ მადიფერენცირებული ანალოგია, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის (ან მისი ფორმის) მნიშვნელობასთან და წარმართავს ფონეტიკურ ცვლილებებს. მაგ.: ფონეტიკური რედუქციის კანონის მიხედვით ქართულში სიტყვა თვალი ფუძეკუმშვადია: თვალი — თვლის; მაგრამ ეს ფონეტიკური კანონი დარღვეულია ფუნქციონალური ანალოგიის მოქ-

მედებით სიტყვის მნიშვნელობის სადიფერენციაციოდ: თვალი — თვალის (თვალის სინათლე) და თვალი — თვლის (ურმის თვლის).

სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევა. ქართულში არსებობს კანონი ს||პ პრეფიქსების დიფერენცირებული ხმარების შესახებ: ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა (და სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა) წინაენისმიერ ჩქამიერთა წინ გვევლინება მხოლოდ ს-ს სახით. ბოლო დანარჩენ თანხმოვანთა წინ მხოლოდ ჰ-ს სახით. ამ კანონის მოქმედებას წინ ელობება სამი სხვა ფონეტიკური კანონი:

1. „ს, როგორც ჩქამიერი ყრუ თანხმოვანი, მკლერდება მომდევნო მკლერი ჩქამიერის წინ“: ს||პ > ზ||პ, გასდის > გაზდის||ჰკითხავს:

2. „ს—ზ. როგორც სისინა თანხმოვნები, იქცევიან შიშინა თანხმოვნებად მომდევნო შიშინას წინ“: ამ კანონის თანახმად. ს||პ მოგვევლინება შ||პ — სახით: მოშჰრის||ჰკითხავს. ბოლო ზ||პ — ე||პ-ს სახით: მიუეჰის||ჰკითხავს.

3. „პ თანხმოვანი კარგავს ფონემიურობას და იქცევა მომდევნო ჩქამიერი თანხმოვნის ფშინიერ შემართვად“. ამ კანონის ძალით ჰკ —ჰქ—ჰგ-ში გვაქვს არა ორ-ორი თანხმოვანი, არამედ თითო ფშინიერშემართვიანი. და ს||პ გვევლინება ს||წული-ს სახით ან კიდევ უფრო რთული სახით „ს—ზ, შ—ე, ჯ||წული“-ს სახით.

როგორც ვხედავთ, ს||პ პრეფიქსის კანონის რეალიზაციაში ჩაერია სამი სხვა ფონეტიკური კანონი.

სხვა ენიდან ლექსიკის ნასესხობა. სხვა ენის ლექსიკა ყოველ ენაშია მეტ-ნაკლებად. ცალკეული უცხოური ბგერის შესვლაც არაა გამორიცხებული ენაში. მაგრამ იგი ვერ დამკვიდრდება, თუ მას არ დაემთხვა იდენტური ბგერის განვითარება თვით შემთვისებელ ენაში.

საყურადღებოა, რომ ყოველ ნასესხებ სიტყვაში, რომელშიც არის უცხოური ბგერა. ჩანაცვლება ხდება დამსესხებელი ენის მხოლოდ ერთი და იმავე ბგერით. ამ ფონეტიკურმა კანონმა გამონაკლისი არ იცის. ნასესხები სიტყვები თავისი ბგერებით ემორჩილებიან მოცემული ენის ფონეტიკური განვითარების კანონებს და არ ქმნიან რაიმე გამონაკლისს ფონეტიკური კანონიდან. მაგალითად. ქართულში უცხოური ფ-ს ნაცვლად წარმოითქმის ფ. ციფრი < რუს. цифра: აფიცერი < რუს. офицер < офицер და სხვ.

ფონეტიკური კანონის შეზღუდულობა დროითა და ადგილით. ფონეტიკური კანონის მოქმედება შეზღუდულია დროითა და ადგილით. მაგ., ძველი ქართული ენის საშუალო ქართულზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში მოქმედებდა ფონეტიკური კანონი კ-ს ხ-დ ქცევისა. ამ კანონმა შეწყვიტა მოქმედება უკვე საშუალო ქართულ-

ში და დღეს იგი აღარ მოქმედებს. კ დაცულია ზოგიერთ დიალექტში. ამ კანონის მოქმედება შეზღუდული იყო ადგილითაც; იგი მოქმედებდა სალიტერატურო ქართულსა და მეტწილად ბარის დიალექტებში. არ გავრცელდა, მაგალითად ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, ქიზიყურსა და ინგილოურში.

§ 6. ზეარათა ხანგრძლივობა ანუ ზეარათრაოდნობა

ბგერის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმ დროის მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც გვესმის ესა თუ ის ბგერა. სამეტყველო ბგერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით. ყოველ ცალკეულ ბგერას აქვს მისთვის დამახასიათებელი ხანგრძლივობა, მაგალითად, ქართულში დ-ს საშუალო ხანგრძლივობა უდრის წამის 0,18-ს, ტ-სი — წამის 0,16-ს, ჯ-სი წამის 0,3-ს, ა-ს ხანგრძლივობა წამის 0,17-ს და ა. შ.; თითოეული ამ ბგერის ხანგრძლივობა სიტყვაში შესაძლებელია გავზარდოთ, მაგრამ შესაბამისად გაიზარდება ყველა დანარჩენი ბგერის ხანგრძლივობაც.

ბგერის ხანგრძლივობა არ არის დამოკიდებული ბგერის სიმაღლეზე, სიძლიერეზე ან ტემპრზე. ბგერის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარმოთქმის ტემპზე, რომელიც დაკავშირებულია მეტყველის ტემპერამენტთან. ასაკთან, მის ემოციურობასთან და ა. შ.; ასეთ ხანგრძლივობას ლინგვისტური თვალსაზრისით არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და მას უწოდებენ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა ს.

აბსოლუტურ ხანგრძლივობას უპირისპირდება ისეთი ხანგრძლივობა, როცა მეტყველებაში ბგერები სხვადასხვა ხანგრძლივობით წარმოითქმიან; ასეთ ხანგრძლივობას ეწოდება შეფარდებითი (რელატიური) ხანგრძლივობა, რომელსაც ზოგიერთ ენაში აქვს ფონოლოგიური ღირებულება. ბგერის ასეთ ხანგრძლივობას ეწოდება ბგერათრაოდნობა (ლათ. *quantitas*, ფრანგ. *quantité* კვანტიტეტი) ანუ ბგერათა სიგრძე-სიმოკლე.

ყოველ ენაში ბგერის საშუალო ხანგრძლივობა განსაზღვრულ პირობებში წარმოადგენს ძირითადად უცვლელ ოდენობას. ხანგრძლივობა მეტად თუ ნაკლებად დამოკიდებულია და შეიძლება შეიცვალოს ფონეტიკური პოზიციისა და ფონეტიკური პირობების მიხედვით. მაგალითად, ხმოვანი ბგერის ხანგრძლივობა სხვადასხვა იმის მიხედვით, ხმოვანი დახურულ მარცვალში გვხვდება თუ ღიაში. ღია მარცვალში ხმოვანი ჩვეულებრივ უფრო გრძელია, ვიდრე დახურულში, სადაც ხმოვნის სიგრძეზე მოქმედებს მომდევნო თან-

ხმოვანა. რომელიც კვეცს ხმოვნის სიგრძეს. მაგალითად, ასალ გერმანულში ძირის მოკლე ხმოვანი გრძელდება ღია მარცვალში; საშ. ზემოგერმანულში გვაქვს haben, ახალ ზემოგერმანულში haben; საშ. ზემოგერმანულში lesen, ახალ ზემოგერმანულში lesen; ფრანგულში, ისევე როგორც გერმანულში, ღია მარცვლის ხმოვანი უფრო გრძელია. ვიდრე დახურული მარცვლისა.

ხმოვანთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია დინამიკურ მახვილზე. რუსულში მახვილიანი ხმოვანი უფრო გრძელია, ვიდრე უმახვილო; ფრანგულში მახვილიანი ხმოვანი ერთნახევარჯერ უფრო გრძელია უმახვილოზე.

ხმოვნის სიგრძე ზოგჯერ დამოკიდებულია სიტყვაში მის პოზიციაზე: მაგალითად, ფრანგულში r, v, z, j-ს წინ ხმოვანი გრძელია; père 'მამა' rêve 'ძილი', 'სიზმარი', lèse, 'შეურაცხყოფა', 'დანაშაული', collègue 'კოლეგია', ყველა ამ მაგალითში e გრძელია. რუსულსა და გერმანულში ხმოვანთა სიგრძე იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი თანხმოვნის მეზობლად გვხვდება იგი; მაგალითად, ყოველი ხმოვანი მკლერი თანხმოვნის წინ უფრო გრძელია, ვიდრე ყრუ თანხმოვნის წინ. სპირანტების მეზობლად ხმოვანი უფრო გრძელია ფართო ხმოვანზე. მაგალითად, შდრ. ინგლისურში feet 'ფეხები', და fit 'შესაფერი', 'ვარგისი' პირველ შემთხვევაში ვიწრო i წარმოითქმის გრძლად, ხოლო მეორე შემთხვევაში i არის ფართო და წარმოითქმის მოკლედ. გერმანულში solin 'ვაეიშვილი' და sonne 'მზე': პირველში o ვიწროა და გრძელი, მეორეში — ფართო და მოკლე.

აქამდე ძირითადად განხილული იყო ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, მაგრამ ისევე როგორც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, თანხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე შეიძლება განპირობებული იყოს ფონეტიკური ფაქტორით; მაგალითად, შეედურ ენაში გრძელი თანხმოვნები გვხვდება მოკლე ხმოვნების შემდეგ. ხოლო მოკლე თანხმოვნები—გრძელი ხმოვნების შემდეგ. ინგლისურში სიტყვის ბოლოს მოთავსებული თანხმოვნები წარმოითქმიან უფრო მოკლედ გრძელი მახვილიანი ხმოვნის შემდეგ და უფრო გრძლად—მოკლე ხმოვნების შემდეგ.

ორი სავესებით მსგავსი თანხმოვნის შეერთებისას წარმოიქმნება გრძელი ან გაორმაგებული თანხმოვანი, რომელსაც უწოდებენ გემინატს ან გემინირებულ თანხმოვანს.

გემინატი ჩვეულებრივ გვხვდება ორ ხმოვანს შორის, მაგალითად, ურემმა, ვაზზე, გგონია და ა. შ.

ფონოლოგიური (ფონემატური) სიგრძე-სიმოკლე (რაოდნობა) გვხვდება ზოგიერთ ენაში იმ შემთხვევაში, როცა სიგრძე-სიმოკლე

ბგერის უცვლელ ნიშნად გვევლინება. იგი არ იცვლება ფონეტიკური გარემოცვის მიხედვით და ამდენად იგი ფონემატურია (ფონოლოგიურია). ე. ი. მას აქვს ლინგვისტური მნიშვნელობა.

ბგერის ხანგრძლივობა, როგორც ფონემატური ნიშანი, გამოყენებულია ბევრ ენაში: მაგალითად. ლათინურში *vīnit* ნიშნავს 'მიღის'. აქ *ī* მოკლეა, ხოლო *vēnil* 'მოვიდა' აქ *ē* გრძელია. ლათ. *manus* 'ხელი', მაგრამ *manūs* 'ხელისა'.

ფონოლოგიური ღირებულებებისაა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე გერმანულში. ინგლისურში. ჩეხურში და ბევრ სხვა ენაში. მაგალითად, გერმანულში *stadt* მოკლე *a*-თი ნიშნავს 'ქალაქ'-ს. მაგრამ *staat* გრძელი *a*-თი — 'სახელმწიფო'-ს. *saal* გრძელი *a*-თი 'თესლი', ხოლო *sall* მოკლე *a*-თი 'მადლარი'.

ჩეხურში *pas* 'პასპორტი'. მაგრამ *pās* (გრძელი *a*-თი) ნიშნავს 'ჰამარი', *dal* 'მისცა', *dāl* 'სიშორე. შორს'.

ინგლისურში *seat* [si:t] 'სეამი'. *sit* 'ჯდომა', *gaud* [go:d] 'სამშვენისი', *good* [gʊd] 'ღმერთი'.

ქართველურ ენათაგან ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ფონოლოგიურია სვანურა ენის ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში: მაგალითად. *მ ო შ* 'თუ', *მ ო შ* 'ცალკე'. *დ ე რ ა* 'ხომ', *დ ე რ ა* 'გაყინული თოვლის ნარჩენი', *მ ა გ* 'ყველა, ყველაფერი'; *მ ა გ* 'ჩხურავს. მიდგას'; *ი ა რ ი* 'იხმობს. იბარებს', *ი ა რ ი* 'იწერება': *ი რ დ ი* 'ზრდის. იზრდის', *ი რ დ ი* 'იქნება'.

რაც შეეხება ბალსქვემოურსა და ლენტეხურს, ამ დიალექტებში ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე არ დასტურდება. ისტორიულად სვანურის რთხივე დიალექტში უნდა არსებულიყო ხმოვანთა რაოდენობა: ბალსზემოურსა და ლაშხურში ის დღესაც გვაქვს, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში დაიკარგა (აღ. ონიანი).

ბგერათა სიგრძე-სიმოკლე ეხება ძირითადად ხმოვნებს, მაგრამ ზოგჯერ ენებში ვხვდებით თანხმოვანთა ფონოლოგიურ სიგრძე-სიმოკლეს; ქართულში და რუსულში თანხმოვანთა ფონოლოგიური სიგრძე-სიმოკლე არ გვხვდება. მაგრამ, მაგალითად, ფინურში გვაქვს, ერთი მხრივ — *kalo* 'დაკარგვა', ხოლო მეორე მხრივ *kal:o* 'სახურავი', *palo* ხანძარი. *pal:o* ბურთი. იაკუტურში. მაგალითად, *ot:on* 'და' (კავშირი), *oton* 'ნაყოფი'. *kek:e* 'მწკრივი', *keke* ფრინველის სახელწოდება, *sa la* 'ყნოსვა'. *sa la* 'დაღლილობა'.

როგორც აქედან ჩანს, ფონოლოგიური სიგრძე-სიმოკლე ძირითადად ხმოვნების დამახსიათებელი ნიშან-თვისებაა, ხოლო თანხმოვნების სიგრძე-სიმოკლე შედარებით იშვიათად გვხვდება.

ენაში, მეტყველების პროცესში, შეიძლება გამოიყოს ბგერა. მარცვლი, სიტყვა, ფრაზა ანუ გამონათქვამი. ბგერის, მარცვლის. სიტყვის. ფრაზის ანუ გამონათქვამის სხვადასხვა აკუსტიკური ნიშნით გამოყოფა-გამოჩინებას ეწოდება მ ა ხ ვ ი ლ ი.

მეტყველების ელემენტის გამოყოფა-გამოჩინებას სიძლიერით ეწოდება დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი მ ა ხ ვ ი ლ ი. ხოლო მეტყველების ელემენტის გამოყოფა-გამოჩინებას ტონის სიძლიერით ეწოდება მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი ანუ ტ ო ნ უ რ ი მ ა ხ ვ ი ლ ი: როცა გამოყოფა-გამოჩინება ხდება ხანგრძლივობით, მახვილი ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ი ს ა ა ა ნ უ კ ვ ა ნ ტ ი ტ ა ტ უ რ ი ა (ლათ. *quantitas* — 'რაოდენობა', 'ხანგრძლივობა').

მახვილთა ხმარების სიხშირე სხვადასხვაა: ხანგრძლივობის ანუ კვანტიტატური მახვილი დღეს დამოუკიდებლად თითქმის არ გვხვდება. ხანგრძლივობის მახვილი ყოველთვის გვხვდება დინამიკურ ან მუსიკალურ მახვილთან ერთად და ყველა შემთხვევაში წამყვანი როლი ენიჭება დინამიკურ ან მუსიკალურ მახვილს. მაგალითად, რუსულში მახვილი დინამიკურია, ამასთან ერთად მახვილიანი ხმოვანი ყოველთვის გრძელდება. დინამიკური მახვილის მატარებელი ენები უფრო მეტია, ვიდრე მუსიკალური მახვილისა. დინამიკური მახვილი გვხვდება ისეთ ენებში, როგორიცაა რუსული, უკრაინული, ქართული, ჩეხური, გერმანული, ინგლისური და ა. შ.. ტონური ანუ მუსიკალური მახვილი გვხვდება იაპონურში, ჩინურში, ნორვეგიულში, კორეულში, შვედურში. ნორვეგიულსა და შვედურში მუსიკალური მახვილი გვხვდება დინამიკურ მახვილთან ერთად.

მახვილი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს: მაგალითად, უძველეს ლათინურში მახვილი მუსიკალური იყო. მახვილისაგან დამოუკიდებლად ხმოვანი გვხვდებოდა გრძელი და ამგვარად სიგრძე-სიმოკლეს ფონოლოგიური ღირებულება ჰქონდა: დროთა განმავლობაში მუსიკალური მახვილი იქცა დინამიკურად, მისი გავლენით მახვილიანი ხმოვნები დაგრძელდა; ხოლო უმახვილო გრძელი ხმოვნები დამოკლდა.

ენებში ჩვეულებრივ სუფთა დინამიკური ან სუფთა მუსიკალური მახვილი შედარებით იშვიათად გვხვდება (სუფთა დინამიკური მახვილის მაგალითად ასახელებენ ჩეხურ ენას). ენებში, სადაც გვაქვს დინამიკური მახვილი, შესაძლებელია შეგვხვდეს მუსიკალური მახვილის

ელემენტები ან პირიქით. იქ სადაც გვაქვს მუსიკალური მახვილი, შესაძლებელია შეგვხვდეს დინამიკური მახვილის ელემენტები.

დინამიკური მახვილი სიტყვაში შეიძლება იყოს ფიქსირებული (უძრავი, მიმაგრებული) ან არაფიქსირებული (მოძრავი, თავისუფალი) რომელიმე ბგერაზე ან მარცვალზე. ფიქსირებული მახვილი ყოველთვის ერთსა და იმავე მარცვალზე გვხვდება: ფრანგულსა და სომხურში მახვილი სიტყვაში ყოველთვის ბოლოდან პირველ მარცვალზეა. პოლონურში ბოლოდან მეორე მარცვალზე, თურქულში ბოლო მარცვალზე, ჩეხურში სიტყვის პირველ მარცვალზე და ა. შ.

ყველა ჩამოთვლილ ენაში სიტყვათმახვილის ადგილი შეზღუდულია ერთი რომელიმე მარცვლით, მაგრამ არის ენები, რომლებშიც სიტყვათმახვილის ადგილი, მართალია, შეზღუდულია, მაგრამ არა მხოლოდ ერთი მარცვლით, არამედ ორით (მაგალითად, ლათინურში სიტყვათმახვილი ბოლოდან მეორეზეა ან მესამეზე) ან სამით (მაგ., ძველ ბერძნულში სიტყვათმახვილი შეიძლებოდა ჰქონოდა ერთ-ერთს სამმარცვალთაგანს ბოლოდან).

არაფიქსირებული ანუ თავისუფალი მახვილი არ არის შეზღუდული მახვილიანი მარცვლის მერამდენეობით სიტყვაში. ზოგიერთ მოძრავმახვილიან ენას აქვს მრავალი სიტყვა, რომლებშიც მახვილის ადგილი უცვლელია ფორმათა წარმოებაში; ასეთ მახვილს ეწოდება მუდმივი მახვილი, იგი ადვილს არ იცვლის სხვადასხვა ფორმაში.

არაფიქსირებული, თავისუფალი მახვილი, ერთი ენის ფარგლებში გვხვდება სხვადასხვა მარცვალზე. ასეთი მახვილის მქონე ენებში მახვილი უმთავრესად ფონემატურია: ამგვარად, იმ ენებში, სადაც მახვილი თავისუფალია, ფონემათა რიცხვს ემატება კიდევ ერთი ფონემა მახვილის სახით. ამ ხასიათის მახვილს შეუძლია განასხვავოს როგორც ორი სიტყვის ლექსიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობა; ასეთ ენათა რიცხვს განეკუთვნება რუსული; მაგალითად, მახვილი განასხვავებს ორი სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას *мѹка — мука, замок — замѹк, орган — оргѹн, рѹсы — росѹн, плачу — плачѹ*; მახვილი განასხვავებს ორი სიტყვის გრამატიკულ მნიშვნელობას: *руки, ноги, стѹенѹ* ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდობითი რიცხვია, ხოლო *руки, ноги, стѹны* სახელობითის მრავლობითი რიცხვი.

მოძრავ და უძრავმახვილიან ენათა შორის საშუალო ადგილი უკავია, მაგ., გერმანულ ენას. უძველეს ხანაში გერმანული, როგორც ყველა ინდოევროპული ენა, მოძრავმახვილიანი იყო, დღეს იგი უძრავმახვილიანია.

დღევანდელ სალიტერატურო გერმანულში, მიუხედავად იმისა, რომ მახვილი უძრავია, იგი ზოგჯერ ასრულებს ფონოლოგიურ ფუნქ-

ვის, მაგალითად, *übersetzen* 'გადაყვანა', *übersetzen* 'გადართმენა', *umgehen* 'ურთიერთობა' — *umgehen* 'შემოვლა', *damit* 'ამით' — *damit* 'რათა', *modern* 'ლბობა, ხრწნა' — *modern* 'მოღისა, თანამედროვე'.

ენებში, სადაც მახვილი ტონურია (ანუ მუსიკალური) იგი იმავე როლს ასრულებს, რასაც დინამიკური მახვილის მატარებელ ენებში მოძრავი მახვილი, იაპონურში განასხვავებენ ორ შეფარდებით ტონს: ჩვეულებრივს და უფრო მაღალს, ასე მაგალითად, *hana* 'ცხვირი', პირველი მარცვალი დაბალი ტონით წარმოითქმის, *hàna* 'დაწყება', პირველი მარცვლის ტონი უფრო მაღალია, ხოლო *hanà* 'ყვავილი' — მეორე.

ჩინურში განასხვავებენ ოთხ სხვადასხვა ტონს: მაღალი, მაღალი აღმავეალი, დაბალი აღმავეალი, დაბალი დამავეალი; არის ენები, სადაც კიდევ უფრო მეტია მარცვლის ტონები.

ენებში შესაძლებელია გამოიყოს ორი მახვილი, ასეთი მახვილი გვხვდება ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვაში და ეწოდება მთავარი მახვილი (') და სუსტი ანუ თანამახვილი ('); მაგ. *ГОЛОСА-ГЛАГОЛА* მარგალიტი.

თითოეულ სიტყვას აქვს თავისი საკუთარი მახვილი, მაგრამ შესიტყვებაში ცალკე აღებულმა სიტყვამ შესაძლებელია დაკარგოს თავისი საკუთარი მახვილი და მიეკედლოს წინა ან მომდევნო სიტყვას. ასეთ სიტყვებს წარმოადგენენ ნაწილაკები, ნაცვალსახელები, კავშირები, თანდებულები და ა. შ., როცა ეს სიტყვები მიეკედლებიან მომდევნო მახვილიან სიტყვას, მაგ., თ უ წ ა ვ ე დ ი... მათ ეწოდებათ პ რ ო კ ლ ი ტ ი კ ა; ხოლო როცა მიეკედლებიან წინმდგომ მახვილიან სიტყვას, მათ ეწოდებათ ე ნ კ ლ ი ტ ი კ ა, მაგ., ს ა ხ ლ ი ს წ ი ნ.

ქართული სიტყვათმახვილის ბუნებისა და მახვილის ადგილის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება.

ნ. მარის აზრით, ორმარცვლიან სიტყვებში კაცი, შვილი ჩემი და მისთანებში მახვილიანია ბოლოდან მეორე მარცვალი, ხოლო სამ და მრავალმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზეა; მაგ.,

ქართველი — ქართველი

მწერალი — მწერალი

ქუთაისი — ქუთაისი

მარგალიტი — მარგალიტი

ოთხსა და ხუთმარცვლიან სიტყვებში ნ. მარს შესაძლებლად მი-
აჩნდა ორი მახვილის არსებობა. მაგ., მარგალიტი, სქართველო
და ა. შ..

ქართული სიტყვათმახვილი ნ. მარს ტონური ბუნებისად მიაჩნდა.

პ. ფოგტი და ე. ზელმერი ფიქრობდნენ, რომ ქართულში არა
გვაქვს მკაფიოდ გამოხატული არც დინამიკური და არც ტონური
მახვილი. მათი აზრით, ქართულში მახვილი ტონურია დინამიკურ-ს
ელემენტებით.

მათ მიაჩნდათ, რომ ქართულში მახვილი მოუდის ბოლოდან მე-
ორე მარცვალს — ორმარცვლიან სიტყვებში, ხოლო სამ და მეტ
მარცვლიან სიტყვებში — ბოლოდან მესამე მარცვალს.

გ. ახვლედიანის მოსაზრებით, ქართულში სიტყვათმახვილი დი-
ნამიკურია, ხოლო რაც შეეხება მახვილის ადგილს სიტყვაში, მისი
აზრით, ორმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლოდან მეორე
მარცვალი, სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილიანია ბოლო-
დან მესამე მარცვალი.

არნ. ჩიქობავას აზრით, თანამედროვე ქართული სიტყვათმახვი-
ლი სუსტდინამიკურია, ხოლო ძველ ქართულში სიტყვათმახვილი
ძლიერდინამიკური იყო; ძველ ქართულში მახვილი თავისუფალი
იყო, ხოლო ახალ ქართულში ფიქსირებულია.

ს. ელენტს მიაჩნდა, რომ ქართულში სიტყვათმახვილი მუსიკა-
ლურ-დინამიკურია და მახვილის საკითხი ქართულში რიტმიკულ
ჯგუფებში და სინტაგმებში უნდა იქნეს განხილული. რაც შეეხება მა-
ხვილის ადგილს, მისი აზრით, ქართულში მახვილი სიტყვას ბოლო-
დან მესამე მარცვალზე მოუდის.

როგორც დავინახეთ, ქართული სიტყვათმახვილის შესახებ სხვა-
დასხვა შეხედულება არსებობდა.

ქართული სიტყვათმახვილის ექსპერიმენტული ანალიზის შედე-
გად დამტკიცდა შეხედულება, რომ ქართულში სიტყვათმახვილი თავისი
ბუნებით დინამიკურია; დინამიკურია აგრეთვე თანამახვილიც
(ი. თევდორაძე).

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა აგრეთვე, რომ
მახვილი სიტყვას პირველ მარცვალზე მოუდის დასაწყისიდან. ამ
შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა რამდენმარცვლიანია სიტყვა.

რაც შეეხება ოთხ- და მრავალმარცვლიან სიტყვებს, მათ თან-
მახვილიც აქვს.

ოთხმარცვლიან სიტყვებს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალ-
ზე მოუდის.

ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუდის ბოლოდან

მესამეზე, ხოლო ექვსმარცვლიანში უმეტეს შემთხვევაში მეოთხეზე.

ლინგვისტური და ლოგიკურ-ემოციური მახვილი. ფრაზის მახვილი შეიძლება იყოს ლინგვისტური. ლოგიკური და ემოციური. ლინგვისტური მახვილი. რომელიც ზემოთაა განხილული, ყოველ ენაში ტრადიციულადაა დამკვიდრებული, მოქმედებს ყოველ შემთხვევაში და ის არ უწყევს ანგარიშს იმას. თუ რა უნდა გამოხატოს წინადადებაში. მაგალითად, რუსულში ИДИЛИ ლინგვისტური მახვილი დინამიკურია და ბოლოდან მეორე მარცვალზეა, როგორ წინადადებაშიც არ უნდა მოხვდეს ეს სიტყვა, მახვილი დარჩება დინამიკური და ბოლოდან მეორე მარცვალზე. ლინგვისტურ მახვილს ზოგიერთ ენაში აქვს ფონოლოგიური ღირებულება.

ლოგიკური მახვილი შესიტყვებაში გამოყოფს სიტყვას. რომელსაც მოცემულ შემთხვევაში აქვს აბრითადი ლექსიკური მნიშვნელობა, მისი სინტაქსური ფუნქციის მიუხედავად: ამგვარად. ლოგიკური მახვილი შეიძლება მოუდიოდეს წინადადების ყოველ წევრს. ლოგიკურ მახვილს შეუძლია ერთსა და იმავე წინადადებას /იმის მიხედვით, თუ რომელ სიტყვას გამოვეყოფთ ლოგიკური მახვილით/ მისცეს მნიშვნელობის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ელფერი. მაგალითად. წინადადება „ხვალ მატარებლით მივიღივარ სოფელში“ შეიძლება წარმოეთქვათ ლოგიკური მახვილის გარეშე. ნეიტრალურად, მაგრამ შეიძლება, საჭიროების მიხედვით, ყოველი სიტყვა გამოვეყოთ წინადადებაში ლოგიკური მახვილით: ხვალ (და არა დღეს), მატარებლით (და არა მანქანით). სოფელში (და არა ქალაქში) და ა. შ., ამის მიხედვით ყოველ ცალკე წარმოთქმულ წინადადებას განსხვავებული ელფერი ექნება.

რაც შეეხება ემოციურ მახვილს, აქ წინადადებაში მახვილით გამოიყოფა ემოციები, გრძნობები (მწუხარება, სიხარული). ემოციურ მახვილიანი სიტყვები და სიტყვათა ჯგუფი წარმოიქმნებიან ტონის განსაკუთრებული აწვევითა და გაძლიერებით. რუსულში და გერმანულში ემოციური მახვილი იწვევს ხმოვნის გახანგრძლივებას. მაშინ როდესაც ქართულში ემოციური მახვილის შემთხვევაში ხმოვანთა გახანგრძლივება არა გვაქვს: სამაგიეროდ პირველ მარცვალზე გვაქვს ტონის შედარებით მეტი აწვეულობა და გაძლიერება.

ლოგიკურ და ემოციურ მახვილთა ერთობლიობა იწოდება ლოგიკურ მახვილად.

ინტონაცია. ინტონაცია არის ენობრივი საშუალება. რომლის დახმარებითაც წინადადების გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობა იღებს კონკრეტულ გამოსახულებას.

ინტონაციას შეუძლია წინადადებას მინიჭოს სხვადასხვა მნიშვნელობა. ინტონაცია ისევე აუცილებელია ენისათვის როგორც ფონემა. ინტონაცია არის წინადადების მნიშვნელობის აუცილებელი კომპონენტი.

ინტონაციას ქმნის მახვილის, ძირითადი ტონის, ხანგრძლივობა, პაუზისა და ტემპის ერთიანობა დროში. აღნიშნული კომპონენტების როლი წინადადების ინტონაციისათვის არ არის ერთგვარი ღირებულების. ამათგან ძირითადი ტონის მოძრაობა, ინტერვალები ტონებს შორის და მახვილი აუცილებელი კომპონენტებია წინადადებისა.

ინტონაცია გადმოსცემს მოლაპარაკის ემოციებს, გრძნობებს, სურვილებს.

ინტონაციით შესაძლებელია განვასხვაოთ წინადადების სხვადასხვა კომუნიკაციური ტიპი: თხრობის, კითხვითი, პასუხის, ჩამოთვლის, დაპირისპირების, ძახილის, გაკვირვების და ა. შ..

თ ხ რ ო ბ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა თავდება დამავალი ინტონაციით. მაგალითად, „სტუდენტი ისმენს ლექციას“, წინადადების პირველ სიტყვებზე ტონი თანდათან მალდება, ბოლოსკენ კი თანდათანობით დაბლდება. რაც უფრო ვრცელია წინადადება, მით უფრო რთულია ტონის მოძრაობა. რთულ წინადადებაში მთავრისა და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე ძირითადი ტონი მალდება.

რთულ წინადადებაში ტონი მალდება პირველი წინადადების ბოლოს, სულ ერთია, მთავარია იგი თუ დამოკიდებული. რ ო მ-ის შემდეგ ტონი მალდება „კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრიუს არ ჩამოედო ეს იარაღი“.

წინადადების შიგნით, სადაც ერთგვაროვანი წვევრები გვაქვს, თითოეული წვევრის ბოლოს ტონი მალდება: „რა ხილს იტყვის ადამიანის ენა, იქ არ იყო: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, შიგ ზეივნები იყო გამართული“ (ვაჟა), თითოეული ერთგვაროვანი წვევრი. უკანასკნელის გარდა, წარმოითქმის ამალღებული ტონით. წყვეტილად.

ყოველი კ ი თ ხ ვ ი თ ი ინტონაციის ბოლოს იწერება კითხვითი ნიშანი, მაგრამ კითხვითი წინადადების ინტონაცია სხვადასხვაა იმის მიხედვით, გვაქვს თუ არა წინადადებაში კითხვითი სიტყვა. კითხვითს წინადადებაში, როცა კითხვითი სიტყვა არა გვაქვს, ინტონაცია აღმაველია, მაგალითად „სახლში მიდიხარ?“ წინადადებაში, როცა კითხვითი სიტყვა გვაქვს, ინტონაცია დამავალია წინადადების ბოლოს, მაგრამ არა ისე დაბალი, როგორც თხრობით წინადადებაში, „ვინ მოვიდა?“. ასეთ წინადადებაში ტონი ძლიერდება და ოღნავ მალდება წინადადების შიგნით, კითხვით სიტყვაზე.

არის აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვა გვაქვს, მაგრამ ინტონაცია აღმაჲალია — ასეთ-ა განმეორებული შეკითხვის ინტონაცია. მაგალითად, **ს ა დ მ ი დ ი-ხ ა რ?** დამაჲალია, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ხელმეორედ კითხვის განმეორების დროს **ს ა დ მ ი დ ი ხ ა რ?** ინტონაცია აღმაჲალია.

ძ ა ხ ი ლ ი ს ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა მრავალფეროვანია, იგი გამოხატავს ბრძანებას, ნატვრას, თხოვნას, წაქეზებას, გაკვირვებას, ალტაცებას, მწუხარებას და ა. შ

„— ქალო, ეფემიავ! — დაიძახა ესტატემ, — ამ განჯინაში რა-ღაც ამბავია“. (ვაჟა).

„— ჩქარა სუფრა გაშალეთ, მოიტათ არაყი და ღვინო ბლომად. ხინკალი, ჩქარა ხინკალი მოხარშეთ, ვუბრძანე.

„— ვიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო... (ვაჟა)

„— უიმე, შვილოო, რაღა ექნა-ა-თ... ვიღა გვიშველი-ი-ის, ვიღა შეგვინახა-ა-აჲს...“ (ი. ჯავახ.).

ძახილის წინადადებაში მახვილი წინადადების შიგნით გვაქვს, ეს მახვილი უფრო ხშირად დინამიკურია და არა ტონური. ჩვეულებრივ გაძლიერებულია ბრძანების, წაქეზების, გაკვირვების, ალტაცების გამომხატველი სიტყვები.

10. მარცვლის საკითხინათვის

ფონეტიკის ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს მარცვალი. დღემდე არ არსებობს მარცვლის საყოველთაოდ მიღებული მეცნიერული განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებით დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული ბგერათა მიმდევრობის დანაწილება ისეთ ერთეულებად, როგორცაა მარცვალი. მარცვალი ის ერთეულია, რომლის გარშემოც თავს იყრის წარმოთქმის ნორმების მრავალი რთული ფონეტიკური საკითხი.

მიუხედავად ამ სირთულისა, მარცვლის არსებობას მეცნიერთა უმეტესობა არ უარყოფს, თუმცა არიან ავტორები, რომლებიც არ ცნობენ მარცვლის არსებობას; მათ საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების ერთ-ერთ ყველაზე ბუნებრივ ერთეულს წარმოადგენს მარცვალი. როგორც ცნობილია, იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ლინგვისტური განათლება, უჭირთ გამონათქვამის ფონემებად დანაწევრება, მაშინ როცა მათ ადვილად შეუძლიათ სიტყვების მარცვლებად დაყოფა. გარდა ამისა, სიმღერის დროს სიტყვები იყოფა მარცვლებად და არა ფონემებად; პოეზიაში რიტმი ყურდნობა მარცვალთა რაოდენობას.

სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოში მარცვალს ასე განსაზღვრავენ: მარცვალს ქმნის და მის ცენტრს წარმოადგენს ხმოვანი. რამდენი ხმოვანიცაა სიტყვაში, იმდენი მარცვალია მასში. აქედან გამომდინარეობს, რომ მარცვლის მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ხმოვნები. რაც სინამდვილეში ასე არ არის.

მარცვლის საკითხთან დაკავშირებით გასარკვევია, თუ რა ფონეტიკური ფაქტორი ქმნის მარცვალს. როგორია მარცვლის ფონეტიკური შედგენილობა და მარცვლის ფონეტიკური საზღვრის ანუ მარცვალთგასაყარის დადგენა საწარმოთქმო ნაკადში.

პირველი საკითხი ზოგადფონეტიკურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მარცვლის შემქმნელი ფაქტორი ერთია ყველა ენაში. რაც შეეხება მარცვლის შედგენილობასა და მარცვალთგასაყარს, ესენი განსხვავებული შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ენას.

დღემდე მარცვლის პრობლემაზე დიდძალი სპეციალური ლიტერატურა არსებობს და ერთმანეთს დაუპირისპირდა მარცვლის შესახებ არსებული სხვადასხვა თეორია.

ადრეულ საენათმეცნიერო ნაშრომებში მარცვალს განიხილავდნენ ფრზიოლოგიური თვალსაზრისით. ეს თეორია ეყრდნობოდა ექსპირაცას. ამ თეორიის მიმდევრები ფიქრობდნენ, რომ ჰაერნაკადის ამონღინარეობა ფილტვებიდან ხდება არა უწყვეტლივ, არამედ ზედიზედ ჭახებათა რიგით და თითოეული ჰაერნაკადის ამოჭახება ქმნის მარცვალს. ამ თეორიის მიხედვით, მარცვალი არის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც წარმოითქმის ჰაერნაკადის ერთი მთლიანი ამოჭახებით.

ამ თეორიას არ შეუძლია ახსნას მარცვლის ბუნება, ვინაიდან თითოეული ამოჭახება შეიძლება შეესიტყვებოდეს არა მარცვალს, არამედ უმთავრესად ცალკეულ ბგერას.

ზემოაღნიშნულ თეორიასთან შედარებით, უფრო ფართო გავრცელება პოვა ო. ლესკერსენის სონორობის თეორიამ. ეს თეორია ემყარება ბგერის აკუსტიკურ ნიშან-თვისებას — სონორობის ზრდას ან კლებას.

სონორობის თეორიის მიხედვით, მარცვალს ქმნის მოცემულ ბგერათა ჯგუფის ყველაზე სონორული ბგერა, რომლის გარშემო ჯგუფდება ყველა დანარჩენი ბგერა. აქედან გამომდინარეობს, რომ ხმოვანი არ წარმოადგენს მარცვლის აუცილებელ ელემენტს. მარცვალს ქმნის ფონემათა მიმდევრობაში ის ფონემები, რომლებიც თავისი სონორულობით აღემატებიან მეზობელ ბგერებს და ქმნიან მწვერვალს.

ამ თეორიის მიხედვით, მარცვლის წარმოქმნისათვის მნიშვნე-

ღობა აქვს არა სონორობას თავისთავად, არამედ შეფარდებითს სონორობას, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ბგერა შესაძლებელია იყოს მარცვლოვანი მასზე ნაკლები სონორობის მქონე ბგერების მეზობლობაში.

სონორობის თეორია ზოგიერთ შემთხვევაში გასაგებს ხდის, თუ რატომაა, რომ ორი ხმოვანი ზოგ ენაში ქმნის მხოლოდ ერთ მარცვალს: მაგალითად, რუსულ სიტყვაში *Май* ხმოვანი ორია, მაგრამ მარცვალი ერთი და ა. შ.: მაგრამ ამ თეორიას არ შეუძლია ყოველთვის სწორი პასუხი მოგვცეს მარცვლის ბუნების ზოგიერთ საკითხზე. მაგალითად, მას შეუძლია დაადგინოს მარცვალთაოდენობა, მაგრამ არ შეუძლია მარცვალთ შორის საზღვრის დადგენა.

ე. ზ ი ვ ე რ ს ი ს მარცვლის თეორია ემყარება, ერთი მხრივ, ჰაერნაკადის ამოჯახებას, ხოლო მეორე მხრივ, სონორობას. ზოგი მარცვალი შესაძლებელია ემყარებოდეს ჰაერნაკადის ამოჯახებას, ზოგი კი სონორობას. ამ თეორიას შეიძლება ეწოდოს შემარიგებლობითი. ამ თეორიითაც მარცვლის წარმოქმნელ ფონეტიკურ ფაქტორთაგან უპირატესობა ენიჭება სონორობის ფაქტორს.

მარცვლის ბუნების ძიების ჩამოყალიბებული თეორია მოგვცა ფ. დ ე - ს ო ს ი უ რ მ ა. მარცვლის თეორიაში მისთვის ერთ-ერთ ამოსავალ ძირითად დებულებას წარმოადგენს ბგერათშეერთება. ავტორი ემყარება ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ პრინციპს — საწარმოთქმო ორგანოთა ღიაობისა და დახშულობის ცვლას. ღიაობისათვის შემოაქვს ტერმინი ე ქ ს პ ლ ო ზ ი ა, ხოლო დახშულობისათვის — ი მ პ ლ ო ზ ი ა. ყოველი ფონემა, გარდა ა ხმოვნისა, შეიძლება იქნეს ექსპლოზიური და იმპლოზიური. მაგ., ე გ დ ო - შ ი გ — იმპლოზიურია, ხოლო დ — ექსპლოზიური.

ფ. დ ე - ს ო ს ი უ რ ი მარცვალს ხსნის ექსპლოზიისა და იმპლოზიის ურთიერთმოქმედებით. იმპლოზიიდან ექსპლოზიაზე გადასვლა იძლევა განსაკუთრებულ ეფექტს, რომელიც მიუთითებს მარცვლის საზღვარზე, მარცვალთგასაყარზე.

ლ. შჩერბას მარცვლის თეორიის მიხედვით მარცვალს ქმნის ბგერის გაძლიერებისა და შესუსტების შენაცვლება.

ლ. შჩერბა მიიჩნევს მარცვალს მეტყველების ბუნებრივ ერთეულად. მარცვალს უწოდებს მეტყველების ნაკადის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება ბგერის გაძლიერებით და მთავრდება მისი შესუსტებით.

ლ. შჩერბას მარცვლის თეორია საინტერესოა მარცვალთგასაყარის თვალსაზრისით: მან შემოიტანა ცნებები: ძ ლ ი ე რ შ ე მ ა რ თ ვ ი - ა ნ ი. როცა თანხმოვნის ბოლო სუსტია დასაწყისთან შედარებით:

ძლიერ დამართვიანი, როცა თანხმონის ბოლო უფრო ძლიერია, ვიდრე დასაწყისი; ორმწვერვალიანი, როცა თანხმონები წარმოითქმინან ერთნაირი დაკომულობით თავსა და ბოლოში, ამ შემთხვევაში შუა ნაწილი უფრო სუსტია. ორმწვერვალიანი თანხმონები გვაქვს მარცვალთვასაყარზე მშვიდ-დება, დიდ-დება, სამ-მა, ზოგ-გან.

არსებობს აგრეთვე სხვა თეორიები, რომლებიც იხილავენ მარცვლის ბუნებას, მაგრამ დღეს-დღეობით ვერც ერთი მათგანი ბოლომდე ვერ ამოწურავს მარცვლის ბუნებას.

თავისი ფონემური შედგენილობით მარცვალი შეიძლება გვეყონდეს ღია და დახურული. ღიაა მარცვალი, რომელიც თავდება მარცვლოვანი ფონემით, ხოლო დახურულია იგი, თუ თავდება უმარცვლო ფონემით.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარცვალთა ღიაობისაყენ ან დახურულობისაყენ მიდრეკილებით. რომანულ (ფრანგულსა და ესპანურ) ენებში უმთავრესად გვხვდება ღია მარცვლები, ჩვეულებრივ ბოლო თანხმონი უერთდება მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს. მარცვლის დახურულობით ხასიათდებიან გერმანიკული ენები.

თითქმის ყველა ენაში მარცვლის მატარებელია (ანუ მარცვლოვანია) ხმოვანი, მაგრამ არის ენები, სადაც მარცვლოვანი შეიძლება იყოს ხმოვანი ხმოვნის მეზობლობაში. ასეთ მეზობლობას, როცა ორი ხმოვნიდან ერთია მარცვლის მატარებელი, ხოლო მეორე უმარცვლო, ეწოდება დიფთონგი. თუ რომელიმე ხმოვანი მოხვდა ისეთ ბგერათა ჯგუფში, სადაც არის მასზე მეტი სონორობის ხმოვანი, მას მიდრეკილება აქვს იქცეს უმარცვლო ხმოვანად. ისეთ ენებში, რომლებსაც აქვთ დიფთონგები (მაგ. ინგლისური, გერმანული და ნაწილობრივ რუსული), ეს მიდრეკილება რეალიზდება, და ვიწრო ხმოვნები იქცევიან უმარცვლოებად. მაგალითად, გერ. arbeit სიტყვაში (იწერება arbeit 'სამუშაო') გაერთიანებულია ერთ მარცვალში a და i, რომელთაგან i უმარცვლოა, ხოლო a მარცვლოვანი¹.

ქართულსა და ფრანგულში ორი სხვადასხვა ხმოვნის შეერთება ყოველთვის გვაძლევს ორ მარცვალს; მაგალითად, გაუჟეტა-აილო, paysan 'გლეხი', pays 'მხარე' და ა. შ.. ამგვარად, ზოგიერთ ენაში ხმოვანი შეიძლება არ იყოს მარცვლოვანი, ზოგში კი იგი მუდამ მარცვლოვანია.

¹ ბგერის უმარცვლოება წერაში აღინიშნება ნახევარწრით ასოს ქვეშ (i). ხოლო მარცვლოვანობა o ნიშნით ასოს ქვეშ (j).

არსებობს ენები, სადაც მარცვლის მატარებელია თანხმოვანი. ასეთ შემთხვევაში ვლავარაკობთ მარცვლის მატარებელ თანხმოვნებზე. ასეთია სონორი r, l, m, n თანხმოვნები. მაგალითად. სერბ. prst 'თითი', srb 'მუხა', srce 'გული'. ჩეხ. vlk 'მგელი', ყველა ამ შემთხვევაში მარცვლის მატარებელია r და l თანხმოვანი.

ერთი ენის ფარგლებში ერთსა და იმავე ფონემას, იმის მიხედვით, თუ როგორ მეზობლობაში გვხვდება იგი, შეუძლია იყოს ან არ იყოს მარცვლის მატარებელი. ჩეხურში l, r მარცვლოვანია იმ შემთხვევაში, როცა იგი თანხმოვანთა მეზობლობაში გვხვდება, ხოლო ხმოვნების მეზობლად უმარცვლოა; გვაქვს ისეთი ენები, სადაც მარცვლოვნობა არ არის დამოკიდებული ფონემათა მეზობლობაზე. სერბულ-ხორვატულში სონორთა მარცვლოვნობა ფონოლოგიურ ფუნქციას ასრულებს; არსებობს პოზიციურად შეუპირობებელი მარცვლოვანი სონორი, მაგალითად, r სერბულში გვხვდება ხმოვნის წინა: მაგ., სიტყვა groce 'პატარა ყელი' სამმარცვლოვანია (gr-o-ce).

მარცვალთგასაყარის ან მარცვლის საზღვრის დადგენა იმდენად რთულია, რომ ზოგიერთ ავტორს მარცვლებს შორის საზღვრის დადგენა ისევე შეუძლებლად მიაჩნია, როგორც ორ მთას შორის იმის დადგენა, თუ სად იწყება ვაკე და სად მალლობი. გარდა ამისა, ვერც ერთმა შემოხსენებულმა თეორიამ ვერ შეძლო ზუსტად მარცვლებს შორის საზღვრის დადგენა.

მარცვალთგასაყარის საკითხი თითოეული ენისათვის ცალ-ცალკე უნდა ვიკვლიოთ; ცალკეული ენის წარმოთქმის ნორმაზეა დამოკიდებული მარცვლის საზღვრის დადგენა. ზოგ ენაში ხმოვანთა თანამიმდევრობა ქმნის ერთ მარცვალს, მაგალითად, ინგლისურში pay-ში 'გასამრჯელოს გადახდა' ej, ხოლო ზოგ ენაში ორი ხმოვნის თანამიმდევრობა გვაძლევს ორ მარცვალს, მაგ. ფრანგულში pays 'ქვეყანა, მიწა'.

მარცვლის საზღვრის მიხედვით შესაძლებელია ორი გამონათქვამი დაუპირობებლად ერთმანეთს. ინგლისურში იმის მიხედვით, თუ სად გვექნება მარცვალთგასაყარი, ორი გამონათქვამი an/aim (an aim) 'მიზანი' ~ a/neim (a name) 'სახელი' უპირობებლად ერთმანეთს.

მარცვალთგასაყარის საკითხს განვიხილავთ ქართული ენის მასალაზე.

ქართულში მარცვლის ფონეტიკური საზღვრის განხილვასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ აქცესიური და დეცესიური კომპლექსების ბუნება.

3. ახვლედიანმა დაადგინა წარმოთქმის ერთ-ერთი საყურადღებო

ტენდენცია ბგერათშეერთების მესამე წესი, რაც მდგომარეობს თანხმოვანთა კომპლექსის წარმოთქმისას ერთეამიერობისაკენ მიდრეკილებაში. რაც ნათელს ფენს წარმოთქმის ბევრ თავისებურებას.

თანხმოვანთა წარმოთქმისას ერთეამიერობისაკენ მიდრეკილებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კომპლექსის პირველი კომპონენტი იწარმოება წინა არტიკულაციით. მომდევნო — უკანა არტიკულაციით. მაგ., ბღ, ფქ, წკ, ტუ, ზგ, და ა. შ.. აღნიშნული კომპლექსების წარმოთქმა ერთეამიერია. ამ კომპლექსებს გ. ახვლედიანმა უწოდა დეცესიური ან იქითური კომპლექსები¹. კომპლექსებს, რომლის პირველი კომპონენტი იწარმოება უკანა არტიკულაციით, ხოლო მომდევნო — წინა არტიკულაციით, უწოდა აქცესიური ან აქეთური კომპლექსები², მაგ., დბ, ქთ, ქს და ა. შ.. ასეთ კომპლექსებში ერთეამიერობა არა გვაქვს. ასეთ კომპლექსებში ცალ-ცალკე ხშვა და სკდომა აქვს როგორც პირველ, ისე მომდევნო თანხმოვანს.

თანხმოვანთა აქცესიური და დეცესიური ტიპის კომპლექსები საყურადღებოა შემართვა-დამართვის თვალსაზრისით.

აქცესიურ-დეცესიურ კომპლექსთა განსხვავებულობა, რომელიც წმინდა ფონეტიკურია, შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე პრაქტიკულ დამარცვლაშიც. როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს აქცესიური კომპლექსი, ორი თანხმონიდან პირველი მიეკედლება წინმდგომ მარცვალს. ხოლო მეორე — მომდევნო მარცვალს; მაგ. დოქ-თან (ემთხვევა მორფოლოგიურ დამარცვლას) შახ-ტე-ბი, ილ-ბა-ლი და ა. შ..

ხოლო როდესაც სიტყვის შიგნით გვაქვს ორი თანხმონის დეცესიური კომპლექსი, თანხმონები დაუშლელად მიეკედლება მომდევნო მარცვალს; მაგ.: ფა-ცხა, სი-ტყვა (ემთხვევა მორფოლოგიურ დამარცვლას): ა-დვა (ემთხვევა მორფოლოგიურს, მაგრამ პრაქტიკულად მიუღებელია სტრიქონიდან სტრიქონში გადატანის თვალსაზრისით); ე-პყრო-ბა და ა. შ.

ქართულში, ისე როგორც ენათა დიდ უმრავლესობაში, მარცვალთგასაყარი სონორობის მიხედვით ყველაზე უფრო კონტრასტულ მეზობელ ბგერებს შორის არის. ამის საფუძველზე ს. ქლენტმა რამდენიმე წესი ჩამოაყალიბა:

ა) აბრუპტივები, როგორც ყველაზე უფრო მცირე სონორობის მქონე ბგერები, ყოველთვის მიისწრაფიან მომდევნო მარცვალს მიეკედლონ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, აბრუპტივი ცალკეა

¹ დეცესიური კომპლექსების ნაცვლად პ. ფოგტი ხმარობს ინტროვერტიულს

² აქცესიური კომპლექსების ნაცვლად პ. ფოგტი ხმარობს ექსტროვერტიულს.

თუ პარმონიულ კომპლექსში. მაგ. მა-ტლი, სა-კბი-ლო, სი-ყვარ-ელი, მო-ყმე, ა-კლი-ა და სხვ..

ბ) მარცვალთაგასაყარი ყოველთვის პარმონიულ კომპლექსთა წინაა. მაგ., ა-ბგა, ა-დგა, ა-პკი და ა. შ..

გ) ორ ხმოვანს შუა მოქცეული თანხმოვანი ყოველთვის ძლიერ-დამართვიანია და მარცვლის ფონეტიკური საზღვარიც მის წინაა, მაგ., ე-ნა, ზე-ნა, ხი-ლი, ა-ვი და სხვ..

დ) თუ ორ ხმოვანს შუა ორი ერთნაირი თანხმოვანი მოექცევა, ასეთი თანხმოვნები ორმწვერვალიანია და მარცვალთაგასაყარიც მათ შუა არის, მაგ., სამ-მა, ე-ქიმ-მა, ა-დიდ-და...

ე) ორ ხმოვანს შუა მოქცეულ ორ სხვადასხვა თანხმოვნიდან თუ ერთი ძლიერშემართვიანია და მეორე ძლიერდამართვიანია, მაშინ მარცვალთაგასაყარი მათ შუა არის, მაგ., ვარ-დი, მარ-ცვა-ლი, სირ-ცხვი-ლი, სარ-ტყე-ლი და სხვ..

ვ) თუ ხმოვნებს შუა მოქცეული ორი ან სამი თანხმოვნიდან პირ-ველი ჩქამიერია და მეორე ან მესამე—სონანტი, მაშინ მარცვლის ფონეტიკური საზღვარი მათ წინ იქნება, მაგ., კა-ცმა, ა-გლე-ჯა, სი-გრი-ლე, სი-გრძე. ნე-დლი, სი-ვრცე და სხვ..

11. ფონეტიკის მეთოდები

ფონეტიკა, ცოცხალი მეტყველების შესწავლისას, იყენებს კვლე-ვის სხვადასხვა მეთოდს. ეს მეთოდებია 1) უშუალო დაკვირვების მეთოდი, რომელიც ყველაზე ძველია და დღემდე ფართოდ გამოყე-ნებულია კვლევის დროს, და 2) იარაღობრივი მეთოდი, რომელიც ექსპერიმენტული ფონეტიკის სახელითაა ცნობილი.

უშუალო დაკვირვება გულისხმობს სმენითს. მხედვე-ლობითსა და კუნთებრივ შეგრძნებებზე დაკვირვებას. წინასწარი წკრთნის შედეგად დაკვირვება შეიძლება მოვახდინოთ სხვის ან სა-კუთარ წარმოთქმაზე. ამასთან ერთად, შესაძლებელია საკმაოდ ზუს-ტად აღვწეროთ წარმოთქმული ბგერის არტიკულაცია სარკის მეშ-ვეობით.

შეიძლება აგრეთვე შევამოწმოთ საწარმოთქმო ბგერათა მეტ-ნაკლები ფშვინვიერობა; მაგალითად. ფშვინვიერი ბგერის წარ-მოთქმის დროს ხელის ზურგს თუ მივიტანთ ბაგეებთან, ვიგრძნობთ, თუ რამდენად ფშვინვიერია ბგერა. ბგერის მეტ-ნაკლები ფშვინვიე-რობა აგრეთვე შეიძლება შევამოწმოთ სანთლის ალის მეშვეობით: მეტად ფშვინვიერი ბგერის წარმოთქმისას სანთლის ალი უფრო მე-ტად გადაახრება, ვიდრე ნაკლები ფშვინვიერობის შემთხვევაში.

ბგერა ცხვირისეულია თუ არა. შეიძლება შევამოწმოთ ანთებუ-
ლი სანთლის ალისა და სარკის დახმარებით: თუ ანთებულ სანთელს
მივიტანთ ცხვირის ნესტოებთან და პირთან ბგერის წარმოთქმისას,
იმის მიხედვით, თუ როდის შეირხევა ალი—ცხვირთან მიტანისას თუ
პირთან მიტანისას, ბგერა იქნება ცხვირისეული ან სუფთა პირი-
სეული.

უშუალო დაკვირვებით შეიძლება გამოვიცნოთ. მკლერია თუ არა
ესა თუ ის ბგერა. მაგალითად, მკლერი თანხმონის წარმოთქმისას
სახმო სიშების რხევა გადაეცემა ხორხის ხრტილოვან ნაწილს, რა-
საც დამკვირვებელი ადვილად შეიგრძნობს ხორხის თავზე მიდ-
ებული თითით: იგივე ვიბრაციები, რომლებიც გადაეცემა გულ-
მკერდის ძვლოვან ნაწილებს, შეიგრძნობა გულმკერდზე ხელის და-
ღებით.

როგორც ცნობილია, რაც უფრო უკან იწარმოება სამეტყველო
ბგერა, მით უფრო ძნელია მასზე შეუღიარალებელი თვალით დაკვირ-
ვება, ეს ის ბგერებია, რომლებიც იწარმოებიან რბილი სასის, ნაჭის,
ხახის ღრუს და ხორხის მეშვეობით. ამისათვის გამოიყენება ლა-
რინგოსკოპი (ბერძნ. larynx — 'ხორხი', σκοπέο — 'ვნე-
დავ'): თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში უშუალო დაკვირვებითაც შე-
იძლება გავარკვიოთ, ფარინგალური თანხმონების წარმოთქმისას,
უკანა ენა მოქმედებს სასის კედლის მიმართ, თუ ენის ძირი.

გარდა ამისა, შეიძლება ზუსტად აღვიქვათ სმენით მალალი და
დაბალი ბგერა; ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ რომელიმე მუ-
სიკალური ინსტრუმენტი: მაგალითად, როიალზე შესაძლებელია
ზუსტად დავადგინოთ, თუ რომელი ოქტავის ნოტი შეესიტყვება ამა
თუ იმ წარმოთქმულ ფონემას.

სმენის საშუალებით შეიძლება დავადგინოთ, მკლერია თუ არა
ფონემა: თუ ამ ფონემის წარმოთქმისას დაეიციობთ ყურებს თით-
ებით და გავიგონებთ ზუზუნს, ფონემა მკლერია, ხოლო თუ ზუზუნი
არ ისმის, ფონემა ყრუა.

ექსპერიმენტული ფონეტიკა შეიქმნა მეცხრამეტე
საუკუნის 70-იან წლებში; იგი პირველ ხანებში იყენებდა ფიზიკასა
და ფიზიოლოგიაში ნაცად გრაფიკულ მეთოდს. ექსპერიმენტული
ფონეტიკა განსაკუთრებით განვითარდა მეოცე საუკუნის ოცდა-
ათიანი წლებიდან, როცა შეიქმნა ელექტრო-აქუსტიკური იარაღები.
ექსპერიმენტულმა ფონეტიკამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფონეტი-
კური მეცნიერება.

ექსპერიმენტული ფონეტიკის მეშვეობით ვიკვლევთ ენის რო-

ვორც ფიზიოლოგიურ, ისე აკუსტიკურ მხარეს. ბგერის ფიზიოლოგიური ბუნება შეიძლება შევისწავლოთ პალატოგრაფიისა და რენტგენოგრაფიის მეშვეობით. პალატოგრაფების ასე ე. წ. ხელოვნური სასის საშუალებით შეიძლება ზუსტად დავადგინოთ, თუ რომელ ადგილას ქმნიან დაბრკოლებას ანა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას კბილები, ნუნა, სასა და ენის ზედაპირი ერთმანეთის მიჰართ.



სურ. 7

ხელოვნური სასა ანუ პალატოგრაფა მზადდება ცალკეული ცდის პირისათვის; მას ამზადებს კბილის ტექნიკოსი თხელი ცელულოზისაგან ან მსუბუქი ლითონისაგან. ხელოვნურ სასას საორიენტაციოდ უკეთებენ ნახვრეტებს. ცდის წინ ხელოვნური სასის ზედაპირს აყრიან თეთრ ფხვნილს, ჩაიდებენ პირში, მიაკრავენ სასას და წარმოთქვამენ სათანადო ფონემას. ფონემის წარმოთქმისას ენის ზედაპირის ესა თუ ის ნაწილი შეეხება ხელოვნური სასის შესაფერადგილს და წაშლის მას. ამის შემდეგ ძალიან ფრთხილად გამოიღებენ ხელოვნურ სასას და ხელოვნური სასის მიხედვით წინასწარ დამზადებულ შაბლონზე გადაიტანენ იმ ადგილებს, სადაც გვაქვს ენის შეხება.

რადგანაც ხელოვნური სასის გამოყენება რბილი სასისა და უკანა ენის არტიკულაციისათვის არ ხერხდება, ამიტომ შეიქმნა აუცილებლობა ხელოვნური სასის დაგრძელებისა. სასის დაგრძელება მოხერხდა კარგად იზოლირებული სპეციალური შედგენილობის ქსო-

ვილით. რომელიც მტკმელს აქვს მოთავსებული პირის ღრუში: იგი მთლიანად ფარავს რბილ სასას. იმ ადგილას, სადაც ივარაუდებოდა შეხების წერტილები. მიმაგრებულია ორი იზოლაციური სიმი, რომლის ერთი ბოლო შეერთებულია გალვანომეტრთან. ხოლო მეორე — აკუმულატორთან. უკანა ენისა და რბილი სასის ხშვის დროს ჭაჭვი იხშვება და გალვანომეტრის ისარი გადაიხრება, რაც ენის მაჩვენებელია. რომ უკანა ენა ხშვას ახდენს რბილი სასის იმ ნაწილის მიმართ, რომელზედაც ლითონის მავთულებია მიმაგრებული.

როგორც ცნობილია, ხელოვნური სასის დამზადება და მისი გამოყენება დაკავშირებულია მთელ რიგ რთულ პროცესებთან. მისი დამზადება წარმოებს ჩვეულებრივ კბილის ტექნიკოსის სახელოსნოში და საკმაოდ დროს მოითხოვს: ამიტომ. საველე პირობებში. დიალექტობრივი მასალის ამ გზით დამუშავება არ ხერხდება. ხელოვნური სასა, რომელიც პირის ღრუშია ჩასმული, უცხო სხეულია და ახდენს გავლენას არტიკულაციაზე. ყოველივე ამის გამო. შეიქმნა აპარატი. რომელიც ცვლის ხელოვნურ სასას. ეს აპარატი ზუსტად ასახავს ენის მაგარ სასასთან შეხების კვალს. ეს აპარატი. რომელსაც ფოტო-პალატოგრაფი ეწოდება, შედგება რამდენიმე სარკისაგან. რომელთა მორგება ცდის პირისათვის ხდება სასის ზომისა და პირის ფორმის მიხედვით. გარდა ამისა, გამოყენებულია ფოტოაპარატი. ცდის პირის დასაჯდომ სკამზე გაკეთებულია კბილის ექიმის მიერ გამოყენებული თავის მისაყრდენი, რათა წარმოექმნას შემდეგ ცდისპირმა არ გაანძრიოს თავი. სარკე, ფოტოაპარატი და რეფლექტორი დამაგრებულია შტატივზე, რომელიც თავის მხრივ ბორბლებით დაყრდნობილია პატარა რელსებიან ურიკაზე. რათა შესაძლებელი იქნეს აპარატის მოძრაობა წინ და უკან: აპარატის მოძრაობა იმისათვისაა აუცილებელი, რომ პირის ღრუში მოვარგოთ სარკე და დავაყენოთ ფოტოაპარატის ფოკუსი; ამის შემდეგ აპარატი უნდა მოვაშოროთ ცდის პირს ისე, რომ შევიძლოთ ცდის პირის სასა დავფაროთ რაიმე კონტრასტული საკმელი ფხვნილით (შესაძლებელია კაკოს გამოყენება). ბერის წარმოქმნისთანავე ცდის პირი აღეზს პირს, მას მიუუახლოვებთ წინასწარ დაყენებულ სარკეს, რომელშიაც აისახება შეხების კვალი, და გადავიღებთ ფოტოფირზე.

რენტგენის გამოყენებამ, ბევრათა წარმოქმნის ადგილის დაზუსტების მიზნით, საშუალება მოგვცა მიგველო მთელი საწარმოთქმო აპარატის (ბაგებიდან ხორხამდე) საგიტალური კრილი. რენტგენის სხივები ადვილად შეაღწევენ ხოლმე რბილ ქსოვილებში, ხოლო ძვლისაგან და კუნთებისაგან შემდგარი ნაწილები უფრო მკვეთრად ჩანან რენტგენის სურათზე. ენის ზურგის კონფიგურაცია

უფრო ნათლად რომ გამოჩნდეს. არტიკულაციის დროს საჭიროა ენის ზურგზე ღრმად ენის ძირამდე გავატაროთ ბარიუმის სულფატის ემულსიის ზოლი. ამის გარდა, არტიკულაციის დროს საჭიროა, რომ ცდის პირს თავი უმოძრაოდ ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში რენტგენოგრაფია ბუნდოვანი გამოვა.

რენტგენის სურათი, სასურველია, თვითონ ცდის პირმა გადაიღოს იმ მომენტში, როცა იგი წარმოთქვამს ამა თუ იმ ბგერას.



სურ. 8

რენტგენის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ტომოგრაფია: გადაღება ხდება პირდაპირი პროექციით. ტომოგრაფიაზე ჩანს არა ყველა საწარმოთქმო ორგანოს სურათი, არამედ მხოლოდ იმ ორგანოებისა, რომლებიც განლაგებულია განსაზღვრულ სიღრმეზე. მაგალითად, შეიძლება გადავიღოთ ტომოგრაფია სახმო სიმების მოქმედებისა.

რენტგენის დახმარებით შეიძლება გადავიღოთ ფაზა, როცა საწარმოთქმო ორგანოები წარმოთქვამენ ამა თუ იმ ბგერას. ეს ფაზა შეიძლება იყოს სხვადასხვა: საწარმოთქმო ორგანოების მოწყობა, ბგერის წარმოთქმის მომენტი და მომენტი, როცა საწარმოთქმო ორგანოები უბრუნდებიან საწყის მდგომარეობას. ამგვარად, რენტგენის საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ ბგერის წარმოთქმის სტატიკური მდგომარეობა.

შედარებით უფრო სრულყოფილ მეთოდს წარმოადგენს კინორენტგენი: იგი აერთიანებს რენტგენსა და კინოაპარატს. კინოაპარატის დახმარებით შესაძლებლობა გვეძლევა გადავიღოთ ბგერის

წარმოქმნის ყველა ფაზა. ამავე დროს საჭიროა გვეკონდეს მასალის სინქრონული ჩანაწერი მაგნიტოფონზე.

ყველა ზემოაღწერილი საშუალება შესაძლებლობას იძლევა ვიკლიოთ მეტყველების ფიზიოლოგიური პროცესები.

რაც შეეხება სამეტყველო ბგერის ფიზიკურ თავისებურებებს, ის შეიძლება ექსპერიმენტულად შევისწავლოთ როგორც პნევმატიკურა, ისე ელექტროაკუსტიკური საშუალებებით.

პნევმატიკურ საშუალებათაგან უნდა დავასახელოთ კი მო გ რ ა ფ ი. რომელიც წარმოადგენს ლითონის ცილინდრს, რომელსაც შემოხვეული აქვს გამურული ქაღალდი. ცილინდრი მოძრაობაში მოჰყავს სპეციალურ მექანიზმს — ელექტრომოტორს.

გამურულ ქაღალდზე რხევების სახით იწერება პირიდან გამოდენილი ჰაერნაკადის წნევის სხვადასხვა ცვლილება, სახმო სიმების მოქმედება, ცხვირის მონაწილეობის ან არმონაწილეობის სურათი და დროის ხაზი.

პირის ჰაერნაკადის რხევებისა და ტუჩების მდგომარეობის რეგისტრაციისათვის გამოყენებულია ამბუშური. რომელიც დაშვადებულია პლასტმასისაგან, იგი რეზინის მილით შეერთებულია რეზინაგადაკრულ პატარა დაფთან. რომელზეც დამაგრებულია ჩამწერი კალამი; ამბუშური უნდა მიეუახლოვოთ ტუჩებს, წარმოეთქვათ ბგერა. სიტყვა ან წინადადება. გამურულ ქაღალდზე ჩაიწერება მრუდების სახით ტუჩების მოძრაობა, დახშულობა, სკდომა, ჰაერნაკადის მოძრაობა და ა. შ..


მეორე ასეთივე მოწყობილობის ჩამწერი საშუალება, რომელზეც ამბუშურის ნაცვლად მიმაგრებულია ყელის კაფსული ან ლარინგოფონი, საშუალებას იძლევა ჩაეწეროთ მრუდის სახით სახმო სიმების მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ლარინგოფონს მივაძვრებთ ფარისებრ ხრტილზე მარჯვნივ ან მარცხნივ; იგი სახმო სიმების მოძრაობას გადასცემს რეზინაგადაკრულ დაფს და ჩამწერ კალამს.

მესამე მოწყობილობა, ისევე როგორც პირველი, შედგება ჩამწერი კალმისა და რეზინაგადაკრული დაფისაგან, რომელიც რეზინის მილითაა შეერთებული ცხვირის კაფსულებთან: ისინი მოთავსებულია ცდისპირის მარცხენა და მარჯვენა ნესტოში და ბგერის წარმოქმნის დროს აწარმოებენ ცხვირიდან გამოდენილ ჰაერნაკადის მოძრაობის რეგისტრაციას.

კიშოგრაფზე დროის ჩამწერი საშუალებაა ელექტრომაგნიტური კამერტონი, რომელიც შეერთებულია რეზინის მილით რეზინაგადა-

კრულ დაფთან და ჩამწერ კალამთან. იგი გვაძლევს თანაბარი რხევების მქონე მრუდს, რითაც შეგვიძლია დავადგინოთ დრო.

პირის, ხორხის, ცხვირის და ღროის მრუდების რეგისტრაცია ხდება სინქრონულად: ამიტომ ადვილად შეიძლება დავადგინოთ ბგერათა საზღვრები.



სურ. 9.

ელექტროაკუსტიკურ მეთოდთაგან უნდა დავასახელოთ ელექტროდინამიკური, ოსცილოგრაფიული და სპექტროგრაფიული ჩაწერისა და ანალიზის საშუალებანი.

ელექტრომაგნიტური რეკორდერის დახმარებით შესაძლებელია შევისწავლოთ ბგერათა ფონეტიკური თავისებურებანი და მეტყველების ინტონაცია.

ეს მოწყობილობა შედგება ელექტროდინამიკური მიკროფონის, მაგნიტოფონის, ელექტროდინამიკური რეკორდერისა და დიდი ლაბორატორიული კიმოგრაფისაგან. მიკროფონი მოთავსებულია სტუდიაში, საიდანაც დიქტორი გადასცემს სათანადო მასალას. მიკროფონის საშუალებით მეტყველების აკუსტიკური თვისებები გარდაისახება ელექტრულ სახეებად, რომლებიც ძლიერდებიან სპეციალური გამაძლიერებლის საშუალებით და ერთ-ერთი გასასვლელის მეოხებით ხედებიან მაგნიტოფონზე, ხოლო მეორე გასასვლელით ელექტრომაგნიტურ რეკორდერზე, რომელიც წერს არა მეტყველების ბგერით ეფექტს, არამედ მეტყველების ორ სინქრონულ მრუდს, რომელთაგან ერთი კომპლექსურია: იგი შეიცავს ძირითადი ტონის რხევათა სიხშირეს, მის ამპლიტუდას, ობერტონებს და დროს, ხოლო მეორე მრუდზე გვაქვს ცალკე გამოყოფილი ძირითადი ტონის რხევათა ამპლიტუდა, რომელიც წარმონათქმის ინტენსივობის პირდაპირპროპორციულია.

ჩაწერა ხდება კიმოგრაფის გამურულ ქალაღზე.

შლეიფიანი ოსცილოგრაფი. (МПО-2 ან უფრო გაუმჯობესებული ტიპის II-102). მიკროფონის საშუალებით ჰაერნაკადის რხევები

გარდაიქმნებიან ელექტრომაგნიტურ რხევებად, რომლებიც გამაძლიერებელში გავლის შემდეგ მიეწოდებიან სპეციალურ მოწყობილობას — შლეიფს.

შლეიფი წარმოადგენს ერთგვაროვან მაგნიტურ ველში გაქიშულ წერილი მავთულის ყულფს, რომელზეც პატარა სარკეა დამაგრებული. გაივლის რა დენი მავთულის ყულფში, იწვევს მის რხევით მოძრაობას. ყულფის რხევის სიხშირე შეესატყვისება წარმოქმნილი ბგერის სიხშირეს, ხოლო გადახრის კუთხის სიდიდე — ამპლიტუდას. ყულფთან ერთად რხევით მოძრაობაში მოდის მასზე დამაგრებული სარკე. სარკე აირეკლავს მისკენ მიმართულ სინათლის სხივს. არეკვლილი სხივი ეცემა ფოტოფირზე, რომელიც მოძრაობს გარკვეული სიჩქარით. ფირის გამკლავების შემდეგ მივიღებთ მრუდს, რომელსაც ოსცილოგრამა ეწოდება.

H-102 ტიპის ოსცილოგრაფს აქვს 8 შლეიფი, რითაც შეიძლება 8 სხვადასხვა პარამეტრის ერთდროული შესწავლა. სამეტყველო ბგერის შესწავლისას იზღუდებიან რამდენიმე მთავარი მახასიათებლის შესწავლით. ეს მახასიათებლებია: ძირითადი ტონის სიხშირე, ინტენსივობა და დრო. ოსცილოგრამაზე ყველა ამ მახასიათებელს თავისი მრუდი შეესატყვისება. იხ. სურ. 10.

ოსცილოგრაფის გამოყენებას მეტყველების გრაფიკული მეთოდით შესწავლისათვის აღმოაჩნდა არსებითი ნაკლოვანებანიც. ამ ნაკლოვანებათა შესახებ თავიანთი მოსაზრებანი ნათლად ჩამოაყალიბეს დოც. ი. სუნცოვამ, ლ. პროკოპოვამ და ვ. სკვორცოვამ. ეს ავტორები სწორად მიუთითებენ იმის შესახებ, რომ ოსცილოგრაფიულ ჩანაწერებში ძნელია ბგერებს შორის საზღვრის დადება, ვინაიდან ოსცილოგრაფი გარდამავალი ბგერების ფიქსაციასაც აწარმოებს, მაშინ როდესაც ბგერებს შორის საზღვრის დასადგენად გაცილებით უფრო გამოსადეგია პნევმატიკური ჩანაწერები. სხენებული ავტორები, ითვალისწინებენ რა პნევმატიკური და ოსცილოგრაფიული ჩანაწერების დადებითსა და უარყოფით მხარეებს, საბოლოოდ ასეთ დასკვნას იძლევიან: ორივე აპარატი მეტყველების რეგისტრაციისათვის მთავარი და აუცილებელი მოწყობილობაა ენათა ბგერების სისტემების კვლევისას (ს. ელენტი).

მართლაც, პნევმატიკისა და ოსცილოგრაფის კომბინაციით შეიქმნა აპარატი, რომელმაც თავიდან აგვაცილა ის ნაკლოვანებები, რომელიც ჰქონდა ცალკე პნევმატიკასა და ცალკე ოსცილოგრაფიას.

ამ აპარატისათვის საჭირო შეიქმნა შლეიფის გადაკეთება. შლეიფიდან ამოიღეს მაგნიტი, ელექტრული მონტაჟი და დარჩა მხოლოდ


საფუძველი, მონტაჟ-ჩონჩხი პატარა სარკით. მათ ნაცვლად ჩაისვა რეზინაგადაკრული პატარა დაფი და დაუკავშირდა ამრეკლავ პატარა სარკეს. ეს უკანასკნელი დამაგრებულია ბრინჯაოს საკიდარზე.



სურ. 10.



სურ. 11



სურ. 12.

ამ გადაკეთებული შლიეფების დახმარებით შესაძლებელი შეიქნა ოსცილოგრაფზე ჩაგვეწერა ტუნების მოძრაობა ამბუშურით, სახმო

სიმების მოქმედება ყელის კაფსულით და დრო პნევმოელექტრომაგნიტური გადამცემით. გარდა ამისა, რეგისტრირდება ძირითადი ტონის კომპლექსური მრუდი, ანუ ელექტროოსცილოგრამა. ამგვარად მივიღეთ პნევმო-ოსცილოგრაფიული მრუდი, იხ. სურ. 11.

სპექტროგრაფი ეწოდება ბგერის სიხშირული შედგენილობის გამაანალიზებელ ხელსაწყოს. სპექტროგრაფზე ბგერა გარდაისახება მიკროფონის საშუალებით ელექტრული დენის შესაბამის ცვლილებებში. იგი სპეციალური გამაძლიერებლის დახმარებით ძლიერდება და სპექტროგრაფის ფილტრების სავარცხელს მიეწოდება. ბგერათა ის ჰარმონიული მახასიათებლები, რომლებიც შეესატყვისებიან ფილტრის სიხშირულ მაჩვენებლებს, მოიყვანენ მას მოქმედებაში და კომპუტატორის საშუალებით სათანადო იმპულსები გადაეცემა ოსცილოგრაფის შლეიფს. შლეიფის სიმი სათანადოდ ირხევა და მასზე მოთავსებული სარკის საშუალებით ხედება მგრძნობიარე კინოფირზე და მივიღებთ სპექტროგრამას.

სპექტროგრამაზე აისახება სხვადასხვა ბგერის ფორმანტული შედგენილობა, იხ. სურ. 12.

ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია

ლექსიკოლოგია

სიტყვა როგორც ლექსიკოლოგიის საგანი. ლექსიკოლოგია შედგენილი ტერმინია. იგი ნაწარმოებია ორი ბერძნული სიტყვისაგან: *lexis* (ლექსის) „სიტყვა“ და *logos* (ლოგოს) „სიტყვა. მოძღვრება“; ე. ი. ლექსიკოლოგია ნიშნავს მეცნიერებას სიტყვის შესახებ.

ს ი ტ ყ ვ ა წარმოადგენს ენის ყველაზე კონკრეტულ ერთეულს: ენა უპირველესად ყოვლისა „სიტყვათა ენა“, როგორც ურთიერთობის საშუალება, „სიტყვიერი იარაღი“.

სიტყვა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ელემენტია ენისა, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს სახელდება (ნომინაცია).

მნიშვნელობის შემკველი მინიმალური ერთეულის — მორფემისაგან—განსხვავებით, სიტყვა დამოუკიდებელია, გრამატიკულად გაფორმებულია მოცემული ენის კანონების მიხედვით და მას აქვს ე. წ. ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა.

წინადადებისაგან განსხვავებით, რომელსაც აქვს კომუნიკაციის დასრულებული თვისება, სიტყვა თავისთავად არაკომუნიკაციურია (თუმცა ზოგჯერ მას შეუძლია მოგვევლინოს წინადადების როლშიც: წვიმს, გრილა, თოვს, თენდება და სხვა), მაგრამ კომუნიკაციის განსახორციელებლად საჭირო წინადადების ასაგებად ენა მიმართავს სწორედ სიტყვებს. ამასთან, სიტყვა ყოველთვის დაკავშირებულია ნიშნის მატერიალურ ბუნებასთან, რის გამოც სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ცალკეულ გაერთიანებებს ქმნიან აზრისა და ბგერითი ან გრაფიკული გამოსახულებისაგან.

ლექსიკოლოგია განიხილავს სიტყვას, როგორც ლექსიკურ ერთეულს, ერთეულს ენის ლექსიკური შედგენილობისა; ამიტომ ცალკეულ სიტყვებთან ერთად ლექსიკოლოგია სწავლობს ისეთ სიტყვათშეერთებებსაც, რომლებიც თავისი მნიშვნელობით ერთი სიტყვის ეკვივალენტები არიან (ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთებანი, ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომები).

სიტყვა და ცნება. ენაში სიტყვის საკუთარ ფუნქციას შეადგენს სახელდება (ნომინაცია), ე. ი. სიტყვას აქვს ნომინაციური ფუნქცია.

სიტყვები პირველ რიგში წარმოადგენენ სახელწოდებებს, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ საგნებს, მოვლენებს, არსებებს და, რადგან სიტყვები შედგებიან მორფემებისაგან, მორფემები კი გამოხატავენ ცნებებს, სიტყვებიც უეჭველია აღნიშნავენ ცნებებს.

მაგრამ ცნების აღნიშვნის თვალსაზრისით სიტყვასა და მორფემას შორის განსხვავებაც არსებობს. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მორფემაში მოცემული ცნება გადმოცემულია „წმინდა სახით“, იგი აბსტრაქტირებულია ამ ცნების შესაბამის საგანთა მრავალფეროვნებისაგან.

რაც შეეხება სიტყვას, მასში ხდება ერთგვარი დაკონკრეტება და მიმაგრება ცნებისა მოვლენათა და საგანთა სახელებზე.

ნომინაციის დროს ჩვენ არ გვაქვს ასეთი პირდაპირი მიმართება: მოცემული სიტყვა — მოცემული საგანი. სახელდებისას სიტყვა ერთ საგანს კი არ გულისხმობს, არამედ საგანთა კლასს; მაგალითად, სიტყვა სკამი შეიძლება აღნიშნავდეს ერთ გარკვეულ სკამს, მაგრამ ენაში მისი დანიშნულებაა დაასახელოს ყველა სკამი, საგანთა მთელი კლასი.

საკუთარი სახელებიც კი (პეტრე, პავლე, ივანე და სხვა) არ შემოიფარგლებიან ცალკე ინდივიდის დასახელებით, რადგან ამ სახელების მატარებელი ადამიანები მრავალია; ამიტომ ეს სახელები ეკუთვნიან არა მხოლოდ მოცემულ პეტრეს, პავლეს და ივანეს, არამედ ყველას, ვინც ამ სახელს ატარებს.

მეორე მხრივ, მაგალითად, ძირი თანამედროვე ქართული სიტყვებისა მწვანე, მომწვანო, მწვანელი, გამწვანება, სიმწვანე გასაგებია — მასში არის აზრი, შინაარსი (მწვან-) და არა (წით-), არა (შავ-), არა (თეთრ-) და სხვა. მაგრამ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ძირის შინაარსთან, რაც მხოლოდ და მხოლოდ ცნების გამოხატვას წარმოადგენს, არავითარი ურთიერთობა საგნებთან და მათ სახელებთან ძირს მისი „მნიშვნელობით“ არ გააჩნია, მაგრამ როდესაც ჩვენ ვწვდებით ისეთი სიტყვების აზრს, როგორც არის მწვანე, მწვანელი, მომწვანო, გამწვანება, სიმწვანე და სხვა (მწვან-) ძირის ნივთიერ მნიშვნელობას ემატება სხვა დამატებით მნიშვნელობანი, რომლებიც მიგვითითებენ ფერზე (მწვანე), განყენებულობაზე (სიმწვანე), აქტიურ ან პასიურ პროცესზე მოქმედებისა (გამწვანება), ოდნობითობაზე (მომწვანო) და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როდესაც ასეთი აბსტრაქტული ძირი-მნიშვნელობა გადადის გრამატიკის განკარგულებაში ნომინაციასთან დაკავშირებით, იგი კონკრეტულ მნიშვნელობად იქცევა, ე. ი. იქცევა სამეტყველო ურთიერთობისათვის საჭირო სიტყვად, რომელიც გაფორმებულია გამონათქვამის შესაბამისი ელემენტებით.

სიტყვის განსაზღვრისას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს მის ადგილს ენის სტრუქტურაში, მის განსხვავებას ზემდგომი ერთეულებისაგან (ე. ი. წინადადებებისაგან) და ქვემდგომი ელემენტებისაგან (ე. ი. მორფემებისაგან), მის დამოუკიდებლობას, მის სპეციფიკურ ფუნქციას და მის ნიშნობრივ ხასიათს.

ამგვარად, სიტყვა წარმოადგენს ენის მნიშვნელობიან დამოუკიდებელ ერთეულს, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს ნომინაცია; ენის მინიმალური მნიშვნელობის მქონე ელემენტებისაგან განსხვავებით სიტყვა დამოუკიდებელია, თუმცა შესაძლოა ერთი მორფემისაგანაც შედგებოდეს, გრამატიკულად გაფორმებულია მოცემული ენის კანონების მიხედვით და მას აქვს ლექსიკური მნიშვნელობა.

ცნებისა და სიტყვის ურთიერთობა საკმაოდ რთული საკითხია. ცნების გამოხატვა ადამიანის მეტყველების სიტყვებით არ წარმოადგენს ისეთ პარალელიზმს სიტყვებისა, ერთი მხრით, და ცნებებს შორის, მეორე მხრით, როგორც შეიძლება იფიქროს კაცმა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ენაში სწორედ იმდენი სიტყვაა, რამდენიც ცნება. რომ არაფერი ითქვას იმაზე, რომ სიტყვებმა შეიძლება გამოხატონ არა მარტო ცნებები, არამედ გრძნობებიც. ეს პირველ ყოვლისა შორისდებულებზე ითქმის.

მიუხედავად იმისა, რომ შორისდებულები, როგორც ფაქტები ამა თუ იმ ენისა, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით არიან წარმოდგენილი (ქართ. ვაჲ!, რუს. увы!. ფრანგ. hélas! და სხვა), ისინი არ არიან დაკავშირებული რაიმე ცნებასთან და მათ არც სახელდების უნარი აქვთ. შორისდებულები გვევლინებიან ემოციური განცდებისა ან ნებელობითი მოთხოვნილებების სიგნალებად. მაგალითად: ოჰ, ვიშ ან პა, პა, პა! ეს არის სიმპტომები აღფრთოვანებული მდგომარეობისა და თუ ჩვენ გვინდა დავასახელოთ რაიმე გრძნობა ან ნებელობითი მოთხოვნილება, ჩვენ გამოვიყენებთ სახელს, ზმნას, ზედსართავს ან ზმნიზედას და არა შორისდებულს. ზემოდასახელებულ შემთხვევაში, ვთქვათ, აღფრთოვანება, აღფრთოვანებული, აღფრთოვანებით და სხვა.

ცნებებს არ შეესაბამებიან აგრეთვე ტიპური ნაცვალსახელები. მაგ. პირის ნაცვალსახელები მე, შენ, ის და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ ე. წ. სიტყვა-მითითებებს. ისინი კი არ აღნიშნავენ რაიმეს, არამედ მხოლოდ მიუთითებენ მნიშვნელოვნობაზე, მაგალითად, მე — ეს არის მითითება მოლაპარაკეზე, შენ — მსმენელზე, ხოლო ის, იგი — პირებზე, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას საუბარში.

ნაცვალსახელები წარმოადგენენ სიტუაციურ სიტყვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მნიშვნელობა განისაზღვრება მეტყველების სიტუაციის ცოდნით. თუ მოსაუბრემ იცის, ვინ ლაპარაკობს, ვის ელაპარაკება, სად და როდის ლაპარაკობს (და აგრეთვე რაც იყო საუბრამდე და რის გამოცაა საუბარი), მას შეუძლია რეალურად გაიგოს წინადადება მე შენ ახლა ამას გეუბნები. ამ სიტუაციის ცოდნის გარეშე „გასაგები“ იქნება ყველა ჰიტყვა, მაგრამ გამონათქვამის კონკრეტული აზრი გაუგებარი დარჩება, რადგან არა გვაქვს ცნებები და უცნობია ნომინაცია (სახელდება).

როდესაც ნაცვალსახელები უკავშირდებიან ცნებებს, ისინი თავისი მნიშვნელობით უკვე ნაცვალსახელებად აღარ ჩაითვლებიან.

ვაკართა წრეში რუსეთში ოჯახის უფროსის აღსანიშნავად იხმარებოდა сам (თვით, თვითონ). ყველა ამისთანა მე, შენ, თქვენ, თვით... ნაცვალსახელები კი აღარ არის, არამედ არსებითი სახელებია.

საკუთარი სახელები. არავითარ ცნებას არ გამოხატავენ აგრეთვე საკუთარი სახელებიც. შეესაბამებიან რა საგანთა კლასს, მათ აქვთ თავისი მნიშვნელობა მხოლოდ სახელდებაში. საკუთარი სახელები ჰიპერტროფიულად ნომინაციურია. მათი დანიშნულებაა სახელდება. კარგად გამოხატავენ ამ მოვლენას კ. მარქსის ცნობილი გამოთქმა „რაიმე საგნის სახელწოდებას არავითარი კავშირი არა აქვს მის ბუნებასთან. მე არაფერი ვიცი მოცემულ ადამიანზე, თუ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია“.

საკუთარ და ზოგად სახელებს შორის ყოველთვის ადგილი აქვს მონაცვლეობას: ზოგადი სახელები იქცევიან საკუთარ სახელებად, ხოლო საკუთარი სახელები ზოგადდებად.

ზოგადი სახელის ქცევა საკუთარ სახელად, უპირველესად ყოვლისა ნიშნავს ცნების დაკარგვასა და ამის შედეგად სიტყვის მეტსახელად გადაქცევას და პირიქით: საკუთარი სახელის გადაქცევა ზოგად სახელად არის სიტყვის დატვირთვა ახალი „არსებითი ნიშნებით“. ამასთან, შეძენილი ცნება შეიძლება აბსოლუტურად განსხვავ-

დებოდეს იმ ცნებისაგან, რომელთანაც დაკავშირებულია პირვანდელი მნიშვნელობა საკუთარ სახელად ქცეული სიტყვისა (ყ უ რ შ ა „ყურებიანი“ ძაღლის სახელი > საერთოდ ძაღლი, შდრ. აგრეთვე ლ უ რ ჯ ა და სხვა).

განვიხილოთ ზოგიერთი ტიპობრივი შემთხვევა გადასვლებისა ზოგადიდან საკუთარ სახელად და, პირიქით, საკუთარიდან ზოგად სახელად.

თვით საკუთარი სახელები განიყოფებიან ონომასტიკად და ტოპონიმიკად. ონომასტიკა ბერძნული სიტყვიდან წარმოდგება (technē onomastikē „ხელოვნება სახელებისა“) და გულისხმობს პირის სახელების ერთობლიობას — ადამიანთა სახელები, გვარები, მამის სახელები ამ ცხოველთა მეტსახელები, ხოლო ტოპონიმიკა (topos „ადგილი“ + onyma „სახელი“) — ერთობლიობას გეოგრაფიული სახელებისა (ქვეყანა, ქალაქი, ზღვა, მდინარე, გორაკი და სხვა).

აღსანიშნავია, რომ საკუთარი სახელების ზოგადებში გადასვლისას ონომასტიკისა და ტოპონიმიკის თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ შეინიშნება. მაგალითად, გამომგონებლის სახელი (ან გვარი) იბევე უბრალოდ გადადის მის ნაწარმზე (მაგ. შოტლანდიელი Mac-Intoch მაკინტოში), როგორც ადგილის სახელი (შეადარეთ ქართული ზვანქარა, ქინძმარეული, ნაფარეული, წინანდალი და სხვა), რომელსაც იქ ამზადებენ.

სულ სხვაა იმ ზოგადი სახელების ბედი, რომლებიც საკუთარ სახელებად იქცევიან. როცა ზოგადი სახელები იქცევიან ტოპონიმიკურ საკუთარ სახელებად, ისინი სამუდამოდ მკვიდრდებიან და განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ისტორიკოსებისათვის, რომლებიც ენობრივი წყაროებით სარგებლობენ, მაშინ როდესაც ზოგადი სახელების გადასვლა მეტსახელიდან სახელად უმთავრესად სტილისტურ ინტერესს შეიცავს.

საკუთარი სახელების ზოგად სახელებში გადასვლის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: ადამიანის სახელი (ანთროპონიმი) გადადის მის ნაწარმზე, აღმომჩენზე. შეადარეთ იარაღის მოდელები და ტიპები: კოლტი, მაუზერი, ბრაუნინგი, ვინჩესტერი და სხვა; მანქანების ტიპები: ფორდი, ბიუკი, პაკარდი; მასალის სახელები: ბატისტი (მე-13 საუკუნის მანუფაქტურისტის სახელი), ფრენჩი (ინგლისელი გენერალი, რომლის დროს შემოღებულ იქნა ასეთი სამხედრო მუნდირი), გალიფე (ფრანგი გენერლის სახელი), კრეზი „მდიდარი“ (სიმდიდრით განთქმული ლიდის მეთის სა-

ხელი), კეისარი (საიდანაც მოდის რუსული царь) რომის იმპერატორი იულიუს კეისარი. შეადარეთ აგრეთვე სპარსულიდან ნასესხები ხოსრო-ხოსროვანი, რაც პირის სახელის გარდა შეფესა და მეფურს აღნიშნავს სპარსულშიც და ქართულშიც.

ხშირად საკუთარი სახელების ასეთ გადასვლას ზოგადში განიცდიან ლიტერატურული გმირებიც, რომელნიც ამა თუ იმ ტიპობრივი ნიშნით არიან აღბეჭდილნი, მაგალითად: დონჟუანი, ალფონსი, თათქარიძე, ტარიელი, ამირანი, ყარამანი, ბაყბაყდევ, ჩანჩურა და მისთანანი.

სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძალიან გავრცელებულია ერთეულების, ელემენტებისა და მსგავსი ფაქტების აღნიშვნა იმ მკვლევართა სახელებით, რომლებმაც ისინი აღმოაჩინეს, მაგ.: ფიზიკური ერთეულები: ომი, ამპერი, ჯოული, ვოლტი, ფარადე, კულონი, კიური და სხვა.

ტოპონიმიკური საკუთარი სახელები ზოგად სახელებში ყველაზე ხშირად ასეთი მიმართებით გადადიან: ადგილი—ნაწარმი. შეადარეთ: ქსოვილების ან მათგან დამზადებული საგნების სახელები: ბოსტონი (ამერიკის ქალაქი), შვეიცოტი (შოტლანდიის მთები), მანჩესტერი (ინგლისის ქალაქი), მადაპალამი, შალი (ინდოეთის ქალაქები), ქაშმირი (ინდოეთის პროვინცია), პანამა (პანამის რესპუბლიკა), პავანა „სიგარა“ (კუბის დედაქალაქი) და მისთანანი. სასმელთა სახელები: ხერესი, მალაგა (ესპანეთის ქალაქები), ბორდო (საფრანგეთის ქალაქი), ნაფარელი, ხვანკკარა, კარდანახი, წინანდელი (ადგილის სახელები საქართველოში) და სხვ. განათხარების, ძვირფასი ქვების სახელები: ტოპაზი, ტპაზიონი (კუნძული მეწამულ ზღვაზე), ბადახში (მთები შუა აზიაში), კოალინი „თეთრი თიხა“ (მთის სახელი ჩინეთში) და სხვა მრავალი.

თუ საკუთარი სახელების გადასვლა ზოგადებად კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული, ზოგადი სახელების საკუთარ სახელებად ქცევა რეგულარულ მოვლენას წარმოადგენს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა (მოგონილი მეტსახელების სახით). ყოველი საკუთარი სახელი წარსულში ზოგად სახელს წარმოადგენდა და ეს მოვლენა განსხვავებულ როლს ასრულებს ტოპონიმიკასა და ონომასტიკაში. უძველესი მოსახლეობის მიერ შექმნილი ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ჩვეულებრივ, საუკუნეებს უძღვება.

მოცემულ ადგილზე მოსახლეობა იცვლება, მაგრამ მდინარეთა,

შათა, მინდორთა და სხვა ადგილთა სახელები იგივე რჩება და ხალხიდან ხალხში გადადის.

იმ ენობრივი კოლექტივისათვის, ვინც პირველად დაარქვა სახელი მოცემულ ობიექტს, იგი ჩვეულებრივი ზოგადი სიტყვა იყო, მაგრამ ყველა შემდგომისათვის იგი მხოლოდ სახელწოდებად იქცა. რადგან მან გაწყვიტა კავშირი ცნებასთან.

ასეთი მდგომარეობა მეტად მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისათვის. როცა მათ, გარდა არქეოლოგიური მონაცემებისა, ხელთ არაფერი აქვთ, მაშინ საკუთარი ტოპონიმიკური სახელები აუცილებელი ხდებათ ძველი გარდასული კულტურების გამოსაკვლევად, რადგან ენის გარეშე კულტურა ვერ შეისწავლება თავისი სრულყოფილი სახით, ისე როგორც ვერ განისაზღვრება ამ კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკური მიკუთვნება.

მაგალითად: ბგერათა კომპლექსს დ ნ-დ ა ნ-დ უ ნ — რომელიც გვხვდება შავი ზღვის სანაპირო მდინარეების სახელებში (დონი, დნეპრი, დნესტრი, დუნაი) — მივყავართ ოსურ სიტყვასთან დ ო ნ 'წყალი, მდინარე', და რადგან ოსები სკვითების შთამომავლები არიან, ეს სახელწოდებანი გვიჩვენებენ სკვითების დასახლების ზონას პრეისტორიულ ეპოქაში.

მდინარის სახელები მ ა ლ თ ა ყ ვ ა, ს უ ფ ს ა გურიაში მიუთითებენ (ადიღეური წარმომავლობის გვარებთან ერთად — ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, ქ ა ნ უ ყ ვ ა ძ ე. და სხვა) ოდესღაც ამ ტერიტორიაზე ჩერქეზულ-ადიღეური ტომების მოსახლეობაზე. ქალაქის ისტორიაზე მოგვითხრობენ აგრეთვე თბილისის სხვადასხვა უბნის სახელწოდებანი: ს ო ლ ო ლ ა კ ი, ხ ა რ ფ უ ხ ი, ი ს ა ნ ი, რ ი ყ ე, ს ა ბ უ რ თ ა ლ ო, ვ ა კ ე, ვ ე რ ც ხ ლ ის ქ უ ჩ ა, ს ო მ ხ ის ბ ა ზ ა რ ი და სხვა.

ცოტა სხვაგვარია მდგომარეობა ონომასტიკონის შემთხვევაში. ადამიანის სახელიც გადადის ხალხიდან ხალხში, მაგრამ ამ სახელთა მატარებლები არ არიან ისეთი ხანგრძლივი სიცოცხლისა, როგორც მდინარეები, ზღვები და ქალაქები. ამიტომ ზოგადი მნიშვნელობის ამოცნობა ონომასტიკაში საინტერესოა: სიტყვათა ისტორიისათვის, სხვადასხვა ხალხების ერთმანეთზე კულტურული გავლენის თვალსაზრისით და, რაც მთავარია, როგორც გემოვნებისა და მოდის ფაქტი საინტერესოა წეს-ჩვეულებათა ისტორიის თვალსაზრისით. განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურის შესასწავლად.

ახლადდაბადებულებს სახელებს არქმევენ უმთავრესად ტრადიციის ან მოდის მიხედვით. ტრადიციით გენეალოგიაში ხშირად მეორდება ერთი და იგივე სახელი, ჩვეულებრივად ერთის გამოტოვებით:

გიორგი ივანეს ძე; ივანე გიორგის ძე და ა. შ.; მოდის საფუძველზე კი ახალ-ახალი სახელები შემოდის ხმარებაში. ასე, მაგალითად, ჩვენში დაახლოებით მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოდაში შემოვიდა ძველი ქართული სახელების დარქმევა: ოთარ, ზურაბ, კატანგ, არჩილ, ნათელა, მზია, ციალა, ცისანა, მანანა და სხვა. გარკვეულ პერიოდში (მე-19 საუკუნიდან) ქართულში დამკვიდრდა რუსული სახელები თავისი კნინობითი ფორმებით: ვალოდია (ვლადიმერ), ვანიჩკა (ივანე), საშა, შურა (ალექსანდრე), ალიოშა (ალექსი), მიშა (მიხეილ), ვარია, ვარინკა (ვარვარა), ნადია (ნადეჟდა), ვერიჩკა და მრავალი სხვა. მათ გვერდით გარკვეული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ევროპული სახელებიც: როგნედა, ეველინა, იზაბელა, იზოლდა, ამალია, ალფრედა, ალბერტი, ჰამლეტი, ენრიკო და მისთანანი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პერიოდში საქართველოშიც გავრცელდა ე. წ. იდეოლოგიური სახელები: მარლენი, ვლადლენი, ნინელი, იდეა, ტელმანი, დაზმირი, მელორი და მისთანანი.

ამას მოჰყვა მოდა ისევ უძველესი ქართული სახელების დარქმევისა, როგორც არის: არმაზი, ემზარი, კახა, საურმაგი, ფარსმანი, ბაკური, ქალთამაზე, იათამაზე, ნათია, ნუგეშა და სხვა. უკანასკნელ ხანებში გავრცელდა ისევ ჩვეულებრივი ტრადიციული უბრალო სახელების დარქმევის მოდა: პეტრე, გიორგი, პავლე, ლევან, არჩილ, ნინო, თამარი, ქეთევან, თინათინ და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ონომასტიკა მხატვრული ლიტერატურის ენისათვის, სადაც პერსონაჟის გვარი ან სახელი შეიძლება გახდეს მისი დახასიათების ელემენტი. ამისათვის ყველაზე ადვილ გზას წარმოადგენს ე. წ. „მოლაპარაკე გვარები“. შდრ. ქართული მუნჯაძე, მცირიშვილი, მკლავაძე, ფანტიაშვილი, ყლაპიაშვილი, რუს. Правдин, Скалозуб, Скотинин, Молчалин და სხვა; ასეთ ხერხს ხშირად მიმართავს დოსტოევსკი, შდრ. Смердяков, Красоткин, Разумихин, Мышкин და მისთანანი.

ძალიან გავრცელებულია აგრეთვე მდინარის სახელების გამოყენება ლიტერატურული პერსონაჟების გვარებისათვის და თვით მწერალთა ფსევდონიმებად: შდრ. Печорин, Ленский, Онегин, არაგვისპირელი, თურდოსპირელი, ფრონელი და მისთანანი.

სიტყვათა ტიპები ენაში. ლექსიკოლოგიაში განსახილველ საკითხთა წრეს განეკუთვნება საკითხი სიტყვათა ტიპების შესახებ.

ენაში არსებული სიტყვები გაბმულ მეტყველებაში თავისი მნიშვნელობისა და ფუნქციის მიხედვით ქმნიან ორ რიცხობრივად არათანაბარ კატეგორიას: 1. უფრო მრავალრიცხოვანი კატეგორია არის სრულმნიშვნელობიანი სიტყვები (საგანთა და მათ ნიშან-თვისებათა სახელწოდებანი, მოქმედება-მდგომარეობანი, თვისება-მოქმედებათა, გარემოებათა და სხვა სახელები) და 2. არასრულმნიშვნელობიანი, ანუ დამხმარე სიტყვები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გამოხატავენ მხოლოდ მიმარტყვებას სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის. პირველნი ჩვეულებრივ წარმოადგენენ პასუხს შეკითხვაზე და შეიძლება გამოყენებულ იქნენ მეტყველებაში დამოუკიდებლად. მეორენი, მკეროდენი გაანაკლისის გარდა, იხმარებიან მხოლოდ სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან კავშირში და დამოუკიდებლად კითხვაზე პასუხად ჩვეულებრივ არ გამოდგებიან (სრულმნიშვნელობიანია, მაგ.: კაცი, მალალი, მუშაობს, გულმოდგინედ, დაწერილი... დამხმარეა: რომ, როცა, ანუ, და, ან და მისთანანი).

რომელიმე ენის ლექსიკონის თვალის გადავლება ადვილად დაგვარწმუნებს, რომ სიტყვათა ზოგიერთი ტიპი რიცხობრივად გაცილებით მკირეა და ადვილად დაითვლება კიდევ აღნიშნულ სიტყვები ენისათვის აუცილებელია, მაგრამ ისინი არ ქმნიან ბაზას ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. მართალია, შორისდებულებიდან, ნაცვალსახელებიდან, რიცხვითი სახელებიდან და სხვა დამხმარე სიტყვებიდანაც შესაძლებელია ახალი სიტყვები ვაწარმოოთ, მაგრამ ძალიან განსაზღვრულ ფარგლებში (შდრ. ვიშ-ვიში, მეობა, შენჩემობა, ეგეთობა, ორადობა, ორიანი, ხუთელი და მისთანანი). ყველა ამ სიტყვას ლექსიკურ შედგენილობაში ადგილი უკავია, მაგრამ ისინი მონაწილეობას არ იღებენ ენობრივ გარდაქმნებსა და ცვლილებებში, როგორც სრულმნიშვნელობიანი სიტყვები.

შეიძლება გამოიყოს სიტყვათა ტიპების ხუთი ჯგუფი, რომლებიც ლექსიკურ შედგენილობაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

1. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები (არსებითი, ზედსართავი, ზმნა, ზმნიზედა),
2. ნაცვალსახელური სიტყვები,
3. რიცხვითი სახელები,
4. დამხმარე სიტყვები,
5. შორისდებულები.

1. ს რ უ ლ მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი (საკუთარ სახელთა გარდა) — ენის ლექსიკური შედგენილობის ყველაზე სრულყოფილი წევრებია: ისინი გვევლინებიან სახელწოდებებად (ეს არის ე. წ. ნომინაციური ფონდი, გადმოსაცემი ცნებებისა და ამავე დროს წარმოდგენენ წინადადების საფუძველს). როგორც წინადადების წევრები, ისინი გვევლინებიან ქვემდებარედ, შემასმენლად, დამატებად, განსაზღვრებად და გარემოებად (სახლი, ზაფხული, საღამო, კარგი, ლაღად, ვწერ, ჯდება და სხვა).

2. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ უ რ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, როგორც ზემოთ ითქვა, არ წარმოდგენენ პირდაპირ სახელწოდებებს; ისინი მხოლოდ მათი შემცვლელი არიან. ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ სიტუაციიდან ირკვევა; არ შეიძლება თავიდანვე აღინიშნოს რაიმე სიტყვები „იგი“ ან „ეს“, ნორმალურ მეტყველებაში ასეთი აღნიშვნები შეიძლება მხოლოდ მოსდევდეს დასახელებულს:

„მაგიდაზე იდგა სანთელი, ი გ ი მკრთალად ანათებდა ოთახს“;

„შემოვიდა კაცი, ის უკვე გაქალაქებულ იყო“;

„წამზედ უცბად გაფრინდნენ (კრაზანები), მაგრამ ი მ ა თ მ ა გიერად მალე ათი ს ხ ვ ა მოფრინდა“ (ეკ. გაბაშვილი).

ნაცვალსახელთა ნომინაციის უნარი განსაკუთრებულია, ისინი ასახელებენ უკვე დასახელებულს, გვევლინებიან მითითებებად და არა სახელწოდებებად. როგორც წესი, ისინი ცნებებს არ გადმოსცემენ. ნაცვალსახელები შემცვლელი სიტყვებია. სრულმნიშვნელობიანი სიტყვებზე გარეშე მათი ღირებულება გაუფასურებულია.

ნაცვალსახელთა ტექნიკური ხასიათი ადვილად შედგენდება საქმიან წერალობით მეტყველებაში. მაგალითად, ბიბლიოგრაფიაში განმეორების თავიდან ასაცილებლად ხმარობენ ან ბრჭყალებს ან ნაცვალსახელებს: „იგივე“, „მისივე“. მაგალითად:

ილია ქავეჯაძე „კაცია ადამიანი“ ან ილია ქავეჯაძე „კაცია ადამიანი“

„—————“ „გლახის ნამბობი“ მისივე — „გლახის ნამბობი“

„—————“ „ოთარანთ ქვრივი“ მისივე — „ოთარანთ ქვრივი“

დრამატულ ნაწარმოებებში — პიესებში: „იგივენი და ჰამლეტი“. მიუხედავად განსაკუთრებული ადგილისა, ნაცვალსახელთა უმრავლესობა განეკუთვნება ენის ლექსიკის ძირითად ფონდს.

3. რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელთაგან განსხვავებით. გამოხატავენ ცნებებს, მაგრამ ეს ცნებები განსაკუთრებულია. ისინი არ არიან დაკავშირებული რეალურ საგ-

ნებთან, ეს არის ცნებები მათემატიკური ზიცხვებისა. ზიცხვის სპეციალური ცნებანი მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივ ცნებათაგან, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ორი. სამი ან მეტი არსებითი ნიშანი. ზიცხვის ცნება (3, 5, 7 და სხვა) შემოიფარგლება მხოლოდ ერთი არსებითი ნიშნით, რომელიც გამოყოფს მოცემულ ზიცხვს სხვა ზიცხვთა რიგიდან. სამაგიეროდ ნამდვილი ზიცხვითი სახელები სრულიად მოკლებული არიან ნომინაციის უნარს, მაგრამ სპეციალურ კონტექსტებში ზიცხვითი სახელები ძალიან ადვილად სუბსტანტივდებიან (იქცევიან არსებით სახელად). მაგალითად, გრაფიკოსთა პროფესიულ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს გამოთქმები ლ ა მ ა ზ ი ო თ ხ ი, მ ს ხ ვ ი ლ ი ო რ ი (აქ სიტყვები შეესაბამებიან ციფრებს 4, 2 და აღნიშნავენ მათ გრაფიკულ ნიშნებს). ასევე დასაშვებია, მაგალითად, მოსწავლეთა მეტყველებაში: მ ტ კ ი ც ე ხ უ თ ი (ხუთიანი), მ ე რ ყ ე ვ ი ო თ ხ ი, გ ა კ ი რ ვ ე ბ უ ლ ი ს ა მ ი, ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა ნ ა შ კ ა რ ა ო რ ი და მისთანანი.

სპეციალურ არითმეტიკულ ტექსტებში ზშირად ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: ე ქ ე ს ი უ ნ ა შ თ ო დ ი ყ ო ფ ა ს ა მ ზ ე, თ ე რ თ მ ე ტ ი უ ნ ა შ თ ო დ არ ი ყ ო ფ ა ო რ ზ ე და სხვა. ამ შემთხვევაში წინადადების წევრთა როლში გამოსული ზიცხვითი სახელები „სიტყვა-ცნებანი“ კი აღარ არიან, არამედ გვევლინებიან განსაკუთრებული არითმეტიკული „საგნების“ — ზიცხვების — სახელებად. არითმეტიკული ტექსტის გარეშე ისინი მხოლოდ ახლავან არსებით სახელებს და მათთან ერთად ქმნიან შედგენილ ქვემდებარეებს და დამატებებს: „ორი ბატონის მსახური“, „მინდორშია სამი მგელი“, „სამი რამ მიყვარს ამქვეყნად“, „ხუთი ადგილი პარტერში“.

4. დ ა მ ხ მ ა რ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი. ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია ლექსიკურ შედგენილობაში დამხმარე სიტყვებს (თანდებულებს, კავშირებს, დამხმარე ზმნებს, ნაწევრებს, ნაწილაკებს და სხვა).

ეს სიტყვები სავსებით დამოკიდებულნი არიან სრულმნიშვნელობიან სიტყვებზე, რომელთა გარეშე არჩეობა მათ არ შეუძლიათ და, რომელთაც ისინი უერთდებიან წინადადებისათვის საჭირო მიმართულებათა გადმოსაცემად ან რაიმე გრამატიკული დახასიათებისათვის (არტიკლი). არაერთარ საგნებს დამხმარე სიტყვები არ ასახელებენ, მათი „ნომინაციური მოთხოვნილება“ მიმართულია იმ მიმართებათა ცნებებისაკენ (სივრცითი, დროითი, მიზნის. არსობითი, დათმობითი, შემაერთებელი, მაპირისპირებელი, გამაძლიერებელი, განმსაზღვრელი და სხვა), რომელთაც ისინი გადმოსცემენ. მაგრამ დამხმარე სიტყვების მიერ გადმოცემული ცნებები წარმოადგენენ განსაკუთრებულ

მიმართებათა გამომხატველ ცნებებს, ამიტომ ზოგჯერ ამ რიგის სიტყვებს უწოდებენ სიტყვა-მორფემებსაც, რითაც ხაზს უსვამენ მათ სიახლოვეს აფიქსებთან და ფლექსიასთან, რომლებიც იმავე მიმართების გამომხატველნი არიან.

განსხვავება იმაშია, რომ დამხმარე სიტყვები ამ მიმართებას გადმოსცემენ, როგორც „ცალკე ერთეულები“. განსხვავებით ფლექსიებისაგან, რომლებიც სიტყვის ნაწილს შეადგენენ და დამოუკიდებლად არ არსებობენ. დამხმარე სიტყვები თანმხლები სიტყვებია, რომელნიც წინადადების სრულმნიშვნელობიანი სიტყვების, ასე ვთქვათ, გრამატიკულ თანაშემწეებად გამოდიან, რის გამოც მათ არ ძალუძთ იყვნენ წინადადების წევრები, თუმც მათი არსებობა გამოვლინდება მხოლოდ წინადადებაში, შესიტყვებაში. თუ ისინი წინადადების წევრების როლში გამოდიან, ისინი უკვე დამხმარე სიტყვებუ კი აღაო არიან, არამედ დამხმარე სიტყვებიდან ნაწარმოები სრულმნიშვნელობიანი სიტყვები („შენი მუღმივი „მაგრამ“ მე არ მომწონს“).

5. შორისდებულის. შორისდებულთა როლი მეტყველებაში ძალიან სპეციფიკურია. შორისდებულები, როგორც ზემოთაც ითქვა, გამოიყენებიან როგორც გრძნობათა სიმპტომები ან ნებელობის სიგნალები. ისინი ენის ყველაზე „უფლებო“ სიტყვებია, არ ასახელებენ აღსანიშნს, არ არიან დაკავშირებული ცნებასთან, არ წარმოადგენენ წინადადების წევრებს. მიუხედავად ამისა, ეს არნიშნავს იმას, რომ ისინი საერთოდ გრამატიკის გარეშე დგანან. შორისდებულები, როგორც მოცემული ენის განსაკუთრებული სიტყვები (აღამიანთა და ზოგიერთ ცხოველთა რეფლექტორული ამოძახილებისაგან განსხვავებით), გრამატიკის განკარგულებაში არიან მოქცეული. მათ შეუძლიათ მოგვევლინონ წინადადების შემცვლელებად, სუროგატებად (მე დღეს თეატრში მივიღივარ, ოჰო!, ბიჭოს!). ეს მოვლენა ყველა ენას ახასიათებს, მაგრამ სპეციფიკურია თითოეული მათგანისათვის.

შორისდებულთა ექსპრესიულობა განსაკუთრებით საინტერესოა სტილისტიკისათვის; რაც შეეხება ლექსიკოლოგიას, იგი ითვალისწინებს შორისდებულებსაც, მაგრამ მის მთავარ ამოცანას შეადგენს სრულმნიშვნელობიანი ლექსიკის შესწავლა. სრულმნიშვნელობიანი სიტყვები შეადგენენ ყოველი ენის ლექსიკის მასივს. ამავე დროს ისინი ყველაზე საინტერესო არიან მნიშვნელობის განვითარებისა და ცვლის თვალსაზრისით, ისინი არიან ლექსიკის ყველაზე უფრო „სრულუფლებიანი“ სიტყვები.

რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და დამხმარე სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტწილად ენის ძირითად ფონდში

შედიან, სპეციალური დანიშნულების გამო ლექსიკის პერიფერიაზე ექცევიან.

სიტყვის მნიშვნელობის (სემანტიკის) ცვალებადობის ფაქტორები. სემანტიკური ხასიათის ყოველი ფაქტი (სიხალე) წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას, რომლის მიზეზი ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებულად არის საკვლევი. ამასთანავე, დრო და გარემო (სიტუაცია) გადაწყვეტ როლს ასრულებს; გარემო ფართო გაგებით, ერთი მხრივ, სოციალური და ისტორიული, ხოლო, მეორე მხრივ, შეპირობებული ენობრივი სტრუქტურის გავლენით.

განასხვავებენ მნიშვნელობის ცვლის ფაქტორების ოთხ სახეს:

1. ენობრივი ანუ ლინგვისტური ფაქტორები. სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობის ლინგვისტურ ფაქტორებად ითვლება ისეთი მიზეზები, როგორიცაა თვით ენობრივი სტრუქტურის გავლენა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფრანგული სიტყვა feu „ცეცხლი“, რომელიც წარმოდგა ლათინური სიტყვიდან focus „კერა“. მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ლათინური სიტყვა აზრობრივად და სინტაქსურად დაკავშირებულია მეორე სიტყვასთან incendere „დანთება“ გამოთქმაში incendere focum „კერის გაჩაღება“, მისგან განვითარდა მნიშვნელობა ცეცხლისა: „კერის დანთება, ცეცხლის დანთება“. ან მეორე საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითი იმავე ფრანგული ენის ისტორიიდან: მხოლოდ იმის გამო, რომ ფრანგული სიტყვა pas „ნაბიჯი“ სინტაქსურ კავშირში იმყოფებოდა უარყოფით ნაწილაკთან ne, მისგან განვითარდა უარყოფა „არ(ა)“ (ამიტომ pas ნიშნავს ნაბიჯსაც და უარყოფასაც). ამავე კატეგორიას განეკუთვნება სიტყვათა ბგერადობის მსგავსებით წარმოქმნილი მნიშვნელობანი. მაგალითად, სიტყვა მინიატურაჲ. რომელიც მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან *miniatura* და ნიშნავს სინგურით (*minium*) შესრულებულ ნახატს, მიიღო მცირე მოცულობის ნახატის და შემდეგ საერთოდ რამე პატარა და კოხტა საგნის მნიშვნელობა (მინიატურული), და ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ სიტყვის პირველი ნაწილი ფონეტიკურად ემსგავსება ლათინურ სიტყვა *minius*-ს „მცირე, ნაკლები“ (მაგალითები იხილეთ ქვემოთ პარაგრაფში „სიტყვათა ფორმალური მსგავსების მიხედვით წარმოქმნილი მნიშვნელობანი და მნიშვნელობათა ცვლა სხვა სიტყვებთან ურთიერთობის ნიშნავზე“).

2. ისტორიული ფაქტორები. ისტორიულ-კულტურულ განვითარებას მოაქვს ცვლილებები ღირებულებებისა და შეხედულებებისა, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ ცვლილებებს ენობრივ

სისტემაში. ეს ცვლილებები აისახება შინაგან (სემანტიკურ) ან გარეგან (ლექსიკურ) სფეროში.

პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლასთან, მისი ახალი შინაარსით ხმარებასთან. მაგალითად, როდესაც პორტუგალიელებმა კონგოში აღმოაჩინეს ზებრა, მათ ეს ახალი, მათთვის უცნობი ცხოველი აღნიშნეს საკუთარი სიტყვით zebra, რომელიც გარეული ვირის სახელწოდება იყო. ამ დროისათვის გარეული ვირი პირინეს ნახევარკუნძულზე გაწყვეტილი იყო და ამ ცხოველის აღმნიშვნელმა სიტყვამ შეიძინა ახალი: ეგზოტიკური შინაარსი, ამ სიტყვამ ახალი საზიკოცხლო ძალა მიიღო.

ფრანგული სიტყვა ruche „სკა“ ეტიმოლოგიურად „ხის ქერქის“ აღმნიშვნელი იყო. დიდი ხანია ხის ქერქისაგან დამზადებული სკები საფრანგეთში შეიცვალა გერმანიიდან შემოსული ჩალის წნული სკებით (Strohcorb), მაგრამ სიტყვა, სახელი ისევ ძველი დარჩა, მან მხოლოდ მნიშვნელობა შეიცვალა. ამის მსგავსად გერმანელები ქალაქებს ეძახიან Papier „პაპირუს“, თუმც დიდი ხანია ქალაქებზე წერენ და არა პაპირუსზე. რუსები pero „ფრთა“-ს უწოდებენ ყოველგვარ კალამს, თუმცა დიდი ხანია რაც (ბატის) ფრთა, როგორც საწერი იარაღი, ხმარებიდან გამოვიდა.

შეადარეთ აგრეთვე ქართული კალამი, რომელიც ეტიმოლოგიურად ლერწამს ნიშნავს.

3. სოციალური ფაქტორები. ცნობილია განსხვავებანი სოციალური წყუფების ლექსიკას შორის — დიალექტოლოგიური და პროფესიული ხასიათისა. სოციალურ საფუძველზე სემანტიკური ცვლილებების ძირითადი ტენდენციები მდგომარეობს, ერთი მხრივ, მნიშვნელობის სპეციალიზაციაში (დავიწროება), ხოლო, მეორე მხრივ, მის განზოგადოებაში (გაფართოება). მნიშვნელობის სპეციალიზაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა საერთო ენიდან გადადის რომელიმე სოციალური დაჯგუფების ენაში და, პირიქით, სიტყვის მნიშვნელობა განზოგადდება, როდესაც სიტყვა გადადის სპეციალური ენიდან ან დიალექტიდან საერთო ენაში. მაგალითისათვის გამოგვადგება ისევ ფრანგული სიტყვა habiller „ჩაცმა“, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება გალიურ სიტყვას *bilia „ხის წვრილი ღერო, წნელი“. ეს სიტყვა დამახასიათებელი იყო შემის მკერელებისა და ღურგლების ლექსიკისათვის, სადაც ის უპირატესად ნიშნავდა „ხის შტოების გათლას, წნელების დამზადებას“. შემდგომ, საერთო ენაში გადასვლისას, მან დაკარგა ეს სპეციფიკური მნიშვნელობა და ძველ ფრანგულში მიიღო ზოგადად „მომზადების, დამზადების“ მნიშვნელობა; მაგრამ, როდესაც საერთო ენიდან ეს

სიტყვა კვლავ პროფესიულ დიალექტებში გადავიდა, მან კვლავ სპეციალური მნიშვნელობანი შეიძინა. გებაღებ-სათვის ეს იყო „ხის მოწაღება დასარგავად“, გლეხებ-სათვის „მინდვრის გაწმენდა საგაზაფხულო თევისათვის“, მეეტლებ-სათვის „ცხენების შებმა“, ყააბისათვის „გაპოშიგენა“, ჭარისკაცებ-სათვის „სამწაფური-სათვის პომწაღება, კერძოდ მუნდირის იაცვა“ და სხვა. მაგრამ ჭარისკაცთა მეტყველებიდან ძველ საერთო ენაში დაბრუნებისას ამ სიტყვამ მიიღო უკვე ზოგადი შინაარსი „ჩაცმისა“ s'habiller, ამასთან მოჭმელებდნენ ლინგვისტური ძალებიც, რასაც მოწმობს h-ს გაჩენა სიტყვის თავში, ეს კი შედეგია სიტყვა habit-ის „სამოსელი“ ფორმალური და სემანტიკური გავლენისა. შეადარეთ ქართული ზმნები 'გაშალა-შინება' და 'დახვეწა', რაც დურგალთა პროფესიული ლექსიკიდან შემოვიდა სალიტერატურო ენაში და აქ უფრო ზოგადი მნიშვნელობა მიიღო (ტექსტის გაშალა-შინება, დახვეწილი გემოვნება, სტილი, სახე).

4. ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი. ენის აფექტური ფუნქცია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ინტელექტუალური. ზოგიერთ შემთხვევაში ფსიქიკურ ფაქტორს ენიჭება განსაკუთრებული ღირებულება. ამ რიგის ფაქტორებს განეკუთვნება ტაბუსა და ევფემიზმის სახელწოდებით ცნობილი მოვლენები ენაში.

ტ ა ბ უ. საერთოდ ეს არის აკრძალვა ამა თუ იმ საგნის დასახელებისა. ზოგიერთი სიტყვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხმარება, მაგალითად, ღვთის მსახურების დროს ქურუმთა მეტყველებაში, წყევლის ფორმულებში და სხვ. ენათმეცნიერების მიერ ეს ტერმინი ნასესხებია (ისე როგორც ეთნოგრაფიასა და სოციოლოგიაში) ინდონეზიური ენების რელიგიური ლექსიკიდან. ჩამორჩენილ ხალხთა სიტყვიერ ტაბუს საფუძვლად უდევს ცრუმორწმუნეობრივი შიში ბოროტი ძალებისა. ტაბუაცია, ამ ხალხის აზრით, წარმოადგენს ბოროტი ძალებისაგან თავდაცვის საშუალებას, რამდენადაც მათ ცნობიერებაში განუყოფელია საგნებისა და პიროვნებათა სახელები თვით საგნებისა და პიროვნებებისაგან.

ამგვარი წარმოდგენები თავისი აურაცხელი ეარიანტებით განსაზღვრავენ სიტყვიერი ტაბუს სხვადასხვა სახეს, დაწყებული ცრუმორწმუნე პრიმიტიული ხალხების ტაბუაციით და გათავებული ჩვენი თანამედროვე ადამიანების მიერ ხმარებული სიტყვიერი აკრძალვებით (ამ შემთხვევაში ტაბუ ისეთ სიტყვებს დაედება ხოლმე, რომლებიც იწვევენ შიშსა და კრძალვას).

როგორც აღვნიშნეთ, აუცილებლობა აკრძალული სიტყვის მა-

გიერის გამონახვისა იწვევს ხმარებაში მისი მისაღები სინონიმის შემოსვლას.

ზოგჯერ აკრძალული სიტყვის შემცვლელის როლში გამოდის მესამე პირის ნაცვალსახელი ან მისი მონაცვლე ჩვენებითი ნაცვალსახელი (გრამატიკული თვალსაზრისით ეს ყველაზე ბუნებრივი შენაცვლება). მაგალითად, რუსულში ავი სული «домовой» მოიხსენება ნაცვალსახელით Он (ან хозяин). საინტერესოა, რომ ხევსურეთში და მთის კავკასიის სხვა ხალხებშიც რძალს უფლება არა აქვს წარმოთქვას ქმრის მშობლებისა და ძმების სახელები. საუბრისას მათ მესამე პირში ელაპარაკება. ხოლო, თუ ვისმე სხვას ჰქვია მისი ქმრის ნათესავების სახელი, იგი ამ პიროვნებას სახელს უცვლის. უფრო მეტიც: აფხაზეთში ერთი მოხუცი ქალი არ წარმოთქვამდა სიტყვებ: აკაკან „კაკალი“ და американский იმის გამო, რომ ამ სიტყვების შემადგენელი მარცვალი -кан — ემთხვეოდა მისი მამამთილის სახელს კან-ს.

ე ვ ფ ე მ ი ზ მ ე ბ ი. სიტყვა ეფემიზმი ბერძნულია (εμ „კარგად“ და φημι „ვლაპარაკობ“). ეფემიზმებად იწოდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ენაცვლებიან საშიშად ან საკრძალველად მიჩნეული საგნებისა და მოვლენების სახელებს და რომლებიც თითქოს საშუალებას იძლევიან ამ საგნებზე და მოვლენებზე ისე ვილაპარაკოთ, რომ მათ უკან მდგომი ბოროტი ძალების „საშიშროება“ თავიდან ავიცილოთ.

ეფემიზმებს განეკუთვნებიან პირველ რიგში ე. წ. თავდაცვითი ფორმულები „თვალი არ ეცეს“, რუს. сглазить და მისთანანი. სხვადასხვა სნეულებათა აღმნიშვნელი სიტყვები—ქართ. ბ ა ტ ო ნ ე ბ ი (ყვავილ-ბატონები, ხველა-ბატონები, წითელა-ბატონები და სხვა). შღრ. უკრაინული титка (დეიდა) 'ციებ-ცხელება', სერბული богиње 'ყვავილი', ლათინური mares 'მკვდართა სულები' — სიტყვასიტყვით 'კეთილნი', ბერძნული eumenides 'ევმენიდები' (წყევლის, შურისგებისა და სასჯელის ქალღმერთები) — სიტყვასიტყვით „კეთილგანწყობილნი“ და სხვა. ეფემიზმებს წარმოადგენენ საშიში ცხოველებისა და ქვეწარმავლების სახელები. მაგალითად, ქართულში ცნობილია გველისათვის რამდენიმე ეფემიზმი: უხსენებელი, უნასა, წყეული, შავჩოხიანი, ბოროტი და სხვა. შეადარეთ აგრეთვე სერბული სახელწოდება გველისა kрaca „მშენიერი“. ასევე ბუნების საშიში მოვლენების აღმნიშვნელი სახელები, მაგ. რუსული дюжья милость „ღვთის წყალობა“ იხმარება ელვის აღსანიშნავად (ნაცვლად „ღვთის რისხვისა“).

ცრუმორწმუნე მონადირეებს ეშინიათ ნამდვილი სახელი უწოდონ

ნადირს, მის სისხლს და ა. შ.. ასეთი ცრუმორწმუნეობის შედეგად შექმნილი ეფემერიზმების ნაწილი შემდგომში შესაძლებელია საგნის ან მოვლენის ერთადერთ სახელადაც იქცეს. ასეთია, მაგალითად, გერმანული სამონადირეო ტერმინი Schweiss „ოფლი“ ნაცვლად Blut-ისა „სისხლი“, ლათინური სახელწოდება გველისა serpens, რომელიც გავრცელდა პირდაპირი სახელწოდების anguis-ის პარალელურად. საერთო სლავური medicīdi „დაავი“ სიტყვასიტყვით „თაფლის ქამია“. რომელმაც განდევნა დათვის საერთო ინდოევროპული სახელი (მდრ. სკრ. r̥k̥s̥a, ბერძნ. arktos, ლათ. ursus და სხვა). ალბათ ამავე მიზეზით აიხსნება გერმანული Bär „დათვი“ (ყავისფერი).

მაგრამ ეფემერიზაციის მოვლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ცრუმორწმუნეობის სფეროთი. ზოგიერთი საგნისა და მოვლენის დასახელებას ერიდებიან ზრდილობის, თავაზიანობის, წესიერების მოტივით და ცელიან მათ ზუსტ დასახელებას უფრო მისაღებად მიჩნეული გამოთქმებით. მსგავსი ცნებათა სფერო განსხვავებულია სხვადასხვა დროს და მეტწილად ატარებს პირობით ხასიათს. მაგალითად, ძალიან ხშირად და თითქმის ყველა ენაში ცდილობენ შეარბილონ სიკვდილთან და ავადმყოფობასთან დაკავშირებული გამოთქმები, მაგ. ქართულში მოკვდას ნაცვლად ამბობენ: გარდაიცვალა, სული განუტევა, მიიძინა, საიქიოს გაემგზავრა და სხვა; რუსულად скончался, отправился к праотцам და სხვა. მკედარის ნაცვლად ამბობენ: განსვენებული, მიცვალებული, покойник, усопший და სხვა. კუბოს უწოდებენ სასახლეს, домоваина, სასაფლაოს ბერძნები უწოდებენ koimētērion „განსასვენებელი“, გერმანელები Gottesacker „ღვთის სახნავე“. უკრაინელები სიგიყეს უწოდებენ „ღვთის ნება“, ეპილეფსიას ბავარულად ეწოდება აგრეთვე „ღვთის ნება“, შეადარეთ ქართული ეფემერიზმი ბნედისათვის „ავი ზნე“. ხევსურულად სულელს ეწოდება „მწერელთ ტყვე“, ბრძას ან ასონაკულს ქართლში „ღვთის შვილს“ ეძახიან. ქართულში ცოლის ეფემერიზმად იხმარება მეუღლე, ოჯახობა, ჯალაბი. ეფემერიზაციის მოვლენა შეიძლება გავრცელდეს საკუთარ სახელებზეც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოახლეთა, გადიათა, შინაყმათა სახელები: ლამაზისეული, ვარდისახარი, იასახარი (ე. ი. შენი ქალბატონი ლამაზია, ვარდია, იაა) და მისთანანი. ამგვარად, ეფემერიზაციას შესაძლოა ჰქონდეს სოციალური, წოდებრივი, პროფესიული საფუძველი.

სიტყვის მნიშვნელობათა ცვლის სახეები. შესაძლებელია მნიშვნელობათა ცვლის სახეების ორგვარი კლასიფიკაცია: ლოგიკური და ფსიქოლოგიური.

1. ლოგიკური კლასიფიკაცია. მას საფუძვლად უდევს ქვანტიტეტური (რაოდენობრივი) დაპირისპირება მნიშვნელობის ცვლამდე და მის შემდეგ. ქვანტიტეტური თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული კატეგორია: 1. ახალი მნიშვნელობა უფრო დიდი მოცულობისაა, ე. ი. ფართოა ძველზე; 2. მცირე მოცულობისაა, ე. ი. ვიწროა; 3. ძველი მნიშვნელობის თანაბარია (მსგავსია სიდიდით). შესაბამისად უნდა განვიხილოთ შემთხვევები:

1. მნიშვნელობის გაფართოება. ეს გულისხმობს სიტყვაში შექვეყნებულ ნიშან-თვისებათა რიცხვის შემცირებასა და გამოყენების ფარგლების გაფართოებას, ე. ი. ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალი გამოყენებით სიტყვა მოიცავს ცნებათა უფრო დიდ წრეს და სახელდების საშუალებად უფრო ფართოდ არის გამოყენებული, ვიდრე წინათ.

მაგ. ბერძნული სიტყვა *τραπέζα*, რომელიც უკვე კლასიკური ბერძნულის დროიდან აღნიშნავს „მაგიდას“, თავდაპირველად ნიშნავდა მხოლოდ ოთხფეხა მაგიდას, რაც სიტყვის ეტიმოლოგიიდანაც ჩანს (*tetra* „ოთხი“ + *πεζα* „ფეხი, შდრ. ლათ. *pes, pedis*).

ქართული სიტყვა რვეული თავდაპირველად მხოლოდ რვაფურცლიანს ნიშნავდა, შემდეგ იგი რვეულის საერთო სახელწოდებად იქცა. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მნიშვნელობის გაფართოებისა არის სიტყვის დარგობრივი ლექსიკიდან საერთო ენაში გადასვლა. მაგ. ფრანგული ზმნა *arriver* „მოსვლა“ (<*arripar*) თავდაპირველად ნიშნავდა „ნაპირზე მისვლას, მიდგომას“ და მისი მნიშვნელობა მის შემდეგ განზოგადდა, რაც იგი მეზღვაურთა ენიდან საერთო ენაში გადავიდა. რუს. *сочоса*-ს „საფუძველი“-ს ამოაყვალს წარმოადგენს კონკრეტული საწარმოო მნიშვნელობა „ქსელი“. მელანი ბერძნული სიტყვაა, რომელიც შავს ნიშნავს და თავდაპირველად მხოლოდ შავი მელნის აღსანიშნავად იხმარებოდა მნიშვნელობის გაფართოების შედეგად; ახლა იგი ყოველგვარი ფერის საწერად გამოყენებულ სიტხეს აღნიშნავს. გამოყენების სფეროს ტიპობრივი გაფართოების მაგალითებს წარმოადგენენ საკუთარი სახელების ზოგად სახელად ქცევის ფაქტები: ისეთი, როგორიც არის დონეჟანი (ლიტერატურული ნაწარმოების გმირის სახელი), მეცენატი (ისტორიული პიროვნების სახელიდან, რომელიც პოეტების ვირგილიუსისა და ჰორაციუსის მფარველსა), მენტორი (ოდისეუსის შვილის ტელემაქის აღმზრდელის სახელიდან), ბოიკოტი (სახელია კაპიტნისა, რომელსაც მეზღვაურები აუჯანყდნენ).

2. მნიშვნელობის დავიწროება. მნიშვნელობის გაფართოების საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე იმ შემ-

თხვევებში, როდესაც მნიშვნელობის სფერო ვიწროვდება და სიტყვა იღებს წინანდელზე ვიწრო შინაარსს. მცირდება რიცხვი საგნებისა, მოვლენებისა, მოქმედებებისა და სხვა, რომლებიც შეიძლება ამ სიტყვით იქნენ აღსაშნული. მაგალითად, ფრანგული სიტყვა *vivant* (ხორცი) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *vivenda* „საარსებო საშუალება, რაც სიცოცხლისათვის არის აუცილებელი“, ასევე ინგლისურ სიტყვას *meal* „ხორცი“ ძველ ინგლისურში, ბიბლიის თარგმანში ჰქონდა მნიშვნელობა ზოგადად საკვებისა (მაგ. ლათ. *cibus*). მნიშვნელობის ასეთივე დავიწროებას ჩვენ ვხვდებით ოსურ ენაშიც, სადაც *fyd* „ხორცი“ მომდინარეობს ძვ. ირანული ფორმიდან *piθam* „საკვები“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი ქართული ხორცის შემთხვევაში, რომელიც მომდინარეობს ჩრდილო ირანული (სკვითურ-ალანური) სიტყვიდან *xʰarθʰ* „საკვები“, ასეთივე მაგალითია ძვ. ინგლისური *hund* „ძაღლი“ < *hound* „მონადირე ძაღლი გარკვეული ჯიშისა, მწევარი“ და სხვა.

ქართული სიტყვა *ჭური* დღეს ქვევრის სინონიმია, ე. ი. აღნიშნავს საღვინე ჭურჭლის გარკვეულ სახეს. ძველ ქართულში ჭური საერთოდ ჭურჭელსა და იარაღს ეწოდებოდა (მდრ. საქურველი, საქურჭლე, ჭურჭელი და სხვა), ასევე რუსული *чочья* დღეს მხოლოდ სითხის შესანახ ჭურჭელს ეწოდება, ძველ რუსულში კი იარაღსაც აღნიშნავდა, ხოლო საეკლესიო სლავურში „სამუსიკო ინსტრუმენტისა“ და ავეჯის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. სიტყვა *сруина* „სიპი“ ძველ რუსულში აღნიშნავდა სიმთან ერთად „თმას“. დავიწროვდა მნიშვნელობა აგრეთვე რუსული სიტყვისა *труд* „შრომა“, რომელიც ძველ რუსულში აღნიშნავდა აგრეთვე „ტანჯვას, მწუხარებას, ავადმყოფობას“.

ძველ ქართულში სიტყვა *მარხვას* ჰქონდა უფრო ზოგადი მნიშვნელობა „შენახვა, დაფარვა, დასაფლავება, რელიგიური მნიშვნელობით გარკვეულ დროს საკმლისაგან თავის შეკავება“. დღეს მას მხოლოდ დაკრძალვის მნიშვნელობა-ლა შერჩა, ისე როგორც რუსულ სიტყვას *хоронить*, რომელიც ძველად „დაფარვას, დამალვას“ ნიშნავდა.

ერთი ენიდან მეორეში სიტყვების სესხებისას შეთვისებული სიტყვა ჩვეულებრივ უფრო ვიწრო სპეციალური მნიშვნელობით იხმარება. ამის მიზეზი ისაა, რომ სიტყვების სესხება, ჩვეულებრივ, იზოლირებულად ხდება მათი ხმარების კერძო შემთხვევებში და არა იმ ეტიმოლოგიურ ბუდეებში, როგორითაც ისინი არსებობენ მშობლიური ენის ნიადაგზე. ამიტომაც, რომ ოქტომბრის რევოლუციის

შემდეგ მსოფლიოს მრავალ ენაში შესული რუსული სიტყვა совет „ს ა ბ კ ო“ იქ მხოლოდ თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება (საბჭოთა ქვეყნის აღსანიშნავად). სიტყვა დ ი ე ტ ა „კვების გარკვეული რეჟიმი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან diaita, რომელიც საერთოდ „სანოვაგეს“ აღნიშნავდა, სიტყვა ტ ა ი ჭ ი ქართულში არაბული ცხენის აღსანიშნავად იხმარებოდა. სპარსულში კი, ისევე როგორც სომხურში, იგი საერთოდ არაბსა და არაბულს ნიშნავს. მნიშვნელობის დავიწროების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, როგორც ზევით იყო აღნიშნული, სიტყვის გადასვლა საერთო ენიდან დარგობრივ ლექსიკაში.

3. მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა დ ა წ ე ვ ა (перемещение). სემანტიკური ცვლის ეს ტიპი შეიცავს სხვა შემთხვევებს, ვიდრე ეს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისა ან დავიწროების დროს გვაქვს. ცვლის საფუძველი აქაც მნიშვნელობის გადატანაა, მაგრამ ეს საფუძველი ყოველ ცალკე შემთხვევაში სხვადასხვა ბუნებისაა. თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ქართულში სიტყვა ცხედარი, რომელიც ძველ ქართულში საწოლს ნიშნავდა, აგრეთვე გალიური სიტყვა, *gallos „ქვა“ და მისგან ნაწარმოები ფრანგული სიტყვები gallette „გალეტი, ბრტყელი ნამცხვარი, გადატანით ფულის სახეობა“.

ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა . მნიშვნელობათა ცვალეზადობა და წარმოდგენათა დაკავშირება სახელდებისას, ისე როგორც ისინი ცალკე ენებში ვლინდებიან, გამოწვეულია იმ ასოციაციათა მოქმედებით, რომლებიც შეპირობებული არიან ამა თუ იმ ისტორიული ნიადაგით, ნაციონალური გარემოთი და ზოგჯერ ცალკე პირების ინდივიდუალური ფსიქოლოგიითაც, საიდანაც ისინი საერთო ხმარებაში შევიდნენ.

თუმც არსებობს მრავალი ისეთი ცვლილება და მნიშვნელობათა ასოციაცია სახელდებისას, რომელიც საერთოა მრავალი განსხვავებული ენისათვის და რომელთა შესახებ კეტ-ნაკლებად შეიძლება ითქვას, რომ მათ ზოგადასაკობრიო ხასიათი აქვთ. მაგალითად, ფერების სახელწოდებანი სხვადასხვა ენაში, რომლებიც მომდინარეობენ იმ საგანთა სახელწოდებებიდან, რომლებისთვისაც ტიპიურია ესა თუ ის ფერი. მაგალითად, ქართული: მიხაკის ფერი, ვარდის ფერი, ნარინჯის ფერი, აგურის ფერი და სხვა; რუსული малиновый, лиловый, розовый და სხვა. ფრანგ. lilas „სოსანი“, framboise „ქოლოს ფერი“ და სხვა.

სხეულის იმ ორგანოების სახელწოდებანი, რომლებთანაც სწორად თუ მცდარად დაკავშირებულია წარმოდგენები გრძნობათა შე-

სახებ. იქცევა ამ გრძობათა სახელებად. შდრ. ქართული გაკუქება, გაგულისება, გულის მოსვლა; ბერძნული *stomachos* „კუჭი“ — უკმაყოფილება, გაჯავრება, ინგლისური *spleen* „ელენთა“ — მოწყენა, გაღიზიანება, რუსული *сердиться*, „გაჯავრება“.

1. მეტაფორიზაცია ანუ სახელდება ნიშანთვისებათა მსგავსებით. მეტაფორა ნიშნავს „გადატანას“, იგი წარმოადგენს მნიშვნელობის გადატანის ყველაზე ტიპიურ შემთხვევას. მეტაფორა ეყრდნობა შედარებას.

სახელწოდება ნიშანთვისებათა მსგავსების მიხედვით გადაიტანება საგნიდან საგანზე ან მოვლენიდან მოვლენაზე. ეს შედარება შეიძლება იყოს ობიექტური ან აფექტური: მეტაფორა მიდის კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ.

მნიშვნელობის მეტაფორული გადატანის დროს საგანი იცვლება, მაგრამ ცნება არ იცვლება მთლიანად. ყველა მეტაფორული გადატანის დროს რჩება პირვანდელი ცნების რაიმე ნაწილი. მაგალითად, სიტყვა ბუდე გამოთქმებში: ფრინველის ბუდე, ავაზაკთა ბუდე, სიტყვათა ბუდე, ხმლის ბუდე, სათვალის ბუდე და სხვ.

მეტაფორა შესაძლებელია მივიღოთ მსგავსების სხვადასხვა შემთხვევებიდან. მაგალითად, მეტაფორული ტერმინები, სადაც გადატანა ხდება ცხოველთა სახელწოდებისა და ფორმის მიხედვით: რუს. *быки* (ხიდის ბურჯები), *мушка* (სანიშნო თოფის ლულაზე), *гусеница* „მატლი, მუხლუხი“ (ტრაქტორის ნაწილი) და მისთანანი ან სხეულის ნაწილების სახელებიდან: სურის ყელი, მაგიდის ფეხი, ქინძის თავი, სავარცხლის კბილები და მისთანანი. ტანსაცმლის სახელწოდებიდან: გველის პერანგი, სარტყელი (გეოგრაფიული), *подышва горы* და სხვ.

მეტაფორიზაციის შედეგად არის მიღებული ისეთი სიტყვები, როგორცაა ფრანგული *prunelle* „თვალის გუგა“ (სიტყვასიტყვით ქლიავი“), *рунаise* „ჰიკარტი“ (ბალინჯო), კალიას რუსულად ეწოდება *жузничик* „მკვდელი“, (კაკუნის მიხედვით), უკრაინულში *кошик* „პატარა ცხენი“ (ხტუნვის მიხედვით), ფრანგულში *sauterelle* „ხტუნია“. ასტროლოგ-ასტრონომებმა პლანეტას, რომელიც სხვებზე სწრაფად მოძრაობს, იუპიტერის ფეხმარდი შიკრიკის მერკურის სახელი შეარქვეს, ალქიმიკოსებმა ვერცხლისწყალს უწოდეს *argentum vivum* „ცოცხალი ვერცხლი“ და სხვ.

მეტაფორიზაციის შედეგადაა მიღებული მრავალი მცენარის სახელი: ქართული ვირისტურფა, ძაღლის ენა, რუსული барская спесь და სხვ..

მეტაფორული წარმოშობისაა ბევრი საკუთარი სახელიც: მურა, მგელა, მზია, დათვია, ძაღლიკა, Надежда. Любонь, პეტრე (კლდე), რახილი (ცხვარი), დებორა (ფუტკარი) და სხვა მრავალი.

მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზშირად მთელ რიგ ყოველდღიურ გამოთქმებსა და სიტყვებში მეტაფორული მნიშვნელობა დასუსტებული და გაუფერულებულია, მაგ., „მოთმინების ფილა აივსო“, „სუნთქვა შეეკრა“, „ყურადღების მიპყრობა“, „სიტყვის გაწყვეტა“ და მისთანანი.

2. მნიშვნელობათა შეცვლა და სახელდება ფუნქციითა მსგავსებით. ფუნქციითა მსგავსებით სახელების გადატანის დროს ამოსავალი არ არის წმინდა მატერიალური მსგავსება. აქ ფორმითა და ფერით განსხვავებულ საგნებს აერთიანებს საერთო ფუნქცია. მთელ რიგ შემთხვევებში მოვლენის ან საგნის სახელი გადააქვთ ახალ ცნებაზე, რომელიც ძველს ენათესავება იმ ფუნქციის მიხედვით, რომელიც მან შემდგომში შეიძინა.

ასე მაგალითად, гусинное перо-მ (ბატის ფრთის კალამი) გადასცა თავისი სახელწოდება стальное перо-ს (ფოლადის კალამი) მხოლოდ იმის გამო რომ მათ აქვთ საერთო ფუნქცია—„წერის იარაღი“. ასევე რუსული стрелять, ისე როგორც ქართული სროლა, დღეს იხმარება ცეცხლმსროლი იარაღის მიმართ, მაშინ როცა ამ ზმნებს საფუძვლად უდევთ რუსულში სიტყვა стреля да ქართ. ისარი. ლათ. სიტყვა manufactura „ხელით დამზადებული“ ამჟამად მექანიზებული წარმოებისათვისაც იხმარება.

ლათინურში სიტყვამ pecus „საქონელი“ წარმოქმნა pecunia „ფული“ საერთო ფუნქციის მიხედვით. ასევე ქართული ფასი მიღებულია ირანული სიტყვიდან pasu „ცხვარი“, რომელიც სავაჭრო ერთეულს წარმოადგენდა. ლათ. სიტყვა elephantus „სპილოს“ ნიშნავს, მაგრამ მისმა რუსულ ნიადაგზე სახეცვლილმა ფორმამ перелюд მიიღო აქლემის მნიშვნელობა საერთო ფუნქციის (ტვირთ-მზიდველობის) წყალობით.

ამავე მიზეზით ჩვენ არ გვეჩოთირება ისეთი გამოთქმები, როგორიც არის ვარდის ფერი თეთრეული, წითელი მელანი, რადგან საქმე ფერის მსგავსებას კი არ ეხება, არამედ საერთო ფუნქციას. საგანი სხვაა, მაგრამ რჩება ფუნქციონალური ნიშანი.

3. სახელწოდებათა გადატანა ემოციური ხასიათის დაახლოების მიხედვით. სიტყვებს ხშირად თან სდევს გარკვეული ემოციური ელფერი, გამოწვეული ამა თუ იმ გრძნობით, რომელსაც ერთგვარად შეფასების მომენტიც ახლავს. ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას განსაზღვრავს სწორედ ეს წარმოდგენათა თანმხლები გრძნობების მსგავსება. ამას შემდეგი მაგალითები დაგვანახებს: ლატვიურ ენაში სლავური ენებიდან ნასესხები vessels ნიშნავს არა „მხიარულს“, არამედ „ჭანმრთელს“, ინგლისურში ლათინურმა სიტყვამ sanctimonius „წმინდა“ მიიღო მნიშვნელობა „ფარისევლურისა“, ფრანგული ზედსართავი chelif „უღონო“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან captivus „ტყვე“, ხოლო ამავე ძირის ლათინიზმი ინგლისურში captif ინგლისური ფორმით caillif ნიშნავს „მშიშარას, არამზადას“. შეადარეთ ქართული უარყოფითი ელფერის სიტყვები და გამოთქმები, მიღებული ეთნიკური სახელებიდან „ციგანი, ჩაჩანი, მალდავანი, ჭიზიყელი, მოხისელი“ და სხვა. ზოგიერთი ფრინველს ან ცხოველის სახელი სააღერსო მეტაფორითაა გამოხატული მთელ რიგ ენებში: რუსული голубчик, соколик, ფრანგ. poulet „წიწილა“, ქართული ჩიტუნია, ფისო, ცუგრუმელა, ცუგო და სხვა. იმ ემოციური ელფერის გამო, რომელიც სიმრავლის და სიდიდის ცნებებს ახლავს, გოცებიდან შიშის გრძნობამდე მიუყვართ, რაც გადატანითად გამოიხატება სიტყვებით: სასწაული, საშინელი, ყუიო, პროპატი, შდრ. ქართ. სიმრავლე. ბრბო, შფოთი, ამბოხი, მღელვარება.

4. მნიშვნელობათა მეტონიმური ცვლილებათა მეტონომიის ცნებაში გაერთიანებულია მნიშვნელობათა გადატანის სხვადასხვა შემთხვევები, რომლებიც ე. წ. მეზობლობის ასოციაციას ემყარებიან,—როდესაც გადატანა ხდება არა ძველი და ახალი საგნის გარეგანი ან შინაგანი თვისებების მსგავსების საფუძველზე, არამედ უბრალოდ მომიჯნავეობის საფუძველზე, ე. ი. საგანთა შეხების საფუძველზე დროსა და სივრცეში. მეტონომიის შემთხვევაში არა მხოლოდ საგანია სხვა, არამედ მთლიანად ცნებაც. ამავე დროს, მეტაფორისაგან განსხვავებით, ასოციაციის ეს სახე მიისწრაფვის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ. ყველაზე ხშირად მეტონომია წარმოადგენს საგანში თანაარსებული ყველა ნიშან-თვისების სრული დასახელების შეცვლას იმ ცალკეული ნიშან-თვისებებით, რომლებიც ამა თუ იმ თვალსაზრისით არსებითად ან გამორჩეულად მავჯანია. მეტონომიის თვალსაჩინო მაგალითად გვევლინება ფრანგული წარმოშობის სიტყვა ბიურო (bureau). ამ სიტყვის ისტორია აქეთია:

ფრანგ. bureau თავდაპირველად აღნიშნავდა აქლემის ბეწვისაგან გაკეთებულ ქსოვილს, შემდეგ იმ მაგიდას, რომელსაც ეს ქსოვილი ეფარა (საშ. საუკუნეების საფრანგეთში სასამართლოში ან სხვა საზოგადო ადგილებში), შემდეგ ეს სიტყვა აღნიშნავდა ოთახს, სადაც ასეთი გადაფარებული მაგიდები იდგა, შემდეგ დაწესებულების განყოფილებას (მეჰანქანეთა ბიურო, კონსტრუქტორთა ბიურო) ან მთელ დაწესებულებას (სალექციო ბიურო), აღამიანებს, რომლებიც ამ დაწესებულებაში მუშაობენ. (მთელი ბიურო შეიკრიბა), შემდგომ ამ აღამიანთა შეკრებას (ბიუროს სხდომა, ბიუროზე დადგენა) და სხვა.

მეტონიმია ბერძნული სიტყვისაგან წარმოდგება metonymia „სახელის გადარქმევა“. მეტონიმის ერთ-ერთ გავრცელებულ სახედ ითვლება სინეკდოხა.

სინეკდოხა (ბერძნ. synecdochē „თანავარაუდი“) ეწოდება მნიშვნელობის ისეთ გადატანას, როდესაც ნაწილის დასახელებით მხედველობაში აქვთ მთელი ან მთელის დასახელებისას ნაწილი. ამიტომ რომაელები სინეკდოხას უწოდებდნენ pars pro toto „ნაწილი მთელის ნაცვლად“ ან totum pro parte „მთელი ნაწილის ნაცვლად“. სინეკდოხასაც მომიჯნავეობა უდევს საფუძვლად, მაგრამ მისი განმასხვავებელი არსებითი ნიშანი დამოკიდებულების რაოდენობითი ხასიათია (თანაფარდობის ერთი წევრი ყოველთვის უფრო დიდია და ვრცელი, უფრო ზოგადი, ხოლო მეორე უფრო მცირე, ვიწრო და კერძო).

ა) ნაწილი მთელის ნაცვლად: сто голов скота (ასი სული საქონელი), полк в сто штыков (ასხმლიანი პოლკი.), ფრანგული voile „იალქანი“ იხმარება ხომალდის მნიშვნელობითაც, სტუდენტები ჩვეულებრივ ამბობენ ვაბარებ ფრანგულს, პოლიტიკონომიას, ქიმიას და სხვა (ნაცვლად იმისა, რომ თქვან — ვაბარებ გამოცდას ფრანგულში, ქიმიაში და სხვა), ან ლიტერატურა მოვიდა, სპარსული მოვიდა, (ნაცვლად ლიტერატურის ამ სპარსულის ლექტორი მოვიდა).

რუსულ ენაში ხშირია ასეთი გამოთქმები, როგორცაა: И слышно было до рассвета, как ликовал француз „გათენებამდე ისმოდა, როგორ ზეიმობდა ფრანგი“ (უნდა იყოს ფრანგები). ან Эй, борода შენ, ე. ი. „წვერო“ (ნაცვლად бородатый человек „წვეროსანი“-სა). контрабас пил чай в прикуску, а флейта в накладку ჩეხოვის მოთხრობიდან „კონტრაბასი ჩაის შაქარს ატანდა, ფლეიტა კი შიგ ყრიდა“.

ხშირად სამოსელის სახე იხმარება მასში გამოწყობილი აღამიან-

ნის აღსანიშნავად: рыжие панталоны, гороховое пальто და მის-
თანანი.

ხშირად ხალხის, ტომის სახელი წარმოდგება ჩაცმულობის აღმ-
ნიშვნელი სიტყვისაგან. შდრ. ყარა-ყალბაკი, ყიზილ-ბაში, შავ-ჩაჩი-
ანი ან წითელ-თავიანი.

ამავე რიგის მაგალითებს განეკუთვნება მხოლოდითი რიცხვის
ხმარება მრავლობითის ნაცვლად: გამყიდველო, მყიდველს
თავაზიანად მოეპყარი, თამბაქოს-ნუ მოსწევ,
იარე მარჯვნივ და მისთანანი.

ბ) ზოგადი ნაცვლად ცალკეულისა: მთავრო-
ბა — ნაცვლად გამგისა ან დირექტორისა, რუს. право
პირველად ზოგადად სასმელს ნიშნავდა, ახლა მნიშვნელობის დავიწ-
როების შედეგად მხოლოდ ლუდის აღმნიშვნელია; ასევე квас
ნიშნავდა დამკვებულ პროდუქტს, ახლა კი აღნიშნავს სასმელის სპე-
ციალურ სახეს.

ასევე შესაძლებელია გვექონდეს გვარი ნაცვლად სახისა: მაგალი-
თად მანქანა, ნაცვლად ავტომობილისა: მწერი, ნაცვლად ბუ-
ზისა, იარაღი, ნაცვლად თოფისა, დანისა და სხვა. ანდა მას-
ლის სახელი ნაკეთობის ნაცვლად, მაგ. სპილექი, ოქ-
რო, ვერცხლი, ბრინჯაო, ფაიფური, მარმარი-
ლო, თიხა, ხე, გუაში, აკვარელი, პასტელი იხმა-
რება ამ მასალისაგან დამზადებული ნაკეთობისა ან სკულპტურისა
და ფერწერის ტიპების აღსანიშნავად. ასევე შესაძლებელია იარაღი
ნაცვლად პროდუქტისა: მაგ., ენა საწარმოთქმო ორგანო — ენა მეტყ-
ველება (ქართული ენა, ფრანგული ენა, სპარსული ენა და სხვ.), კა-
ლაში — ლიტერატურული სტილი (ბასრი კალამი), რუს. стили
ადგილის სახელი — ნაკეთობა: ქიშპირი, პანაჰა, ჰავანა, მანჩესტერი,
ბოსტონი. ღვინოების სახელწოდებანი: ხვანჭკარა. ნაფარეული, ტვი-
ში, ბორღო, მადერა, შამპანი და სხვა. ადგილი — ისტორიული მოვ-
ლენა: ბოროდინო, ვატერლოო, კრწანისი. მარაბდა.

პირის სახელი — საზოგადოებრივი მდგომარეობა ან ხასიათი: კარლოს — король. caesar — царь. კეი-
სარი, კრეზი (ლიდიის მეფის სახელი) და სხვა (იხ. საკუთარი სახე-
ლები).

სახელი — ნაკეთობა: კოლტი, მაუზერი, ბრაუნინგი. ფორ-
დი, მაკინტოში, ბატისტი, ფრენჩი, გალიფე წარმოდგებიან მეწარ-
მეთა საკუთარი სახელებიდან.

მეტონიმის მაგალითებია აგრეთვე ისეთი გამოთქმები. როგო-
რიცაა: „დახმარების ხელი გაუწოდა“ „კუბოს ფიცრამდე

ერთგული“. „привычка со школьной скамьи“, „თავგზა აებნა“, „ოფლი ღვარა“ და სხვა.

გ) სიტყვათა ფორმალური (ბგერითი) მსგავსების მიხედვით წარმოქმნილი მნიშვნელობანი (იხ. მნიშვნელობათა ცვლის ლინგვისტური ფაქტორები).

სიტყვები ზოგჯერ მნიშვნელობას იმის გამო იცვლიან. რომ ფონეტიკურად ახლოს არიან სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვებთან, მაგ. რუსულმა სიტყვამ *довлеет* გამოთქმაში *над нами довлеет традиция* „გვამომებს ტრადიცია“ ახალი მნიშვნელობა მიიღო ფონეტიკური სიახლოვის გამო სიტყვასთან *давит* „აწეება, ამძიმებს“. (ძვ. საეკლესიო სლავურში *довлеет* ნიშნავს „საკუთარ, საკმარისია“, შდრ. *довольным*).

ასეთი მოვლენები მეტწილად უცხოური წარმოშობისაა და სასაუბრო მეტყველებაში ნაკლებად გავრცელებულ სიტყვებში გვხვდება და წარმოადგენს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ხალხური ეტიმოლოგიის ერთ-ერთ სახეს. შეადარეთ უმართებულო ქართული თავდარი გინაცვლად თურქულ-არაბულიდან მომდინარე *tadaruk*-ისა „სამზადისი“ ან ქართული სიტყვა *დუხჭირი* გამოთქმაში „დუხჭირი ცხოვრება“ ან „ცხოვრების სიდუხჭირე“, რომელიც აღნიშნავს თანამედროვე ქართულში გაჭირვებას მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი სიტყვა *ჭირს* ემთხვევა ფონეტიკურად (სინამდვილეში ირანული წარმოშობის ეს სიტყვა ძველ ქართულში „გონჯს, უღამაზოს“ ნიშნავდა) და სხვ. ამავე რიგის მოვლენებს განეკუთვნება მნიშვნელობის ცვლა წინადადებაში *სხვა სიტყვებთან ურთიერთობის ნიადაგზე*: ცნობილია, რომ სიტყვები წინადადებაში „ცოცხლობენ“, სიტყვის ურთიერთობა მეზობელ სიტყვებთან ზოგჯერ განსაზღვრავს მნიშვნელობის ცვლას. ამის მაგალითად გამოგვადგება ზევით უკვე მოყვანილი შემთხვევა ფრანგული უარყოფისა *pas*, რომელიც ეტიმოლოგიურად ნაბიჯს ნიშნავს, მაგრამ უარყოფა *ne*-სთან ხშირი ხმარების გამო მან მნიშვნელობა შეიცვალა.

ამ კატეგორიის სემანტიკურ ცვლილებათა ყველაზე ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენს ელიფსი: ფრანგული *générale* „გენერალი“ ელიფსია გამოთქმა *capitaine générale*-ისა, *capitale* „დედაქალაქი“ ელიფსია *ville capitale*-ისა „მთავარი ქალაქი“ და სხვა.

სიტყვის მნიშვნელობათა კორელაციური ცვლილებანი. სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან *correlatio* „თანაფარობა“. ამ მოვლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც რომელი-

მე ენაში ამა თუ იმ მიზეზის გამო იხმარება მნიშვნელობათა ერთ-
კომპლექსის მქონე ფონეტიკური დუბლეტები. ასეთ შემთხვევაში
ენას აქვს ორი საშუალება თავიდან აიცილოს დუბლეტების არსებო-
ბით გამოწვეული ზედმეტობა:

1. ერთ-ერთი დუბლეტი გამოდის ხმარებიდან, ხოლო მეორე გა-
ნაგრძობს არსებობას თავისი მნიშვნელობებით.

2. ორივე შემონახულია, მაგრამ ხდება მნიშვნელობათა დიფერენ-
ცია: მნიშვნელობათა წინანდელი ჯგუფიდან ერთი ნაწილი ერთ
დუბლეტს მიეკუთვნება. მეორე ნაწილი—მეორეს. მაგ., „ნუა გერმა-
ნულში სიტყვები Rahe და Rappe, Knabe და Knappe, Reiter და
Ritter აზრის განუსხვავებლად იხმარებოდა, ახალ ზემოგერმანულში
სიტყვამ Rappe მიიღო მარტოოდენ ვიწრო მნიშვნელობა „შავი
ცხენი“-სა, Knappe-მ „პაყისა, საკურველთ-მტეირთველისა“, ხოლო
Reiter და Ritter გაირჩევა, როგორც „მხედარი“ და „რაინდი“.

ასეთივე დიფერენციაცია გვაქვს ქართულ სიტყვებში კრება და
კრეფა (კრება) ზახილი და ძახილი, რუსულ სიტყვებში иенд и
иѐнд (ცა და სასა), ჩეხური kostka „ძვალი“ და kustka „კურკა“ და
სხვ..

სახელის გადაარქმევის ნიშნები: სიტყვა, რო-
მელმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა, საგრძნობლად შეზღუდულია
მისი თანმხლები მნიშვნელობებით. მაგალითად, როდესაც ვაშობთ
გემის ცხვირი, მდინარის მუხლი, სურის ყელი, ტოლჩის ტუჩი, ბრძო-
ლის მოგება და სხვა. სახელის გადაარქმევის პროცესებში დიდი მნიშ-
ვნელობა ენიჭებათ აფიქსებს, ისინი ზოგჯერ განაზავენ ამ პროცესს
შაშინაც, როცა ეს პროცესი მიმდინარეობს და დასრულების შემ-
დეგაც.

აფიქსი ჩვეულებრივ მიუთითებს იმ სხვაობაზე, რომელიც სიტყ-
ვამ შეიძინა ძირითად მნიშვნელობასთან შედარებით. მაგ.: რუსული
კნინობითობის სუფიქსი -иц ან ქართული -აქ: დილი -- დილაკი
წიგნი -- წიგნაკი, сннна -- снннака (кресла) და სხვა.

თანაბარსახელიანობა და მისი სახესხვაობანი. შეიძლება განვასხ-
ვათ სამი ჯგუფი:

1. პოლისემია — ერთი სიტყვის ძირითადი და გადატანითი
მნიშვნელობანი.

2. ომონიმია — სხვადასხვა სიტყვის ბგერობრივი დამთხვევა.

3. პარალელური (თუშვ არა ერთდროულა) წარმოე-
ბა ერთი წყაროდან მომდინარე სიტყვებია, სადაც არც პოლისემია
გვაქვს და არც ომონიმია.

1. პოლისემია. პოლისემია ანუ „მრავალმნიშვნელოვნება“

დამახასიათებელია ჩვეულებრივი სიტყვების უმეტესობისათვის და ეს საესეებით ბუნებრივია. სიტყვებს, როგორც სახელწოდებებს, ადვილად შეუძლიათ გადაინაცვლონ ერთი საგნიდან მეორეზე. ან ამ საგნის რომელიმე თვისებაზე ან მის ნაწილზე; ამიტომ პოლისემიის საკითხი პირველ რიგში ნომინაციის (სახელდების) საკითხია, ე. ი. საგანთა ცვლისა სახელის იგივეობისას. პოლისემიის პირველი საკითხია: რა არის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა? პოლისემია ეწოდება ისეთ მოვლენას, როდესაც გარკვეულ სიტყვიერ ფორმას მკითხველის ან მსმენელის ცნობიერებაში შეუძლია გამოიწვიოს სხვადასხვა მნიშვნელობანი, რომლებიც ერთმანეთს ცოტად თუ ბევრად მოგვაგონებენ. მნიშვნელობათა ნიუანსები ზოგჯერ ძალიან ბუნდოვანი და ცვალებადია იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მათი ზუსტად ჩამოთვლა. არ არსებობს აგრეთვე მკვეთრი საზღვარი ერთი მნიშვნელობის რამდენიმე ნიუანსსა და ერთი სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას შორის. მიუხედავად ამისა, ყოველ ენობრივ სისტემას პოლისემიის გარკვეული ფორმები და ტენდენციები ახასიათებს, რომლებიც მკვიდროდ არიან დაკავშირებული მთელი ენობრივი სისტემის შინაგან სტრუქტურასთან. მაგალითად, ისეთ ენაში, როგორიც ფრანგულია, პოლისემია მეტად გავრცელებული მოვლენაა, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ფრანგულისათვის დამახასიათებელი უმოტივაციო სიტყვათა სიმრავლე და, მეორე მხრივ, რთული და ნაწარმოები სიტყვების სიმცირე. ახალი სიტყვების შექმნის ნაცვლად ფრანგული ენა იყენებს ენაში არსებულ სიტყვებს და აძლევს მათ დამატებით ახალ მნიშვნელობებს.

პოლისემიის ძლიერი სტიმულია აგრეთვე ფრანგული ენის აბსტრაქტული ხასიათი. მაშინ როდესაც გერმანული ენა ყოველი დამატებითი მნიშვნელობისათვის განსაკუთრებულ სიტყვას იყენებს, ფრანგული კმაყოფილდება ზოგადი მნიშვნელობის სიტყვით და კონტექსტს ავალებს განსაზღვროს არჩევანი შესაბამისი დამატებითი მნიშვნელობისა. ამით აიხსნება, მაგალითად, ასეთი ფართო გამოყენება ისეთი ფრანგული სიტყვებისა, როგორიც არის *faire* „კეთება“ და *mettre* „დადება“.

ყოველ ენას აქვს ე. წ. „საყვარელი“ ფორმები პოლისემიისა, რომლებიც სხვა ენობრივ სისტემაში შესაძლებელია სულაც არ გვხვდებოდნენ.

მაგალითად, ფრანგულს უყვარს მეტონომიური გადატანა აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე. მაგ., ფრანგ. *des gloire* „პატივისცემა, დიდება“ (მრ. რიცხვის ფორმით) *des grâces* „წყალობა“. ის მიმართავს ე. წ. „ირიბი სიტყვაწარმოების მეთოდს“, მაშინ როცა გერ-

მანული ენა იყენებს უბრალოდ სიტყვათხზვას: ფრანგ. un cuivre „სპილენძი“ (სპილენძის ჭურჭელი) — გერმანული kaufergeschirr, ფრანგ. des pluis „კოკისპირული წვიმები“ — გერმ. Regengiäss. და სხვა.

ყოველი ტიპის გადატანითი მნიშვნელობა აიხსნება (მოტივირებულია) პირდაპირის მეშვეობით, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობა არაწარმოებული სიტყვებისა მოცემულ ენაში აუხსნელია. სკამის ფეხი ჰგავს ადამიანის ან ცხოველის ფეხს და მას ამიტომ უწოდეს ფეხი, მაგრამ რატომ ჰქვია თვით ცხოველის ან ადამიანის ფეხს ფეხი, მოცემულ ენის საფუძველზე არ აიხსნება (მნიშვნელობის გადატანის სხვადასხვა შემთხვევა განხილული იყო ზევით).

2. ო მ ო ნ ი მ ი ა (homos+onyma „თანაბარსახელიანობა“) — პოლისემიისაგან განსხვავებით, როდესაც წარმოდგენილია სხვადასხვა მნიშვნელობა, უნდა გავარჩიოთ ომონიმია. ომონიმები ჰქვია სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს, რომელთაც ერთნაირი ბგერითი შედგენილობა აქვთ.

ომონიმის ფარგლებში (ფართო მნიშვნელობით) უნდა გავარჩიოთ: ჰომოფონები (ბერძნ. homos „ერთგვარი“ და phonē „ბგერა“) ე. ი. ისეთი შემთხვევები, როგორც არის რუს. пруд და прут, რომელთა ბგერადობა ერთგვარია სახელობითისა და აკუსტიკის ფორმაში, მაგრამ სხვა ბრუნვათა ან სიტყვათწარმოების ფორმებში აშკარად მელავნდება მათი სხვადასხვა ბგერითი შედგენილობა. შდრ. пруда, прута, прудник, прутник და სხვა.

ჰომოფორმები ისეთ შემთხვევებს ეწოდება, როდესაც ორ სიტყვას ერთნაირი წარმოთქმა და ბგერითი შედგენილობა აქვთ, მაგრამ მართო ერთ ფორმაში ანდა ცალკეულ ფორმებში, მაგ. რუს. три „სამი“ და три „ხეხე“ (ბრძანებითი II პ.), стекло „შუშა“ და стекло „ჩამოიღვარა“ (ნამყოს ფორმა). ასეთი ჰომოფორმების მრავალი მაგალითი გვაქვს ქართულ ლექსებში ე. წ. მაჭამური რითმებით.

შეადარეთ აკაკის ცნობილი ლექსი „მუხამბაზი“, სადაც ერთნაირად ერითმება: მაშინა (იმ დროს) და მაშინა (შემამინა).

ვარდები (ყვავილები) და ვარდები (ჩამოვარდები),

იციოდე და იციოდე (შეიცოდე),

ლოდებით და ლოდებით (ლოდინით),

ასული და ასული (ზევით ასული) და სხვა.

ჰომოფორმები შესაძლოა ერთი ფუძიდან იყოს, მაგალითად: რუს. печь „ლუმელი“ და печь „ცხობა“ (ინფინიტივის ფორმა), знать „არისტოკრატია“ და знать „ცოდნა“ (ინფინიტივის ფორმა).

ამ შემთხვევაში განსხვავებულია ე. წ. ნულოვანი აფიქსი, იგი სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

საკუთრივ ომონიმები — ისეთი სიტყვებია, რომელთაც ერთნაირი ფონეტიკური შედგენილობა და ერთნაირი მორფოლოგიური ფორმა აქვთ (იგივე აფიქსალური ფორმები, მაგრამ განსხვავებული ძირები), მაგრამ წარმოშობით სხვადასხვა სიტყვები არიან. მაგ. რუს. лук „მშვილდი“ და лук „ხახვი“, град „ქალაქი“ და град „სეტყვა“; ლ ა მ ა „ცხოველი“ და ლ ა მ ა „ტიბეტელი მღვდელი“. ასეთი ომონიმები ჩნდებიან ენაში ან სიტყვათა სესხების გამო ან ენის საკუთარი ფონეტიკური კანონების შედეგად. შესაძლებელია ეს ორი ფაქტორი ერთსა და იმავე დროსაც მოქმედებდეს, მაგალითად ქართულში ჩვენ გვაქვს ომონიმთა მწკრივი:

1. ზარი — „ტირილი გოდება“,
2. ზარი — „ოქრო“,
3. ზარი — „შიში“.

ესენი ნასესხებია სპარსულიდან, მაგრამ სპარსულში ეს სამი სიტყვა განსხვავდება როგორც გამოთქმით, ისე დაწერილობით (zar — „ტირილი“, zarr „ოქრო“, zahir „შიში“). დამთხვევა (ომონიმია) ქართულ ნიადაგზე მოხდა ქართული ენის ფონეტიკური კანონების მოქმედების შედეგად. უკანასკნელ შემთხვევაში (zahir) დაიკარგა — ზ რ-ს მეზობლობაში. პირველსა და მეორე შემთხვევაში კი დამთხვევის მიზეზია ის, რომ ქართული არ განასხვავებს გრძელ ხმოვნებს და არ გადმოსცემს გაორკეცებულ თანხმოვნებს.

ომონიმის მოქმედების სფეროს განმსაზღვრელი ფაქტორები გარკვეულია და დამახასიათებელია ყოველი ენის ფონოლოგიური სტრუქტურისათვის; გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, სიტყვის სიგრძეს ენიჭება: რაც უფრო მოკლეა სიტყვები, მით უფრო მეტია მათი დამთხვევის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ რაც უფრო მეტია ენაში ერთმარცვლიანი სიტყვების რაოდენობა, მით მეტია მასში ომონიმები. ომონიმიაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ფონოლოგიური ფაქტორები, როგორიც არის მარცვლის სტრუქტურა ან თავკიდური ბგერითი კომპლექსები. შემთხვევითი დამკვირვებლებისათვისაც ნათელია, რომ ისეთი ენები, როგორიც ფრანგული და ინგლისურია, სადაც ერთმარცვლიანი სიტყვები ქარბობს, ომონიმების განსაკუთრებული სიმრავლით ხასიათდება. მართლაც, ამ ენებში ომონიმთა რთულ და მრავალწევრიან რიგებს ვხვდებით. ორი ან სამი სიტყვის ეპიზოდური დამთხვევა კი იმ ენებშიც შეიძლება შეგვხვდეს, სადაც მრავალმარცვლიანი სიტყვები ქარბობს (მაგ. ქართული, უნგრული, გერმანული და სხვა).

ომონიმიის აღმოცენების ერთ-ერთი წყარო, როგორც აღენიშნეთ, უცხოური ენიდან შეთვისებული სიტყვებია, რომელთა ფორმას შიარად ემთხვევა მკვიდრ ან სხვა უცხოური ენიდან შემოსულ ფორმას. ეს მოვლენა თავს იჩენს განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს განსხვავებული ფონეტიკური სისტემის ენებთან; ვთქვათ, ისეთი ენების ურთიერთობისას, როგორაც არის ქართული, არაბული და სპარსული. მსესხებელი (მიმღები) ენა იძულებულია გადმოსცეს მისთვის უცხო ფორმები საკუთარ სისტემაში არსებული ბგერებით. ხშირად ერთი ბგერით გადმოიციემა რამდენიმე უცხოური ფონემა, რაც იწვევს დამთხვევის შესაძლებლობას. ამის მაგალითები მრავლად შეიძლება დაიძებნოს ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკური ურთიერთობის სფეროში. გარდა ზემოთაღნიშნული ომონიმური რიგისა (ზარი), ომონიმებს ქმნიან არაბული წარმოშობის ჯამი (جام) „сумма“ და სპარსული წარმოშობის ჯამი „ქურჭლის სახე“ (جام), არაბული ალყა. „სიმი“ და ალყა „წრე“ (რომლებიც განირჩევა არაბულში თავიკიდური ل و -თი), სპარსული წარმოშობის ქ ა ფ ი „ბერი, ღუეი“ და „ქაფი“ ჯავშნის სახე“ (სპ. kâf და არაბ. kaff) და სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე ძირის ან ფუძისაგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწარმოება ერთი და იმავე ფონეტიკური და მორფოლოგიური ფორმის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები. მაგ. ქართული სიტყვა

1. თვალი — „ქვა პატიოსანი“,
2. თვალი — „მხედველობის ორგანო“,
3. თვალი — „ბორბალი“,
4. თვალი -- „წყარო“,
5. თვალი — „კილო“ (ბადის, ჯაქვის, ღილ-კილო) და სხვ.

ან რუსული голубец „ცისფერი საღებავი“ და голубец „ტომბა“, ладанка „მონადირე ძაღლის ჯიში“ და ладанка „რბილი ტყავის სახე“. ასეთი შემთხვევების გარჩევა საკმაოდ ძნელია პოლისემიისაგან.

ომონიმიის განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს კონვერსიაც, როდესაც სიტყვა თავის ფონეტიკური და მორფოლოგიური ფორმის შეუცვლელად გადადის მეტყველების სხვა ნაწილად. მაგ., რუსული ვЛО „ბოროტება“ (სახელი) და ვЛО „ბოროტად“ (ზმნიზედა).

ყველაზე რთულ შემთხვევას წარმოადგენს ისეთი ომონიმები, როდესაც პოლისემია (ერთი სიტყვის მრავალმნიშვნელობა) ისე შორს მიდის, რომ ომონიმიაში გადადის. მაგალითად, რუს. право-

ЯТЬ „დაეინება, თავისის გატანა“ და ПАСТОЯТЬ „რაიმე სასმელის (ПАСТОЙКА) მომზადება“, ЛИСА „მელა“ და ЛИСИЧКА „სოკოს სახეობა“, მაგრამ არის ამ სიტყვათა განმასხვავებელი მომენტებიც (მაგ., სიტყვას ПАСТАВЯТЬ „თავისის გატანის“ მნიშვნელობით არა აქვს პირდაპირი დამატება, ხოლო ЛИСИЧКА (სოკო) მხოლოდ კნინობითის ფორმით არის წარმოდგენილი). როგორც პოლისემია, ისე ომონიმია ჩვეულებრივ უარყოფითი მოვლენაა, აზრის გამაბუნდოვნებელი (თუ არ ჩავთვლით კალამბურებს-სიტყვათა თამაშსა და ანეკდოტებს, სადაც გამოყენებულია ამგვარი ფაქტები) და ენა ცდილობს თავიდან აიცილოს იგი.

ძირითადი გარანტია მნიშვნელობის გაბუნდოვნების წინააღმდეგ, პოლისემიის შემთხვევაში, არის კონტექსტი, რომელიც ჩვეულებრივ გამოორიცხავს ყველა უადგილო მნიშვნელობას. მაგრამ ენებს აქვთ სხვა მეთოდებიც სიტყვის ერთი მნიშვნელობის მეორისაგან გასარჩევად. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს სქესის გრამატიკული კატეგორია, მაგ., ფრანგულში le pendule „ქანქარა“ და la pendule „საათი“ (ყელის, მაგიდის), le manche „ტარი“ და la manche „სახელო“, le voile „პირბადე, ვუალი“ და la voile „აფრა, იალქანი“.

ამავე მიზნით გამოიყენება მრავლობითის სხვადასხვა ფორმა: ინგლისურში brothers „ძმები“ და brethren „თანამოძმენი“, გერმანული wort „ცალკეული სიტყვა“ და wörter „სიტყვები“.

მნიშვნელობათა უფრო მკვეთრი დიფერენციაციის მიზნით სქესი შეიძლება შეუერთდეს ფლექსიას, როგორც ამას ადგილი აქვს გერმანულში: der Band — die Bände „ტომი, ტომები“, Das Band „ლენტი“, die Bänder, die Bände „კავშირები“. ბუნდოვნება შეიძლება დაძლეულ იქნეს სიტყვათა რიგის საშუალებითაც მაგ., ფრანგულში მრავალ ზედსართავ სახელს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, უსწრებენ ისინი არსებით სახელს, თუ მოსდევენ მას. მაგ., un homme pauvre „საწყალო“, un pauvre homme „მოსულელო“. ენები, რომელთაც ე. წ. „არაფონეტიკური დამწერლობა“ აქვთ ხშირად გამოიყენებენ ხოლმე გრაფიკულ განსხვავებას სიტყვათა დაწერალობებს შორის. მაგ., ინგ. metal [metl] „მეტალი“ და mettle [metle] „ტექპერამენტი“, ფრანგ. dessin „ნახაზი, ნახატი“ — dessein „განზრახვა, ჩანაფიქრი“ და სხვ.

დაახლოებით ასეთავეა ომონიმური ორაზროვნების საწინააღმდეგო საშუალებანიც, შდრ. ფრანგულა le page „პაეი“ და la page „გვერდი“, ლათინური os—ora (აღამიანის) „პირი“ და os—ossa „ძვალი“

გერმ. der Kiefer—die Kiefer „ყბა“ და die Kiefer—die Kiefern „ნაძვი“.

ასევე გამოიყენება ორთოგრაფიაც, როდესაც იგი ფონეტიკურ პრინციპს არ ემყარება. შდრ. ფრანგ. sein „ჯანმრთელი“, saint „წმინდა“, sein „მკერდი“, seing „ხელმოწერა“, sing „ხუთი“, ceint „სარტყელი“; ინგლისური meat [mi:t] „სორცი“, meet [mæt], „შეხვედრა“, mete [mi:t] „საზღვარი“ და სხვა.

ქართული ენა, რომელსაც თითქმის იდეალური, წარმოთქმის ადეკვატური, ფონეტიკური დამწერლობა ახასიათებს, მოკლებულია საშუალებას გამოიყენოს ასეთი ორთოგრაფიული ხასიათის ხერხები. სამაგიეროდ მას საშუალება აქვს გამოიყენოს თავისი მდიდარი კონსონანტური სისტემა და სხვადასხვა ბგერით გადმოსცეს სპეციფიკური უცხოური (მაგ. არაბული) თანხმოვნები — შესაძლებელია არა იმდენად ზუსტად, მაგრამ მაინც დიფერენცირებულად. მაგრამ ომონიმური სუპერაციის ანუ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად იგი უფრო ხშირად მიმართავს ბგერათა ჩანაცვლებას ან ფონეტიკური ვარიანტების სემანტიკურ დიფერენციაციას.

გარდა ამისა, მას—როგორც უფრო კონკრეტულსა და სიტყვათმობივაციის ტენდენციის მქონე ენას—, სხვა მორფოლოგიური საშუალებები მოეპოვება ომონიმური კონფლიქტების დასაძლევად. მაგალითად, ქართულ სიტყვა ბრანგვში, რომელიც მოდის ირ. frank-იდან, თავიიდურ ფ-ს ჩაენაცვლა ბ სიტყვა ფრანგთან ომონიმური კონფლიქტის დასაძლევად, ხოლო სიტყვა ფიც-ხ-ში (<ოს. fycyn) განვითარდა ხ, ალბათ, სიტყვა ფიც-თან ომონიმური კონფლიქტის ასაშორებლად.

ს ი ნ ო ნ ი მ ი ა (ს ი ნ ო ნ ი მ თ ა რ ი გ ე ბ ი). სინონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ერთსა და იმავე ან აზრობრივად ახლო მდგომ კონტექსტებში ისე ენაცვლებიან. ერთიმეორეს, რომ ამ შენაცვლების დროს შესამჩნევი აზრობრივი განსხვავება არ იგრძნობა. სიტყვა სინონიმი წარმოდგება ბერძნული სახელწოდებიდან synōnymos „თანასახელი“.

აბსოლუტური სინონიმების რიცხვი. ე. ი. ისეთი სინონიმებისა, რომლებიც ყოველგვარი განსხვავების გარეშე ერთი იხმარებოდეს მეორის მაგიერ ენაში, ძალიან მცირეა, მაგ. ა მ ა ყ ი — ქ ე დ მ ა ლ ა ლ ი — ზ ვ ი ა დ ი — გ ო რ ო ზ ი, ენათმეცნიერება — ლინგვისტიკა, პარვა—ქურდობა, დარაჯი—ყარაული და მისთანანი.

მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ სინონიმთა დიდი უმრავლესობა ერთსა და იმავე კონტექსტებში ერთნაირად ვერ გამოიყენება. მნიშვნელობათა ნაუნახებში ყოველთვის

აქვს ადგილი მცირე განსხვავებას მაინც (მაგ. ცქერა — ყურება — მზერა, კარგი — კეთილი). ხშირად ეს ნიუანსი სტილისტიკური ხასიათისაა.

ეს განსხვავება განსაკუთრებით იჩენს თავს უცხოურ ენებზე თარგმნის დროს. სინონიმები გარკვეულ ენაზე მოლაპარაკეთა ან მწერალთა განკარგულებაშია, როგორც სტილისტიკური პარალელები ან ვარიანტები.

რუს. очи — глаза, тело — лон, подле — возле, около — рядом; ქართ. ოდეს — როდესაც, მიცვალებული — ცხედარი, ვითარცა — როგორც, შემოწმება — კონტროლი, არგუმენტი — საბუთი, პაექრობა — კამათი და ა. შ..

ძალიან ხშირად ენა ნასესხებ სიტყვებს მკვიდრი სიტყვების სინონიმებად იყენებს. ისინი ჯერ მკვიდრი სიტყვების პარალელების როლში გამოდიან, თანდათანობით კი ენა მათ ტვირთავს მნიშვნელობის რაიმე განსხვავებული ნიუანსით. საერთოდ ერთი შეხედვით თანაბარმნიშვნელობიან სიტყვებს შორის ყოველთვის შეიძლება შევნიშნოთ მცირეოდენი განსხვავება შინაარსის გამოყენების სფეროსი და ემოციური შეფერილობის თვალსაზრისით.

ენის სემანტიკური სტრუქტურის აღწერისათვის საჭირო კრიტერიუმთა წყებაში ომონიმიისა და ომონიმური კონფლიქტის დაძლევის საშუალებებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ენის სინონიმური რესურსების ორგანიზაციისა და განაწილების საკითხებს ცალკეულ ენებში.

ზოგიერთ ენაში, მაგალითად ფრანგულსა და ინგლისურში, წარმოდგენილია სინონიმთა ორმაგი და ზოგჯერ სამმაგი მწკრივები (წყვილები და სამეულები). რომლებიც შედგებიან, ერთი მხრივ, მკვიდრი ფრანგული ან ინგლისური სიტყვებისაგან. ხოლო, მეორე მხრივ, მათ გვერდით ხმარებული ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვებისაგან. მაგალითად, ფრანგული nutritif „ნოყიერი“ და nu rissant იმავე მნიშვნელობით, pourriture — poutrefaction „დამპალი“, aveglement — éccité „სიბრმავე“. ინგლისური help — aid „დახმარება“, hearty — cordial „გულითადად“, deep — profound „ღრმა“ და მისთანანი. ინგლისურში შესაძლებელია ისეთი სინონიმური სამეულებიც გვეპოვდეს, სადაც ერთი სიტყვა ინგლისური იქნება, ერთი ფრანგული და ერთიც ლათინურ-ბერძნული. განსხვავება მათ შორის ის იქნება, რომ ე. წ. ბერძნულ-ლათინური სიტყვები უფრო ცივი, ზუსტი და ფორმალურია.

ამ თვალსაზრისით ქართულში შეიძლება კიდევ უფრო რთული

სურათი გვეჩვენებს, რადგან ერთმანეთს შეიძლება დაუპირისპირდეს არა მარტო სინონიმთა წყვილები და სამეულები, არამედ ოთხეულები, ხუთეულები და ასე შემდეგ, რადგან ქართულში სხვადასხვა უცხოური ენებიდან შეთვისებული ლექსიკური ელემენტები გაცილებით მრავალფეროვანია. ვიდრე ზემოდასახელებულ ევროპულ ენებში. ეს არის ბერძნული, ირანული, სომხური, არაბული, თურქული, ლათინური, სირიული, რუსული და სხვა. ამ უცხოური წარმოშობის სიტყვებმა მკვიდრ ქართულ სიტყვებთან ერთად შესაძლებელია შექმნან მრავალწევრიანი სინონიმური რიგები.

მაგ.: ნებივრობა—ნაზობა—აზიზობა—ფუფუნება—ნუკევა,
 წყვილი—მრჩობელი—ტყუპი—ჯუფთი (ტყუპი, მარჩბივი),
 ფარა — გუნდი — რემა — ჯოგი — ნახირი — გრო,
 საყვარელი — აშიკი — სატრფო — მიჯნური,
 მეგობარი — ამხანაგი — არიფი — ნადიმი — ამფსონი,
 მკურნალი — აქიმი — დასტაქარი — ექიმბაში,
 ცხენი — ჰუნე — ტაიჭი — მერანი — რაში,
 სვე — დაელა — ბედი — ხვედრი — ეტლი,
 საქურველი — იარალი — აბჯარი,
 რჩევა — თათბირი — ბჭობა,
 მღერა — შექცევა — თამაში — ლაღობა,
 ველი — მოედანი — ასპარეზი,
 მომღერალი — მუტრიბი — მგოსანი,
 სირცხვილი — კდემა — კრძალვა — აუგი,
 გამწირავი — გამყიდველი — მოღალატე — მუხთალი,
 პატიოსნება — სინდისი — ნამუსი — სახელ-სირცხვილი,
 ქალბატონი — ბანოვანი — ხათუნი და მრავალი სხვა.

სინონიმებს შორის მხოლოდ სრული იგივეობა რომ არსებობდეს, მათი არსებობა დაკარგავდა აზრს, ეს იქნებოდა არა გამდიდრება ლექსიკისა, არამედ დანაგვიანება.

ისეთი სინონიმები, რომლებსაც კონტექსტის მიუხედავად ყოველ სიტუაციაში სტილისტური განსხვავების გარეშე შეუძლიათ ერთმანეთი შეცვალონ, შედარებით მცირეა (მაგ., უზარმაზარი — უშველებელი, ბეჭემოტი—პიპოპოტამი, თვითმფრინავი — აეროპლანი და სხვა). უფრო ხშირად გვხვდება სტილისტური თვალსაზრისით განსხვავებული სინონიმები: ჭამა — შეხეთქვა — მირთმევა, თავი — გოგრა, ყვირილი — ღრიალი — ძახილი, ჩასვლა — ჩაძრომა და მისთანანი.

სინონიმის წყაროდ ენაში შესაძლებელია მოგვევლინოს. უცხოურ ენების გარდა, დიალექტური ლექსიკა ან ჟარგონი.

ანტონიმები. ანტონიმები საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია: აქ მიმართება წმინდა სემასიოლოგიური ხასიათისაა და ემყარება ცნებათა შეპირისპირებას.

ყველაზე „პრიმიტიულ“ ანტონიმებად გვევლინებიან უარყოფით ნაწილაკიანი სიტყვები: კარგი — არაკარგი, დამაკმაყოფილებელი — არადამაკმაყოფილებელი, სწორი — არასწორი, თანაბარი — არათანაბარი და სხვა. აგრეთვე მათთან ახლოს დგას მაპირისპირებელი პრეფიქს-სუფიქსებით და ზმნისწინებით ნაწარმოები სიტყვები: ქუდიანი — უქუდო, კუდიანი — უკუდო, თავიანი — უთავო, სასარგებლო — უსარგებლო, მიწისქვეშა — მიწისზედა, ზეცა — ქვეყანა, ზესკნელი — ქვესკნელი და მისთანანი. შდრ. რუსული трудно — не-трудно, спокойный — неспокойный, надземный — подземный, ინგლისური useful — useless „სარგებლიანი — უსარგებლო“. მაგრამ ლექსიკოლოგიისათვის გაცილებით უფრო საინტერესოა ე. წ. ნაირძირიანი ანტონიმები. ანტონიმი ყველა სიტყვას არ დაეძგნება, მაგ., ისეთ სიტყვებს, როგორც არის მაგიდა, სახლი, ცხენი, რვა და სხვა ან საკ. სახელები: ვანო, ქუთაისი.

ანტონიმიისათვის საჭიროა ე. წ. თვისებრივი ნიშნის მქონე ისეთი სიტყვა, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს გრადაციები, რომლის საშუალებით შესაძლებელია დაპირისპირება. ამიტომ ყველაზე მეტი ანტონიმები ზედსართავეებსა და ზმნისზედებს აქვთ: კეთილი — ავი, ახლობელი — შორეული, ცხელი — ცივი, ნათელი — ბნელი, კარგად — ცუდად, მცირედ — ბევრად, მეტად — ნაკლებად.

არსებით სახელებს ანტონიმები მეტწილად იმ შემთხვევაში უჩნდებათ, როდესაც ისინი ურთიერთობაში არიან შესაბამის ზედსართავეებთან: სინათლე — სიბნელე, სიცივე — სიცხე, სიმდიდრე — სიღარიბე, სიყვარული — სიძულვილი და მისთანანი.

ისე როგორც სინონიმების შემთხვევაში, ანტონიმები შეიძლება მოეპოვებოდეს სიტყვის მხოლოდ ერთ-ერთ (ან შესაძლოა რამდენიმე) მნიშვნელობას, მაგრამ ყველას არა. მაგალითად, სიცხე — სიცივე, მაგრამ სიცხეს ადამიანის „ტემპერატურის“ მნიშვნელობით ანტონიმი უკვე აღარ მოეპოვება. ანტონიმებია: პირველი — უკანასკნელი, მაგრამ როგორც რიგობითს რიცხვით სახელს პირველს ანტონიმი არა აქვს (ნულოვანი, პირველი, მეორე და სხვ.). ერთ სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე ანტონიმი (სინონიმური სიტყვების სახით), მაგრამ შედგენილ ტერმინებში შესვლისას სიტყვები კარგავენ თავიანთ ანტონიმებს: შავი კირი, თეთრი დათვი, ყვითელი ბილეთი.

ზოგიერთი სიტყვა შეიძლება ლექსიკონში უანტონიმო იყოს, მაგ-

რამ ზოგიერთ კონტექსტში მან შეიძლება ანტონიმები გაიჩინოს, მაგ. მნიშვნელობის დაეწროებისას (პოეტურ მეტყველებაში): ლ ე ქ ს ი და პ რ ო ზ ა, ც ე ც ხ ლ ი და ყ ი ნ უ ლ ი, დ ღ ე და ღ ა მ ე და მის-თანანი.

ანტონიმები შესაძლებელია გაჩნდეს მნიშვნელობათა პოლარიზაციის, ძველი ნეიტრალური მნიშვნელობის ორი საპირისპირო მნიშვნელობის გათიშვის შედეგად. ასეთი გათიშვა შესაძლებელია რო-ჯორც ერთი ენის ფარგლებში, ისე მონათესავე ენებს შორის. რუსუ-ლი სიტყვები *начало* და *конец* ერთი ძირიდან არის ნაწარმოები **кен*-**кон*-, (e:o მონაცვლეობაა მორფოლოგიური ფუნქციით) შეადარეთ ქართული სათავე და გათავება.

მხატვრული ლიტერატურის ენაში ანტონიმები წარმოადგენენ ანტითეზის გამოხატვის საშუალებას (ბერძნ. *antithesis*), რომე-ლიც მდგომარეობს ლოგიკურად საწინააღმდეგო ცნებათა ან წარ-წოდგენათა დაპირისპირებაში:

Все это было бы смешно, когда бы не было так гру-стно (ლერმონტოვი).

ანტონიმები ხშირია ანდაზებში: Мягко стелет, да жест-ко спать; Начал за здравие и кончал за упокой. ანტო-ნიმები მრავლად არის გამოყენებული ვეფხისტყაოსანში:

გატეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლ ბ ი ლ ის ა“,

„გრ ძ ე ლ ი სიტყვა მოკლე დ ი თქმის შაირია ამაღ კარგი“,

„დ ი დ ს ა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მ ც ი-რ ე თ ა“,

„მისთვის ჭ ი რ ი ლ ხ ი ნ ა დ უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოი-დებდეს“,

„რალა იგი ს ი ნ ა თ ლ ე, რასაცა ახლავს ბ ნ ე ლ ი ა“,

„თქვენი თათბირი ა ვ ი ც ა სხვისა კ ა რ გ ის ა მჯობია“,

„ლექვე ლომისა სწორია, ძ უ იყოს თუნდა ხ ვ ა დ ი ა“,

„მე ს ი კ ვ დ ი ლ ს ა მოველოდი, შენ ს ი ც ო ც ხ ლ ე გამი-წამე“,

„ჩვენთა მ გ ე ლ თ ა ც ა დასქამენ ინდონო თქვენნი თ ხ ა ნ ი პ“.

ლერმონტოვის ცნობილ პოემაში „დემონი“ ვხვდებით ასეთი და-პირისპირების მთელ ჯაჭვს.

Клянусь я первым днем творенья,

Клянусь его последним днём,

Клянусь позором преступленья,

И вечной правды торжеством,

Клянусь паденья горькой мукой,

Победы краткою мечтой... და სხვა.

სიტყვათა მნიშვნელობების სახეობათა განსასაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვების სინონიმიკის და ანტონიმიკის შეპირისპირებას. მაგალითად:

სინონიმები:		ანტონიმები
ბოროტი	აღი (კაცი)	კეთილი
ცუდი	აღი (საქმე)	კარგი
მწარე	აღი (ენა)	ტკბილი

ენ ა ნ ტ ი ო ს ე მ ი ა (საპირისპირო მნიშვნელობათა განვითარება). სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება იცვალოს თავის საპირისპირო მნიშვნელობად სტილისტიკური თვალსაზრისით, რასაც ადგილი აქვს, მაგ., ირონიულად, სიტყვის საპირისპირო აზრით გამოყენების შემთხვევაში: ქართ. გაბატონება გალანძღვის, დატუქსვის მნიშვნელობით, შდრ. რუსული чести́ть; რუსული преслову́тый „უბადაღებული“ თავდაპირველად განთქმულს ნიშნავდა. ქართ. ნაქები, საქებური — რუს. хвалѣиый „დაუმსახურებლად ქებული“.

პრინციპულად ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე მოფერებისას უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვების ხმარების დროს: აი, შე ავაზაკო! ჩემი სულელი ბიჭი! და სხვა.

მაგრამ სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობაში გადასვლის მოვლენები ცნობილია არა მარტო განზრახ ემოციური ელფერით (ირონიით ან მოფერებით) ხმარებისას.

მეცნიერული ეტიმოლოგია და „ხალხური“ ეტიმოლოგია.

1. ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ცალკე სიტყვათა და მორფემათა წარმომავლობასა და ისტორიას;

2. ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა ს უწოდებენ აგრეთვე თვით სიტყვათა და მორფემათა წარმომავლობასა და ისტორიას.

ეტიმოლოგია ბერძნული სიტყვაა (etymon „ვეშმარტება“ + logos „სიტყვა მოძღვრება“) და ნიშნავს მოძღვრებას სიტყვის ვეშმარტი მნიშვნელობის შესახებ.

მეცნიერული, ლინგვისტური ეტიმოლოგია უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა როგორც ბგერათა კანონზომიერ შესატყვისობას სხვადასხვა ენებს შორის ან ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორის, ისე მნიშვნელობათა კანონზომიერ თანაფარდობას. ამისათვის კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფონეტიკური კანონებისა და სიტყვის სწორი გრამატიკული ანალიზის ცოდნა. მაგრამ ზოგჯერ ლინგვისტური ცოდნა საკმარისი არ არის და საჭიროა

მიემართოთ ისტორიას და ე. წ. რეალიებს (იხ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი).

მეცნიერული ეტიმოლოგიის ნიმუშებად შეიძლება გამოგვადგეს შემდეგი მაგალითები:

თანამედროვე ქართულში სიტყვა მ ხ ე დ ა რ ი ძირითადად „მე-ოპარს“ აღნიშნავს, მხედრობა — „ლაშქარს“, ხოლო ამხედრება „ვი-სამე წინააღმდეგ წასვლას“; თუ ჩვენ გვაინტერესებს აღნიშნული სიტყვების წარმომავლობა და ისტორია ჩვენ უპირველესად ყოვლისა უნდა გავაანალიზოთ სიტყვა მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ე. ი. დაეშალით ავ: შემადგენელ ნაწილებად. ეთქვათ მ-ხედ-არ-ი, მ- და -არ ცნობილი აფიქსებია, რომლებიც ზმნური ძირიდან მოქმედებითი გვარის აწმყოს მიმღობას აწარმოებენ (შეადარეთ მა-ძებ-არი, მა-ხვეწ-არი და მისთანანი). ძირეული მორფემა ხედ- უნდა მოვძებნოთ სხვა ნაწარმოებ ფორმებშიაც, ასეთია თანამედროვე ქართულში სიტყვა სა-ხედ-არ-ი, სადაც აფიქსებად სა- გვევლინება (შდრ. სა-ძებ-არი, სა-ხვეწ-არი). ზმნა კი, რომელიც იმავე ხედ- ფუძეს შეიცავს, არის ხედ-ნ-ა („ცხენთა მოთვინიერება, წვრთნა“). შემდეგი საფეხურია სიტყვის სემანტიკური ანალიზი, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სიტყვების ყველა ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობის განხილვისა და შეპირისპირების გზით ძირეული მორფემის ამოსავალი მნიშვნელობის დადგენას. აქ უნდა მოვიშველიოთ არა მარტო ახალი ქართულის, არამედ ძველი ქართული ენის მონაცემებიც. აღმოჩნდება, რომ ხედ- ძირეული მორფემის ამოსავალი მნიშვნელობა არის — „ცხენზე ჯდომა“ (მხედარი „ცხენზე მჯდომი“, სახედარი — „საჯდომი პირუტყვი, ცხენი“, ხოლო ხედნა — „ცხენთა წვრთნა“).

თუ სხვა ქართველური ენების მონაცემებსაც მოვიშველიებთ, აღმოჩნდება, რომ მეგრულ-ქანურში მოიპოვება შესაბამისი ფუძე ხედ-, რომელსაც ზოგადად „ჯდომის“ მნიშვნელობა აქვს. და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მივაგენით ამოსავალ ფორმასა და მნიშვნელობას, რომელსაც ენათმეცნიერული ტერმინოლოგიით ე ტ ი მ ო ნ ი ეწოდება.

განვიხილოთ მეორე მაგალითი. ეთქვათ გვაინტერესებს ეტიმოლოგია ქართული სიტყვისა ლ უ რ ს მ ა ნ ი. იგი თითქოს განმარტოებით დგას ქართულ ლექსიკაში. მსგავსად ნაწარმოები და მონათესავე მნიშვნელობის ფორმები თანამედროვე ქართულში არ მოგვეპოვება, დაიბადა ეჭვი მისი არაქართული წარმოშობისა.

უპირველეს ყოვლისა უნდა მიემართოთ ძველ ქართულ ენას. სადაც ლურსმანის მნიშვნელობით უმთავრესად ს ა მ ს ჭ უ ა ლ ი

იხმარება, მაგრამ გვხვდება ზოგიერთ ძეგლებში („ვისრამიანი“, „მამათა სწავლანი“) ფორმები **ლ უ ს მ ა რ ი** და **მ უ ს მ ა რ ი**, ამათაგან უფრო ძველი ფორმაა **მ უ ს მ ა რ ი**, რომელიც ფორმითაც და მნიშვნელობითაც ძალიან ახლოსაა არაბულ-სპარსულ **mismar**-თან და ნასესხებია არაბულიდან. ფორმა მისმარ-იდან ლურსმანამდე ამ სიტყვამ გაიარა შემდეგი გზა: **mismar** > **musmar** ასიმილაციით (ბაგისმიერი **m**-ს გავლენით). ინ-ი უნ-ად იქცა: შემდგომ **მ უ ს მ ა რ ი**-დან, სონორთა დისიმილაციის შედეგად, **ლ უ ს მ ა რ ი** მივიღეთ, ს-ს წინ განვითარდა ისევე **-რ**, **ლ უ რ ს მ ა რ ი**, და მისგან ისევე უკვე ორი **-რ-ს** დისიმილაციის საფუძველზე **ლ უ რ ს მ ა ნ ი**:

მისმარ-ი > მუსმარი > ლუსმარი > ლურსმარი > ლ უ რ ს მ ა ნ ი.

ცნობილი ფაქტია, რომ ეტიმოლოგიისადმი ინტერესი ძალიან დიდია როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში; მოუძნადებელი ადამიანისათვის ნებისმიერი შემთხვევითი ბგერითი მსგავსება შეიძლება გახდეს ეტიმოლოგიის საფუძველი.

ეტიმოლოგიას (ან უკეთ ეტიმოლოგიზირებას) მხოლოდ ბგერათა შემთხვევითი მსგავსების საფუძველზე, ფონეტიკური კანონებისა, მნიშვნელობათა ცვლილებისა და გრამატიკული შედგენილობის საშუალებათა გაუთვალისწინებლად, უწოდებენ **ხ ა ლ ხ უ რ ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა ს**. ხალხური ეტიმოლოგია ძალიან გავრცელებული მოვლენაა ენაში, იგი ძირითადად უწიგნური ან ნაკლებად განათლებული ხალხის მეტყველებას ახასიათებს, ისე როგორც ბავშვის მეტყველებას. მეტწილად ასეთ ეტიმოლოგიზირებას ექვემდებარებიან უცხოური ან მწიგნობრული წარმოშობის სიტყვები, გადასული მათ მეტყველებაში, განათლებული ადამიანების სალაპარაკო ლიტერატურული ენიდან. ისინი მათ ააზრიანებენ და ეძებენ კავშირს მათთვის უფრო ცნობილ სიტყვებთან. ხშირია ხალხური ეტიმოლოგიის შემთხვევები გეოგრაფიული, ტოპონიმიკური ტერმინების ახსნის შემთხვევებშიც. მაგალითად: ერთი ხევსური მოხუცი ქალი „შინსახკომის“ (შინაგან საქმეთა კომისარიატი) ნაცვლად, ხმარობდა „შიგსახტომი“, ხოლო რუსული სიტყვა **телогрѣйка**-ს ნაცვლად „ტილირეკიას“ ამბობდა. ბავშვი ამბობდა: რომ გავიზრდები, ავტორიტიტეტი უნდა გამოვიდეთ, რადგან ავტორიტიტეტი ეგონა „ავტომძლოლი, შოფერი“. აკრობატებს იგივე ბავშვი „ოქროს ბატებს“ ეძახდა. ავადმყოფობის სახელს **коклюш** „ყვიანახველა“ რუსული ენის ზოგიერთ დიალექტში ეძახიან **кашляюк**-ს (ფრანგ. **coqueluche**, რადგან შეცდომით უკავშირებენ სიტყვას **кашель** „ხველა“). სიტყვა სოლისტი რუსულ ზმნა **солить**-თან დააკავშირეს და ეძახოდ-

ნენ „დამარილებს, დაწნილებს ოსტატს“, *близорукный* წარმოდგარია სიტყვიდან *близозоркий* პაპოლოგიის შედეგად.

ასევე ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზეა ახსნილი გეოგრაფიული სახელები რაქა (რა-ქა), ვარძია (აქა ვარ. ძია), თელავი (სომხ. თე ლავა „თუ კარგია“) და სხვა მრავალი. რუს. царское село წარმოდგარია ფინური სახელწოდებიდან царское „კუნძული“, Голодай წარმოადგენს გადამახინჯებულ ფორმას ინგლისური Holy day-ისა „წმინდა დღე“.

ყალბი ხალხური ახსნა საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიისა ბევრ შემთხვევაში რელიგიური ან ტოპონიმიკური ხასიათის ლეგენდების წყარო ხდება. ტოპონიმიკური ლეგენდები ძალიან ხშირია ბიბლიაში. მრავლად გვხვდება ისინი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში.

საინტერესოა ამ მხრივ შავი ზღვის ბერძნული სახელწოდება პონტოს ექსინოს, რომელიც გააზრებულია როგორც „სტუმართმოყვარე ზღვა“, ხოლო სინამდვილეში მომდინარეობს სკვითური სახელწოდებიდან axaina „მუქი, შავი. ლურჯი“.

კონტექსტი და ელიფსი. სიტყვები ენაში მეტწილად მრავალმნიშვნელობიანია, მაგრამ მოსაუბრეს არ უჭირს ყოველი სიტყვის იმ ერთი მნიშვნელობით გაგება, რომელიც საჭიროა მოცემული საუბრისათვის. ეს იმიტომაა, რომ ენობრივი ურთიერთობისას სიტყვები მოცემულია არა იზოლირებულად, არამედ სხვა სიტყვებთან კავშირში, ე. წ. სამეტყველო გარემოში, რასაც კონტექსტი ეწოდება.

სიტყვიერი კონტექსტი — ეს ის სიტყვებია, რომლებიც ახლავან მოცემულ სიტყვას და მას ანიჭებენ სათანადო ერთმნიშვნელოვანობას. მაგალითად, გამოთქმაში „კაცმა პირი დაიბანა“ სიტყვა პირი სახეს აღნიშნავს, ხოლო გამოთქმაში „პირში ლუკმა არ ჩაუდვია“ იგივე პირი — „ნაპრაღია ბაგეებს შორის“. ისეთ გამოთქმებში კი, როგორც არის — „თანამდებობის პირი“, „წარჩინებული პირი“, პირი „პიროვნების, ინდივიდის“ აღმნიშვნელია. „პირის შეკვრაში“ პირის მნიშვნელობა პირობაა, ხოლო გამოთქმებში „დიპლომის პირი“, „მოწმობის პირი“, პირი „კოპიოს“ ნიშნავს. ასეთივე სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს სიტყვა პირს გამოთქმებში: მიწის პირი, წყლის პირი, ქვევრის პირი, სიკვდილის პირი, ბალიშის პირი და სხვა.

მაგრამ ზოგჯერ სიტყვიერი კონტექსტიც არ არის საკმარისი; მაგალითად ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოთქმაში ყველა სიტყვა თემატურად ნეიტრალურია, გამოთქმებში: „პირზე ხელი მიიფარა“

ან „პირი მოითხუპნა“ ჩვენ არ ვიცით, რას ეხება საქმე—„სახეს“ თუ „ბაგეებს“.

ამ შემთხვევაში გვეხმარება ე. წ. ყოფითი კონტექსტი, რომელიც გვევლინება სამეტყველო გარემოს ანუ სიტუაციის სახით: ვინ ამბობს, სად და როდის ითქმის, ვის და რატომ ეთქმის და სხვა.

იუ შემომოყვანილ სიტყვებს (პირზე ხელი მიიფარა) ჭამის დროს ანუ გაჩუქების აღსანიშნავ ექსტის შესახებ ამბობენ, ლაპარაკია ბ ა გ ე ე ბ ზ ე, ხოლო თუ სირცხვილის ან შიშის დასაფარავად, მაშინ ლაპარაკია ს ა ხ ე ზ ე. ან კიდევ ისეთ გამოთქმაში, როგორიც არის: „დღეს რამდენიმე პირი მივიღე“, შეიძლება საქმე ეხებოდეს პიროვნებასაც, ასლსაც და საბნის პირსაც. ამ შემთხვევაში გარკვეულობა შეიძლება შემოიტანოს მხოლოდ ყოფითმა კონტექსტმა, რომელიც დაგვანახვებს, პიროვნებაზეა ლაპარაკი თუ ამა თუ იმ საგანზე.

ჩვენ რომ გვქონდეს ე. წ. ძირითადი (არსებითი) სიტყვები, როგორიც არის პირი მ ო წ მ ო ბ ი ს ა, პირი ს ა ბ ნ ი ს ა, პირი თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს ა და მისთანანი. ყველაფერი გასაგები იქნებოდა. მაგრამ ასეთი ძირითადი სიტყვები ყოველთვის არ ახლავს მრავალმნიშვნელობიან სიტყვებს.

ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში ყოფითი კონტექსტი ძალიან დიდ როლს ასრულებს, იგი საშუალებას გვაძლევს ე. წ. ელიფსისის მეოხებით შევამოკლოთ წინადადებანი.

ე ლ ი ფ ს ი ს ი (ბერძნ. ellipsis) ნიშნავს გამოთქმის იმ ელემენტის გამოტოვებას, რომელიც ადვილად აღდგება ხოლმე მოცემულ სიტყვიერ კონტექსტში ან ყოფითს სიტუაციაში.

კონტექსტზე დაყრდნობით. შეიძლება გამოტოვებულ იქნეს წინადადების რომელიმე წევრი (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და სხვა), მაგრამ იმის გამო, რომ სამეტყველო გარემო მოსაუბრეებს თვალწინ აქვთ და სიტუაცია გარკვეულია, გამოტოვებული ნაწილი თავისთავადაც ცხადია მოსაუბრეთათვის და ამით ურთიერთგაგება მიღწეულია.

„ — ძალლიკავ, მაინც იძალღე; წაიღე, გერტყას.. შენია“. (ვაჟა „ძალლიკა ხიმიკაური“). ამ ნაწყვეტში გამოშვებულია პირდაპირი დამატება (რა გერტყას? — ხ მ ა ლ ი). გამოთქმაში ე რ თ ი კ ი დ ე ვ (კიდევ ერთი ჭიქა დამისხი) გამოტოვებულია შემასმენელი და პირდაპირი დამატება.

ჩვეულებრივს დადასტურებითსა და უარყოფითს რეპლიკებში „დ ი ა ლ“ და „ა რ ა“ ყველაფერი გამოტოვებულია, გარდა დადასტურების ან უარყოფის სიტყვებისა.

სათანადო კონტექსტის გარეშე ელიფსური მეტყველება სრულიად გაუგებარია, თუნდაც ყველა სიტყვა ცნობილი იყოს. მაგალითად, როდესაც შემთხვევით შეესწრებით ადრე დაწყებულ ლაპარაკს ან უნებლიეთ ყურს უგდებთ ტელეფონით სხვათა საუბარს.

„როგორ?“ „გადაწყდა“, „მადლობა ღმერთს!“, „ახლა რაღას აპირებთ?“ „ჩამოსვლას დაველოდები“ — ყველა სიტყვა გასაგებია, მაგრამ საუბრის აზრი მთლიანად სრულიად გაუგებარია, რადგანაც მეტყველება ელიფსურია, არა გვაქვს ძირითადი (католические) სიტყვები; ყოფითი კონტექსტი კი, რომელიც უზრუნველყოფს მოსაუბრეთა ურთიერთგაგებას, უცნობია.

ზეპირი და წერიტი მეტყველება პირველ რიგში იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ პირველი მათგანი ყოველთვის იმ ყოფით კონტექსტს ეყრდნობა, რომელიც მოლაპარაკეთა გამოცდილებაშია, მაშინ, როცა წერიტი მეტყველება ვერასოდეს ვერ იყენებს სრული სახით არსებულ ყოფით კონტექსტს. იგი ყოველთვის საკირთებს ე. წ. წინასწარ კონტექსტს ტექსტის ადწერიტი ნაწილების (პეიზაჟების, პორტრეტების, დახასიათებათა, რემარკებისა და სხვათა) სახით.

ტერმინოლოგია. ტერმინი (ლათინური სიტყვიდან terminus „საზღვარი, სასაზღვრო ნიშანი“) სპეციალური, თავისი დანიშნულებით შემოფარგლული, სიტყვაა. იგი, როგორც წესი, ერთმნიშვნელობიანია და ზუსტად გადმოსცემს ცნებას ან ასახელებს საგანს.

ტერმინთა სიზუსტე აუცილებელია მეცნიერებისა და ტექნიკისათვის, პოლიტიკისა და დიპლომატიისათვის. ტერმინები ენაში ცალკე კი არ არსებობენ, არამედ შედიან გარკვეულ ტერმინოლოგიაში. სადაც მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაც ერთმნიშვნელობიანი ხდება. აქ კონტექსტის როლს ასრულებს ის ტერმინოლოგია, რომლის წვერადაც გვევლინება ესა თუ ის სიტყვა.

ერთი და იგივე ტერმინი შეიძლება მოგვევლინოს მოცემული ენის სხვადასხვა ტერმინოლოგიის წვერად; მაგალითად, რეაქცია (ქიმიკში, ფიზიოლოგიაში, პოლიტიკაში), რეაქცია (სამხედრო, ჭირურგიული, კომერციული), რელუქცია (ფილოსოფიური, იურიდიული, ფონეტიკური), ასიმილაცია (ეთნოგრაფიული, ფონეტიკური) და სხვა, მეტყველება (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, სამედიცინო თვალსაზრისით).

ტერმინოლოგია წარმოადგენს რაიმე საქმიანობის მოცემული დარგის (მეცნიერებისა, ტექნიკისა და სხვ.) ტერმინთა ერთ-

ბლიობას, რაც წარმოადგენს ისეთ სპეციალურ სექტორს, რომელიც უფრო ექვემდებარება შეგნებულ რეგულირებასა და მოწესრიგებას. კარგი ტერმინი არ უნდა იყოს პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) და ემოციურ-ექსპრესიული, რაც დამახასიათებელია ჩვეულებრივი სიტყვისათვის. მეორე მხრივ, ტერმინებსა და ჩვეულებრივ სიტყვებს შორის არ არსებობს გარდუვალი ზღვარი. ტერმინებიც ემორჩილებიან მოცემული ენის ფონეტიკურსა და გრამატიკულ კანონებს. ტერმინებსა და არატერმინებს შორის ადგილი აქვს მუდმივ გავცლა-გამოცვლას: საერთო ენის სიტყვებში გადადიან ტერმინებად და, პირიქით, ტერმინები შემოდიან საერთო ენაში.

შეადარეთ მ უ ხ ლ ი, ქ უ ს ლ ი, ხ ე ლ ი, როგორც ტერმინები, და, მეორე მხრივ, გ ა შ ა ლ ა შ ი ნ ე ბ ა, დ ა ხ ვ ე წ ა, ტ ყ ა ვ ი ს გ ა ძ რ ო ბ ა, რომლებიც სადურგლო და სამონადირეო ტერმინოლოგიიდან შემოვიდნენ საერთო ენაში. ტერმინებს, ჩვეულებრივ, მათი სიზუსტისა და დანიშნულების გარკვეულობის გამო აღარა აქვთ სინონიმები და ანტონიმები. მაგრამ ტერმინი — ტერმინოლოგიის წევრი — მოხერხებული უნდა იყოს ნაწარმოები ტერმინების შესაქმნელად და მას უნდა ჰქონდეს ინტერნაციონალური ხასიათი, მეტადრე პოლიტიკურ, მეცნიერულ და ტექნიკურ ტერმინს.

არსებობს ენაში ტერმინთა მიღების სხვადასხვა გზა. პირველი გზა ეს არის საერთო ენიდან აღებული სიტყვები. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ ენა მიმართავს სხვა ენიდან სესხებას, ისინი ენაში შემოდნიან, როგორც ეტიკეტები, თითქმის საკუთარი სახელები (კომბაინი, კონტეინერი, ბულდოზერი), როგორც საგანთა და მოვლენათა სახელები.

არჩევანი იმ ენისა, რომელსაც მოცემული ენა იყენებს ტერმინის წყაროდ, შეპირობებულია რეალური ისტორიული პრაქტიკით. ამიტომ აქ ძალიან გარკვეულად ჩანს ხალხთა და ენათა კონტაქტები, კულტურული ურთიერთგავლენა. მაგალითად, რუსულ ენაში საცხენოსნო ტერმინოლოგია უპირატესად თურქულია, საზღვაო-პოლანდიური, კულინარული და თეატრალური — ფრანგული, სპორტული — ინგლისური. რუსულის მეშვეობით იმავე გზით ქართულშიც გვაქვს შეთვისებული ბევრი ასეთი ინტერნაციონალური ტერმინი. ქართული ტერმინოლოგია, გარდა რუსული და ევროპული ენებისა, უხვად სარგებლობს ენაში არსებული აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკით, პირველ რიგში სპარსული და თურქული წარმოშობის სიტყვა-ტერმინებით, განსაკუთრებით პოლიტიკური, სამხედრო, სამედიცინო, სასპორტო და სხვა ტერმინების შესაქმნელად.

ტერმინების შესაქმნელად ერთ-ერთი საშუალებაა ლათინურ-ბერძნული სიტყვებისა და სიტყვაწარმოებათა მოდელების გამოყენება, რომელთაც ინტერნაციონალური ხასიათი შეიძინეს (შდრ. რევოლუცია. ფილოსოფია, პირამიდა, რესპუბლიკა. სემინარია. დეკანი, თერმომეტრი, მონოგრაფია და სხვა).

იმის გამო, რომ ანტიკური (ბერძნულ-ლათინური) ტერმინოლოგიური ფონდი მოკლებულია რაიმე ნაციონალურ ელფერს და გამოყენებულია, როგორც კულტურული სამყაროს საერთო მიღწევა. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ეს ტერმინები ერთი ენის ელემენტებისაგან არის შედგენილი, თუ სხვადასხვა ენისა.

მაგ., თ ე რ მ ო მ ე ტ რ ი ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: therm-os „სითბო“ + metron „ზომა“, ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ი ორი ლათინური სიტყვისაგან: aequus „თანაბარი“ (ნათესაობითი aequi) + valens, valentis „ძლიერი, მაგარი“, ე. ი. „თანაბარიძალისა“ და სხვა. მაგრამ ისეთი ტერმინები, როგორც არის ტ ე რ მ ი ნ ო ლ ო გ ი ა, ს ო ც ი ო ლ ო გ ი ა, შედგენილია შერეული ლათინურ-ბერძნული სიტყვებისაგან: ლათ. terminus „საზღვარი“, socialis „საზოგადოებრივი“ და ბერძნ. logos „მოძღვრება“. ინტერნაციონალური ტერმინების შესაქმნელად გამოყენებულია არაბული სიტყვებიც. მაგ. ალკოჰოლი (al-kuhl) და სხვა.

ლექსიკალიზაცია და იდიომატიკა. ენაში სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებიან და ქმნიან ე. წ. სიტყვათშეერთებას (შესიტყვებას). წინააღმდეგობაში თავისუფალ სიტყვათშეერთებას შეისწავლის სინტაქსი. მაგრამ არის ისეთი სიტყვათშეერთებანი, რომელთა შესწავლა ლექსიკოლოგიას ევალება. ეს არის ე. წ. ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთებანი, რომელნიც მიისწრაფიან ერთ სიტყვად, ერთ ლექსულად ქცევისაკენ; თუმცა ჯერ არ დაუქარგავთ სიტყვათშეერთების ფორმა (შესიტყვების ფორმა).

შეუდაროთ ერთმანეთს ორი სიტყვათშეერთება რ კ ი ნ ი ს გ ზ ა (რკინიგზა) და რკინის კარი. მეორე შესიტყვება თავისუფალია, შედგენილი ორი სრულმნიშვნელობიანი სიტყვისაგან: ეს კ ა რ ი ა და ი გ რ კ ი ნ ი ს ა ა. საერთო მნიშვნელობა ამ გამოთქმისა მიიღება ცალკე სიტყვათა ჯამისაგან. ჩვენ შეიძლება ვთქვათ მ ე ტ ა ლ ი ს კ ა რ ი ა ნ რ კ ი ნ ი ს ა ლ ა ყ ა ფ ი, ან რ კ ი ნ ი ს ა გ ა ნ გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი კ ა რ ი ა ნ შევცვალოთ რიგი კარი რკინისა, მაგრამ ყოველად შეუძლებელია შევცვალოთ გამოთქმა რ კ ი ნ ი (ს) გ ზ ა: ეს რკინისაგან გაკეთებული გზა კი არ არის, არამედ ტრანსპორტის ერთ-ერთი სახის ერთიანი ცნებაა.

ასეთი ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთებანი წინადადების ერთ წევრად გვევლინებიან. ქალაქში შეიძლება წასვლა რკინიგზით ან ავტობუსით. რკინიგზით და ავტობუსით. ერაგვარად ვითარების გარემოებაა. შეადარეთ აგრეთვე გამოთქმები:

არამკითხე მოამბე. გულის აცრუება, ხელის დაბანა. დაბალი ღობე, დღითი დღე, დღის წესრიგი, პირის გატეხა, ენის მოფხანა. ერთი მუქა, ერთი სიტყვით, ერთი კალმის მოსმით. ერთი ციდა, ეშმაკის კერძი, თვალსა და ხელს შუა, თვალში მოუვიდა, თითზე კბენა და სხვა. ასეთი ლექსიკალიზებული შესიტყვებანი შეიძლება მოგვევლინონ სუბსტანტივის როლში (რკინის გზა, დღის წესრიგი, ეშმაკის კერძი, არამკითხე მოამბე, დაბალი ღობე), ზმნის სახით (თვალში მოუვიდა, თითზე იკბინა), ზმნიზედის როლში (გულხელდაკრეფით, ერთი სიტყვით, თვალსა და ხელს შუა). წინადადებაში მათ შეუძლიათ შეასრულონ ქვემდებარის. დამატების, შემასმენლის ან გარემოების როლი. რადგან ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთებანი თავისი წარმოშობის მიხედვით მკიდროდ არიან დაკავშირებული რომელიმე მოცემული შემთხვევის ადგილისა და დროის პირობებთან. ამიტომ ისინი ყოველ ენაში არიან ინდივიდუალურნი, თავისებურნი და სიტყვა-სიტყვით ვერ ითარგმნებიან. ამიტომ მათ უწოდებენ იდიომებს (ბერძნ. idioma „თავისებურება“), ხოლო იდიომთა ერთობლიობას ენაში ეწოდება იდიომატიკა. იდიომებად გვევლინებიან არა მარტო ლექსიკალიზებული სიტყვათშეხამებანი, არამედ ცალკე სიტყვებიც. ნახმარი გადატანითი მნიშვნელობით, მაგ., რუს. სიტყვა *заяц* „უბილეთო მგზავრის“ მნიშვნელობით წარმოადგენს იდიომას და სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად ითარგმნება. ფრანგულად ეს არის *voyageur en contrabande* „კონტრაბანდული მგზავრი“, გერმანულად *blinder Passagier* „ბრმა მგზავრი“, ან *Schwarzfahrer* „შავი მგზავრი“ და სხვა. ასეთივეა ქართული ხელი „დამხმარე მზრუნველი“. ასევეა იდიომატურ გამოთქმათა თარგმნის დრონაფ-ფრანგული *tête-à-tête* „თავი თავთან“, გერმანულად ითქმება *unter vier Augen* „ოთხი თვალის ქვეშ“, ინგლისურად *face to face* „პირისპირ“, რუს. *лицом к лицу*.

იდიომატიკის წყაროდ შესაძლებელია მოგვევლინოს ფოლკლორი, პროფესიული მეტყველება, ლიტერატურული ან წიგნური ენა. ასეთი ლიტერატურული იდიომებია ე. წ. ბიბლიკალიზები (ე. ი. ციტატები საღმრთო წერილიდან): ქვა ქვაზე და დატოვა- თავზე ნაცრის დაყრა, თვალის ჩინივით გაფრთხილება, მარგალიტის და-

გება ღორთათვის, ხელის დაბანა და სხვა, კომერიზმები: სცილასა და ქერიბდას შორის, პერკულესის სვეტებამდე მისვლა. გორდის ნასკვის გაჭრა, სიზიფის შრომა. არიადნას ძაფი. რუბიკონზე გადასვლა, წილის ყრა.

საკუთრივ ლიტერატურული ციტატები--ქართული სათავის სპეციალურად რუსთველიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“: ყვავი რა ვარდსა იშოვის, საქმენი საგმირონი, რასაცა გასცემ შენია, კოკასა შიგან რაცა დგას და სხვა.

ტერმინოლოგია და იდიომატიკა ენის ლექსიკური შედგენილობის ორი პოლუსია. ტერმინი აბსტრაქტულია, ერთმნიშვნელობიანი, საერთაშორისო, ლოგიკური და სისტემატური ხასიათისა. იგი ექსპრესიის გარეშე დგას. იდიომი, პირიქით, კონკრეტულია, მეტწილად ერთმნიშვნელობიანი, ინდივიდუალური, ეკუთვნის მარტო მითითებულ ენას, ზოგჯერ ალოგიკურია, მაგრამ სამაგიეროდ ექსპრესიული. ამ ორ პოლუსს შორის დგას დანარჩენი ლექსიკა.

ენის ლექსიკური შედგენილობა. ერთად აღებულ ყველა სიტყვას, რომელიც მოცემულ ენაში იხმარება, ეწოდება ამ ენის ლექსიკური შედგენილობა ან ლექსიკური მარაგი. ამა თუ იმ ენის ლექსიკურ მარაგში გარკვევით გამოიყოფა ლექსიკური ერთეულების შედარებით მცირე ჯგუფი. რომელსაც ეწოდება ძირითადი ლექსიკური ფონდი.

აღნიშნული ლექსიკური ფონდი აერთიანებს ენის ყველა ძირეულ სიტყვას და წარმოადგენს მის ბირთვის. ძირითადი ლექსიკური ფონდი დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში. ცოცხლობს და შეადგენს ენის ბაზას ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ფონდისა და ლექსიკური შედგენილობის სხვა სიტყვებს შორის არ არსებობს მკვეთრი საზღვარი. ძირითად ფონდში შედის ენის ყველაზე აუცილებელი სიტყვები და იგი წარმოადგენს სიტყვათა (და არა ცნებათა ან საგანთა) ერთობლიობას.

ენის ლექსიკური შედგენილობა დიფერენცირებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მათ შორის სტილისტური ნიშნის მიხედვითაც. ძირითადი ფონდის სიტყვები ნეიტრალური ლექსიკის ფაქტები, მათი ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარება შესაძლებელია ყველა სტილისა და ენარის მეტყველებაში. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ყველა მნიშვნელობაც ვერ გახდება ძირითადი ლექსიკური ფონდის ფაქტად. მაგალითად, სიტყვები ბიჭი და გოგო

ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით — „მოზარდი ვაჟი“, „მოზარდა ქალი“ ძირითადი ფონდის სიტყვებია, მაგრამ მნიშვნელობით „მ ს ა ხ უ რ ი, ლ ა ქ ი ა“ ან „მ ო ა ხ ლ ე“, მხოლოდ ლექსიკური შედგენილობის ელემენტებია.

ლექსიკური შედგენილობის მეშვეობით ენა უშუალოდაა დაკავშირებული სინამდვილესთან, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსთან. ამის გამო ენის სხვა ნაწილებთან შედარებით იგი უფრო ნაკლებად მყარია და მუდმივ ცვალებადობას განიცდის. შევჩერდეთ ე. წ. აქტიური და პასიური ლექსიკის საკითხზე.

აქტიური ლექსიკის ის სიტყვები განეკუთვნება. რომლებიც ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკემ არა მხოლოდ იცის. არამედ იყენებს კიდევ მათ. აქტიური ლექსიკის საფუძველს წარმოადგენს ძირითადი ფონდის სიტყვები. მაგრამ, გარდა ამისა, მოლაპარაკეთა თითოეულ ჯგუფს თავის აქტიურ ლექსიკაში მოეპოვება საკუთარი. სპეციფიკური სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან მოლაპარაკეთა სხვა ჯგუფის აქტიური ლექსიკიდან. ამგვარად, ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა ჯგუფებს საერთო აქვთ ძირითადი ფონდის სიტყვები, მაგრამ მათი აქტიური ლექსიკა განსხვავდება სპეციფიკური სიტყვების გამოყენების თვალსაზრისით.

პასიური ლექსიკის შეადგენს ისეთი სიტყვები, რომლებიც მოცემულ ენაზე მოლაპარაკემ იცის, მაგრამ თვითონ ვერ იყენებს მათ, (მაგ., სპეციალური ტექნიკური, სამეცნიერო, პოლიტიკური ტერმინები, ექსპრესიული გამოთქმები და სხვა).

აქტიური და პასიური ლექსიკის ცნება მეტად მნიშვნელოვანია უცხოური ენების შესწავლის დროს. თუმცა გარდაუვალი ზღვარი აღნიშნული ორი სახის სიტყვებს შორის არ არსებობს: პასივში მყოფი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია აქტივში შევიდეს (ოფიცერი, გენერალი, კონგლომერატი და სხვა) და—პირიქით — აქტივში მყოფი პასივში გადავიდეს (დეკრეტი. ელემენი, სახკომსაბჭო, ნეპი და სხვა).

აღსანიშნავია საკითხი რეალური და პოტენციური ლექსიკისა. ეს საკითხი არ გადაწყდება ტექსტში ან ზეპირ საუბარში სიტყვათა ხმარების ერთეული შემთხვევების დადასტურებით. ხშირად ესა თუ ის სიტყვა დიდი ხანია იხმარება ზეპირმეტყველებასა და ლიტერატურის შეგლებში, მაგრამ ლექსიკონებში მხოლოდ ახლახან მოხვდა (მაგ. ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამოსვლის შემდგომ). შეიძლება რიგი სიტყვების არსებობა პოტენციური, შესაძლებელი გვეჩვენოს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ჯერ არ არიან რეგისტრირებული.

აქ შესაძლებელია ყველაზე აშკარად შედგენდებოდეს გრამატიკისა და ლექსიკის კავშირი. გრამატიკა ადგენს არა მხოლოდ სიტყვათცვლილებასა და სიტყვათა წინადადებაში ურთიერთმიმართების ნორმებს. არამედ იძლევა სიტყვაწარმოების კონკრეტულ მოდელებსაც. რომელსაც ლექსიკა ან იყენებს ან მათგან აღმოცენდება პოტენციური. რეალურისაგან განსხვავებული ლექსიკა, რაც ერთერთი ძლიერი საშუალებაა ენის ლექსიკური შედგენილობის გაზიარებისა. მაგალითად, ქართული გრამატიკა საშუალებას იძლევა (და სავალდებულოდაც ხდის) ვაწარმოთ არსებითი სახელები თვისებრივი ზედსართავი სახელებიდან - ებ-ა, -ობ-ა სუფიქსების მეშვეობით: ნ ა ზ ი — ნ ა ზ ი ბ ა, ნ ე ს ტ ი ა ნ ი — ნ ე ს ტ ი ა ნ ი ბ ა, ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი — ც ხ ე ნ ო ს ნ ო ბ ა, შ უ რ ი ა ნ ი — შ უ რ ი ა ნ ო ბ ა, ხ მ ო ვ ა ნ ი — გ ა ხ მ ო ვ ა ნ ე ბ ა, წ ლ ო ვ ა ნ ი — წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა და სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აბსტრაქტული სახელი რეალური ლექსიკის ფაქტია, მაგრამ სიტყვები კ ე თ ი ლ ო ბ ა, ს წ ო რ ო ბ ა, მ ა რ ც ხ ე ნ ო ბ ა, ა ლ ე რ ს ო ბ ა თანამედროვე ქართული ენის რეალური ლექსიკისათვის არ არის დამახასიათებელი.

მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში, თუ ამის საარსებო მოთხოვნილება გაჩნდება, ისინი შეიძლება ასეთებად მოგვევლინონ ან შესაძლებელია წარსულშიც არსებულაყვნენ. ეს არის ფაქტები პოტენციური ლექსიკისა, რომელსაც ხშირად ახალი ტერმინების წარმოსაქმნელად იყენებენ.

როგორც ენობრივი სტრუქტურის ყოველი იარუსი, ლექსიკაც წარმოადგენს სისტემას, მაგრამ ლექსიკაში სისტემურობის გამოვლენა უფრო ძნელია, ვიდრე ფონეტიკასა და გრამატიკაში, რომელთა ფაქტები განსაზღვრულია და აღირიცხება (მაგ. ბრუნვათა რიცხვი, ზმნური ფორმები და წინადადებათა ტიპების რიცხვი, ფრაზმათა და მათი პოზიციების რიცხვი და სხვა).

ლექსიკის ფაქტები კი აურაცხელი და სხვადასხვაგვარია, რადგანაც ლექსიკა წარმოადგენს ენის ყველაზე კონკრეტულ სექტორს.

ყოველი ენის ლექსიკურ შედგენილობაში გამოიყოფა სხვადასხვა ფუნქციები (პლასტები), რომელთა შორის განსხვავება სხვადასხვანაირებს ემყარება.

საკუთარი და უცხოური (მკვიდრი და ნასესხები) სიტყვები. არ არის დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, რომლის ლექსიკური შედგენილობა მხოლოდ საკუთარი, მკვიდრი სიტყვებისაგან შედგებოდეს. ყოველ ენაში მოიპოვება უცხოური ანუ ნასესხები სიტყვებიც. მაგრამ სხვადასხვა ენაში და მათი განუთარების სხვადასხვა პერიოდში არასაკუთარი (ნასესხები) სიტყვების პროცენტი სხვადასხვაა.

სესხება შეიძლება იყოს უშუალო და ხელოვნური. უშუალო სესხება გვაქვს ამ შემთხვევაში. როდესაც სიტყვის შეთვისება ხდება ცნებასთან ერთად იმ ენიდან, რომელშიც სიტყვა ცოცხალ კავშირშია ცნებასთან (მაგალითად. ქართულში — სპარსულიდან, სომხურიდან, რუსულიდან და სხვ. შეთვისებული სიტყვები): ხელოვნური სესხება ისეთი ენობრივი წყაროს გამოყენებაა, რომელსაც ამჟამად დაკარგული აქვს თავისი ცოცხალი ნიადაგი. ევროპის სალიტერატურო ენებისათვის ასეთებად გვევლინებიან გრეციზმები. ლათინიზმები, ნაწილობრივ არაბიზმები. ამათან მეტად მნიშვნელოვანია ზეპირი და წერილობითი ანუ მწიგნობრული გზით სესხების გარჩევა. ამ უკანასკნელთა უმრავლესობა ამჟამად ეგრეთ წოდებულ ანტერნაციონალიზმებად ქცევის ტენდენციას.

ნასესხებ სიტყვებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვაოთ ე. წ. შეგუებული (ადაპტირებული) სიტყვები და, მეორე მხრით, შეუგუებელი (არაადაპტირებული) ერთეულები.

შეგუება ანუ ადაპტაცია ნასესხები ელემენტებისა გულისხმობს მათს დაქვემდებარებას მსესხებელი ენის წყობისადმი — ფონეტიკური და გრამატიკული თვალსაზრისით. ქართულ ენაში გრამატიკულად ან ფონეტიკურად სავსებით უცხოური სიტყვები მხოლოდ იმ პირთა მეტყველებაში გვხვდება. რომლებიც დაუფლებული არიან უცხოურ (მაგ. რუსულ ან ფრანგულ) ენას და ცდილობენ ადეკვატურად წარმოთქვან ამ ენებიდან შემოსული სიტყვები (მაგ. შ-ს მქონე სიტყვები, ვთქვათ შ ა ბ რ ი კ ა ან რბილი ლ ა ნ ტ კ ა ლ 'კა: ნოვოსტ', ნეენოსტ' და სხვა). რუსულში გრამატიკულად უცხოურია სიტყვები КАКАДУ, ИИИИИИ, САЛХДО, ЧАХОХНННН. თავისი დაბოლოებებით ეს სიტყვები არ უდგებიან არსებითი სახელების მოდელებს და ბოლომდის ადაპტირებულად არ ჩაითვლებიან. თუმცა ფონეტიკურად ექვემდებარებიან, ჩვეულებრივ საწარმოთქმო ნორმებს.

შეგუებული (ადაპტირებული) სიტყვები მსესხებელ ენაში შეუმჩნეველი ხდებიან და შედიან საკუთარი ლექსიკის შესაბამის ჯგუფებში. მათი ყოფილი უცხოურობა მედუნდება მხოლოდ სპეციალური ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. მაგალითად. ქართულში: საათი, ალამი, ვეჭილი. ექიმი. კამათი, ლამაზი, კაბა. ლურსმანი, ეტლი. ლალატი, ლარიბი, ხაზი, ქალაღი, ოთახი. ყარაული. ელჩი, იასაული. ყაბალახი. ბაზარი, ბალიში, ბამბა, ბალი. გუნდი, გვარი, გვირაბი, დალი, დარდი, ზარი, ფასი, იაფი, იმედი, კავშირი. ნაზი. პეიმანი, ნამი, ნოხი, ტახტი, ფარდა, ფოლადი, ქამარი. ჭაბუკი. ჭანდაკი, სინიღისი, სამინდი, დიაკვანი, მონაზონი, კრიალოსანი, ეპის-

კოპოსი, ტრაპეზი, პანაშვიდი, ანაფორა, ტილო (ტოილო), მანდილი, სკამი, საპონი, ამბორი, ქორფა, ბილწი. ქეშმარიტი, კარგი, პატარა, კაპანი, ტიკი, კალმასობა, ტიკინა, ფუნჯი და სხვა.

რუსულში: кровать, бумага, кукла, бестия, июнь, август, халат, казна, сундук караул, лошадь, тулуп, башмак, сарафан, кумач, аршин, сарай, диван, обезьяна, солдат, котлета, суп, ваза, жилет, спорт, плед, ростбиф, бас, тенор, руль, флаг, брюки, силец, пробка, ярмарка, стул, штаб, лозунг, лагерь, мантилья, коляска, кофта, лекарь და სხვა.

რა თქმა უნდა, ფონეტიკურად და გრამატიკულად ადაპტირებული ყველა სიტყვა ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილებად ვერ იქცევა; ზოგჯერ ისინი თავისი სპეციფიკური მნიშვნელობისა ან ექსპრესიულობის გამო წმინდა ლექსიკური თვალსაზრისით შეუგუებელი რჩებიან. ასეთებია იხტიოზავრი, კოლოქვიუმი, ყარიბი, მულარაბარი, მაშრიყი, იასაული, ჩაფარი, ბაზი, გავაზი, ჯომარდი, დენდი, ნოკაუტი, ტანტიკინი, დროგი. ფურგონი და სხვა.

მაგრამ აღნიშნული გარემოება ხელს არ უშლის ნასესხები სიტყვების შექრას ძირითად ლექსიკურ ფონდში. მაგ., ძირი, ქა, ქობი, უმი, ხანი, ჭანი, ჯოგი, ბანი, მინა, ლუკმა, მუდარა, მოედანი, ნატიფი, ხალამი, ნადიმი, კარგი, პატარა, ქეშმარიტი, პური, სინიღისი და სხვა. რუსულში — изба, хлеб, табун, башмак, башня, сарай, базар, солдат, суп, помидор, спорт, клуб, футбол, зонтик, брюки და სხვა.

ზოირად საკუთარი მკვიდრი სიტყვა გაძევებულია სპეციალურ ან პასიურ ლექსიკაში. მაგალითად, თურქულმა სიტყვამ ოთახი ვააძევა ძველი ქართული სენაკი სპეციალურ ლექსიკაში და დღეს ვგი მხოლოდ „ბერების სამყოფი“-ს მნიშვნელობითლა იხმარება ქართულში. ასევე თურქ. ოჯახმა შემოფარგლა ქართ. კერი სხმარების სფერო. (კულტურის კერა, საბავშვო კერა, ინფექციის კერა და სხვა).

რიგი ნასესხები სიტყვებისა ვერ ეგუება მსესხებელი ენის სტრუქტურას და უცხოურად რჩება, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათს არ არსებობას ენაში. ისინი ენის პასიური ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენენ და იხმარებიან მხატვრულ ან პუბლიცისტურ ლიტერატურაში ე. წ. „ადგილობრივი კოლორიტის“ გამოხატვის საშუალებად (მაგ. უცხოური სახელწოდებების გადმოცემა ტრანსკრიფციის მეშვეობით). მრავალი ასეთი „ტრანსკრიფცია“ მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს და ე. წ. ბარბაროზმებად იწოდება. ე. ი. ისეთ უცხოურ სიტყვებად, რომლებიც გამოყენებულია უცხოური რეალების ან ზნე-ჩვეულებათა გადმოსაცემად: „Kak d a n d y .თიი-

донский одет“ (Пушкин, „Евгений Онегин“ I.IV). „თუ არ დგას შენთან ლიბანის კედრი, არ ჰფენს შენს კედლებს თვის შეფურ აჩრდილს“, „შენც იელოვას მაღლი გიფარავს, ვერ ვხედავთ შენთან ლიბანის კედართ“ (ანა კალანდაძე).

კალკა. სიტყვათა სესხების გვერდით ენებში გავრცელებულია უცხოური ენების სიტყვათაგან ე. წ. კალკების გადაღება (ფრანგული *calque* „გამპვირვალე ქსოვილზე ან ქალალღზე ასლის გადაღება“), როდესაც უცხოური სიტყვის მორფოლოგიური მოდელის მიხედვით საკუთარი ფორმალური მასალიდან ენა აყალიბებს ახალ სიტყვებს. კალკები ჩვეულებრივ მწიგნობრული ენის კუთვნილებად და მეტწილად მთარგმნელთა ნამოქმედარია. მაგ., პირდაპირი კალკირების ნიმუშად გამოდგება ლათინური *objectum* და რუსული *предмет* „საგანი“ (*ob*=რუსულ *пред-*-ს, *ject*=*мет-*-ს). ასეთივე კალკების ნიმუშებია ბერძნული *synēdesis*-დან ლათ. *consentia* და რუსული *совесть*, ლათ. *agricultura*-დან რუს. *земледелие*, ქართ. მიწათმოქმედება, *philosophia* — სიბრძნისმოყვარეობა, ფრანგ. *développement* — რუს. *развитие*, ქართ. განვითარება და სხვა.

განსაკუთრებით გავრცელებულია ბერძნული გრამატიკულ ტერმინების კალკები ლათინურსა და სხვა ევროპულ ენებში:

substantivum—*существительное*—არსებითი სახელი;

adjektivum—*прилагательное*—ზედსართავი;

verbum—*глагол*—ზმნა;

adverbium—*наречие*—ზმნიზედა;

pronomen—*местоимение*—ნაცვალსახელი;

ptosis—*casus*—*падеж*—ბრუნვა და მისთანანი.

შეიძლება გვეჩინდეს კალკები არა მხოლოდ ცალკე სიტყვებისა, არამედ მთელი გამოქმებისა, მაგ.: რუს. *принять меры* წარმოადგენს კალკას ფრანგული გამოთქმისა *prendre les mesures*, რუსულიდან გადმოღებულია ქართულშიც „ზომების მიღება“ (შდრ. ლონისძიება), რუს. *присутствие духа* მოლის ფრანგული *présence d'esprit* დან და სხვა. ძველ ქართულში კალკირების მაგალითები ბევრი იყო ბერძნულიდან და სპარსულიდან. ხშირად ადგილი აქვს ერთმანეთის პარალელურად კალკირებისა და სესხების შემთხვევებს:

objectum || *объект* || *предмет* (საგანი, ობიექტი),

essentia || *эссенция* || *естественность* (ბუნებრიობა),

affectus || *аффект* || *страсть* (ენება, აფექტი),

positivus || *позитивный* || *положительный* (პოზიტიური, და-

დებითი)

და სხვა.

ნეიტრალური და სტილისტური ელფერის მქონე ლექსიკა. ყოველ ლიტერატურულად დამუშავებულ ენაში ლექსიკური შედგენილობა განაწილებულია სტილისტური თვალსაზრისით. ნაწილი სიტყვებისა ნეიტრალურია და მათი ხმარება დასაშვებია მეტყველების ნებისმიერი ენარის ან სტილის დროს (ზეპირი და წერილობითი მეტყველება, ორატორული ენარი, გაზეთის ენა, მხატვრული და სამეცნიერო ტექსტები, სასაუბრო ენა და სხვა).

ასეთ სიტყვებს შეადგენს, უპირველესად ყოვლისა. ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები: თავი, თვალი, ხელი, მიწა. მთა, მდინარე, სახლი, სიარული, ჭამა. მაღალი, კარგი, მხიარული და სხვა. ზოგი სიტყვა მათთან შედარებით ან „მაღალი სტილისაა“ (ღაწვი, წიაღი, მამული, რაში. განსვენება) ან „დაბალისა“ (ხეთქვა. თქველეთა, გოგრა, ნაყარ-ნუყარი, ალიყურის კმევა, გასილაქება და სხვა).

მეტყველების სხვადასხვა სტილი ურთიერთმიმართებითა და უპირველეს ყოვლისა, ყოველი მათგანი მიმართებაში იმყოფება ნეიტრალურ სტილთან. ერთმანეთს უპირისპირდება ნეიტრალური კ ა მ ა, მაღალი — მ ი რ თ მ ე ვ ა, დაბალი — შ ე ხ ე თ ქ ე ა. შ ე ს ა ნ ს ე ლ ა. მაღალსა და დაბალ სტილს შესაძლოა ჰქონდეთ ქვედანაყოფები — „მ ა ღ ა ლ ს“—პოეტური, რიტორიკული, პათეტიკური, აკადემიური, სპეციალურ-ტექნიკური, „დ ა ბ ა ლ ს“—სასაუბრო, ფამილარული, ვულგარული და სხვა.

„მაღალი“ და „დაბალი“ სტილის სიტყვების წარმოსაქმნელად ყოველ ენას მოეპოვება საკუთარი წყარო. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში „მაღალი“ სტილის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძველი ქართული ენა (როგორც საერო, ისე საეკლესიო მწერლობით). შეადარეთ ლ ო ყ ა — ღ ა წ ვ ი, ტ უ ჩ ი — ბ ა გ ე. ს ა მ შ ო ბ ლ ო . მ ა მ უ ლ ი, კ ა რ ი — ბ ქ ე. გ ა ა ც ო ც ხ ლ — ს უ ლ ი შ თ ა ბ ე რ ა, ა ა ღ ე ლ ვ — ა ღ ა გ ზ ნ ო, კ ო ც ნ ა — მ ბ ო რ ი, ა მ ა ყ ი — ზ ვ ი ა დ ი — ქ ე დ მ ა ღ ა ლ ი და სხვა. ამავე სტილის სხვა ენარებში ეს როლი შეიძლება შეასრულოს ბერძნულ-ლათინურმა ან სხვა ინტერნაციონალურმა სიტყვებმა (სამყარო—კოსმოსი, დამპყრობელი—ოკუპანტი, შემოტანა—იმპორტი, გატანა — ექსპორტი, დანაშაულებრივი—კრიმინალური, შემადგენელი ნაწილი — ინგრედიენტი და სხვ).

დაბალი სტილის წყაროდ შეიძლება მოგვევლინოს დიალექტები და სხვადასხვა ტიპის ქარგონები.

ენის ლექსიკური შედგენილობის ისტორიული განვითარება. ა რ ქ ა ი ზ მ ი (ინვლ. archaism, ფრანგ. archaism, გერ. archaismus) ეწოდება სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც გამოსულია ყოველდღი-

ური ხმარებიდან და ამიტომ მოქველებულად ითვლება მაგ.: ქართული აღფრთოვანება, ამაოება, უკუნისით უკუნისამდე, ზესკნელი და სხვა. არქაიზმია აგრეთვე ისტორიული სტილიზაციის მიზნით ან კომიკური ეფექტის მისაღწევად გამოყენებული ტროპი, რომელიც მეტყველებას ამაღლებულ სტილისტურ ელფერს აძლევს.

ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ი (ინგ. neologism, ფრანგ. néologism) ეწოდება სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც შეიქმნა ენაში (მისი განვითარების რომელიმე საფეხურზე) ახალი, წინათ უცნობი საგნის ან ცნების გადმოსაცემად. მაგ., თანამედროვე ქართულისათვის ქსოვილის სახელები ლავსანი, შტაპელი, კოსმოდრომი, აპოგეა, ცოტა უფრო ადრე პერიოდისათვის ტრაქტორი, კომბაინი, კოლმეურნეობა, პარტკომი, კომკავშირი და სხვა.

ს ი ტ ყ ვ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა (значимость). ისე როგორც ენის სხვა ერთეულების (ფონემათა, მორფემათა და სხვა) ღირებულება განისაზღვრება მათი ურთიერთმიმართებით ერთ რიგში (წყებაში) სიტყვის ღირებულების განმსაზღვრელი რიგი ე. წ. ლექსიკური ველია. ლექსიკური ველი ეწოდება ლექსიკის იმ სექტორს, რომელიც გაერთიანებულია მიმართებებით პარალელიზმისა (სინონიმები), კონტრასტისა (ანტონიმები), თანამიმდევრობისა (სიტყვათა მეტონიმიური და სინეკდოხური ხასიათის ურთიერთობანი) და, რაც მთავარია, სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებით.

თითოეული სიტყვა თავის ღირებულებას ამჟღავნებს მხოლოდ ლექსიკური ველის ფარგლებში. ერთმანეთში არ უნდა ავერიოთ კონტექსტისა და ლექსიკური ველის ცნებები. კონტექსტი სიტყვის გამოყენების სფეროა, ველი — ენის სისტემაში მისი არსებობის სფერო.

ლექსიკოგრაფია

ლექსიკოგრაფია ეწოდება ლექსიკონთა შედგენის ხელოვნებასა და სამეცნიერო მეთოდისას. არსებობს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები. პირველ რიგში უნდა განვასხვაოთ ენციკლოპედიური ლექსიკონები და ენობრივი, ლინგვისტური ლექსიკონები. ენციკლოპედიური ლექსიკონების დანიშნულებაა აღწეროს და განმარტოს არა სიტყვები, არამედ ის საგნები და მოვლენები, რომლებიც ამ სიტყვებით აღინიშნება. ამიტომაც, რომ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ჩვენ ვერ აღმოვაჩინებთ შორისდებულებს. დამხმარე სიტყვებს და ზმნიზებათა უმრავლესობას, აგრეთვე ზედსართავეებსა და ზმნებს.

რომლებიც სპეციალურ ტერმინებს არ წარმოადგენენ. ლინგვისტური ლექსიკონები კი გვიჩვენებენ სწორედ სიტყვების მნიშვნელობას, გამოყენების სფეროს, წარმომავლობას, გრამატიკული დახასიათებითა და ფონეტიკური სახით.

ლინგვისტური ლექსიკონები შეიძლება იყოს ერთენოვანი და მრავალენოვანი. ერთენოვანი ლექსიკონები განმარტებითი ლექსიკონებია, რომელთა მიზანია არა თარგმნა მოცემული სიტყვისა. არამედ მისი დახასიათება ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ან წარსულში ან მისი წარმომავლობის გარკვევა (ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკონები).

თავისი ლინგვისტური ობიექტის მიხედვით ლექსიკონები შეიძლება გვექონდეს დიალექტოლოგიური და ლიტერატურული ენისა. რომელთაც ნორმატიული მიზანიც აქვთ: სახელდობრ, გვიჩვენონ სიტყვათა სწორი და არასწორი გამოყენება, მათი გრამატიკული ცვლილებები და წარმოთქმა.

განმარტებით ლექსიკონებს შორის უნდა გამოიყოს უცხოურ სიტყვათა ლექსიკონები. სადაც განმარტებულია მხოლოდ ნასესხები სიტყვები.

თავისებური ტიპის ლექსიკონებია აგრეთვე „საგნობრივი“ და „იდეოლოგიური“, რომლებიც სიტყვებს აჯგუფებენ სინამდვილის საერთო მოვლენების მიხედვით. მაგალითად, საგნობრივ ლექსიკონებში მოცემულია სახლისა და მისი მოწყობილობის აღმნიშვნელი სიტყვები ან წისკვილის, მინდვრის, ფაბრიკისა ინვენტარით და სხვა ან ისინი აღნუსხავენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც საერთო ცნებათა მიხედვით შეადგენენ ცოდნის ამა თუ იმ სფეროს. ასეთ „იდეოლოგიურ“ ლექსიკონებში მოცემულია მეცნიერების ცალკეული დარგების ლექსიკა, სადაც სიტყვები შერჩეულია და განლაგებულია ამ მეცნიერებათა სისტემატიკის შესაბამისად (ზღრ. ბოტანიკური ლექსიკონი ან სხვადასხვა დარგობრივი ლექსიკონები, მემინდვრეობის ლექსიკა, მებაბრეშუმეობის, მევენახეობის, ინდუსტრიული, ტექნიკური და სხვა ლექსიკონები).

არსებობს ტერმინოლოგიური, სინონიმთა, ომონიმთა, რითმათა, იდიომთა, ფრაზეოლოგიური, დიალექტური და სხვა ხასიათის ლექსიკონებიც.

დაბოლოს უნდა დავასახელოთ ორთოგრაფიული და ორთოეპიული ლექსიკონები, სადაც არც სიტყვების თარგმანია მოცემული და არც განმარტება, არამედ მითითებულია სიტყვათა წარმოთქმის ან დაწერის ნორმა— ეს წმინდა გამოყენებითი მნიშვნელობის ლექსიკონებია.

ყველაზე გავრცელებულ. ფართო მოხმარებისა და დანიშნულების ლექსიკონებს წარმოადგენენ ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონები. სადაც ძირითადი სიტყვის მოკლე ლექსიკოლოგიურ და გრამატიკულ დახასიათებასთან ერთად მოცემულია ამ სიტყვის თარგმანი. მისი სხვადასხვა მნიშვნელობით, მეორე ენაზე. შედარებით უფრო იშვიათია მრავალენოვანი ლექსიკონები, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ, ძირითადად კი ემსახურებიან სხვადასხვა ენის სიტყვათა შეპირისპირებას.

სიტყვაწარმოება (წარმოქმნა, დერივაცია). გრამატიკული დერივაციისაგან, რომელიც გულისხმობს ფუნქტა წარმოქმნას ერთისა და იმავე სიტყვის ფარგლებში და რომელსაც თან ახლავს გრამატიკულ მნიშვნელობათა მონაცვლეობა, უნდა განვასხვაოთ ე. წ. ლექსიკური დერივაცია ანუ სიტყვაწარმოება (წარმოქმნა).

ლექსიკური დერივაცია დაკავშირებულია ლექსიკური მნიშვნელობის მონაცვლეობასთან და წარმოადგენს, ამა თუ იმ ენის სადერივაციო მოცულობის მიხედვით, ახალი სიტყვის წარმოებას ძირეული და აფიქსისეული მორფემების შეერთების საშუალებით.

ძირითადი გრამატიკული საშუალება, რომელსაც მიმართავს ლექსიკური დერივაცია, არის აფიქსაცია, რაც მდგომარეობს ძირეულ მორფემაზე აფიქსთა დართვაში. მდებარეობის მიხედვით, ლექსიკური მნიშვნელობის მცვლელი მორფემები (აფიქსები), შეტწილად. წარპოდგენილი არიან პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ი ს (თავსართების) და პ ო ს ტ ფ ი ქ ს ე ბ ი ს (ბოლოსართების) სახით. ზოგიერთ ენაში (მაგ., თურქულში. უნგრულ-ფინურში) გაბატონებულია სუფიქსური სიტყვაწარმოება და ყველა სიტყვა იწყება ძირეული მორფემით, რომელსაც მოსდევს სუფიქსი ან სუფიქსთა წყება. ზოგიერთი ენა, პირიქით, უპირატესობას ანიჭებს პრეფიქსაციას და. იშვიათი გამონაკლისის გარდა. სუფიქსებს არ იყენებს, მაგალითად, ს უ ა კ ი ლ ი (ბანტუ ენათა ოჯახი, ცენტრალური აფრიკა), სადაც ძირეულ მორფემას წინ უძღვის პრეფიქსი ან პრეფიქსთა მთელი წყება. როგორც ცნობილია, ინდოევროპული ენები იყენებენ პრეფიქსაციასაც და სუფიქსაციასაც, მაგრამ უპირატესობას მაინც სუფიქსაციას ანიჭებენ (პრეფიქსთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია).

გარდა აღნიშნული გავრცელებული ტიპებისა, გვხვდება სხვაგვარი ტიპის აფიქსებიც, როგორც არის, მაგალითად:

1. ი ნ ტ ე რ ფ ი ქ ს ე ბ ი — დამხმარე ხასიათის მორფემები, რომლებიც, მოკლებულნი საკუთარ მნიშვნელობას, გამოიყენებიან რთულ სიტყვებში ძირთა დასაკავშირებლად. ასეთია ე. წ. შემაერთებელი ხმოვნები და თანხმოვნები, მაგ., რუსული -*o-* და -*e-* სიტყ-

ვებში *крос-о-пуща* „სისხლის მსმელი“, *каш-е-вар* „მზარეული“ („ფაფის მზარეული“). გერმანული *-s-* სიტყვებში *Dampf-s-schiff* „ორთქლმავალი გემი“, *Gesellschaft-s-direktor* „საზოგადოების დირექტორი“ და სხვა. ქართულ ენაში ასეთი „დამაკავშირებელი მორფემები“ რთულ სიტყვათა წარმოებისას არ გამოიყენება.

2. კონფიქსები (ლათინური *confixum* „ერთად აღებულ“; თანაფიქსი“) ეწოდება ორი აფიქსის, უპირატესად პრეფიქსისა და სუფიქსის, კომბინაციას, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ორ მორფემას წარმოადგენენ, ერთობლივად მოქმედებენ. მაგალითად, პრეფიქსი *ex-* და სუფიქსი *-t* გერმანულ სიტყვაში *ex-lob-t* „ქებული“ ან *ex-* და *-en* სიტყვებში *ex-lob-en* „ნაქები“, *ex-fund-en* „ნაპოვნი“. ასეთი კონფიქსები ძალიან დამახასიათებელია ქართული ენისათვის, მაგ. *სა- -ო* და *სა- -ე* (*სა-ბარგ-ო*, *სა-ფურ-ე* (*ხბო*), *სა-ერთ-ო*, *სა-შაქრ-ე*, *სა-მელნ-ე* და სხვა). *მე- -ე* (*მე-ეტლ-ე*, *მე-ბაღ-ე*, *მე-კვლ-ე*, *მე-ხრ-ე*), *მ- -არ*, *მ- -აღ*, *მ- -ევ*, *მე- -ურ* (*მ-ყინვ-არ-ი*, *მ-ყვირ-აღ-ი*, *მ-კვლ-ევ-ი*, *მე-ბაღ-ურ-ი*, *მე-რგოლ-ურ-ი*), *ნა- -ე*, *ნა- -ევ*, *ნა- -არ*, *ნა- -აღ*, (*ნა-თაღ-ი*, *ნა-ნსხვრ-ევ-ი*, *ნა-მგღ-ევ-ი*, *ნა-წვიმ-არ-ი*, *ნა-ციხ-არ-ი*, *ნა-ძირ-აღ-ი*), *უ- -ო*, *უ- -ე*, *უ- -არ*, *უ- -ულ*, *უ- -ურ* (*უ-თმ-ო*, *უ-ყურ-ო*, *უ-ხელ-ო*, *უ-წყინ-არ-ი*, *უ-ფერ-ულ-ი*, *უ-კეთ-ურ-ი*, *უ-მად-ურ-ი*) და სხვა. ასეთი კონფიქსები ქართულში დაერთვიან როგორც სახელის, ისე ზმნის ფუძეს.

3. ინფიქსები ეწოდება ისეთ აფიქსებს, რომლებიც ძირეული მორფემის შიგნით შეიქრებიან ხოლმე. ქართული ენისათვის ინფიქსაციის მოვლენა უცნობია. იგი განსაკუთრებით დამახასიათებელია ინდონეზიური ენებისათვის. მაგ., ტავალურ ენაში ინფიქსი *-um-* შეიქრება ხოლმე ძირეული სიტყვის შიგნით. შეადარეთ *sulat* „წერილი“ *s-um-ul-at* „წერა“; *posak* „შესასვლელი“ — *p-um-osak* „შესვლა“.

ნაზალური ინფიქსები დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის. შდრ. სანსკრ. *sic* „წვეთება“ — *si-ñ-cali* „აწვეთებს“, ლათინური *vic-i*, *vi-n-c-o* „ვიმარჯვებ“, *rup-i*, *ru-m-p-o* „გავტეხ“ და სხვა. მაგრამ ეს ინფიქსები გაურკვეველი მნიშვნელობისა არიან და ამასთან არსებობს მათი ახსნის სხვაგვარი შესაძლებლობაც.

4. ტრანსფიქსები ისეთ აფიქსებს ეწოდება, რომლებიც შეიქრებიან ხოლმე თანხმოვანთაგან შედგენილ ძირეულ მორფემებში და განლაგდებიან თანხმოვანთა შორის, ისინი განსაზღვრავენ სი-

ტყვა-ფორმას და ანიჰებენ მას გარკვეულ გრამატიკულ თუ ლექსიკურ მნიშვნელობას.

ეს მოვლენა დამახასიათებელია სემიტური ენებისათვის. მაგალითისათვის ავიღოთ არაბული სამთანხმონიანი ძირი ქ თ ბ, რომელსაც წერის მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ ძირში შეიკრებიან ხმოვანი აფიქსები თანხმონებს შორის და წარმოქმნიან სხვადასხვა სიტყვაფორმებს: ქა-თ-ა-ბა „მან დაწერა“, ქ-უ-თ-ი-ბა „დაიწერა“, ქა-ი-ი-ბუ „მწერალი“, ქ-ი-თ-ა-ბ-უ „წიგნი“, უ-ქ-თ-უ-ბ „წერა“ და სხვა.

მრავალ ენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე. წ. ნ უ ლ ო ვ ა ნ ი ა ფ ი ქ ს ი, რომელიც მდგომარეობს უ ა ფ ი ქ ს ო ბ ა შ ი ამავე პარადიგმის შიგნით აფიქსიანი ფორმების არსებობის პირობებში. (უაფიქსო ე. წ. „თავისუფალი ძირეული“ სიტყვა უპირისპირდება ნაწარმოები ფუძეების მქონე სიტყვებს).

ნ უ ლ ო ვ ა ნ ი ა ფ ი ქ ს ი საშუალებას გვაძლევს ძირეული მორფემა სიტყვისა სთლოვან (стол-), რომელსაც მხოლოდ საგნობრივი მნიშვნელობა აქვს, განვასხვაოთ სიტყვაფორმისაგან სთლ, რომელსაც ლექსიკურ მნიშვნელობასთან ერთად მოეპოვება ორი გრამატიკული მნიშვნელობა (სახელობითი ბრუნვისა და მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რიცხვისა) — გამოხატული ნულოვანი აფიქსით.

სიტყვაწარმოება (დერივაცია) ზ მ ნ უ რ ი ა, თუ აფიქსალური მორფემა ზმნურ ფუძეს ერთვის, და ს ა ხ ე ლ უ რ ი ა, თუ იგი სახელის ფუძეს უერთდება. მაგ.. აკეთებს გაკეთ-ებ-ულ-ი, მ-კეთ-ებ-ელ-ი გა-სა-კეთებ-ელ-ი — ზნური დერივაციის მაგალითებია, ხოლო კაც-ურ-ი. სა-კაც-ე, კაც-ობა — სახელურისა.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და მ ე ო რ ე უ ლ ი დ ე რ ი ვ ა ც ი ა. დერივაცია პირველადია, როდესაც აფიქსი უშუალოდ ერთვის ძირს (მარტივ ფუძეს), და მეორეულია, როდესაც აფიქსი ნაწარმოებ ფუძეს ერთვის. მთელ რიგ ენებში არსებობენ ე. წ. პირველადი ძირეული სიტყვები, რომლებიც მარტივ ფუძეებს ან ძირებს ემთხვევიან. მაგ. ინგლისური boy „ბიკი“, red „წითელი“, run „სვლა“ და სხვა. ძირეული მორფემები, რომელთაც შეიცავენ ასეთი პირველადი სიტყვები. იწოდებიან ზოგჯერ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ძ ი რ ე ბ ა დ და ისინი განსხვავდებიან რთული ძირებისაგან, რომლებიც მხოლოდ ე. წ. პირველად აფიქსებთან ერთად გვხვდებიან.

პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა ფ ი ქ ს ე ბ ი შეიძლება მოგვევლინონ ძირის აუცილებელ თანმხლებ ელემენტთა (ე. წ. დეტერმინანტთა) სახით, რომელთა მნიშვნელობაც გაურკვეველია. მაგალითად, ინგლისურში ყველაზე გავრცელებულია პირველადი სუფიქსები — დ ე ტ ე რ მ ი

ნ ა ტ ი ვ ე ბ ი. ისინი რაიმე მეტყველების ნაწილზე მითითებასაც კი არ შეიცავენ. მაგ., სუფიქსი -er, რომელიც გვხვდება სიტყვებში spider „ობობა“, bitter „მწარე“, linger „დაყოვნება“. ever „ყოველთვის“, under „ქვეშ“: სუფიქსი -le სიტყვებში bottle „ბოთლი“, little „პატარა“, hustle „აჩქარება“ და სხვა; სუფიქსი -ow სიტყვებში furrow „კვალი“, yellow „ყვითელი“, borrow „სესხი“ და სხვა.

ზოგ შემთხვევაში პირველადი აფიქსების (დეტერმინანტივების) მნიშვნელობა შეიძლება უფრო გარკვეული იყოს. მაგ., ინგლისურში სუფიქსი -ock და სხვა¹.

ასეთ დეტერმინანტივებად (ბუნდოვანი მნიშვნელობის ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებად), თანამედროვე ქართულის დონეზე შეიქლება მივიჩნიოთ ელემენტი -ლ სიტყვებში სახ-ლ-ი, თაფ-ლ-ი, ვაშლ-ი, ცეცხ-ლ-ი და სხვა.

სიტყვათწარმოების საშუალებანი აფიქსების სახით შეიძლება იყვნენ პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი. ე. ი. ცოცხალი, თანამედროვე ენაში ახალი სიტყვების ან ფორმების წარმოების ძალის მქონე. და ა რ ა პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ი, ე. ი. ისეთის არამქონენი, რომელთაც ეწოდება მკედარი აფიქსები. ქართული ენისათვის პროდუქტიული აფიქსების მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს მეტი წილი აფიქსებისა (პრეფიქსთა, სუფიქსთა და კონფიქსთა სახით): მე-, მა-, სა-, სე-, -ურ, -ელ, -არ, -ოვან, -ოსან. -ეულ; -იერ, სა- -ე, ნა- -ელ, ნა- -არ. უ- -ო-, უ- -ურ და სხვა.

წარმოქმნილი სახელები მეტწილად მეტყველების სხვა ნაწილებს განეკუთვნება, ვიდრე ძირეული. უფრო ხშირია არსებითისაგან ზედსართავი სახელის წარმოება და პირიქით (წეს-ი, წე-სიერ-ი, უ-წეს-ო, გულ-ი, გულ-ოვანი, სა-გულ-ე. მაგრამ თეთრ-ი, სი-თეთრ-ე და სხვა).

ბევრია არსებითისაგან არსებითი და ზედსართავისაგან ზედსართავის წარმოების შემთხვევებიც: სახლ-ი, სახლ-აკი, წიგნ-ი, წიგნ-აკი, ბუჩქ-ი, ბუჩქ-ნარი, კაც-ი. კაცობ-ა და სხვა; ლამაზ-ი, ულა-მაზ-ო, ნაზ-ი, უ-ნაზ-ეს-ი. კეთილ-ი, უკეთ-ური და სხვა.

¹ ინდოევროპულ ენებში დეტერმინანტივი ეწოდება გაურკვეველი მნიშვნელობის ფუძის მაწარმოებელ ელემენტს. რომელიც ერთიდაი პირველად ინდოევროპულ ძირს და გამოდიოდა სუფიქსის ან უბრალოდ ძირის გამკაცობის რილში.

ბ რ ა მ ა ბ ტ ი კ ა

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

ფონემა და მორფემა. თანამედროვე მეცნიერება განიხილავს ენას როგორც არაერთგვაროვანი ელემენტების მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ ერთობლიობას, რომელიც ხასიათდება რთული იერარქიული (საფეხურებრივი) სტრუქტურით. ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ ენობრივი ანალიზის სხვადასხვა დონეს, რომლებზეც მიმდინარეობს შესაბამისი ერთგვაროვანი ერთეულებისაგან შექმნილი სისტემების შესწავლა. ენობრივი ანალიზის ყველაზე დაბალ დონეს (საფეხურს) წარმოადგენს ფონოლოგია. მისი ობიექტია ფონემა და ის მიმართებები, რომლებიც შეიძლება დავადასტუროთ ფონემებს შორის მოცემულ ენაში. ფონოლოგია უშუალოდ არ უკავშირდება ენის შინაარსობრივ (სემანტიკურ) კლანს. ამა თუ იმ ენის იზოლირებულად განხილული ფონემა მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, არაფერს არ აღნიშნავს (არაფერზე არ მიუთითებს), მაგრამ გარკვეული წესით დალაგებულ ფონემათა კომბინაციები დაკავშირებული არიან ენის მნიშვნელობათა სფეროსთან და, ამგვარად, მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებად გვევლინებიან; მაგალითად, ქართული ენის /ა/, /ბ/ და /რ/ ფონემები ცალ-ცალკე არაფერს არ აღნიშნავენ, მაგრამ მათგან შედგენილი კომბინაცია /ბარ/ ქართულში გარკვეულ მნიშვნელობას უკავშირდება (შდრ. მიწას ბ ა რ-ი დავკარი, ბ ა რ-ს ტარი მოსტყდა. ბ ა რ-ით მუშაობს და მისთ). ანალოგიური, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული კომბინაცია შეიძლება შევადგინოთ /ა/, /ფ/ და /რ/ ფონემებისაგან: /ფარ/ (შდრ. ფ ა რ-ხმალი აისხა, მოქნეულ ხმალს ფარ-ი მარჯვედ დაუხვედრა, ფარ-სა იფარებს, ხმლითა და ფარ-ით იბრძოდა და მისთ, რომლებიც იზოლირებულად ან სხვაგვარ კომბინაციაში; მაგალითად /რფა/ აგრეთვე არ აღნიშნავენ რაიმეს). მორფემების სახელწოდებით აღნიშნავთ მნიშვნელობის მატარებელ

ერთეულებს, რომელთა შემდგომი დაშლა (დანაწევრება) შეუძლებელია მნიშვნელობის შეუცვლელად ან დაუზიანებლად. ამ განსაზღვრის თანახმად, მაგალითად, ქართული ბარ- და ფარ- მორფემებად უნდა განვიხილოთ ¹.

მორფემა არ განეკუთვნება ფონოლოგიის დონეს. იგი ენობრივი იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე პოულობს თავის ადგილს².

ფონემა მხოლოდ მორფემის საშუალებით უკავშირდება ენის მნიშვნელობათა სფეროს; უკავშირდება იმდენად, რამდენადაც ფონემას აქვს უნარი განასხვაოს ერთი მორფემა მეორისაგან გარეგანი გამოხატულების თვალსაზრისით (შდრ. ქართულში წყვილები: ბარ-ი — ფარ-ი, ბარ-ი — ბერ-ი, ქარ-ი — კარ-ი, ქარ-ი — ქორ-ი, ფურ-ი — პურ-ი, პურ-ი — პირ-ი, ბალ-ი — ზან-ი და მრავალი სხვა).

მორფემა უშუალოდ არის დაკავშირებული ენის შინაარსობრივ კლანთან.

მორფემა როგორც ალომორფების კლასი. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნეს, თითქოს მორფემა უშუალოდ შედგება ფონემებისაგან და, მაშასადამე, ფონემათა კომბინირების გზით შეიძლება მივიღოთ მორფემები. მაგრამ ურთიერთმიმართება ფონემებსა და მორფემებს შორის ასე მარტივი არ არის. საკმე ის არის, რომ ერთი და იგივე მორფემა შეიძლება სხვადასხვა ფონემური გამოხატულებით მოგვევლინოს სხვა-

¹ თუ ქართულ ბარ-მორფემას გამოვაცლებთ ერთ-ერთ ელემენტს, ვთქვათ, (რ) ფონემას, მივიღებთ ფონემათა (ბა) მიმდევრობას, რომელიც ქართულში არაფერს არ აღნიშნავს და, მაშასადამე, არ წარმოადგენს მორფემას. თუ ამავე მორფემას თავიკიდურ /ზ/ ფონემას გამოვაცლებთ, ფონემათა დარჩენილი /არ/ კომბინაცია ქართული ენის სხვა მორფემას დაემთხვევა. შდრ.: არ მინდა, არ გააკეთო და მისთ.

² ეს ასეა იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მორფემა „შედგება“ მხოლოდ ერთი ფონემისაგან. შდრ., მაგალითად, ქართ. ა-ბ-ამ-ს სიტყვა, რომლის ძირითადი მნიშვნელობა /ბ/ ფონემით გამოხატულ მორფემასთან არის დაკავშირებული. /ბ/ როგორც ფონემა თავისთავად არაფერს არ აღნიშნავს და შედის უამრავი მორფემის შემადგენლობაში: ბარ-ი, ბერ-ი, ბიჭ-ი, ბურთ-ი, ბუ, ბოლო, ბრძენ-ი, აზ-ბაე-ი, დაბა, ტბა, ძაბრ-ი, წარბ-ი, ა-ბ-ამ-ს, ი-ბან-ს, უ-კბ-ინ-ა და სხვ. [ბ] როგორც მორფემა (ფიგურული ფრჩხილები გამოიყენება მორფემის ჩასაწერად) ქართული ენის შინაარსობრივი სფეროს ერთ მონაკვეთთან არის დაკავშირებული, მონაკვეთთან, რომელიც ძალიან ზოგადად შეიძლება გავსაზღვროთ როგორც „ბმის“ მნიშვნელობა. შდრ.: ა-ბ-ამ-ს, და-ა-ბ-ა, და-ე-ბ-ა, მო-ი-ბ-ა, და-ბ-მ-ა. შე-ბ-მ-ა, და-ბ-მ-ელ-ი, შე-ბ-მ-ულ-ი, სა-ბ-ელ-ი „თოკი, რომლითაც მსხვილფეხა საქონელს აბამენ“ და სხვა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზოგ შემთხვევაში მორფემა შეიძლება არც ერთი ფონემისაგან არ „შედგებოდეს“ ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნულოვანი ფონემით იყოს გამოხატული.

დასხვა გარემოცვაში¹. მაგალითად, „წყლის“ აღმნიშვნელი მორფემა ქართულში წარმოგვიდგება ორგვარი ფონემური გამოხატულებით: /წყალ/ და /წყლ/. შდრ. წყალ-ი, წყალ-მა, წყალ-ო... წყლ-ისა(ა), წყლ-ით(ა), წყლ-ებ-ი და სხვა. „ღამის“ აღმნიშვნელ ლათინურ მორფემას აგრეთვე ორი ფონემური გამოხატულება შეესაბამება: /nok/ და /nokt/, შდრ. /noks/ „ღამე“, მაგრამ /nokt-is/ „ღამისა“².

ერთი და იმავე მორფემის სხვადასხვაგვარი ფონემური გამოხატულებანი აღინიშნება ალომორფების (ან მორფემული ალტერნანტების) სახელწოდებით. შეიძლება მათ ვუწოდოთ აგრეთვე მორფემის ვარიანტებიც.

ერთი მორფემის ალომორფები ხშირად ერთმანეთს ჰგვანან: შდრ. ქართ. /წყალ/ და /წყლ/³, ლათინ. /nok/ და /nokt/⁴, მაგრამ ზოგჯერ მათ შორის არავითარ (ან თითქმის არავითარ) მსგავსებას არა აქვს ადგილი: შდრ. ქართ. /ს/ და /მა/⁵; რომელნიც ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ და არც ერთი საერთო ფონემა არ მოეპოვებათ. შდრ. აგრეთვე ქართ. /მე/ და /ჩემ/⁶, ინგლ. I [ai] და me [mi:] „მე“ და მისთ.⁷

თუ დავუშვებთ, რომ მორფემა უშუალოდ შედგება ფონემებისაგან, მაშინ რა და რა ფონემებისაგან შედგება მოლაპარაკის (resp. პირველი პირის) აღმნიშვნელი მორფემა „მე“ ქართულში. ან ინგლისურში? როგორია „წყლის“ აღმნიშვნელი მორფემის ფონემური შედგენილობა ქართულში /წყალ-/ თუ /წყლ/, ან „ღამის“ აღმნიშვნელი მორფემის ფონემური შედგენილობა ლათინურში — /nok/ თუ /nokt/?.

ცხადია, უფრო თანამიმდევრული იქნება, თუ ვიტყვი, რომ მორფემა არ შედგება უშუალოდ ფონემებისაგან. ფონემები ქმნიან მორფემის გამოხატულებას ან, უფრო ზუსტად, წარმოადგენენ მორფემის ამა თუ იმ კონკრეტული გამოხატულების (ალომორფის) ელემენ-

¹ გარემოცვას ქმნიან ის მორფემები, რომელთა მეზობლობაშიც შეიძლება დავადასტუროთ ჩვენთვის საინტერესო მორფემა.

² ტრადიციული ორთოგრაფიით nox და noctis, შდრ. აგრეთვე pater „მამა“—patris „მამისა“; rex „მეფე“—regis „მეფისა“; pons „ხიდი“—pontis „ხიდისა“; cor „გული“—cordis „გულისა“ და სხვა.

³ ერთმანეთისაგან განსხვავადებთან მხოლოდ თანხმოვნებს შუა მოქცეული /ა/ ხმოვნის ქონა-არქონით.

⁴ ერთმანეთისაგან განსხვავადებთან მხოლოდ ბოლოკიდური /t/. თანხმოვნის ქონა-არქონით.

⁵ ე-ს, მაგრამ ა-მან, ა-მა-ს... ო-ს, მაგრამ ო-მან, ო-მა-ს...

⁶ ჩემ-თვის, ჩემ-კენ, ჩემ-გან...

⁷ ამგვარ მოვლენას, ჩვეულებრივ, უწოდებენ ხუპლეტრიზმს.

ტებს და მხოლოდ ამ გზით უკავშირდებიან მორფემას, ე. ი. ენის ისეთ ერთეულს, რომელიც ხასიათდება როგორც გამოხატულებით, ისე შინაარსით, მნიშვნელობით.

მორფემა არის მნიშვნელობის მქონე მინიმალური (უმცირესი) ერთეული, რომელიც წარმოგვიდგება ერთი ან რამდენიმე ალომორფის (resp. ალომორფთა კლასის) სახით.

ერთი და იმავე მორფემის ალომორფები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფონემური შედგენილობით, მაგრამ მნიშვნელობით ანუ სემანტიკურად ერთმანეთის ტოლფასნი არიან და გარკვეულ პირობებში შეუძლიათ ერთიმეორის მაგივრობა გასწიონ¹.

ერთი მორფემის ალომორფები სემანტიკურად უპირისპირდებიან სხვა მორფემათა ალომორფებს².

გრამატიკული მნიშვნელობა და ლექსიკური მნიშვნელობა. როგორც უკვე ვთქვით, მორფემა მნიშვნელობის მქონე მინიმალური ერთეულია. ამდენად მნიშვნელობა (სემანტიკა) ორგანულად შედის მორფემის დეფინიციაში (განსაზღვრაში). მაგრამ მნიშვნელობაც არის და მნიშვნელობაც. ჩვენ უნდა გავარჩიოთ მნიშვნელობათა ორი ძირითადი კლასი: გრამატიკული მნიშვნელობანი და ლექსიკური მნიშვნელობანი.

გრამატიკული მნიშვნელობა შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: გრამატიკულია მნიშვნელობა, რომელიც ამა თუ იმ სახით აუცილებლად არის წარმოდგენილი მოცემული ენის წინადადებაში. ლექსიკური მნიშვნელობის შემთხვევაში არჩევანი შედარებით თავისუფალია: მეტყველი აირჩევს სათანადო ლექსიკურ მნიშვნელობას, თუ მისი გამოხატვა საჭიროდ მიაჩნია მოცემულ სიტუაციაში. სხვა-ნაირად რომ ვთქვათ, გრამატიკულ მნიშვნელობას აქვს ობლიგატო-

¹ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. დისტრიბუციული მეთოდი.

² სემანტიკურ სხვაობასთან ერთად სხვადასხვა მორფემის ალომორფები უფრო ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფონემური შედგენილობითაც, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის: შდრ. ქართ. /ბარ/ (ბარ-ი) „სასოფლო-სამეურნეო იარაღი“ და /ბარ/ (ბარ-ი) „ის, რაც შთა არ არის“ (შდრ. შთა და ბარი და მისთ.), რომლებიც ფონემური შედგენილობით ერთმანეთს ემთხვევიან, მაგრამ სემანტიკურად აშკარად განსხვავდებიან და ამდენად სხვადასხვა მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავებულ მორფემათა ალომორფების ამგვარი ჰომოფონია (ე. ი. ფონემური შედგენილობის იგივეობა) არ შეიძლება შეუზღუდავი იყოს: ქართული ენის ყველა მორფემა რომ ფონემათა ერთი და იმავე (ვთქვათ, /ბარ/) კომბინაციით იყოს წარმოდგენილი, მაშინ ქართული ენა არ გამოდგებოდა ურთიერთგაგებინების საშუალებად.

რული (სავალდებულო) ხასიათი, მაშინ როდესაც ლექსიკური მნიშვნელობისათვის ასეთი ობლიგატორულობა ნიშანდობლივი არ არის¹.

ის, რაც ობლიგატორულია (სავალდებულოა) ერთი ენისათვის, შეიძლება არ იყოს ობლიგატორული მეორე ენისათვის. მაშასადამე, მნიშვნელობა, რომელიც გრამატიკულია ერთ ენაში, შეიძლება არ იყოს გრამატიკული მეორეში.

განვიხილოთ მაგალითები:

ქართულ წინადადებაში აუცილებლად იქნება წარმოდგენილი რიცხვის გაგება (მხოლოობითი ან მრავლობითი), მაგრამ სქესის გაგება შეიძლება არ იყოს წარმოდგენილი: წინადადება „მოსწავლემ დაწერა წერილი“ შეიცავს რიცხვის გაგებას (მხოლოობითი რიცხვი); შდრ. „მოსწავლეებმა დაწერეს წერილი“, სადაც პირველი ორი სიტყვა მრავლობითი რიცხვის გაგებას შეიცავს, მესამე მხოლოობითისას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომელი სქესისაა „მოსწავლე“ (გოგონაა, თუ ბიჭი), რიცხვი (მხოლოობითი ან მრავლობითი) ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, განეკუთვნება გრამატიკულ მნიშვნელობათა სფეროს, სქესი კი — ლექსიკურ მნიშვნელობათა სფეროს. ქართულ ენაზე მოლაპარაკე პირი აღნიშნავს სქესს იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის: „მოსწავლე გოგონამ დაწერა წერილი“, „მოსწავლე ვაჟებმა დაწერეს წერილი“ და მისთ².

¹ ეს მას არ ნიშნავს, რომ შეიძლება წარმოითქვას წინადადება ლექსიკურ მნიშვნელობათა გარეშე. ასეთ წინადადებას, თუ მას ვინმე წარმოთქვამს, მსმენელი ვერ გაიგებს და ამდენად, მკაცრად რომ ვთქვათ, ეს არც იქნება წინადადება: შდრ. მაგალითად, „ბიჭმა დაწერა წერილი“ და „და x-მა და z-მა y-ი“ (ე. ი. „იქნა და ზეტმა იგრეკი“). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკური მნიშვნელობა საერთოდ სავალდებულოა, მაგრამ ამა თუ იმ კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის არჩევისას მეტყველი შედარებით თავისუფალია. კერძოდ, ზემოთ წარმოდგენილ „წინადადებაში“ (რომელიც ქართული ენის ნამდვილ წინადადებას ჰგავს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ჩვენ ვპოულობთ ქართული ენის თვალსაზრისის სავალდებულო, ე. ი. გრამატიკულ მნიშვნელობებს) x-ის, z-ისა და y-ის ადგილას შეიძლება ვიგულისხმოთ უამრავი სხვადასხვა კონკრეტული მნიშვნელობა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი მნიშვნელობა ამა თუ იმ სახით აუცილებლად იქნება გამოხატული მოცემული ტიპის ყველა ქართულ წინადადებაში. სხვანაირად, თუ ლექსიკურ მნიშვნელობებს ცვლადების სახით წარმოვიდგენთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ გრამატიკული მნიშვნელობანი წარმოადგენენ კონსტანტებს, ე. ი. მუდმივ ოდენობებს.

² შდრ. წყვილები: გოგო-ბიჭები, ქალი-ვაჟი, და-ძმა, დედა-მამა, ბებია-ბაბუა, დედალი-მამალი, ძუ-ხვალი და სხვა.

ერთსა და იმავე ენაში შეიძლება აღმოგვაჩნდეს მონათესავე მნიშვნელობანი, რომელთაგან ზოგი ობლიგატორული იქნება და, მაშასადამე, გრამატიკულ მნიშვნე-

თუ შედარებისათვის მივმართავთ რუსულ ენას, ვნახავთ, რომ იქ გრამატიკულია არა მარტო რიცხვი, არამედ სქესიც, რამდენადაც ამ უკანასკნელსაც ობლიგატორული ხასიათი აქვს: ученик написал письмо, მაგრამ ученица написала письмо. ქართულად ვამბობთ — „მამა მოვიდა“, „დედა მოვიდა“, „წერილი მოვიდა“, რუსულად კი იტყვიან — отец пришёл, мать пришла, письмо пришло. „წიგნი“ უსულო საგანია, მაგრამ მისი აღმნიშვნელი სიტყვა книга რუსულში მდებარობითი სქესისაა. ასევე стол „მაგიდა“ მამრობითი სქესისაა, окно „ფანჯარა“ — საშუალოსი. რუსულად ლაპარაკისას მეტყველი ყოველ ნაბიჯზე აღნიშნავს სქესს, მიუხედავად იმისა, საჭიროდ მიაჩნია, თუ არა სქესის მნიშვნელობის გამოხატვა მოცემულ სიტუაციაში. ის იძულებულია ასე მოიქცეს, რადგანაც ამას მოითხოვს რუსული ენის სტრუქტურა, კერძოდ, გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურა.

გარდა აღნიშნული ფორმალური განსხვავებისა (ობლიგატორული — არაობლიგატორული), გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის სხვაგვარი, შინაარსობრივი ხასიათის განსხვავებაც არსებობს. ლექსიკური მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, უფრო ხელშესახებია, კონკრეტულია, მაშინ როდესაც გრამატიკული მნიშვნელობა ყოველთვის მეტ-ნაკლები აბსტრაქტულობით ხასიათდება. შდრ. ლექსიკური მნიშვნელობანი, რომლებიც ქართულში გამოიხატება სიტყვებით: ქვა, ხე, წყალი, მზე, ბალახი, ძალი, ცხენი, მგელი, სახლი, ეზო, კაცი, ბავშვი, მემანქანე, ექიმი და სხვ. თვით ისეთ „განყენებულ“ სიტყვათა მნიშვნელობებიც კი, როგორცაა მეცნიერება, სიყვარული, ბედნიერება, სამართლიანობა, ფილოსოფია, რელიგია და მისთ. ასე თუ ისე გასაგებია ყოველი რამდენადმე წიგნიერი ქართულისათვის. მაგრამ რას აღნიშნავენ /მა/ და /ი/ ალომორფებით წარმოდგენილი მორფემები წინადადებაში „კაც-მა მოკლა დათვი-ი?“ ამ კითხვაზე პასუხის ვაცემა არც ისე ადვილია, თუმცა აშკარაა, რომ /მა/ და /ი/ არ არიან მნიშვნელობას მოკლებული სეგმენტები². კერ-

ნელობათა სტრუქტურაში პოულობს თავის ადგილს, სხვებს კი არ ექნებათ სავალდებულო ხასიათი და ამდენად ლექსიკურ მნიშვნელობათა სფეროს მიეკუთვნებიან. მაგალითად, ქართულში, როგორც უკვე ვიცით, მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი გრამატიკული მნიშვნელობებია, მაგრამ გარდა აქისა, ქართულში გვაქვს სიტყვები, რომლებიც რიცხვის ვაგებას შეიცავენ: ერთი, ორი, სამი... ბევრი, ცოტა... ამ სიტყვათა მნიშვნელობანი არ შედიან ქართული ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურაში, რადგანაც მათი არსებობა წინადადებაში სავალდებულო არ არის.

² სეგმენტი ეწოდება მეტყველების ტექსტის ნებისმიერ მონაკვეთს.

ძოდ, საკმარისია ადგილები შევეუცვალოთ ამ სეგმენტებს და წინადადება რადიკალურად განსხვავებულ მნიშვნელობას მიიღებს: „კაც-ი მოკლა დათვ-მა“¹. შეიძლება ვთქვათ, რომ /მა/ და /ი/ ალომორფებით წარმოდგენილი მორფემები აღნიშნავენ გარკვეულ მიმართებას {კაც} და {დათვ} მორფემებით გამოხატულ ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის². ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განმარტებას, თუ რა ხასიათისაა ეს მიმართება. ვიტყვით მხოლოდ, რომ /მა/ და /ი/ ალომორფებით წარმოდგენილ მორფემათა მნიშვნელობები მდგომარეობს სწორედ ამგვარ მიმართებათა აღნიშვნაში და ეს მნიშვნელობები შეადგენენ ქართული ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურის ნაწილს.

იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გრამატიკული მნიშვნელობა ერთი შეხედვით უფრო კონკრეტულია და ხელშესახები, ის მაინც საკმაოდ დაცილებულია რეალობას. მაგალითად, სქესი, როგორც გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობლიობა (მამრობითი, მდედრობითი, საშუალო), რუსულში ძალიან ნაკლებად შეესაბამება რეალურ, ბიოლოგიურ სქესს. ეს რომ ასე არ იყოს, „წიგნი“ (книга) ვერ იქნებოდა მდედრობითი სქესისა, ხოლო „მაგიდა“ (стол) მამრობითისა. ანალოგიურ ვითარებას ვადასტურებთ ბევრ სხვა ენაშიც, სადაც სქესი გრამატიკულ მნიშვნელობათა სფეროში შედის. მაგალითად გერმანულში Mädchen „ქალიშვილი, გოგონა“ საშუალო სქესისაა, რაც, რასაკვირველია, აბსურდია ბიოლოგიური სქესის თვალსაზრისით, მაგრამ ნორმალურია გერმანული ენის სტრუქტურის თვალსაზრისით³.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: გრამატიკული მნიშვნელობა ობლიგატორულია, ლექსიკური მნიშვნელობა არ არის ობლიგატორული. გრამატიკული მნიშვნელობა აბსტრაქტულია, ლექსიკური მნიშვნელობა მეტი კონკრეტულობით ხასიათდება. ამ ორი კრიტერიუმიდან პირველი (ობლიგატორული — არაობლიგატორული)

¹ თუ ორსავე შემთხვევაში /მა/, ან /ი/ სეგმენტებს გამოვიყენებთ, მივიღებთ ორაზროვან და ქართული ენის თვალსაზრისით არასწორ წინადადებებს: „კაც-მა მოკლა დათვ-მა“, „კაც-ი მოკლა დათვ-ი“.

² ანალოგიური მიმართებები აღინიშნება იმავე /მა/ და /ი/ სეგმენტებით წინადადებებში: „მწერალ-მა დაწერა წიგნ-ი“, „ბავშვ-მა დახატა სურათ-ი“, „მგელ-მა შეჭამა ცხვარ-ი“, „ვახტანგ-მა აქო ზურაბ-ი“ და სხვა.

³ აქვე უნდა მივუთითოთ, რომ რუსულში რეალური სქესი აღინიშნება სიტყვით пол, ხოლო გრამატიკული სქესის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი род. შდრ. სათანადო ლათინური ტერმინები: sexus („რეალური სქესი“) და genus („გრამატიკული სქესი“).

ფორმალურია და პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელი. მეორე კრიტერიუმის გამოყენება მეტ სიძნელეებს ხვდება: შეიძლება ყოველთვის ვერ მოვახერხოთ „გაზომვა“ იმისა, თუ რომელი მნიშვნელობაა უფრო აბსტრაქტული და რომელი — ნაკლებ აბსტრაქტული. ამიტომ გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამიჯვნისას გადამწყვეტი ჩვენთვის სწორედ პირველი კრიტერიუმი იქნება.

გრამატიკის საგანი. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ გრამატიკა არის უნათმეცნიერების ის დარგი, რომელიც სწავლობს ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურას და ამ მნიშვნელობათა გამომხატვის საშუალებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან აგრეთვე სტრუქტურას.

გრამატიკული მნიშვნელობანი ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) მორფემებით გამოიხატება¹. გრამატიკულ მნიშვნელობათა გამომხატველ მორფემებს აღვნიშნავთ გრამატიკული მორფემების სახელწოდებით. შესაბამისად ლექსიკურ მნიშვნელობათა გამომხატველ მორფემებს შეიძლება ვუწოდოთ ლექსიკური მორფემები².

აშკარაა, გრამატიკის ობიექტს შეადგენენ პირველ რიგში სწორედ გრამატიკული მორფემები.

გრამატიკის ერთ-ერთი ამოცანაა გამოყოს გრამატიკული მორფემები, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია და დაადგინოს მათი განლაგება ერთიმეორის მიმართ და არაგრამატიკულ მორფემათა მიმართ სიტყვის ფარგლებში.

გრამატიკის ამოცანაა აგრეთვე სიტყვათა ურთიერთდაკავშირების წესების გამოკვლევა წინადადების ფარგლებში ისევე და ისევე გრამატიკულ მნიშვნელობათა გამომხატვის თვალსაზრისით.

¹ შდრ. ძველი ქართული „აბრაამ შვა ისააკ“ = „აბრაამა შვა ისაკი“. ა ბ რ ა ა მ და ის ა ა ე სიტყვებს რომ ადგილები შევეუცვალათ („ისააკ შვა აბრაამ“), მშობელი ისაკი გამოვა, ხოლო შობილი აბრაამი. ამ შემთხვევაში გრამატიკულ მნიშვნელობათა გამომხატველი მორფემების (შდრ. /შა/ და /ი/ სეგმენტებით წარმოდგენილი მორფემები თანამედროვე ქართულში: „ვახტანგ-მა აქო ზურაბი“ — „ვახტანგ-ი აქო ზურაბ-მა“) მაგივრობას ასრულებს სიტყვათა ფიქსირებული რიგი წინადადებაში.

² შეიძლება გამოიყოს კიდევ ერთი კლასი მორფემებისა, რომლებიც, მკაცრად რომ ვთქვათ, არც გრამატიკულ მნიშვნელობებს გამოხატავენ და არც ლექსიკურს. ამ კატეგორიის მორფემათა მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ლექსიკური მორფემებზე მათი დართვა შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ ახალი ლექსიკური მნიშვნელობანი. ამგვარ მორფემებს ეწოდება სიტყვის მაწარმოებელი წესი. სიტყვათმაწარმოებითი მორფემები. შდრ. ქვემოთ.

ამ ორგვარი ტიპის მიმართებების შესაბამისად გრამატიკას ჩვეულებრივ უოფენ ორ დარგად: პირველია მორფოლოგია, რომელიც წყვეტს გრამატიკულ ამოცანებს სიტყვის ფარგლებში, ხოლო მეორეა სინტაქსი, რომელსაც ეკისრება გრამატიკული ამოცანების გადაწყვეტა წინადადების ფარგლებში. ამ თავში განვიხილავთ მხოლოდ მორფოლოგიის საკითხებს.

სიტყვა როგორც გრამატიკის ობიექტი. შემდგომი მსჯელობისათვის აუცილებელია გვქონდეს სიტყვის როგორც ტერმინის განსაზღვრა, თუნდაც მიახლოებითი და ერთგვარად წინასწარი¹.

დავიწყოთ იქიდან, რომ სიტყვა უფრო რთული ოდენობაა, ვიდრე მორფემა. მართლაც, როგორც უკვე ვიცით, მორფემა მნიშვნელობის მატარებელი მინიმალური, ე. ი. დაუშლელი ერთეულია². სხვანაირად რომ ვთქვათ, მნიშვნელობის მქონე ერთეულთა დონეზე მორფემა წარმოადგენს ელემენტარულ, უსტრუქტურო, წერტილებრივ ოდენობას³. სიტყვა, ისევე როგორც მორფემა, მნიშვნელობის მქონე ერთეულია, მაგრამ, განსხვავებით მორფემისაგან, სიტყვა არ არის მნიშვნელობის მქონე ელემენტარული, უსტრუქტურო წერტილებრივი ოდენობა. სიტყვა „შედგება“ მორფემებისაგან დაახლოებით ისე, როგორც მორფემა „შედგება“ ფონემებისაგან და ამდენად სიტყვა შეიძლება დაეახსიანათ როგორც მორფემული სტრუქტურის მქონე ოდენობა, მაშინ როდესაც მორფემა შეიძლება დახსიანთდეს როგორც ფონოლოგიური ან მორფონოლოგიური სტრუქტურის მქონე ოდენობა⁴. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მიმართება სიტყვასა და მორფემას შორის მაინც

¹ სიტყვის, ისევე როგორც ენათმეცნიერების სხვა ელემენტარული ტერმინების, განსაზღვრა სერიოზულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამ სიძნელეთა განხილვას აქ არ შეუძლებით. აღვნიშნავთ, რომ სიტყვა ჩვენ გვანტერესებს მხოლოდ გრამატიკის თვალსაზრისით. განსხვავებული იქნება ამ ტერმინის მნიშვნელობა. ერთი მხრივ, ფონოლოგიისა და, მეორე მხრივ, ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით.

² ცხადია, მორფემა, უფრო ზუსტად, მორფემის ესა თუ ის კონკრეტული წარმომადგენელი, ალომორფი, შეიძლება დაეშალოს, მაგრამ ამ ოპერაციის შედეგად ვიღებთ ფონემებს, რომლებსაც არა აქვთ უშუალო კავშირი ენის შინაარსის პლანთან. და ამ გზით გადავდივართ ენობრივი იერარქიის დაბალ—ფონოლოგიურ—დონეზე.

³ იმდენად, რამდენადაც მორფემა „შედგება“ ფონემებისაგან (შდრ. ზემოთ § 49). მას შეიძლება მიეაწეროთ მხოლოდ ფონოლოგიური (ან, როგორც ხშირად ამბობენ, მორფონოლოგიური) სტრუქტურა.

⁴ კერძო შემთხვევაში სიტყვა შეიძლება ერთი მორფემისაგან „შედგებოდეს“, მაგრამ ეს არა ცულის საქმის არსს. შდრ. ზემოთ (1). მორფემა, რომელიც კერძო შემთხვევაში შეიძლება ერთი ფონემისაგან. „შედგებოდეს“. სხვათაშორის,

არსებითად განსხვავდება იმ მიმართებისაგან, რომელიც შეიძლება დავადგინოთ მორფემასა და ფონემას შორის. საქმე ის არის, რომ სიტყვაცა და მორფემაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიეკუთვნება მნიშვნელობის მქონე ერთეულთა დონეს, მაშინ როდესაც ფონემა დგას იერარქიული კიბის უფრო დაბალ საფეხურზე და წარმოადგენს მხოლოდ დისტინქციურ (განმასხვავებელ) ერთეულს. ამიტომ ზღვარი მორფემასა და ფონემას შორის უფრო არსებითია და ღრმა, ვიდრე ზღვარი მორფემასა და სიტყვას შორის¹.

როგორც უკვე ვიცით, მორფემა წარმოგვიდგება ალომორფების კლასის სახით². ერთი მორფემის ალომორფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფონემური შედგენილობით, მაგრამ ერთმანეთის ეკვივალენტურნი არიან მნიშვნელობით. ამავე დროს ერთი მორფემის ალომორფები სემანტიკურად უპირისპირდებიან სხვა მორფემათა ალომორფებს.

სწორედ ასევე სიტყვა წარმოგვიდგება როგორც კლასი ფორმებისა (resp. სიტყვაფორმებისა), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გრამატიკული მნიშვნელობებით, მაგრამ ერთიანდებიან ლექსიკური მნიშვნელობით³.

ერთი სიტყვის ფორმები (resp. სიტყვაფორმები) უპირისპირდებიან სხვა სიტყვათა ფორმებს ლექსიკური მნიშვნელობით იმ დროს,

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შეიძლება არსებობდეს სიტყვა, შედგენილი ერთი მორფემისაგან, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ერთი ფონემისაგან. მაგალითად, ფრანგული სიტყვა *eau* „წყალი“ შედგება ერთი მორფემისაგან {O}, რომელიც, თავის მხრივ, შედგენილია ერთი ფონემისაგან /o/.

¹ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგი ენათმეცნიერი, მაგალითად, ამერიკული საენათმეცნიერო სკოლის (ე. წ. „დესკრიფციული ლინგვისტიკის“) ზოგი წარმომადგენელი პრაქტიკულად თითქმის არ ასხვავებს ერთმანეთისაგან სიტყვასა და მორფემას. აქვე უნდა ითქვას, რომ ინგლისური ენის თვალსაზრისით სხვაობას სიტყვასა და მორფემას შორის უფრო ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ქართულისა, ან რუსული ენის თვალსაზრისით. ისეთ ენაში, როგორც არის, მაგალითად, ჩინური, ზღვარი სიტყვასა და მორფემას შორის კიდევ უფრო ძნელი დასადგენია, ვიდრე ინგლისურში. მეორე მხრივ, არ არსებობს ენა, რომლისთვისაც ფუნდამენტალური მნიშვნელობა არა მქონდეს მიჯნას მორფემასა და ფონემის დონეებს შორის.

² კერძო შემთხვევაში კლასი შეიძლება შედგებოდეს ერთი წევრისაგან ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფემას შეიძლება მქონდეს ერთი ალომორფი.

³ კერძო შემთხვევაში კლასი შეიძლება შედგებოდეს ერთი წევრისაგან. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, სიტყვას შეიძლება მქონდეს მხოლოდ ერთი ფორმა. სიტყვაფორმა არის რომელიმე სიტყვა რომელიმე გრამატიკულ ფორმაში, მაგ., *კაცმა*, *ვწერ*, *სძინავს* — სიტყვაფორმები.

როდესაც გრამატიკული მნიშვნელობები მათ შეიძლება საერთო ჰქონდეთ.

განვიხილოთ სიტყვაფორმათა შემდეგი ორი სერია ქართულში:

კაც-ი	ქალ-ი
კაც-მა	ქალ-მა
კაც-ს(ა)	ქალ-ს(ა)
კაც-ის(ა)	ქალ-ის(ა)

თითოეული სერიის შიგნით ადგილი აქვს სხვაობას გრამატიკულ მნიშვნელობათა თვალსაზრისით, მაგრამ ერთიანობას — ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

სხვადასხვა სერიებს შორის ადგილი აქვს სხვაობას ლექსიკურ მნიშვნელობათა თვალსაზრისით, მაგრამ ერთიანობას გრამატიკულ მნიშვნელობათა თვალსაზრისით (კაც-ი — ქალ-ი, კაც-მა — ქალ-მა, კაც-ს(ა) — ქალ-ს(ა), კაც-ის(ა) — ქალ-ის(ა)).

განხილული ორი სერია წარმოადგენს სიტყვაფორმათა ორ კლასს¹, რომლებშიც რეალიზდება ქართული ენის ორი სხვადასხვა სიტყვა.

მაგრამ მიმართება სიტყვასა და სიტყვაფორმას შორის არ არის იგივე, რაც მიმართება მორფემასა და ალომორფებს შორის.

ერთი მორფემის ალომორფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ფონემური შედგენილობით, მაგრამ ერთიანდებიან (ლექსიკური, ან გრამატიკული) მნიშვნელობით.

ერთი სიტყვის ფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა შარტო ფონემური გამოხატულებით, არამედ მნიშვნელობითაც, კერძოდ — გრამატიკული მნიშვნელობით. სიტყვაფორმების გაერთიანება ერთ სიტყვაში ხდება მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის ერთიანობის საფუძველზე.

სხვადასხვა მორფემის ალომორფები უპირისპირდებიან ერთმანეთს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობით და უფრო ხშირად ფონემური შედგენილობითაც.

სიტყვაფორმების გაერთიანება სხვადასხვა სიტყვაში ხდება ლექსიკურ მნიშვნელობათა სხვაობის საფუძველზე.

სიტყვა ჩვეულებრივ შეიცავს როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მნიშვნელობას. მორფემის მნიშვნელობა მიეკუთვნება ან ლექსიკურ მნიშვნელობათა ან გრამატიკულ (ან აგრეთვე სიტყვაწარმოებით) მნიშვნელობათა სფეროს.

¹ კლასები წარმოდგენილია არასრულად: შდრ. კაც-ით(ა) — ქალ-ით(ა) კაც-ად(ა) — ქალ-ად(ა) და მისთ.

სიტყვა უფრო ავტონომიური ერთეულია, ვიდრე მორფემა. მორფემა წარმოადგენს სიტყვის შემადგენელ ელემენტს. მაგრამ ეს დაშოკიდებულება არ არის მარტივი და უშუალო. მკაცრად რომ ვთქვათ, სიტყვა კი არ იშლება მორფემებად (და არც შედგება მორფემებისაგან), არამედ — სიტყვის ესა თუ ის კონკრეტული ფორმა (სიტყვა-ფორმა). მორფემა უკავშირდება სიტყვას მხოლოდ სიტყვაფორმაში. აქ შეიძლება არ მოგვაგონდეს ზემოთ აღწერილი ურთიერთმიმართება მორფემასა და ფონემას შორის. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვაობა მორფემასა და ფონემას შორის უფრო არსებითია, ვიდრე — სიტყვასა და მორფემას შორის.

სიტყვის განსაზღვრისას დგება კიდევ ერთი კითხვა: რით განსხვავდება სიტყვა მორფემათა ისეთი შეერთებისაგან (ან კომბინაციისაგან, resp. კონსტრუქციისაგან), რომელიც არ განიხილება როგორც ერთი სიტყვა?

სხვაგვარად ეს კითხვა ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: სად გადის ზღვარი სიტყვებს შორის მეტყველებაში (ტექსტში)?¹

მაგალითად, ქართული გამონათქვამი „არ მინდა“ ფონოლოგიური ძვალსაზრისით შეგვიძლია გარკვეულ მთლიანობად („ერთ სიტყვად“) განვიხილოთ, რამდენადაც მთელი გამონათქვამი ერთი მახვილის მატარებელია და გადასვლა პირველი მორფემის ბოლოკიდური /რ/ ფონემიდან მომდევნო მორფემის /მ/ ფონემაზე ისეთივეა, როგორსაც ჩვეულებრივ ვადასტურებთ ერთი სიტყვის ფარგლებში; ზღრ., მაგალითად, /არმინდა/ და /არმია/.

მაგრამ რას წარმოადგენს აღნიშნული გამონათქვამი გრამატიკის თვალსაზრისით — ერთ მთლიან სიტყვას, თუ ორი სიტყვის კომბინაციას?

ზოგი ლინგვისტი გვთავაზობს შემდეგს კრიტერიუმს:

თუ მორფემათა მოცემული კონსტრუქციის ორ ნაწილს შორის შეიძლება მოვათავსოთ კიდევ რამდენიმე (ბევრი) მორფემა, მაშინ ამ კონსტრუქციის აღნიშნული ორი ნაწილი უნდა განვიხილოთ როგორც ორი დამოუკიდებელი სიტყვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტრუქცია განიხილება როგორც ერთი სიტყვა.

ამ თვალსაზრისით ქართ. /არმინდა/ ორი სიტყვისაგან შემდგარ კონსტრუქციად უნდა იქნეს განხილული, რამდენადაც /არ/ და /მინდა/ კომპონენტებს შორის შეიძლება მოვათავსოთ საკმარისად ბევრი

¹ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტერმინი ტექსტი ხშირად იხმარება არა მხოლოდ დაწერილი ან დაბეჭდილი ტექსტის მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე ზეპირი მეტყველებითი გამონათქვამის მნიშვნელობითაც.

მორფემა: „არმინდა“, „არ-ც მინდა“, „არ კი მინდა“, „არ-ც კი მინდა“, „არ-ც ძალ-იან მინდა“, „არ-ც თუ ძალ-იან მინდა“, „არ-ც ღვინის დაღევ-ა მინდა, არ-ც პურ-ის ჭამ-ა“ და სხვ..

ამავე კრიტერიუმიდან ამოსვლით მორფემათა კონსტრუქცია კაც-ი ერთ სიტყვად უნდა იქნეს განხილული, რადგანაც /კაც/ და /ი/ კომპონენტებს შორის მხოლოდ ერთი მორფემა შეიძლება ჩაისვას — მრავლობითი რიცხვის ნიშანი: კაც-ებ-ი¹.

მაგრამ ეს კრიტერიუმი ზოგჯერ შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს.

კერძოდ, თუ მხოლოდ ამ კრიტერიუმს დავემყარებით, მორფემათა ზოგი კონსტრუქცია გერმანულში ორ სიტყვად უნდა განვიხილოთ, მაშინ როდესაც ენობრივი ინტუიცია (აღლო) გვეუბნება, რომ საქმე გვაქვს მთლიან სიტყვებთან. მაგალითად, წინადადებაში „machen Sie die Augen auf“ („გაახილეთ თვალები!“) mach- და auf მორფემები ერთმანეთისაგან გათიშული არიან რამდენიმე მორფემით, რაც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ცალკე სიტყვებს წარმოადგენენ. ამავე დროს თანახმად ენობრივი ინტუიციისა და ტრადიციული გრამატიკისა (რომელიც ხშირად იმავე ინტუიციით ხელმძღვანელობს), აქ საქმე გვაქვს ერთი მთლიანი სიტყვის კომპონენტებთან, თუმცა ტრადიციულ გრამატიკას არ მოეპოვება აშკარად ფორმულირებული კრიტერიუმი; რომლის გამოყენებაც შესაძლებლობას მოგვცემდა ეს ინტუიციურად მართებული თვალსაზრისი მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებად გვექცია.

ამიტომ საკიროა შემოვიტანოთ დამატებითი კრიტერიუმი, რომელიც დაემყარება ჩვენს წარმოდგენას სიტყვის, როგორც ფორმათა (resp. სიტყვაფორმათა) კლასის, შესახებ.

მართლაც, თუ სიტყვებს განვიხილავთ, როგორც სიტყვაფორმათა კლასს, მაშინ საკითხი იმის შესახებ, ერთი მთლიანი სიტყვაა ჩვენ წინაშე, თუ ორი (ან მეტი) სიტყვისაგან შედგენილი კონსტრუქცია, უნდა წყდებოდეს არა ცალკეული სიტყვაფორმის მიმართ, არამედ მთელი კლასის მიმართ, რომლის წევრადაც შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენთვის საინტერესო კონსტრუქცია.

თუ გათიშული კომპონენტების მქონე კონსტრუქცია შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც წევრი სიტყვაფორმათა კლასისა, რომლის დანარჩენი წევრებიდან ერთი მაინც გვიჩვენებს იმავე კომპონენტებს უწყვეტი მიმდევრობის სახით, უფლება გვაქვს და-

¹ შტრ. ამავე მორფემის მეორე აღმომრთი /ნ/: კაც-ნ-ი.

ვასკენათ, რომ ჩვენ წინაშე ერთი მთლიანი სიტყვის ერთ-ერთი ფორმა.

ზემოთ წარმოდგენილი გერმანული მაგალითი სწორედ ასეთ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გათიშული კომპონენტების მქონე კონსტრუქცია mach... auf შეიძლება განვიხილოთ როგორც წვერი სიტყვაფორმათა კლასისა, რომლის ერთ-ერთი წევრია აგრეთვე auf-machen („გაღება, გახელა და სხვა“) კომპონენტების უწყვეტი მიმდევრობით, რაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ mach-(en) და auf ერთი მთლიანი სიტყვის ელემენტებს შეადგენენ და არა ორ დამოუკიდებელ სიტყვას¹.

ახლა თუ დაუბრუნდებით უფრო ადრე გაანალიზებულ ქართულ გამონათქვამს (არმინდა), შეიძლება ვთქვათ: ეს გამონათქვამი განიხილება როგორც ორი სიტყვისაგან შემდგარი კონსტრუქცია არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებელია (არ) და (მინდა) კომპონენტების გათიშვა რამდენიმე მორფემით, არამედ იმიტომაც (და ეს უფრო არსებითია!), რომ ვერ ავაგებთ საერთო ლექსიკური მნიშვნელობისა და განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვაფორმების კლასს, რომლის ერთ-ერთ წევრადაც შეგვძლებოდა განგვიხილა ზემოაღნიშნული კონსტრუქცია.

როგორც ზემოთ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, სიტყვას შეიძლება ჰქონდეს როგორც უწყვეტი, ისე წყვეტილი ფორმები. დასაშვებია აგრეთვე სიტყვის შემადგენელი ნაწილების რიგის შეცვლა (მღრ. გერმან. aufmachen და mach....auf).

ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სიტყვა შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტყვაფორმათა კლასის სახით. კერძო შემთხვევაში კლასი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი წევრისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგიერთი სიტყვა ერთი და იმავე ფორმით² გვევლინება მისთვის

¹ კონსტრუქციები mach.....auf და aufmachen ერთიანდებიან სიტყვაფორმათა ერთ კლასში იმ საფუძველზე, რომ მათ აქვთ საერთო ლექსიკური მნიშვნელობა და განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობანი (მღრ. ზემოთ).

² გრამატიკის (მორფოლოგიის) დონეზე ფორმაში იგულისხმება სიტყვის მორფემული შედგენილობა (შეიძლება აგრეთვე ვთქვათ: აგებულება, სტრუქტურა) და არა თვით მორფემის ფონეტიკური გამოხატულება, რომელიც შეიძლება ცვალებადი იყოს. მაგალითად, სეგმენტში (მა) სიტყვაფორმაში კაც-მა და სეგმენტი (მ) სიტყვაფორმაში დედა-მ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფონეტიკური შედგენილობით, მაგრამ ისინი ერთი და იმავე გრამატიკული მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ, და მათსადასრულად, გრამატიკის თვალსაზრისით ფონეტიკური გამოხატულების ეს სხვაობა არაარსებითია.

დასაშვებ ყველა კონტექსტში¹. აღნიშნოთ ამ ტიპის სიტყვები ფორმაუცვლელის სახელით; მაშინ ფორმაცვალეზადი იქნება სიტყვები, რომლებიც რეალიზდებიან სიტყვაფორმასა მრავალწევრიანი (ერთზე მეტწევრიანი) კლასების სახით. ფორმაუცვლელი სიტყვა შეიძლება „შედგებოდეს“ ერთი ან მეტი მორფემისაგან. ერთი მორფემისაგან შედგენილი სიტყვა ყოველთვის ფორმაუცვლელია. ერთზე მეტი მორფემისაგან შედგენილი სიტყვა შეიძლება იყოს როგორც ფორმაუცვლელი, ისე ფორმაცვალეზადი. ფორმაცვალეზადი სიტყვა უნდა შეიცავდეს მინიმუმ ორ მორფემას.

ერთმორფემიანი ფორმაუცვლელი სიტყვებია, მაგალითად, ქართ. ალბათ, ჰო, კი, დიას, არა, მაგრამ, წინ, უკან და მისთანანი.

მრავალმორფემიანი ფორმაუცვლელი სიტყვების ნიმუშებია: ქართ. ძალ-იან, მალლ-ა, დაბლ-ა, ძირ-ს, გვერდ-ით, კარგ-ად, ცუდ-ად, უკეთეს-ად (ან უკეთ) და მისთ.

ფორმაცვალეზადი სიტყვებია: ქართ. კაც-ი, ქალ-ი, ბავშვ-ი, ბიჭ-ი, ძმა (შდრ. ძმა-მ, ძმა-ს...), ხე (შდრ. ხე-მ, ხე-ს...), გოგო (შდრ. გოგო-მ, გოგო-ს...), ბუ (შდრ. ბუ-მ, ბუ-ს...), წაბლ-ი, ბალახ-ი, ურემ-ი, ქალაქ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, კახ-ელ-ი, გურ-ულ-ი, დიდ-ი, პატარა (შდრ. პატარა-მ; პატარა-ს...), ლურჯ-ი, მწვანე (შდრ. მწვანე-მ, მწვანე-ს), უდიდეს-ი, უმალლეს-ი, მე-ურმ-ე (შდრ. მე-ურმ-ე-მ, მე-ურმ-ე-ს), მონადირ-ე (შდრ. მონადირ-ე-მ, მონადირ-ე-ს...), წერ-ს. ხატ-ავ-ს, გა-აკეთ-ა, შე-კამ-ა, ა-უ-შენ-ა და მრავალი სხვა.

ძირი და აფიქსი. აფიქსების განლაგება სიტყვაში ძირის მიმართ. მრავალმორფემიან სიტყვაში (ფორმაუცვლელი იქნება ის, თუ ფორმაცვალეზადი) აუცილებლად ვიპოვით თუნდაც ერთ მორფემას, რომელსაც ექნება ლექსიკური მნიშვნელობა².

ვეწოდით ამგვარ მრავალმორფემიანი სიტყვის შედგენილობაში შემავალ ლექსიკურ მორფემას ძირი ანუ ძირეული მორფემა, ხოლო დანარჩენი, ე. ი. გრამატიკული (ან აგრეთვე სიტყვაწარმოებითი)

¹ კონტექსტს ქმნიან სიტყვები, რომლებთან კომბინაციაში შეიძლება დავადასტუროთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა.

² შეიძლება სიტყვაში აღმოვაჩინოთ ერთზე მეტი ლექსიკური მორფემა. მაგალითად, ქართ. ბუტ-ბუტ-ი, ჩუხ-ჩუხ-ი, რაკ-რაკ-ი, ლაქ-ლაქ-ი, ლიკ-ლიკ-ი, ბი-ბინ-ი, კი-კუინ-ი, რახა-რუხ-ი, ლაწა-ლუწი-ი, ბიჭ-ბუჭ-ები და მისთ., სადაც ადგილი აქვს ერთი და იმავე ლექსიკური მორფემის გაორმაგებას (ზოგჯერ ფონემური გამოხატულების მოდიფიკაციით), ან და-ძმა, ცოლ-ქმარ-ი, მამა-შვილ-ი, დედ-მამა, გოგო-ბიჭ-ები, დედა-მინა, შავ-თვალა-ა, და მისთ., სადაც ადგილი აქვს ორი სხვადასხვა ლექსიკური მორფემის კომბინირებას ერთ სიტყვაში (ზოგჯერ ერთ-ერთი მათგანის ფონემური გამოხატულების მოდიფიკაციით). ამგვარ სიტყვებს ვწოდებართული სიტყვები ანუ კომპოზიტები.

მნიშვნელობის მქონე მორფემები აღენიშნოთ აფიქსების (ან ფორ-
მანტების) სახელწოდებით¹.

აფიქსების განლაგება სიტყვაში ძირის მიმართ შეიძლება სხვა-
დასხვაგვარი იყოს.

აფიქსს, რომელიც წინ უძღვის ძირეულ მორფემას, ეწოდება
პრეფიქსი (წინასართი, თავსართი).

აფიქსს, რომელიც მოსდევს ძირეულ მორფემას, ეწოდება სუ-
ფიქსი (ბოლოსართი).

პრეფიქსები ძალიან ხშირად გვხვდება ქართულში. მაგალითად:
ვ-წერ, ვ-ხატავ, მ-კლავს, გ-კლავს, გვ-ხედავს, ი-მეფა, ი-ცხოვრა,
ნა-ხატი, ნა-ქარგი, ნა-ჭერი, ნა-კერი, და მისთ².

ქართული ენა მდიდარია აგრეთვე სუფიქსებით: კაც-ი, ბავშვ-მა,
დედა-მ, ძმა-ს(ა), ამხანაგ-ის(ა), თოფ-ით(ა), ექიმ-ად, და-ო, წუხ-ს,
დახატ-ა, ჭამ-ეს, მოვიდ-ნენ, ეწერ-თ, ძალ-იან, გვერდ-ით, კარგ-ად,
ჩქარ-ა და სხვა.

ერთსა და იმავე სიტყვაში (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: სიტყვა-
ფორმაში) შეიძლება გვექონდეს ერთზე მეტი პრეფიქსი ან ერთზე-
მეტი სუფიქსი. მაგალითად, სიტყვაფორმაში ვ-ი-წერ ორი პრეფიქ-
სია, სიტყვაფორმაში ქალაქ-ელ-ებ-ი სამი სუფიქსია, ხოლო სიტყვა-
ფორმაში მ-ი-შენ-ებ-ენ — ორი პრეფიქსი და ორი სუფიქსი.

ზოგჯერ აფიქსი შეიძლება ძირეული მორფემის შიგნითაც აღმოჩნ-
დეს. მათ ინფიქსების სახელწოდებით აღნიშნავენ. ინფიქსის მაგა-
ლითად შეგვიძლია დავასახელოთ /ვ/ ელემენტი ქართულ სიტყვა-
მორფემებში: ბ-ვ-ნ-ა, კ-ვ-ლ-ა, ძ-ვ-რ-ა...³ ინფიქსია აგრეთვე (ი)
ელემენტი ლათინურში: vi-ი-ც-ი „ვიმარჯვებ“, მაგრამ vic-tor „ვა-
მარჯვებული“.

არსებობს უფრო რთული სახის აფიქსებიც. ასეთია, მაგალითად,
ცირკუმფიქსი (ან კონფიქსი), რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, გარს
ერთჯერადს ძირეულ მორფემას. ცირკუმფიქსები არაიშვიათად დას-
ტურდება ქართულში. შდრ: სა-ქათმ-ე, სა-მელნ-ე, სა-გზა-ო... მე-

¹ ძირი და აფიქსი ერთმეორეს უპირისპირდებიან და ამავე დროს ერთი-
მეორეს გულისხმობენ. ამიტომ ერთი მორფემისაგან შედგენილ სიტყვებში აზრი
არა აქვს საუბარს ძირისა და აფიქსის შესახებ.

² ზოგ ენაში შეიძლება სრულებით ვერ ვიპოვოთ პრეფიქსები. ასეთია, მაგა-
ლითად, თურქული, აზერბაიჯანული და ზოგი სხვა მათთან ახლოს მდგომი ენა.

³ შდრ. ვ-ხნ-ავ, ვ-კლ-ავ, ვ-ძრ-ავ... მო-ვ-ხან-ი, მო-ვ-კალი, და-ვ-ძარ-ი. შდრ.
აგრეთვე ხატ-ე-ა, თეს-ე-ა. ბარ-ე-ა და მისთ., სადაც იგივე (ე) ელემენტი სუფიქ-
სად გვევლინება.

--ურმ-ე, მე-ღვინ-ე, მო-ხელ-ე და მისთ., სადაც სა....ე (resp. სა-....ო) და მე-....ე (resp. მო-....ე) ცირკუმფიქსებია¹.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ სიტყვაში, ადგილის თვალსაზრისით ძირეული მორფემა ისეთსავე მიმართებაშია ცირკუმფიქსთან, როგორშიც ინფიქსი ძირეულ მორფემასთან.

ფუძე და ფლექსია; ფლექსია და დერივაცია- თუ ფორმაცვალებადი სიტყვა ორი მორფემისაგან შედგება, ცხადია, ერთი ამ მორფემათაგანი იქნება ძირი, ხოლო მეორე — აფიქსი. ვუწოდოთ ფლექსია აფიქსს, რომელიც შედის ორმორფემიანი ფორმაცვალებადი სიტყვის შემადგენლობაში. თუ ფორმაცვალებადი სიტყვა სამი მორფემისაგან შედგება, ერთ-ერთი მათგანი მაინც აუცილებლად ფლექსია იქნება. სიტყვის ნაწილი, რომელსაც ვიღებთ ფლექსიების ჩამოცილების შემდეგ, არის ფუძე. მაგალითად, ქართულ სიტყვაში ქალაქი -ი ელემენტი ფლექსიაა, ხოლო ქალაქ- ელემენტი წარმოადგენს ფუძეს. ამ მაგალითის მიხედვით შეიძლება გვეგონოს, რომ ფუძე იგივეა, რაც ძირი, მაგრამ ასეთი დასკვნა მცდარი იქნებოდა. შეიძლება ძირეულ მორფემაზე აფიქსის დართვის შედეგად მივიღოთ მორფემათა ისეთი შეერთება (კონსტრუქცია), რომ მას აღმოაჩნდეს უნარი შევიდეს კომბინაციაში იმავე ფლექსიებთან, რომლებსაც დაირთავს უშუალოდ ძირეული მორფემა. მორფემათა ამგვარად მიღებული კონსტრუქცია აგრეთვე ფუძე იქნება. მაგალითად, ქართული ქალაქ- ფუძე, რომელიც თავისი ზომით ძირეულ მორფემას ემთხვევა, დაირთავს -ი, -მა, -ს(ა) და მსგავს ფლექსიებს (ქალაქი, ქალაქ-მა, ქალაქ-ს(ა) და ა. შ.); თუ ქალაქ- მორფემას დაეურთავთ -ელ სუფიქსს, მივიღებთ მორფემათა კონსტრუქციას ქალაქ-ელ-, რომელსაც აქვს უნარი შევიდეს კომბინაციაში იმავე -ი, -მა, -ს(ა) და მსგავს ფლექსიებთან (ქალაქ-ელ-ი, ქალაქ-ელ-მა, ქალაქ-ელ-ს(ა) და ა. შ.) და რომელიც, თანახმად განსაზღვრისა, ისეთივე ფუძეა, როგორიც -ქალაქ-. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ქალაქ-მარტივი ფუძეა, ე. ი. შეიცავს მხოლოდ ერთ ძირეულ მორფემას, მაშინ როდესაც ქალაქ-ელ არის ნაწარმოები ფუძე, ე. ი. ისეთი ფუ-

¹ ვვარაუდობთ, რომ (სა-....ე) და (სა-....ო) ერთი და იმავე მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ. ანალოგიურია მიმართება (მე-....ე) და (მო-....ე) სეგმენტებს შორის.

² როგორც ზემოთ ითქვა (§ 54), ერთმორფემიანი სიტყვა არ შეიძლება ფორმაცვალებადი იყოს.

ძე, რომელიც შეიცავს გარდა ძირეული მორფემისა, ერთ (ან რამდენსამე) აფიქსსაც¹.

აფიქსს, რომელსაც აქვს უნარი აწარმოოს ახალი ფუძე მარტივ ან ნაწარმოებ ფუძეზე დართვის გზით, ეწოდება დერივაციული აფიქსი².

დერივაციული აფიქსების საშუალებით ფუძეთა წარმოების (წარმოქმნის) პროცესს ეწოდება დერივაცია. მაგალითად, ქართ. ქალაქი — ქალაქ-ელ-ი, მელანი — სა-მელნ-ე, ვ-ხა-ტავ — ვ-ხატ-ავ-დი და მისთ.³

ერთსა და იმავე ფუძესთან ფლექსიების ურთიერთშენაცვლების პროცესს უწოდებენ მიმოხრას (resp. ფორმაცვალებას ან ფლექსიას)⁴. მაგალითად, ქართ. კაცი-ი, კაც-მა, კაც-ს(ა)... ქალაქ-ელ-ი, ქალაქ-ელ-მა, ქალაქ-ელ-ს(ა)... ვ-წერ, ს-წერ, წერ-ს, მ-წერ-ს, გ-წერ-ს, მ-წერ, გ-წერ და სხვ.

გრამატიკული დერივაცია და ლექსიკური დერივაცია (სიტყვა-წარმოება). ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ფლექსია არის არაძირეული მორფემა (აფიქსი), რომელიც აუცილებლად შედის ორმორფემიანი ფორმაცვალებადი სიტყვის შედგენილობაში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფლექსია ყოველთვის გრამატიკული და მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელი მორფემაა, რადგანაც ერთი და იმავე სიტყვის ფორმები ერთმანეთისაგან მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობებით განსხვავდებიან. მიმოხრას (ე. ი.

¹ ფუძე და ფლექსია ერთმანეთს უპირისპირდებიან და ამავე დროს ერთმანეთს გულისხმობენ. იქ, სადაც არა გვაქვს ფლექსიები, აზრი არა აქვს საუბარს ფუძეების შესახებ. აქედან, სხვათაშორის, ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ფუძე მხოლოდ ფორმაცვალებად სიტყვას შეიძლება ჰქონდეს, მაშინ როდესაც ძირი შეიძლება გამოეყოთ ფორმაცვალეული სიტყვის შემადგენლობაშიც, თუ ის ერთზე მეტი მორფემისაგან შედგება.

² ამ განსაზღვრიდან გამომდინარეობს, რომ ფუძე შეიძლება შეიცავდეს ერთზე მეტ დერივაციულ აფიქსს. შდრ.. მაგალითად, ქართ. სა-მამ-ულ-ო, რომლის შედგენილობაშიც გამოიყოფა დერივაციული -ულ სუფიქსი და აგრეთვე დერივაციული ცირკუმფიქსი სა-...-ო.

³ ისრიით (—) აღინიშნება დერივაციის მიმართულება: შეიძლება შევთანხმდეთ, რომ მარტივი ფუძე ამოსავალია ნაწარმოებისათვის, ერთი დერივაციული აფიქსის მქონე ფუძე — ორი დერივაციული აფიქსის მქონე ფუძისათვის და ა. შ.. თავისთავად ცხადია, პროცესი შეიძლება შევებრუნოთ: ნაწარმოები ფუძისაგან მივიღოთ მარტივი ფუძე დერივაციული აფიქსის გამოკლებით და სხვა.

⁴ როგორც ვხედავთ, ტერმინი ფლექსია ორაზროვანია: ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს გარკვეული ტიპის გრამატიკულ მორფემას (იხ. ზემოთ); სხვა შემთხვევაში — ერთსა და იმავე ფუძესთან ამ ტიპის გრამატიკულ მორფემათა (ფლექსიათა) ურთიერთშენაცვლების პროცესს.

ფლექსიების ურთიერთშენაცვლებას ერთსა და იმავე ფუძესთან) ყოველთვის ერთი სიტყვის ფარგლებში აქვს ადგილი.

უფრო რთულია დერივაციის საკითხი. მართლაც, დერივაციას პროცესში ახალი ფუძეები წარმოიქმნებიან; მაგრამ ნიშნავს თუ არა ახალი ფუძეების წარმოქმნა ყოველთვის ახალი სიტყვების წარმოქმნასაც? სხვანაირად რომ ვთქვათ: შეიძლება თუ არა ტოლობის ნიშნის დასმა დერივაციასა და სიტყვაწარმოებას შორის?

განვიხილოთ მაგალითები:

-ებ სუფიქსის დართვა კაც- ფუძეზე¹ ქართულში გვაძლევს ნაწარმოებ ფუძეს კაც-ებ-, რაც იქიდან ჩანს, რომ ორი მორფემისაგან შემდგარი კონსტრუქცია კაც-ებ- დაირთავს იმავე ფლექსიებს, რომლებიც შეიძლება დავადასტუროთ მარტივ ერთმორფემიან ფუძესთან კაც-. შდრ.:

კაც-ი	კაც-ებ-ი
• კაც-მა	კაც-ებ-მა
კაც-ს(ა)	კაც-ებ-ს(ა)
კაც-ის(ა) და სხვ.	კაც-ებ-ის(ა) და სხვ.

ამგვარად ამჟაარაა, რომ კაც- და კაც-ებ- ორი სხვადასხვა ფუძეა. -ებ სუფიქსის დართვა კაც- ფუძეზე განეკუთვნება დერივაციას და არა მიმოხრას (კაც- → კაც-ებ-, როგორც ქალაქ- → ქალაქ-ელ- და მისთ.) მაგრამ შეიძლება თუ არა კაც-ი და კაც-ებ-ი ორ სხვადასხვა სიტყვად მივიჩნიოთ?

ორი სხვადასხვა სიტყვა ერთმანეთისაგან პირველ რიგში ლექსიკური მნიშვნელობით უნდა განსხვავდებოდეს, რასაც ვერ ვიტყვიო ჩვენთვის საინტერესო ფორმების (კაც-ი და კაც-ებ-ი) შესახებ. შინაარსობრივს პლანში ეს ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ რიცხვის თვალსაზრისით (მხოლოდობითი — მრავლობითი), ხოლო რიცხვა, როგორც უკვე ვიცით, ქართულში (ისევე როგორც რუსულში, გერმანულში, ფრანგულში, ლათინურში, თურქულში და ბევრ სხვა ენაში) გრამატიკულ მნიშვნელობათა სფეროს მიეკუთვნება: რიცხვის (მხოლოდობითის ან მრავლობითის) გაგებას აუცილებლად შეიცავს ქართული ენის ნებისმიერი წინადადება.

მაშასადამე, კაც-ი და კაც-ებ-ი ორი სხვადასხვა სიტყვა კი არ არის, არამედ ერთი და იმავე სიტყვის ორი ფორმა (ორი სიტყვა-ფორმა).

მარტივი წერ- ფუძისგან ი- პრეფიქსის დართვით ქართულში ახალ ფუძეს ვიღებთ: ი- წერ- შდრ..

¹ კაც- მარტივი ფუძეა, რადგანაც თავისი ზომით ძირეულ მორფემას უდრის.

ვ-წერ
ს-წერ
წერ-ს და სხვ.

ვ-ი-წერ
ი-წერ
ი-წერ-ს და სხვა¹.

მაგრამ შეიძლება, თუ არა ვამტკიცოთ, რომ ვ-წერ და ვ-ი-წერ სხვადასხვა სიტყვებია?

ამგვარი მტკიცებისათვის საფუძველი არა გვაქვს: შინაარსობრივი განსხვავება ვ-წერ და ვ-ი-წერ ფორმებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეორე შემთხვევაში აღინიშნება მოქმედების ადრესატი — მოქმედება ხორციელდება მოქმედის სასარგებლოდ, ან მისკენ არის მიმართული; პირველ შემთხვევაში კი ასეთ კონკრეტულობას ადგილი არა აქვს². თუ ზოგიერთ გამოცდას არ მივიღებთ მხედველობაში, ამგვარ მიმართებათა გამოხატვა (დადებითი ან უარყოფითი) ნებისმიერ ქართულ წინადადებაში შეიძლება აღნიშნოს. მაშასადამე, შინაარსობრივი სხვაობა ვ-წერ და ვ-ი-წერ ფორმებს შორის ქართული ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურაში პოულობს თავის ადგილს, ხოლო აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვ-წერ და ვ-ი-წერ სხვადასხვა სიტყვებს კი არ წარმოადგენენ, არამედ — ერთი და იმავე სიტყვის ორ ფორმას (ორ სიტყვაფორმას).

ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დერივაცია, ე. ი. ფუძეთა წარმოქმნა არ უდრის ყოველთვის სიტყვათა წარმოქმნას (სიტყვაწარმოებას).

უნდა გავარჩიოთ გრამატიკული დერივაცია, ე. ი. ფუძეთა წარმოქმნა ერთი და იმავე სიტყვის ფარგლებში, რასაც თან ახლავს გრამატიკულ მნიშვნელობათა მონაცვლეობა³, და ლექსიკური დერივაცია ანუ სიტყვაწარმოება, რაც დაკავშირებულია ლექსიკურ მნიშვნელობათა ცვლასთან⁴.

¹ აქედან ჩანს, რომ წერ- და ი-წერ- კონსტრუქციები ფლქსიითა ერთსა და იმავე კლასთან კომბინირებენ და ამდენად, თანაბრად განსაზღვრისა, სხვადასხვა ფუძეებს წ. რმოადგენენ.

² შდრ. აგრეთვე ვ-ი-წერ-ს, სადაც ადრესატს მოქმედი, ე. ი. ის, ვინც წერს, კი არ წარმოადგენს, არამედ სხვა პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება მოქმედება.

³ აქედან, სხვათაშორის, ისიც გამომდინარეობს, რომ ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი ფუძე. მაგალითად, კაც- და კაც-ებ- ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა ფუძეა (მხოლოობითისა და მრავლობითისა) შდრ. აგრეთვე წერ- და ი-წერ-.

⁴ ლექსიკური დერივაციის ნიმუშებად გამოდგება ისეთი მაგალითები, როგორცაა: ქალაქ-, ქალაქ-ელ-, მელან-, სა-მელნ-ე და მისთ. აღვილია დაერწმუნდეთ

აშკარაა, რომ გრამატიკული დერივაცია გრამატიკის სფეროში შედის, ისევე როგორც — ფლექსია (მიმოხრა).

რაც შეეხება ლექსიკურ დერივაციას (სიტყვაწარმოებას), მას ხშირად ლექსიკოლოგიას აკუთვნებენ, ზოგი ავტორი სიტყვაწარმოებას ენათმეცნიერების ცალკე დარგად გამოყოფს და მას გრამატიკასა და ლექსიკოლოგიას შორის ათავსებს¹.

მორფემათა ტიპები მათი გამოხატულების მიხედვით. აქამდე ჩვენ განვიხილეთ ე. წ. სეგმენტური ერთეულებით გამოხატული აფიქსები. მორფემათა სეგმენტური ერთეულებით გამოხატვა ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია მსოფლიოს სხვადასხვა ენაში. მაგრამ იგი არ არის ერთადერთი. მორფემა შეიძლება გამოხატულ იქნეს ე. წ. ზესეგმენტური ერთეულებითაც — მახვილით, ინტონაციითა და პაუზით ანუ ინტერვალით.

მახვილის საშუალებით მორფემის გამოხატვა ქართულში გავრცელებული არაა. იგი დამახასიათებელია ისეთი ენებისათვის, რომელთაც მოძრავი მახვილი აქვთ. მახვილის ცალკე მორფოლოგიურ ელემენტად გამოყოფას ართულებს ის გარემოება, რომ მის ცვლას ხშირად თანახლავს ხმოვანთა თვისებრივი ან რაოდენობრივი ცვლილებაც. გარდა ამისა, მახვილთან ერთად ხშირად წარმოდგენილია აფიქსალური ელემენტიც, რის შედეგადაც მახვილის გრამატიკული ფუნქცია ხშირად არა ჩანს. ასე, მაგალითად, თუ შევეუდარებთ რუსულში მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითსა და მრავლობითი რიცხვის სახელობითის ფორმებს სიტყვაში *ноги—ноги*, ცხადი გახდება, რომ მახვილის ადგილის შეცვლას თან ახლავს ხმოვნის თვისებრივი ცვლილებაც (o—a) და ამიტომ ამ ორი ფორმის განსხვავება მხოლოდ მახვილზე არ არის დამოკიდებული. გარდა ამისა, მხოლოდობითის ნათესაობითისა და მრავლობითის სახელობითის რუსულში აქვთ თავ-თავისი გამომხატველი

იმაში, რომ -ელ, სა-...-ე და მსგავს აფიქსთა მნიშვნელობანი ობლიგატორულ ხასიათს არ ატარებენ და, მაშასადამე, გრამატიკულ მნიშვნელობათა სფეროს არ განეკუთვნებიან.

¹ ტრადიციულად სიტყვაწარმოებას ჩვეულებრივ განიხილავდნენ ხოლმე გრამატიკის, კერძოდ, მორფოლოგიის ნაწილად, რაც უთუოდ, იმ ფაქტს ემყარებოდა, რომ სიტყვათა წარმოქმნის პროცესი ხშირად თუმცა არა ყოველთვის არაპირველი მორფემების, ე. ი. აფიქსების მონაწილეობით ხორციელდება. მაგრამ, თუ დავეყარებით გრამატიკის ზემოთ წარმოდგენილ გაგებას, რომლის თანახმადაც გრამატიკის ობიექტს ქმნიან ენის გრამატიკული მნიშვნელობანი და მათი გამოხატვის საშუალებანი, ცხადი იქნება, რომ სიტყვაწარმოების შეტანა გრამატიკაში არ არის გამართლებული.

სეგმენტური მორფემებიც. მაგრამ მახვილის გრამატიკული ღირებულება ასეთ შემთხვევაშიც აშკარაა, რადგანაც მხოლოდითის ნათესაობითის მორფემა გამოხატულია არა მხოლოდ სეგმენტური ერთეულით (ფონემა *ჩ*), არამედ მახვილითაც. ე. ი. მორფემას წარმოადგენს {*ჩ*}, მრავლობითი რიცხვის სახელობითის გამოხატველი მორფემა მოცემულ შემთხვევაში კი არის მხოლოდ {*ჩ*}.

მაგრამ მორფემა შეიძლება გამოხატულ იქნეს მხოლოდ მახვილითაც, ე. ი. მხოლოდ ზესეგმენტური ერთეულით. ასეთი მდგომარეობა გვაქვს ინგლისურში, სადაც ისეთ წყვილებს, როგორიცაა *to refund* 'ანაზღაურება', *a refund* „გადახდა“, *to extract* „ამოღება“, *an extract* „ამონაწერი“, „ამონაკრები“, განასხვავებს მხოლოდ მახვილი. აღნიშნულ სიტყვებში მახვილი პირველ მარცვალზე გამოხატავს არსებით სახელს, ხოლო მეორე მარცვალზე — ზმნას.

გრამატიკული ოპოზიციისათვის შესაძლებელია ტონური მახვილიც იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთ აფრიკულ ენაში (შილუკი) *jil* მაღალი ტონით აღნიშნავს „ყურს“, ხოლო დაბალი ტონით — „ყურებს“, ე. ი. მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის განსხვავება დამოკიდებულია ტონის სიმალლეზე. მაშასადამე, ტონი იგივე მორფემაა, როგორცაა ქართულში მრავლობითი რიცხვის გამოხატველი {-ებ} მორფემა. მეორე აფრიკულ ენაში (ფული) სიტყვა ზომიერი ტონით აღნიშნავს „მე მოვკლავ“, ხოლო მაღალი ტონით — „მე არ მოვკლავ“.

ასევე მნიშვნელოვანია ინტონაციაც, რომელიც მრავალ ენაში წინადადების მოდალობას გამოხატავს. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით შემდეგი სამი წინადადება:

S₁: მამა მოვიდა

S₂: მამა მოვიდა?

S₃: მამა მოვიდა!

სეგმენტური მორფემების მიხედვით ეს სამი წინადადება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. განსხვავება გვაქვს მხოლოდ ზესეგმენტურ მორფემებში (ინტონაციაში), რომლის სიმალლის, ტემპისა და ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხი წინადადებას აძლევს სხვადასხვა გრამატიკულ მნიშვნელობას — თხრობითს, კითხვითსა და ძახილისას.

გრამატიკული ფუნქცია აქვს პაუზასაც, ე. წ. *junction* 'შენაწევრება'. წინადადება „ლორი გოკებით მოვიდა“ იმის მიხედვით, თუ სად იქნება პაუზა, შეიძლება ვავიგოთ ორგვარად.

S₁: გოკებიანი ღორი მოვიდა.

S₂: ღორი გოკებთან ერთად მოვიდა.

პირველ შემთხვევაში სიტყვა „გოკებით“ წარმოადგენს განსაზღვრებას (ლორი გოკებით = გოკებიანი ლორი), ხოლო მეორე შემთხვევაში წარმოადგენს უბრალო დამატებას (გოკებით მოვიდა — გოკებთან ერთად მოვიდა).

გრამატიკული ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს სიტყვათა რიგსაც წინადადებაში. ქართულში სიტყვათა რიგი თავისუფალია და მას გრამატიკული მნიშვნელობაც არა აქვს. მაგრამ ინგლისურში სიტყვათა რიგზეა დამოკიდებული სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის განსხვავება. თუ სახელი წინ უსწრებს ზმნას, იგი სუბიექტია, ხოლო თუ მოსდევს მას — იგი პირდაპირი ობიექტია. ამიტომ წინადადებაში *the father loves the son* „მამას უყვარს შვილი“ სუბიექტია *the father*, ობიექტი კი *the son*; თუ შევეცლით მათ რიგს, ე. ი. გვექნებოდა *the son loves the father*, წინადადების აზრიც შეიცვლება და იგი იქნება არა „მამას უყვარს შვილი“, არამედ „შვილს უყვარს მამა“. ქართულში კი ადგილების შეცვლით წინადადების აზრი არ იცვლება, რადგანაც „მამას უყვარს შვილი“ და „შვილი უყვარს მამას“, ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. ქართულში სუბიექტისა და ობიექტის განსხვავება ბრუნვის ნიშნებით გამოიხატება. მოცემულ წინადადებაში სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ობიექტი კი — სახელობითში. ინგლისურს ბრუნება არა აქვს, ამიტომ იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უკავია ერთსა და იმავე სიტყვას წინადადებაში, იგი შეიძლება იყოს სუბიექტი ან ობიექტი. სიტყვათა რიგს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩინურში. რომელსაც საერთოდ არა აქვს მორფოლოგია და ამიტომ სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ ადგილზე, რომელიც მას უკავია წინადადებაში.

ასევე მეტად გავრცელებული ხერხია გრამატიკული ოპოზიციების დასამყარებლად ძირის სრული ან ნაწილობრივი განმეორება (რედუპლიკაცია). მალაიურში *orang* არის „კაცი“, ხოლო *orang-orang* — „კაცები“. შუმერულში *kur* აღნიშნავდა „ქვეყანას“, ხოლო *kur-kur* „ქვეყნებს“. როგორც ვხედავთ, მხოლოდობით და მრავლობით რიცხვს შორის განსხვავება გამოიხატება ამ ენებში ძირის სრული განმეორებით და ამ შემთხვევაში რედუპლიკაციას იგივე ფუნქცია აქვს, რაც ქართულში {-ებ} მორფემას.

ძირის სრულ ან ნაწილობრივ განმეორებას სხვადასხვა ენაში სხვადასხვა გრამატიკული ფუნქცია აქვს. პოტენტოტურში *ვი-ვი* „გულდასმით გასინჯვა“ მიღებულია *ვი-საგან*, რაც ნიშნავს „გასინჯვას“. ე. ი. ამ შემთხვევაში განმეორება გვიჩვენებს მოქმედების ინტენსივობას. ერთ-ერთ აფრიკულ ენაში (ევე) — გვინეის სანაპიროზე რედუპლიკაციით იწარმოება ზმნისაგან ინფინიტივი და ნაზმნარი სა-

ხელი: wo არის „კეთება“, wo-wo „გაკეთებული“, mawomawo „გაკეთებელი“. პოტენტოტურში იგი გამოიყენება კაუზატივის საწარმოებლად: gam არის „ლაპარაკი“, ხოლო gam-gam „ალაპარაკება“ ამავე ენაში იგი გამოიყენება სახელებისაგან ზმნების საწარმოებლად khoe არის პოტენტოტი კაცი, ხოლო khoe-khoe — 'პოტენტოტურად ლაპარაკი'.

ძირის ნაწილობრივი განმეორების გრამატიკული ფუნქცია ჰქონდა ლათინურსა, ძველ ბერძნულსა და სანსკრიტში, რომლის წყალობითაც აწმყოსაგან პერფექტი იწარმოებოდა: ლათ. tango — „ვებები“, teligi „შევეხე“, cado — „ვეცემი“, cecidi — „დავეცი“, ბერძნ. leipo „ეტოვებ“, leloipa — „დავტოვე“. სანსკრ. kar—„კეთება“, cākara (<kakara) „მან გააკეთა“.

მეტად გავრცელებული ხერხია ენებში თხზვა ანუ კომპოზიცია, რომელიც ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად გამოიყენება. კომპოზიციის დროს ორი ან მეტი ძირი ერთიანდება ერთ სიტყვად, ანუ კომპოზიტად. კომპოზიტი იმით განსხვავდება სიტყვათა უბრალო შეერთებისაგან წინადადებაში. რომ აღიქმება როგორც ერთი მთლიანი. ასეთია, მაგალითად, ქართულში „ქინძისთავი“, რომელიც მნიშვნელობა „ქინძთან“ სინქრონიული თვალსაზრისით რაიმე კავშირს არ ამქლავებს ჩინურში. shui არის „წყალი“, ხოლო fu 'კაცი', მათი შეერთება კი კომპოზიტს გვაძლევს, რადგანაც shui-fu არის არა „წყალი-კაცი“, არამედ 'მეთულუხე', „წყლის მზიდავი“.

სხვადასხვა არის კომპოზიციების წარმოქმნის წესები სხვადასხვა ენაში. ზოგ ენაში დასაშვებია ყველა ტიპის სიტყვების კომპოზიცია. შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს სახელი სახელს, სახელი ზედსართავს, ზმნა სახელს, ზმნიზედა ზმნას და სხვა. მაგალითად, პაიუტ ენაში (ინდიელთა ენა იუტის შტატში, აშშ) შესაძლებელია კომპოზიცია სახელისა სახელთან, ზედსართავისა სახელთან, ზმნისა სახელთან, სახელისა ზმნასთან, მიმღობისა ზმნასთან, ზმნისა ზმნასთან. იანა ენაში (ინდიელთა ენა კალიფორნიის შტატში) დასაშვებია შეერთება სახელისა სახელთან, ზმნისა სახელთან, მაგრამ არა ზმნისა ზმნასთან. იროკეზულ ენებში (ინდიელთა ენები დიდი ტბების ტერიტორიაზე, აშშ) დასაშვებია მხოლოდ სახელისა და ზმნის კომპოზიცია, მაგრამ დაუშვებელია სახელის შეერთება სახელთან ანდა ზმნისა ზმნასთან. გარდა ამისა, ყოველი ენა იცავს გარკვეულ რიგს კომპოზიციის დროს. ქართულში სქესის აღმნიშვნელი სახელების კომპოზიციის დროს წინ ექცევა მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი სახელი, რუსულში კი პირიქით (მდრ. ქართული დედ-მამა, და-ძმა; რუს. отец и мать, брат и сестра). ქართულში არსებითისა და ზედსართ

თავის კომპოზიციის დროს, როგორც წესი, წინ დგას ზედსართავი სახელი (შდრ. ლურჯთვალა, დიდგულა, სქელკანიანი, ფერადკანიანი, და არა თვალლურჯა, გულდიდა, კანსქელიანი, კანფერადიანი და სხვა).

დასასრულ შეიძლება შევეხოთ ე. წ. სუპლექტივიზმსაც. ახალი გრამატიკული ფორმის საწარმოებლად ყოველთვის არ არის აუცილებელი ახალი მორფემა. შესაძლებელია ამ მიზნით ახალი ძირი იქნეს გამოყენებული და ამ ძირმა შეასრულოს გრამატიკული მორფემის ფუნქცია. ასე, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ქართულში გამოიყენება [-ებ|მორფემა, მაგრამ ისეთ წყვილში, როგორიცაა 'კაცი-ხალხი' მრავლობითი რიცხვი (ხალხი) გამოხატულია ახალი ძირით, და არა [-ებ მორფემით. ასეთ მოვლენას ეწოდება სუპლექტივიზმი (ლათ. suppleo, suppletum "შეესება, დამატება"). სუპლექტური წარმოება განსაკუთრებით რელიეფურადაა წარმოდგენილი ნაცვალსახელების ბრუნებისას (შდრ. სახ. იგი, მოთხ. მან, მიც. მას და სხვა).

გრამატიკული კატეგორიები. ზემოთ აღნიშნული იყო რომ ამ თავში ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს მორფოლოგია. ამიტომ გრამატიკულ კატეგორიათა შესახებ მსჯელობისას ჩვენ მხედველობაში გვექნება მხოლოდ მორფოლოგიური კატეგორიები.

ზემოთ გრამატიკული მნიშვნელობა განსაზღვრული იყო. როგორც ისეთი მნიშვნელობა, რომელიც აუცილებლად გამოიხატება მოცემული ენის წინადადებაში.

ეს დეფინიცია დაზუსტებას მოითხოვს. მართლაც, თუ მხედველობაში გვექნება ესა თუ ის კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობა, ადვილად დავრწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი არ ატარებს სავალდებულო (ობლიგატორულ) ხასიათს. მაგალითად, სრულებით არ არის სავალდებულო, რომ ქართულ წინადადებაში გამოხატული იყოს მაინცა და მაინც მხოლოდობითი რიცხვი (შდრ. „მოწაფეებმა დაწერეს წერილები“, სადაც მხოლოდობითი რიცხვი არ არის გამოხატული) ან — მრავლობითი რიცხვი (შდრ. „მოწაფემ დაწერა წერილი“, სადაც მრავლობითი რიცხვი არ არის გამოხატული). ასევე არ არის სავალდებულო, რომ რუსული წინადადება უთუოდ მამრობითი (resp. მდედრობითი, საშუალო) სქესის გაგებას შეიცავდეს. მაგრამ რომელი ქართული წინადადებაც უნდა განვიხილოთ, მასში აუცილებლად ვიპოვით ორიდან ერთ-ერთი რიცხვის გაგებას მაინც. შეიძლება დავადასტუროთ ქართული წინადადება, რომელშიც ერთდროულად ორივე რიცხვი იქნება გამოხატული (მაგ. „მოწაფეებმა დაწერეს წერილი“), მაგრამ ვერ აღმოვაჩინებ ისეთ ქართულ წინადადებას, სადაც არც მხოლოდობითი რიცხვი იქნება წარმოდგენილი, არც

მრავლობითი. იგივე შეიძლება ვთქვათ მამრობითი და საშუალო სქესის შესახებ ისეთ ენებში, როგორცაა რუსული, გერმანული, ლათინური, ბერძნული და ზოგი სხვა¹.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სავალდებულო ხასიათს ატარებს არა ესა თუ ის კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობა, არამედ — მნიშვნელობათა კლასები, რომლებშიც შეიძლება გავაერთიანოთ კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობანი.

ეუწოდოთ მნიშვნელობათა ამგვარ ობლიგატორულ კლასებს გრამატიკული კატეგორიები, ხოლო მათში შემავალი კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობანი აღვნიშნოთ გრამემების სახელწოდებით². მაშინ გრამატიკული კატეგორია შეიძლება განისაზღვროს როგორც გრამემათა კლასი, რომლის ერთ-ერთი წევრი მაინც (ე. ი. ერთი გრამემა სათანადო კლასიდან) აუცილებლად იქნება წარმოდგენილი განსახილველი ენის მოცემულ წინადადებაში. ამ განსაზღვრის თანახმად, მაგალითად, რიცხვი გრამატიკული კატეგორიაა ქართულში (და ბევრ სხვა ენაში), ხოლო მხოლოდობითი რიცხვი და მრავლობითი რიცხვი წარმოდგენენ გრამემებს, რომლებიც რიცხვის გრამატიკული კატეგორიის წევრებად განიხილებიან. ეს ჩანს იქიდან, რომ აღნიშნული ორი გრამემიდან ერთი მაინც აუცილებლად იქნება გამოხატული ქართული ენის ნებისმიერ წინადადებაში. ამავე განსაზღვრის ძალით სქესი გრამატიკული კატეგორიაა რუსულში (და ბევრ სხვა ენაში), ხოლო მამრობითი სქესი, მდედრობითი სქესი და საშუალო სქესი მასში შემავალი გრამემებია.

გრამემების გაერთიანება გრამატიკულ კატეგორიებში ხდება საერთო და განსხვავებულ სემანტიკურ ნიშან-თვისებათა საფუძველზე. მაგალითად, მხოლოდობითი რიცხვი და მრავლობითი რიცხვი ქართულში გრამემებია და ამდენად ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ მათ აქვთ საერთო სემანტიკური ნიშან-თვისებაც: როგორც ერთი, ისე მეორე ასე თუ ისე დადებითად თუ უარყოფითად რიცხვის ზოგადი სემანტიკის მატარებელი არიან³. სხვადასხვა გრამატიკული კატე-

¹ ზოგ ენაში; მაგალითად ფრანგულში, იტალიურში, ესპანურში, არაბულში... მხოლოდ ორი სქესი გამოიყოფა: მამრობითი და მდედრობითი. მეორე მხრივ, ზოგ ენაში შეიძლება გვექონდეს ორზე მეტი რიცხვი. მაგალითად, ძველ ბერძნულში გამოიყოფა მხოლოდობითი, წყვილობითი (ორობითი) და მრავლობითი.

² მაგალითად, მხოლოდობითი რიცხვი გრამემაა. სხვა გრამემებია აგრეთვე სახელობითი ბრუნვა, მოთხრობითი ბრუნვა... მამრობითი სქესი, მდედრობითი სქესი, საშუალო სქესი და მისთ.

³ ძნელი არ არის ამის შემჩნევა, რომ ობლიგატორული ხასიათი სწორედ ამ ზოგად სემანტიკას აქვს: არ არის სავალდებულო, რომ ქართულ წინადადება-

გორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწორედ იმ სემანტიკური ნიშან-თვისებებით, რომელთა საფუძველზეც ხდება გრამემების გაერთიანება თითოეული მათგანის შიგნით (შდრ., მაგალითად, რიცხვის გრამატიკული კატეგორია¹ და სქესის გრამატიკული კატეგორია რუსულში).

ყოველი გრამემა რომელიმე გრამატიკული კატეგორიის წევრია. ყოველი გრამატიკული კატეგორია გრამემათა კლასის სახით წარმოგვიდგება. არ არსებობს გრამატიკული კატეგორია, რომელიც წარმოგვიდგებოდეს მხოლოდ ერთი გრამემის სახით. იმისათვის, რომ მივიღოთ გრამატიკული კატეგორია, უნდა ვიპოვოთ მინიმუმ ორი გრამემა მაინც, რომელთაც აღმოაჩნდებათ როგორც საერთო, ისე განსხვავებული სემანტიკური ნიშან-თვისებანი. ეს ნიშან-თვისებანი არ უნდა მეორდებოდნენ გრამემათა სხვა კლასებში.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მორფოლოგიურ კატეგორიათა ძირითად ტიპებს, რომლებიც კი შეიძლება დავადასტუროთ მსოფლიოს სხვადასხვა ენაში. მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება სახელი და ზმნა, მათ შეიძლება ჰქონდეთ საზიარო კატეგორიებიც, როგორცაა სქესი, რიცხვი, მაგრამ ძირითადად სახელსა და ზმნას მოეპოვებათ ერთმანეთისაგან განსხვავებული კატეგორიები. სახელის კატეგორიებია ბრუნვა, რიცხვი, სქესი, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, ხოლო ზმნისა — პირი, რიცხვი, კილო, ქცევა, გვარი, დრო და სხვა. განვიხილოთ თითოეული ეს კატეგორია ცალ-ცალკე.

ბ რ უ ნ ვ ა. ბრუნვის კატეგორია მხოლოდ სახელისათვის არის დამახასიათებელი. მისი ფუნქციაა მიმართება დაამყაროს ორ სახელს შორის ანდა სახელსა და ზმნას შორის. თუ ენას არ გააჩნია ბრუნვის კატეგორია, მაშინ აღნიშნულ მიმართებებს ამყარებს სიტყვათა რიგი წინადადებაში. ქართულში სიტყვათა რიგს გრამატიკული ფუნქცია არა აქვს, ამიტომ წინადადება „ქალი ხედავს კაცს“ შეიძლება ასეც ვთქვათ „ხედავს ქალი კაცს“, „კაცს ხედავს ქალი“, „კაცს ქალი ხედავს“, „ხედავს კაცს ქალი“ და ამით წინადადების გრამატიკული მნიშვნელობა არ შეიცვლება. ასეთივე სურათი გვაქვს ლათინურშიც. ამ წინადადების ეკვივალენტურ ფრაზას ლათინურში

ში გამოხატული იყოს სწორედ მხოლოდითი რიცხვი ან მრავლობითი რიცხვი, მაგრამ რამდენადაც ერთ-ერთი მათგანი მაინც აუცილებლად გამოხატული იქნება; ამდენად ყოველი ქართული წინადადება წარმოგვიდგება როგორც რიცხვის ზოგადი სემანტიკის მატარებელი.

¹ მოვიგონოთ, რომ რუსულში, ქართულის მსგავსად, რიცხვის ორი გრამემა გამოიყოფა: მხოლოდითი და მრავლობითი.

femina videt hominem რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი აქვს, კერძოდ კი hominem videt femina, femina hominem videt, videt hominem femina. აღნიშნული ვარიანტები გრამატიკული თვალსაზრისით ისევე არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ქართულში.

სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს ინგლისურში, სადაც ბრუნვის კატეგორია არ არსებობს და ამიტომ სიმძიმის ცენტრი გადატანილია სიტყვათა რიგზე; თუ ვიტყვით the woman sees the man, the woman სუბიექტი იქნება, ხოლო the man — პირდაპირი ობიექტი. თუ შევცვლით სიტყვათა რიგს, ე. ი. ვიტყვით the man sees the woman სუბიექტი იქნება the man, ხოლო the woman პირდაპირი ობიექტი. ამიტომ პირველი წინადადება ქართულში უდრის „ქალი ხედავს კაცს“, ხოლო მეორე — „კაცი ხედავს ქალს“. ინგლისურში სუბიექტისა და ობიექტის განსხვავება სიტყვათა რიგზეა დამოკიდებული: თუ სახელი წინ უძღვის ზმნას, იგი სუბიექტია, ხოლო თუ მოსდევს ზმნას — ობიექტი. ქართულში და ლათინურში სუბიექტსა და ობიექტის განსხვავებას ამყარებენ ბრუნვის ნიშნები. ლათინურში სუბიექტი სახელობითში დგას, ხოლო პირდაპირი ობიექტი — აკუსატივში (ბრალდებითში). ქართულში სუბიექტი გარდამავალი ზმნის პირველ სერიაში სახელობითში დგას, პირდაპირი ობიექტი — მიცემითში.

განხილულ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა დავასკვნათ შემდეგი ორი რამ: 1) ბრუნვების საშუალებით მყარდება მიმართება წინადადების წევრებს შორის. მაგალითად „ქალ-კაც-ხედავს“ ქართულში არ არის წინადადება, რადგანაც მხოლოდ ლექსიკური მორფემები {ქალ-} და {კაც-} არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, ქალი ხედავს კაცს თუ, პირიქით, კაცი ხედავს ქალს. 2) ბრუნვა არ წარმოადგენს სინტაქსური მიმართების დასამყარებელ ერთადერთ საშუალებას. ინგლისურს ბრუნვის კატეგორია არა აქვს, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ლათინური ან ქართული უპირატესობით სარგებლობდეს ინგლისურთან შედარებით, რადგანაც იმავე ფუნქციებს, რა ფუნქციებიც ქართულსა და ლათინურში ბრუნვებს აქვთ, ინგლისურში სიტყვათა არანეირების წესები ასრულებს.

ამრიგად, ქართული და ლათინური შეიძლება მივაკუთვნოთ ენათა ისეთ ტიპს, რომელსაც ბრუნვის კატეგორია მოეპოვება, ხოლო ინგლისური — ამ კატეგორიის არმქონე ენათა კლასს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ქართული და ლათინური ბრუნვის კატეგორიის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს. მსგავსება ამ ორ ენას შორის მხოლოდ იმაშია, რომ ორივეს ბრუნვის კატეგორია აქვს, მისი სტრუქტურა კი სხვადასხვაა ამ ორ ენაში.

ქართულში შვიდი ბრუნვა გვაქვს: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი, ხოლო ლათინურში ექვსი: სახელობითი (nominalivus), ნათესაობითი (genetivus), მიცემითი (dativus), ბრალდებითი (accusativus), მოქმედებითი (ablativus), წოდებითი (vocativus). მაგრამ რაოდენობრივი სხვაობა მხოლოდ გარეგნულია და მეორეხარისხოვანი, მთავარია თვისებრივი (სტრუქტურული) სხვაობა ქართულისა და ლათინურის ბრუნვებს შორის.

მოცემული ენის ბრუნვები ქმნიან გარკვეულ სისტემას თავისი შინაგანი მიმართებებით და ამიტომ რომელიმე ბრუნვის ფუნქცია დამოკიდებულია იმ მიმართებებზე, რომლებიც არსებობენ მოცემულ სისტემაში. ლათინურში ბრალდებითი (accusativus) წარმოადგენს პირდაპირი ობიექტის ბრუნვას (შდრ. femina videt hominem). ქართულში ეს ბრუნვა საერთოდ არა გვაქვს. ქართულში გვაქვს მოთხრობითი და ვითარებითი, ხოლო ლათინურს ეს ბრუნვები აკლია. უკვე ამ ფაქტის გახაზვითაც საკმარისია დავინახოთ, თუ რა ღრმა სტრუქტურული ხასიათის განსხვავებაა ქართულისა და ლათინურის ბრუნვათა სისტემებს შორის. მაგრამ განსხვავება უფრო შორსაც მიდის. ქართულის სახელობითი თავისი ფუნქციით არ უდრის ლათინურის სახელობითს, თუმც ორივეს „სახელობითი“ ეწოდება. ქართულის სახელობითი წარმოადგენს როგორც სუბიექტის (ოსტატი სახლს აშენებს), ისე პირდაპირი ობიექტის ბრუნვას მე-2 და მე-3 სერიებში (ოსტატმა სახლი ააშენა, ოსტატს სახლი აუშენებია). ლათინურში კი სახელობითი (nominativus) მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა. მიცემითი ბრუნვა ქართულში ითავსებს რამდენიმე სხვადასხვა ფუნქციას — იგი არის სუბიექტის ბრუნვა გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში (ოსტატს სახლი აუშენებია), პირდაპირი ობიექტის ბრუნვა პირველ სერიაში (ოსტატი სახლს აშენებს), ირიბი ობიექტის ბრუნვა სამსავე სერიაში (ოსტატი ამხანაგს სახელს უშენებს, ოსტატმა ამხანაგს სახლი აუშენა, ოსტატი სახლს ამოფარებია). ლათინურის მიცემითს კი (dativus) მხოლოდ ირიბი ობიექტის გამოხატვის ფუნქცია აქვს (შდრ. magister pueris fabulas enarrat) „მასწავლებელი ბავშვებს არაკებს უყვება“.

ამრიგად, ერთსა და იმავე ტერმინს (სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი და სხვ.) შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სტრუქტურული ხასიათი. შეუძლებელია ვილაპარაკოთ სახელობით ბრუნვაზე საერთოდ, რადგანაც სხვა არის სახელობითი ბრუნვა ქართულში და სხვა იგი ლათინურში ან სხვა რომელიმე ენაში. შესაბამისად სხვადასხვაა ბრუნვის კატეგორიაც სხვადასხვა ენაში.

თუ ეს ესეა, მაშინ რატომ აღვნიშნავთ განსხვავებულ სტრუქტურულ ოდენობებს ერთი და იმავე ტერმინით? ამის მიზეზია გრამატიკული ტრადიცია, რომლის სათავეა ლათინურის გრამატიკა. თავის მხრივ, ლათინური გრამატიკა დავალებულია ბერძნული გრამატიკისაგან. ბრუნვათა სახელწოდებები გამოიმუშავდა სტოელთა სკოლაში (ძველ საბერძნეთში), მათგან ისინი გადაიღეს და თარგმნეს რომაელმა გრამატიკოსებმა, შემდეგ კი ლათინურის გრამატიკის მეშვეობით ეს ტრადიცია გავრცელდა მთელ ევროპაში¹. პანინის გრამატიკაში (ძველ ინდოეთში), რომელიც, რა თქმა უნდა, ძველი ბერძნული გრამატიკის გავლენას ვერ განიცდიდა, ბრუნვებს არა აქვთ სახელები და აღინიშნებიან როგორც პირველი, მეორე, მესამე და ა. შ..

რ ი ც ხ ვ ი. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ გრამატიკული რიცხვი და სემანტიკური (ლექსიკური) რიცხვი. გრამატიკული რიცხვი მორფოლოგიური კატეგორიაა და იგი სათანადო გრამატიკული მორფემებით გამოიხატება, სემანტიკური რიცხვი კი — ლექსიკურად არის გამოხატული. ასე, მაგალითად, „წ ი გ ნ ე ბ ი“ გრამატიკული რიცხვია, რადგან სიმრავლე გამოიხატება {-ებ} მორფემის საშუალებით, მაგრამ ათ ი წ ი გ ნ ი ლექსიკური საშუალებით {ათი} გამოხატული რიცხვია.

რიცხვის სემანტიკურად გამოხატვის საშუალება ყველა ენას აქვს. გრამატიკული რიცხვი კი ყველა ენას არ მოეპოვება. ჩინურში გრამატიკული რიცხვი არ გამოიხატება, მაგრამ ლექსიკური საშუალებები რიცხვის გამოსახატავად ჩინურსაც იგივე აქვს, როგორც სხვა ენას.

ენების უმრავლესობა ერთმანეთს უპირისპირებს მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის გრამემებს; ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, ქართულში, სადაც ოპოზიცია მხოლოობით და მრავლობით რიცხვს შორის გამოიხატება იმით, რომ {-ებ} ან {-ნ-თა} მორფემა უპირისპირდება უნიშნობას. მარკირებული (აღნიშნული) არის ამ ოპოზიციაში მრავლობითი რიცხვი, ხოლო მხოლოობითი რიცხვი არამარკირებულია (აღუნიშვნელი).

ზოგჯერ რიცხვის გამომხატველი გრამემა ერწყმის სხვა რომელიმე გრამემას, მაგალითად, ბრუნვისას და ერთი და იმავე მორფემით გამოხატულია ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა გრამემა. ქართულში „წიგნები“ სიტყვაში {-ებ} გამოხატავს მხოლოდ მრავლობით რიცხვს, {-ი} კი სახელობით ბრუნვას. რუსულ სიტყვაში КНИЖИ მორფემა

¹ ქართ. სახელობითი წარმოადგენს ლათ. nominativus-ის ზუსტ თარგმანს (შდრ. ლათ. nomen, nominis „სახელი“), ნათესაობითი—ლათ. genetivus-ისა (შდრ. genus, generis „გვარი“ და ა. შ.).

{-И} გამოხატავს როგორც სახელობით ბრუნვას (შდრ. მრ. ნათ. КНИГ), ისე მრავლობით რიცხვსაც (შდრ. სახ. მხოლოდ. КНИГА და მრ. სახ. КНИГИ). ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქართულის ზმნაშიც. სიტყვაში „წავიდ-ნენ“ მორფემა {-ნენ} გამოხატავს როგორც მრავლობით რიცხვს (შდრ. წავიდა-წავიდნენ), ისე მესამე სუბიექტურ პირსაც (შდრ. „ჩვენ წავედით“, მაგრამ „ისინი წავიდნენ“).

ზოგ ენაში მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის გვერდით გვაქვს ე. წ. ორობითი რიცხვიც (dualis), ე. ი. გვაქვს ასეთი დაპირისპირება: მხოლოდითი-ორობითი-მრავლობითი. ასეთი მდგომარეობა გვაქვს ძველ ბერძნულსა, ძველ რუსულსა და სხვა. (ასე, მაგალითად, ძვ. რუსული ВЪЛКЪ „მგელი“ ВЪЛКА „ორი მგელი“, ВЪЛКУ „ორი მგლისა“, ВЪЛКОМА „ორ მგელს“ და ა. შ.. ზოგ ენას სამობითი რიცხვიც აქვს (trialis).

ზოგ ენაში ზოგჯერ რომელიმე სახელი გვხვდება მხოლოდ მრავლობით რიცხვში. ამგვარ სიტყვებს ეწოდება pluralia tantum (მხოლოდ მრავლობითი). ასეთი სიტყვებია, მაგალითად, რუსულში: сани, брюки, очки და სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ მრავლობითი რიცხვი ძველ რუსულში სადაც იგი უპირისპირდება ერთდროულად ორობითსა (dualis) და მხოლოდობის, არ არის იგივე, რაც მრავლობითი რიცხვი ქართულში, სადაც იგი მხოლოდ მხოლოდობის უპირისპირდება. ქართულში „კაციები“ იქნება ორი კაციც, ხოლო ძველ რუსულში ასეთი რამ გამორიცხულია, რადგანაც მრავლობითია ამ ენაში მხოლოდ ორზე მეტი, ხოლო ქართულში მრავლობითია ერთზე მეტი. ეს კი იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ისეთი კატეგორიაც კი, როგორცაა რიცხვის კატეგორია, შესაძლებელია სხვადასხვა აღმოჩნდეს სხვადასხვა ენაში.

ს ქ ე ს ი. ასევე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სქესი, როგორც სემანტიკური კატეგორია, და სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია. სემანტიკური თვალსაზრისით სქესის გამოხატულება ყველა ენაშია. გვაქვს იგი ქართულშიც (შდრ. ქალი-კაცი, გოგო-ბიჭი, და-ძმა, დედა-მამა და სხვა). გრამატიკული სქესი კი ყველა ენაში არ არის წარმოდგენილი. გრამატიკულ სქესზეც იმ შემთხვევაში ლაპარაკობენ, თუ მისთვის სათანადო გრამემების სისტემა გვაქვს.

სემანტიკური თვალსაზრისით, სქესი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სულიერ არსებებს; არაყოცხალი საგანი უსქესოთა კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ გრამატიკული სქესი აქვს როგორც ცოცხალს, ისე არაყოცხალს; მაგალითად, რუსულში მამრობითი სქესისაა როგორც отец „მამა“, ისე камень „ქვა“. ამრიგად, სქესი დამახასიათებელია რუსულში ყველა ფორმაცვალებადი სახელისათვის. რუსულში ყველა-

ფორმაცვალეზადი სახელი ნაწილდება სამ სქესს შორის, რომელთაც თავისი აღმნიშვნელი მორფემები აქვთ. ეს სქესებია: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო, отец, стол, воздух მამრობითი სქესისა, мать, книга, стена მდედრობითისა, ხოლო дитя, перо, знамя საშუალო სქესისა.

ფრანგული არჩევს ორ სქესს, ესენია მდედრობითი, რომელიც Ia (ან une) არტიკლით გამოიხატება, და მამრობითი, გამოხატული Ie (ან un) არტიკლით. Ia (une) table „მაგიდა“ მდედრობითი სქესისაა, ხოლო Ie (un) livre „წიგნი“ მამრობითი სქესისა.

გერმანულშიც, ისევე როგორც რუსულში, სამი სქესი გვაქვს, მაგრამ მიუხედავად მსგავსებისა, ამ ორ ენაში სიტყვები სქესების მიხედვით სხვადასხვა გვარად ნაწილდება. книга რუსულში მდედრობითი სქესისაა, ხოლო გერმანულში das (ein) Buch საშუალო სქესს ეკუთვნის. ფრანგულში მაგიდის აღმნიშვნელი სიტყვა la table მდედრობითია, ხოლო გერმანულში der Tisch 'მაგიდა' — მამრობითი ისევე როგორც რუსულში. თქმულიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სქესის კატეგორია არაა ერთნაირი სხვადასხვა ენაში (შდრ. რუსული, გერმანული, ფრანგული), და ყველა ენა, რომელთაც კი მოეპოვებათ სქესი, სხვადასხვა გვარად ანაწილებს საგნებს სქესების მიხედვით.

პირი. რიცხვი და სქესი სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიებია. პირის კატეგორია კი მხოლოდ ზმნას აქვს¹. პირი სამია: პირველი, მეორე და მესამე. გარდა ამისა, პირი შეიძლება იყოს სუბიექტური (მოქმედი) და ობიექტური (სამოქმედო). ობიექტური პირი შეიძლება იყოს პირდაპირ ობიექტური და ირიბ ობიექტური.

ზმნაში პირების გამოხატვის მიხედვით უნდა განვასხვაოთ შემდეგი შემთხვევები: 1) ზოგიერთი ენის ზმნაში შეიძლება არ გამოიხატებოდეს პირი, ე. ი. ზმნას ამ ენაში არ ახასიათებდეს პირის კატეგორია. ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგ. დალესტნის ენებში. ხუნძურში, მაგალითად, ზმნა არ იცვლება პირების მიხედვით. ერთი და იმავე ზმნის ფორმა გვექნება ყველა პირისათვის: „დუნ ვაქუნა“ 'მოვდივარ მე'. თუ სიტყვას „დუნ“ 'მე' შევცვლით მეორე პირის ნაცვალსახელით „მუნ“ 'შენ', ზმნაში ამით ცვლილება არ მოხდება და მაინც იქნება „ვაქუნა“ (მუნ ვაქუნა „შენ მოდიხარ“). ქართულში კი ასეთი შეცვლა ზმნის ფორმის შეცვლასაც იწვევს (შდრ. მე მოვდივარ და შენ მოდიხარ).

¹ სახელთაგან მხოლოდ ნაცვალსახელს აქვს პირის კატეგორია.

სამაგიეროდ, ქართული ანგარიშს არ უწევს, თუ ვინ მოდის — ბავშვია ის, ქალი, კაცი თუ ცხოველი ან მანქანა. ხუნძურში კი სწორედ ეს გარემოება არის აღნიშნული და იმის მიხედვით, თუ რა ბუნებისაა სუბიექტი, გვექნება სამი კლასი: მამაკაცის, ქალის და ბავშვის.

დუნ ვაჭუნა — მამაკაცი მოდის (I კლასი)

დუნ ააჭუნა — ქალი მოდის (II კლასი)

დუნ ბაჭუნა — ბავშვი მოდის (III კლასი)

ხუნძური წარმოდგენს ენის ისეთ ტიპს, რომლისათვისაც პირის კატეგორია დამახასიათებელი არ არის. ისეთი ენები, რომელთაც პირის კატეგორია აქვთ, შეიძლება გაიყოს ორ კლასად: 1) ენები, რომლებშიც ზმნა გამოხატავს მხოლოდ სუბიექტის პირს; 2) ენები, რომლებიც ზმნა სუბიექტის პირთან ერთად ობიექტურ პირებსაც გამოხატავს. პირველ ტიპს ეკუთვნის ინდოევროპული ენები, მაგ., რუსული, ინგლისური, გერმანული და სხვ., სადაც ზმნაში მხოლოდ სუბიექტის პირი აღინიშნება (შდრ. რუს. *читает*). ქართველურ ენებში და კერძოდ, ქართულში ზმნა შეიძლება იცვალოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით, თუ, რა თქმა უნდა, მას ობიექტური პირებიც აქვს (შდრ. ვხატავ — ხატავს — ხატავს, მაგრამ მხატავს — გხატავს — ხატავს).

ამრიგად, პირის კატეგორიის შესახებ ლაპარაკობენ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტს ან ობიექტსაც ზმნაში სათანადო გამოხატულება აქვს გარკვეული მორფემების სახით. თუ მხოლოდ სუბიექტური პირი გამოიხატება ზმნაში, მაშინ ზმნა ერთპირიანია (მონოპერსონალურია), ხოლო თუ სუბიექტთან ერთად ობიექტაც პოულობს ზმნაში გამოხატულებას, ზმნა მრავალპირიანია (პოლიპერსონალურია). ინდოევროპულ ენებში ზმნა მონოპერსონალურია, რადგანაც ამ ენებში გამოხატულია მხოლოდ სუბიექტის პირი; ქართველურ ენებში კი ზმნა პოლიპერსონალურია იმის გამო, რომ სუბიექტის პირთან ერთად აქ ზმნაში გამოიხატება ობიექტის პირიც.

გ ვ ა რ ი. გვარი ორნაირია. — აქტიური და პასიური. აქტიური გვარი აუცილებლობით გულისხმობს სუბიექტის გარდა პირდაპირ ობიექტსაც. ვნებითი გვარის ზმნაში კი მხოლოდ სუბიექტი ან სუბიექტი და ირიბი ობიექტია წარმოდგენილი, ხოლო პირდაპირი ობიექტი ვნებითი გვარის ზმნაში არ შეიძლება რომ იყოს.

ინდოევროპულ ენებში სუბიექტის ბრუნვა შეიძლება იყოს მხოლოდ სახელობითი, რომელსაც პირდაპირ ბრუნვას (*casus rectus*) უწოდებენ. ხოლო ყველა სხვა ბრუნვა განიხილება როგორც ირიბი (*casus obliquus*). ქართულში პირდაპირი ბრუნვაა სამი: სახელობი-

თი, მოთხრობითი და მიცემითი, რომლებიც სუბიექტის ბრუნვებს წარმოადგენენ. ბრალდებითის უქონლობის გამო პირდაპირი ობიექტის ბრუნვაა ქართულში სახელობითი (II და III სერია) და მიცემითი (I სერია) ¹.

ინდოევროპულ ენებში თუ სუბიექტი პირდაპირი ბრუნვით გამოიხატება, ხოლო ობიექტი—ბრალდებითი (accusativus) ბრუნვით, მაშინ ზმნა აქტიური იქნება. ეს კონსტრუქცია სიმბოლურად ჩაიწერება შემდეგნაირად NnVNa (შდრ. რუს. плотник строит дом). ქართულში კი აქტივის კონსტრუქცია იქნება NnVNd პირველ სერიაში (შდრ. ოსტატი აშენებს სახლს), NeVNn მეორე სერიაში (შდრ. ოსტატმა ააშენა სახლი) და NdVNn მესამე სერიაში (შდრ. ოსტატს აუშენებია სახლი).

რუსულში პასიური ზმნების ძირითადი კონსტრუქციაა NnVsNi (შდრ. дом строится плотником), ხოლო ქართულში NnVNg — მიერ (შდრ. სახლი შენდება ოსტატის მიერ).

ამრიგად, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები ინდოევროპულ ენებში მკაცრად დიფერენცირებულია — სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო პირდაპირი ობიექტი—ბრალდებითში (რუსულის გარდა ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა ინდოევროპულ ენებშიც. მაგალითად, ლათ. femina videt hominem, სადაც femina სახელობითია, ხოლო hominem ბრალდებითი). ქართულში სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები მკაცრად არ არის დიფერენცირებული, რაც როგორც ჩანს, ორგანულ კავშირშია ზმნის პოლიპერსონალობასთან.

რადგანაც ქართულში ზმნა სუბიექტის გარდა ობიექტის პირსაც აღნიშნავს და ამ თვალსაზრისით სუბიექტი და ობიექტი თანასწორუფლებიანია, შესაბამისად გაუდიფერენცირებელია სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებიც.

შესაძლებელია აქტიური ზმნის გადაყვანა (კონვერსია) პასიურ ზმნაში და პირიქით. აქტივის პასივში კონვერსიის დროს მოქმედებენ გარკვეული წესები. რუსულში აქტიური ზმნის სუბიექტი დადგება

¹ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია შემდეგი სიმბოლოები: N—არსებითი სახელი, A—ზედსართავი სახელი, V—ზმნა, Adv—ზმნიზედა, n—სახელობითი ბრუნვა (nominativus), e—მოთხრობითი (ergativus), a—ბრალდებითი (accusativus), d—პაციენთი (dativus), g—ნათესაობათი (genetivus), i—ინსტრუმენტალისი 'იარაღობითი' (instrumentalis), S—წინადადება, NP—სახელის ფრაზა, VP—ზმნის ფრაზა, Vn—უქუქციეობითი ზმნა რეაქტში, დაბოლოებული -eя ან -ca-je-, —გრანსტორშირდება.

ირიბ ბრუნვაში, კერძოდ კი ინსტრუმენტალისში, ხოლო პირდაპირი ობიექტი — სახელობითში და მოგვევლინება სუბიექტის როლში (შდრ. *плотник строит дом—дом строится плотником*). ქართულში კი პასივად გადაკეთების დროს აქტივის სუბიექტი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში და დაირთავს მიერ ან -გან თანადებულს, ხოლო პირდაპირი ობიექტი დადგება სახელობითში და, ისევე როგორც რუსულში, სუბიექტად გადაიქცევა (შდრ. ოსტატი აშენებს სახლს—სახლი შენდება ოსტატის მიერ).

ქართულში აქტივისა და პასივის გვერდით გამოყოფენ ე. წ. საშუალო გვარსაც (*genus medium*). საშუალო გვარი ქართულში დაყოფილია საშუალო-მოქმედებითად (მედო-აქტივი) და საშუალო-ვნებითად (მედო-პასივი). განსხვავება მათ შორის მყარდება სუბიექტის ბრუნვის მიხედვით. თუ სუბიექტის ბრუნვა იცვლება ზმნის სერიების მიხედვით, გვექნება მედო-აქტივი (შდრ. ბავშვი კითხულობს წიგნს, ბავშვმა წაიკითხა წიგნი, ბავშვს წაუკითხავს წიგნი), ხოლო თუ სუბიექტის ბრუნვა უცვლელია ზმნის სერიების მიხედვით — მედო-პასივთან გვექნება საქმე (შდრ. ბავშვი ზის, ბავშვი იჯდა, ბავშვი მჯდარა).

ქცევა. ქცევის კატეგორია ანუ ვერსია დამახასიათებელია ქართულისა და ქართველური ენებისათვის, მაგრამ უცნობია იგი ინდოევროპულ ენებში:

ქცევა სამია — სათავისო ანუ სასუბიექტო, სასხვისო ანუ საობიექტო და საარვისო ანუ ნეიტრალური. ქცევა კატეგორიის გამოყოფა ქართულში ემყარება იმას, რომ გვაქვს ქცევის გამოხატველ გრამატიკულ მორფემათა პარადიგმა — სასუბიექტო ქცევისა მორფემა [ი] (შდრ. ვიშენებ), საობიექტო ქცევისა [უ], რომელიც პირველ და მეორე პირში [ი] ალომორფით არის წარმოდგენილი (შდრ. მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს, უ-შენებს) და საარვისო ქცევისა [ა], რომელიც ერთი რიგის ზმნებში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით — [Ø] (შდრ. აშენებს, ხატავს).

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ქცევა როგორც გრამატიკული კატეგორია და ქცევის გამოხატვა ლექსიკური საშუალებებით. სემანტიკური თვალსაზრისით ქცევა ყველა ენაშია, რადგანაც ყველა ენას აქვს საშუალება ლექსიკური გზით გამოხატოს იგივე, რასაც გამოხატავთ ქართულში ქცევის აღმნიშვნელი მორფემებით. სანიმუშოდ ავიღოთ ქართული და რუსული. რუსულს არა აქვს ქცევის კატეგორია, მაგრამ იგი არ არის მოკლებული უნარს გამოხატოს ქცევა ლექსიკური საშუალებით. ასე, მაგალითად, „ოსტატი სახლს იშენებს“ წინადადების ეკვივალენტური წინადადება იქნება რუსულში

плотник строит себе дом. ლექსიკური მორფემა („სხე ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ქართულში სათავისო ქცევის ნიშანი“!), თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ გამოვეყოფთ ქცევის კატეგორიას რუსულში? არ გამოვეყოფთ იმიტომ, რომ გრამატიკული კატეგორიის შესახებ ელაპარაკობთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო გრამემები გვაქვს. რუსული ქცევას გამოხატავს არა გრამატიკული საშუალებებით, არამედ ლექსიკური საშუალებებში: ი და ასე რომ რუსულში ქცევის კატეგორია არ გამოიყოფა.

არტიკლი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი. აღნიშნულ კატეგორიებს შეიძლება ეწოდოთ კვაზიგრამატიკული კატეგორიები, რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ გრამატიკულ მორფემებს, თუ მკაცრად ვიმსჯელებდით. მაგალითად, არტიკლი иი ფრანგულში წარმოადგენს რიცხვით სახელსაც (ერთი). ასევეა გერმანულშიც: ein არტიკლიაა და რიცხვითი სახელიც (ერთი). ასევე ძველ ქართულში „ზედა“ ზმნიზედაცაა და თანდებულიც (შდრ. სახლსა ზედა, მაგრამ ზედ მიადგა). მიუხედავად ამისა, არტიკლი, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი მაინც შეიძლება განვიხილოთ გრამატიკულ მორფემებად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ ეტიმოლოგიურ კავშირს სათანადო სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებთან, ე. ი. თუ დავდგებით სინქრონულ პოზიციაზე და გამოვირიცხავთ დიაქრონიულ მოსაზრებებს. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში არც კი ჩანს კავშირი ასეთ გრამატიკულ ელემენტებსა და სრული მნიშვნელობის სიტყვებს შორის. თანდებული -ზე დღევანდელ ქართულში აღარ უკავშირდება „ზედა“ ზმნიზედას. თანდებული „კენ“ (სახლის-კენ) საერთოდ არ ჩანს თუ სრული მნიშვნელობის რომელ სიტყვას უკავშირდება.

არტიკლი. არტიკლს სხვადასხვა ენაში, რომლებშიც კი იგი გვხვდება, სხვადასხვა გრამატიკული ფუნქციები აქვს. არტიკლი განასხვავებს არსებით სახელს სხვა დანარჩენი მეტყველების ნაწილებისაგან. ასეთი ფუნქცია აქვს არაბულში არტიკლს al.

ინგლისურში არტიკლს გარდა აღნიშნული ფუნქციისა აქვს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ფუნქციაც. the გვიჩვენებს განსაზღვრულობას, ხოლო a/an — განუსაზღვრელობას.

ფრანგულში მას, გარდა აღნიშნული ორი ფუნქციისა, აქვს სქესისა და რიცხვის გამოხატვის ფუნქციაც. ფრანგ. le/un მამრობითი სქესის მამრებელი არტიკლებია, la და une — მდედრობითისა. ყველა აღნიშნული არტიკლი მხოლოდობითი რიცხვისაა, რომელთაც მრავლობითში ენაცვლება les/des (შდრ. la/une table 'მაგიდა' — les/des tables 'მაგიდები').

სქესისა და რიცხვის გამოხატვის ფუნქცია აქვს არტიკლს გერმანულშიც.

	მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი
მ. სქ.	მდ. სქ.	საშ. სქ.	
der	die	das	die

თანდებულები და წინდებულები. თანდებულები და წინდებულები გამოხატავენ უმთავრესად სივრცეში ორიენტაციას (ქალაქში წავიდა, სახლისაკენ გაეშურა). ამ ფუნქციით შეიძლება საკუთრივ ბრუნვის ნიშანიც იხმარებოდეს. მაგალითად, „ქალაქს წავიდა“ გამონათქვამში მიცემითი ბრუნვის ნიშანს -ს-ს იგივე ფუნქცია აქვს, რაც -ში თანდებულს. ასევე „ქალაქით მოვიდა“ ძველ ქართულში იგივეა, რაც „ქალაქიდან მოვიდა“. თანდებულები გამოხატავენ დროში მიმართებებსაც. ასეთებია ქართულში „შემდეგზე“ (დროზე მოვიდა) თანდებულები. თანდებულები გამოხატავენ მიზანსა (თვის „მეგობრისთვის“) და მიზეზსაც (გამო „ამხანაგის გამო“).

ზოგ ენაში წარმოდგენილია თანდებულები (მაგალითად, ქართულში), ზოგში კიდეც წინდებულები (მაგალითად, რუსულში). ფუნქციონალური თვალსაზრისით თანდებულსა და წინდებულს შორის განსხვავება არა ჩანს, რადგანაც ორივე გამოიყენება სივრცის, დროის, მიზნისა და მიზეზის გამოსახატავად. განსხვავება ემყარება მხოლოდ მათ ადგილს სიტყვაში; თუ ამგვარი გრამატიკული ელემენტი წინ უძღვის სიტყვას, მას წინდებული ეწოდება (რუს. предлог) ხოლო თუ მოსდევს მას — თანდებული (რუს. послелог).

კავშირები. კავშირები გამოხატავენ მიმართებებს წინადადების წევრებსა და თვითონ წინადადებებს შორის. ეს მიმართება შეიძლება ორგვარი იყოს: მაერთებელი და მაქვემდებარებელი. შესაბამისად გვაქვს ორგვარი კავშირი — მაერთებელი (და, თუ, მაგრამ და სხვა) და მაქვემდებარებელი (რომ, რომელიც და სხვა). მაერთებელი კავშირები გამოიყენება წინადადებებს ან წინადადების წევრების ლოგიკური (აზრობრივი) დაკავშირებისათვის (იხ. ამის შესახებ უშუალო შემადგენელთა მეთოდი), ხოლო მაქვემდებარებელი კავშირები — გრამატიკული მიმართებების გამოსახატავად.

ნაწილაკები. ნაწილაკები გამოხატავენ მოდალურ მნიშვნელობებს: მტკიცების ინტენსივობას (კი), უარყოფას (არა, ვერა) და სხვა. ნაწილაკები გამოიყენება არამოდალური მნიშვნელობების გამოსახატავადაც; ამ თვალსაზრისით მათი ფუნქციები მრავალგვარია.

ზემოთ განხილული იყო ძირითადი გრამატიკული კატეგორიები. ძირითადს მათ ვუწოდებთ იმიტომ, რომ განხილული კატეგორიები წარმოადგენენ გრამატიკული კატეგორიების ყველაზე გავრცელებულ

ბულ ტიპებს, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ყველა ენაში გვხვდება. ისეთი კატეგორიაც კი, როგორცაა პირის კატეგორია, არ არის წარმოდგენილი ყველა ენაში. ზოგ ენას არა აქვს გვარის კატეგორია. გარდა ამისა, ენას ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია ჰქონდა განვითარების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ შემდეგში იგი დაკარგა. ძველ ინგლისურს ახასიათებდა ჩამოყალიბებული ბრუნვათა სისტემა, მაგრამ დაკარგა იგი. ასევე ენას შეიძლება არ ჰქონდეს ესა თუ ის კატეგორია, მაგრამ შემდეგში გაუჩნდეს.

გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ენები გვიჩვენებენ მეტად ჭრელ სურათს. ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია ერთ ენაში შესაძლებელია ობლიგატორული იყოს, მეორეში კი სრულიად არ გამოიხატებოდეს. ეს გარემოება გავლენას არ ახდენს წინადადების მნიშვნელობაზე და არაფერს არ ლაპარაკობს ენის სრულყოფა-არასრულყოფის შესახებ. ასე, მაგალითად, ინგლისურში აუცილებელია გამოხატული იყოს განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია. გარკვეული არტიკლების საშუალებით წინადადება *the farmer kills the duck* „ფერმერი კლავს იხვს“ მიგვითითებს, რომ განსაზღვრულია როგორც სუბიექტი (*the farmer*), ისე პირდაპირი ობიექტიც (*the duck*). გერმანულში მას ემატება სქესიც, რადგანაც იმავე წინადადების გერმანულ თარგმანში (*der Bauer tötet die Ente*), *der* და *die* არტიკლების მეოხებით ვგებულობთ, თუ რომელი სქესის სახელთან გვაქვს საქმე, რუსულში *Фермер убивает утку* სქესი გამოხატულია, მაგრამ არ არის გამოხატული, განსაზღვრულია სახელი თუ განუსაზღვრელი. ამ წინადადების ჩინური თარგმანი მიახლოებით ასეთი იქნებოდა „ფერმერ კვლა იხვ“, რაც ქართლის თვალსაზრისით არ არის წინადადება. მას აკლია როგორც განსაზღვრულობის კატეგორია, ისე ბრუნვის, სქესის, რიცხვის, პირისა და დროის კატეგორიები. მიუხედავად ამისა, იგივე აზრი ჩინურშიც ადეკვატურად გამოიხატება და ამ თვალსაზრისით არა აქვს რაიმე უპირატესობა ჩინურის მიმართ რომელიმე ზემოდასახელებულ ენას.

ამავე აზრის გამოხატვის დროს ამერიკელ ინდიელთა ენებში ისეთი გრამატიკული კატეგორიების მოშველება დაგვიჩვენებდა, რომლებიც სრულიად ზედმეტად შეიძლება მოგვეჩვენოს. არც ინგლისური, არც გერმანული, არც რუსული და არც ჩინური და ქართული არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ფერმერს, რომელიც იხვს კლავს, ვხედავთ თუ არა იხვის მოკვლის მომენტში, ანდა ვხედავთ თუ არა თვითონ იხვს, ე. ი. ფერმერი და იხვი მოლაპარაკის მხედველობის არეში იმყოფებიან, თუ ისეთ ადგილას არიან, რომლის შესახებაც შეიძლება ვთქვათ მხოლოდ, რომ ეს ადგილი აქ არის და

სხვა. ეს კატეგორია აუცილებელია ზოგ ინდიელთა ენისათვის, ხოლო ქართულისათვის სრულიად ზედმეტი. ენას ამით არაფერი არ აკლდება და არც ემატება. შესაძლებელია ენაში გამოხატული არ იყოს არავითარი მორფოლოგიური კატეგორია (მაგ. ჩინურში), მაგრამ მან ისევე კარგად შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქციები, როგორც ასრულებს მათ გრამატიკული კატეგორიებით მდიდარი ენა.

მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილები: შესახებ მოძღვრება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. სისტემის სახით ეს მოძღვრება მოცემულია ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენლების მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ს.. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციამ განიცადა შემდეგში შეამჩნევი ცვლილება, ზოგი მეტყველების ნაწილი ზედმეტად იქნა მიჩნეული, ზოგიც დაემატა და დღეისათვის ასეთი ფორმა მიიღო:

- | | |
|----------------------|-----------------|
| 1. არსებითი სახელი | 6. ზმნიზედა |
| 2. ზედსართავი სახელი | 7. თანდებული |
| 3. რიცხვითი სახელი | 8. კავშირი |
| 4. ნაცუალსახელი | 9. ნაწილაკი |
| 5. ზმნა | 10. შორისდებული |

აღნიშნულ კლასიფიკაციას აქვს რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანება. მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრებას, როგორც ვთქვით, საფუძველი ჩაეყარა ძველ საბერძნეთში და დამუშავდა ბერძნული ენის მასალაზე. ბერძნებისაგან იგი აიღეს რომაელებმა და გარკვეული შესწორების შემდეგ ლათინურს მიუყენეს. ლათინურის საშუალებით იგი გავრცელდა შემდეგში მთელ ევროპაში და ევროპული ენებიც ლათინურის გრამატიკის სქემას მიუყენეს. შემდეგში მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების გამოყენება დაიწყო ყველა ინდოევროპულ და არაინდოევროპული ენებისათვის და აღმოჩნდა, რომ იგი ისევე მიუდგა არაინდოევროპულ ენებსაც.

მეტყველების ნაწილები არ წარმოადგენენ ლოგიკურ კატეგორიებს, რადგანაც არ არსებობს პირდაპირი შესატყვისობა აღნიშნულ ლოგიკურ კატეგორიებსა და მეტყველების ნაწილებს შორის. ქართულში, მაგალითად, საგნის თვისება ზედსართავი სახელით გამოიხატება, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში. მაგრამ არ არსებობს არავითარი ლოგიკური აუცილებლობა იმისა, რომ თვისება ყოველთვის ზედსართავი სახელით გამოიხატებოდეს. ჩინურში საგნის თვისება ზმნით გამოიხატება და არა ზედსართავი სახელით. ჩვენ ვამბობთ „წითელი ვაშლი“, „კარგი ამხანაგი“ და სხვა., მაგრამ ჩინურში ასეთი ტიპის კონსტრუქციები დაუშვებელია. ჩინური კონსტრუქ-

ციების მიახლოებითი ქართული კალკი იქნება „ვაშლი წითლობს“, „ამხანაგი კარგობს“ და სხვა. ამიტომ მეტყველების ნაწილების სქემა ჩინურში არსებითად განსხვავდება ზემოგანხილული სქემისაგან, რომელიც ინდოევროპული ენების მასალაზე იქნა დაპუშავებული. მეტყველების ნაწილების ინდოევროპული სტანდარტის მიხედვით ზედსართავი ექცევა სახელის კლასში. ჩინურში კი სახელის კლასში მხოლოდ არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი შედის. ზედსართავი და ზმნა კი ექცევა ზმნის კლასში, რომელსაც პრედიკატივის კლასს უწოდებენ.

კიდევ უფრო შორს მიდის ამ თვალსაზრისით იანა ენა (ამერიკელ ინდიელთა ენა კალიფორნიის შტატში, აშშ), სადაც რიცხვითი სახელიც კი ზმნით გამოიხატება. ამ ენისათვის დამახასიათებელი არაა ქართულისათვის და ბევრი სხვა ენისათვის ისეთი ჩვეულებრივი მოდელები, როგორცაა „ათი ვაშლი“, „მეორე კაცი“ და სხვა. იანა ენისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციების მიახლოებითი ქართული კალკი იქნებოდა „ვაშლი ათობს“, „კაცი მეორეობს“ და სხვა. ამავე ენაში ცალკე არ გამოიყოფა ზმნიჭედების კლასიც. ზმნიჭედა იანა ენაში ან სახელით გამოიხატება ან ზმნური აფიქსებით. ამრიგად, იანა ენაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ სახელი და ზმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა. იგი ისევე კარგად ახერხებს განხილული ლოგიკური კატეგორიების გამოხატვას, როგორც ქართული, რუსული, ინგლისური ან რომელიმე სხვა ჩვენთვის ცნობილი ენა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერთი ლოგიკური კატეგორიები და მეორეა მათი გამოხატველი ენობრივი საშუალებანი ანუ მეტყველების ნაწილები. აუცილებელი არაა თვისება (კვალიტეტი) გამოიხატოს მაინცდამაინც ზედსართავი სახელით, ხოლო კვანტიტეტი — რიცხვითი სახელით, რადგანაც ისინი ზმნამაც შეიძლება გამოხატოს. თვითონ ზმნა ყოველთვის არ გამოხატავს მოქმედებასა და მდგომარეობას, მან შეიძლება გამოხატოს თვისება და რაოდენობაც. ასევე სახელი ყოველთვის არ გამოხატავს საგანს. მაგალითად. *нес* და *парота* რუსულში მოქმედების გამოხატველი სიტყვებია, მაგრამ ისინი მაინც სახელებია და არა ზმნები. ამიტომ მცდარია არსებითის განსაზღვრა როგორც საგნის აღმნიშვნელი სახელისა, ზედსართავისა — როგორც თვისების აღმნიშვნელისა, ზმნისა — როგორც მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვისა და სხვა. მეტყველების ნაწილების ამგვარი განსაზღვრა ვარგისია ენათა ერთი ჯგუფისათვის (ქართული, რუსული, ინგლისური და სხვა), მაგრამ სრულიად უვარგისი ენათა სხვა ჯგუფისათვის (ჩინური, იანა და სხვა).

იმ ენებშიც კი, სადაც მეტყველების ნაწილების ასეთი განსაზღვრა შესაძლებელია, საჭიროა იმის ჩვენება, რომ მეტყველების ნაწილების სისტემა განსხვავებულია სხვადასხვა ენაში და ერთი ენა ამ თვალსაზრისით არ ემთხვევა სხვა დანარჩენს. ასე, მაგალითად, არსებითი სახელი ქართულში ბრუნებადი კატეგორიაა, რუსულში იგი, მართალია, ბრუნებადი კატეგორიაა, მაგრამ აქ მისთვის სქესიც არის დამახასიათებელი. გერმანულში ბრუნებასა და სქესთან ერთად მისთვის არსებითია განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიაც (არტიკლი), ინგლისურში კი მხოლოდ განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია (არტიკლი), რადგანაც ინგლისურში არც ბრუნება გვაქვს და არც სქესი. ამიტომ ქართ. „წიგნი“, რუს. книга, გერმ. das Buch, ინგ. a book სხვადასხვა სტრუქტურული ოდენობებია.

აქამდე არაფერი არ ყოფილა ნათქვამი თანდებულის, წინდებულის, კავშირის, ნაწილაკისა და შორისდებულის შესახებ. შორისდებული საერთოდ არ წარმოადგენს მეტყველების ნაწილს. ენა პირობით ნიშანთა სისტემაა, შორისდებული კი არ წარმოადგენს პირობით ნიშანს, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული; ამიტომ მისი შეტანა პირობით ნიშანთა სისტემაში შეუძლებელია. არც თანდებული, კავშირი და ნაწილაკი წარმოადგენენ პირობით ნიშნებს, ისინი პირობითი ნიშნების გრამატიკული აქსესუარებია და დამოუკიდებლად არ არსებობენ. ამიტომ ისინი უნდა განვიხილოთ არა როგორც მეტყველების ნაწილები, არამედ როგორც ისეთივე გრამატიკული კატეგორიები, როგორცაა არტიკლი, რიცხვი, პირი და სხვა.

სინტაქსი

ტრადიციული სინტაქსის ძირითადი ცნებები. ტრადიციული სინტაქსის ძირითადი ცნებებია წინადადებისა, წინადადების წევრისა და სინტაქსურ მიმართებათა ტიპების ცნება. წინადადების წევრები გამოიყოფა კითხვების დასმის საშუალებით, რაც კარგად არის ცნობილი სასკოლო გრამატიკიდან და რასაც საფუძველი ჩაეყარა ჭერ კიდევ ძველ ბერძნულ გრამატიკებში. განსხვავდება ხუთი წევრი: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება. დამატება შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი, ხოლო გარემოება— ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა.

წინადადების მთავარ წევრებად მიჩნეულია ქვემდებარე და შემასმენელი, ხოლო განსაზღვრება, დამატება და გარემოებანი — მეორეხარისხოვან წევრებად.

წევრები ქმნიან წინადადებაში გარკვეულ სინტაქსურ ბლოკებს, რომელთაც ეწოდებათ წყვილები ანუ სიტყვები. წინადადებაში გვაქვს იმდენი წყვილი, რამდენი წევრიც არის მასში, ერთის გამოკლებით. ასე, მაგალითად, წინადადებაში „არწივი ნელ-ნელა დაბლა იწევდა“ გვაქვს ოთხი წევრი და სამი წყვილი. ეს წყვილებია: 1. არწივი იწევდა, 2. ნელ-ნელა იწევდა, 3. დაბლა იწევდა. „არწივი ნელ-ნელა“ ან „არწივი დაბლა“ არ წარმოადგენს წყვილებს, რადგანაც მათი შემადგენელი წევრები ერთმანეთთან არ არიან რაიმე სინტაქსურ კავშირში.

არსებობს სინტაქსური კავშირის სამი სახე—შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმება გვაქვს მაშინ, თუ დამოკიდებული სიტყვა იმავე ფორმას იღებს, რაც მთავარს აქვს. მაგ. წინადადებაში „ბავშვები მღერიან“ შეთანხმება გვაქვს რიცხვში. ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია და ამიტომ შემასმენელიც მრავლობითში დგას. თუ ქვემდებარეს მხოლოდობით რიცხვში გადავიყვანთ, შემასმენელიც მხოლოდობით რიცხვში დადგება (ბავშვი მღერის).

მართვა ეწოდება მთავარ და დამოუკიდებელ წევრებს შორის ისეთ სინტაქსურ კავშირს, როდესაც მთავარი წევრი მოითხოვს დამოკიდებულისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არა აქვს ან არც შეიძლება ჰქონდეს საერთოდ. იმავე წინადადებაში „ბავშვები მღერიან“ შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში. თვითონ შემასმენელს ბრუნვა არა აქვს, მაგრამ ქვემდებარისაგან იგი მოითხოვს სახელობით ბრუნვას, რადგანაც „ბავშვებმა მღერიან“ ან „ბავშვების მღერიან“ არ არის მართებულად გამართული წინადადება.

მირთვა ეწოდება წევრების ისეთ სინტაქსურ დაკავშირებას, როდესაც მთავარი წევრი დამოკიდებულს შინაარსობრივად იკავშირებს, მაგრამ ეს დაკავშირება გრამატიკულად არ არის გამოხატული. მაგ. წინადადებაში „ოქროპირი გვიან დაბრუნდა“ ორი წყვილი გვაქვს — „ოქროპირი დაბრუნდა“ და „გვიან დაბრუნდა“. „დაბრუნდა“ სინტაქსურ კავშირშია „გვიან“ სიტყვასთან (განსხვავებით სიტყვა „ოქროპირისაგან“, რომელიც მასთან არაერთარ სინტაქსურ კავშირს არ ამყარებს), მაგრამ ეს კავშირი გრამატიკული საშუალებით არ გამოიხატება. არ გამოიხატება იმიტომ, რომ „გვიან“ ფორმა უცვლელი სიტყვაა და მთავარ წევრს მხოლოდ ერთი ფორმით შეიძლება შეეწყოს.

ამრიგად, შეთანხმება, მართვა და მირთვა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია წყვილში შემავალი წევრების დაკავშირების ტექნიკა. იმის მიხედვით, თუ რომელ წევრებს შორის მყარდება სინტაქსური კავშირი, განსხვავდება პრედიკატული და არაპრედიკა-

ტული წყვილები. პრედიკატულია ისეთი წყვილი, რომელიც შემას-
მენელს შეიცავს. მაგ. „ოქროპირი დაბრუნდა“ პრედიკატულია, მაგ-
რამ „მაღალი ოქროპირი“ არაპრედიკატულია.

არაპრედიკატული სინტაგმები თავის მხრივ იყოფა ატრიბუტულ,
ობიექტურ და რელაციურ სინტაგმებად. ატრიბუტულია სინტაგმა,
თუ ის ერთ-ერთ წევრად შეიცავს განსაზღვრებას, მაგ., წითელი დრო-
შა. შაუ ქვა და სხვ.

ობიექტურია სინტაგმა, თუ მისი ერთ-ერთი წევრი ობიექტია.
მაგ. ბურთი ააგდო, ფეხი მოიტება, დანით დაკლა, კედელს მიეფარა
და სხვ.

რელაციურია გარემოების შემცველი წყვილი: ნელა წამოდგა,
ხმაბალა ალაპარაკდა და სხვ.

სინტაქსის ცენტრალური ცნებაა წინადადების ცნება, მაგრამ წი-
ნადადების განსაზღვრა ისეთივე რთული აღმოჩნდა, როგორცაა
სიტყვისა და მარცვლის განსაზღვრა. ჯონ რისის (John Ries) წიგნში
„Was ist ein Satz?“ (რა არის წინადადება?) წინადადების ას ორ-
მოცდაათი სხვადასხვა განსაზღვრაა განხილული, მაგრამ ეს რიცხვიც
არ არის სრული. სასკოლო გრამატიკაში მოცემული განსაზღვრა წი-
ნადადებისა, როგორც დასრულებული აზრის გამომხატველ სიტყვა-
თა ჯგუფისა ან სიტყვისა, სწორი არ არის — იმიტომ, რომ ჩვენ არ
ვიცით, თუ რა არის „დასრულებული აზრი“, რომ მისი საშუალებით
წინადადება განსაზღვროთ. ასევე უსაფუძვლოა და არასწორი წინა-
დადების განსაზღვრის ყველა ცდა, რომელიც კი ტრადიციულმა სინ-
ტაქსმა იცის.

წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენელთა ტერმინებში
მოცემული იქნება ქვემოთ. ამჯერად კი ამ საკითხს ღიად ვტოვებთ.
მაგრამ ეს გარემოება ხელს არ გვიშლის ვიმსჯელოთ წინადადების
შესახებ და მასზე დაყრდნობით მივიღოთ ზოგიერთი დასკვნა ენის
სტრუქტურის შესახებ.

წინადადებათა კლასიფიკაცია ხდება მოდლობისა და აგებულე-
ბის მიხედვით. მოდლობის მიხედვით განსხვავდება თხრობითი,
კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადება. აგებულების მი-
ხედვით განსხვავდება მარტივი, შერწყმული და რთული წინადა-
დება.

თუ წინადადებაში რამდენიმე (ორი ან მეტი) ერთნაირი წევრია,
მაშინ ასეთი წინადადება შერწყმულია, ხოლო თუ რამდენიმე ერთ-
ნაირი წევრი არა გვაქვს, მაშინ წინადადება მარტივი იქნება. რთუ-
ლია წინადადება, თუ იგი ორი ან მეტი მარტივი ან შერწყმული წინა-

დადებისაგან შედგება. წინადადებათა დაკავშირების ხასიათი რთულ წინადადებაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. თუ რთული წინადადების შემადგენელი წინადადებები სინტაქსური თვალსაზრისით თანასწორულებიანია, ე. ი. ერთი არ არის მეორეზე დამოკიდებული, საკმე გვექნება რთულ თანწყობილ წინადადებასთან. დაკავშირების ამ სახეს კი ეწოდება თანწყობა ანუ პარატაქსი (ბერძნ. parataxis). თუ ერთი წინადადება მეორეზეა დამოკიდებული, მაშინ გვექნება რთული ქვეწყობილი წინადადება. ქვეწყობას უცხოურად უწოდებენ ჰიპოტაქსს (ბერძნ. hypotaxis). პარატაქსი და ჰიპოტაქსი თავის მხრივ სხვადასხვა ხასიათისა შეიძლება იყოს. რაც კარგად არის ცნობილი სასკოლო გრამატიკაში.

ასეთია ტრადიციული სინტაქსის ძირითადი ცნებები და მათი შინაარსი. ამ ცნებებზე დაყრდნობით ხდებოდა ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ნებისმიერი ენის სინტაქსური სტრუქტურის კვლევა. თანამედროვე ენათმეცნიერებამ გამოავლინა ტრადიციული სინტაქსის ნაკლოვანი მხარეები, რამაც მოითხოვა მისი დებულებების არსებითი რევიზია და ახალი სინტაქსის დამუშავება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, წინადადების წევრების გამოყოფა ტრადიციულ სინტაქსში ხდება კითხვების დასმის საშუალებით. მაგრამ ამგვარი ანალიზი ხშირ შემთხვევაში არ არის ერთნიშნადი. ასე, მაგალითად, წინადადებაში „ქვევარში ღვინო ასხია“ სიტყვა „ქვევარში“ შეიძლება გავიგოთ როგორც ადგილის გარემოება, თუ მას დავუსვამთ კითხვას — სად ასხია ღვინო? ანდა — როგორც უბრალო დამატება, თუ დავუსვამთ კითხვას — რაში ასხია ღვინო?

ანალიზის ეს წესი წინადადებას მიიჩნევს ხაზობრივ სტრუქტურად და წარმოდგენას ვერ გვაძლევს წინადადების სტრუქტურის იერარქიული ხასიათის შესახებ; სინამდვილეში, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, წინადადების სტრუქტურა იერარქიულია თავისი ბუნებით და ამიტომ უფრო რთულია, ვიდრე ეს ტრადიციულ სინტაქსშია წარმოდგენილი, ეს გარემოება ტრადიციული სინტაქსის უველაზე არსებითი ნაკლია.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი. უშუალო შემადგენელთა მეთოდი სარგებლობს შემდეგი სიმბოლოებით: S არის წინადადების სიმბოლო (ინგ. sentence „წინადადება“), N აღნიშნავს არსებითი სახელის კლასს (შდრ. ინგ. noun), V — ზმნის კლასს (შდრ. ინგ. verb), A — ადიექტიურ (ხელსართაულ) სიტყვათა კლასს (შდრ. ინგ. adjective), ხოლო A dv — ზმნიზედის კლასს (შდრ. ინგ. adverb). A, N, V და Adv წარმოადგენენ ე. წ. ფორმალურ კლასებს. ყოველგვარი სიტყვა, რომელსაც აქვს რაიმე სინტაქსური ფუნქცია (ე. ი. არის წინადადე-

ბის წევრი). აღნიშნული ოთხი ფორმალური კლასიდან ერთ-ერთის წარმომადგენელი იქნება. ასე, მაგალითად, წინადადება „დარცხვენილი ძალლი უხალისოდ გაბრუნდა“ ფორმალური კლასების ტერმინებში ჩაიწერება, როგორც ANAdvV, რადგანაც სიტყვა „დარცხვენილი“ ეკუთვნის A ფორმალურ კლასს, „ძალლი“ — N-ს, „უხალისოდ“ — Adv-ს, ხოლო „გაბრუნდა“ — V-ს.

წინადადებაში შემავალი ყველა სიტყვა, რომელიც აღნიშნული ოთხი ფორმალური კლასიდან ერთ-ერთის წარმომადგენელი მაინც არის, შეიძლება განვიხილოთ როგორც წინადადების შემადგენელი. ამიტომ სიტყვები „დარცხვენილი“, „ძალლი“, „უხალისოდ“ და „გაბრუნდა“ წარმომადგენენ „დარცხვენილი ძალლი უხალისოდ გაბრუნდა“ წინადადების შემადგენლებს.

შემადგენლის ცნებისაგან უნდა განვასხვაოთ უშუალო შემადგენლის ცნება. უშუალო შემადგენლის ცნება დაკავშირებულია კონსტრუქციის ცნებასთან. ამიტომ ჯერ საჭიროა განვსაზღვროთ თვითონ კონსტრუქციის ცნება.

სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ ლაპარაკობენ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სინტაქსურ კავშირთან გვაქვს საქმე კონსტრუქციის წევრებს შორის. წინადადებაში „დარცხვენილი ძალლი უხალისოდ გაბრუნდა“ სიტყვები „დარცხვენილი“ და „უხალისოდ“ არ არის დაკავშირებული რაიმე სინტაქსური კავშირით და ამიტომ „დარცხვენილი უხალისოდ“ არ წარმოადგენს რაიმე სინტაქსურ კონსტრუქციას. თუ ავიღებთ სიტყვებს „დარცხვენილი“ და „ძალლი“, ამჟამად, რომ მათ შორის სინტაქსური კავშირია და ამიტომ „დარცხვენილი ძალლი“ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს. ამავე მიზეზის გამო სინტაქსური კონსტრუქციაა „უხალისოდ გაბრუნდა“.

კონსტრუქციის შემადგენელ წევრებს ეწოდებათ უშუალო შემადგენლები. სიტყვები „დარცხვენილი“ და „ძალლი“ წარმოადგენენ „დარცხვენილი ძალლი“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებს, ხოლო „უხალისოდ“ და „გაბრუნდა“ — „უხალისოდ გაბრუნდა“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებს.

უშუალო შემადგენლების როლში შეიძლება მოგვევლინონ არა მხოლოდ სიტყვები, არამედ კონსტრუქციებიც. „დარცხვენილი ძალლი“ და „უხალისოდ გაბრუნდა“ თავისთავად კონსტრუქციებია, მაგრამ ისინი წარმოადგენენ „დარცხვენილი ძალლი უხალისოდ გაბრუნდა“ წინადადების უშუალო შემადგენლებს.

უშუალო შემადგენლებს შორის წინადადებაში მყარდება გარკვეული იერარქიული მიმართება; რომელიმე კონსტრუქციის უშუ-

აღო შემადგენლები: დარ არიან ამ კონსტრუქციაზე უფრო დიდი კონსტრუქციის უშუალო შემადგენლები. ასე მაგალითად. „დარცხვენილი“ და „ძალი“ წარმოადგენენ „დარცხვენილი ძალი“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებს, მაგრამ ისინი შეუძლებელია განვიხილოთ „დარცხვენილი ძალი უხალისოდ გაბრუნდა“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებად. ამ კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებია „დარცხვენილი ძალი“ და „უხალისოდ გაბრუნდა“.

ამრიგად, სიტყვა „ძალი“ არ არის „დარცხვენილი ძალი უხალისოდ გაბრუნდა“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენელი. იგი წარმოადგენს მხოლოდ „დარცხვენილი ძალი“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენელს: თავის მხრივ, კონსტრუქცია „დარცხვენილი ძალი“ წარმოადგენს „დარცხვენილი ძალი უხალისოდ გაბრუნდა“ კონსტრუქციის უშუალო შემადგენელს. აქ ჩანს სწორედ წინადადების სტრუქტურის იერარქიული (საფეხურებრივი) ხასიათი. ყოველ დამალ საფეხურზე მყოფი უშუალო შემადგენელი ერთიანდება მასზე ერთი საფეხურით მაღლა მყოფ კონსტრუქციაში, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მასზე ერთი საფეხურით კიდევ უფრო მაღლა მყოფ კონსტრუქციაში და ა. შ. ამიტომ ყოველი კონსტრუქციის უშუალო შემადგენლებად მიიჩნევა მასზე უშუალოდ ერთი საფეხურით დაბლა მყოფი კონსტრუქციები ან სიტყვები.

უშუალო შემადგენლებს შორის შეიძლება გვეპოვდეს ორგვარი მემართება: სუბორდინაცია (დაქვემდებარება) და კოორდინაცია. განვიხილოთ ჭერ სუბორდინაციული მემართება. სუბორდინაციის შემთხვევაში ორი უშუალო შემადგენლიდან ერთი მთავარია, მეორე კი მასზე დამოკიდებული. მთავარ უშუალო შემადგენელს ეწოდება კონსტრუქციის ბირთვი, ხოლო მასზე დამოკიდებულს — სატელიტი. სატელიტი შეიძლება ჩამოვაცილოთ კონსტრუქციას ისე, რომ არ დაირღვეს კონსტრუქციის სინტაქსური ფუნქცია. ბირთვის ჩამოცილება კი შეუძლებელია, რადგანაც ამ შემთხვევაში კონსტრუქციის სინტაქსური ფუნქცია დაირღვევა. კონსტრუქციაში „უხალისოდ გაბრუნდა“ ბირთვია — „გაბრუნდა“, ხოლო სატელიტი — „უხალისოდ“. შეიძლება ჩამოვაცილოთ ამ კონსტრუქციას „უხალისოდ“, მაგრამ არა „გაბრუნდა“. ეს ჩანს იქიდან, რომ „დარცხვენილი ძალი გაბრუნდა“ (ჩამოცილებულია „უხალისოდ“ უშუალო შემადგენელი) მაინც წარმოადგენს წინადადებას, ხოლო თუ ჩამოვაცილებთ ამ კონსტრუქციას „გაბრუნდა“ უშუალო შემადგენელს. მივიღებთ „დარცხვენილი ძალი უხალისოდ“ ფორმას, რომელიც არ წარმოადგენს წინადადებას.

წინადადების დაშლა უშუალო შემადგენლებად წარმოადგენს ბინარულ (ორობით) ანალიზს, რადგანაც ანალიზის ყოველ საფეხურზე გამოიყოფა მხოლოდ ორი უშუალო შემადგენელი. სხვა სიტყვებით, ყოველგვარი კონსტრუქცია იშლება მხოლოდ ორ უშუალო შემადგენლად. მაგრამ ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ სუბორდინაციული კონსტრუქციები. კოორდინაციული კონსტრუქციების შემთხვევაში, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ეს წესი შეიძლება დაირღვეს და ერთი კონსტრუქცია დაიშალოს ორზე მეტ უშუალო შემადგენლად.

ოთხი ფორმალური კლასი უნდა გვაძლევდეს 16 ასეთ ბინარულ კონსტრუქციას: $A+A$, $A+N$, $A+Adv$, $A+V$, $N+N$, $N+A$, $N+Adv$, $N+V$, $Adv+Adv$, $Adv+A$, $Adv+N$, $Adv+V$, $V+V$, $V+A$, $V+N$, $V+Adv$. მაგრამ აღნიშნული 16 კონსტრუქციიდან ოთხი ($A+A$, $N+N$, $V+V$, $Adv+Adv$) არ წარმოადგენს სუბორდინაციულ კონსტრუქციებს და ამიტომ მათ ქვემოთ განვიხილავთ. დარჩენილი 12 კონსტრუქციიდან ოთხი ($A+V$, $N+Adv$, $Adv+N$, $V+A$) აკრძალული კონსტრუქციაა, რადგანაც ზმნა (V) არ ამყარებს რაიმე სინტაქსურ კავშირს ზედსართავ სახელთან (A), ხოლო სახელი, პირიქით, არ ამყარებს სინტაქსურ კავშირს ზმნიზედასთან (შესაძლებელია გვეგონოს, რომ კონსტრუქციაში „წითლები შემოვიდნენ“ ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირში იყოს „წითლები“ (A) და „შემოვიდნენ“ (V)). მაგრამ ამ და მის მსგავს კონსტრუქციებში ზედსართავ სახელი გვევლინება არსებითი სახელის ფუნქციით და ამიტომ „წითლები“ ეკუთვნის N -ის კლასს და არა A -ს კლასს. ამ მიზეზის გამო „წითლები შემოვიდნენ“ არის კონსტრუქცია $N+V$ და არა $A+V$ კონსტრუქცია).

რჩება, მაშასადამე, რვა კონსტრუქცია: 1) $A+N$, 2) $N+A$, 3) $A+Adv$, 4) $Adv+A$, 5) $N+V$, 6) $V+N$, 7) $Adv+V$, 8) $V+Adv$. აღნიშნული რვა კონსტრუქციიდან 2, 4, 6, 8 კონსტრუქციები წარმოადგენენ სათანადო 1, 3, 5, 7 კონსტრუქციებს-შებრუნებული რიგით.

- | | |
|------------|------------|
| 1. $A+N$ | 2. $N+A$ |
| 3. $A+Adv$ | 4. $Adv+A$ |
| 5. $N+V$ | 6. $V+N$ |
| 7. $Adv+V$ | 8. $V+Adv$ |

თუ რიგს არ მივიღებთ მხედველობაში, განხილული რვა კონსტრუქცია შეიძლება დაეიყვანოთ ოთხ კონსტრუქციაზე. ესენია: $A+N$,

$A + Adv$, $N + V$, $Adv + V$. მაგრამ $N + V$ და $V + N$ ზოგ ენაში (მაგალითად, ინგლისურში) სხვადასხვა კონსტრუქციაა, რადგანაც N -ის (V) წინ მდგომი სახელი (N) ქვემდებარის როლში გვევლინება, ხოლო ზმნის (V) შემდეგ მდგარი სახელი (N) დამატების როლში. გარდა ამისა, უმჯობესია $N + V$ კონსტრუქციად მივიჩნიოთ ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შედგენილი კონსტრუქცია, ხოლო $V + N$ კონსტრუქციად — შემასმენლისა და დამატებისაგან შედგენილი კონსტრუქცია. მაგალითად. „მოწაფე კითხულობს“ იქნება $N + V$, ხოლო კითხულობს წიგნს — $V + N$.

გვექნება სულ ხუთი კონსტრუქცია: $A + N$, $Adv + A$, $N + V$, $V + N$, $Adv + V$. ყველა ეს კონსტრუქცია სუბორდინაციულია; ექვს იწვევს მხოლოდ $N + V$ კონსტრუქციის სუბორდინაციულობა. $A + N$ კონსტრუქციის ბირთვია N , ხოლო A — სატელიტი, $Adv + A$ — ბირთვია A , სატელიტი კი Adv . $Adv + V$ კონსტრუქციაში ბირთვია V , ხოლო სატელიტი Adv . ასევე ბირთვია V $V + N$ კონსტრუქციაში, ხოლო N კი სატელიტი. მივიღებთ ასეთ სქემას:

1. $Adv + A \rightarrow A$
2. $A + N \rightarrow N$
3. $V + N \rightarrow V$
4. $V + Adv \rightarrow V$

სატელიტის ჩამოცილებას ეწოდება კონსტრუქციის შეკუმშვა. ამიტომ მოცემული სქემა ასახავს კონსტრუქციათა შეკუმშვის წესებს. ავიღოთ ისეთი წინადადება, რომელშიც ოთხივე ეს კონსტრუქცია იქნება წარმოდგენილი და ენახოთ კონკრეტულ მაგალითზე, თუ როგორ ხდება კონსტრუქციათა შეკუმშვა. ოთხივე ეს კონსტრუქცია წარმოდგენილია წინადადებაში — „ძალზე დარცხვენილი ძალღი უხალისოდ ჰამდა საკმელს“. „ძალზე დარცხვენილი“ არის $Adv + A$ კონსტრუქცია, „დარცხვენილი ძალღი“ — $A + N$, „ჰამდა საკმელს“ — $V + N$, ხოლო „უხალისოდ ჰამდა“ — $Adv + V$. პირველ კონსტრუქციაში (ძალზე დარცხვენილი) ბირთვია A (დარცხვენილი), ხოლო სატელიტია Adv (ძალზე). ამიტომ „ძალზე“ (Adv) შეიძლება ჩამოვაცილოთ ამ კონსტრუქციას და იგი წარმოვადგინოთ თავისი ბირთვით. ესაა „დარცხვენილი“ (A), რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს $A + N$ (დარცხვენილი ძალღი) კონსტრუქციის სატელიტს და როგორც სატელიტი მას უნდა ჩამოსცილდეს. ამრიგად „ძალზე დარცხვენილი ძალღი“ ფრაზიდან რჩება მხოლოდ N (ძალღი).

კონსტრუქციაში „კამდა საკმელს“ (V+N) ბირთვია „კამდა“ (V), ხოლო სატელიტი „საკმელს“ (N). ასევე ბირთვია „კამდა“ (V) კონსტრუქციისა „უხალისოდ კამდა“ (Adv+V). ამიტომ „საკმელს“ და „უხალისოდ“ შეიძლება ჩამოვაცილოთ და ფრაზა „უხალისოდ კამდა საკმელს“ დაიყვანოთ თავის ბირთვზე — „კამდა“ (V).


ამრიგად, შეკუმშვის შემდეგ წინადადება „ძალზე დარცხვენილი ძალღი უხალისოდ კამდა საკმელს“, რომელიც ჩაიწერება როგორც AdvANAdvVN, დაიყვანება თავის ბირთვზე. ესაა „ძალღი კამდა“. რომელიც წარმოადგენს N+V კონსტრუქციას. შესაძლებელია თუ არა N+V კონსტრუქციის შეკუმშვა? თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი ბირთვი უნდა იყოს, მეორე კი სატელიტი. N არაერთად შემთხვევაში არ შეიძლება ბირთვად ჩაითვალოს, ხოლო V კი სატელიტად, რადგანაც ამ შემთხვევაში კონსტრუქცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ N-ით. N (ძალღი) არ წარმოადგენს წინადადებას. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია N მივიჩნიოთ სატელიტად, ხოლო V ბირთვად. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ V (ზმნა) N-ის (სახელის) გარეშეც შეიცავს წინადადების გაგებას. მაგალითად, „კამდა“ შეიძლება მივიჩნიოთ წინადადებად. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ე. წ. უქვემდებარე წინადადებები, როგორიცაა „ბნელა“, „ცხელა“, „დაღამდა“, „გათენდა“ და სხვ., რომლებსაც, მართალია, ქვემდებარე არა აქვთ, მაგრამ აქვთ წინადადების ფორმა. ამრიგად, პრინციპულად შესაძლებელია არსებობდეს უქვემდებარე წინადადება, მაგრამ შეუძლებელია არსებობდეს წინადადება შემასმენლის (V) გარეშე. ამიტომ შეიძლება N+V კონსტრუქციაში V მივიჩნიოთ ბირთვად, ხოლო N — სატელიტად. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქცია „ძალღი კამდა“ შეიძლება კიდევ შევკუმშოთ და წარმოვადგინოთ მხოლოდ V-თი (კამდა).

ამრიგად, V წარმოადგენს წინადადების აბსოლუტურ ბირთვს, რომელიც არასოდეს არ გვევლინება სატელიტის როლში. N+V კონსტრუქციის N მასზე ერთი რანგით დაბლა დგას, რადგანაც იგი, მართალია, A-სთან და Adv-თან მიმართებაში ყველაზე მეტი სინტაქსური ძალის მქონეა, მაგრამ V-სთან მიმართებაში მაინც სატელიტის როლში გამოდის. მასზე უფრო მცირე სინტაქსური ძალის მქონეა V+N კონსტრუქციის N, რაც მტკიცდება იმით, რომ V+N კონსტრუქცია (ვთქვათ, „კამდა საკმელს“ არ არის წინადადება, ხოლო N+V (ძალღი კამდა) — წინადადებაა. A-ს სინტაქსური ძალა უფრო მეტია, ვიდრე Adv-ისა, მაგრამ აშკარად ნაკლებია V+N კონსტრუქციის N-ის სინტაქსურ ძალაზეც კი, რადგანაც V+N

კონსტრუქციის N წარმოადგენს V-ს უშუალო სატელიტს, ხოლო A — N-ის სატელიტია, რომელიც, თავის მხრივ, სატელიტს წარმოადგენს. თავისი რანგით ყველაზე დაბალია Adv. რომელიც აბსოლუტური სატელიტია და არასოდეს არ გვევლინება ბირთვის როლში.

მაშასადამე, თავისი რანგით ყველაზე მეტია V, ხოლო მის შემდეგ დგას N+V კონსტრუქციის N. როგორც წესი, წინადადება რომ გვექონდეს, მასში წარმოდგენილი უნდა იქნეს N და V მაინც. ამიტომ N+V კონსტრუქცია შეიძლება გავუტოლოთ წინადადებას და შეკუმშვის განხილულ ოთხ წესს დავუმატოთ მეხუთეც: N+V—S.

ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს წინადადების უშუალო შემადგენლებად დაშლისას. რადგანაც N და V წინადადების აუცილებელი კომპონენტებია, ამიტომ ყოველგვარი წინადადება, უშუალო შემადგენლების თეორიის მიხედვით, ანალიზის პირველ საფეხურზე იყოფა N-ის ფრაზად, ანუ NP (P აღნიშნავს სიტყვა „ფრაზას“ და წარმოადგენს ინგლისური სიტყვა phrase-ის მოკლედ დაწერას) და ზმნის ფრაზად VP. ასე, მაგალითად, წინადადებაში „ძალზე დარცხვენილი ძალი უხალისოდ ჰამდა საკმელს“ NP არის „ძალზე დარცხვენილი ძალი“, ხოლო VP — „უხალისოდ ჰამდა საკმელს“. ანალიზის მომდევნო ეტაპებზე NP და VP დაიშლება ცალ-ცალკე. NP გაიყოფა A და N-ად, A — Adv-ად და A-დ, VP — V-დ და NP₁-დ. VP — Adv და V-დ, ხოლო NP₁ დაიშლება ისევე, როგორც NP. ანალიზის ეს წესი შეიძლება წარმოვადგინოთ უშუალო შემადგენელთა ხის სახით:



სურ. 14

წინადადება „ძალზე დარცხვენილი ძალლი უხალისოდ ჰამდა მეტად უგემურ საკმელს“ ადეკვატურად აღიწერება შემდეგი წესებით:

1. Adv + A — A (ძალზე დარცხვენილი — დარცხვენილი)
2. A + N — N (დარცხვენილი ძალლი — ძალლი)
3. Adv + V — V (უხალისოდ ჰამდა — ჰამდა)
4. Adv + A — A (მეტად უგემურ — უგემურ)
5. A + N — N (უგემურ საკმელს — საკმელს)
6. V + N — V (ჰამდა საკმელს — ჰამდა)
7. N + V — S (ძალლი ჰამდა — S)

განხილული შვიდი წესის გამოყენების შემდეგ წინადადება „ძალზე დარცხვენილი ძალლი უხალისოდ ჰამდა მეტად უგემურ საკმელს“ დაიყვანება თავის ბირთვზე — „ძალლი ჰამდა“, რასაც კარგად გვიჩვენებს უშუალო შემადგენელთა მოცემული სქემაც.

აქამდე ჩვენ ვაანალიზებდით სუბორდინაციულ კონსტრუქციებს. მაგრამ სუბორდინაცია არ წარმოადგენს სინტაქსური კავშირის ერთადერთ სახეს, რადგანაც მის გვერდით გვაქვს კოორდინაციაც. კოორდინაცია მყარდება ორ ერთგვაროვან წევრს შორის, ე. ი. კოორდინაციის საკითხი დაკავშირებულია შერწყმული წინადადების საკითხთან. კოორდინაციის შემთხვევაში ირღვევა ბინარული პრინციპი, რადგანაც შესაძლებელია გვქონდეს n რაოდენობის N , ასევე n რაოდენობის V და n რაოდენობის A და Adv . მაგალითად, წინადადებაში „კოდებს, სადღეებლებსა და კასრებს სულ ცაცხვისაგან ამზადებენ“ გვაქვს სამი N (კოდებს, სადღეებლებს, ცაცხვებს), რომელთაგან თითოეული V -სთან (აყეთებენ) სუბორდინაციის მიმართებაშია (შდრ., კოდებს აყეთებენ, სადღეებლებს აყეთებენ, კასრებს აყეთებენ), მაგრამ ერთმანეთთან ისინი კოორდინაციის მიმართებაში არიან.

კოორდინაციის მიმართებაში შეიძლება იყოს როგორც ბირთვები, ისე სატელიტები. წინადადებაში „აფრინდა ქორი, აფრინდა, არავე ჩაინადირა“ კოორდინაციის მიმართებაშია ერთმანეთთან $2V$ (აფრინდა, ჩაინადირა). ორივე მათგანი წარმოადგენს ბირთვის. რადგანაც ბირთვი (V) ორია, შეიძლება ჩამოვიცილოთ ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ არა ორივე. ასეთ ბირთვებს ეწოდებათ კოორდინირებული ბირთვები.


გვაქვს კოორდინირებული სატელიტებიც. ორი ან მეტი კოორდინირებული სატელიტიდან შეიძლება ჩამოვიცილოთ ორივე ან ყველა და კონსტრუქცია წარმოვადგინოთ მხოლოდ თავისი ბირთვით წინადადებაში „კასრებს, სადღეებლებსა და ქილებს სულ ცაცხვისაგან აყეთებენ“ კოორდინირებული სატელიტებია „კასრებს“, „სადღეებ-

ლებს“ და „ქილებს“. ამიტომ კონსტრუქცია „აკეთებენ კასრებს, სადღევლებსა და ქილებს“ (V+N+N+N) შეიძლება შევეკუშმოთ და დაიყვანოთ თავის ბირთვზე „აკეთებებს“ (V). ამრიგად, შერწყმული წინადადება საერთოდ შეიძლება აღწეროთ კოორდინირებული ბირთვებისა და სატელიტების ტერმინებში.

სინტაქსი წარმოადგენს მეტად რთულ სისტემას, სადაც სინტაქსური კავშირი მყარდება არა მხოლოდ წინადადების შიგნით უშუალო შემადგენლებს შორის, არამედ თვითონ წინადადებებს შორისაც. როგორია სინტაქსური მიმართებები წინადადებებს შორის? ტრადიციული სინტაქსი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, განასხვავებს ორი სახის მიმართებას წინადადებებს შორის. ესაა თანწყობა (პარატაქსი) და ქვეწყობა (ჰიპოტაქსი). ეს ჩემს ნიშნავს, რომ მიმართება წინადადებებს შორის განსხვავდება წინადადების წევრებს შორის არსებული მიმართებისაგან. უშუალო შემადგენელთა თეორია წინადადებებს შორისაც იმავე მიმართებებს აღგენს, რა მიმართებებიცაა კონსტრუქციის წევრ უშუალო შემადგენლებს შორის. ესაა კოორდინაცია და სუბორდინაცია. თანწყობის შემთხვევაში საქმე გვაქვს კოორდინაციასთან; ხოლო ქვეწყობის შემთხვევაში — სუბორდინაციასთან. ასე, მაგალითად, წინადადებაში „გამხიარულებული ბუნარი ღულუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა“ წინადადებები „გამხიარულებული ბუნარი ღულუნებდა“ და „კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა“ ერთმანეთთან კოორდინაციის მიმართებაშია. მაშასადამე, თანწყობილი წინადადების შემადგენელ წინადადებებს შორის ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორი მიმართებაც დადასტურდა ერთგვაროვან წევრებს შორის შერწყმულ წინადადებაშიც. ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს კოორდინაციის მიმართებასთან და ამიტომ მიმართება რთული წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებებს შორის ანალოგიურია შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრებს შორის არსებული მიმართებისა. ანალიზის პირველ ეტაპზე რთული თანწყობილი წინადადება გაიყოფა ორ ან მეტ მარტივ წინადადებად და შემდეგ მარტივი წინადადება განალიზდება ისევე, როგორც ზემოგანხილული მარტივი წინადადებები. თუ წინადადებას „გამხიარულებული ბუნარი ღულუნებდა და კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა“ აღნიშნავთ S-ით, მაშინ მისი შემადგენელი მარტივი წინადადებები „გამხიარულებული ბუნარი ღულუნებდა“ და „კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა“ იქნება ბათანადოდ S₁ და S₂, რომლებიც, თავის მხრივ, განალიზდებიან ისევე, როგორც ყველა მარტივი წინადადება. თუ რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელი წინადადებებიდან ერთ-ერთი

ან ყველა შერწყმულია, მაშინ ეს შერწყმული წინადადება ან წინადადებები გაანალიზდებიან შერწყმული წინადადების წესების მიხედვით.

ქვეწყობის შემთხვევაში რთული წინადადების ბირთვია მთავარი წინადადება, ხოლო სატელიტი — მასზე დაქვემდებარებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის ანალოგიურია, ვთქვათ, სახელსა (N) და ზედსართავს (A) შორის არსებული მიმართებისა. ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს სუბორდინაციასთან. მაგრამ დამოკიდებული წინადადება მიმართებას ამყარებს არა მთავარ წინადადებასთან საერთოდ, არამედ მის ერთ-ერთ რომელიმე წევრთან და ამიტომ უშუალო შემადგენლებად გაანალიზებისას დამოკიდებული წინადადება უნდა მივიჩნიოთ მთავარი წინადადების იმ წევრის სატელიტად, რომელთანაც იგი მიმართებას ამყარებს. ამიტომ რთული ქვეწყობილი წინადადება (S) უშუალოდ კი არ დაიშლება S_1 (მთავარ) და S_2 (დამოკიდებულ) წინადადებად, არამედ NP და VP და ა. შ., სანამ არ გამოვყოფთ იმ წევრს, რომლის სატელიტიც არის დამოკიდებული წინადადება. ასე, მაგალითად, წინადადებაში „ფაქტები მოწმობენ, რომ მემარჯვენე პროტესტანტი ექსტრემისტები ტერორით აშინებენ ირლანდიის კათოლიკურ მოსახლეობას“ დამოკიდებული წინადადება VP-ს ეკუთვნის. აღნიშნულ დამოკიდებულ წინადადება CI (ინგ. subordinate clause დამოკიდებული წინადადება) სიმბოლოთი, ხოლო კავშირი—C სიმბოლოთი. აღნიშნული წინადადება უშუალოდ შემადგენლებად ასე დაიშლება:



ხურ. 15.

S_1 (მემარჯვენე პროტესტანტი ექსტრემისტები ტერორით აში-

ნებენ ირლანდიის კათოლიკურ მოსახლეობას) დაიშლება ჩვეულებრივი წესით.

გვაქვს წინადადებათა ერთი რიგი, რომლებიც არასრული წინადადებების სახელით არიან ცნობილი და რომლებიც, ერთი შეხედვით, ძნელია დავშალოთ უშუალო შემადგენლებად. ავილოთ ასეთი დიალოგი:

„ — შენ უკანასკნელად როდის ნახე იგი?

— შეიდი წლის წინათ.

— მის შემდეგ არ გინახავს!

— არა.

— სინდისი დაიფიცე!

— ვფიცავ.

განხილულ დიალოგში გვაქვს სამი არასრული წინადადება:

S₁: „შეიდი წლის წინათ“

S₂: „არა“

S₃: „ვფიცავ“

მოცემული წინადადებები რომ გაანალიზდეს უშუალო შემადგენელთა ტერმინებში, საჭიროა ჯერ აღვადგინოთ მათში გამოტოვებული წევრები, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ელიფსურ კონსტრუქციებს. თავის მხრივ ელიფსი გამოწვეულია სინტაქსური პლენაზმის (სიქარბის) თავიდან აცილების მიზნით. თუ ამ წინადადებებს ავიღებთ დამოუკიდებლად, მათ სხვა სახე ექნებათ, ე. ი. სრულ წინადადებად გარდაიქმნებიან. აღვნიშნოთ გამოტოვებული უშუალო შემადგენელი \emptyset -თ და შევაჯსოთ ყველა ეს წინადადება სათანადო უშუალო შემადგენლებით. წინადადებაში „შეიდი წლის წინათ“ გვაკლია $N + V$ კონსტრუქციის N , V და $V + N$ კონსტრუქციის N . ასევე გვაკლია $Adv + V$ კონსტრუქციის Adv -ც. ყველა ეს უშუალო შემადგენელი შეიძლება აღვადგინოთ შემდეგი წესების მიხედვით:

1. $\emptyset - N$ /მე/

2. $\emptyset - V$ /ვნახე/

3. $\emptyset - N$ /იგი/

4. $\emptyset - Adv$ /უკანასკნელად/

ამგვარი გარდაქმნის შემდეგ წინადადება მიიღებს შემდეგ სახეს: „მე უკანასკნელად ვნახე იგი შეიდი წლის წინათ“. ამ სახით კი მისი დაშლა უშუალო შემადგენლებად არ ელობება რაიმე წინააღმდეგობას.

S₂ წინადადებაში გვაკლია ყველა წევრი. მათი აღდგენის შემდეგ წინადადება წარმოგვიდგება როგორც „მას შემდეგ მე იგი არ მინახავს“ და ამ სახით გაანალიზდება უშუალო შემადგენელთა თეორიის

მიხედვით. ასეთივე პროცედურის ჩატარების შემდეგ S_a გარდაიქმნება „შე ვფიქვავ სინდისს“ წინადადებად და გაანალიზდება უშუალო შემადგენელთა ტერმინებში.

დასასრულ შეიძლება შევჩერდეთ ერთ საკითხზეც. უშუალო შემადგენელთა თეორია წარმოიშვა როგორც უარყოფა ტრადიციული სინტაქსური თეორიისა, რომელიც წინადადებას ყოფს ცალკეულ წევრებად. მაგრამ ანალიზის ეს ორი სხვადასხვა წესი შეიძლება შევუთავსოთ ერთმანეთს და წინადადების წევრის ცნება კვლავ აღვადგინოთ თავის უფლებებში ისე, რომ არ უარყუოთ წინადადების სტრუქტურის იერარქიული ხასიათი. S-ის შემადგენელ NP-სა და VP-ს ვუწოდოთ ქვემდებარისა და შემასმენლის ფრაზები. NP სიმბოლო იშლება A და N სიმბოლოებად. N წარმოადგენს ქვემდებარეს, ხოლო A—განსაზღვრებას. A-ს შეიძლება ჰქონდეს თავისი სატელიტი Adv, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც გარემოება. VP-ს შემადგენელი V და NP შესაბამისად წარმოადგენს შემასმენელსა და დამატების ფრაზას. V-ს სატელიტი წარმოადგენს გარემოებას. ხოლო VP კონსტრუქციის უშუალო შემადგენელ NP-ში იგივე წევრები გამოიყოფა, რაც S-ის შემადგენელ NP კონსტრუქციაში. ამრიგად, V (ზმნის კლასი) არის შემასმენლის (პრედიკატის) კლასი, N+V კონსტრუქციის N (სახელის კლასი) უდრის ქვემდებარის კლასს, ხოლო V+N კონსტრუქციის N (სახელის კლასი) — დამატების კლასს. A (ზედსართავების კლასი) იგივე განსაზღვრებაა, ხოლო Adv (ზმნიზღდათა კლასი) — გარემოება.

უშუალო შემადგენელთა მეთოდის ნაკლოვანი მხარეები. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ ნებისმიერი სინტაქსური კონსტრუქცია შეიძლება ადეკვატურად აღიწეროს უშუალო შემადგენელთა თეორიის მიხედვით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უშუალო შემადგენელთა თეორია ხასიათდება რიგი ნაკლოვანი მხარეებით და იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის ენის ადეკვატური თეორია. უშუალო შემადგენელთა თეორიის ეს ნაკლი შესაძენივე გახდა მას შემდეგ, რაც ახლებურად დაისვა ენის თეორიის საკითხი. რაში მდგომარეობს ეს სიახლე?

ყოველ ნორმალურ მოზრდილ ინდივიდს შეუძლია ააგოს ნებისმიერი წინადადება თავის მშობლიურ ენაზე (თუ ამას საჭიროება შოითხოვს), რაც გასაგები იქნება ამავე ენაზე მოლაპარაკე სხვა ინდივიდებისათვისაც. კომუნიკაციის პროცესში ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვისმენთ ასეთ ახალბაღ წინადადებას, მაგრამ არ გვიჭირს მათი გაგება. წინადადებათა რაოდენობა უსასრულოა, მაგრამ ყოველი მათგანი აგებულია გარკვეული შაბლონების მიხედვით. სწორედ ეს შაბლონებია, რომ ჩვენთვის გასაგებს ხდის ნებისმიერ წინადადე-

ბას და საშუალებას გვაძლევს განვასხვაოთ სწორი წინადადება არასწორი წინადადებისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეტყველი სუბიექტი წარმოქმნის მხოლოდ სწორ წინადადებებს და განასხვავებს სწორ წინადადებას არასწორი წინადადებისაგან. წინადადების წარმოშობის პროცესში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკუთვნის გრამატიკულ წესებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ჩვენ წარმოვქმნათ გრამატიკულად სწორი წინადადებები და განვასხვაოთ ისინი გრამატიკულად არასწორი წინადადებისაგან.

ამრიგად, მეტყველი ინდივიდი წარმოადგენს გრამატიკულად სწორი წინადადების უსასრულო რაოდენობის წარმომშობ წყაროს. გრამატიკამ რომ შეძლოს ახსნას მეტყველი ინდივიდის ენობრივი ქცევა, მან ცენტრალურ საკითხად უნდა გაიხადოს წინადადების წარმოშობის საკითხი, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება გრამატიკულად სწორი წინადადების წარმოქმნა მეტყველი ინდივიდის მიერ. ამ საკითხებს იკვლევს სწორედ გრამატიკის ახალი ტიპი, რომელსაც ეწოდება გენერატორული ანუ წარმომშობი გრამატიკა.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ უშუალო შემადგენელთა გრამატიკას, აღმოჩნდება რომ იგი არ ეხება ამ ცენტრალურ საკითხს; ე. ი. არ განიხილავს წინადადების წარმოშობის რთულ მექანიზმს. არ განიხილავს იმითომ, რომ, უშუალო შემადგენელთა თეორიის მიხედვით, ენა წარმოადგენს სტატიკურ სისტემას. იგი იკვლევს მხოლოდ წარმოქმნილ ენობრივ სტრუქტურებს და არ სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ რა გზით მიიღებიან ეს სტრუქტურები.

დამწერლობის (წერის) ისტორია

დამწერლობის დანიშნულება და მისი ფუნქციები. ენა კაცობრიობის უდიდესი შენაძენია. მან შექმნა საზოგადოება. ენა არის თანამედროვე კაცობრიობის მდიდარი და მრავალფეროვანი სულიერი კულტურის ქვაკუთხედი. მაგრამ ენას, წარმოდგენილს ზეპირმეტყველების სახით, აქვს თავისი სუსტი მხარეებიც — იგი შეზღუდულია დ რ ო ი თ და ს ი ვ რ ც ი თ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ზეპირი მეტყველება ერთდროულად გულისხმობს მოლაპარაკეს და მსმენელს; ზეპირად ნათქვამი მომენტობრივია; მომდევნო თაობა ვერ მოისმენს, რაც წინათ წარმოითქვა.

გარდა ამისა, სამეტყველო ენა შეზღუდულია სივრცით, ე. ი. კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ მანძილზე.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონეზე ადამიანებს გაუჩნდათ მოთხოვნილება თავიანთი აზრების, სურვილების გაგებინებისა შორეულ მანძილზე, რაც ზეპირი მეტყველებით არ შეიძლებოდა. ჩნდება დამწერლობა, როგორც დამხმარე საკომუნიკაციო საშუალება (ფორმა) ბგერითი ენისა.

მაშასადამე, დამწერლობა ჩნდება სამეტყველო ენის შემდეგ, მის ბაზაზე.

რა მიმართებაშია დამწერლობა ზეპირმეტყველებასთან და რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება იგი?

დამწერლობას არა აქვს თავისთავადი, დამოუკიდებელი საკომუნიკაციო ფუნქცია. ის წარმოიშვა სამეტყველო ენის შემდეგ, როგორც მისი დამხმარე საკომუნიკაციო ფორმა. მისი გამომხატველობითი შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია ზეპირმეტყველებაზე.

დამწერლობა თავდაპირველად გამოიყენებოდა აზრის შორეულ მანძილზე და დროში გადასაცემად; შემდგომში მისი ფუნქცია ფართოვდებოდა. ის მძლავრი ბერკეტი ხდება მეცნიერების, ხელოვნე-

ბის, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და პროგრესისა. მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ხალხთა სულიერი კულტურის მიღწევები კაცობრიობის საკუთრებად იქცევა დამწერლობის წყალობით. ამავე დამწერლობის საშუალებით შესაძლებელი ხდება წინა ეპოქის ცივილიზაცია გადაეცეს მომდევნო ეპოქებს. დამწერლობის ეს ფუნქცია კაცობრიობის განვითარების აუცილებელი პირობაა, მისი ქვაკუთხედი. მიუხედავად ამისა, დამწერლობის ფუნქცია მაინც უფრო ვ ი წ რ ო ა სამეტყველო ენის ფუნქციასთან შედარებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება დამწერლობისა ის არის, რომ მისი მოხაზულობა და ნიშნები მხედველობით აღიქმება. ამ უკანასკნელი ნიშნის მიხედვით დამწერლობა ახლო დგას გრაფიკულ ხელოვნებასთან. მაგრამ მისგან განსხვავდება თავისი ამოცანით: თუ გრაფიკული ხელოვნების დანიშნულებაა სამყაროს მხატვრული შემეცნება, დამწერლობა ზეპირმეტყველებას ემსახურება, მისი დამხმარე საკომუნიკაციო საშუალებაა.

მეტყველებას და დამწერლობას აზრის გამოხატვის განსხვავებული საშუალება აქვთ, ხოლო ამოცანა (მიზანი) კი ერთი — კომუნიკაცია.

დამწერლობის წარმოშობა, მისი ევოლუცია. მეცნიერებისათვის ცნობილი არ არის, თუ განვითარების რომელ სტადიაში გაუჩნდა ადამიანებს მოთხოვნილება აზრის ურთიერთგაზიარებისა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: დამწერლობა შეიქმნა სამეტყველო ენის შემდეგ, მის ბაზაზე, როგორც ზეპირი კომუნიკაციის დამხმარე საშუალება.

ფართო გაგებით, დამწერლობად შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთობის ყველა ფორმა, რომელიც ო პ ტ ი კ უ რ ი ნ ი შ ნ ე ბ ის მეშვეობით ხდება.

ამგვარად, დამწერლობაში შევა პირველყოფილ ადამიანთა ელემენტარული ინფორმაციის შემცველი პირობითი ნიშნები სხვადასხვა საგანთა სახით; მაგალითად, მონადირეები სხვადასხვა პრიმიტიული ნიშნების მიხედვით აფრთხილებდნენ ამხანაგებს ნადირთა რაოდენობისა და მათი მოძრაობის მიმართულების შესახებ. ამისათვის ისინი თავდაპირველად იყენებდნენ ხის ტოტებს, შემდეგში კი — ისრებს.

უძველეს ხალხთა ამ ჩვევას ამჟამადაც ვიყენებთ: ქალაღზე ისარს ვხაზავთ მიმართულების საჩვენებლად.

შემდგომ მართო მიმართულების ჩვენება საკმარისი არ აღმოჩნდა, გაჩნდა მოთხოვნილება, უფრო მეტი ინფორმაცია გადაეცა ამხანაგი-

სათვის, რომელიც მასთან არ იყო. ამის შემდეგ ჩნდება ნახატები. მონადირე. მიმართულების ჩვენებასთან ერთად, იქვე ხატავს ნადირსაც, რომელსაც ის მისდევს (ან რომელზეც ნადირობს). ეს, რა თქმა უნდა, უფრო რთული ინფორმაციაა. ზოგიერთმა მონადირე ხალხმა შეიმუშავა მხატვრობის (ნახატების) მთელი კომპლექსი, რომელიც ინფორმაციის მთელ სისტემას შეიცავს.

წრავალენიანობის შემთხვევაში ურთიერთობას ხელს უშლიდა სხვათა ენის უცოდინარობა. ასეთი დაბრკოლების დასაძლევად აღმოცენდა კინეტიკური ენა.

ურთიერთობის ყველა აღნიშნული ფორმა მხოლოდ წარმოდგენათა შინაარსს გადასცემდა და არ იძლეოდა მათს (ე. ი. წარმოდგენების) სიტყვიერ გამოხატულებას.

აზრის გადაცემის არც ერთი აღნიშნული ფორმა ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს დამწერლობად. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია დამწერლობისაკენ.

დამწერლობა იწყება ნახატებით, რომელიც თავისი ტრადიციული ფორმით გადმოსცემს თსრობის ლოგიკურ შინაარსს.

დამწერლობის მთავარი ნიშანი ის კი არ არის, თუ როგორი გრაფიკული ნიშნებით გადმოიციემა ენა, არამედ ის, ენის რა ელემენტები აღინიშნება ნიშნებით. ამის მიხედვით დამწერლობის ისტორიაში გამოიყოფა დამწერლობის სამი ძირითადი ტიპი:

1. პიქტოგრაფიული,
2. იდეოგრაფიული,
3. ფონოგრაფიული.

პიქტოგრაფიული წერა. პიქტოგრაფია რთული სიტყვაა და შედგება ლათინური სიტყვისა *piclus* „დახატული“ და ბერძნული-საგან *grapho* „ეწერ“.

პიქტოგრაფიული წერა აზრის ფიქსაციის ყველაზე ძველი საშუალებაა, რომელსაც ადამიანი იყენებდა საკომუნიკაციოდ. სპეციალისტთა აზრით, პიქტოგრაფიული წერის ჩასახვა და მისი ფორმირება მოხდა ნეოლითის ეპოქაში, არა უადრეს მ—6 ათასწლეულისა ძველი წელთაღრიცხვით.

წერის პიქტოგრაფიული პრინციპი გულისხმობს ნახატების საშუალებით კომუნიკაციას. ასეთი ნახატები გადმოსცემენ დაუნაწევრებელ მეტყველებას, ამიტომ პიქტოგრაფია ჩვეულებრივ მეტყველების შინაარსს გამოხატავს და არა ენობრივ ფორმას. ბუნებრივია, თუ პიქტოგრაფიის სიტყვიერი ფორმულირება მისი „დამწერის“ და „მკითხველის“ მიხედვით ერთმანეთს არასდროს არ უდრის, ე. ი. ერთსა

და იმავე პიქტოგრაფიას სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელი კითხულობს ერთნაირი სიადვილით: ამდენად პიქტოგრაფიული ტიპი წერისა ინტერნაციონალური ხასიათისაა.

პიქტოგრაფიულ წერაში დიდ როლს ასრულებს ნატოვანი სიმბოლიკა (მაგ. ჩრდილო ამერიკის ინდიელები ორი შეერთებული გულის სურათით გამოხატავენ სიყვარულს) და ფერების სიმბოლიკა (მექსიკურ დამწერლობაში წითელი ფერით სისხლს აღნიშნავენ).

წერის პიქტოგრაფიულ პრინციპს ამკამდაც ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში; მაგალითად, მაღაზიებში, სადაც ხორცი იყიდება. ფირნიშზე დახატულია ხორცის ნაჭერი ან პირუტყვი, ფეხსაცმლის შემკეთებელ სასელოსნოს ფირნიშზე დახატულია ფეხსაცმელი (რ. გვ. 236).

იდეოგრაფიული წერა. იდეოგრაფიული დამწერლობა არის პიქტოგრაფიული დამწერლობის მომდევნო, უფრო მაღალი საფეხური წერისა. ტერმინი იდეოგრაფია მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან: *idéa* „იდეა“, „ცნება“, *gràphō* — „წერა“. იდეოგრაფიის წერით გამოხატულ ნიშანს ეწოდება იდეოგრაფია.

იდეოგრაფიული დამწერლობის ზოგიერთი სახეობის (მაგ. ეგვიპტურის) მიმართ იხმარება ტერმინი იეროგლიფი. იეროგლიფური დამწერლობა (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საღვთო ამონაკვეთი“ *hierús*). თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ძველი ეგვიპტური დამწერლობისათვის ხმარობდნენ, ამკამად ის უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება (ჩინური, კრეტული, ხეთური და სხვა).


იდეოგრაფიული წერის გრაფემები აღნიშნავენ მთლიან სიტყვებს, ცნებებს; ისინი სიტყვის აზრს გამოხატავენ და არა მის ბგერობრივ სტრუქტურას.

იდეოგრაფიული წერა, როგორც აღვნიშნეთ, პიქტოგრაფიულის განვითარებას წარმოადგენს; ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით აღმნიშვნელი (იდეოგრაფია) არა ჰგავს აღსანიშნს, ის უფრო მეტად სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენს.

იდეოგრაფიული წერა არის საწყისი აზრის სიტყვობრივი დანაწევრებისა, შემდგომში ეს პროცესი უფრო ღრმავდება, ვითარდება, იდეოგრაფები სტაბილური ხდება და გარდაიქმნება პირობით ნიშნებად. ამის გამო იდეოგრაფიული წერა კარგავს ინტერნაციონალურ ხასიათს და მის წასაკითხად საჭიროა სპეციალური შესწავლა.

იდეოგრაფიული დამწერლობის ნიმუშა ამკამად ჩინური წერა.

იმის გამო, რომ წერის იდეოგრაფიული სისტემა უშუალოდ არაა დაკავშირებული ენის ბგერით გამოსახულებასთან, ის ადვილად გადადის ერთი ხალხიდან მეორეზე. მაგალითად, ჩინური იეროგლიფე-



სუო. 16.

ჩრდილო ამერიკის ინდელთა პიქტოგრაფიული წერის ნიმუში, რომელსაც იყენებდნენ განუყვებელ ცნებათა გადმოსაცემად: 1. — სიკოცხლე (ზღაპრული რქიანი გველი); 2. — სიყვილი (ცხოველი ან ადამიანი გულამა); 3. — ბედნიერება, წარმატება (ყუ); 4. — სიმარჯვე, სიმარდე (ყაცი ფრთებით); 5. — ომი (შვილდ-ისარი); 6. — მშვილობა (მშვილობის ჩიბუხი ფრთებით); 7. — ზავის დადება (ყაცი ეწევა მშვილობის ჩიბუხს); 8. — შეგობრობა (შეერთებული ხელები); 9. — სიყვარული (შეერთებული გულები); 10. — ყურადღება, სმენა (თავი უერთან დაკლავნილი ხაზით); 11. — საშიშროება (ორი გველი); 12. — საღარაჭოზე ყოფნა (ძალი); 13. — ლოცვა (ხელი, ცის კამარისა და ღმერთებისკენ აყრობილი).



სურ. 17.,

ხეთური იეროგლიფური წარწერა.

ბი გადაიღეს იაპონელებმა და კორეელებმა. მათ შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარონ იეროგლიფების საშუალებით. მიუხედავად იმისა, ერთმანეთის ენა იციან თუ არა.

იდეოგრამებს ამჟამადაც ვიყენებთ. ასეთია, მაგალითად, ციფრები. ქიმიური, მათემატიკური, ასტრონომიული და სხვა პირობითი ნიშნები. ციფრი „5“ სრულიად არა ჰგავს რაოდენობას, რომელსაც აღნიშნავს სიტყვა „ხუთი“. არც ნიშანი X ჰგავს მოქმედებას, რომელსაც აღვნიშნავთ სიტყვით „გამრავლება“ და ა. შ.. H:O-ს არაფერი აქვს საერთო „წყალთან“.

ახალი საწერი მასალის, კერძოდ პაპირუსების, გამოგონებასთან ერთად ეგვიპტეში ვითარდება ახალი დამწერლობა — პ ი ე რ ა ტ ი კ ე უ ლ ი დამწერლობა. ეს სიტყვა ნიშნავს „წმინდას“. თუმცა პიერატიკულ წერას იყენებდნენ მხოლოდ საერო მწერლობაში, ხოლო რელიგიური ხასიათის ტექსტები კვლავ იეროგლიფებით იწერებოდა. პიერატიკული დამწერლობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათ მთლიანად დაკარგეს კავშირი გამომსახველობით ფორმასთან, განსხვავებით იეროგლიფებისაგან.

ძვ. წელთაღრიცხვით VI საუკუნეში ეგვიპტეში აღმოცენდა ახალი დამწერლობა, რომელიც უფრო ლაკონიური და ადვილია, ვინემ პიერატიკული. ამ დამწერლობას ეწოდება დ ე მ ო ტ ი კ ე უ რ ი (ბერძნ. *demotikós* „სახალხო“).

1
2
3
Amén

Amén

Amén

Amén

Handwritten Georgian text in a cursive script, consisting of several lines of text.

სურ. 18.

პირბატყული დამწერლობის ნიმუში.

დემოტიკური წერა ეგვიპტელმა ხალხმა შეინარჩუნა ქრისტიანობის გამარჯვებამდე. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ეგვიპტელებმა დაკარგეს საკუთარი დამწერლობაც და გზა ბერძნულ და ლათინურ დამწერლობას დაუთმეს.

ფონოგრაფია. წერის განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია სახელმწიფოების შექმნასა და ეპქრობის განვითარებასთან: ამ დროს მყარდება უფრო ახლო ურთიერთობა სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის (წერა-კითხვა ხელმისაწვდომი ხდება შედარებით ფართო მასებისათვის).

იზრდება წერითი კომუნიკაცია. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს იდეოგრაფიული დამწერლობის გამარტივებას და დაახლოებას სამეტყველო ენასთან.

ისტორიაში ცნობილია რამდენიმე ცდა დამწერლობის შექმნისა. მაგრამ ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ენის ფონეტიკურ სტრუქტურაზე დამყარებული წერა, რომელსაც ეწოდება ფონოგრაფიული დამწერლობა.

ფონოგრაფიული დამწერლობა მოიცავს მარცვლოვან და ასოებრივ წერას.

მარცვლოვან დამწერლობას სხვანაირად სილაბურ (ბერძნ. Syllabé „მარცვალი“) დამწერლობასაც უწოდებენ.

მარცვლოვანი წერის საუკეთესო ნიმუშია ძველი ინდური დამწერლობა „დევანაგარი“, სადაც თითოეული ნიშანი (გრაფემა) გამოხატავს თანხმოვანს /ა/ ხმოვნითურთ, ე. ი. მარცვალს. მაგ. შა, ბა, ნა, და, შა და ა. შ.. განსხვავებული ხმოვნიათ მარცვლის გამოსახატავად იყენებენ გარკვეულ ნიშნებს, რომლებიც თანხმოვანს გვერდით, სტრიკონს ზევიდან და ქვევიდან ეწერებათ.

როცა მარცვალში რამდენიმე თანხმოვანი იყრის თავს (მაგალითად — „სთა“ მაშინ ხმარობენ ლიგატურას¹)

სილაბურ დამწერლობაში თანხმოვნის გრაფიკული ნიშანი ასოეკი არ გამოხატავს, არამედ სილაბემას, ე. ი. თითოეული ნიშანი მარცვალს უდრის.

სილაბურია სუმერული. ასურულ-ბაბილონური დამწერლობა, რომელიც ლურსმული დამწერლობის სახელითაა ცნობილი. ლურსმული მარცვლობითი წერა წარმოადგენს დამწერლობის მნიშვნელოვან პროგრესს, რადგანაც მასში მოცემულია სიტყვის ბგერობრივი ანუ ფონეტიკური ანალიზი. ბგერობრივი იმდენად, რამდენადაც

¹ ლიგატურა ლ. თინური სიტყვაა (ligatura—„დაკავშირება“).

სიტყვა დაშლილია არა მნიშვნელობიან ელემენტებად, არამედ მარცვლებად.

მაშასადამე, ლურსმული მარცვლობითი წერა წარმოადგენს მარცვლობრივ-ბგერითს დამწერლობას.

სილაბურ წერაში ნიშანთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია იდეოგრაფიულ დამწერლობასთან შედარებით, იგი რამდენიმე ათეულს არ აღემატება.

ნიშნის პირობითობა უმაღლეს ხარისხს აღწევს.

ფონოგრაფიული დამწერლობის განვითარების შემდგომი ეტაპია ფინიკიური და ძველი ებრაული წერა, სადაც ცალკეული ნიშნებით აღინიშნება თანხმოვნები, ხოლო ხმოვნების გადმოსაცემად ხმარობენ დიაკრიტიკულ ნიშნებს.

ამრიგად, დამწერლობა უფრო ეკონომიური ხდება; მაგალითად, არაბულში სულ 28 ასო და რამდენიმე დიაკრიტიკული ნიშანი გადმოსცემს არაბული ენის ფონეტიკურ სისტემას. წერის ასეთ ტიპს: კონსონანტურს უწოდებენ.

ფონოგრაფიული წერის ყველაზე სრულყოფილი სახე შექმნეს ბერძნებმა. მათ ასოებით გამოხატეს არამარტო თანხმოვნები, არამედ ხმოვნებიც. აღსანიშნავია, რომ ასეთი წერის ასოები გადმოსცემდნენ არა ყოველ ბგერას, არამედ მხოლოდ ისეთ ბგერას, რომელსაც ფონემატური ღირებულება ჰქონდა, ამიტომ ასეთ დამწერლობას შეიძლება ვუწოდოთ ფონემატური წერა.


შემდგომში ბერძნული ალფაბეტი დაედო საფუძვლად ლათინურ, სლავურ და სხვა ხალხთა ალფაბეტებს. ასეთივე ძველი სემიტური ალფაბეტის საფუძველზე აღმოცენდა არაბული, რომელიც თავის მხრივ სირიული დამწერლობის გზით გავრცელდა აღმოსავლეთში.

დამწერლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულსა და სომხურ დამწერლობას. ამ ორმა ერმა უძველეს ხანაშივე შექმნა საკუთარი დამწერლობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მათი მაღალი სულიერი და მატერიალური კულტურის ტრადიციების განვითარებას.

ქართული ანბანი, რომელიც ამჟამად იხმარება, „მხედრული ანბანის“ სახელითაა ცნობილი. თანამედროვე ქართული ასოების დამწერლობა უკვე XI საუკუნეში ჩაისახა. XI საუკუნემდე კი ჩვენი ქართული ასოები სხვაგვარი მოყვანილობისა იყო. მხედრული დამწერლობა მისგან არის განვითარებული. ამ წინა საფეხურის ასოთა დაწერილობას ნუსხა-ხუცურის სახელით ვიცნობთ. ნუსხა-ხუცური, თავის მხრივ, განვითარებაა, გაგრძელებაა წინა საფეხური-

სა, ე. წ. მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი ასოებისა. მრგლოვანისაგან ნუსხა-ხუცური უკვე მეცხრე საუკუნეში განსხვავდა.

ამრიგად, ქართულ ანბანს განვითარების სამი საფეხური გაუვლია: პირველი საფეხურია მრგლოვანი, რომელსაც ვიცნობთ მეხუთე საუკუნის ძეგლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეცხრე საუკუნემდის. ესაა ძველი საფეხური. მეორე საფეხურია ნუსხა-ხუცური (ანუ მოკლედ: ნუსხური), რომელსაც ვიცნობთ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნემდის. ესაა საშუალო



სურ. 16.


მრგლოვანი დაწერილობის სახე.

საფეხური. მესამე საფეხურია მხედრული, რომელსაც ვიცნობთ მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული. ვიდრე დღევანდლამდის. ესაა ახალი საფეხური.

როგორც ვხედავთ, ქართული ანბანის განვითარების სამი სახეობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრგლოვანი დამწერლობა შემდეგ საუკუნეებშიც არ გვხვდებოდეს, ასევე ნუსხურიც არა. ქართული შრიფტის სახეობები ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა მეცხრე საუკუნის შემდეგაც, ოღონდ განსაზღვრული იყო მათი გამოყენების არე:

მრგლოვანს სულ ბოლო დრომდის ხმარობდნენ წარწერებისათვის (ქვებზე, კედლებზე) და სათაურებისათვის წიგნებში. ნუსხური უმთავრესად გამოყენებული იყო საეკლესიო წიგნების ძირითადი ტექსტისათვის. ე. ი. მრგლოვანი და ნუსხური ბოლომდის შერჩა ეკლესიას, ამიტომ დაარქვეს მათ „ხუცური“. ტერმინი „მხედრული“ იმაზე მიუთითებდა, რომ ეს შრიფტი სამოქალაქო საკითხებისათვის იყო გამოყენებული.

მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული ერთი შეხედვით სხვადასხვა ანბანად მოგვეჩვენება, მაგრამ, როგორც მეცნიერულმა დაკვირვებამ გამოარკვია, მეორე პირველის განვითარებაა. მესამე—მეორე-



სურ. 17. ნუსხახუცურის დაწერილობა.

სა. ეს გარემოება ცხადყო ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც გაითვალისწინა ამ სახეობების გარდამავალი საფეხურები და ქართული შრიფტის ერთიანობა დაასაბუთა.

ქართული წერილობითი ძეგლები მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება. ასეთებია: პალესტინის წარწერები V საუკუნის დასაწყისის ხანისა, ბოლნისის წარწერები V საუკუნის მიწურულისა, მცხეთის წარწერები VI და VII საუკუნეების მიჯნისა.

ამრიგად, ქართული ანბანი რეალურად V საუკუნის დასაწყისიდან არსებობს. მაგრამ იგი გაცილებით უფრო ძველი წარმონაქმნის, მისი წარმოშობა წარმართობის ხანის სიღრმეში უნდა ვივარაუდოთ.

ქართული ანბანი გენეზისურად უკავშირდება ფინიკურ-სემიტური ანბანის სისტემას. ფინიკურ-სემიტური ანბანი ისტორიულ წარსულში სხვა კულტურულ ერთა დამწერლობის მისაბამ მაგალითად იქცა და საფუძვლად დაედო მათი ანბანის განვითარებას.

ორთოგრაფია და მისი პრინციპები. წერითმა მეტყველებამ უნდა ასახოს ზეპირმეტყველება, წარმოთქმა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ენა მუდმივ ცვლებადობაში მყოფი ფენომენია. ხოლო სამეტყველო ენის ფონოლოგიური სისტემის გრაფიკული გამოსახულება მყარია, უცვლელია. ამიტომ მათ შორის ზღვარი დროთა ვითარებაში იზრდება, დამწერლობა ვერ მიჰყვება წარმოთქმას, წერია ერთი და იკითხება მეორე. ამიტომ ორთოგრაფიის საკითხები მოსაგვარებელი საკითხებია ყველა დამწერლობის მქონე ენებისათვის.

ორთოგრაფიული ნორმების რეგულირება ხდება სხვადასხვა პრინციპებით. აქედან ყველაზე ძირითადია ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ისტორიულ-ტრადიციული. წმინდა სახით აღებული არც ერთი ამ აღნიშნულ პრინციპთაგანი არ გვხვდება. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი წამყვანია ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიაში.

ფონეტიკურ-ფონოლოგიური პრინციპი. ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპი გულისხმობს წარმოთქმისა და შესაბამისი ბგერითი გამოსახულების სრულ იდენტობას: ე. ი. სიტყვა იწერება ისე, როგორც წარმოითქმება.

მართლწერის აღნიშნული პრინციპი უპირატესია ქართულ დამწერლობაში. მაგალითად, ფონეტიკურადაა დაწერილი სიტყვები: /ამაგი/, /წერა/, /ხატვა/. მაგრამ წერის აღნიშნული პრინციპი ბოლომდის არაა გატარებული ქართული ენის მიმართაც: მაგალითად, სიტყვაში (ამაგს) /გ/ დაყრუებულია /ს/-ს მეზობლობაში და გამოსახავს ქ' ბგერას, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვწერთ გ-ს.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წერის ფონოლოგიურ პრინციპთან, რომლის მიხედვითაც ცალკეული ფონემა გამოიხატება ერთი და იმავე გრაფემით, მიუხედავად პოზიციური ცვლილებებისა.

მორფოლოგიური პრინციპი. ორთოგრაფიის მორფოლოგიური პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაწერილ სიტყვაში ჩანს მისი მორფოლოგიური სტრუქტურა, განურჩევლად იმისა, თუ როგორ წარმოითქმის იგი. ამის ნათელ მაგალითს იძლევა რუსული თანამედროვე დამწერლობა. მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ფორმა

მხოლოდობითში: $\sigma\tau\omicron\lambda$ როგორც ითქმის, ისევე იწერება. მაგრამ მრავლობითში / $\sigma\tau\alpha\lambda\omicron\lambda$ / იწერება $\sigma\tau\omicron\lambda\omicron\lambda$. მორფოლოგიური პრინციპის დაკვირვებით.

ამავე (მორფოლოგიური) პრინციპის მიხედვით იწერება ქართული ერთგული. რ ი გ შ ი, ნამდვილად კი წარმოითქმის ერთგული, რ ი ქ შ ი.

უ ხმოვნის წინ პირველი პირის სუბიექტური ნიშანი /ვ/ არ წარმოითქმის, მაგრამ ჩვენ მას მაინც ვწერთ, რადგანაც ამას მოითხოვს სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა. მაგალითად: ვ უ თ ხ ა რ ი, და ვ უ წ ე რ ე, ვ უ ა მ ბ ე და სხვა.

ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპი. ორთოგრაფიის ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპი გულისხმობს სიტყვის ისეთ დამწერლობას, რომელიც ემყარება ტრადიციას და არ ითვალისწინებს წარმოთქმაში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებს. ამ პრინციპს ემყარება ინგლისური და ფრანგული ენების ორთოგრაფია. თანამედროვე ინგლისურში წარმოთქმა იმდენადაა დაშორებული დამწერლობას, რომ ენის პრაქტიკული ცოდნის გარეშე შეუძლებელია ტექსტის სწორად წაკითხვა.

ტრადიციის სრული უგულებელყოფა არ ხერხდება არც ერთ ენაში. მაგალითად, ისეთი თითქმის იდეალური დამწერლობის მქონე ენაც კი, როგორცაა ქართული, იძულებულია ზოგჯერ ანგარიში გაუწიოს ტრადიციას. მაგალითად, ვითარებითი ბრუნვის მაჩვენებელი თანხმოვანი ელემენტი /ღ/ წარმოითქმის როგორც /თ/, მაგრამ ჩვენ მაინც ვწერთ /ღ/-ს: კ ა ც ა დ, ქ ვ ა დ, ს ა ნ ა დ ი რ ო დ...

თუ მართლწერის საკითხებს ორთოგრაფია ემსახურება, სწორ, ნორმატიულ წარმოთქმას აღგენს ორთოეპია (ბერძნ. orthós „სწორი“, épos „მეტყველება“. ორთოეპია — „მართლმეტყველება“).

უფრო მეტიც, მართლწერის საკითხების მოგვარების წინაპირობაა წარმოთქმის ნორმის დადგენა; იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ როგორ დავწერთ, ჯერ უნდა ვიცოდეთ, როგორ უნდა წარმოვთქვათ.

თუ გვეცოდინება ამ სიტყვის წარმოთქმის ნორმატიული ფორმა, მაშინ არც მათი მართლწერა გავვიჭირდება.

ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია. სალიტერატურო ენის დამწერილობაში ჰამეტყველო ბგერების სწორად გამოსახვის საკითხს, როგორც ზევით ვნახეთ, აწესრიგებს ორთოგრაფია.

მაგრამ ორთოგრაფია მაინც არ ისახავს მიზნად ასახოს სამეტყველო ბგერის ყველა ნიუანსი. ეს კი აუცილებელია ენათმეცნიერუ-

ლი კვლევა-ძიების დროს და, კერძოდ, ამა თუ იმ ენის ფონეტიკური სისტემის შესწავლისათვის.

სამეტყველო ბგერათა ზუსტად გადმოცემას საგანგებო ნიშნებით ეწოდება ფონეტიკური ტრანსკრიფცია (ლათ. transcribere „გადაწერა“).

ტრანსკრიფციისაგან განასხვავებენ ტრანსლიტერაციას. რომელიც წარმოადგენს ერთი ენის ანბანით დაწერილის სხვა ენის ანბანით გადაწერას (ლათ. trans „გადაღმა“ და litera „ასო“). მაგალითად: caraim, сахли და ა. შ.

ენათმეცნიერების ისტორია

ენათმეცნიერება ძველ ინდოეთში. ენათმეცნიერების ისტორია საერთოდ მოიცავს რამდენიმე საუკუნეს. ბევრი ძირითადი პრობლემა. როგორც აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებაში, დასმული იყო ჭერ კიდევ უძველეს ხანაში (ენის წარმოშობა. აღსანიშნის მიმართება აღმნიშვნელთან და სხვა.) იგივე შეიძლება ვთქვათ ნორმატიულ გრამატიკებზე — თითქმის ყველა თანამედროვე გრამატიკა ძირითადად იმეორებს უძველეს ხანაში შექმნილი გრამატიკების (კერძოდ ძველი ბერძნული გრამატიკების) კატეგორიებს.

პირველი საენათმეცნიერო ნაშრომი შეიქმნა ძველ ინდოეთში. ინდური ენათმეცნიერება იმთავითვე ფილოლოგიური ხასიათისა იყო. ეს თავისებურება აიხსნება იმ გარემოებით. რომ ინდოეთში მეცნიერება ენის შესახებ წარმოიშვა პრაქტიკული მოთხოვნილებების საფუძველზე. სახელდობრ, უძველესი საკულტო ჰიმნების — ვედების შესწავლის საჭიროებით. ვედები, მეცნიერთა ვარაუდით, შეიქმნა 1500 წლის წინ ძველი წელთაღრიცხვით. დროთა მანძილზე სასაუბრო ცოცხალი ენა შორდებოდა ვედების ენას, ზოგიერთი ადგილები ჰიმნებისა უკვე გაუგებარი ხდებოდა. გარდა ამისა, თვით საკულტო რიტუალი მოითხოვდა სასულიერო ჰიმნების გადმოცემას მკაცრი სინტაქსით. ყველა უმნიშვნელო დეტალის გათვალისწინებით. ამიტომ აუცილებელი იყო ვედების ენის შესწავლა.

ამრიგად, ინდოეთში ენის კვლევა ფილოლოგიურ მიზნებს ისახავდა და ამიტომ ინდური გრამატიკები ცნობილია ენათმეცნიერების ისტორიაში როგორც ფილოლოგიური გრამატიკები. ფილოლოგიური გრამატიკის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ძველ ინდოეთში პანინის (Pāṇini) გრამატიკა. ეს გრამატიკა შექმნილია დაახლოებით IV საუკ. ძველი წელთაღრიცხვით. პანინის გრამატიკა ნიმუშია ემპირიული გრამატიკისა: მასში გაანალიზებული და აღწერილია ენობრივი ფორმები, ნათლად და ზუსტად არის წარმოდგენილი ბგერითი სისტემა და მორფოლოგია, განხილულია აგრეთვე სინტაქსი, ხოლო რაც

შეეხება ენათმეცნიერების ზოგად საკითხებს, ისინი არ განიხილებიან პანინის გრამატიკაში, რადგანაც ეს წმინდა ნორმატიული გრამატიკაა.

ენათმეცნიერება ძველ საბერძნეთში. სხვა გზით მიდიოდა ენათმეცნიერების განვითარება ძვ. საბერძნეთში. თუ ინდოეთში ენათმეცნიერების განვითარებას სტიმული მისცა პრაქტიკულმა ამოცანებმა, საბერძნეთში ენის საკითხები განიხილებოდა უპირატესად ფილოსოფიურ ასპექტში. ისევე როგორც სხვა მეცნიერებები, მეცნიერება ენის შესახებ წარმოადგენდა ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილს, ყურადღების ცენტრში იდგა ფილოსოფიური პრობლემები (სახელისა და საგნის, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება). სახელისა და საგნის მიმართების პრობლემა მოკლედ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: განსაზღვრავს თუ არა საგნის ბუნება მის სახელწოდებას, თუ კავშირი საგანსა და სახელს შორის ნებისმიერია? ამ საკითხზე დისკუსიის პროცესში ორი მიმართულება წარმოიშვა: პირველის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ საგანთა და მოვლენათა სახელები საგანთა ბუნებით არის ნაკარნახევი, საგნის არსის წვდომის შედეგია. საწინააღმდეგო აზრის მიხედვით, სახელები ნებისმიერად არიან დაკავშირებული საგნებთან.

ეს იყო დასაწყისი კამათისა, რომელიც გრძელდებოდა შუა საუკუნეებში. არანაკლებ აქტუალურია ხსენებული პრობლემა XX საუკუნეში (ენობრივი ნიშნის პრობლემა).

სიტყვის მიმართებას საგანთან და აზრთან იკვლევდნენ: პერაკლიტე, დემოკრიტე, პლატონი, ეპიკურე და ზოგი სხვაც. პლატონი ეხება ამ საკითხს ერთ-ერთ თავის დიალოგში, რომელსაც „კრატილოსი“ ეწოდება.

ძველი ბერძენი მეცნიერები იკვლევდნენ არა მარტო ენის ფილოსოფიურ საკითხებს, არამედ ნორმატიული გრამატიკის პრობლემებსაც. ასე, მაგ., პლატონი იმავე „კრატილოსში“ განიხილავს ნორმატიული გრამატიკის საკითხებსაც. დიალოგში ავტორს მოცემული აქვს სიტყვათა კლასიფიკაცია ორ დიდ ჯგუფად: 1) სახელი, 2) ზმნა. უფრო დაწვრილებით სიტყვათა კლასიფიკაცია განხილული აქვს არისტოტელეს ჭერ „პოეტიკაში“, შემდეგ „რიტორიკაში“.

დიდ ინტერესს იჩენდა ენობრივი პრობლემებისადმი სტოელთა ფილოსოფიური სკოლა. სტოელების სახელთანაა დაკავშირებული გრამატიკული კატეგორიების აღნუსხვა: ძვ. ბერძნულმა გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ ჩვენამდე მოაღწია და დამკვიდრდა საენათმეცნიერო ლიტერატურაში: ბრუნვების სახელწოდებები, დაყოფა ირიბ და პირდაპირ ბრუნვებად და სხვა.

პრაქტიკულ ამოცანებს ისახავდა ენათმეცნიერება ელინისტური ხანის ალექსანდრიის ფილოსოფიურ სკოლაში. მიზანი იყო ენის სიწმინდის დაცვა. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი ფილოლოგიური კვლევის განვითარებას.

ალექსანდრიელთა გრამატიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა ბერძნული ენის ბგერითი მხარის დამუშავებას, თუმცა მათი მიღწევები ამ სფეროში გაცილებით დაბალია, ვიდრე ინდოელი გრამატიკოსებისა. მორფოლოგიის საკითხებიდან კარგად იყო დამუშავებული მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია. მათი შესწავლა დაკავშირებულია დიონისე თრაკიელის სახელთან. ავტორი გამოყოფდა 8 მეტყველების ნაწილს: სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაწევარი, ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი.

ეს სქემა მეტყველების ნაწილებისა, ზოგიერთი ვარიაციებით, დღემდე გავრცელებული სხვადასხვა ენის გრამატიკაში. სინტაქსის საკითხები დამუშავდა პირველად ძვ. საბერძნეთში. მისი ავტორი იყო აპოლონიოს დისკოლოსი. ალექსანდრიელთა სკოლა იკვლევდა ენას ფილოსოფიურ ასპექტშიც.

რომაელი გრამატიკოსები. რომაელთა წვლილი ენათმეცნიერების განვითარებაში მცირეა. რომელ გრამატიკოსებს ორიგინალური თითქმის არაფერი შეუქმნიათ. მათ გადაჰქონდათ ლათინურ ენაში ბერძნული ენისათვის გამომუშავებული სქემები და ტერმინები.

რომაელი გრამატიკოსებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ელიუს დონატუსი (IV საუკ. ძვ. წ.) და პრისციანუსი (V საუკ. ჩვ. წ.). ლათინური ენის გრამატიკებმა გარკვეული როლი შეასრულეს ენათმეცნიერების ისტორიაში, ბერძნულმა გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ სწორედ ლათინური ენის გზით მოაღწია ჩვენამდე.

არაბული ენათმეცნიერება. ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას არაბეთში, როგორც ინდოეთში, პრაქტიკული მიზნები უწყობდა ხელს. მთავარი მიზანი იყო მისაწვდომი გაეხადათ ყურანი არა არაბი მუსლიმანებისათვის.

არაბული გრამატიკების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ინდურ-ბერძნულმა გრამატიკულმა ტრადიციამ. მაგრამ არაბული გრამატიკა არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო უბრალო განმეორება ინდური და ბერძნული გრამატიკისა იმიტომ, რომ სტრუქტურა ინდური და ბერძნული ენებისა არსებითად განსხვავდება არაბულის სტრუქტურისაგან. ინდურ-ბერძნული გრამატიკებიდან ნასესხებია ენის აღწერის პრინციპები, ხშირად კი — მხოლოდ ტერმინები, რომლებიც არაბული ენის ნიადაგზე შინაარსს იცვლიდნენ.

არაბული ზნათმეცნიერების მიღწევებთან აღნიშვნის ღირსია ის, რომ ბგერითი სისტემა აღწერილი და კლასიფიცირებულია დიდი სიზუსტით: გარჩეულია ბგერა და მისი გრაფიკული გამოსახულება — ასო. მორფოლოგიიდან განსაკუთრებით კარგად არის დამუშავებული არაბული სამთანმოენიანი ძირის პრობლემა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ არაბ ენათმეცნიერთა მოღვაწეობა ლექსიკოგრაფიის დარგში. ამ ეპოქაში შეიქმნა არაბული ენის ორი დიდი ლექსიკონი. ერთის ავტორი იყო ალი ფირუზ აბადი; მეორე, სახელწოდებით „ქამუს“ (ოკეანე), შექმნილი იყო პარველი ლექსიკონის საფუძველზე.

ენათმეცნიერება საშუალო საუკუნეებში. საშუალო საუკუნეებში, დოგმატიზმისა და სქოლასტიკის პირობებში, ენათმეცნიერებამ გაიზიარა ბევრი სხვა მეცნიერების ბედი — მას თითქმის არავითარი ახალი არ შეუქმნია. ლათინური იყო ერთადერთი ენა, რომელიც შესწავლებოდა ამ ხანებში, ამიტომ „ლათინური ენის გრამატიკა“ და „გრამატიკა“ საერთოდ სინონიმებად იქცნენ. ლათინური იყო მეცნიერების ენა, მას სწავლობდნენ არა მხოლოდ სამეცნიერო. არამედ პრაქტიკული მიზნებისათვისაც — საერო და სასულიერო განათლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ ლათინურის პრაქტიკულად შესწავლის შემდეგ. ლათინური ენის გრამატიკა ნორმატიულ გრამატიკად იქცა. ლათინური ენის ასეთმა გაბატონებულმა მდგომარეობამ მრავალმხრივი გავლენა იქონია ენათმეცნიერების განვითარებაზე. სხვადასხვა ენის შესწავლისას ყურადღება არ ექცეოდა ამ ენათა სპეციფიკას, მათთვის იყენებდნენ ლათინური ენის მზა სქემებს და ტერმინებს, რომლებიც თავის დროზე ბერძნული ენის გრამატიკიდან იყო გადმოღებული. ეს ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ დღემდე სხვადასხვა სტრუქტურის ენების გრამატიკებში გაბატონებულია ეს სქემები და ტერმინები (მაგ. მეტყველების ნაწილები და სხვა) და ძნელად ხერხდება (ან თითქმის არ ხერხდება) მათგან თავის დაღწევა.

XVII—XVIII სს. ენათმეცნიერება. ეს ეპოქა მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების ისტორიაში ე. წ. რაციონალური გრამატიკის შექმნით.

რაციონალური ანუ უნივერსალური გრამატიკა დამუშავდა 1660 წელს პორ-როიალის მონასტერში (საფრანგეთი). ეს იყო პარველი ზოგადი გრამატიკა. შემდგომ, XVII—XVIII სს., არა ერთი ასეთი გრამატიკა გამოქვეყნდა ფილოსოფიური გრამატიკის სახელწოდებით. რაციონალური გრამატიკის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ყველა ენა გამოხატავს აზრს, ე. ი. ენა აზრის გამოხატვის

საშუალებაა. აზროვნება ხდება ლოგიკური კანონების მიხედ-
ვით. ყოველი ენა არის სხვადასხვაგვარი გამოხატულება ერთი
და იმავე ლოგიკური სქემისა. არსებითია სწორედ ეს საერთო და
არა ენათა ინდივიდუალური თავისებურებები. აქედან გამოჰყავდათ
დასკვნა: შესაძლებელია აიგოს ისეთი გრამატიკა, რომელიც ამ ზო-
გად ლოგიკურ სქემას დაეყრდნობა და საერთო (უნივერსალური)
იქნება ყველა ენისათვის. ამგვარ უნივერსალურ გრამატიკაზე მსჯე-
ლობენ XX საუკუნეში დანიელი სტრუქტურალისტებიც.

XVII — XVIII საუკუნეები ენათმეცნიერებაში ცნობილია რო-
გორც ლინგვისტური მასალის დაგროვების პერიოდი. მასალის დაგ-
როვება ხდებოდა უმთავრესად ე. წ. შედარებითი ლექსიკონების სა-
ხით: შედარებული იყო როგორც სხვადასხვა ენების ცალკეული სი-
ტყვები, ისე გაბმული ტექსტებიც. სიტყვათა შედარების ლექსიკონის
ნიმუშია პ. პალასის 4 ტომიანი ლექსიკონი: „Сравнительные сло-
вари всех языков и наречий, собранные десницею всевысочай-
шей особы“. ამ ლექსიკონში შედარებულია 300-მდე ენის მასალა.
ფართოდ არის ცნობილი აგრეთვე მეორე ლექსიკონი ი. ადელუნგის
„Mithridates oder allgemeine Sprachenkunde“ ოთხ ტომად, ამ
ლექსიკონში შედარებულია „მამაო ჩვენო“ თითქმის 500 ენაზე.

XVII—XVIII საუკუნეებში ენათმეცნიერებაში დიდი ადგილი
ეთმობოდა თეორიულ საკითხებს, რაც აისახა უმთავრესად ფილო-
სოფოსთა ნაშრომებში (რუსო, დეკარტი, ლაიბნიცი და სხვა). განსა-
კუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა ენის წარმოშობის პრობლემა.

შედარებითი და ისტორიული ენათმეცნიერება. ისტორიულ-შე-
დარებითი მეთოდის შექმნა ახალი ეტაპი იყო ენათმეცნიერების გან-
ვითარებაში. ამ მეთოდის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა
იმ გარემოებამ, რომ მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სანს-
კრიტი. პირველი ცნობები სანსკრიტის შესახებ ჯერ კიდევ XVI სა-
უკუნეში გვხვდება. მაგრამ ლინგვისტური სამყაროსათვის ყველაზე
მნიშვნელოვანი იყო სანსკრიტის გაცნობა უ. ჯონსის ნაშრომების
მიხედვით.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოჩენა არ იყო შემთხვე-
ვითი მოვლენა. ენათა შედარების იდეა XIX საუკუნეზე ადრე გაჩნ-
და სხვადასხვა ქვეყანაში. ამ იდეას საფუძველს უმაგრებდა არსებუ-
ლი ვითარება: საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო მოპოვებული ინ-
დოევროპულ ენათა მასალა და მეცნიერების განვითარების დონე
XIX საუკუნის ევროპაში იდგა მაღალ საფეხურზე. პირველი შედა-
რებები იყო უმეტესად შემთხვევითი ხასიათისა, ემყარებოდა სემან-

ტიკურ და ფონეტიკურ მსგავსებას, ფორმათა ისტორიული ანალიზის გაუთვალისწინებლად.

XIX საუკუნის დასაწყისში, თითქმის ერთდროულად, რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებას ფუძემდებლები არიან: ფ. ბოპი (1791—1867), რ. რასკი (1787—1832) და ი. გრიმი (1785—1863).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლა იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდოევროპულ ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხთან. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებლებს მთავარ ამოცანად მიაჩნდათ ბგერათშესატყვისობისა და ფონეტიკური კანონზომიერების დადგენა. ფონეტიკური კანონზომიერების დადგენამ გახადა შესაძლებელი ინდოევროპული ენების ერთ ოჯახში გაერთიანება. ისტორიულ შედარებითი მეთოდის დამფუძნებელთაგან:

1) ფ. ბოპი ფართო ამოცანას ისახავდა; 1816 წელს გამოსულ ნაშრომში „Über das conjugationssystem der Sanskrit sprache in Vergleichung mit jenem der griechischen, lateinischen, persischen und germanischen Sprache“ (უღვლილების შესახებ სანსკრიტში შედარებით ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენათა უღვლილებასთან) მან პირველმა შეუდარა ერთმანეთს ამ ენათა გრამატიკული ფორმები და შეეცადა შეძლებისდაგვარად აღედგინა მათი საწყისი ფორმები.

2) იაკობ გრიმმა ყურადღება გაამახვილა ენის ისტორიულ კვლევაზე. მის ნაშრომში „Deutsche Grammatik“ (გერმანულის გრამატიკა. 1819) დაწერილებით არის აღწერილი გერმანული ენების გრამატიკული ფორმების ისტორიული განვითარება.

3) შედარებითი კვლევის (როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებისა) ფართო და ღრმად გააზრებული პროგრამა დაუტოვა მომდევნო თაობებს ვ. ფონ-ჰუმბოლდტმა (1767—1835), რომელიც ზოგადი ენათმეცნიერების აღიარებულ დამაარსებლად ითვლება. დღეს დიდი დისკუსიას გაშლილი მის მიერ შემოტანილ ფუძემდებლურ ცნებათა და პრობლემათა გამო („ენა ენერჯია და არა ერგონი“, „ენის შინაფორმა“ და სხვა).

ნატურალისტური მიმდინარეობა. XIX საუკუნის 50-იან წლებში ენათმეცნიერებაში წარმოიქმნა ახალი მიმდინარეობა, რომელიც ისტორიაში ნატურალიზმის სახელით არის ცნობილი.

ნატურალიზმი განიხილავს ენას, როგორც ბუნებრივ ორგანიზმს, რომლის განვითარება მიმდინარეობს იმავე კანონების მიხედვით,

როგორც სხვა ბუნებრივი მოვლენებისა; ენათმეცნიერებაც ბუნების მეცნიერებებს განეკუთვნება. ნატურალიზმი ენათმეცნიერებაში განაპირობა იმ დიდმა წარმატებებმა, რომლებსაც მიაღწია ბიოლოგიამ XIX საუკუნეში დარკონიზმის სახით. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელია გერმანელი ენათმეცნიერი ავგ. შლაიხერი (1821—1868). ავგ. შლაიხერი დანტერესებული იყო არა მხოლოდ საენათმეცნიერო. არამედ საბუნებისმეტყველო საკითხების კვლევით. იგი ცდილობდა შემოეტანა ენათმეცნიერებაში ზუსტი მეთოდები, რომლებიც ბუნების მეცნიერებისათვის იყო გამოუმუშავებული. ავგ. შლაიხერი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბგერითი მხარის შესწავლას, ის ცდილობდა დაედგინა ინდოევროპულ ენათა ფონეტური კანონები. საბოლოო მიზანი ავგ. შლაიხერისათვის იყო აღდგენა წინარე ინდოევროპული ენისა. აღდგენილი ფორმების რეალობაში ის იმდენად იყო დარწმუნებული, რომ დაწერა არაკი ჰიპოთეტურად აღდგენილ ენაზე.

ავგ. შლაიხერმა შემოიტანა „გენეალოგიური ხის“ ცნება, რათა ნათლად გამოესახა თავისი კვლევის შედეგები. ავგ. შლაიხერს ეკუთვნის ენათა ნათესაობასთან დაკავშირებული სხვა ბიოლოგიური ტერმინების შემოტანა ენათმეცნიერებაში. ნატურალიზმის წარმომადგენელია აგრეთვე მაქს მიულერი (1823—1900). მან ზოგიერთი შესწორება შეიტანა ენის ბიოლოგიურ კონცეპციაში, მაგრამ თეზისი „ენა ბიოლოგიური მოვლენაა“ არსებითად უცვლელი დარჩა.

ნეოგრამატიკოსთა სკოლა. (ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიზმი). XIX საუკუნის მიწურულში გერმანიაში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, რომელსაც ენათმეცნიერების ისტორიაში ნეოგრამატიკოსთა სკოლას უწოდებენ. ამ მიმდინარეობის ბირთვს შეადგენენ ლაიპციგის სკოლის ენათმეცნიერები: ა. ლესკინი, კ. ბრუგმანი, ჰ. ოსტჰოფი, ბ. დელბრიუკი, ჰ. პაული. ნეოგრამატიკოსებს ჰყავდათ მიმდევრები გერმანიის გარეთაც: საფრანგეთში—ბ. ბრეალო. რუსეთში—ფ. ფორტუნატოვი, იტალიაში—გ. ასკოლი, დანიაში—კ. ვერნერი.

ნეოგრამატიკოსთა მრწამსი გადმოცემულია ჰ. ოსტჰოფისა და კ. ბრუგმანის შრომის „მორფოლოგიურ ძიებათა“ შესავალში (წინასიტყვაობა ცნობილია აგრეთვე „ნეოგრამატიკოსთა მანიფესტის“ სახელით), (1878) და ჰ. პაულის „ენის ისტორიის პრინციპებში“ (1880). ხსენებულ ნაშრომებში ნეოგრამატიკოსთა პოზიციიდან გაშუქებულია ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები. ნეოგრამატიკოსებისათვის დამახასიათებელია ენის ინდივიდუალისტური გავება: ენა ინდივიდის ფსიქიკაშია მოცემული, იგი თავისი ბუნებით ფსიქო-

ფიზიკურია: ყოველგვარი ცვლილებები ენაში ხდება ჩვეულებრივი მეტყველების პროცესში.

ნეოგრამატიკოსთა ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება შეეხება ფონეტიკურ კანონებს. მათი აზრით, ფონეტიკური კანონები უკამონაკლისია. ისინი მოქმედებენ ბრმა აუცილებლობით. „ფონეტიკური კანონები“ წლების მანძილზე იყო დისკუსიისა და კამათის საგანი სხვადასხვა მიმდინარეობის ენათმეცნიერთა შორის.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ნეოგრამატიკოსებმა ფონეტიკაში, ნაკლებს — მორფოლოგიაში. სინტაქსის საკითხები ნაკლებად დაძუშავდა ცალკეულ მკვლევართა მიერ ამ სკოლაში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ბ. დელბრიუკის დიდმნიშვნელოვანი ნაშრომია „ინდოევროპული ენების შედარებითი სინტაქსი“ (1893—1900) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეზისი ნეოგრამატიკოსებისა შეეხებოდა ისტორიზმის საკითხს. მათი აზრით, ყოველი მეცნიერული გამოკვლევა უნდა იყოს ისტორიული, არაისტორიული — არამეცნიერულს ნიშნავს.

ისტორიული პრინციპის ასეთმა გადაჭარბებულმა შეფასებამ ჩრდილში მოაქცია აღწერითი გრამატიკა. ამიტომ მომდევნო ენათმეცნიერები (განსაკუთრებით ფ. დე სოსიური) ვერ ურიგდებოდნენ ისტორიზმის ამგვარ გაზვიადებას.

ნეოგრამატიკოსთა შეხედულებების კრიტიკა, ნეოგრამატიკოსების შეხედულებებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვიეს სხვადასხვა სკოლის ენათმეცნიერებში, მათ შორის ყველაზე მეტად ცნობილია: ჰუგო შუხარდტი, კ. ფოსლერი, აგრეთვე ნეოლინგვისტთა სკოლისა და სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები.

3. შუხარდტი ნაშრომში „О фенетических законах“ (1885) უარყოფდა ფონეტიკურ კანონთა აბსოლუტურ ხასიათს, მათ უკამონაკლისო მოქმედებას: ექვი შეჰქონდა ენათა გენეალოგიური სქემის სისწორეში. 3. შუხარდტი აკრიტიკებდა ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას, რადგანაც მისთვის ამოსავალი იყო აზრი ყველა ენის ნარეობის შესახებ. იგი იცავდა ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს და უარყოფდა მკაფიო საზღვრების არსებობას დიალექტებს შორის. ამ საკითხში 3. შუხარდტის აზრს იზიარებს ნეოლინგვისტური მიმართულებაც.

ესთეტიკური იდეალიზმის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ ნეოგრამატიკოსებს ენის რაობის საკითხში: კ. ფოსლერი განიხილავდა ენას როგორც გონითი და მხატვრული შემოქმედების გამოვლენას, მისთვის მიუღებელი იყო ენის ინდივიდუალისტურ-ფსიქოლოგისტური კონცეფცია.

სოციოლოგიური მიმდინარეობა. ენის ინდივიდუალისტურ კონცეფციას და ისტორიზმის გაზვიადებულ გაგებას არ იზიარებდნენ სოციოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები: ფ. დე სოსიურა (1857—1913), ა. მეიე (1866—1936), ე. ვანდარესი (1875—1960). სოციოლოგიური მიმდინარეობა, როგორც თვით ამ სკოლის დასახელებიდან ჩანს, განიხილავდა ენას როგორც საზოგადოებრივ მოვლენას: ენა სოციალური მოვლენაა, იგი ურთიერთობის საშუალებაა, ენის განვითარება დამოკიდებულია სოციალურ მოვლენებზე.

ნეოგრამატიკოსთა ისტორიზმის კრიტიკა ფ. დე სოსიურის სახელთან არის დაკავშირებული. „ისტორიული“ ნეოგრამატიკოსებთან ნიშნავდა მეცნიერულს. აღწერით ენათმეცნიერებას მეცნიერულად არ მიიჩნევდნენ. ფ. დე სოსიურის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან აღადგინა თავის უფლებებში აღწერითი ენათმეცნიერება. მისი კონცეფციის მიხედვით აღწერითი გრამატიკა ისევე მეცნიერულია, როგორც ისტორიული გრამატიკა.

ფ. დე სოსიურის მოღვაწეობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ენათმეცნიერების ისტორიაში. ფ. დე სოსიურის ლექციები ზოგად ენათმეცნიერებაში, რომლებიც მისმა მოწაფეებმა ა. სეშემ და შ. ბალიმ გამოაქვეყნეს ცალკე წიგნად 1916 წელს სახელწოდებით „Курс общей лингвистики“, საეტაპო ნაშრომად ითვლება ენათმეცნიერების ისტორიაში. ფ. დე სოსიურის სახელთან არის დაკავშირებული ენისა და მეტყველების, სინქრონიისა და დიაქრონიის გარჩევა. რამაც დიდი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.

სტრუქტურალიზმი. XX საუკუნის დასაწყისში მთელ რიგ მეცნიერებებში (ბუნებისმეტყველებაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში) გაჩნდა სტრუქტურის ცნება, გამომუშავდა ახალი მიდგომა საკვლევითი ობიექტისადმი. სტრუქტურა აღნიშნავდა მთლიანს, შემდგარს ელემენტებისაგან, რომლებიც განაპირობებენ ერთმანეთს და ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სტრუქტურის იდეა გადმოტანილი იყო ენათმეცნიერებაშიც: ენა განიხილება როგორც რთული სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანაპირობებული მოვლენებისა. ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ენათმეცნიერებაში გამოიყოფა სტრუქტურალიზმის სამი სახეობა:

1. პრაღის სტრუქტურალიზმი
2. გლოსემატიკა ანუ დანიური სტრუქტურალიზმი
3. ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა.

პრაღის სტრუქტურალიზმი ანუ ფუნქციონალური ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა 1926 წელს პრაღის ლინგვისტური წრის საფუძველზე.

იგი აერთიანებდა ჩეხ და რუს ენათმეცნიერებს (ნ. ტრუბეცკოვი, რ. იაკობსონი, ს. კარცევსკი, სკალიჩკა, ქათეზიუსი, ტრნკა). ფუნქციონალური ლინგვისტიკის თეორიული პროგრამა მოცემულია „პრალის სკოლის თეზისებში“. რომლებიც გამოქვეყნდა 1929 წელს ამ სკოლის ოფიციალურ ორგანოში „Travaux du Cercle Linguistique de Prague“. პრალის სკოლისათვის ამოსავალი იყო ფუნქციონალური მიდგომა ენისადმი. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ პრალელი ენათმეცნიერები ბგერითი სისტემის კვლევას. სწორედ პრალის სკოლაში შეიქმნა ნ. ტრუბეცკოვის შესაანრწნავი ნაშრომი „ფონოლოგიის საფუძვლები“. რომელშიც მკაცრი სიზუსტით არის ჩამოყალიბებული ფონოლოგიის (ფუნქციონალური ფონეტიკის) ძირითადი პრინციპები. პრალის სკოლის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სტრუქტურული მეთოდები გამოყენებულ აქნა დიაქრონიული კვლევის დროსაც.

დანიური სტრუქტურალიზმის სახელწოდება — გლოსემატიკა ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან γλῶσσα „ენა“. ახალი სახელწოდება საკირო იყო იმისათვის, რომ ეს მიმდინარეობა დაპირისპირებოდა ტრადიციულ ენათმეცნიერებას, რომელიც, დანიელ სტრუქტურალისტების აზრით, ზედმიწევნით სუბიექტური და ამიტომ არამეცნიერულია. გლოსემატიკის წარმომადგენლები არიან: ვ. ბრონდალი, ლუი ჰიელმსლევი და ხ. ულდალი. ლ. ჰიელმსლევის შრომები წარმოდგენენ გლოსემატიკის თეორიულ საფუძველს. გლოსემატიკა, ისევე როგორც სტრუქტურალიზმის სხვა სკოლები, გამოდის ენის სტრუქტურული გაგებიდან. ამ სკოლის თავისებურებას ქმნის ენათმეცნიერების საკვლევე ობიექტის — ენის ორიგინალური („ალგებრისებრი“) დეფინიცია: „ენა არის წმინდა მიმართებათა სისტემა.“ ენობრივი სტრუქტურის კვლევისას მნიშვნელობის მომენტი გამორიცხულია. დანიელ სტრუქტურალისტებს ყურადღების ცენტრი გადააქვთ აპრიორული, უნივერსალური გრამატიკის დამუშავებაზე. ეს გრამატიკა, მათი აზრით, გამოდგება ნებისმიერი სტრუქტურის ენისათვის.

დესკრიფციული ლინგვისტიკა. ანუ ამერიკელი სტრუქტურალიზმი, ისევე როგორც სხვა სტრუქტურული მიმდინარეობები, სტრუქტურის ცნებიდან ამოდის. დესკრიფციულ ლინგვისტიკას სამეცნიერო კვლევის კარგად დამუშავებული სისტემა აქვს. ამ სისტემის ჩამოყალიბებაზე და დახვეწაზე გავლენა მოახდინა საკვლევმა მასალამ. დესკრიფციული ენათმეცნიერება წარმოიშვა ამერიკელ ინდიელთა ენებზე შესწავლის პროცესში. ეს უმწერლობო ენებია, მათ არ გააჩნიათ წერილობითი ძეგლები. ამიტომ მათი კვლევა შეიძლება ყოფი-

ღიჯო მხოლოდ აღწერითი ხასიათისა. ამაში მდგომარეობს ამერიკული სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება. როგორც გვიჩვენებს თვით სახელწოდება — დესკრიფციული — ამ მიმართულებას კვლევის სიმძიმის ცენტრი გადააქვს ენის სტრუქტურის ფორმალურ ელემენტთა აღწერაზე. ელემენტთა აღწერის ძირითადი საწესალებაა დისტრიბუციული მეთოდი ანუ ელემენტთა განაწილების მეთოდი.

ეთნოლინგვისტიკა. თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული მიმდინარეობა, რომელსაც უწოდებენ ეთნოლინგვისტიკას. ეს მიმდინარეობა სწავლობს ენის მიმართებას ხალხის კულტურასთან, ზნე-ჩვეულებებთან და ა. შ. ეთნოლინგვისტიკის ამოსავალი დებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ ამგვარად:

ენა არის „სახელმძღვანელო სოციალური სინამდვილის აღქმისა“ (ე. სეპარი). ადამიანი წარმოიდგენს სამყაროს სურათს იმგვარად, როგორც მას უკარნახებს მისი დედაენა. ამრიგად, სამყაროს სურათი არსებობს იმდენი, რამდენიც ენაა მსოფლიოში. ამ ჰიპოთეზის სუსტ მხარედ ითვლება ის გარემოება, რომ მასში განხილულია ენისა და არსებული სამყაროს ურთიერთმიმართების ერთი მხარე, კერძოდ, ენის გავლენა სამყაროს აღქმაზე და უგულვებელყოფილია ამ ურთიერთობის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი — არსებული სინამდვილის გავლენა ენაზე. ენობრივი კატეგორიების ჩამოყალიბებაზე.

ენის მიმართება ხალხის კულტურასა, ზნე-ჩვეულებებსა და საერთოდ არსებულ სინამდვილესთან არ არის ახალი პრობლემა ენათმეცნიერებისათვის. ამ საკითხზე იყო გამახვილებული ყურადღება ჯერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტის შრომაში: „Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts“.

ვ. ჰუმბოლდტის აზრით, ადამიანის მიმართება სინამდვილესთან, ამ სინამდვილის აღქმა, „მთლიანად განპირობებულია ენით“, ენა არის ისეთი ფენომენი. რომელიც მოთავსებულია ადამიანსა და გარე სამყაროს შორის.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოყოფენ ეთნოლინგვისტიკის ორ სახესხვაობას: გერმანულსა და ამერიკულს. გერმანული ემყარება უშუალოდ ვ. ჰუმბოლდტის დებულებებს, წარმოადგენს მათ გაგრძელებას და განვითარებას (ლ. ვაისგერბერი, ე. ტრირი, ე. კასირერი). ამერიკული მიმდინარეობა წარმოიქმნა ვ. ჰუმბოლდტის თეორიისაგან დამოუკიდებლად. ამ პრობლემის წარმოქმნა ამერიკულ ენათმეცნიერებაში მკვიდროდ იყო დაკავშირებული აბორიგენების — ამერიკელი ინდიელების — ენის, კულტურისა და ზნე-ჩვეულებების

შესწავლასთან. ამერიკული ეთნოლინგვისტიკა ცნობილია აგრეთვე სხვა სახელწოდებითაც — „სეპირ-უორფის ჰიპოთეზა“. ეს სახელწოდება დაკავშირებულია ამერიკელი მეცნიერების ე. სეპირისა (1884—1939) და მისი მიმდევრის ბ. უორფის სახელთან.

არეალური ლინგვისტიკა. არეალურ ლინგვისტიკას უწოდებენ ენათმეცნიერებაში მიმდინარეობას, რომელიც იყენებს ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს ინდოევროპულ ენათა შედარების დროს. როგორც ცნობილია, ლინგვისტური გეოგრაფია შეისწავლის ცალკეულ ენობრივ მოვლენათა გავრცელების საზღვრებს. ამგვარი შესწავლის შედეგად აღგენენ ლინგვისტურ რუკებს, რომლებზეც ხაზებით არიან დაკავშირებული მსგავსი მოვლენები ერთი ენის დიალექტებისა ან სხვადასხვა ენებისა. ლინგვისტურ გეოგრაფიას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ი. შპიდტის (1843—1901) „ტალღების თეორიაში“. ამ თეორიის მიხედვით, ლინგვისტური ფაქტები ვრცელდებიან, როგორც ტალღები წყალში ქვის ჩაგდების შემდეგ. არეალური ლინგვისტიკის პრინციპების დამუშავება დაკავშირებულია ფრანგი ენათმეცნიერის ეილერონისა (1854—1926) და ნეოლინგვისტური სკოლის სახელთან (მ. ბარტოლი, დ. ბონფანტე).

ლინგვისტური მოვლენების შესწავლა მათი გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით წარმოადგენს ძირითადად ენათა ნათესაობის კრიტიკას (კერძოდ, ა. შლაიხერის მიერ წარმოდგენილი „გენეალოგიური ხის“ კრიტიკას). არეალური ლინგვისტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენათა განვითარებაში ენების შერევის პროცესს (ენათა შერევა გამოწვეულია ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური კავშირებით ან ხალხთა მიგრაციით, რასაც საბოლოოდ ორენოვნებამდე მიყვავართ). ენათა შერევა — ფართოდ მოქმედი პროცესია, არ არსებობს შეურეველი, წმინდა ენები, ამიტომ უნდა ვიკვლიოთ არა ენათა გენეალოგიური მიმართებები, არამედ ცალკეული ფაქტების გეოგრაფიული გავრცელება. ენებში არსებული უძველესი და შედარებით ახალი მოვლენების დადგენის ყველაზე სწორ საშუალებად არეალურ ლინგვისტიკას მიაჩნია ენობრივი ფაქტების გეოგრაფიული გავრცელების შესწავლა: უძველესი მოვლენები გავრცელებულია დიდ ტერიტორიაზე, უახლესი კი — ნაკლებზე.

ამ მიმდინარეობის დიდი მნიშვნელობა ჩანს როგორც ენის, ასევე საზოგადოების ისტორიის შესწავლაში. მაგრამ იგი ცალმხრივია, თუნდაც იმიტომ, რომ უარყოფს გენეალოგიურ კლასიფიკაციას და ყველა ენას ნარეველ მიიჩნევს.

ლინგვისტიკას აქვს გამოყენებითი ასპექტიც, რომლის მნიშვნელობა ძალზე დიდია კომუნიკაციათა ზოგადი თეორიის დამუშავება-

ში. კომუნიკაციათა ზოგადი თეორია — უახლესი სამეცნიერო დისციპლინაა; იგი წარმოიშვა და განვითარდა უკანასკნელ ხანებში ინფორმაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენების შედეგად. კომუნიკაციათა ზოგადი თეორიის განვითარება აუცილებლად გულისხმობს თანამშრომლობას:

1) ინჟინერთა, რომლებიც შეისწავლიან მანძილზე ინფორმაციის გადაცემის ეფექტურობისა და იმედიანობის საკითხს,

2) ენათმეცნიერთა, რომლებიც სწავლობენ ენობრივ ელემენტებს და მათი დაკავშირების პრინციპებს მეტყველების პროცესში,

3) ფსიქოლოგთა, რომლებიც შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკაში მოქმედი პროცესების კანონზომიერებას ინფორმაციის გადაცემის დროს.

ენათმეცნიერებისათვის ამგვარი თანამშრომლობა ნიშნავს ენის შესწავლის დროს ზუსტი მათემატიკური მეთოდებისა და იმ საშუალებების გამოყენებას, რომლებსაც იძლევა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა.

ენათმეცნიერთა თანამშრომლობა აღნიშნულ მეცნიერებათა წარმომადგენლებთან არ არის ცალმხრივი: ეფექტური გადაწყვეტა იმ ძირითადი ამოცანისა, რომელიც დგას კომუნიკაციათა თეორიის წინაშე — არხის მინიმალური დატვირთვა ინფორმაციის გადაცემის დროს — თითქმის წარმოუდგენელია ენათმეცნიერთა ჩარევის გარეშე.

ენათმეცნიერი აწვდის ინფორმაციის თეორიას სამეტყველო სიგნალის ობიექტურ მახასიათებლებს, რაც იძლევა სიგნალის მოცულობის შემცირების საშუალებას.

აღნიშნული თანამშრომლობის გარეშე სიგნალის შემცირებას სუბიექტური და ემპირიული ხასიათი აქვს.

საბჭოთა ეპოქის ენათმეცნიერება არ წარმოადგენს ერთ მიმდინარეობას, იგი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ჩვენში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ტრადიციული, აგრეთვე უახლესი მიმდინარეობები, ისტორიულ-შედარებითი, სტრუქტურალური და სხვა.

საბჭოთა ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრშია აგრეთვე ის პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც წარმოშვა ენათმეცნიერების განვითარებამ XX საუკუნეში (ლინგვისტური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მანქანურ თარგმანთან და ინფორმაციის გადაცემასთან მანძილზე).

დიდი ადგილი ეთმობა საბჭოთა ენათმეცნიერების მოღვაწეობაში ლექსიკოგრაფიის საკითხებს და ნორმატიულ გრამატიკებს.

საბჭოთა ენათმეცნიერებს შორის აღენიშნავთ ლ. შჩერბას, ვ. ბოგოროდიცის, ა. პეშკოვსკის, ლ. ბულახოვსკის, ნ. მარის, ვ. ვინოგრადოვის მოღვაწეობას.

ლ. შჩერბა (1880—1944) მოღვაწეობდა ლენინგრადის უნივერსიტეტში. იგი იყო თვალსაჩინო ფონეტიკოსი. ლ. შჩერბა მუშაობდა როგორც თეორიული ფონეტიკის, აგრეთვე ექსპერიმენტული ფონეტიკის დარგში. მისი ნაშრომები „Русские гласные в количественном и качественном отношении“ (1912) და «Фонетика французского языка» (1937) დღემდე ინარჩუნებენ თავის აქტუალურ მნიშვნელობას.

დიდია ლ. შჩერბას დამსახურება უცხოურ ენათა სწავლების მეთოდის საკითხში.

ვ. ბოგოროდიცის (1857—1941) მოღვაწეობა დაკავშირებულია ყაზანის უნივერსიტეტთან. ვ. ბოგოროდიცი იყო მრავალმხრივი მკვლევარი. მას ეკუთვნის შრომები ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკაში, მუშაობდა იგი აგრეთვე თურქულ ენებზე

ვ. ბოგოროდიცი იყო პირველი ფონეტიკოსი-ექსპერიმენტატორი რუსეთში.

ე. პოლივანოვის (1890—1937) ლინგვისტური მოღვაწეობა ძალიან ფართო ხასიათისაა: იგი იყო ლინგვისტი-თეორეტიკოსი, მუშაობდა ფონოლოგიის პრობლემებზე (ამ საკითხში ე. პოლივანოვი ლ. შჩერბას მიმდევარია); გარდა ამისა მუშაობდა იაპონურ, ჩინურ და თურქულ ენებზე. ე. პოლივანოვის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა თეორიული ნაშრომებით, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამწერლობის საკითხების დამუშავებაში.

დ. უშაკოვის (1873—1942) სახელთან არის დაკავშირებული რუსული ენის 4 ტომიანი განმარტებითი ლექსიკონის შექმნა. ზოგად ენათმეცნიერებაში მას შექმნილი აქვს ენათმეცნიერების შესავლის მოკლე კურსი („Краткое введение в науку о языке“).

ა. პეშკოვსკი (1878—1933) მუშაობდა რუსული ენის პრობლემებზე, მაგრამ მისი დაკვირვებები ინტონაციის გრამატიკულ ფუნქციაზე დიდ ინტერესს წარმოადგენენ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ა. პეშკოვსკი მუშაობდა აგრეთვე ორთოგრაფიის საკითხებზე.

ლ. ბულახოვსკი (1888—1961) ცნობილია, როგორც სლავური ენების სპეციალისტა: მუშაობდა რუსული და უკრაინული ენების ისტორიის საკითხებზე. ლ. ბულახოვსკის მოღვაწეობა ამით არ შემოიფარგლებოდა — მას ეკუთვნის „ენათმეცნიერების შესავალი“ (ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია), (1952).

ნ. მარია (1864—1934) იყო დიდად ერუდირებული ფილოლოგი, რომლის მოღვაწეობა არაბული, ქართული და სომხური ფილოლოგიის დარგში (ლიტერატურული ძეგლების გამოცემა) ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მის ლინგვისტურ მოღვაწეობაზე, ნ. მარის ლინგვისტური თეორია იყო მოკლებული ყოველგვარ საფუძველს. ეს თეორია არ იყო ერთნაირი. მან ბევრი ცვლილება განიცადა და საბოლოოდ მოგვევლინა ოთხი ელემენტის თეორიის სახით. ნ. მარის მიხედვით ყველა ენას საფუძველად უდევს ოთხი ელემენტი: „სალ, ბერ, იონ, როშ“ და ყველა ენაში არსებული ლექსიკური მარაგი ამ ელემენტებისგან მომდინარეობს. ეს თეორია სამართლიანად იყო გაკრიტიკებული და უარყოფილი 1950 წელს ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის დროს და შემდეგ.

ვ. ვინოგრადოვი (1895—1969) ითვლება ძირითადად რუსული ენის სპეციალისტად, მაგრამ მისი შრომები სტილისტიკაში, ფრაზეოლოგიაში მნიშვნელოვანია არა მარტო რუსული ენის, არამედ ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

ენათმეცნიერების მეთოდები

ისტორიულ-შეღარებითი მეთოდი

ისტორიულ-შეღარებითი მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მონათესავე ენათა მიმართ, მათი ევოლუციის გათვალისწინების მიზნით (თავის მხრივ, ენათა ნათესაობის გამოვლენა ამ მეთოდის საშუალებითვე ხდება). ამდენად, თვით მეთოდის დახასიათებამდე აუცილებელია იმის დადგენა, თუ რას გულისხმობს ენათა „ნათესაობა“. ტერმინი „ნათესაობა“ ენათმეცნიერებაში, ცხადია, არ იხმარება ბიოლოგიური გაგებით, თუმც გარკვეულ პარალელიზმს მაინც აქვს ადგილი. ეს პარალელიზმი მკლავდება იმ მემკვიდრეობითობაში, რომელიც არსებობს წინაპარ ენასა და მისგან განვითარებულ ენებს შორის. მონათესავეა ორი ან მეტი ისეთი ენა, რომლებიც საერთო წყაროდან, რომელიღაც მესამე ენისაგან მომდინარეობენ, ენები, რომელთა ევოლუცია ერთი საერთო წერტილიდან გამოსვლის შემდეგ თავ-თავისი გზით წარიმართა. ასეთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთის მიმართ, მაგალითად: იტალიური, ესპანური, ფრანგული, რუმინული და მოლდავეური. თანაარსებული მონათესავე ენები ერთმანეთის მიმართ დაახლოებით იმგვარსავე ურთიერთობაში არიან, როგორშიც ერთი ენის დიალექტები — იმ განსხვავებით, რომ დიალექტებზე უფრო მეტ დაშორებას გვიჩვენებენ ერთმანეთისაგან. მონათესავე ენები ესაა ევოლუციის მხრივ უფრო შორს წასული დიალექტები. თანამედროვე მონათესავე ენები დიაქრონიული თვალსაზრისით იგივე დიალექტებია.

რომელი ენების მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისტორიულად ერთი ენის დიალექტებია? მონათესავე დიალექტებსა და ენებს, რომლებიც კანონზომიერ შეფარდებებს გვიჩვენებენ ერთმანეთს შორის ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, ენები, რომელთა მორფემებში, მეტნაკლებ შინაარსობრივ დამთხვევასთან ერთად, ადგილი აქვს შესატყვის ფონემათა ერთნაირ განლაგებას.

კანონზომიერ შეფარდებათა გამოვლენა-ინტერპრეტაციას ემსახურება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ძირითად პროცედურას წარმოადგენს შედარება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველგვარი შედარება ვერ გავვათვალისწინებინებს სათანადო ენათა ისტორიას. შედარება შეიძლება იყოს სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და მასალაბრივი. პირველი გულისხმობს მსგავსი სტრუქტურული ნიშნების გამოვლენას სხვადასხვა ენებში. ასეთი ნიშნებია, მაგალითად, კონსონანტიზმისა და ვოკალიზმის ხედრითი წონა, დრო-კილოთა წარმოების ერთგვარი პრინციპი, პრეფიქსაციისა და სუფიქსაციის შეფარდება, სინტაქსურ კონსტრუქციათა მსგავსება და სხვა. საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნები შესაძლოა აღმოაჩინდეს როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენებს. ასე, მაგალითად, აფხაზურ-ადიღურ ენათათვის დამახასიათებელი ვოკალიზმის სიღარიბე და კონსონანტიზმის სიმდიდრე უცხო არაა ზოგი აფრიკული ენისათვის. ერგატიული კონსტრუქცია წინადადებისა, კავკასიური ენათა გარდა, დასტურდება ინდურ, პალეოაზიურ ენებში და სხვაგან. აქედან სავსებით ცხადი ხდება, რომ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ვერ გადაწყვეტს ენათა ნათესაობის საკითხს და, ამდენად, ენათა ისტორიის კვლევისათვის ტიპოლოგიური შედარება არ გამოდგება. ენათა ნათესაობის საკითხის გასარკვევად აუცილებელია მასალაბრივი შედარება, რომლის მიზანია გამოამჟღავნოს მატერიალურად იგივეობრივი ელემენტები მორფემულ ინვენტარში (შინაარსის პლანში მეტ-ნაკლები იდენტობის პირობებში).

თავდაპირველად შედარებას სადაზვერვო ხასიათი აქვს, რადგან წინასწარ არ ვიცით, ერთმანეთის მონათესავეა შესადარებელი ენები თუ არა. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ვემყარებით ერთგვარი მნიშვნელობის მქონე სეგმენტების ბგერობრივ მსგავსებას. მაგრამ ნათესაობაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, როცა ეს „მსგავსება“ დაფუძნებული იქნება რეგულარულ ბგერათშესატყვისობებზე. მსგავსება ბგერადობაში, თავის მხრივ, შეიძლება იყოს შემთხვევითი და კანონზომიერიც. შემთხვევითი მსგავსების მაგალითად გამოდგება ძველი ქართული დასლობა „დაუძღურდა“ და რუსული оцадн. შემთხვევითი თანხედომის გარდა გასათვალისწინებელია ენათა კონტაქტები (სესხება, გავლენა). ძველი ქართული სიტყვები არ ვეზი, როჭიკი, ხოირი, როპანაკი ირანულ-

სომხურ ნასესხობებს წარმოადგენენ, ხოლო — პ ო დ ე რ ე, პ ე რ ი კ მ ი, ძ ო ს ტ ე რ ი ბერძნულიდანაა შეთვისებული. ამგვარ სიტყვათა მქონეობა ქართულში, ერთი მხრივ, და ირანულსა და ბერძნულში, მეორე მხრივ, ცხადია, ქართულის ნათესაობაზე ირანულთან ან ბერძნულთან არ მიუთითებს. აქ საქმე გვაქვს არა კანონზომიერ შეფარდებებთან, არამედ ლექსიკურ სესხებასთან ერთი ენიდან მეორეში. მაგრამ რომ ავიღოთ სიტყვათა ერთი რიგი ქართულში, მეგრულსა და სევანურში, დავინახავთ რომ ადგილი აქვს ერთისა და იმავე მორფემის ფარგლებში ხმოვანთა რეგულარულ შესატყვისობას — ქართ. ა, მეგრ. ო, სევან. ა, ქართ. კაც-ი: მეგრ. კოჩ-ი, სევან. კაშ (-*კაშ-ი), ქართ. ასი, მეგრ. ოში, სევან. აშირ, ქართ. ქათამი, მეგრ. ქოთომი, სევან. ქათალ, ქართ. ასული: მეგრ. ოსური, სევან. ასუშ და სხვა. ქართული და სევანური ა-ს ფარდად მეგრულში ო-ს გამოვლენა, როგორც ვნახეთ, შემთხვევითი არაა. ასევე კანონზომიერია ქართული ც-ს შესატყვისად მეგრულში ჩ-ს მქონეობა; ქართ. ცოცვა: მეგრ. ჩოჩუა. ქართ. ცხოვრება, მეგრ. ჩხოწაფა, ქართ. ხუცესი: მეგრ. უჩაში და ა. შ.

შემთხვევითი მსგავსების ალბათობა მით უფრო ნაკლებია, სიტყვის რაც უფრო მეტ მონაკვეთზე ვრცელდება ფონემათა რეგულარული შესატყვისობა. საიმედო შეიძლება იყოს მთელი სიტყვების დაკავშირება, რომელთაც აქვთ გარკვეული განფენილობა (ა. მეიე). განსაკუთრებულ შემთხვევებში საკმაოდ დამაჯერებელი შეიძლება აღმოჩნდეს ერთ ძირეულ თანხმოვნაზე დამყარებული შეპირისპირებაც. ამგვარად, რა განსაზღვრავს ბგერათშესატყვისობას? მხოლოდ და მხოლოდ მისი რეგულარული, კანონზომიერი ხასიათი, როცა ერთი ენის ამა თუ იმ ფონემის (ან ფონემათა ჯგუფის) ადგილას მეორე ენის შესაბამის მორფემებში სისტემატურადაა წარმოდგენილი გარკვეული ფონემა (ან ფონემათა ჯგუფი), საქმე გვაქვს ბგერათშესატყვისობასთან. სავალდებულო არაა ერთმანეთის შესატყვისი ფონემები აკუსტიკურად ან არტიკულაციის თვალსაზრისით ზედმიწევნით ჰგებანდნენ ერთმანეთს. ასე, მაგალითად, მიუხედავად საკმაო სხვაობისა ბგერადობაში ქართულ ლ-სა და სევანურ შ-ს შორის, შესატყვისობა ქართ. ლ: სევან. შ სიტყვის ბოლოს სავსებით კანონზომიერია. მაგალითები: ქართ. წულ-ი, სევან. ქუშ, ქართ. ქუელ-ა. სევან. ქუეშ-, ქართ. ტილ-ი, სევან. ტიშ.

კანონზომიერი შეფარდებანი მონათესავე ენათა ფონემურ სის-

ტემაში, გრამატიკაში, ლექსიკაში გვაპარაულებინებენ, რომ ამ ენათა ფონემური თუ მორფემული ინვენტარი თავდაპირველად ერთი იყო. განსხვავებანი. რომლებიც კმნიან შესატყვისობებს, მიღებულია ერთი ამოსავალი მონაცემის კანონზომიერი დიფერენციაციით. დასაშვებია ეტაპი, როცა დღევანდელი მონათესავე ენები, რომელიღაც ერთი ენის დიალექტებს წარმოადგენდნენ. ის ენა, რომელიც ამოსავლად მიიჩნევა იატორიულად დადასტურებული მონათესავე ენებისათვის. იწოდება წინარე ენად, რომელიც რეალურად ფიქსირებული, როგორც წესი, არაა. მისი რეკონსტრუქცია (აღდგენა) ხდება მონათესავე ენათა შორის არსებულ შეფარდებათა ინტერპრეტაციის საფუძველზე. პიპოთეტურად აღდგენილი წინარე ენა მისი დიალექტებად დაშლის წინა პერიოდში წარმოადგენს იმ საწყის პუნქტს. რომლისგან მოკიდებული დღემდე ლინგვისტს შეუძლია თვალი მიადევნოს ცალკეული ენების ან ენათა ჯგუფების ევოლუციას. ენათმეცნიერის მიერ აღდგენილი წინარე ენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ზუსტად დაემთხვეს ისტორიულად არსებულ რომელსამე რეალურ ენას, მაგრამ იგი ზოგადად მაინც ასახავს იმ ენის სტრუქტურას, რომელიც თანამედროვე მონათესავე ენათა წინაპარი უნდა ყოფილიყო. რეკონსტრუქცია არის ერთადერთი საშუალება მონათესავე ენათა ამოსავალი სისტემის, არქეტიპის გათვალისწინებისა. ამგვარად, წინარე ენა არის ცალკეულ სტრუქტურათა ას ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა სახით აატრანსფორმირებული ისტორიულად დამოწმებულ მონათესავე ენებში.

რეკონსტრუქციის საფუძველი. როგორც ვთქვით, არის კანონზომიერი შესატყვისობათა ანალიზი. შესატყვისობის ფორმულების ინტერპრეტაციის დროს სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ ორი პრინციპი: ახსნა უნდა იყოს არა წინააღმდეგობრივი და ეკონომიური (რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული სისტემა უნდა წარმოადგენდეს ოპტიმალურ ვარიანტს ყველა შესაძლო ვარიანტებს შორის). მაგალითად, არ შეიძლება დავეუშვათ, რომ საერთოქართველურმა ე-მ ზანურში ერთდროულად მოგვცა ე-ც და ა-ც; თუ ამას კომბინატორული (resp. პოზიციური) ხასიათი არა აქვს, ამგვარი დაშვება წინააღმდეგობრივი იქნება. თუ მოკმედებდა ე—ა პროცესი, იგი უნდა გავრცელებულიყო ყველა საერთოქართველურ *ე-ზე ზანურში. დარღვევები უნდა აიხსნას ან მათი დისტრიბუციით (ვთქვათ, ე—ა განხორციელდა სიტყვის თავსა და შუაში, ხოლო ე დარჩა უცვლელი სიტყვის ბოლოს) ან ნასესხობით სხვადასხვა დროს

შესაძლოა ახსნა წინააღმდეგობრივი არ იყოს, მაგრამ იყოს არა ეკონომიური. თუ შესატყვისობის ერთი წევრისგან ამოსვლით შეგვიძლია ორივე წევრას ევოლუციი: გათვალისწინება, შესამე მონაცემის დაშვება ამოსავლად არაეკონომიური იქნება მაგალითად, შესატყვისობა ქართ. ა: ზან. ო სრულიად არ საჭიროებს ამოსავლად მივიჩნით რაღაც შესამე ფონემა, ვთქვათ კ (ლბია:ლიზებული ა). საერთოქართველური *ა უცვლელად შემოინახა ქართულმა და სვანურმა, ხოლო ზანურში იგი ო-ში გადავიდა.

რეკონსტრუქციის პროცედურა აუცილებლად გულისხმობს შინაარსის პლანში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებას. ეტიმოლოგიური დაკავშირების აუცილებელი პირობაა სრული იდენტობა ან გარკვეული სიახლოვე მორფემათა შინაარსში. არის შემთხვევები, როცა საჭირო ხდება გაეთვალისწინოთ გარდამავალ მნიშვნელობათა მთელი ჯაჭვი, რადგან ზოგჯერ ერთი წარმომავლობის მქონე მორფემები საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობისანი არიან. საჭირო ხდება გადამკვეთი მნიშვნელობის მოძებნა, ისეთი კონტექსტუალური ნიუანსის პოვნა, რომელიც ორ კიდურ მნიშვნელობას ერთმანეთთან დააკავშირებს. მაგ., ბერძნული $\epsilon\mu\eta\mu$ „ვლებ“ და ლათინური *facere* „ქმნა“, „კეთება“ მატერიალურად ერთმანეთის შესატყვის ფუძეებს შეიცავენ, მაგრამ მნიშვნელობა „დადება“ საკმაოდ სცილდება „ქმნა“-ს. პირველი ექცევა სემანტიკურ ჯგუფში მნიშვნელობებთან: „დაყრა“, „დადგმა“, „მოთავსება“, „დაბინაება“, მეორე კი — მნიშვნელობებთან: „შესრულება“, „ჩაღენა“, „აშენება“, „წარმოება“, „დამზადება“. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს შორდება. მაგრამ ბერძნულში შენახულია $\mu\epsilon\mu\epsilon\lambda\iota\alpha$ „საფუძვლის ჩაყრა“, რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ ორივე ჯგუფთან: „დადების“, „ჩაყრის“ ხაზით პირველთან, ხოლო „აშენების“ ხაზით — მეორესთან.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი დღეს გაცილებით უფრო სრულყოფილად გამოიყურება, ვიდრე ნეოგრამატიკოსთა ან თუნდაც შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების უდიდესი წარმომადგენლის ა. მეიე-ს დროს. იგი გამდიდრებულია თანამედროვე ენათმეცნიერების მიღწევებით. ისტორიულ-შედარებითი კვლევადიების მეთოდიკის დახვეწას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დისტრიბუციული ანალიზის, შინაგანი რეკონსტრუქციის წინა პლანზე წამოწევა. ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომებმა აფრიკის, ამერიკის, კავკასიის და სხვა ენათა სფეროში გვიჩვენეს, რომ ეს მეთოდი გამოდგება მონათესავე ენათა ნებისმიერი ოჯახის შესწავლისათვის. იგი ამ თვალსაზრისით უნივერსალურია. სრულიად

უსაფუძვლო აღმოჩნდა აზრი, თითქოს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ინდოევროპული ენებისთვის იყოს „მოგონილი“ და არ გამოდგებოდეს ე. წ. „ეგზოტიკურ“ ენათა შესასწავლად. ისტორიულ-შედარებითი კვლევის განვითარებას ეხებარ. იაკობსონი, როცა ამბობს, რომ „მოუფიქრებელმა და ნაჩქარევმა მსჯელობამ ენათა ნათესაობის შესახებ მალე ადგილი დაუთმო პირველ გამოკვლევებს და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მიღწევებს“. იგივე უნდა ითქვას დღეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების შესახებ გეოგრაფიული არეალის გაზრდასთან დაკავშირებით.

დისტრიბუციული მეთოდი

დისტრიბუციული მეთოდი ფონოლოგიაში. ფონოლოგიური ანალიზის მეთოდი, ისევე როგორც სინქრონიული ენათმეცნიერების სხვა მეთოდებიც, დამუშავებული იქნა სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ კი სტრუქტურული ენათმეცნიერების იმ მიმდინარეობებში, რომლებიც ფუნქციონალური და დისტრიბუციული მიმდინარეობის სახელით არის ცნობილი.

დისტრიბუციული ანალიზის ტექნიკა დამუშავდა ამერიკულ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში (იელის სკოლა) და ფუნქციონალურ ენათმეცნიერებაში (პრადის სკოლა). ტერმინი დისტრიბუცია ენათმეცნიერებაში შემოტანილ იქნა მათემატიკიდან. იგი ნაწარმოებია ლათინური სიტყვიდან *distribuere* „განაწილება“. დისტრიბუციული მეთოდის დამუშავება განაპირობა შემდეგმა გარემოებამ:

როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, მკვლევარ-ლინგვისტს უშუალოდ ეძლევა არა თვითონ ენა, არამედ მეტყველების აქტი, რომელზე დაკვირვების შედეგადაც იგი ადგებს გარკვეულ ჰიპოთეზებს თვით ენის შესახებ. მეტყველების აქტში ენის გარდა წარმოდგენილია სხვა ისეთი მომენტებიც, რომელთა უგულებელყოფა ლინგვისტური ანალიზის დროს აუცილებელია. ასე, მაგალითად, მეტყველება გვაძლევს ჩვენ ინფორმაციას არა მხოლოდ ენის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ ვინ არის მეტყველი—კაცია ის თუ ქალი, მოხუცია თუ ახალგაზრდა, განათლებულია ის თუ უსწავლელი და ა. შ.; მაგრამ ენათმეცნიერება სამართლიანად უგულებელყოფს ამ და სხვა ამგვარ მომენტებს და მეტყველების აქტში იგი ეძებს მხოლოდ და მხოლოდ ენას და სხვას არაფერს. ამგვარი თვითშეზღუდვის შემდეგაც კი შეუძლებელი ხდება მეტყველების აქტის პირდაპირი ანალიზი, რაც აუცილებელს ხდის სათანადო მეთოდის დამუ-

შევებას იმ მიზნით, რომ მეტყველების აქტის ანალიზის შედეგად მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა იმ ენის შესახებ, რომელზეც შექმნილია ესა თუ ის მეტყველების აქტი ანუ ტექსტები.

რატომ არის შეუძლებელი მეტყველების აქტის (ტექსტის) პირდაპირი ანალიზი? ადამიანის სამეტყველო აპარატი გამოირჩევა მეტნაკლები სტაბილურობით, მაგრამ იგი არ არის იმდენად სტაბილური, რომ შეეძლოს ერთი ბგერის ორჯერ ზუსტად ერთნაირად განმეორება. თუ ჩვენ, მაგ., ასჯერ წარმოვთქვამთ სიტყვას „კაცი“ და ყველა ჩვენ წარმოთქმას ჩაწერთ მგრძობობიარე აპარატით და შემდეგ გავანალიზებთ თითოეულ წარმოთქმას, აღმოჩნდება, რომ ვერ ვიპოვით ორ ერთმანეთის აბსოლუტურად მსგავს ბგერას: გვექნება ასი სხვადასხვა [კ], ასი სხვადასხვა [ა], ასი სხვადასხვა [ც] და ასი სხვადასხვა [ი]. ისევე როგორც ხელნაწერში ორი ერთი და იგივე ასო (ვთქვათ, ა). აბსოლუტურად არასოდეს არ ჰგავს ერთმანეთს, ასევე ორი ერთი და იგივე ბგერა წარმოთქმაში ერთმანეთის აბსოლუტურად იდენტური არასოდეს არ აღმოჩნდება. გარდა ამისა, ბგერებს ჩვენ წარმოვთქვამთ არა იზოლირებულად, არამედ სხვა ბგერებთან ერთად. ბგერები რომ ერთმანეთის მეზობლობაში აღმოჩნდებიან, გველენას ახდენენ ურთიერთზე. ასე მაგალითად, [კ] სიტყვაში „კაცი“ არ არის იგივე რაც სიტყვაში „კეცი“, რადგანაც პირველ სიტყვაში მის მეზობლადაა დაბალი აწეულობისა და შუა რიგის [ა], ხოლო მეორე სიტყვაში — საშუალო აწეულობისა და წინა რიგის (პალატალური) [ე]. ამიტომ ბგერა იცვლება პოზიციიდან პოზიციაში, და იმის მიხედვით, თუ რომელი ბგერაა მის მეზობლად, მას სხვადასხვა თვისებები აქვს. [კ] სიტყვაში „კეცი“ პალატალურია (რბილი), რადგანაც მას მოჰდევს პალატალური [ე], ხოლო სიტყვაში „კაცი“ იგი არ არის პალატალური — იგი ამ პოზიციაში ნეიტრალურია. [ო]-ს წინ [კ] ველარულია (მაგარი), მაგ. სიტყვაში „კოცონი“, რადგანაც [ო] თვითონ არის ველარული (მაგარი) ბგერა.

ვუწოდოთ ამგვარ ბგერით ნიუანსებს ვარიანტები. ვარიანტების არსებობას განაპირობებს ორი რიგის ფაქტორი: 1) სამეტყველო აპარატის არასტაბილური ხასიათი და 2) ბგერების ურთიერთგავლენა (იხ. კოარტიკულაცია) გაბმულ მეტყველებაში. პირველი რიგის ვარიანტულობას ვუწოდოთ თავისუფალი ალტერნაცია, ხოლო მეორე რიგისას — პოზიციური ალტერნაცია. შესაბამისად გვექნება თავისუფალი ვარიანტები და პოზიციური ვარიანტები. ბგერით ვარიანტებს სხვაგვარად უწოდებენ ალოფონებს (ტერმინი ნაწარმოებია ბერძნული სიტყვებიდან *allos* „სხვა“ და *phonus* „ბგერა“. ქვემოთ ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს „ალოფონი“).

ამრიგად, ალოფონი გვაქვს ორგვარი — თავისუფალი და პოზიციური. ლინგვისტს, რომელიც იკვლევს მეტყველების აქტს ანუ ტექსტს და ცდილობს ამ ტექსტიდან მიიღოს ფონოლოგიური ინფორმაცია, საქმე აქვს სწორედ ალოფონებთან და არა ფონემებთან, რადგან ტექსტი სეგმენტირდება უშუალოდ მხოლოდ ალოფონებად. მაგრამ ალოფონების რაოდენობა უსასრულოა (ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო) და ქმნის მათემატიკურ რიგს 1-დან n-მდე.

ენათმეცნიერების ცენტრალური პრობლემაა იგივეობისა და განსხვავების პრობლემა. თუ ჩვენ გვინდა ენათმეცნიერებამ გადაჭრას ეს ძირითადი პრობლემა, მან უნდა შეძლოს ალოფონთა უსასრულო რაოდენობა დაიყვანოს ბგერობრივ ელემენტთა სასრულ რაოდენობაზე, რათა ამ გზით შესაძლებელი გახდეს ანალიზის გაგრძელება ენის მაღალ დონეებზე (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) და მოახდინოს მეტყველი ინდივიდის ქცევის (ინგლ. behaviour 'ქცევა') მოდელირება. მეტყველი ინდივიდი აღიქვამს არა ალოფონთა უსასრულო რაოდენობას, არამედ ბგერობრივ ელემენტთა სასრულ რაოდენობას და ამიტომ ფონოლოგია თუ მხოლოდ ალოფონების დონეზე დარჩება, იგი ვერასოდეს ვერ ახსნის მეტყველის ან მსმენელის ქცევას. ამავდროს შეუძლებელი იქნება მორფოლოგიური, სინტაქსური ან ლექსიკური ანალიზის ჩატარება, რადგანაც ფონოლოგიის დონეზე ჭერ კიდევ არ იქნება გარკვეული იდენტური და განსხვავებული ერთეულები.

ალოფონთა უსასრულო რაოდენობა რომ დავიყვანოთ ფონემათა სასრულ რაოდენობაზე, ამისათვის სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში დამუშავდა დისტრიბუციული მეთოდიკა; როგორც აღნიშნული იყო, ფონეტიკური თვალსაზრისით ორი ბგერა არასოდეს არ არის ერთმანეთის იდენტური. ასე, თუ ჩვენ მოვიზნდომებთ იდენტურ ოდენობებად ჩავთვალოთ [კ] სიტყვაში „კაცი“ და [კ] სიტყვაში „კეცი“ ფონეტიკური თვალსაზრისით აღმოჩნდება, რომ ყველა ცდა აღნიშნული ორი ბგერის ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან გაიგივებისა უსაფუძვლო იქნება, რადგანაც [კ] სიტყვაში „კეცი“ პალატალურია, ხოლო [კ] სიტყვაში „კაცი“ ნეიტრალური. ამიტომ აუცილებელი ხდება ალოფონთა იდენტიფიკაციისას მივმართოთ დისტრიბუციულ თვალსაზრისს.

განვიხილოთ. ჭერ დისტრიბუციული მეთოდი. ერთი ელემენტის მეზობლობას მეორესთან ვუწოდოთ ამ ელემენტის პოზიცია. ყველა იმ პოზიციათა ჯამი, რომელშიც გვხვდება მოცემული ელემენტი, იქნება ამ ელემენტის დისტრიბუცია. ასე, მაგალითად, ყრუ ხშული ან სპირანტი ქართულში შეიძლება შეგვხვდეს, როგორც სიტყვის და-

საწყისში ხმოვნის წინ ($\#-V$)¹, იან სიტყვის შიგნით ორ ხმოვანს შუა. ($V-V$) და სიტყვის ბოლოში ხმოვნის შემდეგ ($V-\#$) (შდრ. ფარი, საფერავი, ვაკეთებ „ვაკეთებ“. სადაც [ფ] წარმოდგენილია სამსავე აღნიშნულ პოზიციაში). მელერი ხშული ან სპირანტი ქართულში გვხვდება მხოლოდ პირველ ორ პოზიციაში. მესამე პოზიციაში კი იგი არ გვხვდება, რადგანაც სიტყვის ბოლოში ქართულში მელერი თანხმოვნები ყრუვდებიან (შდრ. კარგად — > კარგათ, ვაკეთებ > ვაკეთებ და სხვ.). ამიტომ [ბ]-ს დისტრიბუციას ქნის $\#-V$ და $V-V$ პოზიციები, ხოლო [ფ]-ს დისტრიბუციას $\#-V$, $V-V$ და $V-\#$ პოზიციები. თუ ცნობილია ყველა ის პოზიცია, რომელშიც გვხვდება ესა თუ ის ელემენტი, მაშინ ცნობილია ამ ელემენტის დისტრიბუცია.

როგორ უნდა გავარკვიოთ დისტრიბუციის მიხედვით ფონთა იგივეობა და განსხვავება? განასხვავებენ დისტრიბუციის სამ სახეს. — თავისუფალ ვარიირობას, კონტრასტულ დისტრიბუციასა და დამატებითს დისტრიბუციას. თუ ორი ფონი ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდება და მათი ურთიერთიანაცვლება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას, მაშინ საქმე გვაქვს თავისუფალ ვარიირობასთან, მაგალითად, იაპონურში ნებისმიერ სიტყვაში ალოფონი r შესაძლებელია შეცვლილ იქნეს l -თი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული ორი ალოფონი ერთმანეთთან თავისუფალი ვარიირობის მიმართებაშია. დისტრიბუციის ამ ტიპის დიამეტრალურად საწინააღმდეგოა დამატებითი დისტრიბუციის მიმართება, რადგანაც დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ფონები არასოდეს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში. ასე, მაგალითად, რბილი და მაგარი [კ] ქართულში არასოდეს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში. რადგანაც რბილი [კ] წარმოდგენილია პალატალური [ე] და [ი] ხმოვნების წინ (შდრ. კეცი, კირი), ხოლო მაგარი [კ] — ველარული [ო] და [უ] ხმოვნების წინ (შდრ. კოკონი, კურკა). პალატალური [ე] და [ი] ხმოვნების წინ არ შეიძლება შეგვხვდეს მაგარი [კ] და ველარული [ო] და [უ] ხმოვნებთან წინ რბილი [კ]. ამიტომ იქ, სადაც ერთი დასტურდება, არ შეიძლება შეგვხვდეს მეორე და, პირიქით, სადაც მეორე დასტურდება. არ შეიძლება იყოს პირველი. ამგვარ დისტრიბუციულ მიმართებას ეწოდება დამატებითი დისტრიბუცია.

¹ $\#$ ნიშნით აღნიშნება სიტყვის დასაწყისი და დასასრული.—ნიშნით პოზიცია, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო ერთეული, C-თი თანხმონი, V-თი — ხმოვანი.

დისტრიბუციის მესამე ტიპია კონტრასტული დისტრიბუცია. კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ფონები წარმოდგენილი არიან ერთსა და იმავე პოზიციაში, ისევე როგორც თავისუფალი ვარიირობის მიმართებაში მყოფი ფონები, მაგრამ ამათგან განსხვავებით კონტრასტულ დისტრიბუციაში მყოფი ორი ფონის ურთიერთთანაცვლება იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლასაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იაპონური რ შეიძლება კველგან შევცვალოთ I-თი. მაგრამ იგივე [რ] და [ლ] ქართულში შეუძლებელია ერთმანეთს ჩაენაცვლოს ისე, რომ სიტყვის მნიშვნელობას არ შეცვლის (შდრ. რომი—ლომი).


თუ ორი ფონი ერთმანეთთან თავისუფალი ვარიირობის ან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, მაშინ ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე ფონემის ალოფონებს. ამიტომ რ და l იაპონურში ერთი და იგივე ფონემაა, ასევე ერთი ფონემაა სხვადასხვა [კ] სიტყვებში „კაცი“, „კეცი“, „კოცონი“, რაზედაც ლაპარაკი იყო ზემოთ. რ და l იაპონურში ან /კ/-ს თავისუფალი ალოფონები სიტყვაში „კაცი“, თითო ფონემად განიხილება იმიტომ, რომ მათ შორის თავისუფალი ვარიირობის მიმართებაა, ხოლო რბილი და მაგარი [კ] სიტყვებში „კეცი“ და „კოცონი“ — იმიტომ, რომ მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაა.

თუ ორი ფონი ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია, მაშინ ისინი წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ფონემას. ამიტომ ორი სხვადასხვა ფონემა ქართულში /რ/ და /ლ/, განსხვავებით იაპონურისაგან, სადაც ისინი ერთ ფონემას წარმოადგენენ. ამავე მიზეზის გამო ორი სხვადასხვა ფონემა ქართულში /ბ/ და /ფ/ (შდრ. ბარი-ფარი); ს-ზ (სარი-ზარი), ღ-ხ (ღარი-ხარი), დ-თ (ღარი-თარი) და სხვ. მისთანანი.

დისტრიბუციის განხილული სამი ტიპი ამოწურავს ბგერათა დისტრიბუციის ყველა შესაძლებელ შემთხვევას. ნებისმიერ ენაში ორი ფონი ერთმანეთთან ან თავისუფალი ვარიირობის, ან დამატებითი დისტრიბუციის და ან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში იქნება. ამიტომ სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში დამუშავებული დისტრიბუციული ანალიზის ტექნიკა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ენის ფონოლოგიური ანალიზის დროს და განვსაზღვროთ ფონემურად იდენტური და განსხვავებული ფონები. /კ/ ფონემის ანალოგიური ალოფონები შეიძლება ჰქონდეს ამავე პოზიციებში /გ/ ფონემასაც. [გ] სიტყვაში „გერი“ არის რბილი, რადგან მას მოსდევს პალატალური [ე], ხოლო სიტყვაში „გორა“—მაგარი, მის შემდეგ ველარული [ო]-ს გამო. ეს შეფარდება შეიძლება წარ-

მოვიდგინოთ შემდეგი სქემის სახით. აღნიშნოთ რბილი ხმოვნების წინა პოზიცია P_1 -ით, ხოლო მკაცრი ხმოვნების წინა პოზიცია P_2 -ით. მაშინ სქემა მიიღებს ასეთ სახეს:

დამატებითი დისტრიბუციის მიმართება, როგორც ამ სქემიდან ჩანს, გვაქვს როგორც $გ' \text{---} გ'$ და $კ' \text{---} კ'$, ისე $გ' \text{---} კ'$ და $კ' \text{---} გ'$ ალოფონებს შორის.



ამიტომ დისტრიბუციული თვალსაზრისით ერთმანეთთან შეიძლება გავაიგივოთ, როგორც $გ' \text{---} გ'$ ან $კ' \text{---} კ'$, ისე $გ' \text{---} კ'$ ან $კ' \text{---} გ'$. გაურკვეველობა რომ თავიდან ავიცილინოთ, საჭირო ხდება მიემართოთ ფონეტიკური იგივეობის კრიტერიუმს. რადგანაც $გ' \text{---} გ'$, უფრო მსგავსია ერთმანეთისა ფონეტიკურად, ვიდრე $გ' \text{---} კ'$; ამიტომ ერთმანეთთან უნდა გავაიგივოთ $გ' \text{---} გ'$ და არა $გ' \text{---} კ'$. ამავე მიზეზის გამო ერთი ფონემის ალოფონებად უნდა მივიჩნიოთ $კ' \text{---} კ'$ და არა $კ' \text{---} გ'$. ამრიგად, აღმოჩნდება, რომ ერთმანეთის იგივეურია არა პუნქტირით დაკავშირებული ალოფონები ($გ' \text{---} კ'$; $კ' \text{---} გ'$), არამედ მთლიანი ხაზით დაკავშირებული ალოფონები ($გ' \text{---} გ'$; $კ' \text{---} კ'$)

აქამდე ჩვენ ვიმსჯელებთ ფონეტიკური მსგავსების შესახებ, მაგრამ სპეციალურად არ შევჩერებულვართ მის განხილვაზე. ისმება კითხვა: რა არის ფონეტიკური მსგავსება და როგორი ორი ბგერა შეიძლება ჩაითვალოს ფონეტიკურად მსგავს ბგერებად? ფონოლოგიის ფუძემდებლის ნ. ტრუბეცკოის აზრით, ფონეტიკურად მსგავსია ისეთი ორი ბგერა, რომლებიც შეიცავენ საერთო ნიშნეულობათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელი არ იქნება მოცემულ ენაში სხვა რომელიმე ბგერითი წყვილისათვის. ასე, მაგალითად, [გ'] და [გ'] ქართულში ფონეტიკურად მსგავსი ბგერებია, რადგანაც ნიშნეულობათა ის ერთობლიობა (თანხმოვნობა, მქდერობა, ხშულობა და უკანასასისმიერობა). რომელიც ახასიათებს მოცემულ ორ ბგერას დამახასიათებელი არ იქნება ქართულში რომელიმე სხვა ბგერითი წყვილისათვის. თუ ჩვენ ავიღებთ [ბ'] და [გ'] ბგერებს, აღმოჩნდება, რომ ისინი არ არიან ფონეტიკურად მსგავსნი. რადგანაც საერთო ნიშნეულობათა ერთობლიობა (მქდერობა, თანხმოვნობა, ხშულობა და სირბილე) დამახასიათებელია არა მხოლოდ მათთვის, არამედ [ბ'] და [დ'] ან [ბ'] და [ძ'] ბგერითი წყვილებისთვის.

საც, რადგანაც ორივე ეს ბგერითი წყვილი ხასიათდება თანხმოვნობით, მჟღერობით, ხშულობითა და სირბილეთი.

ამრიგად, ფონეტიკურად მსგავსი არის ორი ბგერა მხოლოდ მაშინ, თუ მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნეულობების ერთობლიობა დამახასიათებელი არ იქნება სხვა რომელიმე ბგერითი წყვილისათვის მოცემულ ენაში. ამავე დროს ნიშნეულობათა ის ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ბგერითი წყვილისათვის, არის სწორედ ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნეულობების ერთობლიობა. [გ'] და [გ'], როგორც აღნიშნული იყო, ფონეტიკურად მსგავსია ერთმანეთისა იმიტომ, რომ ისინი შეიცავენ თანხმოვნობის, მჟღერობის, ხშულობისა და უკანასასისმიერობის ისეთ ერთობლიობას; რომელიც ამ სახით არ განმეორდება სხვა რომელიმე ბგერით წყვილში. მაგრამ ეგევე ნიშნეულობები არის /გ/ ფონემისათვის დამახასიათებელი რელევანტური ნიშნეულობათა ერთობლიობაც, რადგანაც ფონემა /გ/ ქართულში ხასიათდება თანხმოვნობით, მჟღერობით, ხშულობითა და უკანასასისმიერობით. თანხმოვნობა რელევანტური ნიშნეულობაა /გ/ ფონემისათვის ხმოვნებთან მიმართებაში (შდრ. გერი-იერი), მჟღერობით იგი განსხვავდება /ქ/-საგან (შდრ. გერი-ქერი), ხშულობით /ღ/-საგან (შდრ. გერი-ღერი), უკანასასისმიერობით /ბ/-საგან (შდრ. გერი-ბერი). ამრიგად, თითოეული ეს ნიშნეულობა განასხვავებს /გ/ ფონემას ყველა სხვა ფონემისაგან ქართულში. რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე აღებული ყველა ეს ნიშნეულობა დამახასიათებელი იქნება სხვა ფონემებისთვისაც. მაგრამ მათი ასეთი ერთობლიობა მხოლოდ /გ/ ფონემისათვის არის დამახასიათებელი (თანხმოვანია, /გ/-ს გარდა, დ, თ, ტ, ზ, ძ, გ და სხვ., მჟღერია გ, დ, ზ, ღ და სხვ., ხშულია ბ, ფ, პ, დ, თ, ტ და სხვ., უკანასასისმიერია ქ, კ, ღ, ხ, მაგრამ ჩვენ ქართულში ვერ ვიპოვით, /გ/-ს გარდა, ისეთ მეორე ფონემას. რომელიც ერთდროულად იყოს თანხმოვანიც, ხშულიც, მჟღერიც და უკანასასისმიერიც). იმიტომ ფონემას განიხილავენ, როგორც მოცემული ბგერისათვის დამახასიათებელ რელევანტურ ნიშნეულობათა ერთობლიობას.

მაგრამ რელევანტური ნიშნეულობანი სწორედ ის ნიშნეულობანია, რომლებიც ერთდროულად განასხვავებენ მოცემულ ფონემას სხვა ფონემებისაგან და ამყარებენ ფონეტიკურ მსგავსებას ერთი ფონემის ალოფონებს შორის. როგორც არ უნდა იყოს /გ/-ს ალოფონი და რა პოზიციაშიც არ უნდა გვხვდებოდეს იგი, მისთვის ყოველთვის იქნება დამახასიათებელი აღნიშნული ოთხი ნიშნეულობა. ამავე დროს ყველა ის ნიშნეულობა, რომლებიც დამახასიათებელი იქნება /გ/ ფონემის ალოფონებისათვის ამა თუ იმ პოზიციაში იქნება

ირელევანტური ნიშნეულობანი. ჩვენს შემთხვევაში ირელევანტურია /გ/-სათვის სირბილე ან სიმაგრე.

რატომ არის საჭირო დისტრიბუციის გათვალისწინება თუ ფონეტიკურადაც შეიძლება ალოფონების იდენტიფიკაცია? ხომ არ არის შესაძლებელი ფონოლოგიური ანალიზის დროს დავეყრდნოთ მხოლოდ ფონეტიკას და უარეყოთ დისტრიბუციული მიმართებების კვლევა? რბილი და მაგარი თანხმოვნები ალოფონების დონეზე გამოიყოფა, როგორც ქართულში, ისე რუსულში. ასე, მაგალითად [ბ] სიტყვაში „ბერი“ ქართულში არის რბილი, ხოლო სიტყვაში „ბურთი“ — მაგარი. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს რუსულშიც: ნ სიტყვაში ნЫТХ (ფონემურად b'it') და სიტყვაში нЫТХ (ფონემურად b'it') სხვადასხვაა. პირველი არის რბილი [ნ'], ხოლო მეორე — მაგარი [ნ']. ამავე დროს თუ დისტრიბუციულ მიმართებებს არ გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ რბილი და მაგარი [ბ] ერთმანეთის მსგავსია ფონეტიკურად ორივე ენაში, რადგან ამ ბგერითი სეგმენტებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნეულობათა ერთობლიობა დამახასიათებელი არ იქნება არც ერთი სხვა ბგერითი წყვილისათვის არც რუსულში და არც ქართულში. ეს ნიშნეულობანია: თანხმოვნობა, ბილაბიალობა, ხშულობა, მკლერობა. თუ მხოლოდ ფონეტიკური მსგავსების კრიტერიუმს დავეყრდნობით ალოფონების იდენტიფიკაციისას, მაშინ რბილი და მაგარი [ბ] ერთი და იგივე ფონემა იქნება ორივე ამ ენაში. მაგრამ ეს ბგერითი სეგმენტები სხვადასხვა დისტრიბუციულ მიმართებებს ამყარებენ ქართულსა და რუსულში. ქართულში ისინი დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან ერთმანეთთან და ამიტომ შეიძლება დავსვათ საკითხი მათი ფონეტიკური მსგავსების შესახებ. რუსულში კი აღნიშნული ბგერები ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია, რასაც კარგად გვიჩვენებს нЫТХ და нЫТХ სიტყვების ფონემური ჩაწერა როგორც /b'it'/ და /b'it'/ მიმდევრობებისა. რუსულში რბილი და მაგარი [ნ] ერთსა და იმავე პოზიციაში გვხვდება, კერძოდ i-ს წინ, ქართულში — რბილი [ბ'] გვხვდება მხოლოდ [ი] და [ე] ხმოვნების წინ, ხოლო მაგარი [ბ'] — [ო] და [უ] ხმოვნების წინ. რადგანაც [ნ'] და [ნ'] რუსულში კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია, ამიტომ ისინი სხვადასხვა ფონემაა. სხვადასხვა ფონემა კი არ შეიძლება იყოს ერთმანეთის მსგავსი ფონეტიკურად, რადგანაც ფონეტიკური მსგავსება უდრის ფუნქციონალურ იგივეობას. ქართულში კი [ბ'] და [ბ'] დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და ამიტომ ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ფონეტიკურად მსგავს ანუ ფუნქციონალურად იდენტურ ოდენობებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

ბგერითი ოპოზიცია რუსულში ფონოლოგიურია და სილბო და სი-
მაგრე ამ ოპოზიციის შემადგენელი წევრებისათვის რელევანტური
ნიშნეულობაა, ხოლო ქართულში იგივე ოპოზიცია ფონეტიკურია
და სილბო და სიმაგრე ამ ოპოზიციის წევრებისათვის ირელევანტუ-
რი ნიშნეულობაა.

თუ ჩვენ მხოლოდ ბგერათა ფონეტიკურ თვისებებს დავეყრდნო-
ბით და მხედველობაში არ მივიღებთ მათ დისტრიბუციულ მიმარ-
თებებს, მაშინ ვერასოდეს ვერ გავარკვევთ, რომ რ'—რ' ოპოზიცია,
რუსულში ფონოლოგიურია (დისტინქტურია), ხოლო ბ'—ბ' ოპოზი-
ცია ქართულში არაფონოლოგიური (არადისტინქტური), რადგანაც
ფონეტიკური თვალსაზრისით აღნიშნული სეგმენტები ერთგვარად
დახასიათდება ორივე ენაში. მაგრამ თუ მხოლოდ დისტრიბუციული
მიმართებების კვლევით შევიზღუდებით, მაშინ შეუძლებელი გახ-
დება აღნიშნული ალოფონების ერთმანეთთან გაიგივება ქართულ სი.
რადგანაც დამატებითი დისტრიბუციის კრიტერიუმში, როგორც ეს
უკვე ნაჩვენებია იყო ზემოთ, აუცილებლობით მოითხოვს ფონეტი-
კური მსგავსების კრიტერიუმის შემოტანას. ამრიგად, ფონოლოგი-
ური ანალიზის დროს არ შეიძლება არც დისტრიბუციული მიმარ-
თების უგულვებელყოფა და არც ბგერის ფონეტიკური მახასიათებ-
ლების გაუთვალისწინებლობა.

ტრადიციული ფონეტიკა ანგარიშს არ უწევდა დისტრიბუციულ
მიმართებებს და იგი იზღუდებოდა მხოლოდ ბგერის ფონეტიკური
ბუნების კვლევით. ამიტომ ტრადიციული ფონეტიკისათვის [ბ']
სიტყვაში „ბერი“ ქართულში და [რ'] სიტყვაში რНТХ რუსულში,
ერთი და იგივე ოდენობა იყო, რადგანაც ფონეტიკური სტრუქტურა
მათი ერთია. ფონოლოგია იკვლევს არა მხოლოდ ბგერის სტრუქტუ-
რას, არამედ იმ დისტრიბუციულ მიმართებებსაც, რომელსაც ამყა-
რებს ეს ბგერა სხვა ბგერებთან მოცემულ ენაში. ამიტომ ფონოლო-
გიის კვლევის მეთოდი სტრუქტურულია. არ არსებობს ფონემა /ბ/
საერთოდ, არსებობს მხოლოდ ფონემა /ბ/ ქართულში, ფონემა /რ/
ან /რ'/ რუსულში და ა. შ.: განსხვავებას კი მათ შორის ქმნის სხვა-
დასხვა დისტრიბუციული მიმართებები. ამიტომაც დისტრიბუციული
კვლევის მეთოდი თანამედროვე სტრუქტურული ენათმეცნიერებისა
და, კერძოდ, თანამედროვე ფონოლოგიის ძირითადი მეთოდი.

მორფთა დისტრიბუციული იდენტიფიკაცია. მორფემაც, ისევე
როგორც ფონემა, წარმოდგენილია მეტყველების აქტში (ტექსტში)
თავისი ვარიანტების ანუ მორფემების სახით. მორფემების ამგვარ ვა-
რიანტებს, როგორც უკვე ვიცით ეწოდება ალომორფები. ასე.
მაგალითად, „წყლის“ აღმნიშვნელი მორფემა ქართულში წარმოდ-

გენილია ორგვარი ალომორფით: /წყალ/ და /წყლ/ (მაგ., წყალ-ი, წყალ-მა, წყალ-ს, მაგრამ წყლ-ის, წყლ-ით, წყლ-ად, წყლ-ებ-ი). ასევე ორი ალომორფითაა წარმოდგენილი „ლამის“ აღმნიშვნელი სიტყვა ლათინურში /nok/ და /nokl/ (შდრ. /nok-s/ „ლამე“, მაგრამ /i:nokl-iz/ „ლამისა“). მრავლობითი რიცხვის გამომხატველი მორფემა ინგლისურში ხასიათდება რამდენიმე ალომორფით. ეს ალომორფებია /-s/, /-z/, /-iz/ და /-ən/ (შდრ. cat-s /kæt-s/ „კატები“, dog-s /dɔ:g-s/ „ძაღვები“, rose-s /rouz-iz/ „ვარდები“, ox-ən (ɔks-ən „ხარები“).

როგორც ვხედავთ, ერთი მორფემის ალომორფები ფონემური გამოხატულების მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვა შემთხვევაში ანალოგიურმა განსხვავებამ შეიძლება სემანტიკურ განსხვავებამდე მიგვიყვანოს. /ზნელ/ და /ზელ/ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ერთეულებია, მაგრამ /წყალ/ და /წყლ/ მნიშვნელობის მიხედვით არ განსხვავდება, თუმცა ფონოლოგიური სხვაობა მათ შორის ანალოგიურია, რადგანაც პირველი ფორმები /ზნელ/, /წყალ-/ მეორეზე /ზელ/ /წყლ/ ერთი უონემით მეტს შეიცავს. /კრეხ/ და /კრიხ/ მორფები ქართულში ერთი მორფემის ალომორფებია (შდრ. ვკრეხ და ვკრიხე), მაგრამ „ხელი“ და „ხილი“ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, თუმცა ორსავე შემთხვევაში ერთსა და იმავე ფონემურ სხვაობასთან გვაქვს საქმე: /კრეხ/ და /ხელ/ ალომორფები შეიცავენ /ე/ ხმოვანს, ხოლო /კრიხ/ და /ხილ/ — /ი/ ხმოვანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, /ხელ/ და /ხილ/ ფორმების შემთხვევაში ოპოზიცია ე-ი დისტინქტურია, ხოლო /კრეხ/ და /კრიხ/ ფორმების შემთხვევაში — არადისტინქტური. რადგანაც /კრეხ/ და /კრიხ/ სემანტიკური თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისმება საკითხი: რატომაა ერთი და იგივე ე-ი ოპოზიცია ერთ შემთხვევაში დისტინქტური, ხოლო მეორე შემთხვევაში — არადისტინქტური, ე. ი. რატომაა, რომ /ხელ/ და /ხილ/ სხვადასხვა მორფემაა, ხოლო /კრეხ/ და /კრიხ/ — ერთი მორფემის ორი ალომორფი?

იჩვენება, რომ ალომორფების მორფემებად დაჯგუფების დროს საკმარისი არ არის ის ინფორმაცია, რომელსაც გვაძლევს ფონოლოგიის დონე. ალომორფები შესაძლებელია ფონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან, მაგრამ მაინც ერთ მორფემას წარმოადგენდნენ და, პირიქით, მათ შორის არ იყოს არაერთი ფონემური სხვაობა, მაგრამ მაინც სხვადასხვა მორფემა აღმოჩნდეს. რა თქმა უნდა, ფონემური სხვაობა ალომორფებს შორის მეტად დიდ როლს ასრულებს, მაგრამ კიდევ უფრო დიდ როლს

ასრულებს სემანტიკა, ე. ი. ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ალომორფს. და ალომორფების დისტრიბუციას. ანტიკომ ალომორფების მორფემებად დაჯგუფების დროს საჭიროა ორგვარი კრიტერიუმის გამოყენება; ეს კრიტერიუმებია 1. სემანტიკური და 2. დისტრიბუციული. ორივე ამ კრიტერიუმის ერთდროული გამოყენებით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ მორფოლოგიური ანალიზის საბი წესი, რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვეძლება ადეკვატურად აღვწეროთ ნებისმიერი ენის მორფოლოგიური სტრუქტურა:

1) თუ ორი მორფი გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და მათ შინაარსის პლანში შეესატყვისება ერთი და იგივე წერტილი, ე. ი. თუ მათ აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, მაშინ ასეთი ორი მორფი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის ორი ალომორფი. ასე მაგალითად, -იჲ და -ოიო რუსულში, ამ წესის მიხედვით წარმოადგენენ ერთსა და იმავე მორფემას, რადგანაც მათი ურთიერთჩანაცვლებით არ ხდება ცვლილება ენის შინაარსის პლანში (შდრ. рук-иჲ და рук-ою ორივე მათგანი წარმოადგენს მოქმედებით ბრუნვას, творительный падеж).

2) თუ ორი მორფი გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და მათი ურთიერთჩანაცვლება იწვევს სათანადო განსხვავებას შინაარსის პლანში, მაშინ ასეთი ორი მორფი უნდა განვიხილოთ, როგორც ორი სხვადასხვა მორფემის ვარიანტები /ხელ/ და /ხილ/ ფუძეები ქართულში გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში, კერძოდ კი სახელობითი ბრუნვის მორფემის |ი-| -ს წინ (შდრ. /ხელ-ი/ და /ხილ-ი/ და ამიტომ ისინი სხვადასხვა მორფემებია). ასევე სხვადასხვა მორფემა ქართულში /-ი/ და /-მა/. რადგანაც ისინი გვხვდებიან ერთსა და იმავე პოზიციაში, კერძოდ კი სახელური ფუძის შემდეგ (შდრ. /ხელ-ი/. /ხელ-მა/) და აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობა.

3) თუ ორი მორფი არასოდეს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და ისინი სემანტიკურად მსგავსნი არიან ერთმანეთისა, მაშინ ასეთი ორი მორფი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის ალომორფები.

/გრეხ/ და /გრიხ/ მორფები არასოდეს არ გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში, რადგანაც პირველი მათგანი წარმოდგენილია პირველ სერიაში, ხოლო მეორე — მეორე სერიაში (შდრ. აწმყო ვგრეხ (და არა ვგრიხ) და წყვეტილი ვგრიხე (და არა ვგრეხე)). ასევე სხვადასხვა პოზიციაშია წარმოდგენილი ქართულში /წყალ/ და /წყლ/ ალომორფები. პირველი გვხვდება სახელობითსა, მოთხრობითსა და მიცემითში (წყალ-ი, წყალ-მა, წყალ-ს), ხოლო მეორე ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვითარებებითში (წყლ-ის, წყლ-ით, წყლ-ად). სხვა-

დასხვა პოზიციაშია განაწილებული /nok/ და /nokt/ ალომორფებ-
 ლათინურში — ერთი გვხვდება სახელობითში, ხოლო მეორე — ნა-
 თესაობითში (შდრ. სახ. /nok-s/, ნათ. /nokt-is/). დაბოლოს, სხვადა-
 სხვა პოზიციაში წარმოდგენილი /-s/, /-z/, /-iz/ და /-is/ ალომორ-
 ფები ინგლისურში: /-s/ გვხვდება იმ შემთხვევაში თუ სახელის ფუ-
 ძე თავდება ყრუ თანხმოვნით (შდრ. /kæ-l-s/, /-z/ წარმოდგენილია
 მკლერი თანხმოვნის შემდეგ (შდრ. /dæ-g-z/, /-iz/ — სისინა და ში-
 შინა სპირანტებისა და აფრიკატების შემდეგ (შდრ. /rɒuz-iz/. რო-
 გორც ვხედავთ, მრავლობითი რიცხვის სხვადასხვა ალომორფით
 გამოხატვა ინგლისურში დამოკიდებულია ფონემიკურ გარემოცვა-
 ზე (პოზიციაზე); ასეთ ალომორფებს ეწოდებათ ფონოლოგიურად
 შეპირობებული ალომორფები. თუ ალომორფის არსებობა არ აიხს-
 ნება ფონემიკური გარემოცვით, მაშინ ამბობენ მორფოლოგიურად
 შეპირობებული ალომორფების შესახებ. მაგალითად, თუ ფუძე
 ინგლისურში დაბოლოებულია s თანხმოვნით, მაშინ მრავლობით
 რიცხვში მას უნდა დაერთოს /-iz/ ალომორფი და ამიტომ უნდა
 გვექონდეს */ks-iz/, მაგრამ გვაქვს 'aks-ən/ „ხარები“. რადგანაც
 /-ən/ ალომორფის არსებობა არ აიხსნება ფონემიკური გარემოცვით,
 ამიტომ იგი მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფია. ფონო-
 ლოგიურად შეპირობებულ ალომორფს აღნიშნავენ ~ ნიშნით, ხო-
 ლო მორფოლოგიურად შეპირობებულს ჯ ნიშნით. თვითონ მორფე-
 მა კი აღინიშნება ერთ-ერთი მისი ალომორფით. მნიშვნელობა არა
 აქვს იმას, თუ რომელ ალომორფს ავირჩევთ ამ თვალსაზრისით, მაგ-
 რამ უფრო მიზანშეწონილი იქნება ისეთი ალომორფის არჩევა, რო-
 მელიც უფრო გავრცელებულია. თუ მრავლობითი რიცხვის აღმ-
 ნიშნველ მორფმად ინგლისურში ავირჩევთ /-s/ ალომორფს. მაშინ
 შეიძლება ასეთი ჩაწერა მოვახდინოთ: /s ~ z ~ i z ə ə ə / = [s].

ძნელი არ არის დაეინახოთ, რომ აღნიშნული სამი წესი იმეო-
 რებს ფონოლოგიური ანალიზის სამ წესს, მაგრამ ისინი ამ შემთხვე-
 ვაში გამოყენებული არიან მორფოლოგიის დონეზე. პირველი წესი—
 ესაა თავისუფალი ვარიირების მიმართება, მეორე — კონტრასტული
 დისტრიბუციისა და მესამე — დამატებითი დისტრიბუციისა.
 უნდა აღინიშნოს ამავე დროს, რომ ერთმანეთთან დამატებათი დის-
 ტრიბუციის მიმართებაში განიხილება როგორც ფონოლოგიურად
 შეპირობებული, ისე მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორ-
 ფები.

დაუფრუნდეთ ახლა ზემოთ დასმულ საკითხს: რატომ არის ე-ი
 ოპოზიცია ერთ შემთხვევაში დისტინქტური, ხოლო მეორე შემთხვე-
 ვაში — არადისტინქტური /ხეო/ და /ხიო/ ალომორფები ერთმა-

ნეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში არიან, ხოლო /გრეხ/ და /გრიხ/ ალომორფები — დამატებითი დისტრიბუციისა. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც გვხვდება /გრეხ/ ალომორფი იქ არ შეიძლება შეგვხვდეს /გრიხ/ და ამიტომ /ე/ და /ი/ სმოვნები მათ ვერ დაუპირისპირებს ერთმანეთს. აღნიშნული მორფები რომ კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში იყვნენ ერთმანეთთან, მაშინ ისინი სხვადასხვა მორფემები ალმოჩნდებოდნენ, მაგრამ რადგანაც ისინი დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან, ამიტომ ე-ი ოპოზიცია დისტინქციის უნარსაც არის მოკლებული. ორმა ბგერამ რომ განასხვაოს სიტყვები ერთმანეთისაგან, საჭიროა ეს ოპოზიცია სიტყვა ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში იყვნენ. თუ ეს პირობა დაცული არ არის, მაშინ ასეთი ორი ბგერა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ორ სხვადასხვა ფონემას წარმოადგენენ, სიტყვებს ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებენ. ამიტომ /ხელ/ და /ხილ/ სხვადასხვა მორფემაა, ხოლო /გრეხ/ და /გრიხ/ ერთი მორფემის ორი ალომორფი.

სინტაქსური კონსტრუქციების დისტრიბუციული ანალიზი. დისტრიბუციის იგივე მოდელები გვაქვს სინტაქსის დონეზეც, მაგრამ სინტაქსის დონეზე საქმე გვაქვს სინტაქსური კონსტრუქციების სხვადასხვა ვარიანტების დისტრიბუციულ იდენტიფიკაციასთან.

ორი კონსტრუქცია შესაძლებელია ერთმანეთთან თავისუფალი ვარიანტების მიმართებაში იყოს. ქართულში, მაგალითად, კონსტრუქცია „მსაზღვრელი-საზღვრული“ წარმოდგენილია ორი თითქმის თავისუფალი ვარიანტით. ვარიანტულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უკავია მსაზღვრელს საზღვრულის მიმართ. თუ მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, გვაქვს პრეპოზიციული წყობა (მდრ. წითელი ვაშლი), ხოლო თუ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, მაშინ გვექნება პოსტპოზიციური წყობა (მდრ. ვაშლი წითელი). ძველი ქართული უპირატესობას აძლევდა პოსტპოზიციურ წყობას, მაგრამ არც პრეპოზიციული წყობა იყო ძველ ქართულში უსპარებელი. ახალი ქართული, პირიქით, უპირატესობას აძლევს პრეპოზიციულ წყობას, თუმცა არ გაურბის არც პოსტპოზიციურ წყობას. ორივე ეს ვარიანტი წარმოადგენს ერთ სინტაქსურ კონსტრუქციას, რადგან მათ შორის შეინიშნება თავისუფალი ვარიანტების მიმართება და ერთმანეთისაგან მხოლოდ სტილისტური თვალსაზრისით განსხვავდებიან. პოსტპოზიციური წყობა დღეისათვის არქაული სტილის შთაბეჭდილებას ტოვებს, პრეპოზიციული წყობა კი უფრო თანამედროვე ქართული სტილია.

კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია ქართულში ნომი-

ნატიური და ერგატიული კონსტრუქციები, რადგანაც ნომინატივი და ერგატივი ერთსა და იმავე პოზიციაში, კერძოდ კი — V პოზიციაში არიან წარმოდგენილი (შდრ. „მონადირემ მოკლა“, „მონადირე დაჭდა“). ამიტომ აღნიშნული ორი კონსტრუქცია სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციაა.

დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი კონსტრუქციები წარმოადგენენ ერთი კონსტრუქციის ვარიანტებს. ქართულში კონსტრუქციას „მსაზღვრელი-საზღვრული“ პრეპოზიციული წყობით რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი აქვს. თუ მსაზღვრელის ფუძე ხმოვანზეა დაბოლოებული და ამავე დროს მსაზღვრელი და საზღვრული გათიშული არ არის სხვა რომელიმე შემადგენელით, მაშინ მსაზღვრელი ყოველთვის ერთი და იმავე ფორმით არის წარმოდგენილი (შდრ. სახ. მწვანე ვაშლი, მოთხ. მწვანე ვაშლმა, მიც. მწვანე ვაშლის და ა. შ.), ხოლო თუ მათ შორის სხვა რომელიმე შემადგენელია ჩართული, მაშინ მსაზღვრელიც იცვლის ფორმას (შდრ. მკვახე დაევანახე ვაშლი, მკვახემ მაწყინა ვაშლმა, მკვახეს ეხედავ ვაშლს და ა. შ.). აღნიშნული ვარიანტები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და ამიტომ ერთ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენენ.

მნიშვნელობის დისტრიბუციული ანალიზი. დისტრიბუციული ანალიზის საკითხი სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე. რაც შეეხება სემანტიკას (ლექსიკის დონეს), სემანტიკის სტრუქტურული კვლევის საკითხები ჯერჯერობით არ არის სასურველ მდგომარეობაში. ტრადიციულ ენათმეცნიერებას არაფერი გაუკეთებია მნიშვნელობის სტრუქტურული კვლევის დარგში, ხოლო სტრუქტურულმა ენათმეცნიერებამ ამ საკითხს მეტად გვიან მოჰკიდა ხელი. ასე რომ სტრუქტურული სემანტიკა უფრო ხვალისდელი დღის საქმეა, ვიდრე დღევანდელია. განსაკუთრებული წვლილი მაინც ამ სფეროში შეიტანა კოპენჰაგენის სკოლამ ლ. ჰეილმსლევის მეთაურობით.

სემანტიკის ჩამორჩენის მიზეზი, გარდა აღნიშნულისა, ისიცაა, რომ ეს დონე, ენის ყველაზე უფრო რთული დონეა. რთულია იმიტომ, რომ სიტყვათა რაოდენობა ენაში მეტად დიდია. ასე, მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღრიცხულია ასოცი ათას სიტყვამდე. სხვა ენებში სიტყვათა რაოდენობა შესაძლებელია მეტი ან ნაკლები აღმოჩნდეს. მაგრამ როგორი მცირეც არ უნდა იყოს ამა თუ იმ ენის ლექსიკური მარაგი, იგი მაინც დიდია იმისათვის, რომ ლექსიკის კვლევა დადგეს ისეთსავე მყარ ნიადაგზე, რო-

გორ ნიადაგზეც დგას ენის ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემების კვლევა.

ფონოლოგიაში ჩვენ ფონთა უსასრულო რაოდენობა გარკვეული მეთოდის გამოყენებით დაგვეყავს ფონემათა სასრულო რაოდენობაზე. ლექსიკის დონეზე კი ვერ ვახდენთ ასეთსავე ოპერაციას. ვლებულობთ არასასურველ შეფარდებას ლექსიკისა და ფონოლოგიის დონეებს შორის. ასე მაგ., ქართულში გამოაყოფა 33 ფონემა, რომელთა სხვადასხვა კომბინაციით ვლებულობთ ყველა იმ სიტყვის გამოხატულების პლანს, რომლებიც კი ქართულში გვაქვს. ლექსიკის დონეზე კი საქმე სხვადასხვაგვარადაა. ზემოხსენებული ას ოცი ათას სიტყვიდან ყველა წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობითა და ამიტომ შინაარსისა და გამოხატულების პლანების ერთეულთა შეფარდება ქართულში მიახლოებით არის ას ოცი ათასისა ოცდაცამეტთან. ისმება კითხვა: ხომ არ შეიძლება ლექსიკურ მნიშვნელობათა ასეთი დიდი რაოდენობა დავიყვანოთ სემანტიკური ერთეულების მეტად მცირე რაოდენობაზე (ვთქვათ, ათასზე მაინც), რომელთა სხვადასხვა კომბინაცია მოგვეცემა ქართული ენის ყველა სიტყვის მნიშვნელობებს. თუ ეს ამოცანა შესაძლებელია გადაიჭრას, მაშინ ლექსიკის კვლევა დააკმაყოფილებს ზუსტი მეცნიერებისათვის სავალდებულო ყველა მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი სიტყვა განხილული უნდა იქნეს არა როგორც სემანტიკური თვალსაზრისით დაუშლელი ერთეული, არამედ როგორც რაღაც ერთეულებისაგან შედგენილი სტრუქტურა, რომელთა ასეთი თუ ისეთი შეერთება გვაძლევს მოცემული ენის მოცემულ სიტყვას. ანალოგიისათვის გამოგვადგებოდა ჭიმი, რომელიც აანალიზებს არა უშუალოდ მოლეკულებს, არამედ პოლეკულის შემადგენელ ატომებს და განსაზღვრავს, თუ როგორ ატომთა შეერთების გზით არის მიღებული მოცემული მოლეკულა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭიმი მოლეკულას განიხილავს როგორც დაშლად სრუქტურას, ე. ი. როგორც ისეთ სტრუქტურას, რომელიც შედგება ატომებისაგან, განსაზღვრავს ატომთა რეაქციის წესებს და ამ გზით აღგენს, თუ რა ატომებისა და მათი როგორი რეაქციის შედეგად მიიღება ესა თუ ის მოლეკულა. ამრიგად, ჭიმის მოლეკულათა უსასრულო რაოდენობა დაჰყავს ატომთა სასრულო რაოდენობაზე და რეაქციათა წესებზე, რომელთა რაოდენობაც ასევე სასრულოა. შესაბამისად ამისა ზემოთ დასმული კითხვა შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ: ხომ არ არის შესაძლებელი განვიხილოთ სიტყვა, როგორც სემანტიკური თვალსაზრისით დაშლადი ოდენობა, რომელიც შედგება გარკვეული სემანტიკური ატომებისაგან, რომლებიც სიტყვაში გაერთიანებულნი

არიან კონიუნქციის გარკვეული წესების მიხედვით. ეუწოდოთ ამგვარ სემანტიკურ ატომებს სემანტიკური კომპონენტები, კომპონენტების შეერთების წესებს კონიუნქციის წესები. მაშინ სიტყვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სემანტიკური მოლეკულა, რომელიც მიღებულია სემანტიკური კომპონენტების გარკვეული კონიუნქციით. თუ ასე დავსვამთ საკითხს, მაშინ ვნის ლექსიკის დონე უნდა ვიკვლიოთ არა უშუალოდ, არამედ იგი უნდა დავიყვანოთ სემანტიკური კომპონენტების სასრულო რაოდენობაზე და მათი კონიუნქციის წესებზე, რომელთა რაოდენობაც ასევე სასრულო უნდა იყოს.

საკითხის ამგვარი დასმა და მისივე დადებითი გადაწყვეტა ეკუთვნის ლ. ჰიელმსლევს. განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობს მნიშვნელობათა სემანტიკურ კომპონენტებად დაშლის მეთოდიკა.

ვთქვათ, მოცემული გვაქვს სიტყვები: 1) отец, 2) мать, 3) сын, 4) дочь, 5) дядя, 6) тётя, 7) племянник. 8) племянница. თუ შევაპირისპირებთ 1, 3, 5 და 7 სიტყვებს 2, 4, 6 და 8 სიტყვებთან, ვღებულობთ სემანტიკურ კომპონენტს — „სქესი“ (ა—მამრობითი, ა̄—მდედრობითი სქესი), 1, 2, 3, 4, და 5, 6, 7, 8 სიტყვების შეპირისპირების შედეგად ვიღებთ სემანტიკურ კომპონენტს — „ნათესაური კავშირი“ (ბ—პირდაპირი, ბ̄—არაპირდაპირი). 1, 2, 5, 6, და 3, 4, 7, 8 სიტყვების შეპირისპირების მიხედვით კი გამოიყოფა სემანტიკური კომპონენტი—„თაობა“ (ც—წინა თაობა, ც̄—მომდევნო თაობა). ამრიგად, რვა სიტყვის მნიშვნელობა დაიყვანება სამ სემანტიკურ კომპონენტზე; რომელთა სხვადასხვა კონიუნქცია გვაძლევს აღნიშნულ რვა სიტყვას: отец — a b c, мать — ā b c, сын — a b c̄, дочь — ā b c̄, дядя — a b̄ c, тётя — ā b̄ c, племянник — a b̄ c̄, племянница — ā b̄ c̄.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ მნიშვნელობა (ცნება) სიტყვისა ისევე იშლება კომპონენტებად, როგორც ფონემა. ფონემაში გამოიყოფა დიფერენციალური ფონოლოგიური ნიშნეულობები. (მაგ., ფონემა /ბ/ შედგება წყვილბაგისმიერობა, ხშულობა, მჟღერობა, თანხმოვნობა დიფერენციალური ნიშნეულობებისაგან). სემანტიკური კომპონენტები სხვა არაფერია, თუ არა ცნების შემადგენელი დიფერენციალური სემანტიკური ნიშნეულობები. ამრიგად, ცნება და ფონემა ამ თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსია — ორივე მათგანი იშლება დიფერენციალურ ნიშნეულობებად. ანალოგია მათ შორის მიდის უფრო შორსაც. ცნებაც, ისევე როგორც ფონემა, წარმოადგენს დიფერენციალური ნიშნეულობების ერთობლიობას, მაგრამ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ცნება შედგება სემანტიკური დიფერენციალური ნიშნეულობებისაგან, ხოლო ფონემა ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნეულობებისაგან.

ჯერჯერობით განზე დაეტოვოთ სემანტიკური კომპონენტების საკითხი და განვიხილოთ ლექსემათა დისტრიბუციული ანალიზის პროცედურა. ირკვევა, რომ დისტრიბუციის იგივე მოდელები გვაქვს სემანტიკაშიც, რა მოდელებიც გვქონდა ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში.

1. სიტყვები ერთმანეთთან შეიძლება იყოს თავისუფალი ვარიირების მიმართებაში. თუ ორი სიტყვა ერთმანეთთან თავისუფალი ვარიირების მიმართებაშია, მაშინ ასეთი ორი სიტყვა უნდა განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე ლექსემის ვარიანტები:

ლექსემათა თავისუფალ ვარიანტებს შორის სტილისტური განსხვავება შეინიშნება მხოლოდ, როგორც საერთოდ ყოველგვარი სახის თავისუფალ ვარიანტებს შორის. ასე, მაგალითად, „არის“ და „გახლავს“ ქართულში თავისუფალი ვარიანტებია. ასევე თავისუფალი ვარიანტებია „მოვიდა“ და „მობრძანდა“, „ის“ და „იგი“, „ენათმეცნიერება“ და „ლინგვისტიკა“, „ცული“ და „ნაჭახი“ და სხვ. აღნიშნული ვარიანტები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს (შდრ. „ღირექტორი მოვიდა“ და „ღირექტორი მობრძანდა“ და სხვ.), მაგრამ ამგვარი ჩანაცვლებით კონსტრუქციის სემანტიკა არ იცვლება, იცვლება მხოლოდ სტილი.

2. თუ ორი სიტყვა ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია, მაშინ ასეთი ორი სიტყვა უნდა განვიხილოთ როგორც ორი სხვადასხვა ლექსემის ვარიანტი. ასე, მაგალითად, კონსტრუქციები „ღირექტორი მოვიდა“ და „ღირექტორი მობრძანდა“, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სემანტიკური თვალსაზრისით იდენტური კონსტრუქციებია, მაგრამ „ღირექტორი მოვიდა“ ან „მობრძანდა“ და „ღირექტორი ბრაზობს“ არ არის სემანტიკურად იდენტური კონსტრუქციები, რაც იმაზე მიგვიითითებს, რომ „მოვიდა/მობრძანდა“ და „ბრაზობს“ სხვადასხვა ლექსემებია. ასევე სხვადასხვა ლექსემებია „აკეთებს“, „ათბობს“, „აქრობს“ და სხვ. (შდრ. „დედა საკმელს აკეთებს“, „დედა საკმელს ათბობს“, „დედა ლუმელს ათბობს“, „დედა ლუმელს აქრობს“).

3. თუ ორი სიტყვა ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და ისინი სემანტიკურად მსგავსია ერთმანეთისა, მაშინ ასეთი ორი სიტყვა უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი და იმავე ლექსემის ვარიანტები. საანალიზოდ ავიღოთ სიტყვები: „ფარა, გუნდი, რემა, ბრბო“. აღნიშნული სიტყვები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, რადგანაც იმ პოზიციაში, სადაც ერთი მათგანი გვხვდება, რომელიმე სხვა არ შეიძლება შეგვხვდეს. სემანტიკური მსგავსება მათ შორის ისაა, რომ ყველა მათგანი აღ-

ნიშნავს კრებულს. დამატებითობა ამ სიტყვებს შორის ადვილად დასანახავი გახდება, თუ ერთმანეთს შევეუბრისპირებთ შემდეგ კონსტრუქციებს. „ცხვრის ფარა“ (მაგრამ არა „ცხვრის რემა/გუნდი/ბრბო“). „ფრინველთა გუნდი“ (მაგრამ არა „ფრინველთა ფარა/რემა/ბრბო“). ცხენების რემა (მაგრამ არა „ცხენების ფარა/გუნდი/ბრბო“). ადამიანთა ბრბო (მაგრამ არა „ადამიანთა ფარა/რემა/გუნდი“). აქედან ამოვკლით აღნიშნული ოთხი სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება განვიხილოთ ასე: ცხვრის კრებული—ფარა, ფრინველთა კრებული—გუნდი, ცხენების კრებული — რემა, ადამიანთა კრებული — ბრბო. ამ გზით ირკვევა, რომ სიტყვები „ფარა“, „გუნდი“, „რემა“, „ბრბო“ წარმოადგენენ ერთი ლექსემის ვარიანტებს იმის მიხედვით, თუ რისი კრებული არის მხედველობაში.

ასევე ერთი ლექსემის ვარიანტებად უნდა განვიხილოთ ქართულში „მაქვს“ და „მყავს“ სიტყვები, რადგანაც ორივე აღნიშნავს ქონებას, ე. ი. სემანტიკურად მსგავსია ერთმანეთისა და ამავე დროს ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან, რადგანაც „მყავს“ გულისხმობს ობიექტად სულიერ ან მოძრავ საგანს (შდრ. „ამხანაგი მყავს“, „მანქანა მყავს“, მაგრამ არა „ამხანაგი მაქვს“, „მანქანა მაქვს“), ხოლო „მაქვს“ — უსულო და უძრავ საგანს (შდრ. „ლექცია მაქვს“, „ტელევიზორი მაქვს“, მაგრამ არა „ლექცია მყავს“, „ტელევიზორი მყავს“).

ამავე მიზეზის გამო ერთი ლექსემის ვარიანტებია ქართულში „უბან“ და „ვრეცხავ“ ზმნები. ორივე მათგანი აღნიშნავს ქუქყის მოცილებას, ე. ი. სემანტიკურად ერთმანეთის მსგავსია და ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან (შდრ. „დედა ბავშვს პირს ბანს“, მაგრამ არა „დედა ბავშვს პირს რეცხავს“ და „დედა ბავშვს ტანსაცმელს ურეცხავს“ მაგრამ არა „დედა ბავშვს ტანსაცმელს უბანს“).

ასევე ერთი ლექსემის ვარიანტებია ქართულში „ვაკეთებ“ და „ვაშენებ“ სიტყვები, მათ შორის სემანტიკური მსგავსების (რალაციის შექმნა) და დამატებით დისტრიბუციული მიმართების გამო (შდრ. სახლს ვაშენებ“, მაგრამ არა „სახლს ვაკეთებ“ და „საქმეს ვაკეთებ“, მაგრამ არა „საქმეს ვაშენებ“). დამატებითობის მიმართება გვაქვს ქართულში „ლობე“ და „ყორე“ სიტყვებს შორის (შდრ. „ხის ლობე“, „რკინის ლობე“, მაგრამ არა „ხის ყორე“, „რკინის ყორე“, შეორე მხრივ „ქვის ყორე“, მაგრამ არა „რკინის ყორე“ ან „ხის ყორე“), მათი საერთო სემანტიკური ნიშნეულობაა „გალავანი“, რაც საშუალებას გვაძლევს „ლობე“ და „ყორე“ სიტყვები ერთი ლექსემის ვარიანტებად განვიხილოთ.

შეეჩერდეთ ახლა სემანტიკური მსგავსების კრიტერიუმის განსაზღვრაზე. სემანტიკური მსგავსების კრიტერიუმიც შეიძლება განისაზღვროს ისევე, როგორც ფონეტიკური მსგავსების კრიტერიუმი. ორი სიტყვა სემანტიკურად მსგავსია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ერთმანეთთან თავისუფალი ვარიანტების ან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და მათ აქვთ სემანტიკური კომპონენტების ისეთი ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელი არ იქნება მოცემულ ენაში სხვა რომელიმე ორი სიტყვისათვის. ამრიგად, სემანტიკური კომპონენტების თეორია აუცილებელია მნიშვნელობის დისტრიბუციული ანალიზის დროს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა სემანტიკური კომპონენტებისაგან შედგება ესა თუ ის სიტყვა და რა დისტრიბუციულ მიმართებაშია ის მოცემულ ენაში რომელიმე სხვა სიტყვასთან, რომ გავარკვიოთ სემანტიკურად იდენტური და განსხვავებული სიტყვები.

სამწუხაროდ, სემანტიკური კომპონენტების თეორია ჯერჯერობით არ არის დამუშავებული. ფონოლოგიაში ეს საკითხი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და შედგენილია უნივერსალური ფონოლოგიური კომპონენტების (დიფერენციალური ნიშნეულობების) სისტემაც კი რ. იაკობსონისა და მისი თანაავტორების მიერ. სემანტიკაში კი ჩვენ არ ვიცით არა მხოლოდ ის, თუ როგორი უნდა იყოს სემანტიკური კომპონენტების უნივერსალური სისტემა. არამედ ისიც, თუ რა სემანტიკური კომპონენტები გამოიყოფა ამა თუ იმ ენაში (მაგალითად, ქართულში ან ინგლისურში). ამიტომაც, რომ სტრუქტურული სემანტიკა უფრო მომავლის საქმეა, ვიდრე დღევანდლობისა. ენათმეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ უნივერსალური სემანტიკური კომპონენტების სისტემის შექმნა შესაძლებელია, მაგრამ როგორი იქნება ეს სისტემა, ამის შესახებ ჯერჯერობით რაიმე გარკვეული თვალსაზრისის შემუშავება შეუძლებელია.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ლექსიკაც შეიძლება ვიკვლიოთ იმავე მეთოდოლოგიით, რა მეთოდოლოგიითაც ვიკვლევთ ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებს. ჩვენი მიზანი არ იყო ქართული ენის სემანტიკური სისტემის მთლიანი ანალიზის ჩატარება. განხილულ ფაქტებს მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათი აქვთ და მიგვითითებენ იმაზე, რომ მნიშვნელობის სტრუქტურული კვლევა შესაძლებელია. თუ დისტრიბუციული ტექნიკის საშუალებით ჩვენ შევისწავლით მოცემული ენის ყველა სიტყვას და გავარკვევთ იდენტურ და განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს, მივიღებთ სასრულო რაოდენობის ლექსემებისაგან შედგენილ მოცემული ენის სემანტიკურ სტრუქტურას.

ენათა კლასიფიკაცია

1. ენათა დაჯგუფების პრინციპები

ენათა დაჯგუფება ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით ანუ ენათა კლასიფიკაცია საკურო შეიქნა იმიტომ, რომ შემჩნეულ იქნა ერთი ენის ესა თუ ის ნიშან-თვისება სხვა ენებშიც, ე. ი. შემჩნეულ იქნა მეტ-ნაკლები მსგავსება ენათა შორის.

ჯერ იყო და ბიბლიური მითოლოგიის თანახმად ყველა ენა ერთი ენისაგან წარმოშობილად მიიჩნიეს; ხოლო მრავალენიანობა იმავე ბიბლიური მითოლოგიით „ენათა აღრევის“ შედეგად მიაჩნდათ.

მეცნიერების ძალაში შესვლის კვალობაზე გამოირიცხა ერთი და მეორეც.

ამიტომ იყო, რომ მეცნიერებაში დაისვა საკითხი, ერთი მხრივ, ამ საერთო ნიშან-თვისებათა ხასიათის და ფორმის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, იმის შესახებ, თუ რა მიზეზით აიხსნება ერთი ენის მეტ-ნაკლები მსგავსება სხვა ენასთან (ან ენებთან).

ფონეტიკური ხასიათისაა ეს მსგავსება, გრამატიკულია თუ ლექსიკურისა? რა უძვეს საფუძველად ასეთ მეტ-ნაკლებ მსგავსებას? ხომ არ არიან მეტ-ნაკლებად მსგავსი ენები ურთიერთმონათესავე, ე. ი. ხომ არა აქვთ მათ საერთო წარმომავლობა ან ხომ არ მოუხდენიან მათ ერთმანეთზე ისეთი გავლენა, რომ ერთმანეთს მიმსგავსებიან? ან შეიძლება თუ არა ერთი გამოირიცხოს და მეორეც (ე. ი. არც საერთო წარმომავლობა ჰქონდეთ მათ და ტერიტორიულადაც ისე იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთისაგან, რომ გავლენას არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი); მაგრამ მეტ-ნაკლები მსგავსება მათ შორის მაინც იყოს?

შეიძლება ითქვას, რომ ენათმეცნიერებას იმთავითვე (XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან) დაჰყვა ამგვარი საკითხები, და ენათა კლასიფიკაციების პროცესში გადაჭრილ იქნა მრავალი საენათმეცნიერო პრობლემა.

გასული საუკუნის დამდეგს დამტკიცდა ზოგიერთ ენათა ნათესაობის (ე. ი. რომელიმე წინარე ენიდან საერთო წარმომავლობის) შესაძლებლობა და ამის შედეგად აიხსნა მონათესავე ენათა ზოგიერთი მსგავსება: მაგრამ გამოირკვა, რომ მსგავსება შესაძლებელია არამონათესავე ენათა შორისაც. მეორე მხრივ, ენათა საერთო წარმომავლობა არაა იმის თავდები, რომ ურთიერთმონათესავე ენათა შორის მსგავსება ყოველთვის მეტი იყოს, ვიდრე არამონათესავეთა შორის რომაა ზოგჯერ.

გამოითქვა რამდენიმე სხვადასხვა აზრი ენათა კლასიფიცირების შესახებ და წარმოდგენილ იქნა რამდენიმე სახის კლასიფიკაცია. თითოეული მათგანის დასაბუთებისა და დამარწმუნებლობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიზუსტითაა შესწავლილი ის ენები, რომელნიც კლასიფიკაციის საგანია. ყველაზე მეტად ცნობილია ორგვარი კლასიფიკაცია — მორფოლოგიური და გენეალოგიური: ამათგან უკეთაა დამუშავებული გენეალოგიური კლასიფიკაცია. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს შექმნილი მორფოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობდა ენათა დაჯგუფებას მხოლოდ მათი მორფოლოგიის დონეზე შეპირისპირებით, დღევანდელ ენათმეცნიერებაში გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და შეიცავს, გარდა მორფოლოგიური დონისა, ენის ყველა სხვა დონეზე (ფონეტიკურ-ფონოლოგიურსა, სინტაქსურსა, ლექსიკურსა და სემანტიკურ) შეპირისპირებას; ამიტომ მას ეწოდება ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და მოითხოვს ენის აგებულების ყოველმხრივ ზუსტად შესწავლას, რაც დღეს წარმატებით მიმდინარეობს სტრუქტურული მეთოდების შემწეობით. იგი ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია.

2. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია

მორფოლოგიური დაერქვა ენათა იმ კლასიფიკაციას, რომელიც ყოფს ჯგუფებად მსოფლიოს ენებს — იმის მიხედვით, თუ როგორ იწარმოება ცალკეული სიტყვის გრამატიკული ფორმები; ე. ი. მორფოლოგიური დაერქვა ასეთ კლასიფიკაციას იმიტომ, რომ ენათა ჯგუფებად დაყოფას საფუძვლად დაედო სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა.

XIX საუკ. დამდეგის ენათმეცნიერთაგან (ძმები ფრიდრიხ და ავგუსტ შლეგელები, ვილჰელმ ჰუმბოლდტი და ა. შლაიხერი) ტრადიციულად მომდინარეობს, ამ თვალსაზრისით, ენათა დაჯგუფება (კლასიფიკაცია) ოთხ ტიპად:

1. ფლექსიური ენები, II. აგლუტინაციური ენები, III. ძირისეული ენები და IV. პოლისინთეზური ენები.

1. ფლექსიური ენობა იმ ენებს, რომელთაც გრამატიკული ფორმის საწარმოებლად აქვთ გარეგანი ფლექსიაც აფიქსების სახით ბრუნებასა და უღლებაში (მაგ., რუს. стол, столá, столóm, на столé; чинá-ю, чинá-ет) და აგრეთვე ე. წ. შინაგანი ფლექსიაც (მაგ., გერმ. der Vater 'მამა', die Väter 'მამები'; რუს. несь 'მიმაქვს' но-сь 'დამაქვს'; бегать — რბენა, бежать 'გაქცევა'). ამ ტიპისაა, როგორც წესი, ინდოევროპული ენები (ბერძ., ლათინ., გერმანული, სლავური და სხვ.), სემიტური და ქამიტური ენები (იხ. გენეალოგიური კლასიფიკაცია).

II. აგლუტინაციური ენები იმ ენებს, რომელნიც აწარმოებენ გრამატიკულ ფორმებს აგრეთვე აფიქსებით, როგორც ფლექსიური ენები (ამიტომ აგლუტინაციურ ენებსაც ეწოდება აფიქსებიანი ენები—ისე, როგორც ფლექსიურ ენებს), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აგლუტინაციურ ენაში აფიქსი უერთდება უცვლელ ფუძეს არა ისე მკიდროდ, როგორც ფლექსიურ ენაში: მაგ., თურქულ ენაში, რომელიც აგლუტინაციური ენაა, ადგილობიას ბრუნვაში უცვალეზელ ფუძე oda-ს 'ოთახი' ემატება სუფიქსი -da, რომელიც ადვილად გამოეყოფა oda-da 'ოთახში' ფორმას; ხოლო столе, რომელიც აგრეთვე ადგილობითი ბრუნვაა, на столé 'მაგიდაზე', ასე ადვილად არ გაიყოფა ფუძედ და აფიქსად, რადგანაც ამ აფიქსის (e) მიმატებამ შეცვალა ფუძე (დაურბილა მას n); ამიტომ ვამბობთ, რომ აფიქსი -e მკიდროდ შეუერთდა ფუძეს стол; ასევე და უფრო მკიდროდ უკავშირდება xod- ფუძეს აფიქსი -y ფორმაში xожь, რამდენადაც ფუძე xod- ისე იცვალა, რომ მისი გამოყოფა xожу-დან შეუძლებელია.

აფიქსის არამკიდროდ შეერთებას ფუძესთან აგლუტინაციურ ენებში დაერქვა „მიწებება“ (ლათინურად agglutinare 'მიწებება'; აქედანაა ამ მოვლენის სახელწოდებაც).

გარდა ამ ფონეტიკური თვისებებისა, აგლუტინაციურ ენებს ახასიათებს ზოგი სხვა თვისებაც, კერძოდ, თითოეულ აფიქსს აქვს მხოლოდ ერთი გრამატიკული მნიშვნელობა. მაგალითად, რუსულ столá-ში -á გამოხატავს ნათესაობით ბრუნვასაც, მხოლოდობით რიცხვსაც და მამრობით სქესსაც; მაგრამ ისეთ აგლუტინაციურ ენაში, როგორიცაა თურქული, სუფიქსი -da გამოხატავს მხოლოდ ადგილობითს ბრუნვას. მეორე მხრივ, აგლუტინაციურ ენებში თითოეული გრამატიკული მნიშვნელობა გამოიხატება მხოლოდ ერთი აფიქსით: მაგ., იმავე თურქულში ადგილობითი ბრუნვა გამოიხატება მხო-

ლოდ da სუფიქსით — როგორც მხოლოობითს, ისე მრავლობითში: o-da-da 'ოთახში', o-da-lar-da 'ოთახებში'. შეადარეთ ამას, მაგ., რუსული იგივე ადგილობრითი მხოლოობითში (IIA) столѣ და მრავლობითში (IIA) столѣх. სადაც მხოლოობითში სხვა დაბოლოებაა, მრავლობითში—სხვა; აგლუტინაციურ ენებში მორფემები (აგრეთვე სუფიქსებიც) თითქმის არ იცვლებიან შეერთებისას, გარდა ე. წ. სინჰარმონიზმისა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მაგ., ფუძის ხმოვანს ემსგავსება სუფიქსის ხმოვანი: lar სუფიქსი გამოხატავს მრავლობითობას, მაგ., o-da-lar 'ოთახები', მაგრამ ev-ler 'სახლები'; როცა ფუძეს აქვს a ხმოვანი, სუფიქსიც მოითხოვს a-ს, მაგრამ როცა ფუძეში გვაქვს e ხმოვანი, სუფიქსიც მოითხოვს e ხმოვანს (o-da-lar. მაგრამ ev-le:).

აგლუტინაციურად ითვლებიან, მაგალითად, ე. წ. კავკასიური ენები (მათ შორის ქართული), თურქულ-თათრული და ფინურ-უნგრული ენები და ბევრი სხვა; მაგრამ აბსოლუტურად აგლუტინაციური არც ერთი მათგანი არაა — ისე, როგორც ფლექსიურად წოდებული ენებიც (ინდოევროპული, სემიტური და სხვები) არ არიან აბსოლუტურად ფლექსიური: პირველშიც არის ფლექსიური ენის თვისებები და მეორეშიც — აგლუტინაციურისა. ერთი მხრივ, ქართულში რომ ფუძეში ხმოვანთა მონაცვლეობა გვაქვს (მაგ., გრებს — გრინა, თხრის — ვთხარე და მრავალი სხვა), ეს ფლექსიურ ენათა დამახასიათებელი თვისებაა; მეორე მხრივ, ისეთ ფლექსიურ ენაში, როგორიცაა რუსული, პრეფერბები ისე არამჭიდროდ დაერთვიან ზმნებს (при-ходить, у-ход-ить, от-ход-ить, за-ход-ить და ა. შ.), როგორც აგლუტინაციურ ენაში ერთიან ერთმანეთს მორფემები.

III. ძირის ეული ანუ იზოლაციური ეწოდება ისეთ ენებს, რომლებშიც არ იხმარება აფიქსები ფორმათა საწარმოებლად, ე. ი. მორფოლოგიურად ასეთი ენები არ იცვლებიან. ძირეულიც იმიტომ ჰქვია მათ, რომ იხმარება მხოლოდ სიტყვის ძირები. სიტყვების (ძირების) ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება გამოიხატება არა აფიქსებით, არამედ სიტყვის (ძირის) ადგილმდებარეობით სიტყვათშეერთებასა თუ წინადადებაში, თანდებულებით, დამხმარე სიტყვებით, მახვილითა და ინტონაციით. ასეთ ენებს ეძახიან აგრეთვე ამორფულსა და იზოლაციურს: ძირებს აქ არა აქვთ აფიქსები და იგივე ძირები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული; ძირისეულ (ამორფულ ანუ იზოლაციურ) ენად ითვლება, მაგ., ჩინური და ანნამური ანუ ვიეტნამური ენები. მაგ. წინადადება „მე ჩაის არა ვსვამ“ ჩინურად იქნება „ჩა ვობუზე“, სადაც წარმოდგენილია სუფთა ძირები: ჩა (ჩაი) ვო (მე) ბუ (არა) ზე (სასმელი).

ფლექსიური და აგლუტინაციური ენები საერთოდ ფლექსიური ენებია, მაგრამ ზოგი მათგანი მეტადაა ფლექსიური, ზოგიც — ნაკლებად. მაგ. რუსული და ქართული მეტადაა ფლექსიური. ვიდრე ინგლისური. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსულსა და ქართულს აქვთ მდიდარი ბრუნება და უღლება სუფიქსების (ფლექსიის) გამოყენებით, ხოლო ინგლისურში სუფიქსების (ფლექსიების) ნაცვლად იხმარება მეტწილად დამხმარე სიტყვები (თანდებულები, დამხმარე ზმნა). ამიტომ რუსული, ქართული, ბერძნული, ლათინური და ზოგი სხვა ითვლებიან სინთეზური ენებად, ხოლო ინგლისური — ანალიზური ენად. ჩინური უფრო მეტადაა ანალიზური, ვიდრე ინგლისური, ფრანგული ნაკლებად ანალიზური, ვიდრე ინგლისური, რადგანაც ფრანგულ უღლებებში მეტია ფლექსიის ფორმები, ვიდრე ინგლისურში და ა. შ..

მაშასადამე, სინთეზური ენა და ანალიზური ენა პირობითი ცნებებია.

როგორც ვნახეთ, ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია ადგენს ენათა სამ ტიპს სიტყვის მორფოლოგიური აგებულების მიხედვით: ფლექსიურს, აგლუტინაციურსა და ძირისეულს.

ამ სამწვეროვან კლასიფიკაციაში ზედავდნენ ენის განვითარების სამ საფეხურს (ა. შლაიხერი), თითქოს ძირისეული იყო პირვანდელი, რომლისაგანაც განვითარდა აგლუტინაციური, ხოლო ამისაგან — ფლექსიური. მაშასადამე, ენის განვითარების მწვერვალია ფლექსიური ტიპი. ენის განვითარების ეს ტიპები დაუკავშირეს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციებს (მ. მიულერი), თითქოს ძირისეული ტიპი შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალ საფეხურს, აგლუტინაციური — შედარებით უფრო მაღალს და ფლექსიური უმაღლესს. რა თქმა უნდა, ენათა მორფოლოგიური ტიპი იცვლება დროთა განმავლობაში, მაგრამ არა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციათა შესაბამისად, რადგანაც არ არსებობს აბსოლუტურად ესა თუ ის ტიპი ენათა: როგორც ზემოთ ვნახეთ, ფლექსიურში გვაქვს აგლუტინაციის ელემენტებიც და პირიქით: აგლუტინაციურში — ფლექსიის ელემენტებიც, რაც თავის მხრივ მორფოლოგიური კლასიფიკაციის ნაკლია. სხვა ნაკლიც აქვს ამ კლასიფიკაციას (მაგ. ის ნაკლი, რომ მორფოლოგია არ მოიცავს მთელს ენას; მასში არაა გათვალისწინებული ენის სხვა მხარეები — ბგერათსისტემა, სინტაქსური კონსტრუქციები და ა. შ.), მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისათვის იმ დონეზეც, რომელზეც იგი დღეს დგას, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება იგი, როცა მიღწეულ იქნება ნამდვილი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დადგენა.

IV. მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში შეაქვთ ე. წ. პოლისინთეზური (მრავალგამერთიანებელი) ანუ ინკოროპოაციული ენები. ამ ენებს ახასიათებს არა სიტყვების მორფოლოგიური აგებულება, არამედ ამ სიტყვების გაერთიანება წინადადებაში ერთ სიტყვად ზმნის გარშემო: მაგ., ჩრდილო ამერიკის ერთ-ერთი ენის—ჩინუკ ენის—ერთი სიტყვაა i-n-i-á-l-u-d-am (მე პოვედი, რომ მივეცე ეს მას), სადაც -d- ნიშნავს 'მიცემა'-ს, თავიკლური i- გამოხატავს ახლო წარსულ დროს, -n- მხოლოდობითი რიცხვის I პირს; შიგნითა -i- ნაცვალსახელობრივ ობიექტს ('ეს'); -a- მეორე ნაცვალსახელობრივ ობიექტს ('მას'—მდებრობითი სქესისას); -l- მიუთითებს იმაზე, რომ -a- ირიბი დამატებაა; -u- მიუთითებს მოქმედების მიმართულებას მოლაპარაკის იქით; -am გამოხატავს მოძრაობას რაიმე მიზნით (ე. ი. მოლაპარაკე მოსულია რაიმე მიზნით). როგორც ვხედავთ, აქ ზმნაში ჩართულია ნაცვალსახელობრივი ობიექტები; მაგრამ ზოგ პოლისინთეზურ ენაში ჩაირთვება არსებითი სახელებიც. საყურადღებოა, რომ ინკოროპორირებული (ჩართული) არსებითი სახელი ზოგჯერ მოკლდება ძლიერ ან იღებს სულ სხვა სახეს, მაგ. ჩრდილო ამერიკის სიშიტალ ენაში სახლის სახელია tlumstan, მაგრამ ჩართული სახით არის x^w (ლაბიალიზებული x). პოლისინთეზურ ენებს აქვთ ფლექსიურისა და აგლუტინაციური ენების ზოგი თვისება. მაგ. მათში არის ხმოვანმონაცვლეობა და თანხმოვანმონაცვლეობა (ე. ი. შინაგანი ფლექსია), რითაც პოლისინთეზური ენა უახლოვდება ფლექსიურ ენებს; მეორე მხრივ, პოლისინთეზურ ენებში მორფემები უერთდებიან ერთმანეთს აგლუტინაციურად (იხ. ზემოთ). ამით შეიძლება გამართლებულ იქნეს პოლისინთეზურ ენათა შეტანა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. ისეთი წინადადება-სიტყვა, როგორიცაა, მაგ. ფრანგულის je-te-le-donne 'მე შენ ამას გაძლევ' ისეთივე წყობისაა, როგორც პოლისინთეზური ენისა. ორთოგრაფიულად რომ ეს სიტყვები (je te le donne) ცალ-ცალკე იწერება, ეს პირობითობის შედეგია, თორემ არც ერთი ამ ნაცვალსახელთაგანი არაა ავტონომიური, ე. ი. ცალკე ისინი არ იხმარებიან.

8. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია

ასეთი სახელი დაერქვა ამ კლასიფიკაციას იმიტომ, რომ იგი ემყარება ენათა ისტორიულ ნათესაურ ურთიერთობას, ე. ი. ორი ან მეტი ენის წარმომავლობას ერთი ენისაგან. ენათა ნათესაური ურთიერთობის დადგენა ხდება ენათმეცნიერებაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით (იხ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი).

ისტორიული ნათესაური ურთიერთობის თვალსაზრისით, მსოფლიოში არსებული ენები (დაახლოებით 2.500) შეიძლება დავაჯგუფოთ ოჯახებად, რომლებშიც შედიან მეტ-ნაკლებად ურთიერთმონათესავე ენები. მაგ. ე. წ. ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედიან ძველი ინდური, ლათინური, გერმანული, სლავური, ბერძნული და სხვ., რომელთა ურთიერთნათესაური სიახლოვე ექვს არ იწვევს, რაც თავის მხრივ, ადასტურებს ამ ენათა საერთო წარმომავლობას ერთი წინარე ინდოევროპული ენიდან, უმთავრესად — მისი დიფერენციაციის გზით: ამიტომ ვამბობთ, რომ თითოეული აქ დასახელებული ენა ინდოევროპული ოჯახის ენაა, მისი განშტოებაა ან უბრალოდ: ინდოევროპული ენა (მაგ. ლათინური ენა ინდოევროპული ენაა). მაგრამ დროთა (ათასწლეულების) განმავლობაში თითოეული მათგანის უმთავრესად დიფერენციაციის შედეგად წარმოიქმნა ენები (მაგ., ძვ. ინდურიდან — ახალი ინდური ენები: ჰინდი, ბენგალი, ურდუ. გუჯარათი და სხვ.; ლათინურიდან — რომანული ენები: ფრანგული, იტალიური, ესპანური და სხვები; გერმანიკულიდან — გუთური, გერმანული (დოიჩლანდური), ინგლისური და სხვ.; სლავურიდან — რუსული, პოლონური, სერბული, ბულგარული და სხვ.), რომელნიც აგრეთვე ინდოევროპული ოჯახის ენებია. წინარეინდოევროპულის განშტოებებს ჰქვია ჯგუფები (მაგ., ინდური ჯგუფი, სლავური ჯგუფი და სხვ.), ხოლო თავის მხრივ თითოეული მათგანისაგან წარმოქმნილ ენებს — ქვეჯგუფები (მაგ. ინდურის ქვეჯგუფებია ჰინდი, ბენგალი, გუჯარათი და სხვ.; გერმანიკულის ქვეჯგუფებია გუთური, ინგლისური, გერმანული, დანიური და სხვ.). უნდა ვიფიქროთ, რომ დასახელებული განშტოებები ანუ ჯგუფები წარმოადგენდნენ წინათ — რამდენიმე ათასწლეულის წინ — ერთიანი ინდოევროპული წინარეენის დიალექტებს, რომლებიც განვითარდნენ დამოუკიდებელ ენებად (ზოგი მათგანი, მაგ. ინდური, ლათინური, ბერძნული — სამწერლობო ენებად); ასევე ქვეჯგუფებიც (ჰინდი, ბენგალი; ფრანგული, იტალიური და სხვ.) წარმოადგენდნენ დიალექტებს და ა. შ., მაშასადამე, წინარეინდოევროპული ენის შთამომავალი ენები ყველა ინდოევროპულია, ყველა ერთმანეთის მონათესავეა. მაგრამ მათ შორის ნათესაობა მეტ-ნაკლებია; მაგ. ერთი ჯგუფის შთამომავალი ენები უფრო ჰკვანან ერთმანეთს, ვიდრე რომელიმე სხვა ჯგუფისა. მაგ., ფრანგულს უფრო მეტი აქვს საერთო თვისებები იტალიურთან ან რუმინულთან (ე. ი. უფრო ენათესავება მათ), ვიდრე გერმანულთან, რომელიც აგრეთვე ინდოევროპულია, მაგრამ სხვა ჯგუფის შთამომავალია და ა. შ..

არის ენები, რომელნიც გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე

რჩებიან, რადგანაც მათი ნათესაობა რომელიმე სხვა ენასთან არაა დამტკიცებული. ასეთია ცოცხალ ენათაგან, მაგ. ბასკური, რომელზეც ლაპარაკობს პატარა ხალხი (1 მილიონამდე მცხოვრები) მეტწილად პირენეის ნახევარკუნძულზე; ხოლო გადაშენებულ ენათაგან ეტრუსკული, რომელიც მოსპო ლათინურმა იტალიის ნახევარკუნძულზე; შენახულია ამ ენის მრავალი წარწერა.

დავასახელებ უმთავრეს ოჯახებს და მათში შემავალ ჯგუფებს და ქვეჯგუფებს ზოგიერთი ცნობის დართვით. ჯერ მოყვანილია დღეს მოქმედი ცოცხალი ენები, შემდეგ გადაშენებული ენები.

1. ინდოევროპულ ენათა ოჯახი¹

ამ ოჯახში შემავალი ენები ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში.

ი ნ დ უ რ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი

ენის დასახელებასთან ნაჩვენებია მასზე მოლაპარაკეთა რიცხვი (დაახლ.).

ა) დღეს მოქმედი:

1. ჰინდუსტანური ანუ ჰინდუსტანი ენა — 200 მილიონი. ამ ენას აქვს ორი ლიტერატურული ფორმა: ჰ ი ნ დ ი — ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა; უ რ დ უ — პაკისტანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

2. ბ ე ნ გ ა ლ უ რ ი ანუ ბ ე ნ გ ა ლ ი ე ნ ა — 87 მილ. (ამ ენაზე წერდა ინდოეთის დიდი მწერალი რაბინდრანათ თაგორი). 3. ფანჯაბური ანუ ფანჯაბი ენა — 33 მილ., 4. ლაჰნდა ენა — 11 მილ., 5. სინდჰი ენა — 7 მილ., 6. რაჯასტანი ენა — 18 მილ., 7. გუჯარატი ენა — 21 მილ., 8. მარათჰი ენა — 36 მილ., 9. სინგჰალეზური ენა — 7 მილ., 10. ნეპალი ენა — 5 მილ., 11. ბიჰარი ენა — 51 მილ., 12. ორიია ენა — 16 მილ., 13. ასამი ენა — 6 მილ., 14. კაშმირი ენა — 2 მილ. (განთქმული ჯავახარლალ ნეჰრუჲ მშობლიური ენა), 15. აწინკნური

¹ ტერმინ „ინდოევროპული“ ნაცვლად ზოგი ენათმეცნიერი ხმარობდა და ხმარობს „ინდოევროპულს“ (იგულისხმებოდა, ერთი მხრივ, ინდოეთი, ხოლო მეორე მხრივ, ისლანდიის კუნძული, სადაც გერმანული ენა იხმარებოდა); ამ ორ განაპირა წერტილს შუა არიან ინდოევროპული ენები. დღეს ვხმარობთ ტერმინს „ინდოევროპული“ და ვგულისხმობთ ინდოეთსა და ევროპას შუა გავრცელებულ ენებს.

ანუ აწინკანთა (ციგანთა) ენა — 2 მილ. (სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც გავრცელებულნი არიან ინდოეთიდან).

ამათ გარდა, რამდენიმე სხვა ამათზე მცირე ინდოევროპული ოჯახის ენაა ინდოეთში, ინდურის შთამომავლობისა.

ბ) გადაშენებულნი:

1. ვ ე დ ე ბ ი ს ე ნ ა (ანუ ვედური) — დაახლ. 1500 წლის წინათ ჩვენს ერამდე შექმნილი რელიგიური ტექსტების ენა და ს ა ნ ს კ რ ი ტ ი — ინდოელთა სალიტერატურო ენა, რომელზეც მდიდარი მწერლობა არის შექმნილი IV ს. ძვ. წ. აღრ. — VII ს. ახ. წ. აღრ.

2. პ ა ლ ი — საშუალო ინდური სალიტერატურო ენა, რომელზეც შექმნილია უმთავრესად ბუდდისტური შინაარსის საკულტო ნაწარმოებები III საუკუნიდან ძვ. წ. ა.

3. პ რ ა კ რ ი ტ ე ბ ი — ხალხური დიალექტები საშუალო ინდურისა.

ი რ ა ნ უ ლ ე ნ ა თ ა ჯ ბ უ ფ ი

ა) ღვას მოქმედნი:

1. ს პ ა რ ს უ ლ ი (ფარსი) — 9 მილიონამდე.

2. ტ ა ჯ ი კ უ რ ი — 4 მილ.

3. ა ვ ღ ა ნ უ რ ი (ანუ პაშტო ენა) — ავღანისტანის სახელმწიფო ენა — 10 მილიონამდე.

4. ბ ა ლ უ ჯ ი — 2 მილიონამდე.

5. ქ უ რ თ უ ლ ი — 6 მილ.

6. ო ს უ რ ი — 1/2 მილიონამდე.

7. თ ა თ უ რ ი — 232 ათასი.

8. თ ა ლ ი შ უ რ ი — 61 ათასი.

9. კ ა ს პ ი ს ი პ ი რ ა და პამირის ენები — 133 ათასი.

10. ი ა ღ ნ ო ბ ი — 2 მილ.

ბ) გადაშენებულნი:

1. ძ ვ ე ლ ი ს პ ა რ ს უ ლ ი — ძველი ირანულის ერთ-ერთი დიალექტი — აქემენიდების ლურსმული წარწერების (VI—IV სს.) ენა.

2. ა ვ ე ს ტ ი ს ე ნ ა — ძველი ირანულის მეორე დიალექტი. ზოროასტრიზმის მოძღვრების საფუძვლების კრებული (იხ. შემდეგი).

3. ფეპლევეი (ფალაურე ენა)—საშუალო სპარსული (III—IX სს.), შემონახული ავესტის აარგმანსა და კომენტარებში, რასაც საშუალო სპარსულად დაერქვა „ზენდ“, ხოლო ავესტას, როგორც დედანს, *apastāk* 'ფუძე' (აქედან სპარსული *avista*).

4. მიდიური ენა — მიდიელთა ძველი ირანული (წერილობითი ძეგლები არ შემონახულა).

5. პართიული ენა — საშუალო სპარსული ენა (III საუკ. ძვ. წ. ა. — III საუკ. ახ. წ. ა.).

6. სოგდური ენა — დღევანდელი იაღნობის წინარე ენა (ახ. წ. ა. პირველ ათასწლეულში).

7. სკვითური ენა — ძვ. წ. ა. პირველ ათასწლეულსა და ახ. წ. ა. პირველი ათასწლეულის ირანული ენა; დღევანდელი ოსურის წინარე ენა (სკვითური ენა არის დასავლურ-საკური. იხ. ქვემოთ საკური).

8. ხვარაზმული ენა — აზუ-დარიის ქვემო წელზე მცხოვრები ირანული ტომის ენა, საშ. სპარსული ახ. წ. ა. პირველ ათასწლეულში.

9. საკური (ანუ ხატაური ენა — შუაზიის საშ. სპარსული ენა.

იგივე ენები გეოგრაფიულად:

1. სამხრეთ-დასავლურნი: ძველი ირანული და საშ. სპარსული, ახალი სპარსული, ტაჯიკური, თათური და ზოგი სხვა.

2. ჩრდილო-დასავლურნი: მიდიური, პართიული, ბალუჯი, ქურთული, თალიშური და კასპიისპირა სხვა ენები.

3. სამხრეთ-აღმოსავლურნი: საკური (ანუ ხატაური), ავღანური, პამირის ირანული დიალექტები.

4. ჩრდილო-აღმოსავლურნი: სკვითური, სოგდური, ხვარაზმული, ოსური, იაღნობი.

ს ლ ა ვ უ რ ე ნ ა ტ ა ჯ ბ უ ფ ი

ა) დღეს მოქმედი:

სლავურ ენათა ჯგუფში შედის სამი ქვეჯგუფი: აღმოსავლური, სამხრული და დასავლური.

I. აღმოსავლურნი:

1. რუსული ენა — ყველა სლავურ ენაზე უფრო გავრცელებული ენაა. რუსულად ლაპარაკობს 200 მილიონზე მეტი ადამიანი (121 მილიონისათვის იგი მშობლიურია).

რუსული ენის ჩრდილოური დიალექტი (ოურობიანი), რომელშიც, მაგ. უმახვილო ო წარმოითქმის როგორც ო, და სამხრული დიალექტი (აურობიანი), რომელშიც უმახვილო ო წარმოითქმის როგორც (ბ) *ropá*; სალიტერატურო რუსულს საფუძვლად დაედო მოსკოვის მიდამოს კილო. რუსული ენის უძველესი დათარიღებული ძეგლი XI საუკუნისაა. რუსული ენა საბჭოთა კავშირში საეროვნებათაშორისო ენაა, ხოლო გარეთ — ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ენა. რუსულ ენაზე შექმნილია უმდიდრესი პროგრესული მხატვრული ლიტერატურა.

2. უკრაინული ენა — უკრაინულად ლაპარაკობს 40 მილიონამდე ადამიანი; წინათ მას ეძახდნენ მალორუსულს. უკრაინული შედგება ორი დიალექტისაგან: მარცხენა ნაპირისა და მარჯვენა ნაპირის (მდ. დნეპრისა.) ზალიტერატურო უკრაინული დამუშავდა პოლტავა-კიევის კილოების საფუძველზე (XVI—XVII სს.).

3. ბელორუსული ენა — მოლაპარაკეთა რიცხვი 10 მილიონზე მეტია. სალიტერატურო ბეროსურული ენა დამუშავდა XIX—XX სს.

II. სამხრული:

ა) ღლეს მოკვედნი:

4. ბულგარული ენა — წარმოიქმნა სლავური დიალექტების შერწყმით ვოლგა-კამის თურქული ტომის ბულგარების ენასთან (მომთაბარე ბულგარები დაბინადრდნენ დუნაისპირა დაბლობებში VI საუკუნეში და გაითქვიფნენ სლავურ ხალხთა გარემოში). უძველესი წერილობითი ძეგლები გვაქვს VII—IX სს.. ბულგარული ენა სახელმწიფო ენაა ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა. ლაპარაკობს მასზე დაახლ. 8 მილიონი კაცი.

5. მაკედონური ენა — დამოუკიდებელი ენაა იმის შემდეგ, რაც ის მოსწყდა ბულგარულ დიალექტებს XIX საუკუნეში; ღლეს იგი სალიტერატურო ენაა 1¹/₂ მილიონიანი მაკედონიისა.

6. სერბულ-ხორვატული ენა — სერბთა და ხორვატთა ერთიანი ენა; მწერლობა XI საუკუნიდან; სერბებს აქვთ რუსული ანბანი, ხორვატებს — ლათინური.

7. სლოვენური ენა — სლოვენთა ენა, რომელზეც ლაპარაკობს 2 მილიონამდე კაცი სახალხო რესპუბლიკა სლოვენიასა და იუგოსლავიაში; მწერლობა აქვთ X—XI საუკუნეებიდან.

ბ) გადაშენებული:

8. ძველი სლავური (ანუ ძველი საეკლესიო სლავური) — ძველი ბულგარულის სოლუნის კილოების საფუძველზე წარმოქმნილი საერთო სლავური სალიტერატურო ენა, რომელზეც ითარგმნა საეკლესიო წიგნები ქრისტიანობის გავრცელების მიზნით სლავთა შორის (IX—X ს.). მისთვის შეიქმნა ორი ანბანი — გლაგოლიცა და კირილიცა. ძველი სლავური ლექსიკა შესულია გარკვეული რაოდენობით რუსულ სალიტერატურო ენაში.

III. დასავლური:

9. ჩეხური ენა (გერმანულად Böhmische Sprache) ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIII საუკუნიდან; მასზე ლაპარაკობს 9 მილიონზე მეტი კაცი.

10. სლოვაკური ენა — სლოვაკთა ენა; მასზე ლაპარაკობს 3 მილიონზე მეტი კაცი. მწერლობა ლათინური ანბანით XVIII საუკუნიდან.

11. პოლონური ენა — პოლონელთა ენა; მასზე ლაპარაკობს პოლონეთში 30 მილიონამდე კაცი, ხოლო მის გარეთ 5 მილიონამდე (მაგ., ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში 3 მილიონზე მეტი). მწერლობა ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან.

12. კაშუბური ენა — კაშუბთა (დასავლ. სლავთა პატარა ტომის) ენა. მასზე მოლაპარაკეთა რიცხვი არ აღემატება 200 ათას კაცს, ცხოვრობენ პოლონეთში. ძალიან ჰგავს პოლონურს. დამტკიცებულად ითვლება, რომ კაშუბური დამოუკიდებელი დასავლურ სლავური ენაა. მწერლობა პოლონური (ლათინ.) ანბანით XIX ს. დამლევადან.

13. სერბულ-ლუჯიცური ენა — ლუჯიცის სერბთა ენა; მასზე ლაპარაკობს დაახლოებით 120 ათასი კაცი. დამწერლობა ლათინური ანბანით XVI საუკუნიდან, აქვთ ორი სალიტერატურო ენა (ზემო-ლუჯიცა და ქვემო-ლუჯიცა დიალექტების საფუძველზე).

ბ) გადაშენებული:

14. პოლაბური ენა — პოლაბთა (მდ. ლაბის ორივე ნაპირას მცხოვრებთა — წინათ მრავალრიცხოვან სლავთა) ენა გერმანიაში. გადაშენდა XVIII საუკუნეში. ძველი წერილობითი ძეგლები არაა;

მეცნიერები ცდილობენ მის აღდგენას სხვადასხვა წყაროების მიხედვით.

15. სლოვინური ენა — სლოვინცთა ენა, ახლო იყო კაშუბურთან და პოლაბურთან.

16. პომორიული (ზღვისპირა) მცირე-მცირე ენები—კაშუბურისა და სლოვინცთა ენის წინაპარნი გავრცელებული იყვნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაპირებზე (გერმ. Pommern, რუს. Померания).

ბალტიკური ენათა ჯგუფი

ა) დღეს მოქმედი:

1. ლიტვეური ენა — ლიტვის სსრ სახელმწიფო ენა 3 მილიონ ლიტველთა. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან. მას შემონახული აქვს რიგი არქაული (ინდოევროპული) ენობრივი მოვლენები.

2. ლატვიური — ლატვიის სსრ სახელმწიფო ენა, დაახლ. 1¹/₂ მილიონზე მეტ ლატვიელთა წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან.

ბ) გაღაშენებული:

3. ძველი პრუსიული ენა — არსებობდა აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით შემონახული აქვს XIV — XVII საუკუნეებიდან.

ბერმანიკულ ენათა ჯგუფი

ჩრდილობერმანიკული (სკანდინავიური) ჯგუფი

ა) დღეს მოქმედი:

1. დანიური ენა — მას ბევრი რამ საერთო აქვს ნორვეგიულთან. რუნული წარწერები IX საუკუნიდან; წერილობითი ძეგლები 11—12 სს. ლათინური ანბანით. XIV—XIX ს. დასასრულამდე წარმოადგენდა საერთო სალიტერატურო ენას ნორვეგიულთან ერთად. დანიურზე ლაპარაკობს 5 მილიონზე მეტი ადამიანი.

2. შვედური ენა — ჩამოყალიბდა 16—17 სს.-ში; რუნული წარწერები IX საუკუნიდან; წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIII საუკუნიდან; მასზე ლაპარაკობს ცხრა მილიონამდე კაცი.

3. ნორვეგიული ენა — ნორვეგიელთა ენა. მასზე ლაპარაკობს 5 მილიონზე მეტი კაცი. რუნული წარწერები X საუკუნიდან; ხელნაწერი ძეგლები XII საუკუნიდან.

4. ისლანდიური ენა — ისლანდიელთა ენა, მასზე ლაპარაკობს 200 ათასამდე კაცი. ლათინური ანბანით წერა დაიწყო XI ს. დასასრულიდან; ცოტაოდენი რუნული წარწერები აქვს XIII საუკუნიდან.

5. ფაროეული ენა — ფაროე კუნძულზე ნორვეგიულისა და ისლანდიური ენების მსგავსი აგებულების ენა. მასზე ჩაწერილია ლათინური ანბანით XVIII ს-ში ფოლკლორული ტექსტები. ლიტერატურის მქონე ენად 1939 წლიდან; ფაროეულად მოლაპარაკეთა რიცხვი 40 ათასამდეა.

დასავლურ-გერმანიკული ძმეჯგუფები

6. ინგლისური ენა — ინგლისელთა ენა; ახალი ინგლისური წარმოიქმნა XVI საუკუნეში ლონდონის დიალექტის საფუძველზე; ძველი ინგლისური V—XI სს., ჯამ. ინგლისური XI—XVI სს. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით VII საუკუნიდან; ინგლ. ენა მშობლიურია დაახლ. 250 მილიონზე მეტი კაცისათვის (ინგლისში, ამერიკაში, ავსტრალიაში და სხვ.). იგი საერთაშორისო ენად ითვლება.

7. გერმანული (დოიჩლანდური) ენა — იყოფა ორ დიდ დიალექტად: ქვემოგერმანული (ჩრდილოეთით Niederdeutsch ანუ Plattdeutsch) და ზემოგერმანული (სამხრეთით — Hochdeutsch). ეს მეორე საფუძველად დაედო სალიტერატურო ენას, რომელმაც გაიარა საფეხურები ძველზემოგერმანულისა (VIII—XI სს.) და საშუალოზემოგერმანულისა (XII—XV), ხოლო XVI საუკუნიდან გვაქვს ახალზემოგერმანული, უმთავრესად ლუთერისა და მის თანამოღვაწეთა თარგმანების საფუძველზე დამუშავებული. დამწერლობა ლათინური ანბანის ორი სახეობით — გუთურითა და ანტიკვით. იგი მშობლიურია 83 მილიონამდე კაცისა.

8. ჰოლანდიური (ანუ ნიდერლანდური) ენა — ჰოლანდიის (ნიდერლანდის) სახელმწიფო ენა; დამწერლობა ლათინური ანბანით. ლაპარაკობს ჰოლანდიურად 12 მილიონზე მეტი კაცი. მისაგან ოდნავ განსხვავებულია სამხრეთ აფრიკაში გადასახლებულ ჰოლანდიელთა ენა — ბურების ენა ანუ აფრიკანსი.

9. ფლამანდიური ენა — ასე ეწოდება ნიდერლანდის (ჰოლანდიურ) ენას, რომელიც ბელგიის ჩრდილო პროვინციებშია გავრცელებული და სახელმწიფო ენის უფლებებშია ფრანგულთან ერთად. ოდნავ განსხვავებულია ჰოლანდიურისაგან. მასზე ლაპარაკობს 5 მილიონზე მეტი კაცი.

10. ფრიზული ენა — ნიდერლანდში, გერმანიასა და დანიაში ხმარებული ენა, რომელზეც ლაპარაკობს დაახლოებით 400 ათასამდე კაცი. წერილობითი ძეგლები XIV საუკუნიდან.

11. იდიშ (ანუ ახალბრაული) ენა; გავრცელებულია აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, გალიციაში, უკრაინაში და სხვ., ჩამოყალიბდა ძირითადად ზემოგერმანულის სხვადასხვა დიალექტთა საფუძველზე — სლავურთან და სხვა ენებთან შერევით. დამწერლობა ძველებრაული ანბანით.

აღმოსავლეთ-გერმანიკული ჰმეჯგუფი

ა) ბალტიკური:

12. ვესტგუთური (ე. ი. დასავლური გუთური) ენა; გუთების სახელმწიფო ენა ესპანეთსა და ჩრდილო იტალიაში საშ. საუკუნეებში; დამწერლობა გუთური ანბანით, რომელიც შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ (Ulfilas) IV საუკუნეში; მანვე თარგმნა სახარება და სხვ., რაც გერმანიკულ ენათა ყველაზე ძველი ძეგლია.

13. ოსტგუთური ენა — აღმოსავლური გუთების ენა აღჩინდელ საშ. საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებსა და დნებრის სამხრეთ ნაწილზე. სადაც მან იარსება XVI საუკუნემდე.

იტალიკურ ენათა ჯგუფი

(ასე ჰქვია იტალიის ინდოევროპულ ენებს რომის იმპერიის დაშლამდე: აქ იყო ლათინური, ოსკური, უმბრული, საბელური და სხვ.; იმპერიის დაშლის შემდეგ ლათინურსა და მისგან წარმოქმნილ ენებს ეწოდება რომანული ჯგუფის ენები).

რომანულ ენათა ჯგუფი

ა) აღს. მოკავანი:

ფრანგული ენა — საფრანგეთის, ბელგიისა (ფლამანდურთან ერთად) და შვეიცარიის (ნაწილობრივ) სახელმწიფო ენა; სალატე-რატურო ენა შეიქმნა XVI საუკუნიდან ილ-დე-ფრანსის დიალექტის

საფუძველზე: ეს და სხვა ფრანგული დიალექტები წარმოიქმნენ ხალხური ლათინურისა და რომაელების მიერ დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობის—გალების ტომთა—ენების შერევის შედეგად. უძველესი წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით IX საუკუნიდან, საშუალო ფრანგული IX—XV ს., ახალი ფრანგული XVI საუკუნიდან; მასზე ლაპარაკობს 50 მილიონამდე კაცი. საერთაშორისო ენის მნიშვნელობა ფრანგულმა ენამ მოიპოვა ევროპის ყველა სხვა ენაზე ადრე.

2. **პ რ ო ვ ა ნ ს უ ლ ი ე ნ ა** (Provençal) — საფრანგეთში სამხრეთ-აღმოსავლეთით, წარმოიქმნა ხალხური ლათინურის შერევით ადგილობრივ ენებთან. მწერლობა ლათინური ანბანით; საშუალო საუკუნეებში ითვლებოდა სახელმწიფო ლიტერატურულ ენად; X საუკუნიდან განვითარდა პროვანსულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა, რომელიც მეტად აყვავდა XI—XIII საუკუნეებში. მას ხმარობს დაახლ. 2 მილიონამდე კაცი.

3. **იტალიური ენა** — იტალიის სახელმწიფო სალიტერატურო ენა, რომელიც წარმოიქმნა ტოსკანური დიალექტების ნიადაგზე, დიალექტებისა, რომელნიც წარმოადგენენ ხალხური ლათინურის შენარევს ადგილობრივი მოსახლეობის ენებთან. მშობლიურია იგი თითქმის 58 მილიონი კაცისათვის. მწერლობა ლათინური ანბანით წარმოიქმნა XIII საუკუნეში.

4. **სარდინიული ენა** — კუნძულ სარდინიაზე მოქმედი სალიტერატურო ენა (იმავე კუნძულზე ლაპარაკობენ იტალიური ენის დიალექტებსა და კატალანურ ენაზე). მწერლობა ლათინური ანბანით განვითარდა XIII საუკუნეში. სარდინიულზე მოლაპარაკეთა რიცხვი 1 მილიონზე ნაკლებია.

5. **ესპანური**, 6. **კატალანური** და 7. **პორტუგალიური** ენები პირენეის ნახევარკუნძულზე. სამივე ხალხური ლათინურისა და ადგილობრივი ენების შენარევი ენებია; სამივეს აქვს ლათინური ანბანი.

ესპანური ენა ოფიციალური ენაა 85 მილიონი კაცისა (პირენეის ნახევარკუნძულზე — 20 მილიონისა; ლათინურ ამერიკაში დაახლ. 30 მლ. და ა. შ.). ესპანურ ენაზე მწერლობა დაიწყო VIII საუკ. ბოლოდან. კატალანური (ანუ კატალონური) ენის უძველესი ნიმუში გვაქვს XII საუკუნიდან. მასზე მოლაპარაკეთა რიცხვი დაახლოებით 5 მილიონია. პორტუგალიური ენის უძველესი ნიმუში გვაქვს XII საუკუნიდან. ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლ. 40 მილ. კაცი (ევროპაში — დაახლ. 7 მილიონი, ბრაზილიაში 28 მილიონი და ა. შ.).

8. რუმინული ენა — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, რომელიც მშობლიურია 13 მილიონი კაცისათვის. წარმოიქმნა ხალხური ლათინურის შერევით რომის პროვინციის დაკიის ადგილობრივ ენებთან. რუმინული ენის ძეგლები გვაქვს XVI საუკუნიდან ლათინური ანბანით.

9. მოლდავეური ენა — მოლდავეეთის სსრ სახელმწიფო ენა, რუმინულისაგან ოდნავ განსხვავებული. დამწერლობა კირილიცის ანბანით XV საუკუნიდან (XIX საუკ. — რუსული ანბანით). ლაპარაკობს მასზე დაახლ. 2 მილიონი კაცი.

10. არომუნული (ანუ ცინცარული) ენა, რუმინულთან ახლო მონათესავე (300 ათასამდე კაცის) ენა (ეძახიან აგრეთვე ცინცართა ენას) თავისთავს უწოდებენ ვლახებს; ცხოვრობენ იუგოსლავიაში, ალბანეთსა და საბერძნეთში, საკუთარი ლიტერატურა არა აქვთ).

11. რეტო-რომანიული (ძველი რეციის ტერიტორიაზე მოსახლეთა) ენა — შვეიცარიის მეოთხე სახელმწიფო ენა (ფრანგულ, იტალიურ და გერმანულთან ერთად). დამწერლობა ლათინური ანბანით XII საუკუნიდან. ლაპარაკობს მასზე 1/2 მილიონი კაცი.

ა) გადაშენებული:

12. ძველი ლათინური ენა — ძველი რომის სახელმწიფო და სალიტერატურო იტალიკური ენა. უძველესი ძეგლები VI საუკუნიდან ძვ. წ. ა. ძველ ლათინურ ენაზე შექმნილია მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები სხვადასხვა ქანრისა (ეპიკური, ლირიკული, ისტორიული და ა. შ.). კათოლიკური ეკლესიის ენა. საერთაშორისო ტერმინოლოგიის ერთ-ერთი წყარო. საშუალო საუკუნეებში დიდ როლს ასრულებდა ხალხური (ვულგარული) ლათინურის სახით. რომის პროვინციებში მოქმედ ენებთან შერევით იგი საფუძვლად დაედო დღეს მოქმედ რომანულ ენებს (ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ... და სხვებს. იხ. ზემოთ).

13. ოსკური ენა — ერთ-ერთი იტალიკური ენა სამხრეთ იტალიაში, ძვ. წ. ა. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ოსკური წარწერა ნაპოვნი პომპეის კედლებზე. მასზე მოლაპარაკე ხალხს რომაელები ეძახდნენ სამნიტებს.

13. უმბრული ენა — იტალიკური ენა შუა იტალიაში, ოსკურ ენასთან რიგ საერთო თვისებათა მქონე წარწერები III—II საუკუნეებიდან ძვ. წ. ა.

15. საბელუჩი ენა — იტალიური ენა, რომელზეც ლაპარაკობდა შუა იტალიაში მცხოვრები რიგ ტომთა გამაერთიანებელი ხალხი; დამარცხდა იგი რომაელებთან ხანგრძლივ სასტიკ ომიანობაში.

კ ე ლ ტ უ რ ე ნ ა ტ ა ჯ გ უ ფ ი

ა) დღეს მოქმედენი:

1. ბაილური ქვეჯგუფი:

(აერთიანებს ირლანდიურს, შოტლანდიურს და მენ კუნძულის ენას).

1. ი რ ლ ა ნ დ ი უ რ ი ე ნ ა — ირლანდიის რესპუბლიკის სალიტერატურო ენა; წერილობითი ძეგლები ოგამური ანბანით IV საუკუნიდან ახ. წ. აღრ., ხოლო VII საუკუნიდან ლათინური ანბანით. მასზე ლაპარაკობს მილიონამდე კაცი.

2. შოტლანდიური ენა — შოტლანდიელთა ენა დიდ ბრიტანეთში. ახლოა ირლანდიურთან. მწერლობა XVI საუკუნიდან ლათ. ანბანით. წინა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული იყო; დღეს მასზე ლაპარაკობს მხოლოდ გლეხობა (დაახლოებით ნახევარ მილიონამდე კაცი).

3. მენ კუნძულის ენა — გადაშენების გზაზე დამდგარი გაელური ქვეჯგუფის ენა. ამჟამად მასზე ლაპარაკობს ძველი თაობის რამდენიმე ათასეული კაცი.

2. ბრიტული ქვეჯგუფი

(საერთო სახელია ბრეტონულისა და უელზურის).

4. ბ რ ე ტ ო ნ უ ლ ი ე ნ ა — საფრანგეთში ბრეტანის ნახევარკუნძულზე მოსახლე კელტური ტომის ენა, რომლის უძველესი დამწერლობა VIII საუკუნისაა; ლიტერატურა XIV საუკუნიდან. მასზე ლაპარაკობს უმეტესად სოფლის მოსახლეობის მილიონზე მეტი კაცი.

5. უ ე ლ ზ უ რ ი (ვ ა ლ ის უ რ ი) ე ნ ა — დიდი ბრიტანეთის დასავლეთ ნაწილის უელზის ნახევარკუნძულის ბრიტული ქვეჯგუფის ენა, რომლის დამწერლობა VIII საუკუნიდანაა. საშუალო საუკუნეებში ამ ენაზე იყო საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა. ამჟამად მასზე ლაპარაკობს მილიონამდე კაცი.

3. ბალიური ქვიჯბუფი

ბალიური ქვიჯბუფისაა მხოლოდ გალიური ენა, რომელსაც ისტორიულად გავრცელებულს ვხედავთ საფრანგეთსა, ჩრდილო იტალიასა, ესპანეთში, ბალკანეთსა და მცირე აზიაშიც კი. შემონახულია გალიური ენის ცალკეული სიტყვები ბერძნულისა და ლათინურის წყაროებში; მთლიანი ტექსტი გალიურისა არ შემონახულა.

ბერძნული ენის ჯგუფი

ახალბერძნული ენა — საბერძნეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა დაახლოებით XIV საუკუნიდან დღემდე. მასზე ლაპარაკობს 3 მილიონზე მეტი კაცი. განასხვავებენ 1) ძველ ბერძნულ სალიტერატურო ენას ატიკური დიალექტის საფუძველზე (VII—IV სს.), რომლის დიალექტები იყო იონიური, ატიკური, დორიული და ეოლაური; 2) ელინური საყაროს საერთო ბერძნული ენა („კოინე“). წარმოქმნილი აგრეთვე ატიკური დიალექტის საფუძველზე (III ს. ძვ. წ. აღრ. — IV ს. ახალი წ. აღრ.), 3) საშუალო ბერძნული ანუ ბიზანტიური — ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა (VI—XIV სს.) და 4) ახალბერძნული ენა.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული ენის დღევანდელი დიალექტები წარმოადგენენ არა ძველი ბერძნულის დიალექტების გაგრძელებას, არამედ „კოინე“ ენის საფუძველზე წარმოქმნილებს.

ალბანური ჯგუფი

ალბანური ენა — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა (ბალკანეთის ნახევარკუნძულზე); მასზე ლაპარაკობს სამ მილიონამდე კაცი. მისი წერილობითი უძველესი ძეგლები ლათინური ანბანით გვაქვს ცალკეული სიტყვების სახით XV საუკუნიდან; ხოლო ტექსტები — XVII-დან.

სომხური (არმენული) ჯგუფი

სომხური ენა — სომხეთის სსრ-ის სახელმწიფო სალიტერატურო ენა (საბჭოთა კავშირში). დამწერლობა თავისი სპეციფიკური ანბანით V საუკუნიდან (ახალი წ. აღრ.), თარიღიანი ხელნაწერი ძეგ-

ლები IX ს.-დან. სომხური მრავალდიალექტიანი ენაა; მასში გამოიყოფა ორი მთავარი დიალექტი: აღმოსავლური (საბჭოთა კავშირში) და დასავლური (თურქეთში). სომხურზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია კავკასიურ ენებს. სომხურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი სამ მილიონზე მეტია. ძველ სომხურსა და ახალ სომხურს შორის დიდი განსხვავებაა.

ა ნ ა ტ ო ლ ი ი ს (მცირე აზიის) ი ნ დ ო მ ე ვ რ ო ვ უ ლ ენათა ჯგუფი

(გადაშენებულია)

1. ხეთური (ანუ კანეზური) ენა — ხეთების სახელმწიფო ენა მცირე აზიაში XIX — XII საუკუნეებში; იგი გაიცნო მეცნიერებამ ჩვენი საუკუნის დამდეგს — ლურსმულ და იეროგლიფურ მრავალ წარწერაში, და რიგმა მეცნიერმა მიიჩნია ყველა სხვა ინდოევროპულ ენაზე უფრო არქაულად. მისი ხნოვანობისად ითვლება მცირე აზიის რამდენიმე წარწერით ცნობილი ზოგიერთი ენა: 2. ლუვიური, 3. პალაური, 4. კარიული, 5. ლიდიური და 6. ლიკიური.

ტ ო ქ ა რ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი

(გადაშენებულია)

1. ტოქარული A ენა (ტურფანული, ყარაშარიული) — ტოქართა ენა ჩინეთის თურქესტანში, ნაპოვია ჩვენი საუკუნის დამდეგს V—VII სს. ხელნაწერებში — რელიგიური და სამედიცინო შინაარსისა. იმავე ეპოქას ეკუთვნის, ალბათ, ანალოგიური შინაარსის ხელნაწერებში იქვე შემონახული.

2. ტოქარული B ენა (კუჩანური) A ტოქარულისაგან ძლიერ განსხვავებული დიალექტი.

შ ე ნ ა შ ვ ნ ე ბ ი :

1. ინდურსა და ირანულ ჯგუფებს იმდენი ნიშანთვისება აქვთ საერთო, რომ აგულისხმებინა მეცნიერებს მათი წარმოქმნა საერთო ჯგუფიდან; და, მართლაც, მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი მათი წარმოქმნის შესახებ ინდურ-ირანულის ანუ არიული ჯგუფისაგან განშტოების გზით. ამგვარივე განშტოება იგულისხმება, როცა ამბობენ, რომ სლავური და ბალტიკური ჯგუფები იმდენად ახლოს

არიან ერთმანეთთან, რომ ისინი ერთი ჯგუფის (სლავურ-ბალტიკურის) განაყოფს წარმოადგენენო.

ასევე იტალიურ-კელტური ჯგუფი განშტოებულია იტალიურ და კელტურ ჯგუფებად. საგანგებო სახელწოდება (ისეთი, როგორიცაა „არიული“ = ინდურ-ირანული ჯგუფი) ამ ორს (სლავურ-ბალტიკურსა და იტალიურ-კელტურს) არა აქვს.

2. ტერმინი „არიული“ იხმარებოდა (და ზოგჯერ დღესაც იხმარება) სხვა მნიშვნელობითაც, სახელდობრ: ამბობენ „არიო-ევროპული“ ნაცვლად ტერმინისა „ინდოევროპული“; ან ამბობენ „არიული“ ნაცვლად იმავე ტერმინისა „ინდოევროპული“.

3. ტოქარულისა და ხეთურის აღმოჩენამდე ჩვენს მეცნიერებაში მიღებული იყო ინდოევროპული ოჯახის ენათა დაყოფა აღმოსავლურ (satəm) და დასავლურ (kentum) ინდოევროპულ ენებად იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოითქმებოდნენ მათში ინდოევროპული წინარეების პალატალური ხშული თანხმოვნები *k̄ და *ḡ)* აღმოსავლურებში (ძველი ინდურში, ავესტურში, სომხურში, სლავურსა და ბალტიკურ ჯგუფებში) წარმოითქმებოდა სისინა ან შიშინა სპირანტების სახით: ძვ. ინდ. Ś, ავესტ. S, სომხ. S, სლავ. S, ლიტავ. S, ხოლო დასავლურებში (ბერძნულში, ლათინურში, კელტურსა და გერმანიკულში) უკანაენისმიერი ხშულების სახით: ბერძ. K, ლათ. c (წარმოითქმებოდა როგორც k), ირლანდ. c (აგრეთვე წარმოითქმობდა k (გუთ. h < k, მაგ.: ინდოევროპ. წინარე ენის *kmtóm ‘ასი’: ძვ. ინდ. śatām, ავესტ. satəm, სომხ. (ეს სიტყვა არ შენახულა), ძვ. სლავ. (რუს. сѣто), ლიტავ. šimtas, ბერძ. (ξ)αράτον, ლათ. centum, ძვ. ირლანდ. cet (c აქაც წარმოითქმობდა როგორც k), გუთ. hund. აღმოსავლურ ენებს დაერქვა satəm ენები, ხოლო დასავლურს — centum (kentum) ენები, მაგრამ ტოქარულსა და ხეთურში, რომლებიც ტერიტორიულად აღმოსავლურებიცა, გვაქვს დასავლურისათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშულები (მაგ. ტოქ. A kānt ‘ასი’). ამიტომ ინდოევროპულ ენათა აღმოსავლურ (satəm ენები) და დასავლურ (kentum ენები) ენებად დაყოფა ამ ნიშნის მიხედვით საეჭვო გახდა.

II. სემიტურ ენათა ოჯახი

ამ ოჯახში შედიან შემდეგი ენები:

ა) ღლას მოკვადნი:

1. ა რ ა ბ უ ლ ი ე ნ ა — მუსულმანთა საერთაშორისო კულტის ენა, ყველა სემიტურ ენაზე მეტად გავრცელებული; მასზე ლაპარაკ-

20. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები

კობს 85 მილიონზე მეტი კაცი. დამწერლობა არაბული ანბანით. უძველესი არაბული წარწერა IV საუკუნისა ახ. წ. აღრ., დიდი ლიტერატურის (ფილოსოფიურის, ფილოლოგიურის, მათემატიკურის) მქონე.

2. ა მ ჰ ა რ უ ლ ი ე ნ ა — ეთიოპიის მეორე სალიტერატურო ენა, მშობლიურია 2 მილიონამდე კაცისათვის.

3. თ ი გ რ ე ე ნ ა — თიგრაი ხალხის ენა ეთიოპიაში — უმწერლობო. მასზე ლაპარაკობს 220 ათასი კაცი.

4. თ ი გ რ ი ნ ი ა ე ნ ა — თიგრაი ხალხის ენა, აგრეთვე ეთიოპიაში, უმწერლობო, 420 ათასი კაცისა.

5. ა ი ს ო რ უ ლ ი ე ნ ა — არამეული ენის შთამომავალი, მას უწოდებენ აგრეთვე ასირიულს (139 ათასი).

ბ) ბალანაზნაულის:

6. ა ქ ქ ა დ უ რ ი (ასურულ-ბაბილონური) ენა—ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ენა, რომელიც ცნობილია, მრავალი უძველესი ლურსმული წარწერებით (2800—650 ძვ. წ. ა. ძველი აქქადური ანუ ასურული, 650 ძვ. წ. ა. შემდეგ ახალი აქქადური ანუ ბაბილონური; ამიტომ ეწოდება მას ასურულ-ბაბილონური).

7. უ გ ა რ ი ტ უ ლ ი ე ნ ა — X.V—XIV სს. ანბანური ლურსმული წარწერების ენა უგარიტ სახელმწიფოში (სირიაში).

8. ძ ე ე ლ ე ბ რ ა უ ლ ი ე ნ ა — ბიბლიის უძველესი ნაწილების ებრაელთა საკულტო ენა. გადაშენდა III საუკუნეში ძვ. წ. ა. დაწერილია ებრაული ანბანით. დღეს აღდგენილია ცვლილებებით ისრაელის სახელმწიფო ენად — ივრიტის სახელწოდებით.

9. ა რ ა მ ე უ ლ ი ე ნ ა — ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენა, რომელიც გავრცელებული იყო ძველ წინააზიაში, მეტადრე III ს. ძვ. წ. ა. — IV ს. ახ. წ. ა.

10. ფ ი ნ ი კ ი უ რ ი ე ნ ა — ფინიკიასა და ფინიკიის კოლონიებში გავრცელებული ენა; ძეგლები XIII საუკ.-დან ძვ. წ. ა. დაწერილობა ფინიკიური თანხმონური ანბანით.

11. ა მ ო რ ე ვ ე ლ თ ა (ამორიტთა) ენა—ასეთი სახელწოდებაა გავრცელებული ამ უ რ რ უ ტომის ენისა; ეს მომთაბარე ტომი შეიქმრა მესოპოტამიაში, დაფუძნდა იქ და საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი შეასრულა. XIII საუკ.-მდე ძ. წ. ა. არსებობდა სირიაში ამ უ რ რ თ ა სამეფო.

შენიშვნა:

უპარიტულსა, ძველებრულსა და ფინიკიურს ეწოდებენ საერთოდ ქანანურს ანუ ქანანურს.

III. შინა-უნგრულ ენათა ოჯახი

ფინურ ენათა ჯგუფი

1. ბალტიკური ენათა ჯგუფი:

1. ფინური (სუომი) ენა — კარელია-ფინეთის სსრ სახელმწიფო ენა; მასზე ლაპარაკობს 5 მილიონამდე კაცი (ნაწილობრივ რესპუბლიკის გარეთაც — შვედიაში, ნორვეგიაში...): მწერლობა XV საუკუნიდან — ლათინური ანბანით.

2. ესტონური ენა — ესტონეთის სსრ სახელმწიფო ენა. რომელზეც ლაპარაკობს ერთ მილიონზე მეტი კაცი, მწერლობა XVII საუკუნიდან ლათინური ანბანით.

3. კარელიური ენა — უმწერლობო ენა, რომელზეც ლაპარაკობს 180 ათასი კაცი.

2. კარმიკულ ენათა ჯგუფი

4. კომი-ზირიანული (ანუ კომი) ენა — კომის ავტ. სსრ ენა, რომელზეც ლაპარაკობს 220 ათასი კაცი. მწერლობა წარმოიქმნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

5. კომი-პერმიაკული ენა — ახლო დგას კომი-ზირიანულ ენასთან. მასზე ლაპარაკობს 149 ათასი კაცი. მწერლობა — ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

6. უდმურტული (ანუ ვოტიაკური) ენა — უდმურტეთის ავტ. სსრ-ის ენა, რომელზეც ლაპარაკობს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი; გავრცელებულია იგი მოსაზღვრე ხალხებშიც. სალიტერატურო ენა წარმოიქმნა დიდი ოქტომბრის შემდეგ.

3. ვოლგისკირა ენათა კვიჯგუფი

7. მარი (ანუ ჩერემისული) ენა — მარის ავტ. სსრ-ის ენა. რომელზეც ლაპარაკობს ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. მწერლობა დიდი ოქტომბრის შემდეგ.

8. მორდოველი ენა — ეწოდება ორ დამოუკიდებელ ენას — ერზიას და მოკშა ენებს, — გავრცელებულია მოსაზღვრე ხალხებშიც

(გორკისა, პენზისა, ჩკალოვისა და სხვა ოლქებში). მასზე ლაპარაკობს ერთ მილიონზე მეტი კაცი. მწერლობა — დიდი ოქტომბრის შემდეგ.

უ ნ გ რ უ ლ ე ნ ა თ ა ჯ ბ უ ფ ი

1. უ ნ გ რ უ ლ ი (ანუ მადიარული) ე ნ ა — უნგრეთის სახელმწიფო სამწერლობო ენა; გავრცელებულია აგრეთვე რუმინეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში. მასზე ლაპარაკობს 13 მილიონზე მეტი კაცი. მწერლობა XIII საუკუნიდან ლათინური ანბანით.

2. მ ა ნ ს ი (ანუ ეოგულური) ე ნ ა — დასავლეთ ციმბირში, მდინარე ობის აუზში; მასზე ლაპარაკობს 7 ათასამდე კაცი. დამწერლობა რუსული ანბანით.

3. ხ ა ნ თ ი (ანუ ოსტიაკური) ე ნ ა — აგრეთვე დასავლეთ ციმბირის ენა, რომელზეც ლაპარაკობს 23 ათასამდე კაცი, დამწერლობა რუსული ანბანით.

IV. თურქულ ენათა ოჯახი

ა) დღეს მოქმედი:

1. ა ნ ა ტ ო ლ ი უ რ - თ უ რ ქ უ ლ ი ე ნ ა — თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო და სამწერლობო ენა, რომელზეც ლაპარაკობს 26 მილიონამდე კაცი. დამწერლობა IX საუკუნიდან არაბული ანბანით, ხოლო 1929 წლიდან ლათინურით.

2. ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ უ ლ ი ე ნ ა — აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო და მწერლობის ენა, რომელზეც აზერბაიჯანში ლაპარაკობს 3 მილიონამდე კაცი; როგორც ჩანს, აზერბაიჯანულს საფუძველი ისტორიულად აქვს მიდიურსა და ალბანურ ენებში. ახალ პერიოდში იგი შედის თურქულ ენათა სამყაროში. მწერლობის ენა XV საუკუნიდან არაბული ანბანით, რომელიც XIX საუკუნეში შეიცვალა ლათინურით, ხოლო 30-იან წლებში — რუსულით.

3. თ უ რ ქ მ ე ნ უ ლ ი ე ნ ა — თურქმენეთის სსრ-ის სახელმწიფო ენა, რომელზეც ლაპარაკობს ერთ მილიონზე მეტი კაცი. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XV—XVII სს. არაბული ანბანით, რომელიც 1928 წ. შეიცვალა ლათინურით, ხოლო 1940 წ. — რუსულით.

4. გ ა გ ა უ ზ უ რ ი ე ნ ა — გაგაუზთა ენა; გავრცელებულია უკრაინისა და მოლდავეთის სსრ-ში, დამწერლობა რუსული ანბანით.

5. უ ზ ბ ე კ უ რ ი ე ნ ა — უზბეკეთის სსრ სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, რომელზეც ლაპარაკობს 7 მილიონზე მეტი კაცი;

ჩამოყალიბდა სამწერლობო ენა XIV — XVI სს.. მდიდარი ლიტერატურა. დამწერლობა დღეს რუსული ანბანით.

6. ყ ა ზ ა ხ უ რ ი ე ნ ა — ყაზახეთის სსრ სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, რომელზეც ლაპარაკობს სამ მილიონზე მეტი კაცი. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XIX საუკ. მეორე ნახევარში არაბული ანბანით (1938 წლიდან რუსული ანბანით), მეტადრე განვითარდა დიდი ოქტომბრის შემდეგ.

7. ყ უ მ უ ხ უ რ ი ე ნ ა — დაღესტნის ავტ. სსრ-ში, რომელზეც ლაპარაკობს სულ 145 ათასი კაცი; იხმარება როგორც საერთო ენა დაღესტნის ხალხთა ურთიერთობაში. სალიტერატურო ენად დამუშავდა დიდი ოქტომბრის შემდეგ რუსული ანბანით.

8. თ ა თ რ უ ლ ი ე ნ ა — თათართა სსრ მთავარი ენა, რომელზეც ლაპარაკობს ხუთ მილიონზე მეტი კაცი რესპუბლიკაში და მის გარეთ (მაგ. დასავლეთ ციმბირის ზოგ რაიონში). 20-იან წლებში არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით, ხოლო 1939 წლიდან — რუსულით.

9. ნ ო ლ ა უ რ ი ე ნ ა — გროზნოს ოლქისა და სტავროპოლის მხარეში მცხოვრებთა ენა, რომელზეც ლაპარაკობს 41 ათასი კაცი. მწერლობა განვითარდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ — რუსული ანბანით.

10. ბ ა ლ ყ ა რ უ ლ (მ ა ლ ყ ა რ უ ლ) - ყ ა რ ა ჩ ა უ ლ ი ე ნ ა — ყაბარდო-ბალყარეთის ავტ. სსრ-ისა და ყარაჩაულ-ჩერქეზეთის ავტ. სსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბალყარელთა (43 ათასამდე) და ყარაჩაველთა (76 ათასამდე) ენა. მწერლობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების ხანაში რუსული ანბანით.

11. კ ა რ ა ი მ უ ლ ი ე ნ ა — ყირიმსა, უკრაინის და ლიტვის სოფლებში მცხოვრებ კარაიმთა ენა (6 ათასი კაცისა), უმწერლობო.

12. ბ ა შ კ ი რ უ ლ ი ე ნ ა — ბაშკირეთის ავტ. სსრ-ის ენა, რომელზეც ლაპარაკობს 1 მილიონზე მეტი კაცი. დიდ ოქტომბრამდე უმწერლობო. დღეს ამ ენაზე არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა — რუსული ანბანით.

13. შ ო რ ი უ ლ ი ე ნ ა — ჩრდილო ალტაისა და შორიის მცხოვრებთა (16 ათასი კაცი) უმწერლობო ენა; სარგებლობს ხაკასური ან რუსული სამწერლობო ენით.

14. ყ ი რ გ ი ზ უ ლ ი ე ნ ა — ყირგიზთა სსრ სახელმწიფო და ლიტერატურული ენა, რომელზეც ლაპარაკობს 1 მილიონზე მეტი კაცი. მწერლობის ენა შეიქმნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის შემდეგ რუსული ანბანით.

15. ჩუვაშური ენა — ჩუვაშეთის ავტ. სსრ ენა, რომელზეც ლაპარაკობს დაახლ. 2 მილიონი კაცი. მას ახასიათებს ფინურთან ნათესაობა. ჩუვაშურ ენაზე პირველი ჩანაწერები გვაქვს XVIII საუკ. პირველი ნახევრიდან. მწერლობა რუსული ანბანით.

16. ხაკასური ენა — ხაკასთა ავტონომიური ოლქის ენა, რომელზეც ლაპარაკობს 60 ათასამდე კაცი. 1929-39 წლებში იხმარებოდა ლათინური ანბანი. 1921 წლიდან დამუშავდა დამწერლობა რუსული ანბანის გამოყენებით.

17. თუვიური ენა — თუვიის ავტ. სსრ-ის ენა (რსფსრ-ში). რომელზეც ლაპარაკობს 70 ათასამდე კაცი. მწერლობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების ხანაში — რუსული ანბანით.

18. ყარაგასული ენა — ირკუტსკის ოლქში მცხოვრებ ყარაგასთა ენა, რომელზეც ლაპარაკობს 417 ათასი კაცი. მწერლობა განვითარდა საბჭოთა ხელისუფლებაში. მაღალი წიგნიერება.

19. ყარაყალფაქური ენა — ყარაყალფაქეთის ავტ. სსრ-ის ენა, რომელზეც ლაპარაკობს 180 ათასი კაცი. ლიტერატურული ენა წარმოიქმნა საბჭოთა ხელისუფლებაში.

20. იაკუტური ენა — იაკუტთა ავტ. სსრ-ის ენა (აღმოსავლეთ ციმბირში), რომელზეც ლაპარაკობს 250 ათასი კაცი. მწერლობა 1922 წლიდან. რუსულ ანბანზე გადაყვანილ იქნა 1939 წელს.

21. ახალუიგურული ენა — უიგურთა ენა, რომელიც წარმოადგენს უზბეკეთისა, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-თა უმცირესობის ენას (სულ 100 კაცი საბჭოთა კავშირში, ხოლო ჩინეთის რესპუბლიკის სინც-ზიანის პროვინციაში დაახლოებით 4 მილიონნახევარი კაცი), მწერლობა საბჭოთა კავშირის უიგურებს რუსული ანბანი აქვთ (იხ. ძველი იუგურული ენა).

ბ) გადაშენებული:

22. ორხონური ენა — ყოფილი ძლიერი სახელმწიფოს ენა ჩრდილოეთ მონღოლეთში მდინარე ორხონზე VII- VIII საუკუნეებში. თავისებური რუნული წარწერები.

23. პაკანოკური ენა — სამხრეთრუსეთის სტეპების მომთაბარე ხალხის ენა IX- XI სს.

24. ყივჩაყური (ანუ ყუმანური — кыпчакский, половенский, куманский) ენა — დიდ ტერიტორიაზე შუა აზიისა და შავი ზღვის ჩრდილო სტეპებში გავრცელებული მომთაბარეთა ენა XI- XIV საუკუნეებში, შემოინახა ლათინურ-სპარსულ-ყუმანური ლექსიკონი („Codex Cumanicus“) III საუკუნის ბოლოსი.

25. ძველი უიგურული ენა --- ცენტრალური აზიის დიდი სახელმწიფოს ენა IX—XI საუკუნეებში, მწერლობა არამეული ანბანით.

26. ჩაგატაიური (ანუ ჩაგატაიური) --- XIV—XVI საუკუნეებიდან შუა აზიის ენა, რომელმაც შეცვალა ყივჩაყური. მოაღწია XX საუკუნემდე. საბჭოთა ხელისუფლებაში შეიცვალა ადგილობრივი ეროვნული ენებით.

27. ვოლგისპირა ბულგარული ენა — VIII—XIV საუკუნეების ბულგართა სამეფოს ენა მდინარე ვოლგასა და მდინარე კამაზე. ზოგიერთი შემორჩენილი ძეგლების ჩვენებით, საფუძვლად დაედო ჩუვაშურს (იხ. გვ. 310). ბულგარეთის სამხრეთის ნაწილი გადასახლდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ბულგარული ენა შეერია სლავურს, დღეს გვაქვს ბულგარული ენა (იხ. გვ. 295).

28. ხაზარული ენა — მდ. ვოლგისა და დონის ქვემოწელის ტერიტორიაზე მდებარე დიდი სახელმწიფოს ენა VIII—X საუკუნეებში; ახლო იდგა ვოლგისპირა ბულგარულთან.

V. კავკასიური ენები

ამ სახელწოდებაში იგულისხმება კავკასიაში გავრცელებულ ენათა სამი ჯგუფი: ჩრდილო-დასავლური კავკასიური ანუ აფხაზურ-ადიღეური, ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) და სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ჯგუფი.

აფხაზურ-ადიღეური ენათა ჯგუფი

I. აფხაზური ქვეჯგუფი:

1. აფხაზური, რომელსაც აქვს ორი დიალექტი: ბზიფური (სოხუმის ჩრდ.-დასავლ.) და აბჟუური (სამხრ.-აღმოს.) მდინარე კოდორზე. მწერლობა დღეს — რუსული ანბანით. აფხაზურად ლაპარაკობს 70 ათასი კაცი.

2. აბაზური ენა — ორი დიალექტით (ტაფანთური და აშხარული) ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში. მწერლობა რუსული ანბანით. აბაზურად მოლაპარაკეთა რიცხვი უდრის 30 ათასს (აშხარულა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში, ძალიან ჰგავს აფხაზურს).

II. ჩირქეზული ძვეჯგუფი:

1. ადიღეური (ანუ ჩერქეზული) ენა— (ქვემო და ზემო) 200 ათასამდე მოლაპარაკის ენა.

2. ყაბარდოული ენა — მასზე ლაპარაკობს 215 ათასამდე კაცი.

3. უბიხური ენა — უბიხთა ტომის ენა, რომელზეც ლაპარაკობდა 75 ათასამდე კაცი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. 1864 წელს უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა თურქეთში. ამჟამად მასზე ლაპარაკობენ მხოლოდ მოხუცები თურქეთის ქალაქ იზმირის მიდამოებში.

ნახურ-დაღესტნური ენათა ჯგუფი:

I. ნახური (ვეინახური) ძვეჯგუფი

1. ჩაჩნური ენა — ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტ. სსრ-ში მცხოვრებ ჩაჩნთა ენა. სალიტერატურო ენა შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლებაში — რუსული ანბანით მასზე ლაპარაკობს 450 ათასამდე კაცი.

2. ინგუშური ენა — იქვე მოსახლე ინგუშთა ენა დაახლოებით 90 ათასზე მეტი კაცისა. სალიტერატურო ენა დამუშავდა საბჭოთა ხელისუფლებაში — რუსული ანბანით.

3. თუშური ენა (წოვა-თუშური; შეცდომით ამბობენ „ბაუბური“) — მცირერიცხოვან თუშთა ენა კახეთში, სოფ. ზემო ალვანში. უმწერლობო.

4. ქისტური ენა — ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში (კახეთში) მცხოვრებ მცირერიცხოვან ქისტთა ენა, უმწერლობო.

II. დაღესტნური ძვეჯგუფი

დაღესტნის ავტ. სსრ-ის ეს ჯგუფი იყოფა ოთხ ქვეჯგუფად:

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური,
2. დარგუული,
3. ლაკური,
4. ლეზგიური.

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ძვეჯგუფი

ხუნძური (ანუ ავარული ენა, რომელზეც ლაპარაკობს 300 ათასამდე კაცი), ყველაზე მეტად გავრცელებულია დაღესტანში, რომლის დასავლეთ ნაწილში იგი ურთიერთობის საშუალებაა. სამწერლობო ენა, აგებული ჩრდილო დაღესტნის დიალექტზე, განვითარდა დიდი ოქტომბრის შემდეგ. ანბანი რუსულია.

2. ანდიური ენა — უმწერლობო მცირერიცხოვან (8 ათასამდე) ანდიელთა ენა.

3. დიდოური (ანუ ცეზური) ენა — უმწერლობო მცირერიცხოვან (7 ათასზე მეტი) დიდოელთა ენა.

2. დარბაზული ძველბაზუმი

დარბაზული ენა — რამდენიმე დიალექტის (ახუშური, წუდახარული, კუბაჩური და ხაიდაკური დიალექტები) შემცველი მწერლობიანი ენა; ლიტერატურული ენა აგებულია ახუშური დიალექტის საფუძველზე — რუსული ანბანით. მოლაპარაკეთა რიცხვი აღემატება 170 ათასს.

3. ლაქური ძველბაზუმი

ლაქური ენა შეიცავს რამდენიმე დიალექტს, ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავებულს, ვიდრე სხვა ჯგუფებისა. მწერლობა შეიქმნა დიდი ოქტომბრის შემდეგ ყუმუხური დიალექტის საფუძველზე — რუსული ანბანით; მოლაპარაკეთა რიცხვი 70 ათასამდე.

4. ლეზგიური ძველბაზუმი

1. ლეზგიური (კიურული) ენა — რამდენიმე დიალექტით; ლეზგიურზე ლაპარაკობს 240 ათასი კაცი (ნაწილობრივ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სსრ-ში). მწერლობა რუსული ანბანით.

2. ტაბასარანული ენა — ჩრდილოური და სამხრული დიალექტებით; მოლაპარაკეთა რიცხვი აღწევს 40 ათასამდე კაცს. მწერლობა დაფუძნდა სამხრულ დიალექტებზე — დიდი ოქტომბრის შემდეგ რუსული ანბანით.

— — — 0 — — —

განხილული ხუთი მწერლობიანი ენის (ხუნძურის, დარბაზულის, ლაკურის, ლეზგიურისა და ტაბასარანულის) გარდა, დაღესტნურ ენათა ჯგუფში გვაქვს რამდენიმე უმწერლობო ენა, სახელდობრ (ფრჩხილებში ნაჩვენებია ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი, დალაგებულია ანბანზე):

1. არჩიული ენა (900-მდე) დაღესტნის ჯგუფის ენა; იმყოფება დაღესტნის სსრ-ში.

2. აღულური ენა (700-მდე) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა დაღესტნის ავტ. სსრ-ში.

3. ახვახური ენა (3.800-მდე) — ხუნძურის ჯგუფის ენა დასავლეთ დაღესტანში.
4. ბაგულალური ენა (3.300) — ხუნძურის ჯგუფის ენა დასავლეთ დაღესტანში.
5. ბოთლიხური (ანუ ლოდობერული) ენა (3.500) — ხუნძურის ჯგუფში შემავალი ენა.
6. ბუღუხური ენა (2 ათასამდე) — ლეზგიურთან ახლო მდგომი; იმყოფება აზერბაიჯანში.
7. კაპუქური (ანუ ბეჟიტური) ენა (2¹/₂ ათასი) ხუნძურის ჯგუფის ენა.
8. კარატაული ენა (ორიოდე სოფელში) — ხუნძური ჯგუფის ენა.
9. კრიწული ენა (500) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება აზერბაიჯანის სსრ-ის ერთ სოფელში.
10. კუბაჩური ენა (2¹/₂ ათასი) — ითვლება დარგუულის დიალექტად. იმყოფება დაღესტნის სსრ-ის სოფ. კუბაჩში და ზოგ სხვა სოფელში.
11. რუტული ენა (700) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; დაღესტანში და აზერბაიჯანის ორ სოფელში.
12. უდიური ენა (500-მდე) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება აზერბაიჯანის ორ სოფელსა — ნიჯსა და ვართაშენში — და საქართველოს ერთ სოფელში — ოქტომბერში.
13. წახურული ენა (800-მდე) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება დაღესტანსა და აზერბაიჯანში.
14. ხინალულური ენა (1 ათასი) — ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება აზერბაიჯანის სსრ-ში.

ქართული ენათა ჯგუფი

1. ქართული ენა — საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა, რომელზეც ლაპარაკობს 3 მილიონზე მეტი კაცი საბჭოთა საქართველოში, აზერბაიჯანის სსრ-ში, თურქეთში (შავშეთში), ირანში (ფერეიდანში). ქართული ენის დიალექტებია საქართველოში: ქართლური, კახური, მთიულური, მოხეური, თუშური, ფშავური, სევსურული, გურული, აჭარული, იმერული, რაქული; ლეჩხუმური. საქართველოს სსრ-ის გარეთ: ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ-ში), იმერხეული (შავშეთში), ფერეიდნული (ირანში). მდიდარი მწერლობა IV—V საუკუნეებიდან — როგორც ძველ, ისე საშუალო და ახალ ქართულ ენაზე; იხმარება სპეციფიკური ქართული ორ-

resp. სამგვარი ანბანი: ხუცური (ნუსხური და ასომთავრული) და მხედრული.

2. მ ე გ რ უ ლ ი ე ნ ა — სამეგრელოში გავრცელებული უმწერლობო ენა — ორი დიალექტის (სენაკურისა და ზუგდიდურ-სამურ-ზაყანულის) შემცველი.

3. ჭ ა ნ უ რ ი (ანუ ლაზური) ენა — შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქანთა (ლაზთა) უმწერლობო ენა, რომელიც შეიცავს შემდეგ დიალექტებს: ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს.

4. ს ვ ა ნ უ რ ი ე ნ ა — სვანეთის მოსახლეობის უმწერლობო ენა, რომელიც შეიცავს ოთხ დიალექტს: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს (ორივე ინგურის ხეობაშია), ლაშხურს და ლენტეხურს (ეს ორი ცხენიწყლის ხეობაშია).

განხილულთა გარდა, მსოფლიოში არის კიდევ რამდენიმე სხვა ოჯახი, რომელთა დაწვრილებით განხილვას აქ არ ვთვლით საჭიროდ. დავასახელებთ მათ მხოლოდ ნომენკლატურულად (ზოგან ადგილმდებარეობისა და მოლაპარაკეთა რიცხვის ჩვენებით).

VI. სამოდიურ (წინათ ეწოდებოდა სამოიძურ) ენათა ოჯახი

აერთიანებს ნენურს, ენურს, ნგასანურსა და სელკუპურ ენათა ქვეჯგუფებს — არხანგელსკისა და ტიუმენის ოლქებსა და კრასნო-იარსკის მხარეში (სულ დაახლ. 30 ათასზე მეტი).

VII. მონგოლურ ენათა ოჯახი

(სამ მილიონზე მეტი)

1. ხ ა ლ ხ ა-მ ო ნ გ ო ლ უ რ ი ე ნ ა — მონგოლთა სახალხო რესპუბლიკის ენა (სსსრ-ში) — მწერლობა რუსული ანბანით 1945 წლიდან (მანამდე მონგოლური ანბანით) — და აგრეთვე შიდა მონგოლიის (ჩინეთში) ძირითადი მოსახლეობის ენა.

2. ბ უ რ ი ა ტ-მ ო ნ გ ო ლ უ რ ი ე ნ ა — ბურიატ-მონგოლთა ავტ. სსრ-ის მოსახლეობის ენა, აგრეთვე მის გარეთაც (დაახლ. 300 ათასი).

3. ო ი რ ა ტ უ ლ ი (ანუ კალმიკური) ენა — მონგოლიის ალტაის მთისწინეთებსა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში (სსსრ და ჩრ-ნეთის სახალხო რესპუბლიკაში მცხოვრებ ოირატთა ენა (120 ათასამდე მხოლოდ სსსრ-ში).

VIII. ზუნგუსურ-მანჯურად ენათა ოჯახი

(სამ მილიონამდე)

კრასნოიარსკის მხარეში, ბურიატ-მონგოლეთის ავტ. სსრ-ში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ზოგ სხვა მხარეში გავრცელებული ენები.

1. ტუნგუსური ჯგუფში:

1. ევენკიური (ტუნგუსური) ენა (40 ათასამდე).
2. ევენური (ანუ ლამუტური ენა) — 9 ათასამდე.
3. ნეგიდალური ენა — ხაბაროვსკის მხარეში.

2. მანჯურული ჯგუფში:

1. მ ა ნ ჯ უ რ უ ლ ი ე ნ ა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მწერლობა XII საუკუნიდან მონგოლური გრაფიკით (სამ მილიონამდე).

2. ნ ა ნ ა ი უ რ ი ე ნ ა — ხაბაროვსკის მხარის ნანაისკის, კომსომოლსკისა და კურ-ურმიისკის რაიონებში (8 ათასამდე), მწერლობიანი ენა.

3. უ დ ე გ უ რ ი ე ნ ა — ხაბაროვსკის მხარეში (2 ათასამდე).

4. უ ლ ჩ უ რ ი ე ნ ა — ამურის ქვედა წელში ხაბაროვსკის მხარეში (700 კაცი).

5. ო რ ო ჩ უ ლ ი ე ნ ა — ხაბაროვსკის მხარეში (რამდენიმე ასეული კაცი).

[ზოგი მეცნიერი თურქულ, მონგოლურ, ტუნგუსურ-მანჯურულ ენებს თვლის ალტაურ ენათა ოჯახის ენებად].

IX. ჩინურ-ზიბეზურ ენათა ოჯახი

თ ა ი - ჩ ი ნ უ რ ი ჯ გ უ ფ ი:

1. თ ა ი უ რ ი ე ნ ა — თაი ხალხის (ანუ სიამელთა) ეროვნული ენა; თაიური ენებია თაილანდისა, ლაოსისა, ვიეტნამისა, ბირმისა და ზოგ სხვა ქვეყანაში; ამ ენებზე ლაპარაკობს 20 მილიონამდე კაცი.

2. ჩ ი ნ უ რ ი ე ნ ა — მასზე მოლაპარაკეთა რიცხვით მსოფლიოში პირველი ენა (688 მილიონამდე), მრავალი დიალექტის მქონე; სალიტერატურო ენა შექმნილია ჩრდილოურ დიალექტზე; მდი-

დარია ძველი წერილობითი ძეგლებით (XV საუკუნიდან ძვ. წ. ა.). დღევანდელ სალიტერატურო ენას ეწოდება პუნთხუა (XX საუკ. 50-იანი წლებიდან).

3. დუნგანური ენა — საბჰოთა კავშირში ჩინეთიდან გადმოსასლებულ დუნგანთა (25 ათასამდე) მწერლობიანი ენა (ჩინეთში 4 მილიონზე მეტი).

4. ლაოსური ენა — ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის პატეტ-ლაო ქვეყნის სახელმწიფო ენა, ძველმწერლობიანი (XIII საუკუნიდან).

5. ვიეტნამური ენა — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენა (27 მილიონზე მეტი).

6. ჩუუანური ენა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (7 მილიონამდე).

ტიბეტურ-ბირმული ჯგუფი

1. ტიბეტური ენა — ტიბეტის რამდენიმე ენიდან გამოირჩევა მდიდარმწერლობიანი (VI საუკუნიდან ახ. წ. ა.) ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ტიბეტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩამდოში (ჩანდუ-ში) და ზოგ სხვა მხარეში (3 მილიონზე მეტი).

2. ბირმული ენა — ბირმასა და ინდოჩინეთში (15 მილიონზე მეტი).

X. რკაპილური ენები

ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და ზოგან შიგნითაც მცხოვრებ დრავიდთა ენა (80 მილიონზე მეტი):

1. ტამილური ენა — ტამილთა ენა ინდოსტანის ბოლო ნაწილში (22 მილიონამდე).

2. ტელუგუ (ანუ ანდჰრა) ენა — ტელუგუ ხალხის ენა სამხრეთ ინდოეთში (30 მილიონამდე).

3. მალაილამური ენა — ტამილურთან ახლო მდგომი ენა (11 მილიონამდე).

4. კანნარული ენა — სამხრეთ ინდოეთის (მაისურის შტატში) ენა (13 მილიონამდე).

5. ტულუ ენა — სამხრეთ ინდოეთის (მადრასის შტატში) ერთერთი ენა (600 ათასი).

6. გონდიური ენა — სამხრეთ ინდოეთში (2 $\frac{1}{2}$ მილიონი).

7. ბრაჰუი ენა — ერთადერთი დრავიდული ენა სამხრეთ ინდოეთის გარეთ: პაკისტანის პროვინციებში — ბელუჯისტანსა და სინდში (200 ათასზე მეტი).

XI. გუნდა ენათა ოჯახი

1. ქვერვარი ენათა ჯგუფი:

ამ ჯგუფში შედიან:

- 1) სანტალი (2 მილიონი 200 ათასი),
- 2) მუნდარი (600 ათასამდე),
- 3) ხონა (400 ათასამდე) და ზოგი სხვა.

2. ქვერ ენათა ჯგუფი (9 მილიონამდე)

ამ ჯგუფში შედიან:

- 1) მონენები (ბირმაში, პატეტ-ლაოში, ვიეტნამში...).
- 2) ქვერ ენები და
- 3) ჩამენები (ვიეტნამში).
- 4) მალაკური ენები — სემანგური (ორი ათასამდე), სენოური (21 ათასამდე) — მალაკის ნახევარკუნძულზე და სუმატრა კუნძულზე.

XII. მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახი

A. მალაიური ანუ ინდონეზიური ჯგუფი

(133 მილიონამდე)

1. სუმატრის ქვეჯგუფი:

- 1) მალაიური ანუ ინდონეზიური ენა — ინდონეზიის სახელმწიფო ენა (80 მილიონამდე).
- 2) ბატაკური ენა — ჩრდილოეთ სუმატრაზე (1 მილიონამდე); ძველმწერლობიანი.
- 3) აჩენა (1½ მილიონი).

2. იავის ქვეჯგუფი:

- 1) იავური ენა — ძველმწერლობიანი (VIII საუკუნიდან ახ. წ. ა.) ენა (40 მილიონამდე)
- 2) სუნდა ენა — იავა კუნძულზე დასავლეთით (9 მილიონამდე).
- 3) მადურა ენა — იავურთან ახლო მდგომი ენა (5 მილიონამდე).

3. დანაკუთრი ძველები:

დაიაკუთრი ენა — უმწერლობო ენა (2 მილიონამდე).

4. ცელეზის ძველები:

- 1) ტარაჯული ენა (700 ათასამდე).
- 2) ბუგინური ენა (2¹/₂ მილიონამდე).
- 3) მინახასური ენა (400 ათასამდე).

5. ფილიპინების ენათა ძველები:

- 1) ტაგალური (ტაგალოგური) ენა — ფილიპინების ოფიციალური ენა (5 მილიონი 600 ათასი).
- 2) ილოკური ენა (3¹/₂ მილიონზე მეტი).

6. მადაგასკარის ენათა ძველები:

მალგაშური ენა — მადაგასკარის მკვიდრთა ენა (5 მილ. 400 ათასი). გადაშენებული კავი ენა — ძველი იავური სალიტერატურო ენა (IX საუკუნიდან ახ. წ. ა.), რომელიც ჩამოყალიბდა სანსკრიტის გავლენით.

კოლინეზიური ჯგუფი (600 ათასამდე)

1. აღმოსავლური:

- 1) მაროკი ენა (168 ათასი).
- 2) ჰავაი ენა (100 ათასამდე).

2. დასავლური:

- 1) სამოა ენა (140 ათასი).
- 2) უვეა ენა (8 ათასი).

XIII. პალეოზიური ენები

ამ სახელწოდებით ცნობილია ურთიერთარამონათესავე სამი ჯგუფი ენათა: ჩუკჩი, ესკიმო და კეტთა (ენისეის ოსტიაკთა). სახელწოდება პირობითია და არა გენეზისურ-ლინგვისტური:

1. ჩუკჩუნი ჯგუფი (Чукотская группа)

— ჩუკჩების ეროვნული ოკრუგის მკვიდრთა მეტყველება:

- 1) საკუთრივ ჩუკჩური (ანუ ლუორავეტლანური) ენა (12 ათასი).
- 2) კორიაკული (ანუ ნიმილანური) ენა — კორიაკთა ეროვნული ოკრუგის მკვიდრთა ენა (7 ათასამდე).
- 3) იტელმური (ანუ კამჩადალური) ენა — კორიაკთა ეროვნულ ოლქში (ათასამდე კაცსა).

2. ციმბირის ენათა ჯგუფი:

- 1) იუკაგირთა (ანუ ოდულთა) ენა — იაკუტიის ავტ. სსრ-ში (ორ ათასამდე).
- 2) ნივხთა (უმართებულთა „გილაკთა“) ენა — მდ. ამურის ქვემო წელზე (ხაბაროვსკის მხარეში) და კუნძულ სახალინზე (4 ათასზე მეტი).

3. ესკიმოსური ჯგუფი

პირობითად ალეუტურთან ერთად ეწოდება მას პალეოაზიური; გავრცელებულია ამერიკის არქტიკულ სანაპიროზე და სსრკ-ში ჩუკჩების ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე.

1. საკუთრივ ესკიმოსური ენა (40 ათასზე მეტი).
- 2) ალეუტური (ანუ უნანგანური) ენა — ალეუტის კუნძულებზე (აშშ-ში), სადაც მასზე ლაპარაკობს 6 ათასზე მეტი კაცი და სსრკ-ში კომანდორის კუნძულებზე (500).
4. კეტთა (ანუ ენისეის ოსტიაკთა) ენა — კრასნოიარსკის მხარეში (ათასზე მეტი).

XIV. ავსტრალიის ენები

მრავალი მცირე-მცირე ენები, — გადაშენების გზაზე მდგარნი და ნაკლებად შესწავლილნი (ვოროსო ენა, ბუანდიკ ენა და სხვ.). შედარებით მეტადაა შესწავლილი არანდა ენა (2 ათასამდე).

XV. კაპუა ენები

ახალი გვინეის და მელანეზიის სხვა კუნძულების რამდენიმე ასეული ენა (მათზე მოლაპარაკეთა რიცხვი 2 მილიონზე მეტია), ყველა

უმწერლობა და ნაკლებად შესწავლილი. ნათესაური ურთიერთობა სსვა ენებთან არაა დადგენილი.

XVI. აზრიკის მკვირთა ენები

ბანტუ ენები — ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის მკვიდრთა მრავალრიცხოვანი ენები, გრამატიკულად ურთიერთსაკმაოდ მსგავსნი. დაეასახელებთ რამდენიმე ჯგუფს:

1. ბანტუს დასავლური ჯგუფი:

- 1) ბალუნდა ენა — დასავლეთ კონგოში (350 ათასამდე).
- 2) პანგვე (ჟანგ) ენა (მილიონზე მეტი) და სხვ.

2. ბანტუს ცენტრალური ჯგუფი:

ლუბა ენა — ბალუბა ხალხის ენა (3 მილიონი) და სხვ.

3. ბანტუს აღმოსავლური ჯგუფი:

სუაჰელი ენა — აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, ინგლისის კოლონიათა ოფიციალური ენა; მას საფუძვლად უძევს ზანზიბარის დიალექტი, რომელიც მიღებულია სალიტერატურო ენად.

4. სამხრეთ-აღმოსავლური ჯგუფი:

1) ზულუ (ზულუსური) ენა — ზულულენდის მკვიდრთა და პროვინცია ნატალის მოსახლეობის ენა (2 მილიონამდე).

2) კოსა ენა — ზულუა ენასთან ახლო მდგომი ენა (2¹/₂ მილიონი) და სხვ.

სუფთა ბანტუ ენებს გარდა, აფრიკაში არის ენათა რიგი, რომლებიც წააგვანან მათ ზოგიერთი ნიშან-თვისებით. მათ ეძახიან ბანტუიდურ ენებს. ასეთებია, მაგალითად:

1) მოსი ენა — მოსი ხალხის დასავლეთ სუდანში საკმაოდ გავრცელებული ენა.

2) ფულ ენა — ფულბე ხალხის დასავლეთ სუდანში გავრცელებული ენა (4 მილიონზე მეტი).

3) ვოლოფ ენა — დასავლეთ აფრიკაში სენეგალის ხალხის ენა (700 ათასამდე) და სხვა.

მ ა ნ დ ე ე ნ ა თ ა ჯ ბ უ ფ ი (8 მილიონამდე)

- 1) მ ა ნ დ ი ნ ო ე ნ ა — მ ა ნ დ ი ნ გ ო ხ ა ლ ხ ის ე ნ ა დასავლეთ სუ-
დანში (3 მილიონამდე).
- 2) მ ა ლ ი ნ კ ე ე ნ ა (2 მილიონამდე) და სხვ..

ბ ვ ი ნ ე ი ს ე ნ ე ბ ი:

- 1) კ რ უ ე ნ ა — დასავლეთ აფრიკის ენა ($1/2$ მილიონამდე).
- 2) ი ბ ო ე ნ ა — საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხალხის ენა სამხრ.-
აღმოსავლეთ ნიგერიაში (4 მილიონზე მეტი).
- 3) ი ო რ უ ბ ა ე ნ ა — ძველი კულტურის მქონე ხალხის ენა და-
სავლეთ სუდანში (4 მილიონამდე) და სხვ..

ს ო ნ ლ ა ი ე ნ ა თ ა ჯ ბ უ ფ ი:

- 1) ს ო ნ ლ ა ი ე ნ ა — მდინარე ნიგერის შუა წელზე მოსახლე
ხალხის ენა, რომლის დიალექტებად ითვლება:
- 2) ჭ ე რ მ ა ე ნ ა და 3) დ ე ნ დ ი ე ნ ა (სულ $1/2$ მილიონზე
მეტი) და სხვ..

ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს უ დ ა ნ ი ს ე ნ ე ბ ი:

1. კ ა ნ უ რ ი ე ნ ა — ნიგერიის პროვინცია ბორნუში გავრცე-
ლებული ენა (დაახლოებით $1\frac{1}{2}$ მილიონზე მეტი).
2. კ ა ნ ე მ ბ უ ე ნ ა — (100 ათასამდე) და სხვ..

კ ო რ დ ო ფ ა ნ ი ს ე ნ ე ბ ი:

აღმოსავლეთ სუდანის მოსახლეთა ენები (მხოლოდ რამდენიმე
ათასი).

ნ ი ლ ო ს უ რ ი ე ნ ე ბ ი:

- 1) ნ უ ე რ თ ა (ანუ ნუერ) ენა — აღმოსავლეთ სუდანის ერთ-
ერთი ენა (150 ათასამდე).
- 2) შ ი ლ ლ უ კ ე ნ ა — სუდანის სამხრეთ ნაწილში (100 ათა-
სამდე).
- 3) ბ ა რ ი ე ნ ა — ბარი ხალხის ენა სამხრეთ სუდანში (150 ათა-
სამდე) და სხვ..

XVII. პალეოპოლიტიკური მშენებელი მშენებელი

ასე ეწოდება პირობითად ბუშმენურსა და პოტენტოტურს (თვითონ ბუშმენები ეძახიან თავის ენას სან-ს, ხოლო პოტენტოტე-ბი თავის ენას—ნამა-ს).

1) ბუშმენური ენები — გავრცელებულია ანგოლაში (სამხრეთ აფრიკაში) (60 ათასამდე).

2) პოტენტოტური ენები — გავრცელებულია კალა-ჰარში (სამხრ.-დასავლეთ აფრიკაში) (50 ათასამდე). ამ ენების მატარებელი ხალხი თავის თავს ეძახის კოი-კოინ 'ხალხთა ხალხი', ე. ი. ნამდვილი ხალხი.

XVIII. ჩრდილოეთ ამერიკის მშენებელი

1) ალგონკინური ენა — ალგონკინთა ენა, უმეტესად აშშ-სა და კანადაში (90 ათასამდე).

2) იროკეზური ენა — იროკეზთა ენა, უმეტესად აშშ-სა და კანადაში (50 ათასამდე).

3) სიუ ენა — სიუ ტომთა ენა, უმეტესად აშშ-ში, აგრეთვე კანადაში (50 ათასამდე).

4) ათაპასკური (ანუ ათაბასკური) ენა — ათაპასკთა (ათაბასკთა) ენა აშშ-სა და კანადაში (70 ათასზე მეტი) და სხვ..

XIX. მხრეაღმოსავლეთი ამერიკის მშენებელი

1) ალგონკინური ენა — ალგონკინთა ენა, უმეტესად სამხრ.-დასავლეთში იუტო-აქტეკთა ენა (700 ათასამდე).

2) მაია ენები — ორმილიონიანი ხალხების ენა, რომელთაც შექმნეს საკუთარი დამწერლობა და მაღალი კულტურა ევროპელთა იქ მისვლამდე.

XX. სამხრეთ ამერიკის მშენებელი

1) ტუპაკ-გუარანო ენები — ამავე სახელწოდების ტომთა ენები პარაგვაიში, აღმოსავლეთ ბრაზილიაში და სხვ. (1 მილიონზე მეტი).

2) კეჩუა ენა — ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხის კეჩუას ენა პერუში, ბოლივიაში, ჩილესა და არგენტინაში (7 მილიონამდე).

3) არავაკთა ენები — პერუსა, კოლუმბიასა, ბრაზილიასა და ვენესუელაში გავრცელებული ენები (340 ათასამდე).

4) არაუკანთა ენა — ჩილესა და არგენტინაში გავრცელებული ენა (200 ათასამდე).

XXI. ბენსადკეპეპული (ე. ი. სნოპილი ჯგუფების გარეშე ბრძოლის) ენები

1. ბასკური ენა (ადგილობრივ უწოდებენ ეუსკარა) — ბასკთა ენა ესპანეთსა (600 ათასამდე) და საფრანგეთში (200 ათასამდე). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ენათესავება კავკასიურ ენებზე. კერძოდ — ქართველურს.

2. იაპონური ენა — იაპონიის სახელმწიფო-ეროვნული ენა (90 მილიონამდე).

3. კორეული ენა — კორეის ხალხის ეროვნული ენა. მასზე ლაპარაკობენ კორეის გარეთაც: ჩინეთში, ტსიკ-ში, იაპონიაში და აშშ-ში (სულ 30 მილიონამდე).

4. აინური ენა — აინუ ხალხის ენა იაპონიაში კუნძულ ხოკაიდოზე და სსრკ-ში სამხრეთ სახალინზე (16 ათასამდე).

4. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

ზოგადი პრინციპები. ყოველი ენა, მართალია, წარმოადგენს თავისთავადსა და განუყოფელ სტრუქტურას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენებს შორის გარკვეული მსგავსებაც არ შეინიშნებოდეს. „ენაში, — ამბობდა ე. ჰუმბოლდტი, — ისე საოცრად ერწყმის ინდივიდუალური საყოველთაოს, რომ ერთგვარად სწორია ვთქვათ — ადამიანთა მთელი მოდგმა ლაპარაკობს ერთ ენაზე და რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი ენა“. ჰუმბოლდტის ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის არსს. სრულიად სხვადასხვა ოჯახის ენები ამჟღავნებენ ერთმანეთთან ისეთ სტრუქტურულ სიახლოვეს, რომ, მიუხედავად ენებს შორის დიდი განსხვავებისა, შეიძლება ვილაპარაკოთ ენათა შორის სტრუქტურულ მსგავსებაზეც. გარდა ამისა, მსგავსება შეინიშნება ენის ყველა დონეზე — იქნება ეს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკის დონე. ყოველ ენას აქვს შინაარსისა და გამოხატულების პლანი, ყოველი ენა იყოფა ფონოლოგიის, გრამატიკისა და ლექსიკის დონეებად, ყოველი ენისათვის დამახასიათებელია ე. წ. ორმაგი დაყოფა მნიშვნელობის მქონე ერთეულებად (მორფემებად) და მნიშვნელობის არმქონე, მაგრამ მნიშვნელობათა განმარტებებელ ერთეულებად (ფონემებად). ყოველი ენის ფონოლოგიური სისტემა ხასიათდება ხმოვნებისა და თანხმოვნების ოპოზიციით. არ არსებობს ენა, რომელშიც მხოლოდ თანხმოვნები იყოს და ხმოვნები არ არსებობდეს, ან პირიქით. ყველა ენა ერთ სტრუქტურულ პრინციპზეა აგე-

ბული, მაგრამ სხვადასხვა ამ პრინციპის კონკრეტული გამოვლენა ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ იმდენი თეორიული ენათმეცნიერება დაგვეკირდებოდა, რამდენი ენაც არსებობს და შეუძლებელი იქნებოდა ენათმეცნიერების ზოგად პრინციპებსა და მეთოდებზე ლაპარაკი.

ტიპოლოგიური კვლევისას დაცული უნდა იქნეს ორი ძირითადი პირობა მაინც: ა) საკვლევი ენები აღწერილ უნდა იქნეს ერთი და იმავე მეთოდის საშუალებით. მაგ., თუ ერთი ენა აღწერილია ფონეტიკის ტერმინებში, ხოლო მეორე — ფონოლოგიის ტერმინებში, მაშინ მათი ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია; შეუძლებელია იმიტომ, რომ ფონეტიკურად იდენტური შესაძლებელია ფონოლოგიურად არაიდენტური აღმოჩნდეს, ხოლო ფონოლოგიურად იდენტური — ფონეტიკურად განსხვავებული. ასე, მაგალითად, ფშვინციური ყრუ ხშულები ქართულშიც გვაქვს და რუსულშიც (ფონეტიკური იდენტობა), მაგრამ ქართულში ფშვინციური ხშულები დამოუკიდებელი ფონებია, რუსულში კი — სათანადო არაფშვინციური თანხმოვნების კომბინატორული ვარიანტები; (ალოფონები) ხშულუკასის წინა პოზიციაში (შდრ. акт [akht], пакт [pakht] და სხვ.). ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში რუსულსა და ქართულს შორის ფონეტიკური იდენტობის მიღმა შეინიშნება აშკარა ფონოლოგიური სხვაობა. ამიტომ ტიპოლოგიური კვლევა რომ წარმატებით დაგვირგვინდეს, საჭიროა დავიცვათ აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპი, რათა განსხვავებული არ მივიღოთ იდენტურად. ხოლო იდენტური — განსხვავებულად, ბ) უნდა მკვეთრად გაიმიჯნოს სინქრონიული და დიაქრონიული პერსპექტივა, ანუ დაცულ იქნეს ისტორიული თანმიმდევრობა. ენა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად იცვლება ტიპოლოგიურადაც, ე. ი. იცვლება ენის ტიპი. ეს გარემოება აუცილებელს ხდის ერთმანეთისაგან მკვეთრად გავმიჯნოთ სინქრონიული და დიაქრონიული ტიპოლოგია. თუ ეს ორი პერსპექტივა ერთმანეთში იქნა არეული, შედეგიც მცდარი იქნება.

თანამედროვე სტრუქტურული ენათმეცნიერება სავსებით აკმაყოფილებს ორივე ძირითად პირობას. მართალია, თვითონ სტრუქტურული ენათმეცნიერების შიგნით არ არის სრული თანხმობა ენათმეცნიერების კარდინალური საკითხების ირგვლივ, მაგრამ როგორც სხვაობაც არ უნდა იყოს სტრუქტურული ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმართულებას შორის ამოსავალ პრინციპებში, კვლევის შედეგად მიღებული პრაქტიკული შედეგები არ იქნება არაერთხელ სხვადასხვა, რადგანაც სტრუქტურალიზმის სხვადასხვა სკოლა ერთმანე-

თისაგან არ არის გათიშული და მათ შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია წარმოადგენს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საყრდენს. მორფოლოგიური კლასიფიკაცია ყველაზე ძველია და უფრო დამუშავებულიც, რადგანაც ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა მორფოლოგიური კლასიფიკაციაც, ხდებოდა რა უფრო სრულყოფილი და დახვეწილი.

მორფოლოგიური კლასიფიკაცია შეიქმნა მე-19 ს. დასაწყისში. პირველად იგი გამოჩნდა ფრიდრიხ შლეგელის (1778—1829) შრომაში „ინდოელების ენისა და სიბრძნის შესახებ“ (1808 წ.). ფრიდრიხ შლეგელი ენებს ყოფდა ფლექსიურ და აფიქსალურ ენებად. როდესაც ფლექსიურ ენებზე ლაპარაკობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ინდოევროპული ენები, რომელსაც იგი უწოდებდა იდეალურ ტიპს, და ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ინდოევროპულ ენებში ფლექსიის გვერდით საკმაოდ გავრცელებულია აფიქსაციაც.

ფრიდრიხ შლეგელის ძმამ — ავგუსტ ვილჰელმ შლეგელმა (1767—1845) აღნიშნულ ორ ტიპს მესამეც დაუმატა და ენები დაყო ფლექსიურ, აფიქსალურ და ამორფულ ენებად. მისი აზრით, ამორფულია ჩინური, რომელსაც არც ფლექსია ახასიათებს და არც აფიქსაცია და სადაც სიტყვები შიშველი ძირებით არის წარმოდგენილი.

მაგრამ არც ავგუსტ შლეგელის სქემა აღმოჩნდა სრული. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა (1767—1835) მას დაუმატა მეოთხე წევრიც, ე. წ. ინკორპორაციული ენები. ინკორპორაციულ ენებში სიტყვუდრის წინადადებას. სიტყვის დასაწყისი წარმოადგენს ქვემდებარეს, დასასრული — შემასმენელს, სიტყვის შიგნით კი ჩართულია (ინკორპორირებულია) დამატებანი განსაზღვრებებითა და გარემოებებით. მაგალითად, ერთ-ერთ ამერიკელ ინდიელთა ენაში სიტყვა *ninakakwa* იშლება ასე: *ni*—მე, *kwa* — ჰამ, *naka* — ხორც, ე. ი. მებორცვამ ('მე ხორცს ეკვამ'). სიტყვის დასაწყისი *ni* არის ქვემდებარე, დასასრული *kwa* — შემასმენელი, ხოლო მათ შორის ჩართულია *naka* — პირდაპირი დამატება.

ამრიგად, დაემატა რა მეოთხე ტიპიც, ჰუმბოლდტთან მორფოლოგიურმა კლასიფიკაციამ მიიღო შემდეგი სახე: იზოლირებული, აგლუტინაციური, ფლექსიური და ინკორპორაციული. იზოლირებულ ენად მიჩნეული იქნა ჩინური, რადგანაც ამ ენაში გრამატიკული ფორმები იწარმოება არა ძირის ფლექსიით ან აფიქსაციით, არამედ სიტყვათა რიგით წინადადებაში და ინტონაციით. აგლუტინაციურ ენებში გრამატიკული ფორმები იწარმოება აფიქსაციით; აფიქსაცია

დამახასიათებელია ფლექსიური ენებისთვისაც, მაგრამ სხვადასხვა არის ძირისა და აფიქსების დაკავშირების ტექნიკა ფლექსიურსა და აგლუტინაციურ ენებში. ფლექსიურ ენებში სიტყვა ერთ მონოლითურ სტრუქტურას ქმნის, აგლუტინაციურ ენებში კი ძირსა და აფიქსებს შორის კავშირი არ არის მტკიცე და ამიტომ იგი ადვილად იყოფა ძირად და აფიქსებად. ამიტომ ასეთ ენებს ეწოდათ აგლუტინაციური (ლათ. agglutinare — 'მიწებება'). აგლუტინაციური ენებია, მაგ., თურქული ენები, ხოლო ფლექსიურია, მაგ., ინდოევროპული და სემიტური ენები. ჰუმბოლდტმა უარყო აევგუსტ შლეგელის თვალსაზრისი ჩინურის ამორფულობის შესახებ, მაგრამ დატოვა „იდეალური ტიპის“ ცნება და ფლექსიური ენები მანაც ჩათვალა ასეთ იდეალურ ტიპად.

აევგუსტ შლაიხერმა (1821—1868) მორფოლოგიური კლასიფიკაცია თავის გლოტოგონიურ თეორიას დაუდო საფუძვლად: იზოლირებული ენები მიიჩნია ენათა განვითარების პირველ საფეხურად, მეორე საფეხურია აგლუტინაციური ენები, ხოლო მესამე — ფლექსიური. ინკორპორაციული ენები შლაიხერთან იზოლირებულ ენებთან გაერთიანდა და, ამრიგად, მან მიიღო ენის განვითარების სამი სტადია, რომელთაგან ყველაზე სრულყოფილია, მისი აზრით, ფლექსიური ენები.

ენათა მორფოლოგიურმა კლასიფიკაციამ ცვლილება განიცადა შტაინთალთან (1821—1899), მის გადამუშავებას ცდილობდნენ ფ. მისტელი (1893), ნ. ფინკი (1867—1910), მაგრამ მათი ცდა მიმართულია მხოლოდ მორფოლოგიური კლასიფიკაციის დეტალიზაციისაკენ და ამიტომ პრინციპში ვერც შტაინთალმა, ვერც მისტელიმ და ვერც ფინკმა მას ახალი ვერაფერი შემატეს.

ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია მომდევნო თაობის ლინგვისტებისათვის გახდა მკაცრი კრიტიკის ობიექტი, რამაც მიგვიყვანა არა მხოლოდ მის სრულ უარყოფამდე, არამედ ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის თვითონ იდეის უარყოფამდეც კი.

პირველი არსებითი ნაკლი ის არის, რომ მე-19 ს. ყველა ენათმეცნიერს, ვინც კი დაინტერესებულა მორფოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებით, ენის ტიპი მიაჩნდა, როგორც რაღაც პანქრონიული, დროში უცვლელი და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული. ამ თვალსაზრისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა განსაკუთრებით შლაიხერის სტადიალურ თეორიაზე და იგი გახდა არამეცნიერული დასკვნების მიზეზი. შლაიხერს, როგორც აღნიშნული იყო, იზოლირებული ენა მიაჩნდა ენათა განვითარების პრიმიტიულ საფეხურად. მას არ ეგონა, რომ ენობრივი ტიპი დროთა განმავლობაში შეიძლება

შეიცვალოს და ის, რაც დღეს იზოლირებულია, ადრე შეიძლება აგლუტინაციური ან ფლექსიური ყოფილიყო. როგორც ჩინურის ისტორიული თვალსაზრისით კვლევამ, კერძოდ, ტიბეტურთან და სხვა მონათესავე ენებთან შედარებამ აჩვენა, ჩინური არ უნდა ყოფილიყო ყოველთვის იზოლირებული ენა, მას უნდა ჰქონოდა აფიქსების რთული სისტემა, რომელიც შემდეგში მოიშალა—ისევე, როგორც ინგლისურში, და ამ გზით ჩინური იზოლირებულ ენათა რიგში აღმოჩნდა.

ისტორიული პერსპექტივის უქონლობამ განაპირობა ის, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაცია იქცა რასიული თეორიის ლინგვისტურ საფუძვლად. ამტკიცებდნენ, რომ იზოლირებულ და აგლუტინაციურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები დაბალ რასას ეკუთვნიან, ხოლო ფლექსიურ ენაზე მოლაპარაკენი—მაღალ რასას. დღეს ამგვარმა „თეორიამ“ შეიძლება მხოლოდ ღიმილი გამოიწვიოს, მაგრამ იყო დრო, როდესაც იგი სერიოზულ მეცნიერულ თეორიად მიაჩნდათ.

ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის მეორე ძირითადი ნაკლია ტერმინების არაერთნიშნადი განსაზღვრა და საკლასიფიკაციო კრიტერიუმების ერთმანეთში აღრევა. მაგ. აგლუტინაცია ნიშნავს არა მხოლოდ ძირისა და აფიქსების დაკავშირების გარკვეულ ტექნიკას, არამედ აფიქსების ფუნქციონალურ დახატობასაც. მიჩნეულია, რომ ფლექსიურ ენებში აფიქსი პოლიფუნქციონალურია, ხოლო აგლუტინაციურ ენებში — მონოფუნქციონალური. ქართულში, მაგალითად, მორფემა {-ი}-ს სახელებთან აქვს ერთადერთი ფუნქცია (მონოფუნქციონალურია) — იგი არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი (შდრ. წიგნ-ი), რუსულში კი მისი ანალოგიური ბრუნვის ნიშანი, ვთქვათ, {-а} (სიტყვაში книга) ერთდროულად გამოხატავს ბრუნვასაც, მდებრობით სქესსაც და მხოლოდობით რიცხვსაც, ე. ი. პოლიფუნქციონალურია.

ადრეულია ერთმანეთში საკლასიფიკაციო ნიშნებიც; უფრო ზუსტად — კლასიფიკაცია ხდება ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმით. იზოლირებული ენები გამოიყოფა აფიქსების არქონის ნიშნის მიხედვით, რითაც იგი უპირისპირდება აფიქსიან ენებს, როგორც უაფიქსო ენა. აგლუტინაციური და ფლექსიური ენების განსხვავება ხდება უკვე სხვა კრიტერიუმის მოშველებით — თუ როგორია ძირისა და აფიქსის დაკავშირების ტექნიკა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა საკლასიფიკაციო კრიტერიუმების ერთმანეთში აღრევა და თვითონ კლასიფიკაციის უარყოფაც.

მორფოლოგიურ კლასიფიკაციას სხვა ნაკლიც აქვს, მაგრამ ძირითადი ეს ორია. თვითონ საკითხი ენის ტიპისა მორფოლოგიურ

კლასიფიკაციაში მართებულად არის დასმული. ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მთავარი მიზანია სწორედ ენის მთავარი ტიპების დადგენა და უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური კლასიფიკაცია უპასუხებს ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ამ ძირითად მოთხოვნას. თქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ უნდა შევურიგდეთ იმ ტერმინოლოგიურ ქაოსსა და საკლასიფიკაციო კრიტერიუმების ერთმანეთში აღრევას, რასაც ადგილი აქვს ტრადიციულ მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში. ამ თვალსაზრისით იგი არსებითი ხასიათის რევიზიას მოითხოვს, რაც კიდევ არის მიღწეული ამერიკელი ენათმეცნიერის ე. სეპირის მიერ.

სეპირმა ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო ფორმალური პრინციპი. სეპირის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ენაში გამოხატულ ცნებათა (კონცეპტების) ოთხი ტიპის განსხვავება:

1) ძირითადი (კონკრეტული) ცნებები, როგორცაა საგნების, მოვლენებისა და თვისებების გამომხატველი ცნებები გამოიხატება ძირეული ელემენტებით.

2) დერივაციული ცნებები, რომლებიც უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე ძირითადი ცნებები ძირითადად გამოიხატება დერივაციული (მნიშვნელობის მცვლეელი) აფიქსებით.

3) კონკრეტულ-რელაციური ცნებები ხასიათდება უფრო მეტი აბსტრაქტულობით, ვიდრე პირველი ორი და გამოიხატება სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობის მცვლეელი მორფემებით, რომელთა ერთობლიობა ქმნის გრამატიკულ კატეგორიებს.

4) წმინდა რელაციური ცნებები წარმოადგენენ წმინდა აბსტრაქტულ ცნებებს; ესაა სინტაქსური ცნებები ქვემდებარას, შემასმენლის და ა. შ.. აღნიშნული ცნებები გამოიხატება აფიქსაციით, ფლექსიით, სიტყვათა რიგით.

როგორც ეს სქემიდანაც ჩანს, ცნებათა ოთხი რიგი განსხვავდება აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხით, ე. ი. საკლასიფიკაციო ნიშანი ერთია. ეს საკლასიფიკაციო ნიშანი უდევს საფუძვლად სეპირისეულ ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციას, რომელსაც სხვაგვარად კონცეპტუალური კლასიფიკაცია ეწოდება. I და IV ტიპის ცნებები გამოიხატება ყველა ენაში, რადგანაც არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც არ გამოხატავდეს საგანთა, მოქმედებათა და თვისებათა ცნებებს, ე. ი. არ ჰქონდეს სიტყვები და ძირები. ასევე არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც გამოხატული არ იყოს სინტაქსური ცნებები — ქვემდებარისა, შემასმენლისა და ა. შ.. I და IV ტიპის ცნებები ენათა კლასიფიკაციისათვის ვერ გამოდგება, რადგანაც იაონი ყველა

ენისათვის ერთია. ამიტომ ენათა კლასიფიკაციისათვის სეპირი ეყრდნობა II და III ტიპის ცნებებს. მათი გამოხატვის ან არგამოხატვის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ ოთხი სხვადასხვა შემთხვევა, რაც მოგვცემს ენათა ოთხ სხვადასხვა ტიპს.

A. ენები, რომლებშიც არ გამოიხატება II და III ტიპის ცნებები. ე. ი. ასეთ ენებში წარმოდგენილია მხოლოდ I და IV ტიპის ცნებები. ესაა ენები აფიქსაციის გარეშე, სეპირი მათ უწოდებს მარტივ წმინდა-რელაციურ ენებს.

B. ენები, რომლებიც გამოხატავენ ცნებათა I, IV და II ტიპებს. ამგვარ ენებს აქვთ დერივაციული აფიქსები, მაგრამ მათ არ შესწევთ უნარი სინტაქსური მიმართებები გამოხატონ აფიქსების საშუალებით რელაციური აფიქსების უქონლობის გამო. ასეთი ენები წარმოადგენენ წმინდა-რელაციურ ენებს.

C. ენები, რომლებიც გამოხატავენ I, IV და III ტიპის ცნებებს. ამგვარ ენებში, რომელთაც სეპირი მარტივ ნარევე-რელაციურ ენებს უწოდებს, სინტაქსური მიმართებები გამოიხატება აფიქსების საშუალებით, მაგრამ ასეთ ენებს აკლია დერივაციული აფიქსები.

D. ენები, რომლებიც გამოხატავენ I, II, III და IV, ე. ი. ოთხივე ტიპის ცნებებს. ენათა ამ ტიპს ეწოდება რთული ნარევე-რელაციური ენები.

ამრიგად, განსხვავდება ენათა ოთხი ტიპი: 1) მარტივი წმინდა-რელაციური, 2) რთული წმინდა-რელაციური, 3) მარტივი ნარევე-რელაციური და 4) რთული ნარევე-რელაციური ენები. წმინდა-რელაციურია ისეთი ენები, რომლებიც სინტაქსურ მიმართებებს აფიქსების საშუალებით არ გამოხატავენ (A, B), ხოლო ნარევე-რელაციურია ისეთი ენები, რომლებიც სინტაქსურ მიმართებებს აფიქსების საშუალებით გამოხატავენ (C, D).

მარტივი რელაციური ეწოდება ისეთ ენებს, რომელთაც დერივაციული აფიქსები არა აქვთ, ხოლო რთული რელაციური — რომელთაც დერივაციული აფიქსები აქვთ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ტექნიკას მიმართავს ენა, განსხვავდება ოთხი ძირითადი ტიპი: 1) იზოლირებული, ე. ი. ისეთი ენები, რომლებიც არ იყენებენ არავითარ აფიქსაციას. არც დერივაციას და არც რელაციას; 2) აგლუტინაციური; 3) ფუზიური. აგლუტინაციურ და ფუზიურ ტექნიკას სეპირი შემდეგნაირად განასხვავებს ერთმანეთსაგან: ძირი და აფიქსი შესაძლებელია ერთმანეთს დაუკავშირდეს ორი სხვადასხვა გზით. საანალიზოდ ავიღოთ ორი სიტყვა: goodness „სიკეთე“ და depth „სიღრმე“. goodness ნაწარმოებია სიტყვისაგან good „კეთილი“, ხოლო depth

სიტყვისაგან deep „ღრმა“. -ness სუფიქსის დართვით ძირი არ განიცდის რაიმე ფონოლოგიურ ცვლილებას, ხოლო th სუფიქსის დართვით deep იცვლება და გადალევს dep- ფორმას. სეპირის აზრით, good და ness მორფემებს შორის კავშირი მექანიკურია, რადგანაც სხვა შემთხვევაშიც მათ ასეთივე ფორმა ექნებათ, ხოლო dep და th მორფემებს შორის კავშირი არ არის მექანიკური, რადგანაც dep — არსებობს მხოლოდ -th სუფიქსთან კავშირში, სხვა შემთხვევაში კი იგი იქცევა decp ფორმად. ძირსა და აფიქსს შორის მექანიკურ კავშირს ეწოდება აგლუტინაცია (goodness), ხოლო დაკავშირების მეორე სახეს — ფუზია (depth). თუ ენაში ჰარბობს აგლუტინაციური ტექნიკა, მაშინ ასეთი ენა იქნება აგლუტინაციურია, ხოლო თუ ფუზიური ტექნიკა ჰარბობს, ფუზიურ ენასთან გვექნება საქმე.

ენათა მეოთხე ტიპს ქმნის სიმბოლური ენები. სიმბოლიზმი ეწოდება ხმოვანთა მონაცვლეობას ანუ ფლექსიას (შდრ. goose „ბატი“— geese „ბატები“).

იმის მიხედვით, თუ როგორია გრამატიკული და ლექსიკური მორფემების სინთეზის ხარისხი, სეპირი განასხვავებს ენათა სამ ტიპს: ანალიზური, სინთეზური და პოლისინთეზური. თუ გრამატიკული მნიშვნელობა ენაში გამოიხატება ლექსიკურ მორფემასთან კავშირში, მაშინ ენა არის სინთეზური, ხოლო თუ გრამატიკული მნიშვნელობა გამოიხატება სიტყვის გარეთ — დამხმარე სიტყვების, სიტყვათა რიგით ან ინტონაციით, მაშინ ენა არის ანალიზური. პოლისინთეზური ენების ცნება კი იგივეა, რაც ინკორპორაციული ენების ცნება.

ამრიგად, ე. სეპირმა ენათა კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო სამი კრიტერიუმი: 1) ცნების (კონცეპტის) კონკრეტულობის ხარისხი, 2) ტექნიკის ხასიათი და 3) სინთეზის ხარისხი. აღნიშნული სამი კრიტერიუმი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ერთი და იგივე ენა შეიძლება დახასიათდეს სამივე ამ ნიშნით და იმისდა მიხედვით, თუ რომელი საკლასიფიკაციო კრიტერიუმია აღებული, შედეგიც სხვადასხვა იქნება. ასე, მაგალითად, ჩინურს სეპირი ახასიათებს როგორც მარტივ წმინდა-რელაციურ ტიპს (A); ტექნიკის მიხედვით — იზოლირებულს, ხოლო სინთეზის ხარისხის მიხედვით — ანალიზურს. თურქული ხასიათდება როგორც რთული წმინდა-რელაციური ენა, (B) აგლუტინაციური ტექნიკით და სინთეზურობით. ბანტუს ენები წარმოადგენენ მარტივ ნარევ-რელაციურ ტიპს (C), სუსტად აგლუტინირებულსა და სინთეზურს. რთულ ნარევ-რელაციურ ტიპს (D) ეკუთვნიან, ერთი მხრივ, ლათინური, ბერძნული და სანსკრიტი, რომლებიც ერთდროულად ფუზიურიც არიან და ოდნავ აგლუტინაციურიც სიტყვათწარმოების მიხედვით: ამავე ენებისათვის უცხო არ

არის სიმბოლოზმიც. სინთეზის ხარისხის მიხედვით ეს ენები სინთეზურია. მეორე მხრივ, გაპოიყოფა არაბული და ძველებრაული, როგორც სიმბოლოზურ-ფუზიური და სინთეზური.

სეპირის კონცეპტუალური კლასიფიკაცია მიჩნეულია ენათმეცნიერებაში სამაგალითო კლასიფიკაციად. იგი აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რომელიც კი შეიძლება წაუყუენოთ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. მაგრამ ამ სამაგალითო კლასიფიკაციასაც კი აქვს გარკვეული ნაკლი. ზოგჯერ ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ რომელ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ენა. თვითონ სეპირიც კი მერყეობდა ხოლმე ზოგჯერ. ფრანგულს იგი გადაჭრით ვერ აკუთვნებდა ვერც მესამე (მარტივი ნარევე-რელაციური ენები) და ვერც მეოთხე ტიპს (რთული ნარევე-რელაციური ენები). მიუხედავად ამისა, სეპირის კლასიფიკაცია მაინც რჩება ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ყველაზე სრულყოფილ და ადეკვატურ ნიმუშად.

ენობრივი უნივერსალიები. ენათა ტიპოლოგიას საქმე აქვს იზომორფიზმთან, იგი ადგენს იზომორფულ მოვლენებს სხვადასხვა ენაში. იზომორფულმა ტენდენციებმა რომ იჩინოს თავი ენებში, ამისათვის საჭირო არ არის გეოგრაფიული მეზობლობა ან ნათესაობა ენებს შორის; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტენდენციები უფრო ხშირად თავს იჩენს სწორედ გეოგრაფიულად ახლო ან მონათესავე ენებს შორის. მაგრამ იზომორფული მოვლენები შეიძლება დადასტურდეს ისეთ ენებშიც, რომლებიც არც გეოგრაფიულად არიან ერთმანეთთან ახლოს და არც ურთიერთმონათესავე ენებია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ენებში მოქმედებს რაღაც ზოგადი და პანქრონიული კანონები. ასე, მაგალითად, თავისუფალი (მოძრავი) დინამიკური მახვილი და ხმოვნების ფონოლოგიური დაპირისპირება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით ერთი ენის ფონოლოგიურ სისტემაში ერთმანეთთან ვერ თავსდება: თუ ენას აქვს მოძრავი დინამიკური მახვილი, მაშინ ამ ენაში არ გვექნება გრძელი და მოკლე ხმოვნების ფონოლოგიური დაპირისპირება, ხოლო თუ რომელიმე ენაში გრძელი და მოკლე ხმოვნების დაპირისპირება ფონოლოგიურია, მაშინ მახვილი არ იქნება დინამიკური და მოძრავი. ეს კანონი, რომელიც რ. იაკობსონმა დაადგინა, წარმოადგენს უნივერსალურ კანონს, ე. წ. ენობრივ უნივერსალიას.

შეიძლება მივუთითოთ სხვა უნივერსალიებზეც. არსებობს ისეთი ენები, სადაც არა გვაქვს ხმოვნებით დაწყებული ანდა თანხმოვნებით დაბოლოებული მარცვლები, მაგრამ არ არსებობს ისეთი ენები, რომლებშიც არ იყოს თანხმოვნებით დაწყებული ან ხმოვნებით დაბოლოებული მარცვლები. არსებობს ენები სპირანტების (ნაპრა-

ლოვნების) გარეშე, მაგრამ არ დასტურდება ისეთი ენა. რომელშიც არ იყოს ხშულები. არ არსებობს ისეთი ენა. რომელშიც იყოს საკუთრივ ხშულებსა და აფრიკატებს შორის დაპირისპირება (მაგ. თ — ც), მაგრამ არ იყოს მასში ნაპრალოვნები (მაგ. ს). არ არის ისეთი ენა, რომელშიც გვექნოდა წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები, მაგრამ არ იყოს უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები.

ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შეიძლება დაემყაროს სემანტიკურ კრიტერიუმებსაც. სიტყვები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორგვარია — მოტივირებული და არამოტივირებული. ზოგი ენა უპირატესობას აძლევს მოტივაციას, ხოლო ზოგი მას ერიდება. მაგალითად, ფრანგული ენა გაურბის მოტივირებულ სიტყვებს, გერმანული კი, პირიქით, მოტივირებულ სიტყვებს უხვად იყენებს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

ფრანგული	გერმანული	
dé	Fingerhut	„სათითური“
gant	Handschuh	„ხელთათმანი“
entrer	hineingehen	„შესვლა“
sortir	hinausgehen	„გასვლა“

მოტივირებული და არამოტივირებულ სიტყვათა ხვედრით წონაზე დაყრდნობით შეიძლება განვასხვაოთ ენათა ლექსიკური და გრამატიკული ტიპი. ფრანგული ლექსიკური ტიპის ენაა, რადგანაც ყოველი ახალი ცნების გამოსახატავად იგი ახალ ლექსიკურ ერთეულს იყენებს, გერმანული კი გრამატიკული ტიპის ენაა, რადგანაც იგი ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად გრამატიკულ საშუალებებს მიმართავს და ერთი ძირიდან რამდენიმე სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულს აწარმოებს.

ყველა აღნიშნული კანონი წარმოადგენს უნივერსალურ და პანკრონიულ კანონს, რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ ყველგან და ყოველთვის და მიგვიითითებენ იმ ძირითადი ხასიათის სტრუქტურულ შეზღუდვებზე, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს ენას საერთოდ. ამგვარი უნივერსალიებისაგან მკვეთრად უნდა განვასხვაოთ იზომორფული ტენდენციები, რომლებიც თავს იჩენს გეოგრაფიულად მახლობელ ენებში და რომელთა მოქმედების არე შემოფარგლულია გარკვეული გეოგრაფიული არეალით და გარკვეულადროით.

არ არის აუცილებელი, რომ ორი ენა მონათესავე იყოს, რათა მათში თავი იჩინოს საერთო მოვლენებმა, შეიძლება ორი ენა სრულიად არ იყოს ერთმანეთთან რაიმე ნათესაურ კავშირში, მაგრამ, თუ ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთის მეზობლად

იქნებიან, მათში აუცილებლად თავს იჩენს გარკვეული ტიპოლოგიური მსგავსება. მსგავსების ეს სახე მიიღება ერთი ენის მეორე ენაზე გავლენის შედეგად, რასაც ხშირად დანათესაებებას უწოდებენ. დანათესაების შედეგად წარმოიქმნება ე. წ. ენათა კავშირები (Sprachbund). ენათა კავშირების ცნება გეოგრაფიული, არეალურ-ცნება და იგი გულისხმობს არა ენათა ნათესაობას, არამედ ერთ გეოგრაფიულ არეალში მოხვედრილი ენების ტიპოლოგიურ მსგავსებას. ასე, მაგალითად, კავკასიური ენები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი ენათა კავშირი, რადგანაც ყველა კავკასიურ ენაში გვაქვს ე. წ. კავკასიური აბრუპტივები (პ, ტ, წ, ჰ, კ, ყ). ოსური და სომხური არ არიან კავკასიური ენები, მაგრამ აბრუპტივი სმულეები ამ ენებშიც გვაქვს, რაც დანათესაების შედეგს წარმოადგენს.

ტიპოლოგიურისა და გენეალოგიური კლასიფიკაციის ურთიერთ-მიმართება. გენეალოგიური კლასიფიკაცია ენებს აჯგუფებს საერთო წარმომავლობის მიხედვით, რის შედეგადაც გამოიყოფა ენათა ოჯახები. ტიპოლოგიური კლასიფიკაციებისას მხედველობაში მიიღება სტრუქტურული მსგავსება-განსხვავებანი და ამ ნიშნის მიხედვით ხდება ენათა ტიპების გამოყოფა. რა თქმა უნდა, გენეალოგიური კლასიფიკაცია არის ამავე დროს ტიპოლოგიური კლასიფიკაციაც, რადგანაც წინარე ენის რეკონსტრუქცია არის ამავე დროს ამოსავალი ენის ტიპის დადგენაც დიაქრონიულ ასპექტში. ასე, მაგალითად, ისტორიულად დადასტურებული ინდოევროპული ენები ტექნიკის მიხედვით იყოფა ანალიზურ და სინთეზურ ენებად (სანსკრიტი, ბერძნული, ლათინური სინთეზური ენებია, ხოლო ინგლისური, გერმანული, ფრანგული — ანალიზური). ინდოევროპული ფუძეენა კი მხოლოდ სინთეზური უნდა ყოფილიყო, რადგანაც ანალიზური წყობა გვიანდელი მოვლენაა ინდოევროპულ ენებში და იგი წინარე ენისათვის დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არ უდრის გენეალოგიურ კლასიფიკაციას. უფრო მეტიც, იგი სულ სხვაა როგორც თავისი მეთოდით, ისე ამოსავალი პრინციპებითა და მიზნებით. ამიტომ გენეალოგიური კლასიფიკაცია შეუძლებელია შევცვალოთ ტიპოლოგიურით და, პირიქით, ტიპოლოგიური — გენეალოგიურით. ენათმეცნიერებაში იყო ცდები გენეალოგიური კლასიფიკაცია შეეცვალოთ ტიპოლოგიური კლასიფიკაციით, უფრო სწორად—ენათა ოჯახი განესაზღვრათ ტიპოლოგიური კრიტერიუმებით. ასეთი ცდა ეკუთვნის ნ. ტრუბეტკოის, რომელმაც ინდოევროპულ ენათა ოჯახი დაახასიათა შემდეგი ექვსი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

- 1) ხმოვანთა ჰარმონიის არარსებობა,
- 2) სიტყვის დასაწყისში დასაშვებ თანხმოვანთა რაოდენობა არ აღემატება სიტყვის შიგნით დასაშვებ თანხმოვანთა რაოდენობას.
- 3) სიტყვა არ იწყება აუცილებლად ძირით, ე. ი. გვაქვს პრეფიქსაცია.
- 4) ფორმათა წარმოება ხდება არა მხოლოდ აფიქსაციის, არამედ სიტყვის შიგნით ხმოვანთა მონაცვლეობის საშუალებითაც.
- 5) ხმოვანთა მონაცვლეობის გვერდით გრამატიკული ფორმების წარმოებისას გარკვეულ როლს ასრულებს თანხმოვანთა მონაცვლეობაც.

6) გარდამავალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვა არ განსხვავდება გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვისაგან.

თითოეული ეს ნიშანი ცალკე აღებული, შეიძლება შეგვხვდეს რომელიმე არაინდოევროპულ ენაში ან ენებში, მაგრამ მათი ერთობლიობა, — აღნიშნავდა ტრუბეცკოი, — მხოლოდ ინდოევროპული ენებისთვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ, როგორც ეს ე. ბენვენისტმა გაარკვია, ექვსივე ეს ნიშანი ახასიათებს ისეთ აშკარა არაინდოევროპულ ენას, როგორცაა ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ენა — ტაკელმა. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ენებს შორის არსებული ტიპოლოგიური მსგავსება არ აიხსნება საერთო წარმომავლობით, სტრუქტურული მსგავსება შეიძლება დავადასტუროთ სრულიად არამონათესავე ენებს შორისაც. ამიტომ ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ვერ შეცვლის გენეალოგიურ კლასიფიკაციას.

ვერც გენეალოგიური კლასიფიკაცია შეცვლის ტიპოლოგიურს. ენათმეცნიერებაში იყო იმის ცდებიც, რომ ერთადერთ მეცნიერულ კლასიფიკაციად ეცნოთ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია და ზერელედ მოეხსენებინათ ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. მაგრამ ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაციის შეცდომები არ იძლევა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის უარყოფის საფუძველს, რადგანაც ეს შეცდომები შეიძლება დაიძლიოს და ენათა ტიპოლოგიური კვლევა დადგეს მყარ მეცნიერულ საფუძველზე.

ტიპოლოგიურ კვლევას შეუძლია დაუფასებელი სამსახური გაუწიოს ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას. ასე, მაგალითად, ინდოევროპულ ენათა შედარებისა და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ინდოევროპულ წინარე ენაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ ერთადერთი ხმოვანი, რომელსაც აღნიშნავენ *e* სიმბოლოთი. მაგრამ ენათა ტიპოლოგიური კვლევა გვიჩვენებს, რომ ენა ერთადერთი ხმოვნით არ არსებობს. ამიტომ ექვსი

ქვეშ დგება ც ხმოვნის რეკონსტრუქციის საკითხი ინდოევროპულ წინარე ენაში. მაგრამ ყაბარდოულისა და აბაზურის ფონოლოგიურ-მა ანალიზმა აჩვენა, რომ სავსებით შესაძლებელი ყოფილა არსებობდეს ენაში ერთადერთი ხმოვანი ფონემა. ეს ხმოვანია ყაბარდოულში /a/, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სხვადასხვა პოზიციური ვარიანტი (ალოფონი). სანამ ყაბარდოულს ფონეტიკური თვალსაზრისით სწავლობდნენ, ეს ფაქტი შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგანაც ამ ენაში ყველა ის ხმოვანი იყო წარმოდგენილი, რაც კი შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ ენაში, მაგრამ ფონოლოგიური მეთოდების მკაცრმა და თანმიმდევრულმა გამოყენებამ ა. კ ვ ი პ ე რ ს ი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყაბარდოულში გვაქვს მხოლოდ ერთი ხმოვანი მისი პოზიციური ან თავისუფალი ალოფონებით. ან ფაქტის აღმოჩენის შემდეგ მოიხსნა დებულება იმის შესახებ, რომ ენა არ შეიძლება არსებობდეს ერთადერთი ხმოვანი ფონემით, რაჟაც დამაჯერებელი გახადა ინდოევროპულ წინარე ენაში ერთადერთა ხმოვნის რეკონსტრუქციაც.

დიაქრონიული ტიპოლოგია. ენა არ წარმოადგენს უცვლელ კატეგორიას. დროში იგი იცვლება არა მხოლოდ სტრუქტურის მიხედვით, არამედ ტიპოლოგიურადაც. დღევანდელი ფრანგული ანალიზური ტიპის ენაა, მაგრამ ლათინური, რომლისგანაც ფრანგულია წარმოშობილი, სინთეზური წყობის ენა იყო. თანამედროვე ჩინური ძირეული ენაა, მაგრამ ისტორიულად ჩინურს დერივაციული აფიქსები უნდა ჰქონოდა; სეპირის კლასიფიკაციის მიხედვით დღეს იგი ეკუთვნის ენათა პირველ (A) ტიპს (მარტივი წმინდა-რელაციური ენები), ისტორიულად კი იგი რთულ წმინდა-რელაციურ ენათა ტიპისა იყო (B).

დიაქრონიულ ტიპოლოგიას ჯერჯერობით მხოლოდ თავის პირველი ნაბიჯები აქვს გადადგმული, რადგანაც ყველა ენა სათანადოდ არ არის შესწავლილი ისტორიული თვალსაზრისით და არ არის რეკონსტრუირებული წინარე ენები ყველა ენათა ოჯახისათვის. თუ რამდენად არის საჭირო წინარე ენების რეკონსტრუქცია დიაქრონიული ტიპოლოგიისათვის, ენახოთ ეს ქართველური და ინდოევროპული წინარე ენების შედარების მაგალითზე.

თანამედროვე მდგომარეობიდან თუ ამოვალთ, ქართველური ენები არ ამქლავებენ სტრუქტურულ სიახლოვეს ინდოევროპულ ენებთან, მათ ვერ განვიხილავთ ვერც როგორც ერთ ენობრივ ტიპს და ვერც ერთ ენობრივ კავშირს. ქართველური წინარე ენის რეკონსტრუქციამ კი აჩვენა საოცარი ტიპოლოგიური სიახლოვე ინდოევრო-

პულ წინარე ენასთან. ეს პარალელიზმი შეინიშნება მორფოლოგიასა და ფონოლოგიაში.

როგორც ინდოევროპულ, ისე ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში განსხვავებული უნდა ყოფილიყო ფონემათა სამი კლასი. 1. ხმოვნები [ა ა, ე ე, ო ო], 2. სონანტები [ა უ მ ლ რ], მარცხლოვანი [ი უ მ ლ რ] და უმარცხო [ა უ მ ლ რ] ალოფონებით. 3. თანხმოვნები.

ქართველური და ინდოევროპული ძირი და სუფიქსი ერთნაირი სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო. ძირისათვის დამახასიათებელია CVC (თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი) სტრუქტურა, ხოლო სუფიქსისათვის — VC (ხმოვანი + თანხმოვანი) სტრუქტურა. ერთნაირია ძირისა და სუფიქსის შეერთების წესებიც. თუ ძირს აქვს ნულოვანი გახმოვანება CC (თანხმოვანი + თანხმოვანი), მაშინ სუფიქსს ექნება სრული გახმოვანება VC (ხმოვანი + თანხმოვანი), ე. ი. გვექნება CCVC მოდელი, ხოლო თუ ძირი სრული გახმოვანებით არის წარმოდგენილი, ძირს ნულოვანი გახმოვანება ექნება CVCC.

დღეისათვის ქართველური ენები აგლუტინაციურ ენებად ითვლებიან, ისტორიულად კი ეს ენები ფუზიური ანუ ფლექსიური უნდა ყოფილიყვნენ, ისევე როგორც ინდოევროპული ენები. ქართველური ენის ფლექსიური ხასიათი კარგად ჩანს ძირეული და სუფიქსურ მორფემების შეერთების განხილული წესებიდან. ეს გარემოება კი იმაზე მიგვითითებს, რომ ენები ტიპოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად შეიძლება დახასიათდნენ (სხვადასხვა ტიპები გაერთიანდნენ) იმის მიხედვით. თუ რა არის ამოსავალი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დროს — სინქრონიული თუ დიაქრონიული თვალსაზრისით.

ა. საზნობრივი საძიებელი

ბ

აბლატივი 204.
 აბლაუტი 87.
 აბრუპტივი 65, 66.
 აგლუტინაცია 328, 331.
 აგლუტინაციური ენები 287, 288, 289, 290; 326, 327, 328, 330, 331, 337.
 ადაპტირებული სიტყვები 166, 167.
 აესტრალიის ენები 320.
 აზრი 9, 16.
 აზრის გამოხატვის ფუნქცია 6.
 " დანაწევრება 11.
 " სინთეზი 9.
 " წარმოქმნა 11.
 აინუური ენა 324.
 აკუსტიკური ეფექტი 72.
 ალომორფი 274, 275, 276, 277, 278.
 " მორფოლოგიურად შეპირობებული 277.
 ალომორფის დისტრიბუცია 276.
 ალოფონი 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 325, 336.
 ალოფონი თავისუფალი 228, 336.
 " პოზიციური 268.
 ალველარული 48, 66, 67.
 ალვეოლები 43.
 ალომორფი 178, 179, 181, 182, 184, 185, 186, 188, 189, 192.
 ალტერნაცია 87.
 " თავისუფალი 267.
 " პოზიციური 267.
 ალფაბეტი 240.

ამბუშური 112, 114.
 ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკა 254, 266.
 ამერიკული სტრუქტურალიზმი 256.
 ამორფული ენები 288, 326, 327.
 ანალიზური ენები 289, 331, 334.
 ანალოგია 88, 90.
 " მადიფიკაცირებული 88, 89, 90.
 ანალოგია ნეიტრალური 88, 90.
 " ფუნქციონალური 88, 89, 90.
 ანატოლიის (მცირე აზიის) ინდოევროპულ ენათა ჯგუფი 304.
 ანტითეზი 153.
 ანტონიმი 152, 153, 154, 160, 170.
 " ნაირძირიანი 152
 აპიკალური თანხ. 48. -
 არაადაპტირებული ერთეულები 166.
 არაბგერითი ენა 14, 15, 33.
 არადისტინქციური ოპოზიცია 274, 275, 277.
 არაკომუნიკაციური სიტყვა 117.
 არამონათესავე ენები 262.
 არამორტივირებული სიტყვები 333.
 არათონოლოგიური ოპოზიცია 274.
 არაპრედიკატული წყვილი 217, 218.
 არასრულმნიშვნელობიანი სიტყვები 125.
 არათონოლოგიური დაპირისპირება 71.
 არეალური ლინგვისტიკა 227.
 არსებითი სახელი 125, 127, 165, 175, 209, 211, 214, 215, 216, 219, 222.

* საძიებლები შეადგინა თ. აბზიანიძემ

არტიკლი 127, 211, 212, 213, 216.

არტიკულატორი 44.

არტიკულაცია 38, 44, 47.

„ მგორეული 78, 79

„ პირველადი 78, 79.

არტიკულაციის ერთმამიერობის წესი 77.

არტიკულაციის უმოკლესი გზის წესი 76

არტიკულაციური ფონეტიკა 41.

არქაიზმი 169, 170.

არქეტები 264.

ასიმილატორი 82, 83.

ასიმილაცია 81, 82, 83, 84.

ასიმილაციური გამჟღერება 82.

„ გაყრუება 82.

ასიმილირებული ბგერა 82.

ასო 15, 239, 240.

ასოებრივი წერა 239.

ასოციაციური შიშართება 68.

ასპირატები 65, 66.

ასპირაცია 42, 65, 66.

ასპირირებული თანხ. 66.

ატრიბუტული სინტაგმა 218.

აფიქსი 128, 133, 136, 144, 174, 175, 190, 191, 192, 287, 328.

აფიქსალური ელემენტი 136.

აფიქსაცია 172, 326, 329, 334.

აფიქსისეული მორფემები 172, 174.

აფრიკატი 47, 50, 51, 65, 76.

აფრიკის მკვიდრთა ენები 321, 322.

აფხაზურ-ადრღეურ ენათა ჯგუფი 311, 312.

აქტივი 210.

აქტიური ზმნა 209.

„ ლექსიკა 164.

„ ორგანოები 44.

აქცენტი 47.

აქცესიური კომპლექსი 77, 105, 106.

ალმნიშენელი 17, 20, 21.

ალსანიშნი 16, 17.

ალწერითი გრამატიკა 253.

„ ენათმეცნიერება 254.

ალწერილობითი ფონეტიკა 40.

ბ

ბაკეები 43.

ბაგისმიერი 48, 50.

ბაკე-კბილისმიერი 48.

ბალტიურ ენათა ჯგუფი 297.

ბანტუ ენები 321, 322.

ბასკური ენა 324.

ბგერა 38, 39, 41, 52, 53, 54, 55, 56, 57, 69, 73, 74, 267, 249.

ბგერა მაგარი 79.

„ რბილი 79.

ბგერათა აბსოლუტური ხასკრძლიეობა 92.

ბგერათა დანტანციური გაულენა 74.

„ კონტაქტური გაულენა 74.

ბგერათა სივრძე-სიმოკლე 55, 92, 94, 95.

ბგერათმონაცვლეობა 86.

ბგერათრაოდნობა 55, 92.

ბგერათრედუქცია 87, 88.

ბგერათსუბსტიტუცია 88.

ბგერათშეერთება 74, 75, 80, 106.

ბგერათშეერთების პირველი წესი 76, 86.

„ მეორე წესი 76.

„ მესამე წესი 77.

ბგერათშერთვა 75.

ბგერათშერთწემა 75.

ბგერათშესატყვისობა 251, 262.

ბგერათხანაცვლება 88, 149.

ბგერათცვალებადობა 80.

ბგერათცვლილებები 80.

ბგერათცვლილების კანონზომიერება 89.

ბგერათწარმოება რაკვარობის მიხედვით 83.

ბგერთი ენა 14, 15, 32, 33, 35, 232.

„ მერყველება 39.

„ სიგნალები 12.

„ სისტემა 246.

ბგერის აკუსტიკური ეფექტი 49.

„ არტიკულაციურ-აკუსტიკური ასპექტი 39.

ბგერის დისიმილაციური დაკარგვა 85.

„ ელფერი 55.

„ ინტენსივობა 55.

„ რელატიური ხანგრძლიეობა 92.

„ საკუთრივ ფონეტიკური ას-

პეტი 39.
 ბერის სიმაღლე 53, 54, 55, 56, 92.
 „ სინთეზი 9.
 „ სიმლიერე 53, 55.
 „ სპექტრალური ანალიზი 41.
 „ ფონემატური ღირებულება 240.
 ბერის ფორმანტული შედგენილობა 116.
 ბერის ფუნქცია 38, 39, 40.
 „ ფუნქციონალური ასპექტი 39.
 „ შეფარდებითი ხანგრძლივობა 54, 92.
 ბერის ხანგრძლივობა 53, 54, 92, 93, 94, 100.
 ბერძენული ენის ჭგუფი 203.
 ბექდისებრი ხრტილი 42.
 ბილაბიალური 48, 50, 66.
 ბილატერალური 51.
 ბინარული (ორობითი) ანალიზი 222.
 ბირთვი 226, 227.
 ბონისის წარწერები 242.
 ბრონქიოლები 42.
 ბრენვა 202, 203, 204, 209.
 „ ირიბი 208, 210, 247.
 „ პირდაპირი 208, 209, 247.
 ბრუნვათა სისტემა 213.
 ბრძანებითი წიხადდება 218.

ბ

გაგონება-გაგება 39.
 გადატანითი მნიშვნელობა 144.
 გამომატელობითი ფუნქცია 6, 8, 10, 11, 14.
 გამოხატულების პლანი 280.
 გამონათქვამი 96.
 გამოსახატავი ფუნქცია 16.
 გამართებითი ლექსიკონი 171, 259.
 განსაზღვრება 126, 138, 216, 218, 230.
 განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა 202, 211, 213, 216.
 განხშვა 49, 72.
 გაორკეებული თანხმოვნები 146.
 გაორმაგებული თანხმოვნები 76, 93.
 გარეგანი ფლექსია 287.
 გარემოება 126, 216.

გვარი 202, 208, 213.
 „ აქტორი 208.
 „ პასიური 208.
 „ საშუალო 210.
 გეოგრაფიული ენები 35, 36, 37.
 გეოგრაფიული თანხ. 51.
 გენეის ენები 322.
 გემინაცია 76.
 გემინატი 76, 93.
 გემინირებული თანხ. 93.
 გენეალოგიური ხე 252, 257.
 გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა 252, 257, 286, 287, 290, 334, 335.
 გენეალოგიური მიმართებები 257.
 გენერატორული გრამატიკა 231.
 გენეტივი 264, 205.
 გეოგრაფიული სახელები 157.
 „ ტერმინები 156.
 გერმანიულ ენათა ჭგუფი 297—299.
 გლოსემატიკა 254, 255.
 გლოტოგონიური თეორია 327.
 გრამატიკა 136, 165, 176, 183, 184, 189, 246, 248, 249.
 გრამატიკის დონე 324.
 გრამატიკული დერივაცია 133, 135, 136, 172.
 გრამატიკული კატეგორიები 200, 201, 202, 213, 329.
 გრამატიკული მნიშვნელობა 136, 179, 180, 181, 182, 183, 185, 186, 189, 200, 201.
 გრამატიკული მნიშვნელობის მცვლეელი მორფემა 329.
 გრამატიკული მორფემა 183, 212, 331.
 „ რიცხვი 205.
 „ სქესი 206.
 „ ტერმინების კალკები 168.
 „ ფუნქცია 84, 137, 138.
 გრამემა 201, 202, 206.
 გრაფემა 235.
 გრაფიკული ენა 14, 15.
 „ ხელოვნება 233.
 გრიმის კანონი 89, 90.
 გრძელი თანხმოვანი 76.
 „ ხმოვანი 146.

გრძლივი ბეგრები 54.

გულმკერდის ღრუ 42.

დ

დაბალი სტილის სიტყვები 169.

დაბრკოლებათა ადგილი 48.

დამართვა 45, 46.

დამატება 126, 138, 216, 224.

დამატებითი დისტრიბუცია 269, 270, 271, 273, 274, 277, 278, 279, 282, 283, 284.

დამტებითი საწარმოო-ქმომოძრაობა-მდგომარეობა 78.

დამწერლობა 32, 33, 222, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 243.

დამოკიდებული წინადადება 228.

დამხმარე სიტყვები 125, 127, 128, 288, 289, 331.

დანაწევრებითი ფუნქცია 8, 10, 11, 16, 29, 33.

დანაწევრებული ბეგრა 13.

დანიური სტრუქტურალიზმი 254, 255.

დაპირისპირების ცნება 70.

დარბილებული ბეგრა 79.

დატივი 204.

დაუნაწევრებული შეტყუება 234.

დაყოვნება 45, 46.

„დეენაგარი“ 239.

დებანაგარიატია 87.

დემოტიური დამწერლობა 237.

დენტალური 48, 66, 67, 86.

დენტი-ლატერალური 86.

დენტი-ფაუჯალური 86.

დერივაცია 133, 134, 135, 136, 172, 174, 192.

დერივაციული აფიქსი 133, 329, 330, 336.

დერივაციული ცნებები 329.

დესკრიფციული ლინგვისტიკა 255, 256.

დეტერმინანტი 174, 175.

დეტერმინანტივი 175.

დესკრიფციული კომპლექსი 77, 105, 106.

დიაკრიტიკული ნიშნები 240.

დიალექტი 11, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 169, 261.

დიალექტოლოგია 25, 26.

დიალექტოლოგიური ლექსიკონი 171.

დიალექტური ლექსიკონი 151.

დიასისტემის მეთოდი 26.

დიფერენცია 41, 42.

დიაქრონია, 28, 29, 30, 31, 32, 254, 255.

დიაქრონიული ლინგვისტიკა 28, 29, 30.

„ „ „ კერსპექტივა 325.

„ „ „ ტიპოლოგია 326, 336.

დისტინქტური ოპოზიცია 275, 277.

დისტრიბუცია 266, 268, 269, 270, 271, 273, 278.

დისტრიბუციული ანალიზი 265, 278, 279, 284.

დისტრიბუციული კრიტერიუმი 276.

„ „ მეთოდი 179, 256, 266, 268.

დისტრიბუციული მიმართებები 273, 274.

„ „ მიმდინარეობა 266.

დისიმილაცია 81, 84, 85.

დისტინქტური ფუნქცია ბეგრისა 40

დისტრიბუცია 68.

„ „ იდენტური 71.

„ „ გადაწყვეტი 71.

„ „ დამატებითი 72.

დისტრიბუციული მიმართება 68.

დიფერენციაციის პროცესი 21, 23, 24.

დიფთონგი 76, 104.

„ „ აღმავალი 76.

„ „ დამავალი 76, 77.

„ „ ნამდვილი 77.

დიფთონგობა 57.

დრავიდული ენები 317.

დრო 202.

დროის გარემოება 216.

დროის კატეგორია 213.

დრო-კლოთა წარმოება 262.

ე

ეეფემიზმი 131, 132, 133.

ეთნოლინგვისტიკა 256, 257.

ელექტროაკუსტიკური საშუალებები 102

ელექტროდინამიკური მიკროფონი 112, 113, 114.

ელექტროოსცილოგრაფია 116.

ელიფსი 157, 158, 159.

ელიფსური კონსტრუქციები 229.

ემპირიული გრამატიკა 246.

- გნა 10, 11, 12, 13, 14, 17, 21, 22, 23, 24, 25, 29, 256, 266, 324.
- გნა (ანატ) 43, 47.
- „ უკანა 43. .
- „ შუა 43.
- „ წინა 43, 47.
- ენის ზურგი 43.
- „ ძირი 43.
- „ წვერი 43, 47.
- ენა და აზროვნება 11, 249.
- ენა და მეტყველება 41, 254.
- ენა და საზოგადოება 10.
- ენათა აღრევა 285.
- „ კლასიფიკაცია 285, 324.
- „ კონტაქტები 262.
- „ კავშირები 334.
- „ ლექსიკური ტიპი 333.
- „ ლექსიკური შეპირისპირება 285.
- „ მორფოლოგიური შეპირისპირება 286.
- ენათა ნათესაობა 286, 290, 291, 292, 334.
- „ ნარეობა 257.
- „ სემანტიკური შეპირისპირება 286.
- „ სინტაქსური შეპირისპირება 286.
- „ სტრუქტურული მსგავსება 324.
- „ სტრუქტურული ტიპოლოგია 286, 289.
- ენათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური შეპირისპირება 286.
- ენათა შერევა 257.
- ენათმეცნიერება 7, 22, 23, 24, 38, 41, 246, 247, 248, 249, 258, 266, 268.
- ენათმეცნიერების ისტორია 246—260.
- „ შესავალი 3, 4, 259.
- ენანტიოსემია 154.
- ენა როგორც ნიშანთა სისტემა 16, 17.
- „ საზოგადოებრივი მოვლენა 254.
- „ სოციალური მოვლენა 254.
- ენერგია 15, 33, 251.
- ენის ინდივიდუალისტური გაგება 252.
- „ ინდივიდუალისტურ-ფსიქოლოგიკური კონცეფცია 253.
- ენის ისტორიული ცვალებადობა 81.
- „ ლინგვისტიკა 12.
- „ ლექსიკური მარაგი 163.
- „ შედგენილობა 163, 164, 165, 167.
- ენის სემანტიკური სისტემა 20.
- „ პლანი 176.
- „ შინაარსობრივი პლანი 176, 177.
- „ ფონეტიკური სისტემა 81.
- „ ფუნქციები 6.
- „ შინაფორმა 251.
- ენეკლიტიკა 97.
- ენობრივი ელემენტის ღირებულება 67.
- „ ლექსიკონი 170.
- „ ნიშნის ღირებულება 67, 68.
- „ ტიპი 327.
- „ უნივერსალიები 332—334.
- „ ფორმა 234.
- ენციკლოპედიური ლექსიკონი 170.
- ერგატიული კონსტრუქცია 262.
- ერგონი 15, 33, 251.
- ერთენოვანი ლექსიკონი 171.
- ერთმნიშვნელობიანი სიტყვა 157, 159, 163.
- ეროვნული ენები 35, 36, 37.
- ერთეამიერობა 106.
- ესთეტიკური იდეალიზმი 253.
- ესეიმოსური ჯგუფი 320.
- ეტიმოლოგია 154, 156.
- ეტიმოლოგიზირება 156.
- ეტიმოლოგიური ლექსიკონი 171.
- ეტიმონი 155.
- ექსკურსია 45.
- ექსპერიმენტული ფონეტიკა 41, 52, 57, 107, 108, 259.
- ექსპირაცია 45, 102.
- ექსპირაციული ჰაერნაკადი 49.
- ექსპლოზია 72, 103.
- ექსპრესიული ფუნქცია 6.
- ექსტროვერტიული აომპლექსი 106.

- ვარიანტი 73, 267, 274, 336.
- ვარიება თავისუფალი 269, 270, 277, 278, 282, 284.
- ველარული 49, 61, 66, 67, 79.
- ველარიზაცია 69, 78, 79.
- ვერნერის კანონი 90.
- ვერსია (ქცევა) 210.
- ვიზრანტები 50, 51, 67.

კობაცია 53.

კითარების გარემოება 216.

კოკალიზმი 262.

კოკატივი 201.

ზ

ზელსართავი 119, 126, 165, 175, 209, 214, 215, 219, 223.

ზეპირშეტყველება 159, 232, 233, 243.

ზესაღვამი მილი 48.

ზესეგმენტური ერთეულები 136, 137.

ზმნა 119, 125, 138, 202, 203, 207, 208, 209, 214, 215, 223, 224, 225.

ზმნიზედა 162, 209, 211, 214, 215, 219, 223, 248.

ზმნისწინი 152.

ზოგადი გრამატიკა 249.

„ ენათმეცნიერება 251.

„ სახელი 120, 121, 122.

თ

თანაარტიკულაცია 74.

თანააფიქსი 173, 174.

თავსართი 172, 173.

თარ — ჩინური ჭგუფი 316, 317.

თანამახვილი 97, 98.

თანამედროვე ენათმეცნიერება 25, 28.

თანარხვეა 56.

თანატონი 55.

თანდებული 211, 212, 214, 216, 288.

თანწყობა 219, 227.

თანხმოვანთგადაწევა 89.

თანხმოვანთმონაცულობა 87, 260, 335.

თანხმოვანი 58, 59, 60, 62, 337.

„ გაორმაგებული 93.

„ გემინირებული 93.

„ ვრძელი 93.

„ რთული 65.

„ ძლეგრშემარტვიანი 103, 104.

თუორიული ფონეტიკა 257.

თესვი 16.

თურქულ ენათა ოჯახი 308—311.

თქმა 21, 22, 23.

თხრობითი წინადადება 103, 137, 218.

თხზვა 138.

ი

იპონური ენა 324.

იარაღობრივი მეთოდი 41, 52, 107.

იდეოგრაფია 235, 237.

იდეოგრაფია 235.

იდეოგრაფიული წერა 234, 235, 237, 240.

ილიოლოგიური ლექსიკონი 171.

ილიომატიკა 161, 162, 163.

ილიოლექტი 22, 23.

ილიომი 117, 162, 163.

იელის სკოლა 266.

იეროგლიფი 235, 237.

იეროგლიფური დამწერლობა 235.

იზოგლოსი 26.

იზოლატიური ენები 288.

იზოლირებული ენები 330, 327, 328.

იზომორფიზმი 332.

იზომორფული ტენდენცია 333.

იმპლოზია 103.

ისლივიდულისტური ფსიქოლოგისმი 252.

ისლივირებული მღვდარეობა 44, 45, 46.

ისლივირობულ ენათა ოჯახი 291, 292—305.

ისლივირობულ ენათა შედარებითი გრამატიკა 259.

ისლივირობული ენები 206, 250, 252, 266, 277, 291.

ისლივირობული სუფიქსი 337.

„ ფუძე ენა 334.

„ ძირი 337.

ისლივირობული წინარე ენა 335, 337, 337.

ისლური ენები 292, 293.

ისლივირობული ენები 290, 326, 327, 331.

ისლივირობირებული არსებითი სახელი 290.

ისლივირაცია 45.

ისტორიულმეტალოგი 209, 210.

ისტორიული პროცესი 23, 24.

ისტორიულმეტალოგი 47, 48, 50.

ისტორიული 136.

ისტორიული 172.

ინტენსივობა 137.
 ინტონაცია 38, 95, 99, 100, 136, 137, 288, 326.
 ინტონაცია აღმავალი 100, 101.
 „ დაშავალი 100.
 ინტონაცია კითხვითი 100.
 „ ძახილის 101.
 ისტონაციის გრამატიკული ფუნქცია 259.
 ინტროდუქციული კომპლექსი 106.
 ინფიქსი 173, 191, 192.
 ინფორმაციის გადაცემა 258.
 „ თეორია 258.
 ინფრაბგერები 53.
 ირაციონალური ხმოვანი 86.
 ისტორიული ბევრათმონაცვლეობა 87.
 ირანულ ენათა ჯგუფი 293, 294.
 ირელევანტური ნიშანი 273, 274.
 ისტორიზმი 253, 254.
 ისტორიული გრამატიკა 254.
 ისტორიული ენათმეცნიერება 250.
 „ ლექსიკონი 171.
 ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება 251, 335.
 ისტორიულ-შედარებითი მეთოდი 260, 261, 262, 265, 266.
 იტალიურ ენათა ჯგუფი 299.
 იქითური კომპლექსი 106.

კ

კავასიური ენები 288, 311—315.
 კავასიური ლატერალები 86.
 „კავასიური ხშულები“ 65.
 კავშინალური 48.
 კაკი 168.
 კარტოგრაფიული მეთოდი 26.
 კბილთაშუა თანხ. 48, 50.
 კბილისმიერი 48.
 კენტეშ ენები 305.
 კელტურ ენათა ჯგუფი 302, 303.
 კვანტიტატიული კატეგორიები 211.
 კვანტიტეტი 55, 94.
 კითხვითი წინადადება 137, 218.
 კილი 202.
 კილოკავი 22, 23.
 კიმოგრაფი 112, 113.

კინეტიკური ენა 234.
 კინორენტგენი 111.
 კოარტიკულაცია 74, 77, 78, 267.
 კომპაქტურობა 57.
 კომპოზიტი 138, 190.
 კომპოზიცია 139, 200.
 კომენიკაცია 233, 234.
 კომენიკაციათა ზოგადი თეორია 258
 კომენიკაციური სიტყვა 117.
 კონვერსია 147.
 კონიუნქციის წესები 281.
 კონკრეტულ-რელაციური ცნებები 324.
 კონტრასტული დისტრიბუცია 269, 270, 273, 277, 278, 289.
 კონსონანტიზმი 262.
 კონსონანტური დამწერლობა 240.
 „ სისტემა 149.
 კონსტრუქციის ბირთვი 221, 224, 225, 226.
 კონტაშინაცია 89.
 კონტექსტი 157, 170, 190.
 კონფიქსი 173, 175.
 კონცეპტუალური კლასიფიკაცია 329, 332.
 კოორდინაცია 221, 225, 227.
 კოორდინაციული კონსტრუქცია 222.
 კოორდინირებული ბირთვი 226, 227, 229, 230.
 კოორდინირებული სატელიტი 226, 227.
 კორდოფანის ენები 322.
 კორეული ენა 324.

ლ

ლაბიალიზაცია 62, 78, 80.
 ლაბიალიზებული ბგერა 62.
 ლაბიალიზებული ფარინგალური სპირანტი 50.
 ლაბიალიზირებული ხმოვანი 62, 63, 64.
 ლაბიოდენტალური 48, 67.
 ლარინგალური 49, 67.
 ლარინგოსკოპი 108.
 ლარინგოფონი 112.
 ლატერალები 50, 51, 67.
 „ლატერატები“ 86.
 ლექსემის ვარიანტები 282, 285.

ლექსემათა დისტრიბუციული ანალიზი 282.
 ლექსიკა 128, 165, 280.
 ლექსიკალიზაცია 161.
 ლექსიკალიზებული სიტყვათშეერთება 117, 161, 162.
 ლექსიკის ფონე 279, 324.
 „ ნასესხობა 91, 165, 167, 168, 171.
 ლექსოგრაფია 117, 170, 249, 258.
 ლექსოლოგია 117, 125, 128, 161, 259.
 ლექსიკონი 170, 248.
 ლექსიკური ანალიზი 268.
 „ დერიაკია 133, 136, 172.
 „ ერთეული 117.
 „ ეელი 170.
 „ მნიშვნელობა 119, 134, 179, 180, 181, 182, 183, 185, 186, 189.
 ლექსიკური მნიშვნელობის მკვლელი აფიქსები 172.
 ლექსიკური მორფემები 172.
 ლექსიკური მორფემა 183, 203, 211, 331.
 ლექსიკური (სემანტიკური) რიცხვი 205.
 „ სფერო 130.
 ლიგატურა 239.
 ლინგვისტური ატლასი 26
 „ გეოგრაფია 26, 27.
 „ გეოგრაფიის პრინციპები 253, 257.
 ლინგვისტიკის გამოყენებითი ასპექტი 257, 258.
 ლინგვისტური ეტიმოლოგია 154
 „ ლექსიკონი 170, 171
 „ ღირებულება 75.
 ლოგიკური კატეგორიები 215.
 ლურსმული დამწერლობა 239.
 „ მარცვლობითი წერა 239, 240.

ა

მაგარი სანა 43.
 მაერთებელი კავშირი 212.
 „ მიმართება 212.
 მალაიურ ანუ ინდონეზიური ჩვეუი 318, 319.

მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახი 318, 319.
 მანდე ენები 322.
 მანქანური თარგმანი 258.
 მაპირისპირებული პრეფიქს-სუფიქსები 152.
 მართვა 217.
 მართლმეტყველება 244.
 მართლწერა 244.
 მარტივი ნარევ-რელატიური ენები 330, 331, 332.
 მარტივი წინადადება 218, 227.
 მარტივი წმინდა-რელატიური ენები 330—336.
 მარტივი ხშული 51.
 მარცვალი 95, 101, 102, 218, 239, 240.
 „ დახურული 92, 93, 104.
 „ ღია 92, 93, 104.
 მარცვალი ძლიერდამართვიანი 107.
 „ ძლიერშემართვიანი 107.
 მარცვალოვასაყარი 102, 103, 104, 105, 107.
 მარცვლისმატარებელი თანხმოვანი 105.
 მარცვლის შემქმნელი ფაქტორი 102, 103.
 მარცვლის შედგენილობა 102, 105.
 მარცვლის საზღვარი 103, 105.
 მარცვლოვანი სონანტი 337.
 „ წერა 239.
 „ ხმოვანი 104, 105.
 მაქვემდებარებელი კავშირები 212.
 „ მიმართება 212.
 მაღალი სტილის სიტყვები 169.
 მახვილი 38, 95, 96, 97, 98, 99, 100, 136, 137, 288, 332.
 მახვილი არაფიქსირებული 96.
 „ დინამიკური 55, 93, 95, 96, 97, 98, 99, 101.
 მახვილი ემოციური 99.
 „ თავისუფალი 96, 98.
 „ კვანტიტატური 95.
 „ ლინგვისტური 99.
 „ ლოგიკურ-ემოციური 99.
 „ ლოგიკური 99.
 „ მთავარი 97.
 „ მოძრავი 97, 136.
 „ მოძრავი დინამიკური 332.

- მახვილი მუღმივი 96.
- " მესაკალურ-დინამიკური 98.
 - " მესაკალური 95, 96, 97.
 - " სუსტიდინამიკური 98.
 - " სუსტი 97.
 - " ტონური 95, 97, 98, 101, 136.
 - " უძრავი 97.
 - " ფიქსირებული 96, 98.
 - " ფრაზის 99.
 - " ფონმატური 96, 97.
 - " ძლიერდინამიკური 98.
 - " ხანგრძლივობის 95.
- მახვილის ერამატიკული ფუნქცია 136, 137.
- მბგერი იოგები 42.
- მელიო-აქტივი 210.
- მელიო-პასივი 210.
- მეტათეზისი 85, 86.
- მეტაფორა 14, 137, 138, 139.
- მეტაფორიზაცია 137, 138.
- მეტონიმია 139, 140, 141, 144, 170.
- მეტყველება 11, 12.
- მეტყველების აქტი 266, 267, 268, 274.
- " ლინგვისტიკა 12.
 - " ნაწილთა კლასიფიკაცია 248.
 - " ნაწილები 211, 214, 215, 216.
 - " პროცესი 252.
 - " შინაარსი 234.
- მეყსეული თანხ. 51, 54.
- მეცნიერული ეტიმოლოგია 154, 155.
- მორთოლი 51.
- მიმობრა 133, 134, 136.
- მიმღეობა 248.
- მინიმალურად განსხვავებული წყვილი 71.
- მინიმალური წყვილი 71, 72.
- მირთეა 217.
- მკვიდრი სიტყვები 150, 165, 167.
- მნიშვნელობა 21.
- " პირდაპირი 144.
- მნიშვნელობათა მეტონიმური ცვლილება 138.
- მნიშვნელობის გადაწევა 136.
- " განზოგადება 130.
 - " ვაფართოება 130, 134, 136.
 - " დავიწროება 130, 134, 136, 153.
- მნიშვნელობის მკველვი აფიქსები 327.
- მნიშვნელობის სპეციალიზაცია 130.
- " ცვლის ენობრივი ფაქტორი 129.
- მნიშვნელობის ლოგიკური კლასიფიკაცია 134.
- მნიშვნელობის ცვლის სოციალური ფაქტორი 130.
- მნიშვნელობის ცვლის ფსიქიკური ფაქტორი 131.
- მნიშვნელობის ცვლის ფსიქოლოგიურ-კლასიფიკაცია 136.
- მოდალბა 218.
- მონათესავე ენები 261, 262, 264, 265, 266.
- მონკოლურ ენათა ოჯახი 315.
- მონოპერსონალიზმი 208.
- მორზეს ანბანი 14.
- მორფემა 117, 118, 119, 133, 136, 137, 139, 176, 177, 178, 179, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 261, 274, 275, 276, 277, 288, 324.
- მორფემათა ისტორია 154.
- მორფემის ვარიანტი 178.
- მორფემული ალტერნანტი 178.
- მორფთა დისტრიბუცია 274.
- მორფი 274, 276.
- მორფოლოგია 136, 176, 184, 189, 200, 246, 248, 249, 253, 279, 337.
- მორფოლოგიური ანალიზი 268.
- " დამარცვლა 105.
 - " კატეგორია 202, 205.
 - " კლასიფიკაცია 286, 287, 288, 289, 290, 326—334
- მორფიკურული სიტყვები 333.
- მოკრავმახვილიანი ენები 96.
- მკლერი ბგერა 39, 40, 50, 58, 59, 66, 93, 108, 269, 272.
- მრავალწერიანი სინონიმური რიგები 151.
- მრავალენოვანი ლექსიკონი 171, 172.
- მრავალმნიშვნელობა 147, 157, 158, 159.
- მრავალპირიანი სპნა 208.
- მრავლობითი რიცხვი 137, 138, 181, 200, 201, 202, 205, 206, 211.
- მრგლოვანი ასოები 241, 242.
- მსაზღვრელ-საზღვრული 278.

მსკდომი 49, 54.
მტკიცების ინტენსივობა 212.
მუნდა ენათა ოჯახი 318.
მუცლის ღრუ 42.
მყოვარა თანხმოვანი 54.
მცხეთის წარწერები 242.
მწვერვალი 45.
„მხედრული ანბანი“ 240, 241.
მხოლოდობითი რიცხვი 137, 138, 181, 200,
201, 202, 205, 206, 211.

6

ნაზალები 50, 51, 67.
ნაზალიზაცია 61, 62, 73, 78, 80.
ნაზალური ინფიქსი 173.
ნაპრალი გასწვრივი 49, 50.
ნაპრალოვანი თანხ. 54, 59, 67.
ნაპრალოვნობა 49, 65.
ნასესხები სიტყვები 91, 165, 167, 168,
171.
ნატურალიზმი 251, 252.
ნაქი 43, 47.
ნაქისმიერი 49, 51.
ნაცვალსახელთა ნომინაცია 126.
ნაცვალსახელური სიტყვები 126.
ნაწევარი 248.
ნაწილაკი 211, 212, 214, 216.
ნახატები 234.
ნახევარხმოვნები 51, 58, 59, 60, 61, 79.
ნახურ-დაღესტნურ ენათა ჭგუფი 312—
314.
ნეიტრალური ლექსიკა 169.
ნეიტრალური ქცევა 210.
ნეოგრამატიკოსები 252, 253, 254, 265.
ნეოლინგვისტური სკოლა 253, 257.
ნეოლოგიზმი 170.
ნილოსური ენები 322.
ნიშანი 16, 17, 20, 21.
ნომინატივი 204, 205.
ნომინაცია 117, 118, 119, 120, 144.
ნომინაციური ფუნქცია 118.
ნორმატიული გრამატიკა 247, 248, 258.
ნულოვანი აფიქსი 146, 174.
„ გახმოვანება 337.
ნუნები 43.
ნუნისმიერი 48.
ნუსხ.-ხუცური დამწერლობა 240, 241.
ნუსხური 241, 242.

ო

ობერტონები 55, 56.
ობიექტი 208.
„ ირიპი 204.
„ პირდაპირი 138, 203, 204,
208, 209, 210, 213.
ობიექტის ბრუნვა 209.
ობიექტური სინტაგმები 218.
ოდნავ ფშვინევიერი 66.
ოთხეულბაროვი სისტემა 65, 66.
ოთხი ელემენტის თეორია 260.
ონომასტიკა 121, 122, 123, 124.
ომონიმი 80, 140, 146.
ომონიმთა ლექსიკონი 171.
ომონიმრა 145, 146, 147, 148, 150.
ომონიმური კონფლიქტი 149, 150, 160.
„ სუპერაცია 149.
ოპოზიციის ცნება 70.
ოსცილოგრაფი შლეიფიანი 113.
ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი 172.
ორალური ხმოვანი 9.
ორვეურდითი თანხ. 51.
ორთოგრაფია 243, 244, 259.
ორთოგრაფიის ისტორიულ-ტრადიციული
პრინციპი 242, 244.
ორთოგრ. ფიის მორფოლოგიური პრინ-
ციპი 243, 244.
ორთოგრაფიის ფონეტიკურ-ფონოლო-
გიური პრინციპი 243.
ორთოგრაფიული ლექსიკონი 171.
ორთოეპია 244.
ორთოეპიული ლექსიკონი 171.
ორმწვერვალისანი მარცვალი 104, 107.
ორბითი რიცხვი 206.
ორხმოვანა 76.

პალატალიზაცია 69, 73, 78, 79.
პალატალიზებული ბგერა 79.
პალატალური 48, 49, 60, 79, 268.
პალატოგამა 109.
პალატოგრაფია 109.
პალეოპიური ენები 319, 320.
პალეოაფრიკული ენები 323.
პალესტინის წარწერები 242.

პანქრონიული კანონი 333, 334.
 პაპირუსი 237.
 პაპუა ენები 320, 321.
 პარადივმატული მიმართება 68.
 პარატაქსი 219, 227.
 პასივი 210.
 პასიური ზმნა 209.
 „ ლექსიკა 164, 167.
 „ ორგანოები 44.
 პაუზა 100, 136.
 პირამიდისებრი ხრტილი 42.
 პირველადი საარტიკულაციო მოძრაობა-
 მდგომარეობა 78.
 პირი 202, 207.
 პირისეული ხმოვანი 61.
 პირის კატეგორია 207, 213, 216.
 „ ნაცვალსახელი 120.
 „ ღრუ 43.
 პიქტოგრამა 234, 235.
 პიქტოგრაფიული წერა 234, 235.
 პნევმატიკური საშუალებები 112.
 პნევმო-ოსცილოგრაფიული შრული 116.
 პოლინეზიური ჭვუფი 319.
 პოლიპერსონალიზმი 208, 209.
 პოლისემია 143, 144, 145, 147, 148, 160.
 პოლისინთეზური ენები 287, 290, 331.
 პოსტობიციური წყობა 278.
 პოსტფიქსი 178.
 პოტენციალური ლექსიკა 164, 165.
 პრადის ლინგვისტური წრე 254.
 „ სკოლა 266.
 „ სტრუქტურალიზმი 254.
 პრეალევიტარული 48, 66, 67.
 პრედიკატივი 215.
 პრედიკატული წყობა 217, 218.
 პრეპოზიციული წყობა 278, 279.
 პრერუბტივი 66.
 პრეფიქსაცია 172, 262, 334.
 პრეფიქსი 134, 172, 173, 191.
 პროკლიტიკა 97.

შ

შარგონი 27, 28, 151, 169.
 შესტების ენა 32.
 ესტ-მიმიკის ენა 14, 15, 33.

რ

რაგვარობა 48, 49, 50.
 რაოდნობა 35.
 რაციონალური გრამატიკა 249.
 რბილი ბგერები 49.
 რბილი სასისმეორი ბგერები 49. 61, 77.
 რეალური ლექსიკა 164, 165.
 რეგულარული ბგერათშესატყვისობა 262.
 რედუბლიკაცია 138, 139.
 რედუქცია 88, 90.
 რელაციური აფიქსება 230.
 რელაციური სინტაგმები 218.
 რელევანტური ნიშანი 272, 273.
 რეზონანსი 56.
 რეზონატორი 56.
 რეკურსია 45.
 რენტგენი 110, 111.
 რენტგენოგრაფია 109.
 რესპირაცია 44, 45.
 რეტროფლექსური 48.
 რიცხვითი სახელი 126, 127, 128, 134,
 180, 181, 200, 201, 202, 205, 207,
 211, 212, 213, 214, 215, 216.
 რთული თანწყობილი წინადადება 219,
 227.
 რთული ნარევ-რელაციური ენები 330,
 331, 332.
 რთული სიტყვები 190.
 „ ქვეწყობილი წინადადება 219,
 228.
 რთული წინადადება 218, 228.
 „ წმინდა რელაციური ენები 330,
 331, 336.
 რომულ ენათა ჭვუფი 299—302.

ს

საარტიკულაციო ბაზისი 44, 47.
 „ წერტილი 44.
 „ ორგანოები 40.
 საბჭოთა ენათმეცნიერება 258, 259.
 საგანთა კლასი 19, 118, 120.
 საგანი 127, 137, 139.
 საგნობრივი ლექსიკონი 171.
 საერთაშორისო ენები 36, 37.
 საზიარო არტიკულაციის წესი 76.

სამეტყველო აპარატი 267.
 სამეტყველო ენა 232, 233.
 სამეულეობრივი სისტემა 64, 66.
 სამეტყველო ბგერა 38, 39, 51, 52, 55, 58, 59, 67, 69, 73.
 სამეტყველო სუნთქვა 43.
 სამოდიურ ენათა ოჯახი 315.
 სამხმოვანა 77.
 სამხრეთ ამერიკის ენები 322.
 საკომუნიკაციო ფუნქცია 6, 8, 10, 11, 14, 15, 30, 232.
 საკუთარი სახელი 120, 121, 122, 126.
 „ სიტყვები 165, 167.
 საკუთარ სახელთა ეტიმოლოგია 157.
 სალიტერატურო ენა 24, 25, 27, 36, 37.
 საპირისპირო მნიშვნელობათა განვითარება 154.
 სატელიტი 221, 224, 225, 229, 230.
 სატემ ენები 305.
 საშუალო ენებითი 210.
 „ მოქმედებითი 210.
 სასა 42.
 „ რბილი 43.
 სასუნთქი შილი 41.
 სასუნთქი ორგანოები 41.
 საურთიერთო მეტათეზისი 85.
 საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილი და რაგვარობა 44, 48.
 სახელდება 117, 118, 136, 144.
 „ ნიშან-თვისებათა მსგავსება 137.
 „ ფუნქციათა მსგავსება 138.
 სახელი 119, 138, 202, 203, 223, 224, 225, 247, 248.
 სახელის გადარქმევის ნიშნები 143.
 „ ფრაზა 209.
 სახელობითი ბრუნვა 201, 204, 205, 206, 208, 209, 210.
 სახმო იოგები 42.
 სახმო სიმები 42, 43, 54, 59, 111, 116.
 სეგმენტი 181, 182, 192.
 სეგმენტური მორფემა 136, 137.
 სემანტიკა 129, 276, 279, 282.
 სემანტიკური კომპონენტები 281, 282.
 „ კომპონენტების თეორია 284.
 „ კრიტერიუმები 276.

სემანტიკური დიფერენციალური ნიშნები 281.
 სემანტიკური მოლეკულა 281.
 „ მსგავსება 250, 251, 284.
 „ (ლექსიკური) ოჯახები 205.
 „ სფერო 130.
 „ ფუნქცია 84.
 სემასიოლოგია 259.
 სემიტიურ ენათა ოჯახი 305—307.
 „სემიტო-უორთის ჰიპოთეზა“ 257
 სესხება (სიტყვათა) 166, 167.
 სიგარმე-სიმოკლე 93, 94.
 სილაბემა 239.
 სილაბური დამწერლობა 239, 240.
 სიმალე ბი. 137.
 სიმბოლური ენები 235, 331.
 სინეკდოხა 140, 170.
 სინთეზური ენები 289, 331, 332, 331, 336.
 სინონიმი 135, 149, 150, 151, 152, 154, 160, 170.
 სინონიმთა ლექსიკონი 171.
 „ რიგი 149.
 სინონიმია 154.
 სინტაგმა 217.
 სინტაგმური მიმართება 68.
 სინტაქსი 161, 183, 216, 227, 246, 248, 278.
 სინტაქსის დონე 279.
 სინტაქსური ანალიზი 268.
 „ ბლოკი 217.
 „ კავშირი 220, 222, 225, 226, 227.
 სინტაქსური კონსტრუქცია 220, 221, 230, 278, 279.
 სინტაქსური კონსტრუქციათა მსგავსება 262.
 სინტაქსური მიმართება 216.
 სინტაქსური პლენონაზმი (სიქარბე) 227.
 „ ცნებები 329.
 „ წყვილები 217.
 სინქრონიკა 28, 29, 30, 31, 32, 251, ...
 სინქრონიული ლინგვისტიკა 28, 29.
 „ პერსპექტივა 325.
 „ ტიპოლოგია 227.
 სინქრონიზმი 82, 83, 84, 228.
 სისინა სპირანტები 22.

- სიტუაციური სიტყვა 120.
 სიტყვა 7, 9, 10, 16, 68, 74, 98, 117, 118, 119, 120, 134, 135, 184, 185, 186, 187, 188, 169, 218, 235, 240, 280, 283.
 სიტყვათა არანეირების წესი 203.
 სიტყვათა ისტორია 154.
 „ კლასიფიკაცია 247.
 „ რიგი წინადადებაში 138, 202, 203, 329, 331, 336.
 სიტყვათა წარმოშობა 154.
 სიტყვათგანმასხვევებელი ფუნქცია 39.
 სიტყვათთხვა 145, 150.
 სიტყვათმახვილი 96, 98.
 სიტყვათშეერთება 161.
 სიტყვა-შითითება 120.
 სიტყვა-მორფემა 128.
 სიტყვაფორმა 134, 135, 174, 185, 186, 187, 188, 189.
 სიტყვაწარმოება 133, 135, 136, 172, 174.
 სიტყვიერი კონტექსტი 157.
 სიტყვის ადგილმდებარეობა სიტყვათშეერთებაში 288.
 სიტყვის ადგილმდებარეობა წინადადებაში 288.
 სიტყვის დარგობრივი ლექსიკა 134, 136.
 სიტყვის ემოციური ელფერი 139.
 „ მაწარმოებელი მორფემა 183.
 „ მნიშვნელობა 281.
 „ მნიშვნელობათა კორელაციური ცვალებანი 142.
 სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა 139.
 „ სემანტიკური მოცულობა 20.
 „ სესხება 135.
 „ ღირებულება 170.
 სიმლიერე 69.
 სკდომა 49.
 სლაურ ენათა ჯგუფი 294—297.
 სომხური (არმენული) ჯგუფი 303.
 სონანტი 59, 107, 337.
 სონორები 58, 67, 84, 85, 88.
 სონორ თანხმოვანთა საშუალო ხანგრძლივობა 54.
 სონორობა 59, 103, 104.
 სონორობის თეორია 102, 103.
 სონლი ენათა ჯგუფი 322.
 სოციალური დიალექტები 27, 28.
 სოციალურად ღირებული ბგერები 33.
 სოციოლოგიური სკოლა 253, 254.
 სპექტროგრამა 116.
 სპექტროგრაფი ელექტრული 56, 116.
 სპეციალური ლექსიკა 167.
 სპირანტები 49, 50, 93, 268, 269.
 სპირანტულობა 65.
 სპონტანური ბგერათმონაცვლეობა 87.
 „ ბგერათმონაცვლეობები 80, 81.
 სრული გახმოვანება 337.
 სრულმნიშვნელობიანი სიტყვები 125, 126, 127, 128.
 სტადიალური თეორია 327.
 სტილი 282.
 სტილისტიკა 260.
 სტილისტური ელფერის მქონე ლექსიკა 169.
 სტრუქტურალიზმი 254, 255, 256.
 სტრუქტურული დიალექტოლოგია 25, 27.
 სტრუქტურული ენათმეცნიერება 266, 268, 279, 325.
 სტრუქტურული მეთოდი 274.
 „ სემანტიკა 279, 284.
 „ ტიპოლოგია 286.
 სტრუქტურული ტიპოლოგიური შედარება 262.
 სუბიექტი 138, 203, 204, 208, 210, 213.
 სუბიექტის ბრუნვა 209.
 სუბორდინაცია 221, 227.
 სუბორდინაციული კონსტრუქცია 222, 224, 225, 226.
 სუბსტანტივი 127, 162.
 სუნთქვიერ თანხმოვანთა წარმოება 65.
 სუპლტეივიზმი 178, 200.
 სუპრაგლოტალური ორგანოები 41, 56, 57.
 სქესი 180, 181, 182, 201, 202, 206, 207, 211, 213, 216.
 სქესის გრამატიკული კატეგორია 148.
 სუფიქსაცია 262.
 სუფიქსები 172, 173, 175, 181, 288, 289.
 სუფიქსური მორფემა 337.
 სუფიქსური სიტყვაწარმოება 172.
 სწორი ნორმატული წარმოთქმა 244.

ტაბუ 131.
 ტემპრი 53, 55, 56, 69.
 ტემპი 137.
 ტერიტორიული დიალექტი 27.
 ტერმინი 159, 160, 161, 163.
 ტერმინოლოგია 159, 160, 161, 163.
 ტერმინოლოგიური ლექსიკონი 171.
 ტექსტი 187, 267, 268, 274.
 ტიპეტერ-ბირმული ჭგუფი 317.
 ტიპოლოგიური კვლევა 325.
 „ კლასიფიკაცია 324, 326, 327, 329, 332, 333, 334, 335, 337.
 ტიპოლოგიური შედარება 262.
 ტომობრივი ენები 35, 36, 37.
 ტომოგრაფი 111.
 ტონი 53.
 „ გლოტალური 56, 57.
 „ დაბალი 72, 137.
 „ მარტივი 55.
 „ მაღალი 72, 137.
 „ მუსიკალური 43.
 „ რთული 55.
 „ პარციალური 56, 57.
 „ ძირითადი 55, 56, 160.
 „ პარშონიული 56.
 ტომონიშია 121, 156.
 ტომონიშკური საკუთარი სახელი 122, 123.
 ტოქარულ ენათა ჭგუფი 304.
 ტრადიციული გრამატიკა 188.
 „ დიალექტოლოგია 25.
 „ ენათმეცნიერება 25, 255, 279.
 ტრადიციული მორფოლოგიური კლასიფიკაცია 328.
 ტრადიციული სინტაქსი 216, 218, 219, 227, 230.
 ტრადიციული ფონეტიკა 274.
 ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია 244, 245.
 ტრანსფიქსი 173.
 ტრიფთონგი 77.
 ტუნგუსურ-მანჭურულ ენათა ოჯახი 316.
 ტუნჯბისმეორი ბგერები 48.

უველარული თანხ. 49, 51.
 უკანაენისმიერი თანხ. 40, 49, 272.
 ულტრაბგერები 53.
 უმარცხო ბგერა 105.
 უშლაუტი 82, 83, 84.
 უნგრულ ენათა ჭგუფი 308.
 უნივერსალური გრამატიკა 249, 250, 255.
 უნილტერალური თანხ. 51.
 ურთიერთგამომრიცხველი ბგერები 71, 72.
 ურთიერთშენაცლებადი ბგერები 71, 72.
 უსუნაქველი თანხმოვნები 65.
 უშუალო შემადგენელი 220, 221, 222, 225, 227, 228, 229, 230.
 უცხოური სიტყვები 165.
 უცხოურ სიტყვათა ლექსიკონი 171.

ფარინგალური თანხ. 49.
 ფარინგსი 42, 43, 47.
 ფაუკალური თანხმოვნები 86.
 ფილოლოგიური გრამატიკა 246.
 ფილოსოფიური გრამატიკა 249.
 ფილტვები 41, 42.
 ფინიკურ-სემიტური ანბანი 243.
 ფინურ ენათა ჭგუფი 307, 308.
 ფინიურ-უნგრულ ენათა ოჯახი 307, 308.
 ფიუსეი 16.
 ფლექსია 128, 133, 134, 135, 136, 148, 192, 326, 329, 331.
 ფლექსიური ენები 287, 288, 289, 290, 326, 327, 328, 337.
 ფონაცია 44, 45.
 ფონემა 9, 10, 15, 38, 39, 40, 67, 68, 69, 72, 73, 74, 80, 81, 86, 100, 176, 177, 178, 179, 184, 185, 186, 187, 189, 261, 268, 270, 271, 272, 273, 274, 280, 281, 324.
 ფონემატური წერა 240.
 ფონეტიკა 38, 39, 253, 273.
 ფონეტიკურად შეპირობებული ბგერათ-მონაცვლეობა 87.
 ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება 90.

ფონეტიკური ვარიანტების სემანტიკური
დიფერენციაცია 149.
ფონეტიკური კანონზომიერება 80, 251,
252.
ფონეტიკური კანონი 89, 90, 91.
ფონეტიკური კანონის უგამონაკლისობა
253.
ფონეტიკური მსგავსება 251, 271, 272,
273, 274.
ფონი 269, 270, 280.
ფონოგრაფიული წერა 234, 239, 240.
ფონოლოგია 39, 40, 176, 177, 255, 268,
275, 325, 337.
ფონოლოგიურად არაიდენტური ოპოზი-
ცია 325.
ფონოლოგიურად არამნიშვნელოვანი
ოპოზიცია 70, 71.
ფონოლოგიურად არალირებული ნიშა-
ნი 72.
ფონოლოგიურად იდენტური ოპოზიცია
325.
ფონოლოგიურად ირელევანტური ოპო-
ზიცია 70, 71, 73.
ფონოლოგიურად რელევანტური დაპი-
რისპირება 70, 71.
ფონოლოგიურად რელევანტური ნიშა-
ნი 73, 74, 272.
ფონოლოგიურად რელევანტური ოპოზი-
ცია 70, 71, 72, 73.
ფონოლოგიურად ლირებული დაპირისპი-
რება 70, 71.
ფონოლოგიურად ლირებული ნიშანი 72,
73, 74.
ფონოლოგიურად შეპირობებული ალო-
მორფი 277.
ფონოლოგიური ანალიზის მეთოდი 266.
" ბგერათმონაცვლეობა 87.
" დაპირისპირება 72.
" დიფერენციალური ნიშნები
281.
ფონოლოგიური ერთეული 70.
" ოპოზიცია 70, 274.
" სივრძე-სიმოკლე 93, 94, 95.
" ლირებულება 89, 92.
ფორმანტი 57, 191.
ფორმაცელება 133.

ფორმაცელებადა სიტყვა 189, 190.
ფორმაცელებული სიტყვა 189, 190.
ფრაზა 96.
ფრაზეოლოგია 260
ფრაზეოლოგიური ერთეულები 117.
ფრაკტიკები 40.
ფუზია 331.
ფუზიური ენები 337.
ფუნქციონალური ენათმეცნიერება 266.
" ლინგვისტიკა 254, 255.
ფუძე 133, 134, 135, 192.
ფუზინეური თანხმობანი 65, 107.
ფუზინეურობა 107.

ჭ

ჭამიტური ენები 287.
ქართველურ ენათა ჯგუფი 314, 315.
ქართველური ენები 208.
ქართული ანბანი 240, 241, 248.
ქართული დამწერლობა 243.
ქართული წერილობითი ძეგლები 242.
ქვემდებარე 126, 216, 217, 222, 224, 225,
230.
ქვეწვობა 219, 227, 228.
ქცევა 22, 23, 202, 210.
" საარვისო 210.
" სათავისო 210, 211.
" საობიექტო 210.
" სასუბიექტო 210.
" სასხვისო 210.

ღ

ღიაობა 49, 51.

წ

ყელსმეირი ბგერა 49.
ყელსშული 65.
ყრუ ბგერები 50, 58, 59, 93.
ყრუ-მუნჯების ენა 14, 15.
ყრუ ფუზინეური თანხ. 66.
შედარებითი ენათმეცნიერება 250.
შეთანხმება 217.
შეთანხმებითი თეორია 16.
შემართვა 45, 46.
შემართვა-დამართვა 74, 106.
შენაწევრება 137.

შერეული რაგვარობა 49, 50.
შესიტყვება 161.
შეფარდებითი სონორობა 103.
შუაენისმიერი ბგერები 48.
შინაგანი რეკონსტრუქცია 264, 265.
შინაგანი ფლექსია 260, 267.

ჩ

ჩინური იეროგლიფები 236.
ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი 316, 317.
ჩრდილოეთ ამერიკის ენები 322.
ჩუქჩური ჯგუფი 320.
ჩქამიერი ბგერა 53, 107.

ც

ცალეულბერივი სისტემა 66, 67.
ცენტრალური ამერიკის ენები 322.
ცენტრალური სუდანის ენები 322.
ცერებრალური თანხმოვნები 48.
ციმბირის ენათა ჯგუფი 320.
ციტყემფიქსი 191, 192.
ენება 8, 10, 13, 14, 35, 118, 119, 120,
126, 128, 137, 139, 159, 166, 235.
ენებითი აზროვნება 14.
ცხოველის ენა 10, 12, 14, 33, 35.

ძ

ძახილის ინტონაცია 137.
ძახილის წინადადება 218.
ძირი 118, 174, 190, 191, 192, 200, 330.
ძირული ელემენტები 329.
ძირული ენა 336.
ძირული მორფემა 133, 134, 172, 173,
191, 192.
ძირითადი ლექსიკური ფონდი 163, 164,
167.
ძირისეული ენები 287, 289.

წ

წარმოდგენა 6, 7, 8, 9, 10, 13.
წარმოთქმა 39, 243.
წარმოშობი გრამატიკა 231.

წარმოქმნა 172.
წარმოქმნილი სახელები 175.
წერა 232.
წერითი კომენიკაცია 239.
„ მტყუყელება 159, 243.
წერის ფონოლოგიური პრინციპი 243.
წინადადება 203, 209, 216, 218, 219, 225,
230, 231.
წინდებული 212, 216, 248.
წინადადების აგებულება 218.
„ მოდალობა 137.
„ სტრუქტურის იერარქიუ-
ლი ხასიათი 221.

წინანუნისმიერი 48, 67.
წინარე ენა 264, 286.
წინარე ენის რეკონსტრუქცია 334, 336.
წინარე ინდოევროპული ენა 291.
წყვილბავისმიერი 39, 48, 67.
წყვილეულბერივი სისტემა 65, 66, 67.
წყვილობითი (ორობითი) რიცხვი 201.

ბ

ბალბური ეტიმოლოგია 142, 154, 156,
157.
ბანგრძლივობა 92.
ბატოვანი სიმბოლიკა 235.
ბატოვანი აზროვნება 14.
ბაბა 41, 43, 47.
ბაბა-ცხვირ-პირის ღრუ 43.
ბახისმიერი 49.
ბელის ენა 32.
ბელონური სასა 109, 110.
ბელონური სესხება 166.
ბმოვანი 51, 54, 55, 57, 58, 59, 60, 92,
93, 102, 104, 136, 337.
ბმოვანი ვიწრო 61, 63, 64, 104.
„ დაბალი აწუელობის 61, 62,
64.
ბმოვანი მაღალი აწუელობის 61, 62, 63,
64, 65.
ბმოვანი მახილიანი 93.
„ მოკლე 93.
„ საშუალო აწუელობის 61, 62,
63, 64.
ბმოვანი უკანა რივის 60, 61, 62.

ბმოვანი უმახვილო 93.

„ ფართო 61, 64, 93.

„ შუა რივის 60, 62.

„ წინა რივის 60, 62, 63, 64.

ბმოვანთა დაკომპლექსი 61.

„ რეგულარული შესატყვისობა 262.

ბმოვანთა რედუქცია 38.

„ საშუალო ხანგრძლივობა 54.

„ სიგრძე-სიშორე 93, 94.

„ კარმონია 83, 334.

ბმოვანთომონაცვლეობა 87, 260, 288, 331, 335.

ბმოვნის ფონოლოგიური დაპირისპირება 332.

ბორხი 42, 47, 59, 108.

ბშვა 59.

ბშული თანხ. 39, 40, 42, 272.

ბშულმსკდომი 49, 54.

ბშულ ნაბრალავანი 51.

ბშულობა 49.

ჰ

პარმონიკები 56, 57.

პარმონიული კომპლექსები 77.

„ ობერტონები 56.

პალოლოგია 85.

პეტეროგენული 51, 52.

პეტეროგენული 51, 52.

პიერატიული დამწერლობა 237, 238, 239.

პიპოტაქსი 219, 227.

პომოგენური 51, 52.

პომორგენული 51, 52.

პომოფონი 145.

პომოფორმა 145.

ბ.

პირთა საძიებელი

ასკოლი გ. 252.

ახელედიანი გ. 5, 98, 105, 100.

ბარტოლი მ. 257.

ბენვენისტ ე. 335.

ბოგოროდიკი ე. 259.

ბონფანტე დ. 257.

ბოპ ფ. 251.

ბრეალ მ. 252.

ბრონდალ ე. 255.

ბრუგმან კ. 252.

ბუდაგოვ რ. 4, 5.

ბულახოვსკი ლ. 3, 5, 259.

გამურელიძე თ. 5.

გოლოვინ ბ. 4, 5.

გრემ ი. 89, 251.

დელბირიუკ ბ. 252, 253.

დიონისე თრაკიელი 248.

ელეუს დონატუს 248.

ვაისგერბერ ლ. 256.

ვანდრიეს ე. 254.

ვერნერ კ. 90, 252.

ვინოგრადოვ პ. 260.

ვენდტ ე. 32.

ზელმერ ე. 98.

ზივერს ე. 103.

თედორაძე ი. 97, 98.

იაკობსონ რ. 57, 255, 266, 284, 332.

მსპერსენ ო. 102.

კარცევსკი ს. 255.

კასირერ ე. 256.

კვიპერს ა. 336.

კობლინგ რ. 10.

კოელერ ე. 12, 13.

ლესკინ ა. 252.

მათეზიუს 255.

მარს ნ. 97, 98, 260.

მეიე ა. 257.

მისტელ ფ. 327.

მიულერ მ. 252, 289.

ოსტჰოფ ჰ. 252.

პალას პ. 250.

პანინი 246.

პაულ პ. 252.

პეშკოვსკი ა. 259.

პლატონ 247.

პოლივანოვ ე. 259.

პრისციანუს 248.

ელენტი ს. 26, 98, 106, 257.

რასელ ბერტრან 32.

რასკ რ. 251.

რეფორმატსკი ა. 3, 4, 5.

- სეპირ ე. 256, 257, 329, 330, 331, 332, 336.
- სკალიჩკა ე. 255.
- სოსიურ ღ. 8, 16, 103, 253, 254.
- ტრიირ ე. 256.
- ტრნკა 255.
- ტრუბეცკოი ნ. 255, 276, 334, 335.
- სტეპანოვ ი. 4.
- ულდალ ხ. 255.
- უორფ ბ. 257.
- უშაკოვ დ. 259.
- ფინკ ნ. 327.
- ფოგტ კ. 98.
- ფორტუნატოვ ფ. 252.
- ფოსლერ კ. 253.
- შლაიხერ ავგ. 252, 257, 289, 327.
- შლეგელ ა. 326, 327.
- შმიდტი 257.
- შტაინოლ 327.
- შუხარდტ კ. 253.
- შჩერბა ლ. 103, 259.
- ჩიქობავა არნ. 3, 5, 98.
- წერეთელი ა. 12.
- კაეკავაძე ი. 12.
- კიელმსლევ ლუი 32, 255, 279, 281.
- კუმბოლდტ ე. 8, 15, 251, 256, 324, 326, 327.

წინასიტყვაობა (გ. ახვლედიანი) 3—5

თავი პირველი. ენის რაობის საკითხი (გ. ნე ბ ი ე რ ი ძ ე) . 6—37
 ენის ფუნქციები (6). ენა და მეტყველება (11). ცხოველის „ენა“ (12). ბგერითი და არაბგერითი ენები (14). ენა როგორც ნიშანთა სისტემა (16). ენა და დიალექტი (21). დიალექტოლოგიის მეთოდები (24). სალტერატურო ენა, სოციალური დიალექტები და ვარჯონები (27). სინქრონია და დიაქრონია ენათმეცნიერებაში (28). ენის წარმოშობის საკითხისათვის (32). გეოგრაფიული, ტომობრივი და ეროვნული ენები (35).

თავი მეორე. ფონეტიკა (თ. აბზიანძე, ნ. ქუთელია)

1. ფონეტიკის საგანი და მეთოდები 38—41
 ფონეტიკა და ფონოლოგია (39). კერძო და ზოგადი ფონეტიკა (40). აღწერილობითი და ისტორიული ფონეტიკა (40). ფონეტიკის მეთოდები (41).

2. სამეტყველო ორგანოების აგებულება და მათი ძირითადი ფუნქციები 41—52
 სასუნთქი ორგანოები და მათი ფუნქციები (41). ზორხი (42). ხა-ხა-ცხვირ-პირის ღრუები (42). აქტური და პასიური ორგანოები (44). საწარმოთქმო ორგანოების მოქმედება (44). არტიკულაცია და ინდიფერენტული მდგომარეობა (44). რესპირაცია და ფონაცია (45). ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი (45). საარტიკულაციო ბაზისი (47). საწარმოთქმო დაბრკოლებათა ადგილი და რაგვარობა (48). დაბრკოლებათა ადგილები (48). დაბრკოლებათა რაგვარობანი (49). ხშულობა (49). ნაპრალოვნობა (49). შერეული რაგვარობა (რთული რაგვარობა) (50). აფრთხილება (51). ვიბრანტები (51). ლატერალები (51). ნაზალები (51). ლიაობა (51). დაბრკოლებათა ადგილისა და რაგვარობის აღმნიშვნელი ტერმინები (51).

3. აკუსტიკური ფონეტიკა 52—58
 ბგერის სიმაღლე (53). ბგერის ხანგრძლივობა (54). ბგერის ინტენსივობა ანუ ბგერის სიძლიერე (55). ბგერის ტემპრი ანუ ბგერის ელფერი (55).

4. ბგერათა კლასიფიკაცია 58—67
 სამეტყველო ბგერათა მელერობა-სიყრუე (58). სამეტყველო ბგერათა სონორობა (59). ხმოვანი, თანხმოვანი, ნახევარხმოვანი (59). ხმოვანთა კლასიფიკაცია (60). ხმოვანთა სამი რიგი (60).

38—41

ბმოვანთა აწეულობის სამი საფეხური (61). ბმოვანთა დაჯიშელობა (61). ბმოვანთა ნახალიზაცია (61). ბმოვანთა ლაბიალიზაცია (62). ქართული ენის ბმოვანთა სამეუთხედი (62). ბმოვანთა ზოგადი ელასიფიკაცია (63). თანბმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები (65). თანბმოვანთა სენტიკვიერი და უსენტიკველი წარმოება (65). ასპირაცია (ანუ ფშვინვა) და ასპირატები (ანუ ფშვინვიერები) (65). ბშულ თანბმოვანთა სამეულებრივი, წვეილეულებრივი და ცალეულებზრივი სისტემები (66).

5. სამეტყუელო ბგერა და ფონემა 67—74
 6. ბგერათშეერთებანი 67—80

კოარტიკულაცია (74). გარდამავალი ბგერა (74). შენაწერება (75) ბგერათშეერთება და ბგერათშეერთება (75). ბგერათშეერთების წესები (76). თანბმოვანთა პარმონიული კომპლექსები ქართულში (77). კოარტიკულაციური ბგერათცვლილებები (77). პალატალიზაცია (79). ელარიზაცია (79).

7. ბგერათცვლებადობა და ფონეტიკური კანონზომიერება 80—92

ენის ფონეტიკური სისტემა და მისი ისტორიული ცვლებადობა (81). ახალი ფონემის წარმოქმნა ენაში (81). არსებული ფონემის დაკარგვა ენაში (81). სამეტყუელო ბგერათა მოქმედი ცვლებადობა (81). ასიმილაცია (81). რთული ასიმილაცია (83). სინპარმონიზმი (83). უშლაუტი (84) დისიმილაცია (84). ბგერის დისიმილაციური დაკარგვა და პაპლოლოგია (85). მეტათეზისი (85). ფაქალური და დენტორალტრალიური თანბმოვნები (86). ბგერათმონაცვლეობა (86) ისტორიული ბგერათმონაცვლეობა (87). ბგერათრედუქცია (87). თანბმოვანთა რედუქცია (88) ბმოვანთა რედუქცია (88). ბგერათსუბსტიტუცია და ბგერიითი ანალოგია (88). ბგერათცვლილების კანონზომიერება და ფონეტიკური კანონი (89). ფონეტიკური ანალოგიის მოქმედება (90). სხვა ფონეტიკური კანონის ჩარევა (91). სხვა ენიდან ლექსიკის ნასესხობა (91). ფონეტიკური კანონის შეზღუდულობა დროითა და ადგილით (91).

8. ბგერათა ხანგრძლივობა ანუ ბგერათრადიონობა 92—95

9. მახვილი და ინტონაცია 95—101

ლინგვისტური და ლოგიკურ-ემოციური მახვილი (99). ინტონაცია (99).

10. მარცლის საეითხისათვის 101—107

11. ფონეტიკის მეთოდები 107—117

შლეიფინი ისტოლოგრაფი (113)

თავი მესამე. ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია (მ. ასტორნიკაშვილი).

- ლექსიკოლოგია 117—170

სიტყვა როგორც ლექსიკოლოგიის საგანი (117). სიტყვა და ცნობა (118). საეუთარი სახელები (120). სიტყვათა ტიპები ენაში (125). სიტყვის მნიშვნელობის (სემანტიკის) ცვლებადობის ფაქტორები (129). სიტყვის მნიშვნელობათა ცვლის სახეები (133). სიტყვის მნიშვნელობათა კოორდაციური ცვლილებანი (142). თანაბარსახე-

ლიანობა და მისი სახესხვაობანი (143). მეცნიერული ეტიმოლოგია და „ხალხური“ ეტიმოლოგია (154). კონტექსტი და ელიფსი (157). ტერმინოლოგია (159). ლექსიკალიზაცია და იდიომატიკა (161). ენის ლექსიკური შედგენილობა (163). საყუთარი და უცხოური (სკილდრი და ნახესხები) სიტყვები (165). ნეიტრალური და და სტილისტური ელფერის მქონე ლექსიკა (169). ენის ლექსიკური შედგენილობის ისტორიული ვანვითარება (169).	
ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა	170—176
სიტყვაწარმოება (წარმოქმნა, ღერძივაცია) (172).	
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე . გ რ ა მ ა ტ ი კ ა	
მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა (გ. მკვაჯირიანი და გ. ნებიერიძე)	176—216
ფონემა და მორფემა (176). მორფემა როგორც ალომორფების კლასი (177). გრამატიკულ მნიშვნელობა და ლექსიკური მნიშვნელობა (179). გრამატიკის საგანი (183). სიტყვა როგორც გრამატიკის ობიექტი (184). ფორმაცვალებადი და ფორმალუცვლელი სიტყვები (189). ძირი და აფიქსი. აფიქსების განლაგება სიტყვაში ძირის შიშართ (190). ფუძე და ფლექსია: ფლექსია და ღერძივაცია (192). გრამატიკული ღერძივაცია და ლექსიკური ღერძივაცია (193). მორფემათა ტიპები მათი გამოხატულების მიხედვით (196). გრამატიკული კატეგორიები (200). არტიკლი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი (211). მეტყველების ნაწილები (214).	
ს ი ნ ტ ა ქ ს ი (გ. ნებიერიძე)	216—232
ტრადიციული სინტაქსის შირითადი ცნებები (216). უშუალო შემადგენელთა მეთოდი (219). უშუალო შემადგენელთა მეთოდის ნაკლოვანი მხარეები (230).	
თ ა ვ ი მ ე ხ ე თ ე . დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ის (წერის) ისტორია (ყ. კრელაშვილი)	232—246
დამწერლობის დანიშნულება და მისი ფუნქციები (232). დამწერლობის წარმოშობა, მისი ევოლუცია (233). პიქტოგრაფიული წერა (234). იდეოგრაფიული წერა (235). ფონოგრაფია (239). ორთოგრაფია და მისი პრინციპები (243). ფონეტიკურ-ფონოლოგიური პრინციპი (243). მორფოლოგიური პრინციპი (243). ისტორიული ანუ ტრადიციული პრინციპი (244). ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია (244).	
თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე . ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ის ისტორია (ი. თევდორაძე)	246—261
ენათმეცნიერება ძველ ინდოეთში (246). ენათმეცნიერება ძველ საბერძნეთში (247). რომაელი გრამატიკოსები (248). არაბული ენათმეცნიერება (248). ენათმეცნიერება საშუალო საუკუნეებში (249). XVI—XVIII სს. ენათმეცნიერება (249). შედარებითი და ისტორიული ენათმეცნიერება (250). ნატურალისტური მიმდინარეობა (251). ნეოგრამატიკოსთა სკოლა (ინდივიდუალისტური ფსი-	

ქოლოგიზმი) (252). ნეოგრამატოკოსთა შეხედულების კრიტიკა (253). სოციოლოგიური მიმდინარეობა (254). სტრუქტურალიზმი (254) ეთნოლინგვისტიკა (256). არეალური ლინგვისტიკა (257). საბჭოთა ეპოქის ენათმეცნიერება (258).

თ ა ე მ ე შ ე ი დ ე . ენათმეცნიერების მეთოდები	
ი ს ტ ო რ ი ე უ ლ - შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი მ ე თ ო დ ი (ბ. გუგუნიშვილი)	261—266
დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი უ ლ ი მ ე თ ო დ ი (გ. ნებეირიძე)	266—285
დისტრიბუციული მეთოდი ფონოლოგიაში (266). მორფთა დისტრიბუციული იდენტიფიკაცია (274). სინტაქსური კონსტრუქციების დისტრიბუციული ანალიზი. (278). მნიშვნელობის დისტრიბუციული ანალიზი (279).	
თ ა ე მ ე რ ე ე . ენათა კლასიფიკაცია (გ. ახვლედიანი).	
1. ენათა დაჯგუფების პრინციპები	285—296
2. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია	286—290
3. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია	290—324
ინდოევროპულ ენათა ოჯახი (292). სემიტურ ენათა ოჯახი (305). ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახი (307). თურქულ ენათა ოჯახი (308). კავკასიური ენები (311). სამოდურ (წინათ ეწოდებოდა სამოიედურ) ენათა ოჯახი (315). მონგოლურ ენათა ოჯახი (315). ტუნგუსურ-მანჯურულ ენათა ოჯახი (316). ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი (316). დრავიდული ენები (317). მუნდა ენათა ოჯახი (318). მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახი (318). პალეოზიური ენები (319). ავსტრალიის ენები (320). პაპუა ენები (320). აფრიკის მკვიდრთა ენები (321). პალეოაფრიკული ენები (323). ჩრდილოეთ ამერიკის ენები (323). ცენტრალური ამერიკის ენები (323). სამხრეთ ამერიკის ენები (323) განცალკევებული (ე. ი. ცნობილი ჯგუფების გარეშე არსებული) ენები (324).	
4. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (გ. ნებეირიძე)	324—337
ზოგადი პრინციპები (324). ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია (326). ენობრივი უნივერსალები (332). ტიპოლოგიურისა და გენეალოგიური კლასიფიკაციის ურთიერთმიმართება (334). ლიპრონიული ტიპოლოგია (336).	
საძიებლები	338—355